357
1927

ეროვნული
ბიბლიოთეკა

337
1927

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

რჩეული ნაწერები

ტომი III

1927

ს. ს. ს.
ბიბლიო
ბიბლიო
ბიბლ
ბიბ
ბ
ბ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყდა კ. ზდანევიჩის.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხან. ბრ. № 91.

12/X-26. მთავარლიტი № 1397. შეკ. № 71/511. დაიბეჭდა 5000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

რჩეული ნაწერები

ტომი 3

ს. ბორბაძის ₰ ს. აბაშელის

რედაქციით

სსსრ
სახელმწიფო გამომცემლობა

1927

ტ ფ ი ლ ი ს ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირუტყვების არჩევანი

(1860)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვების არჩევანი

ვოდევილი ერთ სცენად

მომქმედნი პირნი:

ვირი, აქლემი, კატა, მურა-ქოფაკი, მწევარი, მოზვერი, კამბეჩი, ვეფხვი, მგლები და სხვადასხვა მხეცები.

მოქმედება ქაჯეთში:

(სცენა წარმოადგენს მოედანს, სადაც სხვადასხვა პირუტყვები შეყრილან წინამძღოლის ამოსარჩევად. ორპირად არიან გაყოფილი და თავ-თავის კანდიდატები წამოუყენებიათ. მარცხენა მხრის მეთაური კატაა, კანდიდატი ტურა. მარჯვენა მხარე მეტია; მათი მეთაური აქლემია, კანდიდატი ვირი. ვირი ქვიქვირჩამოგდებული ეღრიჭება ხან ერთსა და ხან მეორეს; ზოგს ქერსა ჰპირდება, ზოგს თივას და ზოგს ახალ საძოვარს; პირუტყვები თავს უკრავენ და მადლობას მოახსენებენ, აქლემი აფიცებს მათ ვირის ერთგულებაზე. მარჯვენა მხრისაკენ უეცრად ვირი დაიყროყინებს, აქლემი მოსძახებს, ღორი წვრილად ჭყივის, სხვა პირუტყვები ბანს მიაყოლებენ, შეიქნება ერთი ვაების ხმა. მარცხენა მხრიდან გამოვა კატა, წყნარად შეხტება სტოლზე; კუდაბზეკილს ტანზე აცვია ფრაკი, წვერ-ულვაში გასცვივნია. მიმართავს მარჯვენა მხარეს ამ სიტყვებით:)

კატა

მიავ! მიავ! მიაუ! რა გაჩხუბებთ, მხეცებო?
ზნეობით მახინჯებო, ყრუებო და ბეცებო!..
(მარჯვნით)
აქ მე კაცს ვერ ვიპოვი, ფარნითაც რომ ვეძებო...
ერთ კაცადაც არ ღირან, ყველაც რომ მივაწებო!

გირჩევთ: თქვენც დამიჯერეთ, მოდით, დამიგდეთ ყური!
დღეს ჩვენ აქ მოგვიწოდებს საერო სამსახური;
დავტოვოთ შინაური აყალმაყალი, შური
და ერთად რამ ვარჩიოთ, მით საქმე ვქნათ ჩვენც ძმური!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო არის ამდენს შფოთსა აწ დავუდვათ საზღვარი:
ამოვირჩიოთ ჩვენგან ერთი ჩვენ წინამძღვარი;
შეძლება თუ ექნება, ნურც ჰქონდეს დიდი გვარი,
გულით-კი იყოს წმინდა და ჭკუითაც მდიდარი!

კარგად უნდა ესმოდეს ახლანდელი დროება,
რომ გამოიკვლიოს მან ხალხის საჭიროება,
მის სიკეთეს შესწიროს მან თვისი მყუდროება
და მსხვერპლად კი არ ჰქონდეს ქვეყნის შევიწროება!...

საზოგადო საქმეა, არ ვარგა მტერ-მოყვრობა,
ნათესაობით, ქრთამით ერთმანეთის მიმხრობა,
თორემ, ვიცი, პასუხს გვთხოვს ჩვენი შთამომავლობა,
და არ დავრჩეთ პირშავად, არ შეგვწამონ ოხრობა!

არ სთქვან: „ჩვენი მამები იყვნენ მოღალატები,
ფიცი ბევრჯელ გასტეხეს, არ იწამეს ხატები!"
შევადაროთ ერთმანეთს ჩვენი კანდიდატები
და მჯობნე ავირჩიოთ, ამას გირჩევთ კატები!...

მოგირეკიათ ერთად ამოდენა ნახირი,
ყველა შემტკიცებულხართ, შეგიკრავთ ერთი პირი
და გსურთ ამოირჩიოთ თქვენ წინამძღვრად ეგ ვირი,
ყურებგრძელი, კუდმოკლე, თავმსხვილი და შავპირი.

ჟინიანი, ზარმაცი, კანსქელი, შუბლმაგარი,
არაფრის აქვს გარჩევა, ერთად უჩნს მთა და ბარი,
მასთანაც მოღალატე ყოფილა მაგის გვარი...
და ყველა მამულსა მტრობს მაგისი მეგობარი!

ახლა ეს კანდიდატიც ნახეთ ჩვენი თქვენ, ტურა:
ყველამ ვიცით, ჩვენს მამულს დღემდის ვით ემსახურა,
მას კეთილდღეობისთვის ბევრი ოფლი დასწურა
და სინიდის-ჭკუითაც არავინ დაიმდურა!

მამულს თავი შესწირა, არარა დაიშურა;
თუმცა წყალობის თვალით ზოგმა-კი ვერ შეჰყურა,
მაგრამ მან ხმა არ გასცა, ქუდიც მით დაიხურა!
ახლა გკითხავთ, ვინა სჯობს: ეგ ვირი, თუ ეს ტურა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხენა მხარე

რა თქმა უნდა, არ გვინდა ვირი ყურებპანტურა!
კმარა, რაც მოგვატყუა, ყინულზე გაგვაცურა,
დრო არის „ჩოქში" ვუთხრათ, ავირჩიოთ ეს ტურა...
გაუმარჯოს აწ ტურას! ურა, ურა და ურა!

(მარცხენა მხარე ურას იძახის და ყალხზე დგება. მარჯვენა მხარე გაჯავრებულია. ვირი ყროყინებს, აქლემი ბღავის, ძაღლები ჰყეფენ და ღორები ჭყივიან. ვაების ხმაა. ბოლოს დაჩუმდებიან. ქოფაკი გამოვა შუაზე)

ქოფაკი

ამუ! ამუ! ამ კატას ვუკბენ, მოვაგლეჯ ასოს,
რომ მეორედ ამგვარად აქ ალარ იბაასოს,
ცოტა ხათრიც რომ ექნეს და უკეთ დაგვაფასოს
და ტურას არ ესარჩლოს, მის მეგობარს და სასოს.

ვერა ჰხედავთ, რას ჰბედავს უნამუსო კატუნი?!
სპარსეთიდან მოვიდა, მოიტანა თან მუნი!...
გვითხრას ერთი, რა ნახა ვირში მან დასაწუნი?!
მოდით, კარში გავაგდოთ, ვუძახოთ: „ანასუნი!"

(თანდათან ჯავრობს)

რას ჰბედავს? ვერა მხედავს — ვბრძანდები დიდი მურა,
კუდგრძელი, ბანჯგვლიანი, შავპირი და შავყურა?!

(მიუბრუნდება ნახირს)

ვინც დღეს კატა დაზოგოს, ლეჩაქი დაეხურა!...

მარცხენა მხარე

აგრე იყოს, თუ დავთმოთ! ურა, ურა და ურა!

(შეუტევენ კატას ერთად, კატა შეშინებული გადახტება სტოლიდან, მარცხენა მხარე მოემზადება საშველად; წინ წამოდგება მწევარი ამაყად და აქოჩვრით)

მწევარი

ჰეი! ჰეი! ვერ მიცნობთ? მე გახლავართ მწევარი!
ჩვენს მხარეში ადრევე განთქმულა ჩემი გვარი!
ყოველის დიდოჯახის ღიაა ჩემთვის კარი...
მამულის სიკეთისთვის მიწურავს ოფლის ღვარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად ვინ გაასწორა, მითხარით, მთა და ბარი?
მოგიქრთამესთ, მყრალებო, გაჩუქესთ სამოვარი?
ტურის ვირთან შემდარე არს ვირის მეგობარი!...
ამას საქვეყნოდ ვიტყვი, გინდ სწერეთ საჩივარი!...

ღმერთმა მტერს გააგონოს ამგვარი ხათაბალა:
საქმე მუშტით კეთდება, სადღაა ჭკუის ძალა,
კარგი აზრის გამოთქმა აწ ვინღა დაგვაცალა?
მაგრამ კაცის გალახვა არ გახლავსთ ალა-ალა!...

როგორ ჰყეფენ, ხომ ჰხედავთ, გურული მეძებრები?
მძლავრი პირუტყვებისა ბრძანდებიან მტერები;
თქვენც ბევრჯელ უნახავხართ, მოვლილი აქვსთ სერები
და, თუ გეცენ, შენც, მურავ, ცუდად აემტვერები!...

მურა (მხრებზე იხედება)

სანამ მხრებზე მიწყვია მე ეს დიდი ჩინია,
შენისთანა მწევრების არაფრად მეშინია!
ბევრჯელ გამიგონია მუქარა. . მიცინია!...
მობრძანდი, თუ გულს გერჩის, გაგგლიჯო ვით ფინია!

(მიიწევს ღრენით)

მწევარი (ამაყად)

ნუ ჰყეფ, გიჟო ქოფაკო, ტყვილად თავს ნუ იწონებ,
შენი დრო წასულია, ძველს დროს ტყვილა იგონებ!
შენი ძაღლური ყეფით ჭკუას ვერ დაიმონებ!
წუპაკო, იქ მოგარტყმენ, სადაც თვითონ არ ჰგონებ!...

მურა (გაბრაზებული)

ჯერ შენ ისევ ლეკვი ხარ, წუპაკს როგორ მეძახიე!
მაინც არ დავთმობ ამას, საცემბირო რომ გავხდე!
იმედი მაქვს, იმდენად არ დავსუსტდე, არ წავხდე,
რომ შენ ვერ მოგერიო და ვაის არ იძახდე...

(შეუტევენ ერთმანეთს, მაგრამ კამბეჩი წამოდგება და დაამშვიდებს)

კამბეჩი (მრისხანედ)

ლომისგან მოცემული ხარისხი მაქვს მაღალი,
აქ მისთვის დამადგინა, მოვსპო აყალმაყალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ჩხუბი არ იქნება,—არს გითხრათ ჩემი ვალი,—
იქით სადმე მიბრძანდით, იქ დაიმტვრიეთ ძვალი!

(მარჯვენა მხრიდან გამოვა აქლემი და მოუბრუნდება კატას მრისხანედ)

აქლემი

ნეტავი რა გაჩხავლებს, უწვერ-ულვაშო ციცა?
აქლემი ვარ, ვერ მიცნობ, ვირის ვარ მკვიდრი ბიძა,
ჩვენი გვარიშვილობა ძველადვე დაიმტკიცა,
ვირის ერთგულობაზე ნახირმაც შემომფიცა!

(ნახირს მიუბრუნდება)

ნეტავი კატას რათ სწყინს, ამ ვირმა რომ იყვიროს?
ჩვენს ბომონში მოსვლა ჰსურს, თავის რჯულზედა სწიროს;
მაგრამ ვურჩევ დაჩუმდეს, არავინ დაიჭიროს,
კბილები არ აცეცქონ და კატამ არ იტიროს!

მოზვერი

არვისგან გავხედნილვარ, ვარ მე კურომოზვერი,
შენი ნათესავი ვარ, არ ვარ კი ჭკუის მტერი,
ტყვილად ჩხუბი არ მიყვარს და, თუ კი დაგეძგერე,
ყირამალას გადახვალ, ვფიცავ, წაგივა ფერი.

შენს ძმისწულს ესარჩლები, წამომდგარხარ ვით ყადი,
უსწორმასწორ ნაქნარო, ვერ ხარ კარგი ტანადი!
საზარელი ბლავილით აქ შენ ძალს ნუ იქადი,
გირჩევ, ცოდვას ნუ მადებ, ადექი, კარში გადი!

აქლემი

ბევრი ვნახე, მოზვერო, შენებურ მეტიჩარა!
წელამდიც ვერ მომწვდები, რას მიქვიან მუქარა!
თერგის წყალი გიყლაპავს, მიტომ სჯი მაგრე ჩქარა?
შენისთანა მოზვრუკებს მოუხდებათ ავშარა...

მოზვერი

ავშარა თქვენთვის არის ხომ გამოგონებული!...
სპარსელების ნახედნო, გაქვს ყიზილბაშის სული,
შენ და ეგ შენი ვირიც გესლში ხართ გალაფული,
ვგონებ, სულიც გაგვარდეს, თუ გეცი გულმოსული!

(შეუტევს აქლემს. აქლემი შეშინდება და კარში აპირებს გავარდნას, მაგრამ ამ დროს შემოვა ვეფხვი და პირუტყვები დაჩუმდებიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეფხვი

აი მეც გიახელით, რადგანაც დამიბარეთ!

(ბრძანების ხმით)

ვინც „ჩინებულნი“ არ ხართ, გირჩევთ გახვიდეთ გარეთ!
დროა საქმის შედგომის, აბა კენჭი უყარეთ
მაგ თქვენ კანდიდატებსა, ერთმანეთს შეადარეთ!

(რომ გაათავებენ კენჭის ყრას, ნახვენ, რომ ვირი გათეთრებულა და ტურა გაშავებულა)

კატა (შეწუხებული)

მიავ! მიავ! მიაუ! ხომ ავასრულეთ ვალი!
მაგრამ რა გაეწყობა, გვერეევა მუშტის ძალი!...
აქ ჭკუას ვინღა ეძებს? სად არის სამართალი?
მაგრამ ვირის ამრჩევლებს კი დაუდგებათ თვალი!...

(მელები ტაშისკვრით გადიან მარჯვენა მხარისაკენ)

მელები

მოგატყუეთ, ხი! ხი! ხი! გიბნიეთ გზა და კვალი!
ბატონს ვირს გაუმარჯოს! არალალი! თარალი!

(კატები და მარცხენამხრელები კუდამოძუებულები მიიპარებიან. მარჯვენები გამარჯვებულები ულოცვენ ვირს გამარჯვებას)

ვირი

მიხარის გამარჯვება! წახდა კატის ქადილი!
ეს მეტად ძნელი საქმე ჩვენ შეგვექნა ადვილი!
გმადლობთ, რომ ამისრულეთ ჩემი გულისწადილი,
წამობრძანდით, გაგაძღოთ, მზად მაქვს თქვენთვის სადილი!...

(პირუტყვები თავს უკრავენ და გამოჰყვებიან ვირს დიდის ყვირილითა და ვარხალალოთი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველსა და ახალს შუა

(1868)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველსა და ახალს შუა

კომედია 5 მოქმედებად

მომქმედი პირები:

თ. ზურაბ გატენილიძე, მებატონე.
ალექსანდრე, მისი შვილი, სტუდენტი.
თ. გრიგოლ დიდყურაძე, მებატონე.
ნიკო, **ნინო** } მისი შვილები.
სამსონ ხეპრიაშვილი, აფიცერი, პოსრედნიკი.
დემიანი, ამის დენშჩიკი.
ივანიკა, ზურაბის მსახური, იმერელი.
გოგია, გურული.
დათიკა, დიდყურაძის მსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება პირველი

სცენა: ევროპიულად მორთული პატარა ოთახი

გამოსვლა 1-ლი

ივანიკა (წამოწოლილია გულაღმა დივანზე და ხანგრძლივ „გვეგონას“ იმღერის; რომ გაათავებს სიმღერას, ოცნებაში შედის და მერე ტკბილის ღიმილით, ნებიერად ამბობს) ვაი, ბეჩა საყვარელო, რა კაი ყოფილა ბატონობა! თურმე ქე ხარ შენთვის წამოწოლილი დივანზე, გვერდებში ქარი არ გიბერამს, ზეიდან წუმა არ ჩამოდის და ქვეშიდან ბედნიერის აყოლის არ გეშინია... ვაი, საყვარელო!... დედა, დედა, ეს ყოფილა თურმე ცხონება! (დაფიქრდება). ამბობენ, რომ ბატონები უნდა გააგლეხკაცონ და ყმები გააბატონონო და, თუ ეს მართლა ასრულდა, მაშინ მნახეთ, რასაც ვიზამ: წამოვწობი სულ ასე, ჰა, და აქიდან კაცი ველარ ამაგდებს; ქე ვიგორებ ასე ჩემი ბატონის ბაჩასავით. თქვენ არ მომიკვდეთ, მე მაშინ ტყემლის წუას და ღომს აღარ დავუწყო ჭამა!... ამას მე იმ ჩემ ნაბატონარს ვაჭმევ და მე სულ ხიზილალით და დოშებით ჩევიგემრიელებ პირს, ვაი, საყვარელო! (პირს აწლაქუნებს). აჰ, შენ არ მომიკვტე, არ შევიბრალებ ჩემ ნაბატონრებს, უბედური დღის შვილებს. (სიცილით) გავაჩერებ ეგერ ე იქანა, ისთე ვაყურებიებ ჭამას, და, როცა ძალიან მოუნდება, შევატყოფ, ში გოუძახებ კარში, ვეტყვი: „პოშოლ, ზურაბიკა-თქო“. მეც ისე დოუძახებ მაშინ, რავარც მე მეძახიან ახლა ივანიკას; მე კი ვიგემებ ხიზილალას და კაი-კაი თართის დოშებს. (დაჩუმდება და ცოტახნის უკან) ხიზილალა რომ მომაგონდა, წყალი მომწყურდა, ვახ, დედაჩემო, რავა მწყურია... ეგერ ყოფილა წყლიანი დოქი, მარა ქე ვინ ადგება ახლა მაგისთვის? ვინ გეიმძრევა? ნეტაი ნატვრის თვალი მომცა!... ვინატრებდი ახლა: „დოქო-თქვა—ვეტყოდი ამ დოქს—ახტი, დახტი, აქ მომახტი, პირს გაგიღებ, ზედ დამახტი-თქვა“ და ზე მომახტებოდა ის დოქი, მეც წყურულს მოვიკლავდი. მაშინ ვეტყოდი ისევ დოქს: „ჩაფარ, ჩაფარ დოქ“ და გაჩერდებოდა დოქიც. მერე ვეტყოდი კიდომ: „ახტი, დახტი! ისევ შენს ადგილას გადახტი-თქვა“ და მომშორდებოდა დოქიც. ვაი, საყვარელო, რა კაი იქნებოდა! მერე ქე დევიძინებდი... ახლაც ქე მეძინება, მარამ წყურული მკლამს და მიშლის დაძინებას!... ეჰ, მოდი, ერთი თვალებს დავხუჭამ, დევიძინებ და არ გადამივარდება ეს ოხერი წყურული, არ გადამივლის, აპა რა ჭირს მამჭამს, გულს რაღა გზა ექნება? (გადაბრუნდება მეორე გვერდზე, პირს კედლისკენ იზამს და ცოტახნის შემდეგ ამოუშვებს მადიანად ხვრინვას)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-2-ე

იგივე და **ზურაბ გატენილიძე** (შემოდის ოთახში, თავზე ხურავს რუსული ქუდი წითელოკოლოშკიანი და დიდკოზიროკიანი; ტანზე აცვია ქართული ჩოხა, რომლისაც წითელი საყელო ყურებამდის უწევს, წითელ აბრეშუმის პერანგზე შავი ყელსახვევი, მოკერილი ღვლერპივით. დიდ განიერ შარვალსა, ცოტათი მოკლეს, სიგრძეზე წითელი კანტი აქვს ჩაყოლებული და აპოიკის ჩექმებზე ეცემიან ტომარასავით განიერი წითელი ნიფხვის ტოტები. ხელში უჭირავს ბზის ჯოხი. დაინახავს თუ არა ივანიკას, დიდხანს გაკვირვებით მისჩერებია, ხან იმას უყურებს, ხან პუბლიკას, ბოლოს გაკვირვებით იტყვის:)

ზურაბ. იიმე! ამას ვერ ჰხედავთ, თქვენი ჭირიმეთ! ეს სიზმარია, თუ მეჩვენება? თუ მართლა ბიჭი წევს! (წაიშენს თავში ხელს). ამისთანა ოჯახის დაქცევასაც მოვესწარით!? ვაი, ჩემო სიბერევ, რა დღე მოგადგა! (პუბლიკისკენ) მამაჩემი ნუ წამიყწდება, ამ დივანში ხუთი თუმანი მივეცი სვიმონა კაპეცს! შეჩვენებული ვიყო, თუ მე უსტუმროდ ამაზე ვჯდებოდე, და სტუმრებთან კი, რაღა გაეწყობა, ხათრით უნდა დავჯდე. მაგრამ მაშინაც ისე ვხელოვნობ, რომ ტანს ავიმჩატებ და ისე ეშმაკურად ჩამოვჯდები ხოლმე, რომ არ იზნიქოს, ღმერთი არ გამიწყრეს-თქო! სულ ასე ვხელოვნობ და ასე ვიკომონაობ, თვარა არ იქნება. ამას მეოჯახობა მოითხოვს. ეს შეჩვენებული-კი არა მზოგავს, ისე თავიან-ფეხებიანად გადადღლაშულა უმოწყალოდ, იმე! მადლი არ იქნება, რომ ისევ ძველებურად გადავუჭირო ეს ჩემი ბზის ჯოხი, მაგრამ ვინლა გვაბედვინებს? ახლა ეს ხომ ივანიკა აღარ არის, დიდი იოანე ბრძანდება! მამაამისს რა ერქვა? ჰო, გოგიტა! გოგიტა ერქვა! ახლა ეს ბრძანდება ივან გოგიტიჩი და არა ივანიკა. (სარკასტიული დაცინებით მოუბრუნდება მძინარ ივანიკას და მძიმედ თავს უკრავს). უკაცრავად, ჩემო ბატონო, ივან გოგიტიჩ! იძინეთ, თქვენი ჭირიმე, ნება გაქვსთ! (პუბლიკისკენ) იმე, მაგრამ რა თავს ვიგდებ, რა მაყვირებს ასე მწარედ? რომ ღმერთი გამიწყრეს და გამოილვიძოს ამ ჩემს ყვირილზე, ხომ წავა და პოსლედნიკთან მიჩივლებს და შტრაფს გადამახდევინებენ! არა, სჯობია, რომ დავჩუმდე. (ირტყამს ტუჩებზე ხელს) დაჩუმდით! არც ახლა დაჩუმდებით, თქვე დასამიწებო ტუჩებო? და სანამ ეს ბატონი არ ინებებს გამოღვიძებას, აგერ დავჯდები ჩემთვის ამოფარებული (ტუჩებდამუწული, ფეხებაკრეფით წავა და დაჯდება სკამზე; კამოდს მოეფარება, პირი პუბლიკისკენ აქვს და ნაღვლიანად აქნევს თავს).

გამოსვლა მე-3-ე.

ისინივე და **გოგია** შემოდის.

გოგია. კილავ, წავხდი! აგი რა მხარ-თეძოზე წამოგორებულა ეს ყაზილარი! ამ დედაგაგლეჯილს საქმე გამოლევია! ივანიკა! ივანიკა! ადე ზეზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანიკა. (წამოვარდება ზეზე) აა! აა! ვინ იყო? რა ამბავია?

გოგია. აგი რა დაგემართა, შე ბხთალო! რას წახდი? რას შეშინდი? მე ვარ, მე! გოგია ვარ! გამარჯობა! (ხელს აძლევს)

ივანიკა. უჰ! შენა ხან, გოგია? ვაი, დედაჩემო, რავა ტკბილად მეძინა (ხელს აძლევს). ზდრავიი ჟელაიმ, ბრატიც! დაჯექი, პოჟოლუსტა! ახალი ამბავი რა იცი?

გოგია. რაი უნდა მეცოდინოს სხვა? ბატონების წახდენა და ჩვენი გამარჯვება! არა კმარა?

ზურაბ. (პუბლიკისკენ) ვაი დედათქვენს! ვაი დედათქვენს! (გულზე მუჯს ირტყამს). რატომ ეგ ენა არ ჩაგივარდებათ. მაგრამ ღმერთი გვირისხდება და ის არის!

ივანიკა. რაო, კიდომ შეიტყე რამე, შე კაცო? ერთი ჩვენც გვითხარი, გაგვახარე!.

გოგია. რაი და იგი, რომ ჩვენი ბატონები უნდა ყმებად დაგვისახლონო.

ივანიკა. ეი, ბრატიც! ეგ ხომ მეც ვიცოდი! რალაც სხვა მეგონა.

გოგია. აგი რა იცოდი? თუ იცი, ვითამ, ორივემ რომ ვიცოდეთ, ცოდვაა თუ?

ზურაბ. (თავისთვის) ვაი დედათქვენს! ნეტა ვინ არის ერთი ის, ვიცოდე, ის ღვთისაგან შეჩვენებული, ამ ხალხს რომ გვიბრიყვებს და გვირევს? ამისთანა ტყუილებს ვინ იგონებს?

ივანიკა. აბა, ახლა მე გეტყვი ძალიან ახალ კაი ამბავს, ეს მაინც არ გექნება გაგონილი, მე საიდუმლოდ ჩუმად კი შევიტყე. ასე ამბობენ: ბატონებიც ჩვენ დაგვრჩებიან და მათი ცხოვრებაცაო! ვაი, საყვარელო, რავა ზურგზე მოვევლები ჩემი ბატონის ბაჩას და გავაცურებ ცხენისწყალში. მაშინ ღამე კი აღარ დამჭირდება ქურდივით წაყვანა—დღე ვიზამ ამ საქმეს; ღამე ფხუწურს ის არა ჯობია? აღარც ტურებს მოვერიდები და აღარც კუდიანებს.

ზურაბ. (პუბლიკისკენ) შეხედეთ ამ წუწკის შვილს! დაზოგვასაც აღარ მიპირებს: ერთი ცხენი მყავს, ისიც უნდა წამართვას?

გოგია. ვაი შენი ბრალი, შე ყაზილარო! რავა აბდლურად უბნობ! რეგვენი ხომ არა ხარ? რად გინდა ცხენი, უკეთესი ვერაფერი მოიძიე? მე მანგრე რეგვნად არ მოვიქცევი. ჯერ ვედარდიმანდები, ვედარდიმანდები ჩემ ქალბატონს და მერე ზე ვეპტყვნები გულზე შევარდენივით, მისი ჭირიმე! თუ აბდალეი არა ხარ, შენც ისე უნდა ქნა!

ზურაბ. (წამოვარდება) უჰ! რას ბედავენ ეს წუწკიშვილები! ამას მაინც არ მევითმენ, რო საპოსუდოდ გავხდე. (ბიჭებს) არა, ბიჭებო, გატყუებენ, არავინ დაგრჩებათ. გადით აქედან, თქვე ოხრებო, თქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა! (გოგიას) ჩემო ძმაო, შენ მაინც რაღას მირეკ და მიგიყვებ ამ ბიჭებს! გამეცალე ჩემი სახლიდან! (ბიჭები გარეთ გაცვივდებიან).

გამოსვლა მე-4-ე.

იგივე **და ალექსანდრე** (შემოიპრება, მივარდება უცებ მამას და სიჩქარით ჰკითხავს:)

ალექსანდრე. რა ამბავია, მამა-ბატონო! ჩტო ტაკოე?

ზურაბ. (მისჩერებია გაკვირვებით) ხომ არ გადარეულხარ, შვილო? მე ოჯახი მექცევა და შენ კიდევ შტოტაკოს მკითხავ? განა ვერა მხედავ, რაც დღე დამადგა? სახლი მექცევა! სახლი! სახლი!

ალექსანდრე. (ცოტა შეშინებით) სადა, მამაჩემო? გდე? გდე? (ჯერ ჰერს შეხედავს და მერე პოლს) აბა სადა, სად ინგრევა?

ზურაბ. შენი მამა-ბატონიც ღმერთმა შეარცხვინოს და მისი შვილიც, შენი შეჭნისათვის! მაგიტომ გაგგზავნე რუსეთში, რომ ცალიერი მამა-ბატონი ისწავლე-თქო? სულიან-ხორციანად ვილუპებით, და შენ ესეები არაფრად მიგაჩნია? შემოსულიყო ივანიკა, გადაწოლილიყო ჩემ დივანზე...

ალექსანდრე. მერე? მეტი არაფერი?

ზურაბ. იმე! რაღა მეტი, რომ ამ ჩემს დივანზე ეძინა!.

ალექსანდრე. ეტო ნიჩევო, პაპენკა! რა ვუყოთ, ბატონო, ეს ძალიან კარგია! ტკბილად მოსვენება ჭყვარებია! (სიამოვნებით პუბლიკისაკენ) სასიამოვნო არის ჭეშმარიტად ამისთანა ამბის გაგონება! ჩვენს ხალხს საზოგადოდ არ უყვარს ბინძურობა, პოლზე არ გაგორდება, თუ-კი დივანი ცალიერი იქვე ეგულება! ჩვენს ხალხს...

ზურაბ. (გაკვირვებით მისჩერებია) შვილო, პირჯვარი გამოისახე! ხომ არ გადარეულხარ, შვილო! ჯერ გაიგონე, რა გითხრა, და მერე შეიტყობ, თუ სასიხარულოა. შემოვიდა ერთი ვიღაცა გურული, გააღვიძა ივანიკა და ერთი საათი მეტი ილაპარაკეს თავის განთავისუფლებაზე; რა პლანები არ დააწყეს თავისი მომავალი ცხოვრებისა. რატომ ყურები არ დამიდგა მის გამგონს!... იქ ვიყავი ჩემთვის მოფარებული და მესმოდა...

ალექსანდრე. (სიხარულით) მართალს ბრძანებთ?

ზურაბ. მართალს, ჩემი გამჩენის მადლმა.

ალექსანდრე. (სიხარულით ტაშს უკრავს პუბლიკისკენ) ბრავო! ბრავო! ბრავო! (წამოვარდება ზეზე) ადრევე ვამბობდი: ჩვენი გლეხი-ხალხი საკვირველი ხალხია-თქო, იმას თანაშობილად არა აქვს ბუნებაში მონება, და ახლა, განთავისუფლდენ თუ არა, მაშინვე თავის მომავალზე დაიწყეს სჯა. რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა ხალხი წინ წავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმა ხელი მოგიმართოს, გლეხკაცობავ! ღმერთი იყოს თქვენ შემწე! ვპერიოდ, ვპერიოდ!...

ზურაბ. (გაკვირვებით) ხომ არ გადირიე, შვილო? თუ ხუმრობ? მე მაჯავრებ?

ალექსანდრე. მართლა მოგახსენებ! აქ რა არის ცუდი?

ზურაბ. (გულმოსული) მაშ ეგ გრძნობაც შეგირცხვინოს ღმერთმა და კაცობაც! მაგიტომ იყავ სხვა ქვეყნებში, ეგ ისწავლე? ეგ ჩამოიტანე, სხვა ვერაფერი? გადი, გადი ჩემი სახლიდგან, შეჩვენებული და წყეული იყო ჩემგან; შენ რა გიგავს ჩემ შვილს? გლეხიკაცის ბუნება გაქვს, რალაც ყაზახური. შენს მამობაზედაც ხელი ამიღია... გამეცალე, ჩემმა თვალის კაკლებმა აღარ დაგინახონ! გამეცალე!...

ალექსანდრე. რათა, რა დაგიშავეთ, ბატონო! (პუბლიკისაკენ) საკვირველია, მართალი სიტყვა ეჯავრება... მე ვუმტკიცებ ჭკუის ძალით და ეს კი მაგდებს კარში მუშტის ძალით! ჩემს მამობაზედაც ხელს იღებს და რა გაეწყობა! ჩვენ მაინც მსხვერპლი უნდა ვიყოთ საზოგადოებისა! მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მამა-ბატონო! (თავს უკრავს და მიდის).

ზურაბ. (შეწუხებული მიაყოლებს თვალებს) ვაი ჩემს უბედურებას, რა სიბერეს შევესწარი! (პუბლიკისკენ) გაზარდეთ, გაზარდეთ შვილები და თქვენც ასე ჩემსავით დაგიდგებათ თვალები! ჯერ-კი მე მომიტირეთ, მე გებრალებოდეთ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეორე

სცენა: ოთახი სამსონ ხეპრიაშვილის სახლში

გამოსვლა 1-ლი

სამსონი. (წიგნს კითხულობს ჩუმად წამოწოლილი გულაღმა დივანზე. ერთი შეჩერდება და დაფიქრდება, მერე წამოდგება ზეზე აღტაცებული) **ურა!** ურა! მხედართმთავარო პრუდონო! აი, მართალი ამბავი. ეს ჭეშმარიტება ყოველს ჭეშმარიტებაზე უჭეშმარიტესია! ეს ვილაც პრუდონია, ჭკვიანი ღენერალი უნდა იყოს: ამტკიცებს, რომ ქვეყნიერებაზე ჩხუბი უნდა გაუწყვეტელი იყოს, კაცობრიობის ბედნიერება მხოლოდ ხმლის პირზე არის დამოკიდებული. რომ ჩხუბები და ომიანობა არ ყოფილიყო, წარმოიდგინეთ, რა საცოდაობა მოხდებოდა დედამიწის ზურგზე: ხალხი. იბარტყებდა და გამრავლდებოდა, საზრდო კი სამყოფი აღარ ექნებოდათ, შიმშილით გაბრაზიანდებოდენ და ერთმანეთს დასჭამდენ, როგორც ზოგიერთს პარახოდებზე! ცხადია!.. ამას რა დიდი მოფიქრება უნდა! მაგრამ კი ვერავინ მოიფიქრა ღენერალ პრუდონის მეტმა და—სამჯერ გადავკრავ დღეს მის სადღეგრძელოს!... მოიცა ერთი, არ დამავიწყდეს (ჩასწერს ბუმაჟნიკში). ამ წიგნის საგანი ფილოსოფიურადაც რომ არ განვიხილოთ, ესეც პრაქტიკულადაც ჭკვაზე ახლოს არის ომიანობის საჭიროება: ერთხელ ხომ მაინც უნდა მოკვდეს კაცი: ან სიბერით, ან სნეულებით, ან მარცხით და ან სიკვდილით, მერე რა პატიოსნება იქნება ამგვარი სიკვდილი! ღლუპოსტ!... ტო ლი დელო ომში სიკვდილი! წარმოიდგინეთ, ბატონებო, სამხედრო ხმა, ომის კიჟინა, ათასი ტყვიის ბზუილი, ზარბაზნების ქუხილი, იარაღის ჩახა-ჩუხი, კავალერიის თქიფინი და პეხოტის ერთპირი მოხდენილი „ურა“! მაშინ ყოველი კაცი მამაცია! გინდა რომ ყველაზე წინ იყო, მირბიხარ და გგონია, თუ ტყე და ველი თან მიგაქვსო!.. არა, ჭეშმარიტად, ომში სიკვდილი... სანატრელია! (ფეხის ხმა ისმის გარედან) ქტო ტამ?

გამოსვლა მე-2-ე

იგივე და **დემიან**

სამსონ. დემიან!

დემიან. ჩავო ზვოლიტეს?

სამსონ. ჩტო ტი დელაეშ?

დემიან. საპოლი შიუს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონ. ჩექმებსა ჰკერავს! დღემდის შტიკს უყრიდა ჩერქეზის ტყავში და დღეს კი ხარის კანს სადგისს უჩუჩხუნებს!... ტი ნე სკუჩაეშ?

დემიან. ნიკაკ ნეტ, ვაშე სიატელსტვო!

სამსონ. ა პახოდი ვსპომინაეშ? ა!

დემიან. ტოჩნო ტაკ, ვაშე სიატელსტვო!

სამსონ. პოქალუი ტი ი სლუჟბუ ზაბუდეშ?

დემიან. ნიკაკ ნეტ, ვაშე სიატელსტვო!

სამსონ. პოსმოტრიმ! ვაზმი პალკუ!

დემიან. სლუშაიუს! (ჯოხს იღებს).

სამსონ. ნუ, სტოი პოსერედინე; ია ბუდუ კომანდოვატ.

დემიან. სლუშაიუს!

სამსონ. (კომანდობს. დემიან ასრულებს ბრძანებას). სტოი! რავნიაისაა! სმირნა! ნა პლეჩო! ნაკრაულ! ტიხიმ შალომ, ნალევა, კრულომ მარშ! რაზ..დვა! რაზ..დვა! რაზ.. დვა. სტოი! ბელლიმ შაგომ, მარშ! (მუზიკას უკრავს პირით და ფეხებს აბრაგუნებს). ხოროშო, რებიატა!!

დემიან. რადი სტარატსია, ვაშე სიატელსტვო!...

სამსონ. სტოი, დავოლნო! სპრიაჩ პალკუ!

დემიან. სლუშაიუს! (ჯოხს დასდებს).

სამსონ. ახლა ევროპიულად მოვექცევი, სამოქალაქო საქმეებზე დავუწყებ სჯას! დემიან! ტი ზნაეშ, ჩტო ი ია, ი ტი, მი ობა ღრაჟდანე?

დემიან. ნიკაკ ნეტ, ვაშე სიატელსტვო!

სამსონ. კაკ! ნე ხოჩეშ ბიტ ღრაჟდანინომ?

დემიან. ნე მოღუს!

სამსონ. პოჩემუ ჟე?

დემიან. დენეღ ნეტს, ჩემ ბუდუ ტორლოვატს, ვაშე სიატელსტვო!

სამსონ. დურაკ, ტი ნე ტაკ პონიმაეშ! პასტოი, ია ტებე ობიასნიუ: ტი ზნაეშ, ჩტო ტაკოი ღარიბალდი?

დემიან. ნე მოღუ ზნატს!

სამსონ. ია ზნაიუ, ჩტო ნე მოჟეშ. ეტო—ჩელოვეკ რაზბოინიკ! იტალიანსკი რაზბოინიკ! ნო ხოროში, მოლოდეც რაზბოინიკ.

დემიან. სტალო ბიტ, ვაშე სიატელსტვო, ეტო შამილ? ჩუკოი შამილ?

სამსონ. ნუ და, ტაკოი ჟე, კაკ შამილ.

დემიან. ტეპერჩა ნადო პოლაღატ, ვაშე სიატელსტვო, ჩტო უ ნეღო ნე ნაში, ა ნემეცკიე ჩერქეზი.

სამსონ. ნეტ! უ ნეღო ზუავი! ა ზნაეშ, ჩტო ტაკოი ზუავი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემიან. ნე მოღუ ზნატს!

სამსონ. ეტო სტრაშნო ი ვიღოვორიტ! დუშეღუბეც! ღოლოვორეზ! ოტჩაიანნი ბანდიტ!...სლიშიშ?

დემიან. სლუშაიუს! ა ჩტო, სუდარ, ეტოტ ხარიაპალტო პოხოჟ ნა ნაშეღო შამილია?

სამსონ. ტო ესტ ღარიბალდი? და! ტოლკო უ ნეღო ბოროდა ჩორნაია, ა უ შამილია—რიჟაია, პონიმაეშ ტეპერ?

დემიან. სლუშაიუს!

სამსონ. ნუ ტაკ, ვონ. დოვოლნო სტებია ნა ეტოტ რაზ.

დემიან. სლუშაიუს (გავა).

სამსონ. (ეძახის). დემიან!

დემიან. (შემოვა ისევ). ჩავო იზვოლიტეს!

სამსონ. (დაფიქრდება და დემიანი ატუზულია, კარებში გამოჭიმული. შემდეგ რამდენიმე ხნისა თავს დაუქნევს) პოშოლ! (დემიანი მიტრიალდება და გავა).

გამოსვლა მე-3-მე

მარტო სამსონი

სამსონ. (დადის) სასიამოვნო არის კაცისათვის, როდესაც იმას თავისი სწავლა გადააქვს სხვაზე და სწრთვნის. ჯერ კიდევ ვასწავლი ხოლმე დემიანს, მაგრამ, ცოლს რომ შევირთავ, მაშინ კი დავანებებ თავს. მე ცოლის გაწრთვნას მოვუნდები. რად მინდოდა ცოლი, მაგრამ რა ვქნა, სკუჩნობამ შემჭამა, ლამის გამაგიჟოს! ძალიან კარგ ქალს კი ვირთავ; ცოტა არ ვუყვარვარ, მაგრამ ეტა ნიჩევო, მოვარჯულებ, როგორც იქნება; ბარე ორი მათუშკა მომირჯულებია პოლკში... (დადის და იმღერის):

„სალდატუშკი, რებიატუშკი!
ღდეეე ვაში ჟონი?
ნაში ჟონი—პული ჯონი,
ვოტ ღდე ნაში ჟონი.
სალდატუშკი რებ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მესამე

სცენა: მდიდრულად მორთული ოთახი დიდყურაძის სახლში

გამოსვლა 1-ელი

ნინო. (შემოდის დაფიქრებული, ხელში უჭირავს ერთი ლიმონი და ერთი ვაშლი და გაჩერდება შუა სცენაზე) აჰა, ეს ჩემგან ამორჩეული ჩემი გულის ვარდი, ჩემი საქმრო ალექსანდრე, (უჩვენებს ვაშლს) და ეს კი ჩემი მშობლისაგან ჩემ საქმროდ დანიშნული,—ჩემი გულის ეკალი, სამსონ! ვნახოთ, რომელს ერთს დამარჩენს ჩემი ბედი (შეისვრის ორივეს მაღლა, ვაშლს სტაცებს ორივე ხელებს და ლიმონი კი დაეცემა ძირს) ეჰ! ვაშლი!.. (სიამოვნებით) ნუთუ მართლა!... აბა ერთი ქალალდსაცა ვკითხო: გავშლი, რას მეტყვის? პანსიონში პოპენიერკებმა მასწავლეს ქალალდის გაშლა... ღამ-ღამე ჩუმად ბალიშ ქვეშ გვედვა ხოლმე თითო კოლოდა ქალალდი (სტოლიდან გამოიღებს ქალალდს და დაუწყებს შლას). ტრეფის ხელმწიფე იყოს ალექსანდრე, და პიკი—სამსონ. ჩუ! ჯვრის ხელმწიფე გამოვიდა! (აიღებს და ჰკოცნის, ბოლოს შეჩერდება და ცოტა ფიქრს შემდეგ ამოოხვრით) ვიშ! რაღას ვსულელობ, სიტყვა მიუცია მამას სამსონისათვის და მე კიდევ არ მინდა დავიჯერო? ქალალდებს ვეკითხები, ჩემს თავს დავცინი და თითქოს ქალალდებიც მე დამცინიან. (ნაღვლიანად დაახლის ქალალდს პოლზე, წამოდგება და აღშფოთებული დადის). მაგრამ მეც კი კარგი შვილი ვარ: ჩვენში ზოგიერთ სულიერებს არა გაეგებათ-რა ეხლანდელისა და მე უსულო სურათებს ვეკითხები მომავალზე?!.. ან კი რა ვქნა! ვიცი, ესეები ყოველიფერი ტყვილია, მაგრამ მინდა თავი მოვიტყუო და ერთ წამს მაინც სევდა გავიქარვო! ერთსადაიმავე დროს მტერიცა ვარ ჩემი თავისა და მოყვარეც: მინდა ვანუგეშო, როგორც მოყვარემ, და ვატყუებ კი, როგორც მტერი! აბა ეს არის უბედური მდგომარეობა!!.. ჩუ! ფეხის ხმა მესმის! ეს სწორედ ნიკოა. მხოლოდ იმის სიტყვა ედება მალამოსავით ამ ჩემ გულის წყლულს! მხოლოდ იმის წინ შემიძლია დავანთხიო ჩემს გულში დაგუბებული ნაღველი! იმან უნდა მომიტანოს ამბავი და ვნახოთ, რას მეტყვის: ყორანივით დამძახებს „არაო“, თუ ბულბულივით დამსტვენს „დიახო“?

გამოსვლა მე-2-ე

იგივე და **ნიკო** შემოდის მოწყენილის სახით.

ნინო. (უცებ მივარდება) ნიკო! რას მეტყვი? მითხარი მალე!... არა, მოიცადე, ნუ მეტყვი! სახეზე გაწერია, რაც გინდა და რაც გაქვს სათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმელად!... ჰო, თუ არა?. ან საუკუნოდ გამკურნე და ან ისარივით გამგმირე! ნულარ მზოგავ! მზადა ვარ!...

ნიკო. (თანაგრძნობით მივა და ხელს მოჰკიდებს) ნინო! რა დაგმართვია, რათ შფოთავ ძაგრე? შენგან მე არ ველოდი სულმოკლეობას!— ჯერ ვერც ავს გეტყვი და ვერც კარგს; მოთმინება იქონიე!... ხომ გაგიგონია: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო“? მოულოდნელი ლხინი ხშირად ჭირზედაც უარესია, ჩემო საყვარელო დაო.

ნინო. ოჰ, საკმაოა შენი ხმა, რომ დამამშვიდო! მხოლოდ შენთან სძგერს ჩემი გული თავისუფლად და დამშვიდებით; შენს სიტყვებში ვხედავ რაღაცა თილისმურ ძალას, რომელიც ძალაუნებურად კეთილ გზისაკენ გამიტაცებს ხოლმე.

ნიკო. (ტკბილად) თილისმა? არა! უფრო მართალი იქნება, რომ სთქვა: ჭეშმარიტება და მეგობრული სიყვარული-თქო! მხოლოდ ჭეშმარიტებასა აქვს უნებურად გამტაცებელი ძალა... მაგრამ თავი დავანებოთ ამას, ჯერ ეს მითხარი: ეს ქალალდები აქ ვინ დაყარა?

ნინო. მე... (სიცილით) ჩემი ბედი ვიკითხე და მომატყუეს!... და მეც გულმოსულმა ძირს დავახალე მთელი კოლოდა.

ნიკო. (თავს იქნევს) ამაოდ მორწმუნება უგუნურების ნაყოფის უბედური თესლია და შენთან რა უნდა ჯერ!

ნინო. განა ჩემზე უბედური კიდევ შეიძლება?

ნიკო. ეჰ, ჩემო დაო! ვინც ტყვიით არა ყოფილა განგმირული, იმას კოლოს კბენაც დიდ ჭრილობად მიაჩნია; ვარიას ყველაზე უფრო პირველი კვერცხი აკაკანებს. ჯერ შენ რა გინახავს უბედურებისა?

ნინო. შენი სიტყვები როგორღაც მანუგეშებენ. გაარიგე რამე მამასთან? უთუოდ კარგი ამბავი იცი!

ნიკო. რას გავარიგებდი? თვითონაც იცი, რა კაციც არის! ტყუილად მოვიღალე იმასთან რჩევით და ვედრებითა; იმან ეს პასუხი მითხრა: კვირამდის კიდევ ეუცდი ამ ჩემს გიჟს ქალსაო და, მერე თუ კიდევ უარი სთქვაო, მაშინ ძალით წავიყვან ეკლესიაში და დავაყენებ გვირგვინ ქვეშაო!

ნინო. ნიკო! ნუთუ ჩემი ტანჯვა შენც გიხარია? კიდევ მეუბნები მაგის შემდეგ, რომ სხვაც იყოს ჩემისთანა უბედურ მდგომარეობაში?

ნიკო. უბედური? ოჰ, ბევრი, ბევრი! შენ ღმერთმა გაშოროს უბედურებას, ჩემო დაო! მე მხოლოდ ერთი უბედურება ეწამს ქვეყანაზე, მეტი არა: ჭკუის დაკარგვა, სადამდისაც ჯერ ჩვენ არ მივსულვართ.

ნინო. განა შორსლა ვარ? ნუთუ უბედურებას არ შეეძლოს, რომ კაცს დაუკარგოს ჭკუა? გააგიჟოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო. ის ჭკუა აღარ არის! ჭკუა უნდა ერეოდეს და უკარგავდეს კაცს უბედურებას და არა უბედურება ჭკუას.

ნინო. შენ მხოლოდ თავი გალაპარაკებს და არა გული! შენ არ შეგიძლია ჩემი თანაგრძნობა; შენ შენიშნავ ჩემ ტანჯვას მხოლოდ სახეზე, და გულში-კი ვერ მხედავ, თუ რა ამბავია? (ტირის) ვხედავ, ცხადია, რომ არც შენ გებრალები! საკირეში რომ დასაწვავად კაცს აგდებდენ და შენ ის კაცი შველას გეეედრებოდეს, ნუთუ შენ ცივი სიტყვებით დაუწყებ ქადაგებას და ეტყვი ურცხვად „ნუ ჩავარდები! ნუ დაიწვი!" განა ამასა ჰქვიან, ეს არის თანაგრძნობა? ეს იქნება შველა?...

ნიკო. ურიგოდ და ძალიან გაუსჯელად გალაპარაკებს მწუხარება!... რომ ტირილს შეეძლოს საქმის გაკეთება, მაშინ მეც არ დავიზოგავდი თავს, ცრემლებით მოვრწყავდი არემარეს... მაგრამ ეს რას გვიშველის? ჩვენ სხვა გზას შევუდგეთ: იმედს ნუ დავიკარგავთ და ცდას ნუ მოვიშლით! ვაი მას, ვინც უიმედოა! ის ცოცხლადვე მკვდარია და ზეზეულად გულში ატარებს ჯოჯოხეთს!...

ნინო. მაშ მირჩიე, რა ვქნა? განა იცი კიდევ რამე საშუალება?

ნიკო. დიახ! ჯერ სიტკბოებით ვიხმაროთ ყოველი ღონისძიება, და, თუ აღარა გაეწყობა-რა, მაშინ ძალაც მივუმატოთ.

ნინო. (შეშინებით) ძალა?! რა სთქვი, გენაცვალე!

ნიკო. რა და უარი უთხარი მამას... ნუ შეირთავ! გაექეცი სახლიდან.

ნინო. მერე, ქვეყანაში აღარ მინდა თავი გამოვყო? ხომ თითით საჩვენებელი გავხდები! არა, ეს არ იქნება, ჩვენში უმაგალითო მოქცევა, უმაგალითო საქმეა.

ნიკო. დიახ, მართალია, ის იქნება პირველი და სამაგალითო საქმე; მაგრამ რომ შენზე უწინ სხვას ეთქვა უარი, მაშინ ის იქნებოდა პირველი და შენ კი აღარა, და რომ ხშირი ყოფილიყო ამისთანა მაგალითები, შენი მაშინ აღარ გაუკვირდებოდათ და ხალხიც მიჩვეული იქნებოდა. მხოლოდ პირველი ბიჯი, პირველი მაგალითი ეხამუშებათ, და ხშირი მაგალითი კი კანონად ურჩება საზოგადოებას. ეს პირველი ბიჯი გერგო შენ. ძნელია, ვინ ამბობს, რომ არაო, მაგრამ რა ვქნა, ჩემო დაო? ორ აუცილებელ უბედურებისაგან ერთი უმცირესი უნდა აირჩიო.

ნინო. რა გაეწყობა? ისევ გაქცევას ვირჩევ! უმჯობესია ხალხმა გამკიცხოს და მივაჩნდე იმას უბედურად და მე კი ბედნიერი ვიყო, ვიდრე ხალხს ბედნიერი ვეგონო და მე კი ვიტანჯებოდე. (დაფიქრდება) ჩვენში ვინა თხოვდება სიყვარულით? ვის გაუგონია ქალისაგან საქმროს გამორჩევა? ისინი ასრულებენ მოთმინებით დედ-მამის ნებას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე თხოვდებიან. მაშ მე ვიღა ვარ? რათ მერცხვინება სხვისი ბრძანებით გათხოვება? განა მათზე უკეთესი ვარ? მათზე უმფრო მგრძნობიარე და ჭკვიანი?! რათ არ მომწონს სამსონ, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ტაშს უკრავს? რა აკლია სამსონს? სილამაზე, ხარისხი, ჩინი, გვარიშვილობა, სიმდიდრე, თუ ვაჟკაცობა? რომელი ქალი ეტყვის უარს? და ან რომელი დედ-მამა გააბედვინებს უარს, რომ კიდეც იფიქროს ვინმემ? მე კი ვერ მიმითვისებია მისთვის გული... მის ნაცვლად ვინ მიყვარს? ალექსანდრე! ღარიბი, უხარისხო! საზოგადოებისაგან გაკიცხული! რომელსაც გიჟს ეძახიან და უღმრთოებას სწამებენ! რომელიც მამისაგანაც კი გამოგდებულია და შეძულებულია! მაგრამ არა, არა... გული არ ეკითხება თავს... (დაფიქრდება) ეჰ, ან ის იყოს და ან სიკკდილი ჩემი ხვედრი! ამ ორში ერთს ვერ ავცდები.

ნიკო. დაუჯერე, დაუჯერე შენს გულს! ნუ ეკითხები ამჟამად თავს! გული არ გატყუებს! იქ ჩაგვარდნია კეთილი თესლი, მშვენიერს ყვავილებად გაშლილა, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამწიფებულა და მისთვის ვერ აძლევ თავს ანგარიშს. ახლა მე აგიხსნი, თუ რათ გეჯავრება უსიყვარულოდ გათხოვება და რათ არ მოგწონს სამსონი? სიყვარული აგვამაღლებს პირუტყვებზე, და ის ქალი, რომელიც თხოვდება უსიყვარულოდ, ჯერ კიდევ არ არის, ამ შემთხვევაში, პირუტყვობიდან გამოსული. შენ არ მოგწონს და არ გინდა შეირთო სამსონი ამავე მიზეზით, მგონია. და ახლა იმასაც გეტყვი, თუ რათ არ მოგწონს სამსონი: სამსონს არა აქვს არც ჭკუა მომატებული და არც სწავლა, რომლითაც მას შესძლებოდა წინ წაწევა. განსხვავდა სამსახურში ისე, როგორც ზოგიერთი სხვებიც, და თუ რით, ამის გამოძიებაში ნუ შევალთ, თორემ შეგვარცხვენს; იმას შეუძლია საზოგადოების თვალი მოატყუოს, მაგრამ შენ კი ვერ შეგაცდენს, რადგანაც ავისა და კარგის გარჩევა შეგიტყვია! ახლა ალექსანდრეც ავიღოთ.

ნინო. ახ, მამა მოდის, მგონია, ხმა მომესმა... გავიქცევი, არ მნახოს... ჩემი თუ გკითხოს, უთხარი: ავად არის-თქო... (შედის მეორე ოთახში).

ნიკო. რას მირბიხარ, ქალო? ხომ არ შეგეშამს? (პუბლიკისაკენ). აბა, მამაც ამისთანა უნდა: შვილი ერიდება და გარბის.. შობილი მშობელს ვერ შესთვისებია!

გამოსვლა მე-3-ე

ნიკო. ოჰ, ალექსანდრე! საიდან გაგვიჩნდი? გამარჯობა! (ხელს აძლევს)

ალექსანდრე. გაგიმარჯოს! შინიდან!... იცი, ახლა სად არის ჩემი ბინა, ჩემი სახლი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო. როგორ? გადახვედი სადმე? იქ აღარ სდგეხარ, სადაც იდექი?

ალექსანდრე. გადავედი! იაფადაც დავიჭირე სახლი, დიდი და სრული!

ნიკო. ვისი სახლი?

ალექსანდრე. ღვთის.

ნიკო. ეკლესია? როგორ თუ ღვთისა, რას ამბობ?

ალექსანდრე. (სიცილით) ახლა მე ვდგევარ ცისა და დედამიწის შუა! მამამ სახლიდან გამაგდო დაწყევლილი და შეჩვენებული!

ნიკო. (გაკვირვებით) რათა?

ალექსანდრე. რა ვიცი! წადი და შენ კითხე! რატომ ჩემი თავი არ გაბიაო და მართლადა სჯიო! სხვაზე არაფერზე...

ნიკო. მამაშენი ძალიან კეთილი კაცია, უთუოდ გააჯავრებდი როგორმე, თორემ სხვებრ როგორ დავიჯერო?! არ ვიცი... მე სხვა არა გამეგება-რა...

ალექსანდრე. (გულმოსული) შენის აზრით მტყუანი აღარავინ არის, შენ ყველას გაამართლებ: უგუნურს უგუნურობისათვის, ავ კაცს ავკაცობისათვის, და უსინდისოს მისთვის, რომ პატიოსნება დაუკარგავს.

ნიკო. (დაცინვით) ეგრე მალე რათ გაათავე? ჩაჰყევ კიდევ. სხვა აღარა იცი რა?... აბა კიდევ...

ალექსანდრე. ის, რომ დიდიხანია შენ დაემონე საზოგადოების აზრს, გადააბიჯე ნიახურზე და არა თუ გულგრილად შეჰყურებ საზოგადოების აზრს და მათს ცუდს, იმათაც კი დასცინი, ვინც ეწინააღმდეგებიან.

ნიკო. ჯერ კიდევ წვრილთვალებიანია შენი სათვალე და მიტომ მაგრე ბიგაჩნივარ.

ალექსანდრე. ისე კი არის და! მგონია ისა ხარ შენ, რაც ადრე იყავი?...

ნიკო. არა, ადრე ბევრს ვკაკანებდი და ახლა კი ჩუმადა ვარ.

ალექსანდრე. (ზეზე წამოვარდება) ღმერთო, ეს რა მესმის? პატიოსან პირდაპირობას საზოგადოებისადმი, მის ცუდის დაურიდებლად მხილებას და თავგანწირულ შრომას შენ კაკანს ეძახი? (დადის) არა, მაშინ შენ გედგა თავზე ჭეშმარიტების გვირგვინი, რომელიც კაფიობდა ბნელაში. ჩვენც იმან მიგვაგნებინა ჭეშმარიტების გზას და გამოგვაბრუნა ეკლიან შარისაგან. რათ დაგიკარგავს დღეს ის გვირგვინი? არ შეიძლება არა გკითხო, რა უყავ ის ნიშანი?

ნიკო. (ხელით აჩვენებს შუბლზე) აქ გახლავს! მაგრამ უფრო მშვენიერია ადრინდელზე! მაშინ იმ გვირგვინს აკლდა ერთი ძვირფასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვა და ახლა კი მოვიპოვე და მით დავიშვენე. ახლა შენც გირჩევ, თუ გინდა, რომ მაგ შენს ჯილდოსაც ჰქონდეს ფასი, შენც მოძებნე იმისთანა ქვა. უიმისოდ თავს გატკენს ეგ გვირგვინი—მძიმეა.

ალექსანდრე. რა ბრილიანტია? რა ძვირფასი სამკურნალო ქვა არის მაგისთანა?

ნიკო. გა...მო...ცდი...ლე...ბა...მიხვდი?...

ალექსანდრე. მაშ ეგ ყოფილა ახალგაზრდობის მტერი. შერცხვენილი იყოს მაგის მაძებარი ჩემ თავად!.. არა, არა! მე არ დავიწყებ მაგის ძებნას, სანამ სული მედგმება და არ დავაგდებ ამ ჩემს გზას! უშიშრად გადავეცლები ამ ეკლიან გზაზე, ერთ-ორ ეკალს მაინც ამოვგლეჯ ძირიანად ამ გაუმარგვლელი გზიდან, რომ ჩვენმა შვილებმაც ნახონ, რომ შეძლების გვარად მეც აღმისრულებია ჩემი მოვალეობა. მაგრამ შენ რაღას ეტყვი შთამომავლობას?

ნიკო. ჭეშმარიტებას. იმას, რასაც შენ...მოდი და დამშვიდებით დამიგდე ყური... ის, რასაც ახლა მე შენ გეტყვი, ჩემთვის არავის უთქვამს. მე ჩემით მივაგენი და ისე გამოვედი შეცდომილებისაგან, ცოტა კი დავიგვიანე. შენ კი ადრე შეგიძლია აიცდინო ეს შეცთომილება, რომლის მაგალითსაც ჩემს თავზე დაგანახვებ. მამების შეცთომა მითი არის კარგი, რომ შვილებს გაკვეთილებად გამოადგებათ ხოლმე. მოდი, აბა, და მომისმინე ჩემი თავგადასავალი.

ალექსანდრე. (ჯდება) გვიბრძანეთ, რითი გინდათ იმართლოთ თავი?

ნიკო. ამ რამოდენიმე წლის წინეთ თუ როგორ ვირჯებოდი, შენც კარგად იცი. აშკარად ვუკითხავდი საზოგადოებას ნაკლულევანების საპირდაპიროდ, თავს არ ვიზოგავდი, სულ გრიგალი-ქარივით ვტრიალებდი, მეც შენსავით გამოვედი ეკლიან გზაზე, წინ გადავეღობე გამვლელებს და პირუთვნელად ვამხილე: „ნუ მოდიხართ ამ ცუდ გზაზე, ვერა ხედავთ? ბირკები გედებიან, ეკლები გესობიან და ჩირქი გსვრისთ მეთქი?“ მაგრამ ვინ დაიჯერა ჩემი რჩევა? ჩემი ხმა დარჩა მათში ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მადლობის მაგიერ, ამის შემდეგ ზოგნი გამიწყრენ, ზოგნი მერიდებოდენ და გარბოდენ ჩემგან, როგორც გიჟისაგან; არც მაშინ გავიტეხე გული: წავიკაპიწე და შიშველის ხელებით დავიწყე ეკლების თხრა: მაგრამ აქაც ეს წამომძახეს: ნუ გვიხდენ მაგ გზას, გიჟო! ეგ ეკალი ჩვენი მამაპაპისაგან დათესილია, ჩვენ მაგ ეკლებთან თანაშეზრდილნი ვართ, ახლაც მაგაში ვთამაშობთ მალულაობას და შენ, გადარეულო, გინდა მოგვიშალო ჩვენი ძველი ჩვეულება! არც ყაყანს მოვერიდებოდი, მაგრამ ვნახე, რომ ჩემი შრომა უბარაქო იყო. ერთი ძირი ეკლის ამოთხრას ძალი და ღონე გავატანე, ეკალმა ხელები დამისერა, ხელებში წყლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გამიჩნდა; შევიხვიე ხელები, ჩავიწყე უბეში და დაღონებული გამოვბრუნდი; დიდხანს ვიყავი დაღონებული. პირდაპირობას თავი დავანებე, სანამ არ მომაგონდენ რუსთველის სიტყვები: „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს“,—მეც მოვიპოვე ხერხი და იმ ეკლებს ხერხვა დავუწყე. მე ძველებურად წინააღმდეგად აღარ მოვექეცი, მხოლოდ ვცდილობდი ამეხსნა საზოგადოებისათვის ჩვენი შინაური ნაკლულოვანება და ამგვარად მოვიპოვე მათგან ნდობა და შემდეგ არათუ თვითონ აღარ მერიდებოდენ, არამედ თავიანთ შვილებსაც კი ურჩევდენ ჩემს მიბაძვას. ახლა, თუ შენც ასე ჩემსავით მოიქცევი, მაშინ შენი პატიოსნური მოქმედება და შრომა უფრო დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას.

ალექსანდრე. (მიდის და ხელს აძლევს ნიკოს) შენ მართალი ხარ! მაგრამ მოვესწრებით კი იმ დროს, რომ ჩვენი საზოგადოების ნაკლულოვანება მოისპოს?

ნიკო. ჩვენ თუ ვერ მოვესწრებით, ჩვენი შვილები ხომ მოესწრებიან და პოეტის თქმისა არ იყოს: „გზა უვალი, ჩვენგან თელილი, ჩვენსა შვილებსა გაუადვილდესთ, და შეუპოვრათ მათ ჰუნე მათი შავის ბედის წინ გამოუქროლდესთ“... ჩვენ კი შევუდგეთ შვილების გამოზრდას და... რას დაღონდი? გახალისდი!...

ალექსანდრე. შენმა ჭეშმარიტმა სიტყვებმა დამაღონეს! ცოტა გვიან მეუბნები, თორემ ადრევ რომ ეგენი მცოდნებოდა, მაშინ იმას აღარ დავკარგავდი, რისაც დაკარგვა დღეს სახვნეშად მრჩება... აწ ვამტყუნებ მხოლოდ ჩემს თავს და არა მამაჩემს...

ნიკო. დავანებოთ თავი მაგას! ნულარ შევდივართ მაგის გამოძიებაში! უმჯობესი იქნება ვეცადოთ როგორმე და დაკარგული ამოვიგოთ (მოისმის ზარის წკარუნი, წამოდგებიან ზეზე).

ალექსანდრე. მშვიდობით! არ მინდა, რომ მამაშენმა მნახოს (მიდის იმ ოთახში, სადაც ნინოა).

ნიკო. (სიცილით) იცის კატამ, საიდანაც მოდის ძეხვის სუნი... ძალიან პატიოსანი ყმაწვილია! ბედნიერი იქნებოდა ნინო მაგის ხელში!...

გამოსვლა მე-4-ე

იგივე და **ზურაბ** შემოდის

ნიკო. ოჰ, მორძანდით! (ხელს აძლევს). როგორ მშვიდობით ბრძანდებით?

ზურაბ. (დაბლა თავს დაუკრავს) ღმერთმა ნუ მოგიშალოსთ მშვიდობა და გამარჯობა!... მაგრამ რაღა დროს ჩემი მშვიდობაა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო. როგორ, კნიაზო, რა გემიზეზებათ?

ზურაბ. რაც მემიზეზება, ის კი ეყოფა ჩემს მოხუცებულობას, მაგრამ თქვენ რათ გაწუხებთ და რათ გაწყენთ თავს. (ცოტახნის სიჩუმის შემდეგ) ჩემი ჭკუის კოლოფი ხომ არსად გინახავთ?

ნიკო. მე არც-კი შემიტყვია, თუ დაჭკარგეთ! რა ჭკუის კოლოფი გახლდათ?

ზურაბ. იმ ჩემ გიჟ შვილზე მოგახსენებთ. (ეხვეწება) მიჰმადლეთ ღმერთს! ავასხეთ თქვენს იესო ქრისტეს და ის ჩემი შვილი დაარიგეთ, თქვენ უფრო დაგიჯერებთ; ერთი რიგიანად გაისარჯოს, ნუ მამწარებს, მტრის სასაცილოდ ნუ ხდის ჩემს მოხუცებულობას, ნუ მჭრის ხალხში თავს! სხვებიც კი გვინახავს რუსეთიდან მოსულები, აგრე გიჟი და გადარეული კი არავინ გვინახავს. თქვენც კი ბრძანდებით იქიდან, მაგრამ ვინ იტყვის თქვენზე ცუდს: სიბრძნით, სწავლით, ჭკუით, გონებით...

ნიკო. (აწყვეტინებს) გმადლობთ ქების შესხმისათვის, მაგრამ ჯერ ეს მიბრძანეთ: რას უწუნებთ თქვენს შვილს? რაზე უნდა დავარიგო?

ზურაბ. იმე! რავა რას ვუწუნებ? მამაჩემი ნუ წამიწყდება, უკაცრავად გახლავარ ამ გლეხურ ფიცზე: სწორედ ჩხარის წმინდის გიორგის ეკლესიის გალავანშია გიჟებთან დასაბმელი! ღმერთი იმას არა სწამს და ხატი; მარხვა იმან არ იცის, მღვდელი და ბერი!... უფროსი ჩალად არ მიაჩნია და უმცროსებთან კი თავს მდაბლობს. იმე! მეტი კიდევ იქნება რამე?... ამ ქვეყნის წესსა და რიგს აღარ უყურებს!...

ნიკო. ქრისტიანი არ არისო, ბრძანებთ!... ჰმ!. მაშ შეგინიშნავთ თქვენი შვილისათვის ბევრი ცოდვები: ბოროტება, შური, უსიყვარულობა, ამპარტავნობა, ძმის მტრობა და სხვა ამგვარი ცუდკაცობა ბევრი?

ზურაბ. აჰ, არა! მაგის ცილს ვერ შევწამებ. სულ მაგას ძრახავს სხვებსაც; მაგრამ ეს არის მისი დიდი ცოდვა, რომ მარხვას არ ზოგავს და წირვა-ლოცვაზე ძვირად დაიარება...

ნიკო. ისემც კარგი დაგემართოსთ. მაგრამ ერთი ესეც მიბრძანეთ ახლა: სხვები, რომელნიც ალექსანდრეს ურჯულოს ეძახიან, მოკლებულნი არიან ამ ცოდვებს, რომელნიც ეხლა მოვიხსენიეთ?

ზურაბ. ვერც მაგას დავფიცავ, რომ არა-თქო. მაგრამ წირვა-ლოცვით კაცს ბევრი მიეტევება.

ნიკო. ეგ ვინ მოგახსენათ? „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს"! ქრისტიანობა უნდა გამოცხადდეს საქმით და არა ცალიერი სიტყვით. ის არ არის ქრისტიანი, ვინც შურს, ბოროტებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაუტანლობას ჰფარავს მხოლოდ ზოგიერთი დაწესებული კანონების აღსრულებით! არა, ამგვარ კაცებს უწოდებენ ფარისევლებს, და ხომ გახსოვთ ქრისტეს იგავი ფარისევლებზე?

ზურაბ. იმე! აბა, მამაჩემი ნუ წამიწყდება, აღარაფერი ყოფილა ლოცვა და წირვა?!

ნიკო. მაგას ვინ მოგახსენებთ? ჩვენ დიახ გვესმის მაგის მნიშვნელობაც, მაგრამ მხოლოდ ეგენი არ შეადგენენ ქრისტეს მოძღვრებას, რომლის საფუძველი არის ეს ჰეშმარიტი სიტყვები: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. ისინი არიან მხოლოდ გარეგანი სამოსი სარწმუნოებისა... ახლა, მაგალითად, ავიღოთ... ვინ... აი, გნებავთ, მე ვინა ვარ და რა ხალხს ვეკუთვნი თქვენის აზრით: ფრანცუზს, თუ თათარს?

ზურაბ. იმე! რავა, ქვე მცდი თუ? ეს რა საკითხავია? ქართველი ხარ, აბა, ქვე ვინ იქნები?

ნიკო. რითი შეგიძლიათ, რომ დამიმტკიცოთ?

ზურაბ. მითი, რომ ქართულს ლაპარაკობთ, ქართულად ირჯებით! რაღა ბევრი ჩამოვთვალო, მიტომ, მამაჩემი ნუ წამიწყდება, რომ სულიც და გულიც ქართველისა გაქვსთ.

ნიკო. არა, რასა ბრძანებთ? ქართველი რაღად ვიქნები! ვერა მხედავთ, ქართული ტანისამოსი რომ აღარ მაცვია?

ზურაბ. იმე! ტანისამოსით ქვე რავა იქნება?!

ნიკო. მაშ, ეგ თქვენი ქართული ტანისამოსი რომ თათარს ჩავაცვათ, გაქართველდება?

ზურაბ. თუ გვამიც ქართველისა არ ექნება, ტყუილია, რავა იქნება?

ნიკო. ნუ ხუმრობთ, თქვენი ჭირიმე! აბა თქვენის აზრით მე რომელსაც ევროპიული ტანისამოსი მაცვია, მე უფრო ქართველი, ვარ, თუ ის თათარი, ქართულ ტანისამოსში?

ზურაბ. რას ხუმრობთ, მამაჩემი ნუ წამიწყდება, მგონია, საცინლად მიგდებთ, თვარამ რავა იკითხავთ მაგას?

ნიკო. და იმ თათარმა რომ გამკიცხოს და მითხრას: მე ვარ და შენ კი არაო ქართველი, რაღა უნდა ვუთხრა?

ზურაბ. ქვე რა უნდა უთხრა? გიჟი იქნება და გადარეული!

ნიკო. მაშ ახლა ეგევე აზრი იქონიეთ თქვენს შვილზე და იმათზედაც, ვინც იმას დასცინიან.

ზურაბ. (თავის ქნევით) ჰო, ჰო, ახლა კი მივხვდი, რაზედაც მაჩერჩეტეთ აქამდის!

ნიკო. ახლა ხომ გენიშნათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ. (გაკვირვებით) იმე! მართლა მკითხავთ? მენიშნა კი არა, ის მამაჩემი ნუ წამიწყდება, ისარივით მომხვდა ში კაკალ გულში!... (თავისთვის) ცოტა ხანს თუ კიდევ მალაპარაკა, სწორედ გამატუდენტებს, მამაჩემი ნუ წამიწყდება, აქამდის წვერებს გამომაშვებინებს, თავზე ღარაბლას დამახურვინებს და ისე მატარებს ხალხში! სულ გამაგიჟებს ამ სიბერის დროს. (ნიკოს) ეს, ისემც კარგი დაგემართოსთ, მაგრე დამშვიდებით რომ ბრძანეთ, მეც ქვე გევიგე, მაგრამ რატომ ჩემი შვილი არ ირჯება მაგრე თქვენსავით დამშვიდებით, რატო ისე ფუცხუნობს, თუ ის ჭკვიანი იყოს და მე ღმერთი არ მიწყრებოდეს?

ნიკო. მაგასაც მოგახსენებთ.—ღვინო ბევრი მოგდისთ?

ზურაბ. უი! იმდენი წელიწადი გასძელით, მეტი ნუ, რამდენი კოკა მე ის მომდიოდეს.

ნიკო. როგორ აკეთებთ ხოლმე იმ ღვინოს?

ზურაბ. ქვე რა ვიცი? ისე, როგორც სხვები. მოვაკრეფინებ, ჩავყრი საწნახელში, დავაწურვინებ და ტკბილს ჩავასხამ ხოლმე ჭურში.

ნიკო. მერე ისე დარჩება ხოლმე ჭურში ტკბილად?

ზურაბ. ისე რავა დარჩება? ჯერ უნდა კარგად ადუღდეს, დამაჭრდეს, მერე უკვე დაძველდება და კაი ღვინო დადგება.

ნიკო. რომ არ იდუღოს, არ იშუშხუნოს, არ შეიძლება? ან რათა დუღს, ნეტავი?

ზურაბ. მიტომ რომ ახალია; ისეა ახლის ბუნება: უნდა იდუღოს.

ნიკო. ისემც კარგი დაგემართოსთ! მაშ ერთი ესეც მიბრძანეთ: რათ არ გეჯავრებათ იმის დუღილი?

ზურაბ. იმე! მეჯავრება კი არა, კიდეც მიხარია! გადაუდუღებელი რას ივარგებს? თუ სასულე არ გაუკეთდა და ნება არ მიეცა თავისუფლად ადუღების—ან ჭურჭელს გასტეხს და ან მოიშლება შიგ ჭურჭელში და რაღას ივარგებს? აყროლდება!

ნიკო. მაშ აგრე გახლავსთ კაცის ბუნებაც.—თქვენი შვილი ჯერ ყმაწვილი არის, სისხლი უდუღს მაჭარსავით, და, როდესაც სისხლი დაუდუღდება, დაუწყნარდება, მაშინ დადარბაისლდება და შეიქნება საქები შვილი.

ზურაბ. (სიხარულით) ეს რა მესმის?! ქრისტემ აკურთხოს ის წიგნები, სადაც ეგ შენ ამოგიკითხავს და გისწავლია! შერცხვენილი იყოს, ვინც თავის დღეში ტუდენტების ცუდი სთქვას!... იმე, ჩვენ ქვე რაღა ვყოფილვართ! ავიც ამათ სცოდნიათ და კარგიც!... წავალ ახლავე და ჩემ შვილს მოვძებნი და ვეტყვი: „შვილო, შენ იქადაგე და მე მოვისმენ, და, თუ ხანდისხან გალობას მათქმევინებ, ხომ კარგი, და, თუ არა, და არც იმაზე დაგემდურები-თქო“. მამა ნუ წამიწყდება, მეც ამ სიბერის დროს გავტუდენტდები!... (მიდის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-5-ე

მარტო **ნიკო** (წამოდგება და დადის დაფიქრებული)

ნიკო. აი, ჩვენი მოხუცებულები! ოღონდ კი რიგიანად აუხსნას და გააგებინოს კაცმა და ყოველ ჭეშმარიტებას თანაგრძნობას უჩვენებენ ხოლმე... მაგრამ ბევრნი კი აღარ არიან ჩვენში ამისთანა მოხუცებულები. ესენი ისე შერჩენიან ჩვენ საზოგადოებას, როგორც ზამთრის პირზე კეთილი ნაყოფი ხეხილს, რომელსაც, ჰა, თუ აგერ მოსწყდეს და ჩამოვარდესო და, ჰა, თუ აგერო... ისინი გულმტკივნეულად შეჩერებიან ჭიან პანტებს, რომელნიც ამპარტავნულად, ამაყად და თამამად იჭერენ იმათ ადგილს და ჯერ კი ვერ შეუნიშნავთ ის ახალ-ახალი კოკრები, რომლებიც აპირებენ გაშლას, აყვავებას და ნაყოფის მოტანას საზოგადო სარგებლობისათვის!—ღმერთო! მალე მოგვასწარ მათ გახარებას და გვიხსენი ჭიანი პანტებისაგან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

სცენა: ოთახი დიდჟურაძის სახლში

გამოსვლა 1-ლი

გრიგოლ. (გამოდის მეორე ოთახიდან ხარხარით) რა დროება მოვიდა! ქვეყანა უკულმა ტრიალობს, დრო გადაირია და ხალხიც გაგიჟდა! (პუბლიკას) არ გაგეცინოსთ კი და ერთს რამეს გეტყვით. თქვენი რისხვა მქონდეს, თუ მოგატყუოთ. ალექსანდრემ (იცინის) დღეს მამამისი მომიგზავნა მოციქულად: „შენი ქალი მომეციო!" იმე! ამას გიჟს მეტი იფიქრებდა ვინმე?! სამსონს წაართვიო?! უყურეთ ქვეყნის გიჟსა და გადარეულსა! იმე! თუ გინდა იმან კი იფიქრა,—ეს მისგან გეჯეროსთ: თერგის წყალი ჩაუყლაპავს, მაგრამ გამოყრუებული მამამისი როგორ დაეთანხმა? არა, სწორედ ისიც გაუგიჟებია შვილს! მართალი ნათქვამია: „ხარი ხართან დააბიო და ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო". ახლა კიდევ ნინოც ამტეხია (ის რალა ჩემმა უბედურებამ გადამირია?): „არ შევირთავ სამსონს, უნდა ალექსანდრე შევირთოვო". იმე! დიდება შენს სახელს, ღმერთო! სწორედ ცუდი დროება მოვიდა, მეორედ მოსვლის ნიშნებია! ან მე ვარ გიჟი და ან ისინი! ბიჭო, ისე როგორ დამაბრმაოს ცოდვამ, რომ ავისა და კარგის გარჩევა აღარა მქონდეს! სად ალექსანდრე და სად სამსონ? იმ კაცს დიდი ადგილი უჭირავს სამსახურში, კაპიტანი კაცია, დღეს თუ ხვალ მაიორობას მიიღებს, მხრებზე დიდ, უშველებელ ეპოლეტებს დაიკრავს, ჯვრებით და კავალერებით ყელამდის გაჩურჩხლულია, კაი ორასი თუმანი ჯამაგირი აქვს, ერთი იმოდენსაც ისეც იშოვნის; ახლა ისე უბრალო შემოსავალი: პური, ღვინო, ყველი, კვერცხი, ქათამი, ინდაური, თხა, ბატი, იხვი, ცხვარი, ღორი, ხანდახან კარგი მსუქანი ხბოებიც, იმდენი წელიწადი გასძელით, რამდენი აუარებელი იმას შემოუვიდეს... იმე! შენი ჭირიმეთ, ქვე რალა სჯობია ამას? სწორედ მეფურად იცხოვრებს ის კაცი, დაჯექი და ჭამე, სანამდის არ მოგწყინდეს. რა ბრძანებაა, ბატონო, როდი ავყვები ნინოს! მაშინ გიჟი ვიქნები! თუ ქალია და გაბედავს უარს, ამდენს არ ვალაპარაკებ; ჯერ იტიროს, რამდენიც ერჩიოს თავისთვის!.. ჩემმა ცოლმა ბევრი იკურცხალა, მაგრამ, ძალიანი რომ მოარტყეს, ქვე გაჩუმდა და ვიფსკვენით გვირგვინი; პატარა ხანს მებუტებოდა, მაგრამ დილას კოცნაც დამიწყო, სიცილით მითხრა: „შე გიჟო, რათ გაალახვინე ჩემი თავიო? მაინც და მაინც უარს ვამბობდი, თორემ მე უფრო სული მიმდიოდა შენზედაო." ეჰ, ასე ყოფილა თურმე ქალის ბუნება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-2-ე

იგივე და **ნიკო.** (შემოდის დაღონებული და ჩუმად დადის ჩქარის ნაბიჯით; ცოტა ხნის შემდგომ თავადი დიდყურაძე მისძახებს)

გრიგოლ. ყმაწვილო! სულ მაგრე იტრიალებ ახლა შესაწვავ გოჭივით?

ნიკო. (შეჩერდება) რა გნებავთ?

გრიგოლ. ის, რომ ერთ წუთს ფეხები შეაჩერე, შეასვენე. ქვე ალარ გეხიმხრება უთავბოლოდ ტრიალი? არ გეჯავრება ეგ რახა-რუხი? დადიხარ, ხმას არ იღებ მთელი დღე, ისმის მხოლოდ ცალიერი „პრაკ, პრუკ, პრაკ, პრუკ!" დილას ალარ მაძინებ და ნასადილევს, ეგ არის თქვენი დიდი სწავლა, მაგისთვის მოიარე ქვეყანა? მაგას ჩემი გადიაც კი გასწავლიდა; მარტო მაგისთვის ან შენ რათ მოიარე იმ სიშორეს. და ან მე რათ შემიყვანე უბრალო ხარჯში?

ნიკო. თუ საქმე გაქვსთ—მიბრძანეთ.

გრიგოლ. დიახ, საქმე მაქვს! დიახაც გიბრძანებ! დაჯექი და გამიგონე: გესლაძე მიჩივის, ნასყიდობის წერილი გაძოჩენია და მამაპაპეულს მამულს მართმევს, სენატში გაუქანებია აპელაცია; რომ მოიგოს, ხომ სულიან-ხორციანა დავიღუპები, ხომ ჩემი დანით უნდა გამოვიჭრა გოჭივით ყელი და შენ კი ამაების დარდი არა გაქვს-რა; ამდენი ხანია გეხვეწები და შენ კი ერთ არზას მამადლი? მე მიტომ გამოგზარდე და მიტომ გაგაგზავნე რუსეთში, რომ ვფიქრობდი: აგერ რუსეთიდან სწავლული შვილი ჩამომივა და იმისთანა აპელაცია ეცოდინება, რომ მეზობლებს მათ საკუთრებაზე ხელს ააღებინებს და ჩემს მამულს შემოუმატებს-თქო, და ახლა არათუ სხვისას, ჩემსასაც მტაცებენ, უსამართლოდ მერევიან და შენ ყურსაც არ აპარტყუნებ.

ნიკო. თუ სამართალი გაქვსთ, მაშინ ჩემი არზაც ალარ იქნება საჭირო, ისეც ვერავინ წაგართმევსთ და, თუ უსამართლოთა გაქვსთ მითვისებული, რომ შემეძლოს მოგება, მაინც არ გავერევი მაგისთანა საქმეში.

გრიგოლ. რაო, რაო? რა სთქვი ეგა? არა, მართლა ამბობ, თუ ხუმრობ?

ნიკო. სასიხარულოსა და სახუმროს მე დღეს აქ ვერაფერსა ვხედავ.

გრიგოლ. მერე და რომ მართლა უსამართლოდაც მქონოდა მითვისებული, მაგრე მომექცეოდი, დამიკარგავდი მამულს? მერე ვილას უნდა ვერჩინე?

ნიკო. რა ვქნათ, ბატონო, პატიოსნების დაკარგვას ყოველიფერის დაკარგვა სჯობია!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ. რაო? (გაჯავრებული წამოხტება ზეზე) რას წაგიგდია ენა და რაღასაც ტყიპინებ, შენ თვითონაც არ გაგეგება! შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი პატიოსნებაცა! არა, ვინ გინახავს, რომ პატიოსნებით კუჭი გაეძღოს? მამაჩემი ნუ წამიწყდება, გულს ნუ მომაყვანინებ, თორემ ასეთ საქმეს გიზამ, რომ სამაგალითო იქნეს! ისე შენს ნებაზე აღარ გატლიკინებ, აქამდის რომ გიტლიკინებია, მამულზე ხელს აგაღებინებ, გაგაგდებ კარში და მაშინ გნახავ, დარჩები თუ არა მაგ შენის პატიოსნებით!

ნიკო. ეგ თქვენი ნება გახლავსთ, მაგაზე არც ყვედრებას დაგიწყებთ და არც ვედრებას. ჩემი სათხოვარი მხოლოდ ის არის და ახლაც იმისთვის მოველი თქვენთან, რომ გთხოვთ: ნუ აუბედურებთ იმ ქალს, ნუ აძლევთ სამსონს, მიეცით ალექსანდრეს...

გრიგოლ. (გაჯავრებული) კი, სწორედ მაგრე მიქნია, შენი ჭკუის ვიქნები მაშინ! მომშორდი ამ სახლიდან, სახლიც ჩემია და კარიც. ჯერ შენ არა აგიშენებია რა, ქალს ნუ გადამირევ და შენ ჯანაბამდის გზა გქონია. ერთი შვილი, თუ გინდა მომკვდომოდეს, რავა ვერ შეგელევი? მამწარებ მოხუცებულობას, მაგრამ მეც გაგამწარებ: კაი ხუთიათასი თუმნის ვექსილს მივცემ სამსონს, მამულს ის წაიღებს და შენ კი იტლიკინებ მაგრე!

ნიკო. უკანასკნელად გეუბნებით, შეხედეთ ღმერთს, ნუ აუბედურებთ იმ ქალს! ვიცი, სიყვარულით მოგდისთ ეგა, მაგრამ ეგ სიყვარული მტრობაზედაც უარესია. მე ჩემთვის ხომ არაფერს გეხვეწებით! არ გესმისთ ნინოს ტირილი? (მეორე ოთახიდან მოისმის ნინოს ტირილი)

გრიგოლ. გადი აქედან!... შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი დამჯერიც (გაჰყვირებს მეორე ოთახში). შენი კი რაღა მეცოდინება, ქალბატონო! იმას ნუ ფიქრობ, რომ შენ ვინმე სხვა შეირთო სამსონს გარდა! ამოიცილე გულიდან ალექსანდრე... ეხლანდელი ბავშების პლუტობისა კი რაღა მეცოდინება! (გადის გულმოსული)

ნიკო. ეჰ, უგუნურებავ!... ნინო მეცოდება, თორემ ან-კი რათ ვერევი მე ამ საქმეში? (იხედება ფანჯარაში) ის დურაკიც აგერ მოდის! ეგება იმას შევაგონო როგორმე ან რჩევით, ან შიშით, ან შერცხვენით და დავატოვებინო ჩემი და; „ცდა ბედის მონახევრეაო", ნათქვამია.

გამოსვლა მე-3-ე

ნიკო. (მუხლამდის თავს უკრავს) „დიდება თქვენსა მობრძანებასა, ბედნიერებავ დიდის ყადისო!..." მობრძანდით, დაბრძანდით! გვიამბეთ რამე, სიძის კუჭო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონ. (ჯდება) გმადლობთ!... ნინო რასა იქს?

ნიკო. ავად თქვენი მტერი გახდეს, ავს გუნებაზე ახლა ის იყოს! მთელი დღე საცოდავად ტირის და მოსთქვამს.

სამსონ. (გაოცებით) რა ემიზეზება?

ნიკო. ძმა ვარ მისი და გეტყვით, ჩემი ვალია, რომ არ დავფარო: თქვენი შერთვა არ უნდა თურმე, სხვისთვის არის გაშმაგებული, და, ჩემის აზრით, აღარ არის რიგი, რომ თქვენ კიდევ ინდომოთ მისი შერთვა!

სამსონ. ეტო ნე ხარაშო!... ვპროჩემ ნიჩელო!... ჯერ შევირთო და, არაფერია, შიეჩვევა! (მუშტს აკეთებს). ამას რომ უთავაზებ, არ შემიყვარებს, აბა რა გზა ექნება?!...

ნიკო. მაგას პატიოსნების ნაპერწკალი არ ექნება! გეტყობათ, რომ ანგარიშით ირთავთ და არა სიყვარულით და მაგგვარ ცოლქმრობას აღარ ჰქვიან ცოლქმრობა...

სამსონ. (გულმოსული) ეგ თქვენი საქმე არ გახლავთ! გთხოვთ, რომ ენას კბილები მოუჭიროთ.

ნიკო. როგორ თუ ჩემი საქმე არ არის? ძმა არა ვარ? უპატიოსნო კაცს უნდა ჩავუგდო ხელში ჩემი და სატანჯავად?!

სამსონ. ვიზე ამბობთ მაგას? ჩემზე?!

ნიკო. დიახ, თქვენზე; მოგახსენებთ პირში და არა ზურგს უკან. თქვენ ისე დაგიკარგავთ სინიდისი, რომ ძმასთანაც აღარა ჰფარავთ ურიგოებას და მუშტებს აკეთებთ. დაუფარავად გეტყვით, რომ თქვენ ძალიან საძაგელი კაცი ყოფილხართ!... გინდათ, დუელშიაც გამოგითხოვთ? თუმცა დუელი, ჩემის აზრით, მხეცობაა, და მეც წინააღმდეგი ვარ დუელისა, მაგრამ ოღონდ ჩემს დას ვუშველო რამე და აღარ დაგერიდები ამ შემთხვევაში: ან მოგკლავ და ან შეგაკვდები, და ორივე შემთხვევაში გადარჩება ჩემი და უბედურებას.

სამსონ. ჯერ თქვენ ყმაწვილი ხართ, მე თქვენთან დუელი არ შემფერის (აპირებს წასვლას).

ნიკო. (მიეწევა და მიაფურთხებს) ესეც შენ და, თუ არც ეს შეგარცხვენს, ესეც კიდევ ზედნადებად მომირთმევია (ჯოხს დაავლებს ხელს და შეუტევს. სამსონ მოჰყვება ღრიალს).

გამოსვლა მე-4-ე

ისინივე და **დიდყურაძე** (შემოიჭრება ტირილის ხმაზე. შეშინებული).

გრიგოლ. რა ამბავია? რა. ამბავია? რა დაგემართათ?!

სამსონ. თქვენმა სიცოცხლემ, კნიაზო, რომ თქვენი შვილი არ იყოს და ნინოს ძმა, სწორედ ძაღლის ლეკვივით დავარჩობდი ორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითით! ისე უმიზეზოდ ამიტყდა და მოთმინებისაგან გამომიყვანა. მაგრამ რაღა გაეწყობა, თქვენთვის მიპატიებია, თქვენ გიმადლოდესთ...

ნიკო. აი, საძაგელო! შე მხდალო, შენ! ვინ უნდა მოგეკლა? შიშით სული ამოგხდა და ღრიალი გააბი!... გაშინებდი, თორემ ეგეგა გეგონა, რომ შენისთანა უგუნურზე ხელს შევისვრიდი?

სამსონ. ამდენი მოთმინება აღარ შეიძლება, კნიაზო! მშვიდობით ბრძანდებოდეთ! მე შესარცხვენად და გასათრევად არ გამიზრდია ჩემი თავი... ღმერთმა თქვენც მშვიდობა მოგცესთ და თქვენს ქალსაც! (აპირებს წასვლას, გრიგოლ აბრუნებს).

გრიგოლ. არ გეკადრება გიჟის აყოლა! მთელმა ქვეყანამ იცის: რომ კაცი ჰყავდეს, ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანშია გიჟებთან დასაბმელი! და თქვენ როგორ გეკადრებათ მაგის აყოლა! რა ხელი აქვს მაგას ან ჩემთან, ან ნინოსთან და ან თქვენთან?

სამსონ. ეჰ, რაღა გაეწყობა, კნიაზო, თქვენი პატივისცემა და ნინოსადმი აღტაცებული სიყვარული ბევრს მოძათმენინებს, მაგრამ ამას გთხოვთ: თუ ეს აქ დამიხვდა ხოლმე, მე აქ ველარ ვიყლი!

გრიგოლ. კი, ბატონო! კი, ჩემო ხელმწიფევ! ოღონდ თქვენ კი ნუ აჰყვებით ამას! (ნიკოს) კაცო, ქრისტიანო! რას ამტეხიხარ! რა გინდა ჩემგან? ამასწინეთაც დაგითხოვე, აღარ მომშორდები?...

ნიკო. მოგშორდებით, მაგრამ მაშინ, როდესაც ჩემ დას გამოვიხსნი უბედურებისაგან; შენ ამ შემთხვევაში დაბრმავებული ხარ: ჰყიდი შენს ქალს და კიდეც გექება! დიდი ბედნიერება გგონია?

გრიგოლ. (გაკვირვებით მისჩერებია) ხომ არ გადარეულხარ? პირჯვარი გამოისახე! (სამსონს) ახლა კი ნუღარ გეწყინებათ რა ამისაგან: ნურც ავი და ნურც კარგი!.. ღმერთსა ვფიცავ, შერეულია, გრძნობა დაუკარგავს. ვაი ამ ჩემს თავს! (წაიშენს თავში) გადამერია შვილი!...

სამსონ. ნესჩასტიე, ცხადია! უნდა მეც შემეტყო წელანვე, ისე ტყუილად, უმიზეზოდ რომ ამიტყდა; ჯოხით მოსაკლავად აღარა მზოგავდა!... ნადა დოქტორა!—ექიმზე გავაფრინოთ კაცი!

გრიგოლ. კი, ჭეშმარიტად! სწორედ კარგი იქნება! შეხედეთ, რავა პრაწავს თვალებს! ვაი ამ დღის მომსწრეს! ასე იცოდა უცხო ქვეყნებმა, ეს ბოლო ექნება ყველა იქ გამოზრდილებს. (ყვირის) ბიჭო! ბიჭო! არავინ ხართ, აქ შემოდით! ვაი ამ ჩემს თავს! გადამერია! (ბიჭი შემოვარდება გაფეთებული, ხელში უჭირავს ხელკეტი).

ნიკო. (ნაღვლიანად იცინის და დიდხანს მისჩერებია) მე ვარ გიჟი? მე დავკარგე გრძნობა? მე მეჭირვება ექიმი? მგონია, უფრო თქვენ! ჭკუას თავი დავანებოთ, მაგრამ მამობრივი გრძნობა, ეგ ვული მაინც აღარ გამხილებსთ, თუ რას ჩადიხართ? ვის აძლევ შენს ქალს? ვის? იმ კაცს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მხოლოდ მზითვისათვის ირთავს ქალს? არ გებრალება შვილი? რათ აუბედურებ? გამოახილე თვალები! სამუდამოდ ნუ აუბედურებ ნინოს.

გრიგოლ. გავეცალოთ აქედან, თორემ იქნება კეტიც დაგვიშინოს. (ორივე საჩქაროდ გადიან).

გამოსვლა მე-5-ე

ნიკო და დათიკა ბიჭი

ნიკო. შენც გჯერა, ჩემო ძმაო, ჩემი სიგიჟე?

დათიკა. არა, ბატონო, შენი ჭირიმე! რას მიბრძანებთ, ღმერთი გადღეგრძელებთ!

ნიკო. მაშ ხომ გაიგონე, რასაც ველაპარაკებოდი და მომაყვანია გული? შენმა შვილმა რომ გირჩიოს ის, როგორც მე ახლა ვურჩევდი მამაჩემს, ხომ დაუჯერებდი რჩევას?

დათიკა. კი, ჭეშმარიტად, ბატონო! კი, შენი ჭირიმე! ვილას უკეთესს დავუჯერებდი?

ნიკო. განა, არ გამოიმეტებდი გასაყიდად შენს ქალს ისე, როგორც მამაჩემი უპირებს გაყიდვას?

დათიკა. რავა, შენი ჭირიმე! ვინ ჰყიდის? ვინ მოგახსენათ? ტყუილი მოგხსენებიათ! გაყიდვა როგორ შეიძლება? ქვე კი არა ჰყიდიან, აგერ კაი კაცს... პომპოლიკს აძლევენ ცოლად!

ნიკო. ჰო და კიდეც ეს არის გაყიდვა!... როგორ გაკვირვებით მომჩერებიხარ? შენც ხომ გადარეული არა ბგონივარ? მოდი და დაჯექი აქ, ჩემთან, და მე შენ დაგიმტკიცებ ამას; შენი გაურყვნელი გული უნდა მიხვდეს ამას. ჩვენში გლეხები ძალიან გულისხმიერები არიან.. მოდი, გაიგონე ..

დათიკა. (გაკვირვებით) არა, ბატონო! ნუ მიბრძანებთ, შენი ჭირიმე, ასე ვიქნები, არა მიჭირს რა, შენი ჭირიმე, კარგად გახლავარ!...

ნიკო. განა მაგრე გირჩევნია? არ გინდა დაჯდომა?

დათიკა. კი, ბატონო, მარა რავა იქნება, შენი ჭირიმე?

ნიკო. რატომ, მე თუ კი ვზივარ, შენ რა გიჭირს, რომ დაჯდე ჩემთან?

დათიკა. (სიცილით) კი ბატონო, მაგრამ თქვენ ბატონი ბრძანდებით და მე თქვენი მოსამსახურე. სულელი კი არა ვარ, რომ ეგეც ალარ მესმოდეს. თქვენ გინდათ, რომ შემაცდინოთ და მერე გამიწყრეთ, ბატონო.

ნიკო. არა, ჩემო ძმაო, ეგ ვინ გითხრა? მოუტყუებიხარ... (პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ). მაგრამ მეც გიჟი ვარ, რომ უდაბნოში ვლალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებ ჭეშმარიტებას!.. განა სხვა საშუალება აღარა დამრჩენია რა? (დიდხანს დაფიქრებული დადის და ბოლოს უცებ შეჩერდება) ევრიკა! მივაგენი! სუდის სეკრეტარი სტუდენტთაგანია, არ შეიძლება, რომ არ მომეხმაროს! (სიხარულით) აბა, ვნახოთ გიჟი რას უზამს ჭკვიანებს! დაგვიანება კი არ უნდა ამ საქმეს... ეს იქნება უკანასკნელი საშუალება, ამითი უნდა გადაწყდეს ნინოს ბედიცა და უბედურებაც (მიდის).

დათიკა. (შეწუხებული) ვაი დაღუპულს! აბა, მართლა გაგიჟებულა! ეს სახუმრო აღარ არის! მერე რა კაცი და რა კაცი! როგორ ებრალებოდა მდაბალი ხალხი... ესეც ჩვენი უბედურება!... ეჰ, წავიდე ერთი, გამოვუდგები, წყალში არ გადავარდეს, ბრალია ამისთანა კაცის გაფუჭება!... (მიდის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეხუთე

სცენა 1-ლი

ოთახი ხეპრიაშვილის სახლში.

გამოსვლა 1-ლი

მარტო **სამსონ**, დადის მხიარულად.

სამსონ. ძალიან ყოჩაღი რამე ვარ, ჩესტნი სლოვო! სწორედ გეროი ვარ, ძალიან კი მოვარჯულე ეს ხალხი: როტასავით გარში დამყავს! იმ დურაკს თერგდალეულს ხმა ჩავაწყვეტინე. შევაშინე... ნინოსაც ახლა შევუყვარდი, თუ შევუყვარდი, თითქო ჯადო მეჭმიოს, ისე მექცევა... მამამისი, რალა, სულ ჩემი მაქებარია, ჩემს მეტი ალარა ახსოვს-რა. ჩემი სტარი ფელდფებელივით თვალებში შემოსჩერებია!... კაი ხუთიათასი თუმანი ამ ჩემს ჯიბეს, მასთანაც კაი ლამაზი, კრასავიცა ცოლი. ერიჰა! ცოტა ჩემი ვკუსის არ არის ნინო, ჩემი ვკუსის ქალი გრენადერივით მოყვანილი უნდა იყოს... ვაი, საყვარელო! ზოგიერთი მათუშკები რომ ვიცოდი პოლკში!... ოჰ, შენი ჭირიმე, მაჩვებსა ჰგვანდენ სიმსხოთი: მათ სისქეში ტყვიაც ვერ გაატანდა... ნინო ამითია კარგი, რომ ძალიან ლამაზია და, თუმც ჩემი ვკუსისა არ არის, მაგრამ სხვებს კი მოეწონება... ერთიც ვნახოთ, მე სადმე კამანდიროვკაში გამაქანებენ—აბა მაშინ იქნება ჯილდოების ალო! ერთ-ორ წელიწადს პოლკოვნიკი გავხდები: მანამდის კი ყველას გავუკეთებ ჩესტს: ასე (აკეთებს ჩესტს) გამოვეჭიმები უფროსებს და მერე კი, როცა პოლკს მომცემენ, მე გამომეჭიმებიან ყველანი, გავუვლი და გამოვუვლი პოლკს წინ და მივაძახებ მაღალის ხმით (ღრიალებს): სმირნა! (ამ ხმაზე ნინო შეშინებული გამოვარდება მეორე ოთახიდან).

გამოსვლა მე-2-ე

იგივე და **ნინო**

ნინო. რა იყო? რა დაგემართათ? რამ შეგაშინათ?

სამსონ. (ხარხარებს) უკაცრავად! მხდალი ყოფილხართ, როგორ გეკადრებათ? დღეს თუ ხვალ ვოენი კაცის ცოლი გახდებით!

ნინო. იჰ, მე კი გული გადამიტრიალეთ და!...

სამსონ. ფიქრებმა გამიტაცეს: თქვენმა სიყვარულმა წარმომიდგინა მომავალი ჩვენი ბედნიერი ცხოვრების სურათი, როდესაც მე თქვენ გაგხდით პოლკის კომანდირშად; და ისე ნათლადაც კი წარმოვიდგინე, რომ თავი მართლა პოლკის კომანდირი მეგონა, ეს მებლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ აფიცრებად მომეჩვენენ და შპალერები რაზმად და კამანდობა წამცდა!... უკაცრავად! (ხარხარებს) მომიტევეთ!...

ნინო. (სიცილს იკერს) მაშ თქვენ პოეტი. ბრძანებულხართ!

სამსონ. (შეუერებით) დიახ, ცოტაოდენი! მაგრამ ვოენური პოეტი გახლავარ, პატიოსნური და არა შტაკკური, სასაცილო. თქვენ მოგეხსენებათ: ვსიო ვოენნოე ბლალოროდნო, ა ვსიო შტაკკოე— სმეშნო! (ხარხარებს).

ნინო. არ შეიძლება, ერთი რამ წაგვიკითხოთ თქვენი თხუზულებათაგანი?

სამსონ. დიდის სიამოვნებით! ნება მიბოძეთ, რომ წაგიკითხოთ ერთი ვოენური რეჩი, რომელიც თქვენმა სიყვარულმა დამაწერინა.

ნინო. (შეფერებით, მორცხვად) თქვენი ნება გახლდესთ!

სამსონ. (ახველებს) მე არ მინდა, რომ შეგადაროთ თქვენ კოკობსა ვარდსა და თავი ესე ჩემი ბულბულსა მომღერალსა! ამგვარი შედარება იქნება შტაკკური! ნება მიბოძეთ, რომ მოგახსენოთ ვოენურად! (ახველებს) „ჩემთვის თუთუნზე უტკბესო და ჩინზე უსასურველესო მშვენიერო მარსავ!“ მარსი ვოენის ღმერთი გახლდათ და მარსა, უეჭველია, იმისი ცოლი იქნებოდა!...

ნინო. დიახ, მესმის! (სიცილს იკერს).

სამსონ. (ახველებს) მაშ ხელახლა მოგახსენებთ: „ჩემთვის თუთუნზე უტკბესო და ჩინზე უსასურველესო მშვენიერო მარსავ! სიყვარულმა თქვენდამი უეცრად იფეთქა გულსა შინა ამა ჩემსა, ვითარცა წამალმან თოფისამან და ალმინთო ტრფიალებისა ალი, ვითარცა არტილლერიის ცეცხლი, და აჰა, მზა ვარ, რომ მოუთმენლად ზარბაზანივით გამოვიქუხო: მიყვარხარ!“ (ღრიალებს. ნინო სიცილს ვეღარ დაიკერს და, გარბის მეორე ოთახში). ეს როგორ დროს გამაწყვეტინა რეჩი? ის-ისიყო შევდიოდი ვოენურ ვდოხნოვენიეში! არა!... მოეწონა, იამა და შერცხვა! მიტომ გაიქცა.—ჯერ ცხოვრებაში რეკრუტია, საცოდავი, მაგრამ ნიჩელო! მალე ვასწავლი ნაპლეჩოს, მალე გამოიცდება, მალე, სულ მალე გავწრთვნი ჩემებურად, ვოენურად.

გამოსვლა მე-3-ე

იგივე და **ივანიკა** შემოდის

სამსონ. ვისთანა ხარ?

ივანიკა. ბატონთან, შენი ჭირიმე! სუდის სეკრეტარმა ქაღალდი მოგართვათ.

სამსონ. რაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანიკა. რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე! გახსნილია და თქვენ უკეთ გაიგებთ, თუ ინებებთ წაკითხვას. (აძლევს ბარათს. სამსონი წაიკითხავს და შეწუხდება).

სამსონ. ვოტ, ტებე ი ნა! სკვერნო: აკი მამული ჩამოურთმევიათ ჩემი სასიმამროსთვის!... (სტვენს) ამას კი ვერ მოვიფიქრებდი... კარგი, რომ ადრე შევიტყვე; შეიძლება კიდევ კაცმა თავს უშველოს... აწ მზითევი კი არა, პირიქით სარჩენად გამიხდებიან... აქ სიძობა მე ხელს აღარ მომცემს, უმჯობესია წინდაწინვე დავასწრო, ვითომ არა შემიტყვიარა-თქო, სხვა მიზეზი მოვიგონო და უარი ვუთხრა— ეს უფრო ჩესტნობა იქნება! (ბიჭს აძლევს წიგნს და ხუთ მანეთს). ჰა, ეს შენთვის მიჩუქებია.

ივანიკა. გმადლობ, შენი ჭირიმე.

სამსონ. მაშ წადი აქედან, მიიმალე სადმე ერთი-ორი საათით და მერე მოიტანე ეგ წიგნი. ვაი შენს ტყავს, თუ არ დაგიჯერებია!

ივანიკა. (ღრეჭით) კი, ბატონო, თქვენი ნება გახლდესთ (მიდის).

სამსონ. ეტო ნე ხოროშო!... უმჯობესია, ისევ ძველ საცოლოს დავუტრიალდე: ქვრივობით არა უშავსრა... ვაოვუშკობით ქალი დაიწუნება? აქედან კი ნალევა კრუგომ მარშ! (მოტრიალდება და მიდის).

სცენა მე-2-ე

ოთახი დიდყურაძის სახლში

გამოსვლა 1-ლი

თავადი დიდყურაძე მეტად შეწუხებულია, თავდახრილია სტოლზე; ორივე ხელში უჭირავს წიგნები; ნინო გვერდით უდგას და ანუგეშებს.

გრიგოლ. ვაი ჩემ სიბერეს! რა უბედურ დღეს მოვესწარი! ასე უეცრად რომ ღვთის რისხვა კაცს მოსდგომოდეს, ჯერ არსად გაგონილა!...

ნინო. კარგი, ბატონო, ნუ იკლავთ თავს! ნუ იწუხებთ...

გრიგოლ. ჩემმა გიჟმა შვილმა ერთი არზაც კი დამამადლა! აწ რალამ გვარჩინოს? შიმშილით რომ დავიხოცოთ, დამმარხავიც არავინ გვეყოლება!...

ნინო. ჯერ მაგისთანა არა დაგვმართნია-რა... ისე გაცხოვრებთ მე და ჩემი ქმარი სამსონი, რომ ცივ ნიავსაც არ მოგაკარებთ.

გრიგოლ. ვაი, რომ ვერა!... იცი, რომ სამსონ შეგირთავს უმზითოდ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო. უიმე! ეგ როგორ იფიქრე? სამსონ მაგისთანა კაცი არ არის, რომ მზითევს გამოუდგეს! ბევრჯერ შემოუფიცნია ჩემთვის: მხოლოდ სიყვარულით გირთავო, და...თქვენც ისე არ მარწმუნებდით?

გრიგოლ. კი, შვილო, მაგრამ თურმე ორივეს გვატყუებდა! მეტად უპატიოსნო კაცი ყოფილა! არა გჯერა? მაშ, აჰა, წაიკითხე მისი წიგნი და გაიგებ, რასაც მწერს.

ნინო. (წაიკითხავს ბარათს და ვითომც ძალიან შეწუხდება) აი, შე დალოცვილო! ხომ მომეჭრა ახლა თავი და გავიკიცხე ქვეყანაში! რომ დაგეჯერებინათ ნიკოსთვის, ეს აღარ დამემართებოდა!

გრიგოლ. ვის ეგონა? ახლა მეც ვხედავ, შვილო: დავისხი თავს ლაფი, შევირცხვინე თავი, გამიწყრა ჩემი წმინდა გიორგი, დამიდგა თვალები და არ დავუჯერე მე ცოდვის შვილმა...

ნინო. მაშ, ახლა მაინც ვკითხოთ რამე: ან ავს გვირჩევს, ან კარგს... მტერი ხომ არ არის: თქვენი შვილია და ჩემი ძმაა...

გრიგოლ. კი, შვილო, მაგრამ რაღა პირით შევხედო! შევარცხვინე, გავკიცხე ის კაცი, მამულზე, რომელიც თურმე მეც მეკარგებოდა, ხელი ავაღებინე მტერივით და გავაგდე გარეთ...

ნინო. რამდენი რამე მამა და შვილში მოხდება, ეგ რაღა მოსაგონებელია? დარწმუნებელი ყარ, რომ ნიკო მაგეებს არ მისდევს, არც-კი ეხსომება ახლა...

გრიგოლ. ეგ შენ იცი, შვილო; მაგრამ აწ რაღას გვიშველის?...

ნინო. ვნახოთ მაინც. (გასძახებს მეორე ოთახში) ნიკო, ნიკო, თუ მანდ იყო, ერთი აქ შემოდი შენს გაზრდას!...

გამოსვლა მე-2-ე

ისინივე და **ნიკო** შემოდის

გრიგოლ. მოდი, შვილო, მომიტირე! მომიტირე ამ სიბერის დროს!

ნიკო. რასა სწუხართ, მამა-ბატონო? ჯერ მაგისი ფასი რა დაგმართნია?

გრიგოლ. მეტი რაღა დამემართება, შვილო? რაღა ღონისძიება მოვაგვარო, რომ თავი ვირჩინოთ? მიწის ხელი მე არ ვიცი და ცულისა, ფული მე არა მაქვს და მამული!...

ნიკო. რა გვიჭირს! ახლა იმ კაპიტალს მივყოთ ხელი, რომელიც თქვენ ადრევე მოიმზადეთ. ის დავხარჯოთ.

გრიგოლ. რა კაპიტალია, შვილო! საცინლად მიგდებ? ღვთისაგან შეჩვენებული ვიყო, თუ ერთი გახვრეტილი აბაზი მქონდეს შენახული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო. მაშ, მე რომ გამომზარდეთ, ის რა იყო? ჩემი სწავლა კაპიტალი არ არის? რათ არ იცოდით, რომ ამ დღისათვის გამოგადგებოდით და არა არზების საწერად...

გრიგოლ. რავა, შვილო? ვერ გავიგე, რაზე მეუბნები!...

ნიკო. ადრევე რომ ადგილს მაძლევდენ ორასთუმნიანს და მე არ ვიღებდი, ახლა თანახმა ვარ და შევდივარ სამსახურში. ორასი თუმნით უზრუნველად გაცხოვრებთ! თქვენი გულისათვის მე არ დავერიდები პატიოსან ოფლის ღვრას! შვილის ვალია, რომ დაუტკბოს მამას მოხუცებულობა!... (მოეხვევა) ნუ ჯავრობთ, გულს ნუ გაიტეხთ!... მოთმინება იქონიეთ...

გრიგოლ. (მოეხვევა შვილს) ქრისტემ გაკურთხოს, შვილო! სიყვარულიც თქვენა გცოდნიათ და კაცებიც თქვენა ყოფილხართ! პასუხისგებაში იქნება ის მამა, რომელსაც შვილი ეყოლოს და მისი სწავლა და განათლება არ ეძიოს!... შერცხვენილი იყოს, ვინც ჩვენ სტუდენტებზე ძვირს გვეუბნებოდეს!... შვილო, ჩემი თავისთვის ალარასა ვწუხვარ, მაგრამ ამ შენს საცოდავ დას რაღა ვუყოთ, ხომ დაგვირჩება გაუთხოვარი! ნეტაი, შენი სიტყვა დამეჯერებია და ალექსანდრესთვის მაინც მიმეცა.

ნიკო. ეგ ეხლაც შეიძლება მოხერხდეს...

გრიგოლ. რაღა დროსია? ის კაცები, მამა და შვილიც, გავთათხე, გავათრიე და ჩემი სახლიდან დავითხოვე და ახლა, გიჟები ხომ არ არიან, უმზითვოდ ქალი მთხოვონ.

ნიკო. ალექსანდრეს სიყვარული არა ჰგავს სამსონისას! ალექსანდრეს მე კარგად ვიცნობ, რა კაციც არის: ნინოს სიყვარული ბევრს მოათმენინებს... გნებავს, კიდევაც დაგიმტკიცებთ ამას (გასძახის მეორე ოთახში:) აწ დრო არის, გამოხვიდეთ!... გამობრძანდით!...

გამოსვლა მე-3-ე

ისინივე და ალექსანდრე

ნიკო. ალექსანდრე! მოდი, მოჰკიდე ხელი ნინოს და მიდით, ნება გამოსთხოვეთ მამას.

გრიგოლ. იმე! მართლა ამბობთ, თუ მეხუმრებით! ამაზე უფრო სასიამოვნო რაღა იქნება ჩემთვის? ჩემი უბედურება აწ უბედურებად ალარ მიმაჩნია! ქრისტემ გაკურთხოსთ! ადრევე ყოფილხართ ერთმანეთის წერა, მე რაღა უნდა მეთქმოდეს, ან აქამდი რათ ვამბობდი უარს? გვირგვინს თურმე ზეცა ნიშნავს და ხორციელი როგორღა შეცვლის! დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-4-ე

ისინივე და **სამსონ** შემოიჭრება გახარებული

სამსონ. მომილოცავს, კნიაზო! მომილოცავს!

გრიგოლ. (ზეზე წამოხტება) რას მილოცავთ! ქორწილს?

სამსონ. იმას, რომ საქმე თქვენ მოგიგიათ! სუდის გადაწყვეტით მამული თქვენ დაგრჩენიათ!... მომილოცავს!

გრიგოლ. (სიხარულით) ნუ ხუმრობთ! მაშ ეს სეკრეტრის წიგნი რაღა არის?

სამსონ. ეგ არაფერი!—გიხუმრათ, რადგან დღეს პირველი აპრილია!

გრიგოლ. იმე! უმადური ამყოფოს ღმერთმა და უგვერდული მაგისთანა ხუმრობისათვის, მე-კი გული გადამიტრიალდა და!... (სიხარულით) ეჰ, რა გაეწყობა, მადლობა ჩემს იესო ქრისტეს! მე ეს ყოველივე სასწაულად მიმაჩნია! ვენაცვალე მის ძლიერებას, მე ამის ღირსიც არა ვარ!... ახლა, შვილო, ყოველივე შენ იცოდე, შენი დის მზითევიც შენზე მომინდვია, შენ იცოდე და ალექსანდრემ... მე აღარაში გავერევი.

სამსონ. როგორ თუ მზითევი? რაზე ბრძანებთ მაგასა?

გრიგოლ. რაღამც თქვენი წიგნი მებოძა, რომლითაც უარს მითვლიდით ნინოზე, აგერ ამ კაცს მივეცი ჩემი ქალი. ისემც ღმერთმა ბედნიერება თქვენ მოგცეთ, საბედნიეროდ ახლა მე ის მიმაჩნდეს და ესენიც გახარებულნი იყვნენ... (თავისთვის) აცა! აცა! ვერ მოგიწანწკლე გული, შე პლუტო?

სამსონ. (შეწუხებით) რასა ბრძანებთ? როგორ ვერ მიხვდით, რომ ვიხუმრე, რადგანაც პირველი აპრილი არის დღეს, და ასე მალე როგორ მოვიფიქრებდი... მასთანაც ნინოს ასე ვუყვარვარ... რა ვიცი... როგორ დავიჯერო?...

გრიგოლ. (პუბლიკას) ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ! რა პლუტი ყოფილა, შენი ჭირიმეთ! კიდევ უნდა, რომ თვალსა და ხელ შუა მომატყუოს... (სამსონს) რაღა გაეწყობა! ყოველივე ღვთის ნება ყოფილა, ვენაცვალე მის ძლიერებას! უმისოდ ხის ფოთოლიც არ ჩამოვარდება, არა თუ ქალი გათხოვდეს.

ნიკო. ხუმრობა კი არ გეგონოსთ, ბატონო კაპიტანო! (დაცინვით) პირველი აპრილი რომ არის, გთხოვთ ქორწილში გვეწვიოთ,—უთქვენოთ კი უკეთესი იქნება (თავს უკრავს).

სამსონ. მე არა მგონია, რომ ნინოს გული შეცვლილიყოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო. დიახაც არა! დარწმუნდით, რომ ეს გული არაოდეს არა ყოფილა თქვენი ერთგული და ამის მოლალატე. (ხელს ადებს ალექსანდრეს, დაცინვით) უმორჩილესად გთხოვთ, ნუ გამცვლით თუთუნში, ნურც ჯილდოებში! (თავს უკრავს. ყველანი თავს უკრავენ და მიდიან მეორე ოთახში).

გამოსვლა მე-5-ე

მარტო **სამსონი**

სამსონი. (დიდხანს დაფიქრებული და შეწუხებული მისჩერებია პუბლიკას) ვოტ სკვერნოე პოლოჟენიე! აბა ეს არის ახირებული მდგომარეობა! აჰა! ზაბრაკოვალი, კაკ კავალერიისკუიუ ლოშად! ურგები ცხენივით დამიწუნეს!... ეს სულ იმ თერგდალეულის ბრალია!... ეტო პოდლო!... რა ამბავი მომაყენეს!... (დაფიქრდება). ეჰ, გულს რათ ვიტეხ? ჩტოჟ ტაკოე? ქალს ვინ დამიკავებს, ცოლს როგორ ვერ შევირთავ? ნინო თუ არ იყოს, კატო იყოს! კატო ნუ იქნება, სალომე ხომ იქნება? ქალი ყველა ქალია, სულ ერთია... მე დღეს ჩვენში ქალი ძვირად მეგულება, რომ ცოლობაზე უარი მითხრას, პირიქითაც შემეხვეწებიან მათი დედმამები... მაგრამ დღეს კი ამომაძუებინეს, დამაბრუნეს შტურმიდან, ატბოი დამაკვრევინეს, რალა გზა მაქვს, რომ არ წავიდე? ნალევა, კრულომ მარშ! (დატრიალდება, მუზიკას დაუკრავს პირით და მარშით მიდის. ფარდა დაეშვება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადვოკატის დილა

(1871)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვოკატის დილა.

ადვოკატი. (დადის გაჯავრებული) დალახვროს ღმერთმა ჩემი უხეირობა!... ეს რა მემართება?!... როცა საჭირო არ არის, საზოგადოდ, მაშინ-კი ეს ჩემი ენა ჩემ ნებაზე პირში ველარ დამიკავებია: წალმაუკუღმა, მინდა თუ არა, მაინც, საათის გუგულივით, პირიდან მიხტება; და, როცა საჭიროა, მაშინ კი სასას მიეკვრის ხოლმე!... ეს სულ მიუჩვევლობის ბრალია. გამიგონია: კარგი მონადირე ჯერ უბრალო ნიშანზე დაგერშავს ძაღლებს და მერე ნამდვილ მხეცებსაც მოუტევებსო. მოდი ერთი, მეც ისე მოვიქცევი (სტოლის უკან დადგამს სამ კრესლოს, შიგ მუთაქებს ჩააყუდებს, თვითონ წინ დაუდგება და მოჰყვება)

ბატონო მსაჯულებო!

თქვენი გულმოდგინება და ბეჯითობა, როგორც საზოგადოდ ყოველ შემთხვევაში, ისე დღესაც ამ საქმეში მით უფრო მოსაწონი და შესანიშნავია, რომ დღევანდელ გამოძიებას თქვენ გუშინდელი განჩინებითვე წინაუსწრებთ. უსწრებთ, მაგრამ მოთმინება-კი მაინც იმდენი გაქვსთ, რომ დღესაც, თუმცა საჭირო კი აღარ გახლავსთ, მაგრამ მაინც კიდევ ყურს უგდებთ გამოძიებას და დიდის ფორმით ასრულებთ ფორმებს.—მეც, ამ შემთხვევაში თქვენი მიმბაძავი, ჩემი ჯიბის საწყლის ფულებით გამტენი და თანვე სრულიად დარწმუნებული ჩემს „გინდვიყო-გინდარაობაზე", მაინცდამაინც „ვიტყიპინ-სიტყვაობებ", რადგანაც მითი ნუგეში ეძლევა ჩემ კლიენტს. დეე, მოტყუვდეს ცოტა ხნის იმედით მაინც, რადგანაც საზოგადოდ ბედნიერება მომატყუებელი იმედია. მეც, ბატონო მსაჯულებო, იმედი მაქვს, რომ ამ ჩემ ლაპარაკს ყურს დაუგდებთ და ჩვეულებრივ არ მოინდომებთ დამ... (შემოდის მსახური).

მსახური. ბატონო! მთხოვნელები გიახლენ და დიდი ხანია იცდიან, მიიღებთ, თუ დავითხოვო?

ადვოკატი. სულელო! დათხოვა როგორ შეიძლება? ჯერ ეს მუთაქები მიალაგე და მერე თითო-თითოდ შემომგვარე! წადი!...

მსახური. ერთის მეტი აღარავინ დარჩენილა, ბატონო! იცადეს, იცადეს და ბოლოს, რომ მოეწყინათ, გაუდგენ გზას შინისაკენ. ხვალ-კი გიახლებიან. ერთი ვიღაც მღვდელიც გახლდათ, მაგრამ იუკადრისა: მეფურნე თათართან ერთად მოცდა არ მეკადრებაო და იმანაც გასწია... თათარსაც პურის ცხობა უგვიანდებოდა. ერთიც ქალი გახლდათ. ქალს, ბატონო, საყვარელი ჰყოლია, იმ საყვარელს კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა საყვარელი, იმ საყვარელსაც კიდევ სხვა და ამასაც კიდევ სხვა! გვიანობამდის ვერ შეუტყვიათ; დღეს-კი მოსვლიათ ერთმანეთში ხარხაზი და ერთმანეთი აუწიაქებიათ! ახლა, ბატონო, იმ საწყალმა ქალმა ყველას დაასწრო თქვენთან ხლება, თორემ ხვალ ყველა ერთად აპირობს მოსვლას და თქვენ უნდა...

ადვოკატი. ოჰ! ოჰ! კარგი! კარგი! შენ თუ სალაპარაკო იშოვე, ხომ აღარ გაათავებ? გადი და შემოიყვანე, ის ერთი ვინღაც არის!

მსახური. ვინღაცა კი არა, ჩინებული აზნაურშვილია, შე დალოცვილო! ფულებიც ბლომად მოიტანა. მეო, ასე მოგახსენათ, ოღონდ კი ნუ....

ადვოკატი. ოჰ! ოჰ! ოჰ! გაათავე! მორჩი! თვითონ მეტყვის, რაც უნდა.

მსახური. თქვენი ნება გახლდესთ! მე მხოლოდ იმას მოგახსენებ...

ადვოკატი. კაცო! ქრისტიანო! დამანებე თავი! არ გესმის?!...

მსახური. კი, ბატონო, გიახლებით, მაგრამ მე ვითომც მინდოდა ადრევე მომეხსენებია თქვენთვის, თორემ მე ხომ ჩემთვის...

ადვოკატი. აღარ მომშორდები? ვერ ხედავ, რომ შენს გუნებაზე არა ვარ?

მსახური. (მიდის) ეს დალოცვილი ხმას რომ არ ამოაღებინებს კაცს! სანამდის სიტყვას იტყოდე, მანამვე გაჩუმებს!...

ადვოკატი. (მარტო) ამდენი ლაპარაკი რომ კაცს არ მოსწყენოდეს, გაგონილა?! მთელი დღე მთხოვნელებთან ქაქანებს და მაინც ვერა ძღება ლაპარაკით; მოდის და აქაც მაწუხებს! ე რა სნეულებაა?!... ვგონებ, სადღაც ქადაგადა მჯდარა!... (შემოდის მოხუცებული აზნაური)

მოხუცი. (მიწამდის თავს უკრავს) ბატონი ჩემი აცოცხლა ღმერთმა!

ადვოკატი. გმადლობთ! ღმერთმა ნუ მოგვიშალოს თქვენი თავი! დაბრძანდით!

მოხუცი. რატომ იკადრებთ, შენი ჭირიმე?... გიახლებით! (ჯდება, სიჩუმე) როგორ მშვიდობით ბრძანდებით, ჩემო ხელმწიფე ბატონო?...

ადვოკატი. გმადლობთ!... თქვენ ვინ ბრძანდებით?

მოხუცი. თქვენი მონა მოსამსახურე! ბრეგვაძე გახლავართ, ჩემო ბატონო!...

ადვოკატი. რა საქმე გაქვსთ? ხომ საქმეზე ბრძანდებით!...

მოხუცი. გახლავსთ ცოტაოდენი საქმეც!—მე, ჩემო ბატონო, ისეც უნდა გხლებოდით თქვენის ბრწყინვალების სანახავად, უსაქმურადაც, მაგრამ ღმერთმან ჰკითხოს ჩემს უძლურებას... (ცოტა ხნის შემდეგ) დედათქვენი და მამათქვენი ხომ მშვიდობით სუფევენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვოკატი. გმადლობთ, გახლავან ისინიცა!...

მოხუცი. კეთილი!... თქვენი დები? თქვენი ძმები? როგორ ბრძანდებიან?

ადვოკატი. გმადლობთ, ისინიც კარგად გახლავან! თუ უკაცრავად არ გახლდეთ, საქმე თუ რამე გაქვსთ, მიბრძანეთ, თორემ ამდენი დროც აღარა მაქვს.

მოხუცი. მოგახსენებთ, კი შენი ჭირიმე! მისი რიგიც ვიცით! (ცოტა ხნის შემდეგ) თქვენი ბატონი მეუღლე და შვილებიც ხომ ღვთის მადლით ბედნიერად სუფევენ?

ადვოკატი. გმადლობთ! გმადლობთ!...

მოხუცი. ხომ კი გყავსთ, ბატონო, ცოლ-შვილი?

ადვოკატი. (სიცილით) როგორ არა!...

მოხუცი. კეთილი! ისემც კარგი დაგემართოსთ!... ბედნიერი ბრძანდებით. კარგი ცოლ-შვილი გყავსთ, ღმერთმა ნუ მოგიშალოსთ მათი თავი და...

ადვოკატი. ბატონო, თუ საქმე გაქვსთ, მიბრძანეთ!...

მოხუცი. მოგახსენებთ, ჩემო ბატონო, იმასაც თავის დრო ექნება!...

ადვოკატი. კი, ბატონო, მაგრამ მე არა მაქვს მაგოდენი დრო!

მოხუცი. მოგახსენებთ!... ჯერ მინდა თავი გაგაცნოთ! მე თქვენ ვერ მიცნობთ, თორემ მამათქვენი დიდი მწყალობელი გახლავსთ ჩემი. იმდენი წელიწადი თქვენ გასძეხით, რამდენი ყანწი ღვინო თქვენს ღამისთევაში ჩვენ სირისკუდზე დაგლიეთ! თხუთმეტი ღამე გავათენეთ მოლხენით!... იმდენი სიცოცხლე თქვენ, რამდენი ცხონებულმა თინათინ გამდელმა ჩვენ გვაცინა!... მან ხომ სახელის დამახსოვრება არ იცოდა და მე ბრეგვაძის მაგიერ რეხვაძეს მეძახდა და ვიხოცებოდით სიცილით! ძალიან მოლხენაში გახლდით. ერთობ! ერთობ!...

ადვოკატი. კარგია ძველი ამბების მოგონება, როცა კაცი უსაქმურად არის და...

მოხუცი. ისემც კარგი დაგემართოსთ!... ცხონებული ბებიათქვენი რა გახარებული იყო, თავზე რომ დაგჩერებოდათ, და კიდევაც ემართლებოდა: თქვენმა სიცოცხლემ, რომ ბევრს მოესწრებივარ და თქვენისთანა მშვენიერი ყმაწვილი ამ ჩემს თვალის კაკლებს არ ენახოს!... მაშინვე გეტყობოდათ, რომ დიდი კაცი შეიქნებოდით!... კი, ჭეშმარიტად!

ადვოკატი. (ვითომ იცინის) ჰო! აწ სხვა მიბრძანეთ რამე! რაღა მოსაგონია ეგეები!...

მოხუცი. ოხ, თქვენმა სიცოცხლემ, ღირს; მოსაგონად კი არა, დაუვიწყარი საქმეა! იმე, დიდება შენს სახელს, ღმერთო! ამხელა იყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი, აი! (ხელით უჩვენებს) და ყვიროდით: „აღუ! აღუ!“ ვინ იფიქრებდა მაშინ, თუ ერთს დროს მე თქვენ მოგეხვევოდით მუხლებზე და თქვენის წყალობით საქმეს გავირიგებდი.

ადვოკატი. (სიცილით) ჯერ რა იცით, გაგირიგებთ, თუ არა? ეგეზა ვერ გაგირიგო!...

მოხუცი. ახ, მაგას ნუ მიბრძანებთ, ღმერთი გადღეგრძელებსთ! რაკი ღმერთმა თქვენისთანა კაცი კი მომაგნებია...

ადვოკატი. მაშ, მიბრძანეთ, რაში მდგომარეობს თქვენი საქმე? რამ გაგსარჯათ?

მოხუცი. (ახველებს) მოგახსენებთ, შენი ჭირიმე! (ზეზე წამოდგება და იქით-აქეთ ათვალიერებს) თუ უკაცრავად არ გახლდეთ, საიდუმლოა და მეორე ოთახში გავიდეთ!

ადვოკატი. რა საჭიროა? არც არავინ აქ არის, ამ ოთახში, და არც არავინ იქ; ორივე ცალიერია და სულ ერთი არ არის, სადაც უნდა მითხრათ? ვერავინ გაიგებს!

მოხუცი. კი, ბატონო, ბაგრამ იმ ოთახში მაინც უფრო მოხერხებული იქნება!

ადვოკატი. უკაცრავად, მაგრამ საქმის ოთახად ესა მაქვს დანიშნული და აქ ბრძანეთ!

მოხუცი. რა გაეწყობა! (მიიხედ-მოიხედავს) თუ უკაცრავად არ გახლდეთ, ეს ისეთი საიდუმლოა, რომ საჭიროა ჩვენს მეტმა არ იცოდეს სხვამ და, თუ შეიძლებოდეს, ჯერ შემომფიცეთ!

ადვოკატი. როგორ თუ შემოგფიცოთ? რაზე უნდა შემოგფიცოთ? ეგ სად გაგონილა?!

მოხუცი. უკაცრავად ნუ ვიქნები და ხუთიც დამიფიცებია ადვოკატი ხატზე, მაგრამ თქვენ ვერ შემოგკადრებთ იმ ფიცს და იმ ხატს, ე. ი. წმინდა გიორგის! თქვენ რუსულ ფიცსაც დაგჯერდებით, ე. ი. ჩესტნი სლოვის ხატზე თუ სიტყვას მომცემთ...

ადვოკატი. (იცინის) თუმცა სხვას-კი არ გავაბედვინებდი, მაგრამ თქვენს მოხუცებულობას ვდებ პატივს და ამასთანაც, რადგან ჩემი ღამის მთეველი ბრძანებულხართ, გეთანხმებით: მე გამიწყრეს ჩესტნი სლოვის ხატის მადლი, თუ თქვენი საიდუმლო გაგიმხილოთ!... ახლა ბრძანეთ!

მოხუცი. ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ, ჩემო დიდო ხელმწიფევ, ბატონო!... მე, ბატონო, ერთი გიჟი ძმა მყავდა. ეს თორმეტი წელიწადია, რაც რუსეთში იყო პოლკში; ჩვენ თითქმის გადავიწყებულიცა გვყავდა; შარშან ჩამოვიდა და ახლა მამულს მედავება!...

ადვოკატი. როგორ თუ გედავება? თორმეტის წლის შემოსავალის წილს, თუ რას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი. არა, ბატონო, მაგას რავა მთხოვს! „მამული გამიყავიო!“

ადვოკატი. მერე რას ეუბნები?

მოხუცი. არ მინდა, რომ მივცე ღვთისა და თქვენის წყალობით!...

ადვოკატი. რათა? განა მკვიდრი ძმა არ არის?

მოხუცი. კი, ბატონო, მაგრამ მაინც არ მივცემ, თუ თქვენც მწყალობელი მეყოლეთ!

ადვოკატი. რას ემართლებით?

მოხუცი. როგორ, რას ვემართლები, შენი ჭირიმე? თორმეტი წელიწადი ჩემი საკუთრება მეგონა, შევეჩვიე და ახლა კი გული როგორ დავიწყვიტო? ცოდვა ვარ!

ადვოკატი. ის კი განა არ არის საცოდავი?

მოხუცი. ის რათ იქნება, შენი ჭირიმე? იმან რუსული ლაპარაკი იცის!...

ადვოკატი. მერე რა გაარიგოს იმ რუსულით? შეწვას, თუ მოხარშოს?

მოხუცი. მაგას ნუ ბრძანებთ! .. ნეტაი, თქვენი კარგად ყოფნით, ის ვიცოდე და კვირაში ერთი იჯრის მეტს არა ვჭამ!

ადვოკატი. იმასაც პარასკეობით მხოლოდ! განა?

მოხუცი. აგრე იქნება, შენი ჭირიმე!... ახლა რას ბრძანებთ, შენი ჭირიმე?

ადვოკატი. იმას, რომ კანონის წინააღმდეგი საქმე გიფიქრნიათ!...

მოხუცი. კანონით რომ ის მართალია, ეს მეც ვიცი, მაგრამ თქვენისთანა სწავლული ატუნკატი, როგორც იქნება, მოაკვარაჭინებს საქმეს სხვებ...

ადვოკატი. ვერა მგონია!... ტყუილად ნუ ჰფიქრობთ!... ძმას უფლება აქვს....

მოხუცი. კი ბატონო, მაგრამ, აი, ახლა, რა უნდა მოგახსენოთ (მიიწევს სკამს და საიდუმლო ხმით): იმ ჩემ ძმას მეტრიჩევი არა აქვს და მე ქალალდს შევიტან, რომ უკანონო შვილია-თქო და, თუ საჭირო იქნება ამის დამტკიცება, იმასაც მოვახერხებ.

ადვოკატი. როგორ? როგორ?

მოხუცი. როგორ-და ბარე თორმეტი კაცი და ერთი მღვდელიც მზადა მყავს: დაიფიცებენ, რომ უკანონო შვილიაო, და მაშინ ხომ მოვიგებ საქმეს?

ადვოკატი. უკაცრავად, მაგრამ მაგგვარ საქმეს მე ხელს არ მოვკიდებ; ეს ძალიან უკანონო და უსინიდისო საქმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი. კი ბატონო! უკანონო რომ გახლავსთ, მიტომაც გიახელით თქვენისთანა ატუნკატთან, თორემ საართალ საქმეზე რაღა ატუნკატი მეჭირვება?!...

ადვოკატი. მე არ ავიღებ მაგ საქმეს!...

მოხუცი. რატომ, ჩემო ხელმწიფევ? ხელცალიერი კი ნუ გგონივართ! აი ესეც თქვენი გასამრჯელო ამ თავით და მერე სხვა იყოს! აქ ოცი თუმანია.

ადვოკატი. სხვასთან მიბრძანდით და მე-კი არაფრის გულისათვის არ მოვკიდებ ხელს მაგგვარ საქმეს!...

მოხუცი. აბა, შე დალოცვილო, ტყვილად გვიხარია თქვენი გამოზრდა?

ადვოკატი. ეგ თქვენ იცით, მაგრამ მე-კი მაგგვარ საქმეში არ გავერევი.

მოხუცი. თქვენი ნება გახლდესთ! სხვები პირაქეთაც შემომეხვეწებიან.—მშვიდობით ბრძანდებოდეთ! უკაცრავად, რომ თავი შეგაწყინეთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სცენა საპატიმროში

(1872)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენა საპატიმროში

(სცენა წარმოადგენს საპატიმროში ბნელსა და მეტად მყრალ ოთახს, სადაც ტუსაღები სხედან იატაკზე და დაბალი ხმით „ჩაი-რამას" მღერიან; ერთი სათვალავს ამბობს და სხვები ბანს აძლევენ)

„აქედან და ციმბირამდე
დიდი ბიჯი იქნება,
ვინც იმას გადმოაბიჯებს,
მარჯვე ბიჭი იქნება!...

მაგრამ იქით წასულები
ალარვინ დაგვბრუნებია...
ეტყობა, რომ იმერეთი
ყველას დაუწუნებია!...

ტუსაღს რომ მოიკითხავენ,
წაუკითხვენ დავთარსაო,
ეტყვიან: „სიცხე გახურვებს
აქ? იქ ნახავ ზამთარსაო!

ცოტა დაუდგრომელი ხარ,
ჩქარი ხარ და ფეხმალიო,
მაგრამ მაგაზე ნუ ფიქრობ,
ვიცით მაგის წამალიო".

რკინის საცმელს მოართმევენ,
რბილად ფეხებში უყრიან,
ზურგზე საგზალს მოჰკიდებენ,
თავსაც მძიმედ დაუხრიან.

მოახსენებენ: „გავწმინდეთ
ჩვენ ჩვენი ანგარიშიო!
ჩვენ შენი ხათრი ალარ გვაქვს,
და ნულარც შენ გაქვს შიშიო!

სიცილით დაადექ გზასა!
რაღა გაქვს მოსაწყენიო?
ქვეითად მიტომ გისტუმრებთ,
რომ არ დაღალო ცხენიო.

თოფიან ჯარსაც გაახლებთ,
სარდლობა დაგშვენდებაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზე, სად დაგიღამდება,
იქ არ გაგითენდებაო.

ახლა გვიბოძე სალამი,
გამოგვეთხოვე ყველასო!
ნურც შენს მსაჯულებს დასწყევლი,
თორემ აუტეხ ხველასო!

გამოეთხოვე ცოლ-შვილსა,
გამოეთხოვე მოყვრებსო!
ესალმე ადვოკატებსაც,
თქვენსა ვერაფრათ მომხრებსო!"

(ათავებენ სიმღერას და დიდხანს ყველა ჩაფიქრებულია, ხმას არავინ იღებს. ერთი ტუსაღი, რომელიც აქამდე ფანჯარასთან იდგა და არაფერ მონაწილეობას არ იღებდა სხვების სიმღერაში, ამოიოხრებს და იტყვის)

— მაგაზე უტკბესი და უსიამოვნესი არაფერი გამღერათ ჩემმა გამჩენმა!... რაღა თქვენი გულის ხეთქვა მეჭირვება? მაგრამ ეს სულ შენი ბრალია, იაკობაშვილო! გარეთაც ჩემი მტერი იყავი და აქაც ალარ მასვენებ! არ იცი, რომ ხვალ ჩემი განკითხვის დღეა?

იაკობაშვილი

რომ ვიცით, ჩემო ხარაიშვილო, კიდეც მიტომ გიმღერით გამოსათხოვარს. რაც წესათ გვაქვს დადებული, შენთვის ხომ ვეღარ მოვშლით? ზასედანიის წინადღეს ყველას ვუმღერით ხოლმე ამ ძილისპირებს. მეც მიმღერეს, მაგრამ შენსავით კი არ მიკვინტავს!

მოხუცი ტუსაღი

შენ, ეგება, არა გწყინდა, ჩემო ძმაო! ყველა ხომ ერთი არ არის? ხომ გაგიგონია: „კაცია და გუნებაო, თორემ სამოცი წლის ბებერს რაღა ეხრაგუნებაო?"

იაკობაშვილი

ეჰ, ჩემო ძმაო, ბევრს არ ეხრაგუნება, მაგრამ ძალათი ახრაგუნებიებენ! შენ, ჰეი, ხარაიშვილო, დამიჯერე, ჭკუას მოეგე! ჯავრმა თავი არ წაგართვას, თორემ ცუდათ მოგივა საქმე! მოდი აქ, ჩვენ ვიმღერებთ და შენ მოგვბანე.

ხარაიშვილი

შენს ყველაყას მობანე შენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობაშვილი

რა გულზე ხარ, შე ოხერო? გეუბნები: ბანი გვითხარი-თქო! მეტი ხომ არა მითქვამს რა? მოიცა, შვილო, და ხვალ ნახავ შენ სეირს: ბანსაც გათქმევინებენ და მოძახილსაც! მაგრე აღარ გადიდგულებენ!

მოხუცი

დაანებე, ბიჭო, თავი! ხომ ხედავ, რომ შენი ხუნტრუცის გუნებაზე არ არის? (წამოდგება და მივა ხარაიშვილთან) რა გემართება, ბიჭო? მე მეგონა, თუ კაცი იყავი და ქუდი გეხურა, მაგრამ დედაბერი ყოფილხარ და თავზედაც ლეჩაქი გხურებია! მაგრე როგორ წავხდე!? შენი საქმე ჯერ კიდევ ღმერთზე ჰკიდია. მე მაშ უნდა ვირეოდე, რომ ოცი წლის კარტეჟში მაკვრევინეს თავი?

ხარაიშვილი

შენი საქმე, ჩემო ძმაო, სულ სხვა არის! შენი საქმე გათავებულია და იმედიც დაწმენდილი გაქვს. საბრალო მაშინ არის კაცი, როდესაც მის გულში უიმედობა და იმედი ერთმანეთს ეჭიდებიან! მაშინ შფოთავს კაცის გული, თორემ, რაკი იმედი გადაწყდება, მაშინ რალა აქვს საშფოთავი?

მოხუცი

ეგ კი მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ ფიქრი არ არის, ღმერთი მოწყალეა!

ხარაიშვილი

ხედავ ამ ქაღალდს პროკუროვისას, რავა კიბესავით გაუგრძელებია?

მოხუცი

მაგის ფიქრი ნუ გაქვს. ბარე ორი მინახავს პროკუროვის ქაღალდი, რომ იმ ერთ რამესავით ძალიან გაგძელებული ყოფილიყოს, მაგრამ მალე დამოკლებულიყოს ისევე! ადვოკატი ვინა გყავს? ზეპირი ადვოკატი ხომ არა? ის კარგია, ბიჭო, ყველა კანონი თურმე ზეპირად იცის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარაიშვილი

ვთხოვე, მაგრამ ჯერ კი არსადა ჩანს! ვაი, თუ უარი მითხრას! მადლობა ღმერთს! არ გამიკვირდება ჩემი ბედისაგან! ერთი ეს მითხარი, ძამიაშვილობას, შენ გამოცდილი ხარ და მინდა შენგან მეც ვისწავლო და ხამათ არ წარვდგე სუდში: შენ რომ მოგიყვანეს, როგორ მოგექცენ და რაები გკითხეს?

მოხუცი

მომიყვანეს თუ არა, შემაგდეს ხარიხებიან გალიაში და მიბრძანეს: აქ დაჯექიო! ზალა სულ მაყურებლებით გაივსო. ცოტა ხნის შემდეგ გამობრძანდენ მსაჯულები და სამივე წითელი სტოლის უკან დაბრძანდენ. ერთი, რომელიც უფრო მოყვანილი იყო და საშიში შესახედავი, შუაში დასვეს. პროკუროვი ცალკე დაბრძანდა, მარჯვნივ, საკუთარ სტოლზე, და თავისი საკუთარი კანონებიც წინ დაიწყო. ჩემი ატუნკატი კი შუაში გამოიჯგიმა ფალავანივით და ხან მე მანიშნებდა თვალით: „ნუ გეშინია, აქა ვარო!“ და ხან პროკუროვს უყვრიალებდა თვალებს: „მაცა მე შენო!“ ემუქრებოდა. ბოლოს შუაში რომ მსაჯული იჯდა, იმან მკითხა ჩემი ვინაობა, გაცნობა მოინდომა, მამის სახელიც მკითხა და, ყველა რომ მოვახსენე, ისიც მკითხა: დამნაშავე ხარ თუ არაო? რასაკვირველია, იმას არავინ იტყვის, რომ დედაჩემი კუდიანიაო! რათ ვეტყოდი: დანაშაული მაქვსმეთქი?! მაშინ წამიკითხეს პროკუროვის განჩინება, კითხეს მოწმეებს და, რომ გაათავეს, წამოდგა ის ჩემი ცოდვით სავსე პროკუროვი და მოახსენა მსაჯულებს: „ამ ჩემს მოჭედილს საყელოს ხომ ხედავთ, ნამსახური კაცი ვარ, პატივსაცემიო,—და ახლა ეს ერთი თხოვნა ამისრულეთ და ეგ კაცი მე მაჩუქეთო! აქ ხალხი მაინც ბევრია და მაგას იქ გავგზავნი, სადაც ხალხი ცოტაა და მიწა კი ბევრიო“. ამაზე ჩემმა ატუნკატმა მიაძახა: „ვერ მოგართვიო!“ და მერე მიუბრუნდა მსაჯულებს ამ სიტყვებით: „მართალია, მე არ მაქვს მოჭედილი საყელო, მაგრამ ცოტაოდენი პატივი მეც დამდევით და ეგ კაცი აქ დატოვეთ, ნუ გაგზავნით ნურსად, მე მაჩუქეთო!“ ამაზე მსაჯულებმა გამოაცხადეს მოლაპარაკების შემდეგ, რომ რა ვქნათ, ორივე საპატივო კაცები ხართო და გულს ვერც ერთს ვერ დაგწყვეტთო! თქვენ ერთმანეთს შეებაასეთ და, რომელიც აჯობებთ კანონებით, ღმერთმა იმას მოგახმაროსთ ეგ ტუსაღიო! აბა, სეირი მათი ბრძოლა იყო, ბიჭო! პროკუროვმა ჩემი გასამტყუნი ორი სტატია ათიანი მოიყვანა, ატუნკატმა კი პასუხად ასიანი უთხრა! ცოტა შერცხვა პროკუროვს და იმდენი გაიჭიმა, რომ ძლივს გაჭირვებით მოიგონა, როგორც იქნა, და ათასიანი უთხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ჩემმა ატუნკატმა ათიათასიანი სტატია მიახალა გულზე! სადღა წაუვიდოდა? პროკუროვი ისე შეწუხდა, რომ სირცხვილით ხმა ველარ ამოიღო და ვაჩუმდა! მაშინ მსაჯულებმა ჩახედეს კანონის წიგნში და ნახეს, რომ თურმე ათიათასიანი სტატია როდი წერებულა მათს წიგნში და ეს განჩინება შეადგინეს: რადგანაც აქაურ კანონის წიგნებში ამისთანა სტატია არ წერია, ეს ტუსაღი გაიგზავნოს იქ, სადაც ის ათიათასიანი სტატიის წიგნი იყოსო და იქიდან გამოუშვან გამართლებულიო. ახლა გაგზავნით კი გამგზავნიან, ვიცი, მაგრამ იქიდან კი დამაბრუნებენ? ატუნკატიც ასე მეუბნება... (ამ დროს შემოდის ადვოკატი და ყველა იმას ეხვევა გარს)

ადვოკატი

გამარჯობა თქვენი! ხარაიშვილი რომელია თქვენში?

ხარაიშვილი

მე გახლავარ, შენი ჭირიმე, ღმერთსავით თქვენი მომლოდინე!

ადვოკატი

შენა ხარ? ჰო!... აქამდის მოვიდოდი, მაგრამ სუდში ზასედანია მქონდა. ერთი ქურდის ადვოკატი ვიყავი და იმან დამაგვიანა. იმას კი ვუშველე, როგორც იქნა, მაგრამ მისი უხეირობით კინაღამ თავიც გაიუბედურა და მეც შემარცხვინა! კიდევ კარგი, რომ მოხერხებული ვარ, თორემ, სხვა ადვოკატი რომ ყოფილიყო, ველარას გაარიგებდა.

ტუსაღები

როგორ, შენი ჭირიმე?

ადვოკატი

როგორა და, უხეირო რომ გამოვა ზოგიერთი კაცი: ცხენის მოპარვას ეწამებოდენ და იმან არ დამიჯერა, გამოტყდა! ჯერ-კი შეეჩერდი, მაგრამ მერე-კი მაინც მოვუხერხე გამართლება.

ტუსაღები

იმე! რასა ბრძანებთ!... როგორ-ღა მოუხერხდებოდა გამართლება?! როგორც გამოტეხილა, გაწყრომია ღმერთი და ის არი! გათავებულა მისი ალიან-ჩალიანი! ადვოკატმა რალა ჰქნას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვოკატი

როგორ თუ რა ჰქნას? ადვოკატი მიტომ ჰქვიან ადვოკატს, რომ ყოლიფერი უნდა მოახერხოს, დამნაშავე უნდა გაამართლოს, თორემ მართალი თავისითაც გამართლდება.

ტუსაღები

ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, ჩემო ბატონო! ეგ ბეჯითი ბრძანებაა!

ადვოკატი

რასაკვირველია. აი ეხლა ის ქურდი რომ გამოტყდა, გამოძიებას თავი დაანებეს და განჩინების წერა დაიწყეს. ჰკარგავდენ ციმბირში, მაგრამ მე აღარ ვქენი: ვამტკიცებდი, რომ ეს არ არის ქურდი მეთქი. როგორ არ არის, თვითონ გამოტყდაო? არა მეთქი, ვუთხარი, ჯერ ეს მიბრძანეთ: ცხენი აიკიდა ამ კაცმა ზურგზე და ისე მოჰქონდა, თუ ცხენს აჯდა ზურგზე მეთქი, ცხენს მოჰყავდა მეთქი? —ვკითხე მსაჯულებს.—რა თქმა უნდა, რომ ცხენს მიჰყავდაო,—მიპასუხეს. მაშ ცხენს მოუპარავს ეგ და არა მაგას ცხენი მეთქი, და გასაჯეთ და გაასამართლეთ ცხენი და ამ კაცს კი თავი დაანებეთ მეთქი. ამ სიტყვაზე მსაჯულებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს, პროკურორმა ხმა ვეღარ ამოიღო. შევიდენ მსაჯულები მეორე ოთახში, მოილაპარაკეს და გაამართლეს ჩემი კლიენტი.

ტუსაღები

ქრისტემ დიდი დღე მოგცესთ! ჰოი, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! სხვისგან შველას შენს ხელში გაფუჭება გვირჩევნია! შენს იქით გზა არც ერთს არა გვაქვს! მოისმინეთ თქვენ ჩვენი გაჭირვება და, თუ ხელმოსაკიდებელი ვიყოთ, ნუ დაგვანებებთ თავს! სხვის ხელში ნუ ჩაგვყრით! და, თუ აღარა გაგვეწყობოდეს რა, წინდაწინვე მაინც გვიბრძანეთ, რომ თავი მაინც აღარ შევიწუხოთ, ტყუილი ხარჯი აღარა ვქნათ!...

ადვოკატი

კარგი! მაშ მოდით, დასხედით ყველანი და თითო-თითოდ გამოგკითხავთ ყველას და გადაწყვეტილს გეტყვით. მაგრამ მოძღვარსავით-კი უნდა მითხრათ: ისე, როგორც ყოფილა თქვენი საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუსაღები

კი, ჩემო ბატონო! რაღა დღისთვის დავფაროთ?

ადვოკატი

მაშ კარგი. აბა შენიდან დავიწყოთ. ვინა ხარ შენ?

ქართლელი

თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, ვინც გახლავართ, შენი ჭირიმე!

ადვოკატი

მე რა ვიცი! თუ მომეხსენებოდეს, აღარც კი გკითხავდი!

ქართლელი

მე, შენი ჭიიმე, მეურმე გახლავარ, გოგიტა ბასილიძე.

ადვოკატი

რათა ხარ დაჭერილი?

ქართლელი

მაგას კი ნულარ მკითხავთ, ღმერთი გადღეგრძელებსთ! ნულა მომაგონებთ მაგ საქმეს!...

ადვოკატი

აბა როგორ-ღა გავიგოთ, თუ შენ არ გვეტყვი, რათ დაგიჭირეს?

ქართლელი

რაზედ დამიჭირეს? ა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და იმაზედა, ი ჩემი ცოდვით სამსე, ი ბიჭი, რომ შამომაკვდა! აი, იმას ჰკითხოს ჩემმა ცოდვამ.

ადვოკატი

მანდედან კიდევ ვერა გამიგია-რა! ვინ ბიჭი?

ქართლელი

ვინა და ი ბიჭი—ნინიკაზე მოგახსენებ, შენი ჭიიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვოკატი

გარკვევით მითხარი: ვინ იყო ის ნინიკა და რათ მოჰკალი?

ქართლელი

ნინიკაი?

ადვოკატი

ჰო, ნინიკა! ის ნინიკა, შენ რომ მოგიკლავს, ვინ იყო?

ქართლელი

აკი მოგახსენეთ, ჩვენი ნინიკა გახლდა-თქო!

ადვოკატი

ახა, ღმერთო! არ ვიცი და მითხარი, ვინ იყო და რა იყო შენი? დაგიჯინია: ჩვენი, ჩვენი! ვინ თქვენი?!

ქართლელი

ჰო, მივხვდი, შენი ჭიიმე! ნინიკა ძმა გახლდათ ჩემი!

ადვოკატი

მერე რათ მოჰკალი? მტრობა გქონდათ ერთმანეთში?

ქართლელი

არა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მტრობა კი არა და ჩვენითანა ერთმანეთის მოყვარული ძმანი სულაც არა გხლებიათ ჩვენს კუთხეში.

ადვოკატი

აბა, რათ მოჰკალი?

ქართლელი

ღმერთმა ნუ იცის დედაკაცის თავი და ტანი! ჩემი დედაკაცის ბრალია, იმასა ჰკითხეთ! ჰოიპე, ჰოიპე, რა მახეში მე იმან ჩამაგდო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვოკატი

შენ, ჰეი, ჩემო ძმაო, თუ გინდა თქმა, მალე მითხარი და გაათავე! სხვებსაც აცდენ და მეც დროს მაკარგვინებ, თორემ მე სად უნდა ვძებნო შენი დედაკაცი! შენ უნდა მითხრა: რათ მოჭკალი და როგორ?

ქართლელი

მოგახსენებთ დალაგებით, შენი ჭიიმე. ხუთშაბათი დღე იყო. არა, არა, ხუთშაბათი კი არ გახლდათ, პარასკევი იყო... მგონია ხუთშაბათი იყო და აღარ მახსოვს კარგათ. ფუ, დალახვროს ღმერთმა!

ადვოკატი

ეგ სულ ერთია, რა დღეც უნდა ყოფილიყო. შენ ის მიამბე, რა იყო?

ქართლელი

კარგი, შენი ჭიიმე. ერთ დღეს პურის ჭამათ დავსხედით მე და ნინიკაი. ვუთხარით დედაკაცს: დედაკაცო, ცოტა შეჭამანდი გექნება და პირი გაგვისველე-თქო! წავიდა ი ღვთისაგან შეჩვენებული და ერთი ჯამი მახოხი მოგვიტანა ორთავ ზიარათ. მართალი ნათქვამია, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ დედაკაცის გაჩენაში ღმერთი არ ურევია, ეშმაკმა გააჩინაო, თორემ, რა ენაღვლებოდა ი ჩემი ცოდვით სავსეს, ორ ჯამზე დაესხა და ისე მოეტანა ორივესთვის? თითო-ორ-ორი ტაქანი რომ დავლიეთ, ი ბიჭს გავუხუმრე: ნინიკა, ჩემზე მეტს ნუ სჭამ მახოხს-თქო! იმან იწყინა და გინება დამიწყო, მეც შევაგინე; იმან აიღო და არკი ზე ცხვირ-პირზე შამასხა ი მახოხი. მეც, ვერ დავუიცავ, ცოტა ავგული გახლავარ და ამოვიღე ხანჯალი და ერთი წაუქნიე წვერით ნელა.. ი ჩემი ცოდვით სავსე ისე წამოეგო ზედ, როგორც გოჭი შამფურზე... ზიარებაც ველარ მოვასწარით, ი ჩემი ცოდვით სავსეს! მერე მეც ბევრი ვიყვირე, მაგრამ ვინლა გააცოცხლებდა, შენი ჭიიმე? კაცის სიცოცხლე ერთი წამისაა, მოგეხსენებათ.

ადვოკატი

ოხ, ეგ დიდი დანაშაულობა არის, ეგ არის კაენის ცოდვა!

ქართლელი

რა ვიცი, შენი ჭიიმე, ყეენის ცოდვაა, თუ ხვანთქრისა? მე კი აუბედურებაში ჩამაგდო ი ცოდვიშვილმა და თითონაც გაფუჭდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეც მაფუჭებს... ორივეს ცოლ-შვილი ოხრად გვირჩება! ამ საქმიდან რომ ვინმე მიხსნიდეს, ხუთი თუმანი მიბარია ამ ჩვენს მოტრიტელს და იმას მივართმევ.

ადვოკატი

რას ამბობ, ჩემო ძმაო? ხუთ თუმნად ხელის მოკიდება ძნელია მაგ საქმისა!

ქართლელი

ათი იყოს, შენი ჭიიმე, რა გაეწყობა! რაღა დღისთვის მინდა ფული?

ადვოკატი

მაგ ფულით მოჭიდებს საქმეს ხელს გლახა ადვოკატი და კარგი კი...

ქართლელი

ოლონდა თქვენ-კი იკისრეთ, და მეტსაც მოგართმევთ, შენი ჭიიმე! გუთნეულს გავყიდი და შეგისრულებთ ოცათ!

ადვოკატი

კარგი, კარგი, რაღა გაეწყობა, მე ფულის სიხარბე არა მაქვს, მაგრამ კარგ კაცს გევხარ, უნდა მოგიწყო ხელი. შეგიძლია ამირჩიო ადვოკატად! ახლა შენ მითხარი შენი ვინაობა! (მიუბრუნდება მეორე ტუსაღს)

რაჭველი

მე რაჭველი გახლავარ, არჩუაძე, ქვე ჭირი მოგჭამე! ჩემისთანა უბედური საქმე, ჭი! ჯერ ადამიანს, ქრისტიანის შვილს არ მოსვლია, ჭი! ცოტა ფულის მოსაგებათ გადმოვდგი, ჭი, ფეხი შინიდან და ერთი აღა-ხაზაინი ეგიჩემე, თვეში თუმნათ, ჭი. ყოლიფერი თანამდებობა ჩემ ხელთ იყო, ჭი: ლაქია-მსახური, პოვარ-მზარეული და ხაბაზიც სულ მე ვიყავი. გატყდებოდა რამე—მე გადამხდებოდა, ჭი, და თუ რამე დეიკარქებოდა—იმის მოპასუხეც მე ვიყავი. ერთ ღამეს ვინღაცა მგზავრები შემოვუშვი შინ, ღამე გავათევინე, იმათ კი გოუწყრათ ჩემი ბრავალძის პირ-ყვითელი და ხელებ-გაშლილი წმინდა გიორგი, ჭი! თურმე აკი, ბატონო, რაზმონიკები იყვენ! მე რას შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვატყობდი? ცხვირპირზე კი არ ეწერათ, ჭი! იმ ღამეს ჩემი ალა ხა-ზაინი სულ ერთიანათ გაქურდეს და მოორე დღეს მე მტაცეს ხელი: შენ თუ არ ერიეო, ქვე რატომ არ უყურეო, ჭი? რა რჯული სამართალია ეს, ჭირი მოგჭამე! რომელი ქურდი აყურებინებს სხვას ქურდობას?! თუ აყურებინა, ქურდი ქვე კი ალარ იქნება, ჭი, პატრონი იქნება! ქვე თუ რამეს მიშველით, ახლა თქვენ იცით, ჭი...

ადვოკატი

არა გიშავს რა შენ. აბა, ახლა შენ მოჰყევი! (მიუბრუნდება მესამეს)

ოსი

მე, სენი წილიმე, ოსი ხარ ყუდალოელი. მე, სენი წილიმე, ელთი ბიწი მოკალი, ძალიან კაი ბიწი.

ადვოკატი

რათა? რა დანაშაული ჰქონდა?

ოსი

ლა დანასაული გეექნებოდა, სენი წილიმე, ისე მოკალი, ტყვილა. სეხედე, რომ სოლს მოდიოდა და ძალიან კაი ნისანი ამოსალები იყო; უნისნე ე ცემი სასხანა, სი წიპი გკარი! ძალიან, ბატონო, ეს ცემი პატალა სასხანა ნისანი გიყვარს: ბუზი არ აცილდება, მასინვე მოგკლამს!

ადვოკატი

მაგ ერთის მეტი ხომ არავინ მოგიკლავს?

ოსი

რასა ბრძანებ, ბატონო, ლამდენმა სხვებმაც სენი წილი წაიღეს! ოხ, ბევლი კაი ბიწობა ქენი! ბევლი მოვკოხწე თავი!

რაჭველი

იმე! ქვე რას ამბობს ეს ურჯულო?! შენ-კი გაგიწყრა ჩემი ყოვლად წმინდა ხვთისმშობელი და დაგლახვროს ჩემმა სამას-სამოცდახუთმა წმინდა გიორგიმ! ქვე რა გიქნია, შე ურჯულო?! ქრისტიანები მოგიკლავს, თუ ურჯულოები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსი

ალა, სენი წილიმე, სულ კაი-კაი სენისთანა იმელელი, კოლტოხელი დაგკოხწე თავი! აი ბეცა, ბევლი კაი ბიწობა ქენი ცემი ყმაწვილობა!

რაჭველი

ქვე არ შეგხვდენია, ჭი, ჩემისთანა ბიჭი, თვარა ის-კი მოგიგრეხდა მაგ ცოდვილ კისერს, ჭი, ღვლერჭივით... ბევრს არ გალაპარაკებდა!

ადვოკატი

კარგი, კარგი, კმარა! რადგანაც გამოტეხილხარ, შენ ალარ გეჭირვება ადვოკატი, ტყვილა ნუ ამირჩევ. შენ ვინლა ხარ? (მიუბრუნდება სხვას)

მეგრელი

მე, პატონი? მერგელი გოხოლუ, ხუხუა სულგავა.

ადვოკატი

უთუოდ ცხენის ქურდობაზე იქნები დაჭერილი, ამას კითხვა ალარ უნდა.

მეგრელი

ვარ (არა) პატონი! მაგისთანა გაშლილ ქურდობაზე კაცი რავა დამიჭერდა? დიხაში მუდუსავით ჩავძვრები, წყალში ბატივით გავცურავ, ლობეს კატასავით გისხაპამ, ტყეში ტურასავით ვიძვრენ და გაქცეულს დადიანის წევარიც ვერ მომეწევა!

ადვოკატი

აბა, როგორ დაგიჭირეს?

მეგრელი

რავა, პატონი, და ერთ სომეხს დუქანი გოუხვრიტე და შევძვერი შიდ; რაც საშოვარი იყო, მოვამგროვე, მარამ ამ დრო, პატონი, ხმაურობა მომესმა; დავაპირე გამოძრომა, მარამ ორივე ნახვრეტებთან კაცები იდგენ!... წინიდან აფხოტები მოდგომოდენ და უკანიდან სომეხი, და მე შუაში გამაკვეტეს... სად წევიდოდი, პატონი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომეხი

მახლას! რა გინდოდა სომეხის დუქანში?! აგრე გირჩევნია, აი, ჩემმა მზემ!

მეგრელი

კი, პატონი, თუ მე ასთე მირჩევნია, არც შენ გაწყენს მასთე ყოფა, ჩემმა მთვარემ! შენც ჩემისთანა ტყვე ხარ, გაბერილო სომეხო.

ადვოკატი

შენ რაღათა ხარ დაჭერილი?

სომეხი

პუსტოი, კნიაზ-ჯან, სულ პუსტოი! სხვილ-სხვილი ასიგნაცი წვრილზედ აბმენიატი ვქენი! და მითხრეს, ყალბია! ვაი კნიაზ-ჯან, მე რა ვიცოდი, თუ ყალბმა იყო, მე ხომ არ მოვჭერი! მე ღეოლრაფია-ზოოლოგიამ რა ვიცი, რომ გამეკეთებია!

ადვოკატი

ადვოკატი გყავს?

სომეხი

გახლავსთ, კნიაზ!

ადვოკატი

ვინ არის? კარგია?

სომეხი

ძალიან, კნიაზის მზემ! როგორც უნდა, კანონი ისე ათამაშებს. ისე ჭიკჭიკობს, როგორც ბულბულმა! მე სხვა ადვოკატმა არ მინდა!

ადვოკატი

სადა გყავს ეგ ადვოკატი? ვინ არის?

სომეხი

აი, აქ არი, კნიაზ-ჯან! (ჯიბეზე იკრავს ხელს) აი, კნიაზ, სწორი ადვოკატი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვოკატი

კი, მაგრამ, თუ მაგ შენმა ადვოკატმა ჩემთან ბეჯითად არ მოილაპარაკა, ის მარტო თავის თავად ვერაფერს გაარიგებს! ებრაელო, შენ რალა გინდოდა აქა? ვინ ებრაელი და ვინ აქ ყოფნა? რაზე მიუწვევიხართ?

ურია

ჩემი დაბადების მადლმა—ე, სულ ტყვილა უბრალოდ დამიჭირეს—ე! ღორთა იცოდის ე, უსამართლობა მიყვეს ე, რჯულის მაოლმა ე, არა დამეშავებიოს რა ე. ერთ სალამოს—ე, კნეინებს დავიბარებიე—ე; მეც ვიახელი—ე. მიბრძანეს—ე, საქონელი გვიჩვენეო; ერთმა კნეინამაც—ე, თავისი საჯდომი დამითმო—ე, დაჯექი და ისე გაშალე საქონელი, გვიჩვენეო; მეც მადლი მოვახსენე—ე, დავჯექი და უჩვენე—ე. ბოლოს მიბრძანეს—ე, თეთრი საქონელი—ე, მიტკალი გვიჩვენეო. მე მოვახსენე: თეთრი საქონელი ერთი კარგი შტუკა გახლავსთ—ე, ცოტა თავი კი აქვს—ე, წაჭრილითქო, თორემ სხვებ—ე. დასაწუნი არ იყოს—ე, რჯულის მადლმა-თქო. იმათაც ნახეს, მოეწონათ ე, იყიდეს, მიმაზომინეს და გაშომიშვეს—ე. თურმე ნუ ბრძანებთ—ე. ზომა შემშლოდა—ე, და არშინზე თითო გოჯა დამეკლო—ე. მეორე დღეს—ე, მისმა ქმარმა მიჩივლა—ე: ცოლი გაშიბრიყვა, არშინშიაც მოატყუა—ე, და საქონელიც დამპალი შამოაპარაო—ე. ამისთვინ დამიჭირეს შვიდი დღის ვადით—ე, რჯულის მადლმა, ღორთა იცოდეს, სულ უბრალოთ—ე!...

ადვოკატი

მეორეზე ნულა დააკლებ თითო გოჯას, თორემ უციმბიროთაც ვერ მორჩები! ახლა კი კიდევ კარგად გადარჩენილხარ! შენ ვილა ხარ? (სხვას)

იმერელი

მე, შენი ჭირიმე, იმერელი გახლავარ, ივანიკა ხელიკიაშვილი. ქვემოური ყაძახი!

ადვოკატი

კაცი მოჰკალი შენცა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერელი

იმე! რას მიბრძანებთ, ღმერთი გადღეგრძელებს, ბატონო, კაცს ქე რავა მოვკლავდი, შე დალოცვილო, ქათამი ხომ არ იყო?! ფარსაგი სული, ძონათლული ქრისტიანი, კაცს რავა გამოიმეტებს სასიკვდილოთ? ეშმაკი, კუდიანი, ქაჯი და ჭინკაც არ მოკლავს კაცს, ისთე თუ გააფუჭებს, თვარამ, მე რავა გევიმეტებ ადამიანს?! ჯვარი აქოურობას! (აფურთხებს) ჩვენს სოფელში ერთ წელიწადში დიდი სიკვტილიანობა გახლდათ, ჩემო ბატონო. ისთე ეყრებოდა ხალხი, პანტასავით!... ოჯახი არ დარჩენილა, რომ კვტარი არ ყოლოდეს ერთი მაინც. ხოლვერა არ იყო, ბატონებს არა გავდა, ვენაცვალე მათ ძლიერებას, და ცივებ-ცხელების ნიშან-წყალი სულ არ ჰქონდა იმ ძალვან სნეულებას. დევიბენით — შენი მტერი დაბნეულა! — უვეზდის დოხტურიც კი მოგვივიდა, მარამ მათი ამბავი თქვენც კი მოგეხსენებათ: თავი რომ ტკიოდეს კაცს, ფეხზე ადებენ წამალს და, რომ მოკვტება, „პრაჩაითო", ეტყვიან. იმათი წამლობა ფორმაა და ჩესტი, სხვა არაფერი. თქვენი თავი ნუ მომიკვტება, მე თითვან ვნახე ჩოლოქის ომში ერთი კაცი, ორივე ხელები გაგდებული ქონდა და, დოქტორი რომ მოვიდა, მაჯის ნახვა მოუნდომა! ფორმაა მათი, ჯვარა ისთე კი არა. არა, ბატონო, თუ კაცს თავი არ აქ გამომეტებული, იმათ რავა მიიკარებს საჭირ-ბოროტოთ! ჩვენ დავანებეთ თავი დოხტურს და დეეკითხეთ მკითხავს. იმან, მოგეცა ღვთის წყალობა, მართალი გვითხრა: თქვენს სოფელში კუდიანები ყოფილან გახშირებული და ისინი არ-თმევენ კაცებს გულღვიძლს და ბრუსაბძელაზე მიაქვთ ზაკუშკათ როკაპთანაო; ისინი დადაღეთ და აღარავინ მოკვტებაო! დავბრუნდით ჩვენ სოფელში, მოვაგროვეთ, რაც იმ სოფელში ბებერი იყო, წევიყვანეთ წყალზე, შოუკარით ბაწრით ხელ-ფეხი და ისთე შევაცურეთ მორევში; რომელიც დაძირა, ის არ იყო კუდიანი და რომელიც კი ეიფირფიტა, ის კი სწორეთ, ბეჯითად კუდიანობის ნიშანი იყო. ისინი გამოვიყვახეთ, გავახურვეთ რკინის ჯვარი და დავდაღეთ. ბევრი უძახეს თავის კუდიანებს: „გვიშველეთო", მარა არა, ჯვარის ეშინიათ კუდიანებს!

ადვოკატი

სხვა რკინეულით რამეთი არ შეიძლებოდა დადაღვა?

იმერელი

ვეი პლაჩ! უჯვაროთ არ იქნება, მაშინვე კამბეჩის ტყავს გადაფარებდენ კუდიანები უხილავათ და როდი დეიწოდენ. ახლა, ბატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო, როცა დადაღვა გავათავეთ, გაუშვით ის კუდიანი ბებრები; მერე ისინიც გამოტყდენ და ახლა მკითხავები არიან. ამ საქმისათვის დამიჭირეს!... მართებლობამ იწყინა: „შენ პუტოვჩიკი ხარო“... და განა ქრისტიანული საქმე პუტოვჩიკობა არი?! ახლა, შენი ჭირი შემეყაროს, თუ მიშველი—ყმათ დაგესახლები!..

ადვოკატი

კარგი! კარგი! შეგიძლია ამირჩიო. შენ ვინა ხარ? მეგრელი ხარ?

გურული

ვაი, წავხდი, კილავ! რა მიგავს თხაპარია მეგრელს?

მეგრელი

რა მოგპარა, წიე, მეგრელმა?

გურული

დედავ! რავა აბდლურათ ჩივი შენ! შენ სხვას მოპარავ, თვარა გურულს რავა გუუბედავ მოპარვას! ჩემ კონახში რომ შეხვიდე, იცი, რას გიზამ, ყაზილარო? ნიფხავს გაგხდი და მითი შეგიკოჭავ ხელებს!

მეგრელი

თუ მაგრე ვაშკაცები იყოთ, პატონი, დადიანი რათ ერეოდა გურიელს?

გურული

ვინ გითხრა მაი საჯაყი! იგი დაგავიწყდა, ოცდახუთმა გურულმა რომ ათასი მეგრელი დეიჯრინა წინ, ისე რომ ერთი ყურშეიც არ გაუსვრიათ?

იმერელი

ეს ისე მართალია, თქვენ ნუ მომიკვტებით, როგორც ალდგომა! მას აქეთ არის ჩვენში დარჩენილი სიმღერა: „ოცდახუთსა მეგრელ კაცსა მაკე ტურა შეეყარათ, სანამ ტურას გეიცნობდენ, სული ხორცით გეეყარათ!...“

ქართლელი

ეგ ყველა კარგი, გურულო, მაგრამ ე თოკი რომ უკან ჩამოგიკიდებია მელის კუდივით, რათ გინდა ეგა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურული

რეიზა და იმიზა, რომ, შენისთანა ყაზილარს თუ შეგხვდი, შეკოჭავ ამით და ქობულეთში ამოვაყოფიეფ თავს! და მაშინ მკითხე, თუ გულს გერჩის!

ქართლელი

შენმა მზემა, ასეთი არა ჭქნა, ღომით არ მიმიტყუო!

გურული

ქართველმა რომ ღომის ჭამა არ იცოდეს, იგი ღომის რა ბრალია? მაჭუტაძეს ერთი ქართველი თავადი ესტუმრა, სადილათ ღომი მიართვეს; თურმე იმ აბდალამ ღომის ჭამა არ იცოდა, ჩაკრა ხელი ღომში - თითები დეეწვა, პირში ჩაიდვა—იგიც დეეწვა, გადაყლაპა—ყელი დეეწვა, კუჭში ჩაუვიდა—იგიც დაწვა და ბოლოს ქართველმა ნაბადი აიღო, რომელზედაც იჯდა: აგი ნაბადიც არ დამეწვასო! აგია თქვენი ცოდნა, ა?!

იმერელი

ეაგისთანები გურულებზედაც კია, შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს, ნათქვამი: გურული დაპატიჟა ქართველმა, მარხვა დღე იყო და მუხუდო მოუტანა; გურულმა დახედა ჯამზე, ნახა, რომ თურმე ცარიელი წვენია, ფოჩვი არსად არი; ერთი ორი მარცვალი კი დაცურამდა, თურმე, მუხუდოს კაკალი წვენში. წამოვარდა გურული, გეიკრა ფიშტოს ხელი და შეაყენა ჩახმახი! - „რათ მკლავო?" —უთხრა მასპინძელმა.—შენ კი არა გკლავო, უთხრა გურულმა, აგი დედაგაგლეჯილი მუხუდოს მარცვალი ცურავს, ვერ დევიმორჩილე, და ეგება იგი მოვკლა ფიშტოთიო!

ქართლელი

შენი კი რაღა მეცოდინება, კორტოხელო, შენა! შენ რომ ხიზილალას უწრუწუნებდი ქალაქშია, ის აღარ გახსომს?

ადვოკატი

კარგია, აწი კმარა! ღლაბუცს თავი დაანებეთ და საქმეს მიჰყავით ხელი. რათ დაუჭერიხართ, გურულო?

გურული

რეიზა და იმიზა, იგი ყაზილარი რომ მოვკალი ქალაქში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვოკატი

რათ მოჰკალი?

გურული

მე კი არ მოვკალი, მან მომაკვლევია თავი ტყვილათეი! ჩემდა მოვიდოდი გზაზე, დამხვდა ი ყაზილარი და დამიწყო ყვირილი: „გურულო, უჰ! გურულო! ო, გურულო!“ და მანამდი მიყვირა, სანამ კუჭი არ მომაყვანია. არ გეეეცი ხმა! ვთქვი: აბდალეია—ვიცი, თავი რეიზა გუუცვალო მეთქი? მარა ბოლოს ხელიც მიბიძგა! მაშინ მეც კუჭი მომივიდა: ბიძგება მასთე არ უნდა მეთქინ—უთხარი, ვბიძგე ჩემი მაჭახელა, ვრეხვე გაბერილ მუცელზე და ქეჩხოსავით გადავაგორე! ერთი „ვაი დედაც“ ვეღარ მოასწრო იმ ყაზილარმა და, თუ მეტი არ შეეძლო, რეიზა მაკუჭიანებდა, ი დედაგაგლეჯილი!

ადვოკატი

ადვოკატი გყავს?

გურული

ადუკატი რეიზა მინდა! კი აღარ ვფიცავ მის სიკვდილს!

ადვოკატი

მაშ გაგგზავნიან!

გურული

გამგზავნიან და ვეღარ გამოვბრუნდები? ისევ ჩამოვალ, რა!

ადვოკატი

ვინ გამოგიშვებს ნებით.

გურული

ძალით, გავშპები!

ადვოკატი

მერე ყარაულები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურული

ყარაულები! მე კი გავშპები გზიდან და იქ კი აღარ დუუწყებ ყარაულებს ყუნცულს! სანამდი იგინი გეიმძრეოდენ, მაქამდი მე და ვტოაკავ და ქობულეთში ამოვყოფ თავს! იქ კი ვირჩენ თავს. ფირალათ ეოთი ბიჭი ვეო მაჯობებს და, მართალია, ჩემს სოფელს კი მოშორებული ვიქნები. მაოა იმ დედაგაგლეჯილის სიკვდილს კიდე ჩემი ფირალობა აჯობებს!

ადვოკატი

რომ მოგეწიონ და დაგიჭირონ?

გურული

დედავ, რას ჩივი, კილავ! ჩემმა მტერმა თქვა მაი! თუ იგინიც მე დამიჭერენ და მთლათ პილწი და წამხთარი ვიქნები და იგი იქნება! მაშინ მეც აღარ ვიქნები შესაბრალი და ანასუნი ჩემ საქმეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენეგის გასამართლება

(1874)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენების გასამართლება

სასამართლოში სხედან მსაჯულები: შუაში ჭირნახული და მრავალჭრილობიანი მოხუცი ქართლოს; გვერდით, იქით და აქეთ, უფრო ახალგაზრდები: იმეროს და ამეროს. შემოაქვსთ სამი ენა: ერთი უთავბოლოდ მრგვალია, ასლიტრიან ლანგარზე ძევს და წინ, ხელში ნოეს ყავარჯნით, ერთი ახმახი ადვოკატი მოუძღვის.—მეორე უშნოდ პრტყელია, გაუშალაშინებელ ხონჩაზე ძევს და თან ვიღაც ახალნამძინარევი, ნებიერი ადვოკატი მოჰყვება.—მესამე წვრილია, პატარა ფინჯანზე აგდია და გველის კუდივით საქსაქებს; უკან მოსდევს ჯარასავით მბრუნავი ადვოკატი.

მსაჯული. დღეს უნდა მოვისმინოთ თქვენი საჩივარი და გადავწყვიტოთ, თქვენ სამში თუ რომელს უნდა დარჩეს უპირატესობა. და, გთხოვთ, თვითეულმა თქვენგანმა წარმოგვიდგინოს თავ-თავისი საბუთები!... პირველი სიტყვა თქვენია, უფ. ახმახო!

ახმახი. ჰოი, შენ ბრძენო, სიბრძნისა ტახტსა ზედა სოლომონისასა, ზე თხემთა მახვილგანმაწონად აყვანილო! მანუკველი თქვენ მიერ სამართლისა, მოვილტვი კვარცხლბეკისადმი ფერხთა თქვენთა, და ნატერფალთა ნაწილად მიმღები გიღაღადებ, და ყურადიხვენ ვედრებანი ჩემნი!...

მსაჯული. ბრძანეთ!... ნუღა აგვიანებთ სიტყვას შესავალით! დრო ბევრად გვიღირს.

ახმახი. მოთმინებითა სულისა მომპოებელი, ვიწყებ უბნობად: ორღანო იგი, სახმარი გამოსამეტყველებლად ჰაზრთა და ვნებათა ჩვენისა გულისათა, რომელიცა წოდებულ არს ენად. შეურაცხყოფილ იქმნა ხელთა შინა ივერიელთასა: წარმოსდგნენ ორნიცა სხვანი ენანი, დღეს აქა, თქვენს წინაშე მდებარენენი, საშულლოდ აბა ენისა (თითით ანიშნებს მრგვალ ენაზე), რომელიცა გამოელვარებულ არს ბრძმედისაგან მეტყველებისა ირისებრ, გნომ არს ენათა შორის ორღანო ესე. ენითა ამით მეტყველიყო შავთელ ჩახრუხითურთ მშვენიერ-ლექსად. ამავე ენითა ღაღადებდა ბრძენ, რიტორ, პიიტიკოს ანტონ გაიოსითურთ...

მსაჯული. სხვაგვარი თვისება?

ახმახი. განსხვავებითი თვისება ამა ენისა არს ერთის ხმითა მრავალ ჰაზრის გამოთქმად.

მსაჯული. გამოარკვიეთ! რა გსურთ, მაგითი რომ სთქვათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმახი. ერთი ლექსი შეიცავს მრავალთა ჰაზრთა, რომელთაცა წარმოდგენით ახსნიან.

მსაჯული. კიდევ სხვა ღირსება?

ახმახი. ის, რომ ენა ესე გასაგონ არს მხოლოდ რჩეულთათვის და არა საზოგადოდ. ოდესცა, შემდეგ ლიტურლიისა, დღესა ერთსა უბნობად ჰყვეს კათალიკოსმა ანტონ და მიტროპოლიტმა ბოდბელმა, ერი ვერა გამგები ვერცა ერთისა მარცვლისა მათ მიერ თქმულისა, სდუმდა საკვირველებითა. ამგვართა მაგალითთა ძალგვიძს წარმოდგენად ლეგეონი, გარნა მრავალმეტყველებითა არა სცხონდინ. მცირითაცა მით, რაცა თქმულ იქმნა ჩვენ მიერ, საგულისხმო არს, რათა ენანი ესენი, უკანონოდ შობილნი ნიადაგსა ზედა ქართლოსიანთასა, განდევნილ და განკიცხულ იქმნენ ამიერითგან.

მსაჯული. (მიუბრუნდება ნებიერს ადვოკატს) რა პასუხს აგებთ?

ნებიერი. (ზარმაცად) ამოდენი ხანია ყურს უგდებ, მაგრამ თქვენმა მზემა, ჯერეც ვერ შევიტყე, თუ რა ჰნებავს, რომ გვიბრძანოს მაგ დალოცვილმა. თქვენმა მზემაცა, კათალიკოზი აღარ მაასვენა და შავთელი. ე ტიალი, რაღაც ჯანი ბეჟანის დროს, მოგეხსენებათ, ადამის წინეთ რომ ი პირველი კაცი გხლებიათ, თქვენ კი უნდა მოგეხსენებოდეთ, იმ კაცის ენა ყოფილა, ეხლა რაღა მოსაგონებელია! ე მაგ ენისა ხელახლად დაწყობა მურვანყრუობა არ იქნება, მა რა? მე მაგის თავი არა მაქვს! რაც გენებოს, ის უყავით!

მსაჯული. (მბრუნავს) შენ რაღას იტყვი?

მბრუნავი. რა უნდა მოგახსენო, ბატონო!... მოცლია მაგ დალოცვილს და ღომის საცეხვივით ბაყა ბუყი გააქვს, თვარა საფლავის ენა რაღა გასაოცხლებელია. ერთს ლექსში ბევრი აზრი გამოვა, თუ კაცი წარმოიდგენსო და, კი, ბატონო, მარა წარმოდგენით რავა იქნება? რასაც წარმოიდგენს კაცი ტყვილა ხმაში, ის გამოუა. აბა, ბატონო, თქვენ დაუგდეთ ყური ზარის რეკას, თუ იმაში: „წადი, წადიც!“ არ გაიგონოთ და „მოდი, მოდიც!“ ასე ყოფილა ეგ ენაც. და ან რაღასთვის და ვილასთვის არის საჭირო ის ენა, რომელსაც ვერც ბერი გაიგებს და ვერც ერი?!

მსაჯული. კიდევ თუ რამე გაქვსთ დასამატებელი, დაამატეთ, თორემ აწ განჩინებას შევადგენთ.

ყველანი. შეადგინეთ.

მსაჯულები ადგენენ შემდეგს განჩინებას: „რადგანაც ეგ მშვენიერი ენა სააქაოს აღარავის ეყურება, ცოდვა არის, რომ ტყვილად გაფუჭდეს და ამისთვის უმჯობესია საიქიოს გაიგზავნოს! გაიყვანეთ! მშვიდობით წარვედინ!...“ მრგვალი ენა გააქვსთ და ახმახი თვალცრემლიანი მისდევს უკან ბუტბუტით: ჰოი, ჟამნო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჰოი, ზნეობანო!... მშვიდობით!... აქ ჩვენ უცხონი ვართ!" მაყურებლები აცილებენ გალობით: „განუსვენოს იქ, სადაცა მართალთა სულნი განისვენებენ".

მსაჯული. (მოუბრუნდება ნებიერსა და მბრუნავს) რახანც რომ ის ახირებული მათუსალა ეავისტუმრეთ, აწ თქვენ ორზე მოდგა საქმე: რომელი რომელს უჩივით და რას?

მბრუნავი. მე, ბატონო, არც არავის უჩივი და ტყვილა ნურც ვინმე მიჩივა.

მსაჯული. მაშ თქვენ სჩივით?

ნებიერი. დი... ა...ხ! მე გახლავარ გულნაკლებადა და მე ვჩივი!

მსაჯული. რას?

ნებიერი. რასა-და, აი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ამასა, რომა გადმოეხეტა კორტოხსა იმერული ენა და აღარ გვასვენებს, იმერულად უქცევს კილოსა!

მსაჯული. მართალია? (მიუბრუნდება მბრუნავს)

მბრუნავი. კი, ბატონო! მაგას რაღა კითხვა უნდა: თუ იმერული ენაა, იმერულად უნდა უქციოს კილო, აბა, როგორ იქნება! ეგ იმას ჰგავს, რომ ავიჩემოთ: მტრედი, იმერეთიდან მოფრენილი ტფილისში, რატომ მტრედობს და არა ყვავობსო.

ნებიერი. აი, ბატონო, არ კი მოგახსენეთ, რომ ენა ქართული წარყვნეს იმერულითა მეთქი! ეხლა ხომ თქვენცა ხედავთ, თვითონაც გამოტეხილია!...

მბრუნავი. იმე, ვაჟო! ქვე რა უყოთ მერე! შენ ეს გვიბრძანე, თუ რითია ცუდი ენა იმერული! რას უწუნებ?

ნებიერი. (სიცილით) როგორ თუ რას ვუწუნებთ! იმასა, რომა არ არის ქართული და არც მწერლობაში შემოსაღებია, მაგალითად სასაცინონი არ არიან ეს ლექსები: „კი, ქვე, იმე, ვაჟო, შუკა, ყვინთი, ყე, ცხიკვება" და სხვა?...

მბრუნავი. მაგ სიტყვების დაწუნების კი რაღა უნდა მოგახსენოთ. ეგენი რუსთველსა აქვს ნახმარები თავის „ვეფხისტყაოსანში" და იმას გარდაც სხვა ძველი დროის მწერლებიც ხმარობენ.

ნებიერი. რა უყოთ მერე, და! ეგ კიდევ არაფერს შეადგენს. მართალია, ეგ სიტყვები უხმარია რუსთაველსა, მაგრამა ეგ იმას ჰნიშნავს, რომა იმას კარგათ სცოდნია ყველა მაზრების ენა და ხმარობს მათ ისე, სხვათა შორის, და არა ვირთაცა ნამდვილ ენასა და ენის სამკაულსა.

მბრუნავი. ვინ მოგახსენათ? აი, ეგ რას ნიშნავს: იმ დროს, როდესაც რუსთველი არსებობდა, საქართველო შეადგენდა ერთს სამეფოს და არ იყო განაწილებული სხვადასხვა სამთავროებად; ენაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ჰქონდათ, ე. ი. ის ენა, რომელიც რუსთველს უხმარია. შემდეგ საქართველო დაეცა, განაწილდა სამთავროებად სამეფო; ხშირად ერთი სამთავრო იყო ხოლმე გარეშე მტრის მონებისა და გავლენის ქვეშ მაშინ, როდესაც მ„ორე თავისუფლად რჩებოდა ამგვარად დამონებულს სამთავროში რომელიმე ქართული ლექსები იკარგებოდა და მის ხაცვლად სხვა უცხო სიტყვა შემოდიოდა მაშინ, როდესაც დაუმონებელ სამთავროში კი რჩებოდა ის სიტყვა. ასე ამგვარად შეიფარეს თავი სხვადასხვა სიტყვებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სამთავროებში. დღეს ჩვენი ვალია, რომ ის სიტყვები მოვაგროვოთ და შემოვიტანოთ ენის საუნჯეში და არა გავდევნოთ მხოლოდ მისთვის, რომ იმ ლექსს ქალაქში კინტოები არ ხმარობენო...

ნებიერი. (გაცხარებით სიტყვას აწყვეტინებს) მაგას ჩვენ არ დავსდევთ! აბა, რა სიტყვაა, თქვენსა მზესა, „კი!" მაშინ როდესაც ჩვენ ვხმარობთ უკეთესს ლექსს: „დიახს?!"

მბრუნავი. ვინ მოგახსენათ, რომ უკეთესიაო? ცუდი მაშინ იქნებოდა სიტყვა „კი", რომ ქართული ენის კანონებს ეწინააღმდეგებოდეს... სიტყვა „დიახ" ნიშნავს დასტურის მიცემას. აგრეთვე სიტყვა „კარგი" ხშირად ნიშნავს ლაპარაკის დროს დათანხმებას და დასტურსა. ქართული სიტყვები ხშირად მოითხოვენ დაქარაგმებას შესაბოკლებლად; ასე რომ მრავალ ბარცვლოვანი ლექსი ხდება ერთმარცვლოვანად. ეს ენის თვისება არის. ამავე ენის თვისების ძალით, სიტყვა „კარგი" მოკლდება და იცვლება ჯერ „კაი" და კიდევ უფრო შემოკლებით „კი". აქედან სჩანს, რომ სიტყვა „კარგი" უქარაგმოთ და ქარაგმნიანი „კაი" და „კი" ერთი არიან. მაშასადამე იმერული „კიც" ისეთი დასტური ყოფილა, როგორც თქვენი „დიახ" და მაშ გაჭიაყელებულს სიტყვას „დი...ახ..ს" რითი ვერ უტოლდება იმერული „კი". მაშინ როდესაც დანიშნულება ორივესი ერთი და იგივეა და ძალაც ერთი აქვთ? ამნაირათვე შემოკლებული არიან: „ქვე," ე. ი. ქვეშე, „ყე" ე. ი ყოველივე და სხვანი; მაგალითად, თუ ერთს კაცს აგზავნიან სადმე, მთიული იტყვის: „გავგზავნე" და თუ მრავლობითი რიცხვით უნდათ სთქვან, რომ ბევრი გავგზავნეო, მაშინ იტყვის: „გავგზავნე-ყე", ე. ი. ყველა გავგზანეო.

ნებიერი. „იმე" რაღა არის?

მბრუნავი. თუკი „ჰმე" შეიძლება ითქვას „უიმე", „ოჰმე," რატომ „იჰმე" ანუ „იმე" აღარ ითქმის?

ნებიერი. „ვაჟო" რაღა სიტყვაა?

მბრუნავი. ის, რაც „შვილო, ანუ ბიჭო!"... ბიჭო არის ფარსული ლექსი, ნიშნავს ჩვენებურად „შვილოს" და, თუ კი თქვენ ბიჭოს ხმარობთ, ე. ი. შვილოს, რატომ ჩვენც არ ვიხმაროთ, უფრო ნამდვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სიტყვა „ვაქო“, მაშინ, როდესაც ეს ნიშნავს შვილს მამრობითი სქესისას?...

ნებიერი. თქვენ რომ ცხვირის დაცემინებას „ცხიკვებას“ ეძახით, რა არის?

მბრუნავი. ის, რომ ცხვირის დაცემის-დროს კაცი ცხვირიდან უშვებს ისეთ ხმას, რომელშიაც ისმის „ცხი“ და აქედან ხმის მიბაძვით შესდგა ლექსი „ცხიკვება“.

ნებიერი. კარგი და, „თვლემს“ მაგიერ რომ „ყვინთავს“ ამბობთ, კარგია?

მბრუნავი. რატომ არა?—ჩვენ ორივეს ვხმარობთ, როგორც „ყვინთვას“ ისე „თვლემას“; თვლემას მაშინ ვიტყვით, როდესაც კაცს თავი უძევს რამეზე და მარტო თვალებსა ჰხუჭავს, და როცა ზის, თავს ვეღარ იმაგრებს ძილ-მოსვლაზე და ხშირად ჩაჰკიდებს ხოლმე თავს, იმას ვეძახით „ყვინთვას“. აი, ეს საიდან წარმოდგა: როდესაც წყლის ფრინველი წყალში ჩაჰკრავს უეცრად თავს, იმას ყვინთი ჰქვიან და, მისი შედარებით, ძილმოსული კაცი რომ თავს ჩაჰკიდებს, „ყვინთავსო“ იტყვიან, ე. ი. როგორც ბატი ან იხვი წყალში, ისე ჩაჰყოფს ხოლმე ძირს თავსაო...

მსაჯული. თუ შეიძლებოდეს, გაჩუმდით! აქ მაგგვარი ბაასის დრო აღარ არის. გარედან რაღაც ხმაურობა მოისმის და უმჯობესია ჯერ იმას დავუგდოთ ყური...

(ყველანი ზეზე წამოდგებიან და უგდებენ ყურს მესტვირის ხმას. მესტვირე სტვირს უკრავს და ზედ ამღერებს)

მუხრანიდან ჯარი მოდის, წყალივითა იწყო დენა,
მუხრან-ბატონი სარდლად ჰყავს, უნდა თავის გამოჩენა,
ქართლ-ბატონს შემოსწყრომია, უფიცნია მაღლა ზენა:
რომ მოყვრობით არ დაზოგავს, უნდა ამოგლიჯოს ენა!
მისი რისხვა და მუქარა ქართველ-ბატონს მოეხსენა.
გაჯავრდა და თან გაჰკვირდა: „რა გვაქვს საჩხუბარი ჩვენა?
თავის გვარი როგორ დაჰგმო, რჯული როგორ შეაჩვენა?
რა ფათერაკს შეხვდომია! რა ეშმაკი მოეჩვენა?...
რომ სულ უმიზეზოდ შფოთავს და აღარც ჩვენ მოგვასვენა?
შემიგროვეთ, რაც მყავს ჯარი, მივეგებო ცხენდაცხენა.
რომ გავჩუმდეთ, არ ივარგებს, რადგანც უნდა ჩვენი წყენა!“
ასე ბრძანა ქართლ-ბატონმა და ზედ ცხენი მიაჭენა!
მოეგება მომავალსა, თავს უჩვენებს აწ დამხვდურად.
მოაძახა: „მოლალატევ! ფუ, ვერ გხედავ ძმასა ძმურად!
გული გესლით აგივსია, ნათესავის დასამდურად!
მოძმის სისხლში ხელს თუ ისვრი, მაშ დაგხვდები მეც მეფურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიკვდილოდ გაგიმეტებ, ნული გიკვირს ჩემგან ნურად;
ერთს ანდაზას მოგაგონებ, საგულისხმოდ იხვენ ყურად!
ძმის გაწირვა, მტრის მიდგომა, არ გეთვლება სამსახურად.
ტყვილა ნუ ვწყვეტთ მაგდენ ჯარსა, ცუდად სისხლის მოსაწყურად:
თუ გულს გერჩის, ჩვენ შევებათ ერთმანეთსა, სჯობს, კახურად".
მუხრან-ბატონს გაეცინა და უთხრა: „ეგ რა სჩმახეო!
მეც ქვეყნის ტოლი კაცი ვარ, და სუსტად ვით დამსახეო?
რაც დღეს შენ ჭირი მოგადგეს, ის შენს თავსვე დასძახეო.
რათ მაგზავნიდ სხვა ქვეყნად, რათ შემიცვალე სახეო?
იქ მე მასწავლეს ხერხები და ათასგვარი მახეო;
ვერ შემაშინებ მუქარით, გირჩევ, სხვა ვინმე ჰფახეო,
თორემ ვერ მომაშლევინებ, რაც გულით განვიძრახეო.
სასაცინოა ეგ თქვენი რაღაც სიტყვები მკვახეო...
უმჯობესია რომ დამრჩე... სხვა ენით დაიძახეო!"
ქართლ-ბატონს ფერი ეცვალა, შეიქნა დაღონებული!
რა ექნა, ჯარი არ ჰყავდა; მან დაუჩაგრა მას გული,
რომ მომბრედ ვერვის ხედავდა, ყველასგან დავიწყებული!
დაჯდა, საკინძი შეიხსნა, მოსთქვამდა გამწარებული:
„ვაი, გავკოტრდი, კრეზივით მე, ერთს დღეს გამდიდრებული.
და აწ სიცოცხლე რად მინდა, დამმარხეთ გაშავდღებული!"
ამ მოთქმაზე მთლად შეიძრა ქართლ-კახეთი, იმერეთი
მოვიდენ და მოახსენეს: ბატონო, დაგვეცა რეტი;
მართალია, თქვენ მომხრედ დღეს არ ვარგივართ ჩვენ არც ერთი,
მაგრამ შვილებს გამოგიზრდით, თუ ხელს მოგვიმართავს ღმერთი.
მანამდი კი მოითმინეთ, ჭირს როგორმე გაუძელით;
თორემ ჩვენ ყველას ყელს დაგვჭრით და თქვენც გამოიჭრით ხელით;
სჯობს, ჯერეთ ცოტას დასჯერდეთ, იმერლები იახელით!
მართალია, მათგან შველას და კურნებას მთლად ნუ ელით,
მაგრამ არაობას ხომ სჯობს, რომ დავრჩებით ცალუღელით?!"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პინსკერ

(1879)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ი ნ ტ ო

სამმოქმედებიანი კომედია-ხუმრობა.

მომქმედი პირები:

ილია.
სალომე—მისი ცოლი.
ალექსანდრე—სალომეს მეგობარი.
სამსონ—ილიას მეგობარი.
ალმასხანა—ილიას მოსამსახურე, იმერელი.
კინტო.
გეო, **მანუა**, **თათუზა** } კინტოები
და **მეზურნეები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მოქმედება

სანახავი: მდიდრულად მორთული ოთახი ილიას სახლში, სავარძელში ჩასძინებია ალექსანდრეს.

პირველი გამოსვლა.

ალექსანდრე და ალმასხანა.

ალმასხანა (შემოდის. იქით-აქეთ იხედება და რომ შენიშნავს მძინარს) იმე! ქვე დაძინებია აგერ ამ მამაცხონებულის შვილს!... უბოდიშო სტუმარი აპა ეს ყოფილა!—ჰმ... ქალბატონმა მიბძანა: „მოახსენე, რომ არსა წაბძანდეს... მომიცადოსო“ და რავა ვქნა ახლა? თუ არ მოვახსენე, იმას ეწყინება, და, თუ მოვახსენე, უნდა გავალვიძო და, ვაითუ, ეს დალოცვილი გამიწყრეს. ჰე!... მარა ან-კი რა მოხსენება უნდა? სად წავა მძინარი? (დააპირებს წასვლას და მერე ისევ მობრუნდება). კი, მარა, რომ გამოიღვიძოს და გამეპაროს, მერე ხომ წავხდი კაცი?!... არა შენ... რათ ვიზამ ამას?!... თქვენ არ მომიკვდეთ, ფეხიც არ მოვიცვალო აქიდან, სანამდი არ გამოიღვიძოს: დავჯდები და ვუყარაულებ, ისე შევაჩერდები, რავარც გასაწაფავ მიმინოს. (ჯდება სავარძელში) ვიფ, საყვარელო, რა კარგია დიდკაცობა!—დაბძანდი ასე რბილად, თბილად, ნებიერად და იყავი შენთვის, სანამდი არ მოგეწყინოს... ამაში რომ კაცს ძილი მოუვიდეს, რავა გეიმტყუნება? თვარა დეეგდები ძაღლივით ხმელ ფიცარზე, დაგეჟეჟება გვერდები და, რალა თქმა უნდა, რომ ძილი გაგიტყდება და მამლის ყივილს დაასწრებ წამოდგომას!... ვიფ! საყვარელო! (იზმორება). ბატონების სიზარმაცე სულ ამისთანა სკამლოგინების ბრალია, მე და ჩემმა ღმერთმა! რომ გინდოდეს, მაინც ვერ წაართმევ თავს! (საკრავის ხმა მოესმის) ჩუ! (ყურს მიუგდებს).

იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო,
გაფუნჩულო, ახალ-ნორჩო, შენ პაწაწინაო!
მაგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო!
დაიძინე, იავ-ნანა, ვარდო-ნანინაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა! იავ-ნანინაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმასხანა. ჰე, ბატონო!... შვილებიც რომ სხვანაირი ებადებათ ამ დიდკაცებს: ერთი ამსიგძე (აჩვენებს თითით) ბალანაა და, თუ ორ-პირი „ნანინა“ არ მოახსენეს, ისე რავა ინებებს დაძინებას! აი, ბეჩა, ჩვენი გლეხის შვილები!—ვინ გასცემს ხმას, ბევრიც რომ იჭყავლონ? ერთს წაურწევენ: „აა-აა-აა-აა-აამ“ და მიაგდებენ განზე! მარამ, რომ ქვე იზდებიან ღვთის მადლით! (კიდევ მოისმის ნანინა:)

დაიძინე, გენაცვალოს შენი მშობელიო!
ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო.
შენს ვაჟკაცობას მომასწრებს მე ღვთისმშობელიო.
აგცილდეს სხვისი მონობა დამამხობელიო.
თავისუფლების სხივები გულს მოგეფინაო.
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო.

ალმასხანა. არა, რომ თქვას კაცმა, კაი გასაგონი კი არის ეს „ნანინა“. უნდა დახუჭო თვალები ასე და უგდო ყური. (ხანგრძლივი „ნანინა“):

გაივსე და გაიზარდე, პატარა მთვარეო!
შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო!
ანუგეშე, სადაც ნახო, მოძმე მწუხარეო!
შვილო, მამულის გულისთვის სისხლიც დალვარეო!...
ჩვენ ძველებმაც მაგგვარადა მტერი აშინაო... .
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!..

პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო,
ყური უგდე, დაისწავლე ჩემი ნანინაო!
თვალხილულად დაუკვირდი, იცან ქვეყანაო,
რომ გაიგო ამ სოფლისა ცრუ გამოცანაო,
მაგრამ ჯერ კი დაიძინე, ადრეა განაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო.

ალექსანდრე. (იღვიძებს ალმასხანას ხვრინზე). უჰ! რა ტკბილად ჩა-მძინებია! ეს პირველი შემთხვევაა, რომ ჩემს ხვრინს გამოველვიძებიო (მოისმის ხვრინი) აჰ!? ეს ვინ წამოპლაკულა აქ? ეი! ვინა ხარ შენ?

ალმასხანა. (წამოვარდება უცბად და იფშვნეტს თვალებს) ვუი, ამ ჩემს თავს!... უკაცრავად, შენი ჭირიმე! ჩამყვინთებია ცოტა და...

ალექსანდრე. არაფერია, ვინა ხარ, ჩემო ძმაო?

ალმასხანა. ალმასხანა გახლავარ, ბატონო!

ალექსანდრე. ვინ ალმასხანა?

ალმასხანა. ჰმ!.. ალმასხანა, ბატონო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე. (თავისთვის) ე რა ცეტი ყოფილა! (ალმასხანას) იმერელი ხარ?

ალმასხანა. აპა ვინ უნდა გახდეთ, ბატონო?!

ალექსანდრე. კეთილი! შინაური ხარ, თუ გარეული?

ალმასხანა. ფხხხუუუ!...

ალექსანდრე. რას იცინი?

ალმასხანა. ხუმრობთ, ბატონო, და რავა არ გეეცინო?

ალექსანდრე. როგორ თუ ვხუმრობ?

ალმასხანა. აპა, ბატონო, გარეული რა... ფხხხუუუ!.. კატა ხომ არა ვარ?!...

ალექსანდრე. რას ამბობ, კაცო? მე მინდა შევიტყო: აქაური ხარ, თუ არა?

ალმასხანა. რავა, ბატონო, აქაური?

ალექსანდრე. ჰო, აქ მსახურებ, თუ სხვაგან სადმე?

ალმასხანა. მივხვდი, ბატონო, მივხვდი!... აქაური!!...

ალექსანდრე. მოსამსახურედა ხარ?

ალმასხანა. აჰ, არა, ბატონო! ლაქიად!!

ალექსანდრე. პირველადა გხედავ.

ალმასხანა. კი, ბატონო! დიდი ხანი არ გახლავსთ, რაც აქ გახლავარ.

ალექსანდრე. ადრე ვისთან იყავ?

ალმასხანა. ერთ ვაჭარს ვუდექი, ბატონო.

ალექსანდრე. ლაქიად?

ალმასხანა. ყოლიფრად, ბატონო.

ალექსანდრე. ბეგრს გაძლევდა?

ალმასხანა. თუმანს, ბატონო, თვეში.

ალექსანდრე. აქ?

ალმასხანა. აქ, ბატონო, ხუთად გახლავარ.

ალექსანდრე. მერე და თუმანი ხუთ მანეთში გასცვალე?

ალმასხანა. ასე იქნა, ბატონო, და მაინცა და მაინც არ ვნაღვლობ: იქაურ თუმანს აქაური მანეთი მირჩევნია, თუ მართალს მათქმევინებთ.

ალექსანდრე. რათა?

ალმასხანა. რათა და მათა, რომ ის თუმანი არც კი მყოფნიდა საჭმელში.

ალექსანდრე. ჰო, შენი ხარჯით იყავი?

ალმასხანა. არა, ბატონო, მარა სულ ერთი გამოდიოდა: პურს მისხლობით გვაძლევდენ და ღვინო ზიარებაც არსად იყო და ხორცი ან თებზი... მარა ან-კი რავა უნდა მოგახსენოთ? უკაცრაული პასუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხია, მისთანა მყრალი იყო ხოლმე, რომ ძალიან წუწკი კატა არ გაუვლიდა სიახლოვეს, თვარა კბილს რავა დააკარებდა?!... უწმინდური პურის ჭამა ჰქონდათ, ფუ!... ოხრათ დარჩეს კაცს იმისთანა სიმდიდრე!...

ალექსანდრე. აქ?

ალმასხანა. ჰმ!... აქ, ბატონო? ყელში ამოგვდის... ოხრათ გვეძლევა ყოლიფერი... ამას გარდაც, ბატონო, ჩემ საქმეს აქ უფრო ვეწევი.

ალექსანდრე. რა საქმეს?

ალმასხანა. განა ფულისთვის კი არ ჩამოვსულვარ აქ, ბატონო!... ასეთი აზნაურიშვილი გახლავარ იმერეთში, რომ თქვენი მოწონებული! წიგნის სასწავლებლად გიახელი.

ალექსანდრე. ლაქიობაში?

ალმასხანა. კი, ბატონო. ჩვენში ვინც კი რამე იცის, სულ ლაქიობაში არა აქს ნასწავლი?

ალექსანდრე. ბევრსაც მოასწრებდენ.

ალმასხანა. რატომ, ბატონო? ვისაც კი გულისყური ემარჯვება, იმდენს კიდევ ისწავლის, რომ გაზეთებში სწეროს და წიგნები გამოსცეს და, ვინც დაღანდალაა, არც ის დარჩება ხელცარიელი: სულ რო არა იყოს-რა, ადვოკატად კიდევ მაინც გამოდგება.

ალექსანდრე. მართლა? (იცინის) კარგი დაგემართოს!... მაგრამ, თუ მაგრე სურვილი გაქვსთ სწავლის, რატომ სასწავლებელში არ შედიხართ?

ალმასხანა. კაი შენ! მარა ვინ მიგასუნებია?!... თუ რუსული არ იცით, ტყვილა ნუ გაუვლით სიახლოვესო სასწავლებელს! და, თუ კი ნასწავლი ვიქნები და ყოლიფერი მეცოდინება, მაშინ, მამა უცხონდა, მე რუსს კი მივეკარო!... ფრანცუცთან მივალ.

ალექსანდრე. რადგანაც მაგისთანა სურვილი გქონია სწავლის, მოდი ჩემთან და მე გასწავლი.

ალმასხანა. ვაი, ბატონო, ვინ იქნება მაგისი ღირსი!? ადრე მენახეთ და მცოდნოდა, თქვენ თავს კაცი ვეღარ მომაშორებდა... მარა, ახლა კი...

ალექსანდრე. ახლა რაიო?

ალმასხანა. ქალბატონს ვეღარ ვუღალატებ, შენი ჭირიმე.

ალექსანდრე. როგორ?

ალმასხანა. მის ხელში ვარ, ბატონო. შვილივით მზდის... ნასწავლის, რაც შეიძლება!!

ალექსანდრე. კარგი სწავლება იცის?

ალმასხანა. ვე! მოგეცათ ღვთის წყალობა!... მთლათ მოლაყრუ რომ იყოს კაცი, მაინც შეაგონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე. მაშ, კარგი საქმე მოგსვლია!

ალმასხანა. ღმერთმა კაი მოგცესთ! არა, ცოტა ახლა ვერ ბძანდება გუნებაზე ვაჟბატონის გამოისობით.

ალექსანდრე. როგორ?! განა ვაჟბატონი ცუდი კაცია?

ალმასხანა. არა, ბატონო! ღმერთმა კაი მოგცეს, კაი კაცი ის იყოს, მარა...

ალექსანდრე მარა?

ალმასხანა. მარა... ნუ მათქმევინებთ, რომ არაფერი წამცდეს, შენი ჭირიმე.

ალექსანდრე. არა უშავს-რა! სთქვი!

ალმასხანა. ნუთ! შენი ჭირიმე, ნუ მათქმევინებთ, თვარა არ ივარგებს.

ალექსანდრე. რა უჭირს?

ალმასხანა. იჰ, ჩემად რომ გახმაურდეს შინაური საქმე, მაშინ ხომ გამიტყდება ნამუსი და გამიშრება პირის წყალი!—წყალში თუ გადავვარდები, თვარა ზეზე დასადგომი პირი აღარ მექნება.

ალექსანდრე. არა, ნუ გეშინია! არავინ გაგამხელს!...

ალმასხანა. ვაი თუ მცდიდეთ, ბატონო?!

ალექსანდრე. არა, ჩემმა მზემ! ეგ როგორ იქნება!

ალმასხანა აბა, ბატონო, კაცი კარქია, მარა ცოტა პლუტობა დაჩემდა.

ალექსანდრე. პლუტობა?

ალმასხანა. კი, ბატონო! არ ვიცი ჯადო-ნაქნარია, თუ შელოცვილი, მარამ პლუტობს კი... ძალიან პლუტობს!...

ალექსანდრე. როგორ?

ალმასხანა. რავა ბატონო და შინ აღარ დგება წუწკ კატასავით. ამ დიდებულ ოჯახს, ამ მდიდარ სუფრას მიატოვებს ხოლმე და გარბის სადღაც საპლუტოთ.

ალექსანდრე. რა იცი, რომ საპლუტოდ? ეგებო საქმე აქვს?

ალმასხანა. ვნახე, ბატონო, ვნახე! ჩემი თვალით ვნახე ამას წინეთ ორთაჭალისკენ გახდით და იქ ვნახე ბაღში.

ალექსანდრე. რა ვუყოთ მერე?

ალმასხანა. ჰმ! რავა რა ვუყოთ, შე დალოცვილო?!... ჩამჯდარიყო იქ კოტრებში და ერთი ყოფა ჰქონდა. დაფა-ზურნის ჭიჭყინით ყურთასმენა აღარ იყო.... პლუტებში ისე ირჯებოდა, რავარც კაი შინოურობაში. შორიდან მივაფურთხე და წამოვედი ჩემთვინ.—არა, რავა ეკადრება დიდიკაცის შვილს პლუტებისა და კოტრების აყოლა?... მე რომ ერთი უბრალო კაცის შვილი ვარ, მეც არ ვიკადრებ იმას!...

ალექსანდრე. მერე?! ქალბატონისათვის ხომ არ მოგიხსენებია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმასხანა. ჰმ, ბატონო, რა საბახარობლო იქნებოდა!... ისეც გულგახეთქილია.

ალექსანდრე. მაშ, კარგი! ახლა წადი და მოახსენე, რომ აქა ვარ.

ალმასხანა. კი ბატონო. (მიდის; მერე მობრუნდება) თქვენი ჭირიმე, არ გამცეთ კი! არ გამომჭრათ ყელი, თვარა, თუ ქალბატონმა გეიგო ეს ამბავი, წაგიხდეს მტერი, მე წავხდე და გავფუჭდე. ისე გამიტყდება ნამუსი, რო კორტოხს აქეთ აღარ დამედგომება.

ალექსანდრე. არა! არა! ნუ გეშინია!...

ალმასხანა. ჰა! თქვენ იცით!... თქვენ ხელშიდა ვარ და... (მიდის, კარებთან შეეფეთება სალომეს, უცბად გახტება განზე, ვითომ გზას უტევს) ვიჰ! ჩემს თავს! (მიდის).

მეოთხე გამოსვლა.

ალექსანდრე და სალომე.

სალომე. (მიუახლოვდება) უკაცრავად, ალექსანდრე, რომ ამდენ ხანს გაცდევინე! პატარა გამიჭირვეულდა და ეს-ეს არის ძლივს დავაძინეთ.

ალექსანდრე. (ღიმილით) მესმოდა თქვენი „ნანინა", ძილში ჩამესმა!... აგრეა, ჩემო სალომე: ქალი რომ დაქმარშვილდება, „ნანინაც" უნდა ისწავლოს და „ძილისპირებიც": ერთი შვილებისათვის დასჭირდება და მეორე კი ქმრისათვის. მაგიერად იმასაც „მზეშინას" ეტყვიან ხოლმე. ასეა... ადვილი არ არის ოჯახობა.

სალომე. ადრე მაგრე არ მეუბნებოდი?!... შენ არ ამტკიცებდი, რომ ქალი ოჯახის გვირგვინია და ქმარშვილი კი ქალისათვის სიტკბოებაო?

ალექსანდრე. განა, მართალი არ არის?

სალომე. ეჰ, ეგ მართალია, მაგრამ ვაი რომ ხანდახან ბოლოში გამწარდება ხოლმე.

ალექსანდრე. როგორ? წყალი ხომ არ შემოგპარვიათ შენ და შენს ქმარს, ქალო?

სალომე. არც უმისობაა. მეზარება თქმა, მაგრამ ვილას უნდა შევჩივლო ჩემი ძწუხარება, თუ არა შენ? აგერ რამდენი თვეა, რაც გული აიცურვა ოჯახზე. ხელი აგვაღო და დასანახავადაც ვეჯავრებით. მისთვის აღარც ცოლია და აღარც შვილი.

ალექსანდრე. ახალი რამ მეგონა!... ეგ ხომ დიდი ხანია ვიცით, მაგრამ, ნუთუ ამდენ ხანს კიდევ ვერ მოიკლა ჟინი?

სალომე. რა ბრძანებაა?! თავისას არ იშლის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე. მერე, შენ ხომ არას ესაყვედურები? ეგებო თავს აბეზრებ და ან...

სალომე. რა პასუხია!—ჩემგან ალერსისა და მორჩილების მეტი არა უნახავს-რა, მაგრამ რა გამოვიდა?... რაღაც უცნაური ხასიათები დაიჭირა.

ალექსანდრე. ჰმ! იცი, რას გეტყვი: ძალიან კარგადა შვრები, რომ არაფერს ეუბნები! ყოვლად შეუძლებელია, რომ ჭკვიან ქალს ქმარი ხელიდან წაუვიდეს, სადაც უნდა იყოს, ადრე თუ გვიან, ერთხელაც არის, ოჯახს დაუბრუნდება.

სალომე. გენაცვა, როდისღა? სიმრთელე და სიჭაბუკე გარეთ დახარჯოს და სნეულება და სიბერე კი შინ დამიბრუნოს?!...

ალექსანდრე. არა, სალომე, შენი ქმარი იმგვარებთაგანი არ არის! იცი, მაგას რა მოუვიდა? იმ ხანში შეგირთო, რომ ჯერ კიდევ არა ჰქონდა მოკლული ჭაბუკობის ჟინი, და ეგ ისეთი აუცილებელი ვალი რამ არის ადამიანის ბუნებაში, რომ, ადრე თუ გვიან, უნდა გამოსცადოს კაცმა. ეგეც მალე მოიკლავს მაგ ჟინს, დაგიბრუნდება და, უსაყვედუროსა და ალერსიანს რომ გნახავს, გაგიორკეცებს სიყვარულსა და პატივისცემას.

სალომე. სანამდე ეგ ხაძაგელი სამსონ გვერდში ეყოლება, მე იმედი არ მექნება.

ალექსანდრე. როგორ? განა სამსონმა ეგრე ჩაიგდო ხელში?

სალომე. რა ბრძანებაა! უმისოდ წყალსაც ვერ აქცევს.

ალექსანდრე. აქამდის აკი მისი მტერი იყო?—დღეს რაღა მოსჩვენებია?

სალომე. დღესაც მტერია, მაგრამ ანგარიში აქვს... უფრო ჩემი მტერობით ირჯება.

ალექსანდრე. განა ადრინდელი სიყვარული მტრობად შესცვალა?

სალომე. იჰ! იმას სიყვარულის რა გაეგება?... ადრეც ჟინი აბრაზებდა და ახლაც ის აბოროტებს: ჩემთან რომ ვეღარა გააწყო-რა, ახლა უნდა, რომ ქმარი ჩამომაშოროს.

ალექსანდრე. მართალს ამბობ?... ეჰე!...

სალომე. ქა! ილაჯს მიწყვეტს. დღე ერთია და იერიში ათასი! ვეტყოდი ქმარს, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ რა რიგია დედაკაცისაგან ამგვარად მოქცევა და მეორეც ის, რომ განა ჩემი ქმარი დაიჯერებს იმაზე ცუდს რამეს?

ალექსანდრე. ჰმ! ვერა ჰხედავთ იმ ხაძაგელს?!... ახლა რას აპირობ? კიდევ არ გინდა დამიჯერო, რომ ისე მოიქცე, როგორც მე გირჩევ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალომე. მეტი რაღა გზაა, უნდა გავბედო და ისე მოვიქცე, როგორც მირჩევ; მაგრამ, რომ იცოდე, თუ რად მიღირს მე მაგის გაბედვა...

ალექსანდრე. გაბედე! მაგას შენი ოჯახის ერთგულება მოითხოვს! მაგაზე არავინ დაგძრახავს. და ჯერ შენც ისევ ისე ალერსიანად იყავ იმასთან, როგორც ყოფილხარ; რაც გითხრას, მოუსმინე! ნურას შეამჩნევინებ და იმასობაში ჩვენი აზრიც... (უცბად შემოაღებენ კარებს და შემოვლენ ილია და სამსონ) აი, შენი ქმარიც!...

მესამე გამოსვლა.

ისინივე და **ილია** და **სამსონ.**

ილია. ოჰ, ალექსანდრე! კარგი, რომ აქ მაინც მოგასწარ: დღეს სულ შენს ძებნაში ვართ.

ალექსანდრე. ეე! რა ამბავია?

ილია. მერე გეტყვით (შეხედავს ცოლს).

სალომე. (ალერსიანად) მოხვედი?

ილია. (ცივად) ვერა მხედავთ?

სალომე. ეგებო პური არ გეჭამოსთ ჯერ! ხომ არ ინებებთ?

ილია. (უკმაყოფილოდ) რაღა დროს პურის ჭამაა?!

სალომე. აბა, იქნება, ჩაი მაინც მიირთვათ?

ილია. (გულმოსული) რას ჩაგვაცივდით?! ცოტა ხანს თავი დაგვანებეთ, თუ შეიძლებოდეს! მოსახსენებელი რამა გვაქვს.

სალომე. ბატონი ბრძანდებით (მიდის).

ილია. (წამოვარდება და დადის ჩქარის ნაბიჯით) უჰ! „ხომ არაფერს ინებებთ", „მორბძანდით", „ბატონი ბრძანდებით",—უჰ! რა კარგი გასაგონია!...

ალექსანდრე. რა ამბავია? უქეიფოდ ხომ არა ხარ?

ილია. რაღა ამბავი უნდა იყოს? ვერა ჰხედავ?... ის, რომ სიცოცხლე მომბეზრდა!... უბედური ვარ!... უბედური!...

ალექსანდრე. რას ამბობ? ღმერთმა დაგიფაროს!... ხომ არ გაგიჟდი?!...

ილია. აბა, სხვა რაღა დამემართებოდა ჩემი ცოლის ხელში?

სამსონ. მართალია, ჭეშმარიტად!

ალექსანდრე. (გაკვირვებით) ცოლის ხელში?

ილია. დიახ, ცოლის ხელში! ნეტავი გულზე ქვა შემება და ეგ. კი არ შემერთო.

ალექსანდრე. რას ამბობ?! ძალას ვინ გატანდა?

ილია. სიბრიყვე. მაგის ხასიათებს ეშმაკიც ვერ გაუძლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონ. ძნელია!

ალექსანდრე. რაღაც საშინელება უნდა იყოს! უთანხმოება ხომ არ შეგიშჩნევია?

ილია. ნეტავი მართლა ეგ იყოს, მეტი არაფერი! ეგ ასე არ შემაწუხებდა, მაგრამ განა მაგისთანა ლობიო მოახერხებს კი უთანხმოებას?! უჰ!...

ალექსანდრე. მაშ, რა უნდა იყოს? არ უყვარხარ?

ილია. ნეტავი მაგას კი მოვესწრებოდე და!... რად მინდა მაგისი სიყვარული?!...

ალექსანდრე. კაპასია? თავხედობს? არ გემორჩილება? გაწუხებს? თუ...

ილია. არა! არა! არა! და არა!

ალექსანდრე. მაშ, რაო?

ილია. ის, რომ უხასიათოა... რად მინდა მაგისთანა ცოლი, რომ ოცდაოთხი საათი თვალებში შემომცქეროდეს კატასავით: რა ვუთხრა და რა ვაამოო!... მისმა ალერსმა თავი მომაბეზრა. სიცოცხლე არაფერში არ ეტყობა... რად მინდა მაგისთანა ცოცხალ-მკვდარი ცოლი?!...

სამსონ. და ეს, ჩემის აზრით, მისი ბრალია, რომ ქმარი არ უყვარს. მუდამ ერთნაირობა გულგრილობის ბრალია და გულგრილობა კი უსიყვარულობამ იცის.

ილია. ხომ გესმის? ე რას ამბობს სამსონი? იმას რომ სიყვარული ჰგონია, ის განა სიყვარულია? ისე სასმელ-საჭმელი უნდა უყვარდეს კაცს, ტანსაცმელი და არა ქმარი. გუგულივით მშვიდობიანი ქალები განა ქალებად ჩაითვლებიან?

ალექსანდრე. რა ჰქნას, თუ ეგ მისი ბუნებითი ხასიათია?... თანშობილი!

ილია. და მეც რა ვქნა, თუ არ მომწონს ეგ ხასიათები და ვერ შევეთვისე?

ალექსანდრე. განა ადრე არ იცნობდი?

ილია. მაშინ... მაშინ სხვა იყო. მაშინ შორიდან მომწონდა და ახლა კი ახლოს აღარ მომწონს.

სამსონ. და ხომ შეიძლება, რომ ასე იყოს? კაცი ხომ ყოველთვის ერთს ხასიათზე არ იქნება: დღეს ერთი რამ მოსწონს და ხვალ მეორე... მანდ დამნაშავე არავინ არის.

ილია. დიახ, არავინ არის! არც ჩემი ბრალია, რომ მე მისი ხასიათები არ მომწონს და არც მისი, რომ იმას მისთანა ხასიათები აქვს.

ალექსანდრე. ეგ ადრევე უნდა გეფიქრა, ახლა გვიანღაა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია. შევცდი და რაღა გაეწყობა!...

სამსონ. განა, ერთხელ რომ შესცდება კაცი, აღარ უნდა გაასწოროს ის შეცდომილება? თავისი სიცოცხლე სულ ტანჯვაში და სინანულში როგორ უნდა გაატაროს? არა სჯობიან, რომ ერთხელაც არის გაბედოს და გადარჩეს ჭირს?

ილია. დიახ! პატიოსნება მოითხოვს, რომ არ ვატყუებდე ჩემს ცოლს: მე მისი სიყვარული აღარა მაქვს და აღარც შემიძლია იმასთან ცხოვრება. აი, ეს სახლი, ეს კარი, ეს სიმდიდრე, სუყველა ღმერთმა მოახმაროს და ჩემგან კი აიღოს ხელი. ავადაც დამეხსნას და კარგადაც. თუ მაინცადამაინც უნდა, ქვეყნის დასანახავად დავრჩეთ ცოლ-ქმრად და ისე კი ჩვენ-ჩვენთვის ვიყოთ!... რაც უნდა ჰქნას! ვინც უნდა, ის შეიყვაროს! ნება ექნება!

სამსონ. აი, პატიოსანი სიტყვა! მეტი რაღა უნდა?

ალექსანდრე. მართლა ამბობთ მაგას? მაშ, გადაგიწყვეტიათ კიდეცა?

ილია. დიახ. და მიტომაც გეძებდი, რომ ესეები მეთქვა შენივის და ეს წიგნიც გადაგეცა მისთვის.

ალექსანდრე. რა წიგნია?

ილია. აქ მოკლედ ვეუბნები ყველაფერს და ვეთხოვები კიდეცა... შენი გაზრდილია—შენ უფრო კარგად აუხსნი და შეაგონებ... ყმაწვილია... მებრალება კიდეც. მაგრამ რა ვქნა, რომ მეტი ღონე აღარ არის!...

ალექსანდრე. (უკმაყოფილოდ). მე მაგგვარ მახარობლობას ვერ ვიკისრებ!

სამსონ. მე მიბოძეთ!... მაგისთანა შემთხვევაში უსიამოვნებას განა როგორ უნდა მოერიდოს კაცი?... მეგობრის გულისათვის, ეგ კი არა, წყალში ვარდებიან.

ალექსანდრე. ისემც კარგი დაგემართოს!... განა არ ვიცი, რომ მეგობრობა გწამს და იცი. მშვიდობით! (ეპირება წასვლას)

ილია. მომითმინე! მეც მოვდივარ და ერთად წავიდეთ ბარემ. (სამსონს) აბა, აი, შენ გადაეცი და პირადაც ყველაფერი უთხარი. ნურას დაუფიცავ. აუხსენი შენებურად!

ალექსანდრე. მაგაზე რაღა თხოვნა ეჭირვება?!... თავისებურად აუხსნის!!

სამსონ. კეთილი! ბატონი ხართ. რაღა ბევრი თხოვნა მეჭირება?!

ილია. მე იქ ბიჭს ვუბრძანებ: სალომეს მოახსენოს, რომ შენთან გამოვიდეს და მოგელაპარაკოს. საქმეს რომ მორჩე, მოდი, შემატყობინე! ხომ იცი, სადაც ვიქნები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონ. (მარტო) ჰე! თუ ახლაც ვეღარას გავხდი, მერე კი იმედი აღარაფრის მექნება!... ფრანცუზები ამბობენ: „ქორწინება სიყვარულის სამარეაო". ეს კი არა და ცოლის შერთვა კი ჭკუის კუბო ყოფილა: რა მაგისთანა ჭკვიანი კაცი იყოს, არ შეიძლება, რომ ცოლის შერთვის შემდეგ არ გამოტვინდეს, ცოტაც არის. თვალები ეხვევათ იმ უბედურებს!—მადლობა ღმერთს, რომ ასეა, თორემ... თუ ცოლიანებს თვალები არ ჰქონდესთ ახვეული, მაშინ უცოლოები სულ თავ-პირ-ახვეულები იქნებოდენ.

მეოთხე გამოსვლა.

სამსონ და სალომე.

სალომე. (მიუახლოვდება მშვიდობიანად) ჩემს ქმარს უნებებია, რომ მოგელაპარაკოთ, და რა გაქვსთ სათქმელი? არ შეიძლება გვიბრძანოთ?...

სამსონ. (ვითომ შეწუხებით) ჭეშმარიტად, ის უსიამოვნო ამბავი, რომელიც ჩემგან უნდა გაიგონოთ, ისე მაწუხებს, რომ სიტყვის თქმა მეძნელება, მაგრამ რა გაეწყობა. ეს პირველი არ არის, მარტო თქვენზე, და მასთანაც, რისიც გასწორება აღარ მოხერხდება, ის კაცმა მოთმინებით უნდა მიიღოს!...

სალომე. (ჯდება) თუმცა მაგგვარის ბოდიშებით, როგორცა სჩანს, სასიამოს არას მექადით, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მზადა ვარ, მოვისმინო!—ბრძანეთ.

სამსონ. აი, აქედან გაიგებთ! (აძლევს წიგნს) ჯერ წაიკითხეთ!

სალომე. (კითხულობს) ჰმ!..

სამსონ. არ გიკვირსთ?

სალომე. სულაც არა! ეს ასე უნდა მომხდარიყო!... ეს ბოლო აუცილებელი იყო!... ისიც დიდია ჩემის ქმრის გულწრფელობისაგან, რომ ამდენს ხანს დაუფარავს და არა უთქვამს-რა... დიახ! მაგრამ მე მხოლოდ ის მიკვირს, რომ სამოციქულოდ გაუხდია საქმე: როდესაც ჩვენ სიყვარული გამოვუცხადეთ ერთმანეთს და ცოლ-ქრმობაზე პირობა დავდევით, თუ-კი მაშინ არ დაგვჭირვებია შუაკაცი, დღეს რალა საჭირო იყო? განა არ შეეძლო პირადად ეთქვა ის, რასაც ამ წერილით მატყობინებს, და ან თქვენის პირით რათ მიცხადებს?...

სამსონ. კაცი საზოგადოდ თავმოყვარეა: სასიამო ტვირთს თვითონ ეწევა და უსიამოს-კი სხვასა ჰკიდებს.

სალომე. მიკვირს, რომ თქვენ გიკისრნიათ მაგგვარი ტვირთი!..

სამსონ. მეგობრობას ვეღარ წაუვედი!..

სალომე. თქვენ?! საუცხოოა!—ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონ. რას დამცინით?...

სალომე. დაგცინით?! რასა ბრძანებთ? ვის შეუძლია დასცინოს იმას, ვინც არა თუ ერთი ვინმე მეგობარი, საზოგადოდ მეგობრობაც უარჰყო საქმით და სიტყვითაც-კი დასცინის?

სამსონ. მე შეუბნებით მაგას? ჰმ... რა გაეწყობა, უნდა მოვითმინო!... მაგრამ იყო დრო-კი, რომ ბაგგვარს ვერას გამიბედავდენ!...

სალომე. უთუოდ, როცა არც თქვენ აძლევდით მიზეზს.

სამსონ. ჰმ... მართალს ბრძანებთ! —კაცი რომ ჭკუას დაჰკარგავს, დაბალი ლობე გახდება: ყველა გადააბიჯებს...

სალომე. და სინიდისს რომ დაჰკარგავს, ამაღლდება?

სამსონ. განაგრძეთ! განაგრძეთ... მემართლებით... ყველაფრის ღირსი ვარ დღეს, როდესაც ჩემი ქართველური გულწრფელობა ყიზილბაშობაში გავცვალე, გავბოროტდი, გავშმაგდი, აღარ მაქვს აღარც მეგობრობისა და აღარც ამხანაგობის გატანა!... მაგრამ არ იცით ვისი ბრალია?...

სალომე. ვისი?

სამსონ. თქვენი!

სალომე. ჩემი?!

სამსონ. დიახ, თქვენი: ერთსადაიმავე დროს მეცა და ილიაც ორნივ ერთად გიდექით გვერდში.. არჩევანში იყავით შესული. ის აირჩიეთ და მე დამგმეთ! მაგრამ რისთვის? რითა მჯობდა მე ის? თვალტანად ვიყავი იმაზე ნაკლები და ჩემი ახალგაზრდობა საზოგადოდ სხვაში რამეში ჩამოუვარდებოდა მისას? რაში მიეცით იმას ჩემზე უპირატესობა?

სალომე. სიყვარულში.

სამსონ. სიყვარულში? ხა, ხა, ხა, ხა, ხა! და სად არის ის სიყვარული? რა იქნა?

სალომე. იყო და აღარ არის.

სამსონ. მაშ ძალიან მოკლე ზღაპარი ყოფილა!!... ახლა ხომ ხედავთ, რომ თქვენის წინდაუხედაობით მეც დამტანჯეთ და თქვენი თავიც გააუბედურეთ; აწ თქვენს ბედსაც უნდა ემდუროდეთ!

სალომე. რათა? დიდხანს ვიყავი მე იმასთან ბედნიერი; ღმერთს ვმადლობდი და ბედს ვემადლიერებოდი! ახლა წავიდა ის დრო!... რა გაეწყობა!... მე კიდევ მაინც არ მმართებს უმადურობის გამოჩენა არც ერთზე! ერთხელ ხომ ბედნიერადა ვგრძნობდი ჩემს თავს!... და საუკუნო არა არის-რა! ყველაფერსა აქვს დასასრული! მადლობა ღმერთს, რა გაეწყობა!...

სამსონ. ეგ არის თქვენი აზრი?—არა, არა სჩანს, რომ თქვენ ის გყვარებიათ, თორემ ახლა აგრე გულგრილად ვერ დაუხვდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით მაგ შემთხვევას. ახლა-კი ვხედავ, რომ არც ადრე გწამებიათ მისი სიყვარული.

სალომე. სცდებით! მჯეროდა და წმინდის გულითაც ვაძლევდი პასუხს. ახლაც რომ მითხრას: დამიბრუნებია სიყვარულიო, უეჭვოდ მივიღებ! მე კარგად ვხედავდი, რომ მისი სიყვარული ნამდვილი იყო.

სამსონ. რაო? იმ კაცის გრძნობა, რომლის სიყვარულსაც ასე მალე მოეკვეცა ფრთები, ნამდვილი იყო.. და მე-კი. რომელსაც ადრეც მიყვარდი, ახლაც მიყვარხარ და სამუდამოდაც მეყვარები— ეტყუოდი?!

სალომე. დიახ: გეჩვენებოდათ!

სამსონ. მეჩვენებოდა?!

სალომე. სწორედ. არ იცით, რომ სიყვარული ორგვარია? ხანდახან... ძალიან იშვიათად ჩვენ შეეხვდებით ხოლმე ისეთ ადამიანს, რომელიც რაღაც ძალაუნებურად იტყუებს ჩვენს ყურადღებას, გაცნობისათანავე სული იმის მეგობრობას თხოულობს, გული—სიყვარულს და ჭკუა ორივეზე თანხმაა.. ის სურვილი რაღაც სხვანაირია, გინდა რომ გიყვარდეს დედა-შვილურად, და-ძმურად და ამხანაგურად. იმ დროს ყოველი პირუტყვული გულისთქმა და ვნება მინელებულია. მართალია, ამგვარ სიყვარულსაც საბოლოოდ ალერსი და ხვევნა-კოცნა მოსდევს, მაგრამ ის არის სიყვარულის შედეგი და მიზეზი...

სამსონ. ეგ ვინ არ იცის? განა ახალი რამ გგონიათ?...

სალომე. მომითმინეთ!—ახლა მეორეც ვნახოთ: ხშირად... ძალიან ხშირად... პირუტყვულ გულისთქმის დროს შეეყრებით ხოლმე ისეთ ქალებს, რომელთანაც ალერსი და ხვევნა-კოცნა შეხედვისთანავე მოგინდებათ ხოლმე. თუ მალე, გაუჭირველად, დააკმაყოფილეთ ის სურვილი, ხომ კარგი,— ის შემთხვევა არაფრად ჩაიკლის: თუ გინდა ერთი ჯამი შარბათი შეგესვასთ! მაგრამ, თუ საწინააღმდეგო რამე გამოგიჩნდათ და მალე ვერ აისრულეთ სურვილი, მაშინ-კი კაცის გამხეცებულ თავმოყვარეობას ცეცხლი ეკიდება და ჟინი სიყვარულად იცვლება; მაგრამ ის სიყვარული, როგორც პირუტყვულ მოთხოვნილების შედეგი, მანამდი ღვივის, სანამ თავმოყვარეობა არ დაკმაყოფილდება... შემდეგ-კი უეცრად... ერთთავად ჭქრება!...

სამსონ. არც ეგ გახლავსთ ჩვენთვის ახალი რამ!—დიდი ხანია ვიცით!...

სალომე. არა! ეგ რომ გცოდნოდათ, ისიც გეცოდინებოდათ მაშინ, რომ თქვენი სიყვარული მეორეგვარი იყო და არის.

სამსონ. ილიასი?

სალომე. პირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონ. ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა! პირველგვარი სიყვარული... გარყვნილ ბუნებაში!... უხასიათოში... სუსტში!..

სალომე. (უცბად) ვისზე ბრძანებთ მაგაებს?

სამსონ. ილიაზე.

სალომე. ჰმ.. განა მაგის მიზეზი მოგცათ?

სამსონ. მიზეზი?! განა ცოტაა? ვინ გაჰკიცხა უმიზეზოდ თქვენი სიყვარული, თუ არ იმან?... ვინ გაგცვალათ უნამუსო დედაკაცებში?...

სალომე. (წამოდგება) გეყოფათ!... მე ნებას ვერ მოგცემთ, რომ ჩემთან მაგრე ილაპარაკოთ ჩემს ქმარზე.

სამსონ. დაგავიწყდათ, რომ თქვენი ქმარი აღარ არის?

სალომე. არა. ის ჩემს ქმრობაზე იღებს ხელს და არა ადამიანობაზე... ვინც უნდა იყოს პატიოსანი კაცი, ჩემთვის ერთია. იმაზე ცუდის თქმას მაინც არავის შევარჩენ. ჩემი ქმარი გულწრფელი კაცია და პირდაპირი; მისი ავიცა და კარგიც აშკარაა, მაგრამ თქვენისთანა გაიძვერა და ქვეშ-ქვეშა კაცის საქმე-კი სულ სხვა არის. მე თქვენა გთხოვთ, რომ დღეის იქით ჩემსა აღარ გაიაროთ, მით უფრო, რომ ჩემი ქმრის მეგობარი ბრძანდებით!... (მიდის)

სამსონ. (მარტო) გაგონილა!... მე, რომელიც ისე გათამამებული ვარ ლამაზებისაგან, რომ მათი სიყვარული ჩემი ნება მგონია, უნდა ამას ვითმენდე ამ მაიმუნისაგან? მაშ კარგი, ვნახოთ, როგორც უნდა სირცხვილის ჭმევა!...

მეხუთე გამოსვლა

ისევე და **ალმასხანა** (შემოდის და ახველებს)

სამსონა. ჰმ?...

ალმასხანა. ქალბატონმა გაახლათ ჩემი თავი.

სამსონ. რაო?

ალმასხანა. რა მოგახსენო, ბატონო!

სამსონ. რად გამოგაგზავნა?

ალმასხანა. ტყვილად, ბატონო! ასე!...

სამსონ. რავა ასე?

ალმასხანა. ასე, ბატონო!—იახელი, რომ კიბეზე ფეხი არ ჩაუცურდესო.

სამსონ. რაო?

ალმასხანა. ფეხიო, ბატონო! ფეხი არ ჩაუცურდესო და ჭიშკრამდინაც მიაცილეო, რომ ფეხში ძაღლმა არ უკბინოსო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონ. გაჩუმდი! ნუ წაგიგდია ენა!...

ალმასხანა. რა ვქნა, ბატონო!... რა ჩემი ბრალია?! მიბრძანეს, ბატონო, და...

სამსონ. ახლა მე გიბრძანებ, რომ გაეთრე შენთვის.

ალმასხანა. ჯერ სხვას ვახლავარ და, როცა თქვენ გიახლებით, ბატონო, მაშინ მიბრძანეთ.

სამსონ. პოშოლ ვონ!...

ალმასხანა. ვერა, ბატონო! ჯერ თქვენ პოშოლ და მერე მეც გიახლებით. ასეა ბრძანება.

სამსონ. (მივარდება) ვის უბედავ მაგას! შე წუწკო და წუწკის შვილო, შენა?! სულ კბილებს ჩაგამტვრევ!...

ალმასხანა. (გულმოსული) რაო? ვეიპლაჩ!... ვინ ვგონივარ მე შენ? ლაქია რომ ვარ, თუ? შენისთანა ყაძახები მახლავს იმერეთში!... რავა გამლახავ, რომ გამლახავ?! კბილები რავა, მამიშენისაგან მაქ ნასესხები, თუ?!. ვაიმე! რა ყოფილა ეს!... წაბრძანდი ახლავე, თვარა, ქალბატონი ნუ მომიკვდება, ასე გაგიყვან აქედან, რომ უკანაც არ მოგახედო!... რავა გაუვიდა თავს, რომ გოვუჩუმდი?... გაბრძანდი! გა!... (კარებს უღებს და ხელით უჩვენებს).

სამსონ. (გარბის გულმოსული) კარგი, კარგი და შენს სეირს გაყურებინებ, შე იმერელო, შენ!... (მიდის)

ალმასხანა. (უკან მისძახის) იმერელო?!... შენი დასაწუნარი ვარ, შენმა სიცოცხლემ, ხწორეფ!... ქვე არ წოუხდა!... ბრაწი, შენს საქმეს და ბრაწი!... (ბრაწს უგზავნის. ფარდა ეშვება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე მოქმედება

სანახავი: ლხინი ბაღში

პირველი გამოსვლა

ილია, სამსონ, გეო, მანუა, თათუზა და სხვანი სხედან სუფრაზე და იმღერიან:

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, ჰარი-არალი,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა, თარი-არალი,
შემოდგომამან ბახუზი, ჰარი-არალი,
საწნახელში ჩააყენა! თარი-არალი.

ზოგიერთები. ჰაზარუუუ!...

სხვები. ჰაზბანდარარარუუუუ!...

გეო. ყმაწვილებო, აბა, აივსეთ!—ეს იმის გულისა... ვისიც გულიდან ეს ლოთიანი სიტყვები ამოლებულა! ალლაეერდი!

ყველა. იახშიოლ!

მანუა. იახშიოოოლ! აი, იმის გულის კუნჭულის სულის ჭირიმე! უთქომს, რაღა!

თათუზა. მერე?!... უთქომს და ანგრერიგად!...

ილია. იცით, ეგ ლექსი ვისი ნათქვამია?

თათუზა. კარგად კი უთქომს იმ მამაცხონებულის შვილსა და.. ლოთიანად!...

ილია. ღენარლის ნათქვამია.

მანუა. რაო?! ეჰ! ღენარალი კი არა, პოლკოვნიკი არ გინდა!...

ილია. არა გჯერა?

თათუზა. ეჰ! ხუმრობ, კნიაზჯან! ღენარალი ამას რათ იტყოდა?! განა იკადრებდა?!

ილია. როგორ, განა არ ვარგია?

თათუზა. ვინ ამბობს?!... ძალიან კარგია, მაგრამ ღენარლის ხელობა არ არის და...

ილია. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ჰო!

თათუზა. დალოცვილო, ღენარალი, გინდა პოლკონიკი, ამას იტყვის?... იმის ხელობა „ნაპლეჩუ-ა". ეს იმისთანა კაცის ნათქომი იქნება, ღმერთს რომ უყვარს.

ბიბლიოთეკა

გეო. ეეჰჰ! არ გაათავებ?... დალოცვილებო, რათ აწუხებთ, ვინც უნდა იყოს! უთქომს და მორჩომილა კიდეცა! უცხონდეს მამის სული!... ტყვილად ჩვენ ჩვენს საქმეს რათა ვცდებით? (იმღერიან)

ნოემ რა ერთხელ ინება, ჰარი-არალი,
ყურძნის წვენის გემოვნება, თარი-არალი.
თვითონ ნუნუას მიუჯდა, ჰარი-არალი,
წყალი პირუტყვს დაანება, თარი-არალი.

ზოგიერთები. ჰაზარუუ!

სხვები. ჰაზზბანდარარრუუუ!

გეო. აბა, ერთიც კიდევ აივსეთ! ჰო, ეგრე, თქვენი კი ჭირიმე!.. როგორც კაცი არ ვარგა უძმაბიჭოდ, უამხანაგოდ, ისე არც სიმღერა ვარგა უსაზანდროდ!... ქეიფი არ ექნება!... ეს მისი სულის იყოს, ვინც საზანდარი მოიგონა და ვინც პირველი ზურნა დაუკრა! ალლაველდი თქვენთან, მეზურნეებო!

ყველა. იახშიოლ! იახშიოლ! იახშიოლ!

მანუა. (მეზურნეებს) ვა! დაუკარით რაღა! (იმღერიან):

მაშ მოდით ისევ ღვინითა, ჰარი-არალი
დრო გავატაროთ ლხინითა, თარი-არალი.
ქეიფი მაინც მოგვივა, ჰარი-არალი,
გოგრითა ვსოთ, თუ ჩინითა! თარი-არალი.
როს დავესწრათ გაზაფხულსა, ჰარი-არალი
ველს დავსხდეთ მწვანით მოსილსა, თარი-არალი,
ჩვენ წითელს ღვინოს ვეწაფნეთ, ჰარი-არალი,
ვარდი ვანებოთ ბულბულსა, თარი-არალი.

(ამ დროს შორე-ახლოდან მოისმის შარმანკის ხმა).

ზოგიერთები. ვა! ეს ვინ ოხრები მოთრეულან აქა, რომ ქეიფს გვიფუჭებენ?! სხვა ადგილი ველარ მოუნახავთ?!...

გეო. (მეზურნეებს) აბა, ასწიეთ ერთი, რომ იმათმა ეშმაკის საჭიყინომ ხმა ჩაიწყვიტოს! ჰო! თქვენი ჭირიმე! ეგრე! ეგრე!

მანუა. ვა! ვერა ხედავთ, რომ არ ჩუმდებიან?! მაინც თავისას არ იშლიან!

გეო. არ იშლიან რომელია? აბა, ერთი წავიდეთ, იმათ ცხრაცხრა ლიტრიანები ვუჩვენოთ და თუ არ წავლენ, ვნახოთ!

ზოგიერთები. აბა, ჰე! ერთი მაგათ! (მიაშურებენ. აქ დუდუკი უკრავს. იქ ცოტა ხნის შემდეგ შარმანკის ხმა შეწყდება და კიჟინა მოისმის) ლაზარე! ლაზარე! ეი! ეი! ლაზზარარრეეე! (მობრუნდებიან).

გეო. ძლივს არ გავლალეთ, ის მამა-ოხრის შვილები!...

ილია. რას ერჩოდით?

გეო. ჩვენ რას ვერჩოდით?... ჩვენ კი არა, ისინი გვიშლიდენ ქეიფს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონ. იმათაც ქეიფი უნდოდათ.

მანუა. უნდოდათ რომელია? სხვა ადგილი ვერსად მონახეს, აქ რომ მოდიან?!

გეო. იმათი საქმე ოტკა და დუქანია... ჩვენს ბაღებში რა უნდათ?... ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო!

თათუზა. მამა უცხონდათ!... იმ ტუტუკს, იმ ვირსა მოუდევს ზურგზე ათფუთიანი ზანდუკი, ისიც უკურტნოდ და აჭიჭყინებს... თავი მოსწონს, რაღა!

სამსონ. მისი ხელობა ის არის.

მანუა. ხელობა?... ვა! ხელით ასე ტრიალი ხელობაა?... დათვიკი ვერ იზამს მაგისთანა ხელობას?

თათუზა. ხელობა?!... განა ჩვენი დაფა-ზურნაა, რომ ბევრი რამ უნდოდეს? ბრიყვის ხელობაა!... განა იმას კარგი რამ ოსტატობა უნდა?!

სამსონ. განა ჩვენი ზურნა-კი რაღა არის?

გეო. ეჰ! რა ბრძანეთ ეგა?! ზურნა და შარმანკა განა ერთია?

სამსონ. რატომ არა?

გეო. ერთი ეშმაკისაა და მეორე-კი ღვთის. ჩვენი დუდუკი ნაკურთხია.

ილია. ნაკურთხი?

გეო. ვა! მაშ?!

ილია. ვის უკურთხებია?

გეო. ვა! ქრისტე ღმერთს, გალილიაში.

ილია. (სიცილით) გალილიაში?

გეო. ვა! დალოცვილო! მაგდენ წიგნებს რომ კითხულობთ, ეგეც არ იცით? ჩვენი წმინდა სახარება მაინც ალარ გაგიგონიათ?...

სამსონ. რაო?

გეო. ეგ ამბავი სულ იქ არის ჩაწერილი.

ილია. რასა ჰბოდავ?

გეო. ვა! ბოდვა რომელია?! მაშ ქრისტე ღმერთი რომ ქორწილში დაესწრო, არ გაგიგონია?

ილია. ეგ კი ვიცი! გალილიაში.

გეო. გალიაში რომელია?! რას ამბობ, კნიაზ-ჯან? გალიაში კი არა, ოჯახში!... ღვინოც რომ შემოაკლდა მასპინძელს და მაშინ ქრისტე ღმერთმა უბრძანა, ვენაცვალე მის ძლიერებას, ნუ შესწუხდები, შენ ხათრი ნუ გაქვსო! და წყალი გადაუქცია კახურ ღვინოდ... აბა, მაშინ გაიმართა ლხინი და გამხიარულდენ სტუმრები.

ილია. (იცინის) ჰო, ეგ ვიცი! ვიცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეო. მაშ, თუ იცი აბა, ვინ იყვენ მაშინ იქ დამკვრელი საზანდრები?

ილია. ვინ?

გეო. ვინა და მეზურნეები!... მაშინ ღმერთმა აკურთხა საზანდრების მარჯვენა, დაულოცა თავი და უთხრა: ჯერ, სანამ მე აქა ვარ, თქვენც ამ ქვეყანაში იყავით და მერე-კი, სადაც უკეთესი ქვეყანა ნახოთ, იქ წადითო!... ისინიც ადგენ და ჩამოვიდენ ჩვენს ქალაქში, მასუკან სულ აქ არიან!...

ილია. (იცინის) მართლა?

გეო. ვა! რას იცინი, კნიაზ-ჯან? ჩემი თავის მზემ!... სანამდი ქრისტიანობა ქვეყანაზე არ მოისპობა, არც ზურნის ხმა უნდა გაწყდეს ჩვენს ქალაქში, ამიტომ რომ ნაკურთხია!—შენ-კი, დალოცვილო, შარმანკას ადარებ!... შარმანკა რომელია?! აი, გაწყდეს მისი... (ხმა მოისმის) ახალი თევზი! ახალი! პა, პა, პა, პა! რა თევზია! რა თევზი!.. (კინტო შემოდის).

მეოთხე გამოსვლა

ისინივე და **კინტო**

კინტო. ახალი თევზი! ცოცხალი თევზი! ოჰ... კამპანიას გაუმარჯოს (ამოიღებს ფეშტამლიდან თევზს და უნძრევეს ბოლოს. მერე გადაუგდებს კამპანიას) ვიფ! ლხინი გაამოსთ!...

ყველა. გაგიმარჯოს!... მოდი! დაგვეწვიე!...

კინტო. კეთილი! (ჯდება).

სამსონ. ვინა ხარ, ძმაო?

კინტო. ვა! ვერა მხედავ?!

სამსონ. გხედავ, მაგრამ შუბლზე ხომ არ გაწერია, ვინც ხარ?!

კინტო. ჩემი შუბლი განა ქალალდი გგონია, კნიაზ-ჯან?

სამსონ. მეც მაგას გეუბნები, რომ არა! გიყურებ, მაგრამ რომ არ მაგონდები!

კინტო. არც მე მაგონდებით, კნიაზ-ჯან.

ზოგიერთები. მართლა, რომ არსად გვინახვიხარ...

კინტო. არც მე, ჩემი თავის მზემ.

ილია. მაშ სადაური ხარ?

კინტო. საიდანაც უნდა ვიყო, ვარ, რალა?

სამსონ. კიდეც ეგ არის, რომ გვინდა შევიტყოთ, ვინა ხარ?

კინტო. მე ვინა ვარ?... მე ვარ!...

სამსონ. ჰმ! ვინ შენ? რა მოხელე ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინტო. ხელობა?... ყველაფერი ხელობა ვიცი! რაც გინდა, ისა ვარ! გინდ, ტერტერაცა ვარ.

ილია. რას ამბობ?

კინტო. მაშ, გეუბნებით, ყველაფერი ვართქო. კინტო ვარ, რაღა!...

ილია. (იცინის) დღეს რაღა ხელობას ადგიხარ?

კინტო. ახლა?... პეტრეს შეგირდი ვარ.

სამსონ. როგორ თუ პეტრეს შეგირდი?

კინტო. ვა! ის, რომ პეტრე ჩემი ოსტატია!... მიხვდი?

სამსონ. ვინ პეტრეა?

კინტო. პეტრე მოციქული.

ილია. ჯერ პატარა ხარ, მაგრამ დიდად კი ხუმრობ.

კინტო. ხუმრობა რომელია?... ჩემი სიყრმის მზემ, მართალს ვამბობ! პირველი მეთევზე განა პეტრე მოციქული არ იყო? ბადე მისი მოგონილია!... მაშ, მეთევზეები ყველა მისი შეგირდები არიან. . მეც, ეს ერთი ხანია, თევზებს ვიჭერ.

სამსონ. სახელი რა გქვიან მაინც?

კინტო. აღარა მაქვს, კნიაზ-ჯან!... მორევში ჩამივარდა და იქ დარჩა!... ეჰ, კნიაზ-ჯან! ვიყო, ვინც ვიყო!... მოგიწვევივართ—მეც გწვევივართ; თქვენ მასპინძლები—მე სტუმარი!... კმარა!... მე არ გეკითხებით, თუ ვინა ხართ...

გეო. კარგია, დაანებეთ თავი, ვინც უნდა იყოს... ჯერ ერთი კარგად სადღეგრძელოები გადავაკვრევინოთ და მერე ამოიდგამს ენას!... ალავერდი შენთან!... აბა!... (მოაწოდებს ოთხს ჭიქას ერთად) ჯერ ერთი აზარბარი დალიე, ჩვენთან, გაგვისწორდი!

კინტო. (ჩამოართმევს) იახშიოლ! მაგრამ ჯერ მე არც ტოლიბაში ვიცი და არც თქვენი სადღეგრძელო!... მე მოვსულვარ—ჩემი სალოცავებიც თან მომიტანია! ჯერ იმათ მოვრჩები და მერე მეც თქვენ თან ვარ. მაშინ, რაც გინდათ, ის მიბრძანეთ!... გაგივონიათ: სტუმარი მასპინძლის ვირიაო?...

ყველა. კეთილი! კეთილი! მაგრე იყოს.

კინტო. ეს ღმერთმა გაუმარჯოს თქვენ კამპანიას ერთობით!... ალავერდი, ტოლიბაშო.

გეო. იახშიოლ.

კინტო. ვა! მეზურნეები დაყრუებულან?... ზურნას ენა რათ ჩავარდნია?... ტოლიბაშო, ალლავერდი! არ გესმის? აბა, მოულხინე ამ სადღეგრძელოს, რაღა?!

გეო. არ კი გითხარ: იახშიოლ მეთქი?!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინტო. ვა! მაგის მეტი აღარა ეჭირვება-რა? ეგ არის? მაგას ეძახით თქვენში მოლხენას? ადე, ერთი დაუარე! აბა დაუკარით, რა-ლა!... (გეო გადადის და თამაშობს კინტოურს) ჰოო!... გიცხონდა მამის სული! გცოდნია მოლხენა!... ეგ მიყვარს, აი! ეგრე უნდა, ლოთიანად! (გეო ათავებს ლეკურს, თავს უკრავს და ჯდება) ეს ღმერთმა გაუმარჯოს თქვენ საყვარლებს! (ილიას) ალავერდი თქვენთან, კნიაზ-ჯან! აბა ინებეთ, ერთი თქვენც მოულხინეთ ამ სადღეგრძელოს!

ილია. იახშიოლ! მაგრამ რომ არ შემიძლიან?!...

კინტო. ფეხები გტკივა?

ილია. არა, მაგრამ არ ვიცი.

კინტო. ეჰ, არ ვიცი რომელია?... თქვენი საყვარელი განა ცოცხა-ლია, კნიაზ-ჯან! მკვდარი ხომ არ არის?

ილია. როგორ თუ მკვდარი?

კინტო. მაშ, თუ ცოცხალია, განა შენისთანა კაცი შეუყვარდე-ბა?... (მანუას) მაშ შენთან ალავერდი! ადე, ერთი მოულხინე კნიაზის საყვარელს!—უკაცრავად, კნიაზ-ჯან, არ გეწყინოს კი! ლხინია!... (მანუა თამაშობს).

მანუა. კამპანიას გაუმარჯოს! (ჯდება)

კინტო. ცხონებული კაკაბუა იტყოდა ხოლმე: „კარგი კაცის და-ლოცვა მადლია, მაგრამ ცუდი კაცის დაწყევლაც არ არის ცოდვაო". ეს ღმერთმა დასწყევლოს, შეაჩვენოს ის კაცი, ვინც მეგობრის გატა-ნა არ იცოდეს!... ვინც ძმა-ბიჭის გულისათვის ან ცეცხლს დაერი-დოს, ან წყალს და ან პოლიციას შეუშინდეს! (სამსონს) ალავერდი შენთან, კნიაზ-ჯან!

სამსონ. იახშიოლ! (თათუზას) აბა, ერთი შენ დაუარე ჩემ მა-გიერ!...

კინტო. არა, კნიაზ, ამისთანა სადღეგრძელოს მოლხენა კი არა, თვალში ნაცარი უნდა! ნუ ირჯებით!... ეს ღმერთმა დასაჯოს, შეუ-რცხვინოს ნამუსი და პირი ინას, ვინც მეგობრის ცოლს არშიყობა დაუწყოს. (სამსონს) კიდევ თქვენთან, კნიაზ-ჯან, ალავერდი!

სამსონ. ეჰ! რას ამიტყდი?!... ჩემს მეტი ველარავინ დაინახე?!

კინტო. ნუ გეწყინება, კნიაზ-ჯან! შენ მომიხვედი ისე ნიშან-ში!... ჰე... მე მოვრჩი! ეხლა თქვენ იცით!... მეც თქვენს ნებას ველარ წაუვალ!...

გეო. მაშ, ეს ღმერთმა გაუმარჯოს შენ საყვარელს! ალლავერდი!...

კინტო. იახშიოლ!

მანუა. გყავს კი საყვარელი?

კინტო. მაშ?!

თათაუზა. ეგრე პატარას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინტო. „დიდი და ახპახიო, პატარა და ჩახმახიო“, არ გაგიგონია?

გეო. აბა, ერთი შენიც ვნახოთ, როგორ იცი საყვარლის მოლხენა.

კინტო. სულ ანჩისხატურად, რაღა!... (იმღერის)
საყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია!
მის ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია!

ყველა. ჰადანდანი, დანდანი,
დარინანა, ნი-ნა-ნი!

კინტო. მისმა შუქმა დამადნო,
სიცოცხლეც დამწვარია:
დღე-დღეობით მზე არის,
ღამ-ღამობით მთვარია!

ყველა. ჰადანდანი და სხვ.

კინტო. მისი ცეცხლი ამ გულსა
აროდეს არ ნელდება;
თუ იმას არ ვუყურებ,
დღე ნათელი ბნელდება.

ყველა. ჰადანდანი და სხვ.

კინტო. მაშინ ვკვდები სევდითა,
სისხლის ცრემლით ვტირი მე!
სანამ არ მანუგეშებს,
იმისი კი ჭირიმე!!...

ყველა. ჰადანდანი და სხვ.

კინტო. საყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია,
მის ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია...

ზოგიერთები. (შეუქქანებენ) ჰა-ჯან! ჰა-ჯან! ჰა-ჯან!...

გეო. გცოდნია საყვარლის მოლხენა!... ბარაქალა!... ეს შენი სადღეგრძელო იყოს, პეტრეს შეგირდო! ერთი გვითხარ: სადაური ლოთი ხარ, და?!

კინტო. (იმღერის) ერთი ვინმე კინტო ვარ,
საყვარელი მეცა მყავს!
ის სულ სხვა ვარდი არი:
სხვის საყვარელს არა ჰგავს!..

ყველა. ჰა-ჯან, ჰა-ჯან, შენი სულისა!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინტო. შავგვრემანი, შავთვალა,
ეშხის ცეცხლით მწველია!
ბაიყუში ქმარი სძულს,
ჩემი საყვარელია!...

სხვები. აი, შენი კი ჭირიმე! ჰა-ჯან, ჰა-ჯან!...

კინტო. საცა წავალ-წამოვალ,
მაგონდება სულ ისა!
იმას კი ვენაცვალე,
ჰოი, მისი სულისა!!

ყველა. ჰაი, შენი სულისა, ჰა-ჯან!...

კინტო. დალამდება თუ არა,
მელის გულის ძგერითა;
მე ჩაუვლი კარდაკარ
თარითა და მღერითა.

ყველა. ჰაიჰა! ჰაიჰა!... შენი გულისა!!

კინტო. თუ რომ დრო აქვს, შემიხმობს,
ალარ უნდა ვედრება.
ვფიცავ, ჩემს საყვარელსა
სხვისი ვერ შეედრება!!
ჭირიმე, ჭირიმე, ჭირიმე!
შავგვრემანის ჭირიმე!
ჭირიმე, ჭირიმე, ჭირიმე!
შავთვალწარბას ჭირიმე!!

ყველა. ჰაი, ჰაი, ჰაი, ჰაჯან, ჰაჯან! შენი კი ჭირიმე!... შენი სულისა!...

ზოგიერთები. პროშტი, პროშტი, პროშტი გაამოს!... პროშტი, მოდი და!...

კინტო. პროშტი?! ძალიან კარგი! (ილიას) ალაევრდი შენთან! პროშტი გაამოს! (ჰკოცნის) რას მოგიწყენია, ვა! თითქო ცოლ-შვილი დაგკარგოდეს. გამხიარულდი და!... (ბეჭებში ხელს ჩაჰკრავს).

ზოგიერთები. პროშტი, პროშტი რიგით! დაუყევი და!...

კინტო. მოვდივარ. მოდი, აბა! (სარსონს მისჩერებია, ჯერ ვითომ კოცნას უპირებს და მერე კი ხელსა ჰკრავს). გაზი იქით! ვა!... რა მუნიანი ყოფილა!... ამასთან პროშტს ძაღლის პროშტი სჯობია!...

სხვები. აჰ, აჰ, ეგ არ იქნება! ეგ არ შეიძლება!... საერთო პროშტი!!

კინტო. არ იქნება?—ვა! პროშტიც ჩემია და ქეიფიც ჩემი! არ მინდა! ვის რას შევეპუები?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანუა. რას იმადლები, ეეე?!—შეინახე, თორემ, შენმა მზემ, დედოფალს მიუტან!...

კინტო. ვა! ჩემი საყვარელი დედოფალიც არის და დედოფლების ბატონიც! იმისი კი ჭირიმე!

თათუზა. კარგი ვინმეც იქნება!...

კინტო. ეი! რაში მოგეწონება? ჩულურეთელი კატუა ხომ არა გგონია? ან-და ავლაბრელი კეკელა?...

გეო. მაშ, შენმა თავის მზემ, დიდი ვინმე კნეინა იქნება! ყოშებიანი!...

კინტო. მაშ! არ იცი, რომ კნეინაა?!

მანუა. ეეე?! რას ამბობ? მართლა?! მამა გიცხონდა, აბა, სადა დგას? კნეინების უბანში?

კინტო. ვა! გეუბნებით და ჩემი სიყრმის მზემ, რომ კნეინაა! იცით, სოლოლაკში რომ ერთსართულიანი სახლია, წინ პატარა აივანიცა აქვს...

გეო. ეი, ეი! გაჩუმდი და... შენთვის შეინახე... რად ამქლავნებ!...

კინტო. ვა! განა მომიპარავს, თუ?...

სამსონ. არა უშავს რა! სთქვი, სთქვი!

კინტო. იქ ერთი შავგვრემანი კნეინაა...

ილია. შავგვრემანი?

კინტო. დიახ, შავგვრემანი! იმას კი ვენაცვალე! ის არის ჩემი საყვარელი!

გეო. ცხადად, თუ ძილში?...

კინტო. ძილში რომელია? ჩემია!—გათავებულია და მორჩომილი.

სამსონ. (გაიხმობს ილიას განზე. ეჩურჩულება) არ გესმის?

ილია. ეს რა ამბავია! რას ამბობს?...

სამსონ. ყური უგდე! (კინტოს) დიდი ხანია, იცნობ?

კინტო. შენზე ადრე! რაში გეკითხება?

სამსონ. (ილიას) შენ ცოლზე ამბობს.

ილია. რა ხუმრობაა!... როგორ დავიჯერო!...

სამსონ. ნუ დაიჯერებ, თუ გიყვარდე!... არ გეუბნებოდი? გამოვკითხოთ, ნალვინევია, ყველაფერს გვეტყვის. (კინტოს) ქმრიანია?

კინტო. ერთი პატარა შვილიცა ჰყავს და...

ილია. ცხადია, იმაზე ამბობს...

სამსონ. რა ექვია?!

მანუა. ხშირად დადიხარ იმასთან?

კინტო. როცა კი დრო მაქვს.

მანუა. როგორ ტყობილობ ხოლმე?

კინტო. ერთი ტუტუცი იმერელი ბიჭი ჰყავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია. რა ჰქვიან იმ ბიჭსა?

კინტო. ალმასხანა. ვა! რათ გაგიკვირდა? განა სახელიც ტუტუცია?—ის კი ძალიან ტუტუცი რამ არის...

სამსონ. ახლა?

ილია. ვერა ჰხედავ? ეს რაები მესმის, ნუთუ?..

გეო. მერე ქმრის არ გეშინია?

კინტო. ქმარი?... მე არც კი მინახავს. ის ერთი ვინმე ტუტუცია თურმე; სულ საქმეებზე დაეთრევა, შინ კაცი ვერც კი ნახავს. იმან რა იცის, თუ იმის თავზე რა ამბებია?... ისე კი სძულს ჩემ სალომეს, იმისი კი ჭირიმე, რომ ბაიყუშად მიაჩნია, მაგრამ სხვანაირად კი აჩვენებს თავს. ატყუებს... იმისთანა ოხერს ისე მოუხდება!

ილია. ჰმ, რათა? რა დაუშავებია?

კინტო. ის ოხერი, რათ ირთავდა მისთანა ქალს? იმისთანა ლობიომ რა იცის, რა გაეგება ეშხიანი სიყვარულის? ის ქალი კი ცეცხლია. ერთი გიჟი ვინმეა! ლოთიანი!!... ერთხელ მაგრად ვერ ვაკოცე და ასეთი ალიყული მითავაზა, რომ თქვენი მოწონებული; დღესაც მეწვის ყურის ძირი... ნამეტანია და...

ყველა. (იცინიან) ეჰ, მართლა?

კინტო. მართლა, ჩემი თავის მზემ! ერთი სიტყვით, არის რაღა!..

ილია. (სამსონს) აჰ, ეს ჩემ ცოლს არა ჰგავს! სხვა ვინმე იქნება, თუ მართალია.

სამსონ. შენ აგრე გეგონოს.

კინტო. იმის ქმარს ერთი საძაგელი მეგობარი თურმე ჰყავს და ის ეარშიყება ჩემ სალომეს... აი, ერთი შევხვდებოდე სადმე, მე ვუჩვენებდი იმას არშიყობას!...

გეო. მართლა? შენი საყვარელი-კი რაღას ეუბნება?...

კინტო. გააგდო!... ძაღლადაც არ ჩააგდო!... ამდენი გვიცინია იმ ღამეს, რომ...

სამსონ. ეს ვიღაც გიჟია!... ანდა დათვრა და აღარა გაეგება რა... ჰბოდავს. კარგი, ძმაო, გეყოფა მაგდენი ტყუილი.

კინტო. რაო? ტყუილი რომელია? მტყუანს რა ვუთხრა?...

სამსონ. ნუ შეგვაწუხე ტრაბახით! გეყოფა მაგდენი!...

კინტო. თქვენ რაო, კნიაზ-ჯან, რომ სწყრებით?—გნებავსთ, ერთი ლათაია გითხრათ:

გულში სწყრებით!
თავში მწყრებით.
ერთს დაგაზელთ
და დასცხრებით!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონ. ეი, ეი! ნამეტან ნებას აძლევ შენს თავს! არ იცი, სადა ხარ? ვის უბედავ მაგას?

კინტო. ვა! განა აქ ბატონია ვინმე? გაბედვა რომელია?!..

ილია. დაანებე თავი! როგორ გეკადრება მაგის აყოლა?!..

სამსონ. წაეთერ შენთვის, ვილაც მოთრეულხარ!... შე ვირო! ოხერო!...

კინტო. ეჰ!.. კნიაზ-ჯან! ვირიცა ხარ და ვირების უსტაბაშიც!... მოთრეული რომელია?!

სამსონ. (მიიწევს) ვის უბედავ მაგას? ვინა გგონივაო? (იჭერენ სამსონს).

კინტო. ეჰ! კარგია, მამა გიცხონდება!... სამფუთიანი არ გა მომტყუო!! ეგეგ უზიარებელიცა ხარ და...

სამსონ. რაო? რაო? გამიშვით! ერთი გამიშვით!

კინტო. (შუაზე ჩერდება, თან სიცილს იჭერს) აბა, გაუშვით, მოვიდეს! ერთი დავაკერო მაგას ჩემებურად, ჰა!...

(ფარდა ეშვება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე მოქმედება

სანახავი: ისევ ის ოთახი, რომელიც პირველ მოქმედებაში იყო.

პირველი გამოსვლა

ალექსანდრე და **ილია** შემოდიან

ილია. ახლა?!.. რაღას იტყვი?...

ალექსანდრე. იმას, რომ ეგეები ყველა დიდი სისულელეა!...

ილია. არა გჯერა?

ალექსანდრე. ჩემის თვალითაც რომ ვნახო, მაშინაც არ დავიჯერებ.

ილია. მაგას ხომ კერპობა ჰქვიან?!...

ალექსანდრე. მაშ როგორ გგონია შენ? მაგისთანა საქმეს დიდი დამტკიცება უნდა.

ილია. განა ეს კი არა კმარა?

ალექსანდრე. რას ამბობ?! ერთი ვიღაც გინახავსთ და აჰყოლიხართ. ჯერ ისიც არ იცით, ვინ იყო და საიდან? ეგებ მტრებისაგანაც იყო შემოჩენილი.

ილია. რა ბრძანებაა!... ვერ გვიცნობდა და ვერ ვიცნობდით!... მხოლოდ შემთხვევა იყო.

ალექსანდრე. რა ვქნა? მე მაინც არა მჯერა!... ულაყბია რაღა!...

ილია. მართლა? მაშ კარგი! (მიდის).

ალექსანდრე. (მარტო. იცინის) რა თავმოყვარე პირუტყვია კაცი!... გუშინ არ ურჩევდა სალომეს: მომშორდი და, ვინც გინდა, ის შეიყვარეო?! დღეს რაღათ იკლავს თავს? აკი აღარ მიყვარს ჩემი ცოლიო და თავს ანებებდა!

მეორე გამოსვლა

ისვე და **ილია**, რომელსაც შემოჰყავს **ალმასხანა.**

ილია. ვნახოთ, ახლა რაღას იტყვი?

ალექსანდრე. რა ამბავია?

ილია. ამას ჰკითხე და გაიგებ!... (ალმასხანას) აბა, სთქვი: ვინ დაიარება?

ალმასხანა. ყველა, ბატონო, ვისაც კი ფეხი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია. მაგას არა გკითხავ. აქ ვინ დადის?

ალმასხანა. ვინც დაიარება, ბატონო!

ილია. (გულმოსული) ოჰ! რა ტუტუცია!... კინტო დადის აქ, თუ არა?

ალმასხანა. რა კკინტოა, ბატონო?

ილია. შეხეთ ამ იმერელს!... რანაირად ისულელებს თავს!. . იმასა გკითხავ, რასაც დღეს დილასა გკითხავდი!... გაიმეორე ის ახლაც, რაც მაშინ მითხარი!...

ალმასხანა. მე არაფერი მომიხსენებია, ბატონო!... (მისჩერებია ალექსანდრეს .

ილია. როგორ, თუ არაფერი?! სთქვი, თორემ ეხლავ პოლიციაში გაგაგზავნი.

ალმასხანა. რაუა, ბატონო? რა დამიშავებია, შენი ჭირიმე?... (მისჩერებია ალექსანდრეს).

ილია. ამას რას მისჩერებიხარ?

ალმასხანა. რაცხა შინაურობაში მოგახსენე, რა საუცხოოა, ბატონო?!...

ილია. აქ უცხო არავინ არის... თუ იტყვი, საჩუქარს მიიღებ და, თუ არა, ციხეში ამოგაყოფინებ თავს.

ალმასხანა. რა ვქნა, ბატონო!... მეშინია!...

ილია. რისა გეშინიან?

ალმასხანა. ვაი თუ არ ივარგოს და რამე ამიტყდეს, რომ ვთქვა?

ალექსანდრე. არა, სთქვი, ნუ გეშინია. არა აგიტყდება რა.

ალმასხანა. სულ ერთია, ბატონო, ქალბატონს რომ რამე აუტყდეს ჩემი ბარობით?

ალექსანდრე. არც იმას!... იცოდე, რომ ჩვენში დარჩება.

ალმასხანა. აბა, ბატონო, უნდა მოგახსენოთ, რომ მართალია.

ალექსანდრე. რა არის მართალი?

ალმასხანა. რაც ამათ მოვახსენე.

ალექსანდრე. რა მოახსენე?

ალმასხანა. ის, ბატონო.

ალექსანდრე. რა ის?

ალმასხანა. მე ნული მათქმევინებთ, შენი ჭირიმე!... ამათ იციან!...

ილია. არა, შენა სთქვი. თორემ არ დაიჯერებს.

ალმასხანა. აბა, ქვე მაინც ნუ გამამხელთ! ჩემად ნურსად იტყვით და ხწორეფ დადის... ველარ დავფიცავ.

ალექსანდრე. ვინ?

ალმასხანა. ის, ბატონო.

ალესქსანდრე. ვინ ის? არ იტყვი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმასხანა. ის, ბატონო!... კვინტუა, ბატონო!

ალექსანდრე. ვინ კინტოა?

ალმასხანა. რა მოგახსენოთ, ბატონო! ქალბატონმა იცის.

ალექსანდრე. ვისთან დადის ხოლმე?

ალმასხანა. ქალბატონის ოჯახში კი შედის და, რა მოგახსენო, ეგება ძიძასთანაც დადიოდეს.

ილია. როგორ შეგყავს ხოლმე?

ალმასხანა. რა ვქნა, ბატონო?... რა ჩემი ბრალია!? ვერ წაუვალ ქალბატონის ბრძანებას...

ილია. მაგას არა გკითხავ. რანაირად შემოგყავს ხოლმე.

ალმასხანა. რავა ბატონო და ასე: საღამ-საღამოობით ის ჩვენი სახლის წინ დადის თარით და ბღავილით; თუ ხმა არ გევეცი, უნდა იცოდეს, რომ დრო არ არის, და კუდამოძუებული წავა ხოლმე შინ.

ალექსანდრე. და თუ დრო არის?

ალმასხანა. მაშინ, ბატონო; მეც აქედან ვუმღერებ ხოლმე და ის, რავაც კაი ბატონი, ისე შემობრძანდება ხოლმე, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს.

ალექსანდრე. დიდი ხანია, რაც დაიარება?

ალმასხანა. რა მოგახსენო, ბატონო!... მე რომ გიახელით—დამხვდა!.. კმარა, ბატონო, მეტს ნუღა მათქმევინებთ, თვარა წამცდება რამე და არ ევარგება!...

ალექსანდრე. ჰმ! მაგაზე მეტი რაღა უნდა წაგცდეს? (სიცილს იჭერს).

ილია. ახლა მაინც რაღას იტყვი? კიდევ არა გჯერა?

ალექსანდრე. ჰმ!... აქ რაღაც ეშმაკობა უნდა იყოს!... უთუოდ ეს ბიჭიც მოყიდულია.

ალმასხანა. ეჰ, არა, ბატონო! მოყიდული რავა ვარ?

ალექსანდრე. სტყუი! და არც შეგრჩება ეგ მოგონება.

ალმასხანა. რავა ვტყუი, შე დალოცვილო!... დღეს დეიგვიანა, თვარა აქამდინაც უნდა მოსულიყო... ჰე, ბატონო! ჰე!... არ გესმით? მისი თარია ბეჯითად, ბატონო! ახლავე ბღავილს მოჰყვება. (ისმის სიმღერა)

„რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები ტურფავ, შეგიყვარდები“ და სხვ.

ალექსანდრე. აჰ?! ეს, მართლა, რა ამბავია?

ილია. არაფერი!... ნახავ, რაც ამბავია!... ჩვენ, ა, იქ შევიდეთ!... აბა, ალმასხანა! თუ შენი ბედნიერება გინდა, შემოიყვანე ეხლავ და .. არ მიგიხვდეს კი, რომ აქა ვართ! (შედიან განის ოთახში).

ალმასხანა. კი, ბატონო. (სიმღერა თავდება. ალმასხანა იმღერის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორის ოდელია, დელა,
ოდელია, დელი, ნანინაო და...

კატუნიაო, კატაო!
რას შემოგვჭყავი კარსაო?
გაბედე, ფეხი შემოდგი,
არავინ გეტყვის ვარსაო.
ორის ოდელია და სხ...

მარტოა შენი ციცუნა,
მოგელის მამალ კატასო!
კრუტუნით გეტყვის მაყრულსა
და წინ დაგიდებს ქადასო!
ორის ოდელია და სხ.

ქოფაკი სხვაგან წასულა,
ის აღარ არის შინაო;
ციცუნი, ციცო, ციცუნი!
მოდი! რამ შეგაშინაო?
ორის ოდელია" და სხ..

მესამე გამოსვლა

ისინივე და **კინტო**

კინტო. გამარჯობა! შინ არის?... (სიცილს იჭერს)

ალმასხანა. შინ არი, მარა ფთხილად! ფთხილად! ფათარაკი არ მოგივიდეს! შედი, მარა „მალულო, ფთხილად იყავ!" მე ჭიშკართან მოგიცდი და, თუ ვინიცობაა მოვიდა ვინმე, სიმღერას დეივწყებ და მაშინ შენ იცი!... შენებურად შევარდი ლოგინ ქვეშ.

კინტო. კეთილი! აი, ესეც კიდევ შენ! (აძლევს ფულს და შედის საწოლში)

ალმასხანა. ჰო, ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს! კაი ხარ, მარა კაი ყოფაშიდაც ხარ!...

მეოთხე გამოსვლა

ისევე, **ალექსანდრე** და **ილია** გამოდიან

ილია. ახლა ხომ დაინახე?... არც ახლა გჯერა? კიდევ მე მატყუნებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე. გასაკვირალია!... ახლა კი მჯერა, მაგრამ გამტყუნებით მაინც შენ გამტყუნებ. სულ შენი ბრალია მისი გაფუჭება: მიანებე ყმაწვილ ქალს თავი და... მაგრამ რას ცხარობ, შენ ხომ დიდი ხანია ხელი აიღე იმ ქალზე? ახლა რაღა გინდა?

ილია. რაღა მინდა? ჰმ! ის, რომ საქმე გამოაშკარავდეს, მე პირშავად აღარ ვჩნდე... ეგ დასაზოგავი აღარ არის!... ვერ გაიგონე, რომ ჩემზე უმალ თურმე ისა ჰყოლია და მე კი მატყუებდა. არა, ჩემს გულს ადრევ თურმე უგრძვნია და კი მქონია მიზეზიც იმგვარად მოქცევის, როგორც ვიქცეოდი... ტყვილად ნუღა მამტყუნებ და მესაყვედურები!... მინდა, რომ კანონითაც მოვიშორო ეგ მოღალატე.

სალომეს ხმა. ოჰ, შენ კი გენაცვალე, ჩემო სიცოცხლევ! რად იცი ჩემი ტანჯვა? რად იგვიანებ ხოლმე? ღამის შენს ლოდინში სული ამომხდეს! (მოისმის კოცნის ხმა).

ილია. გესმის?... აჰ!... როგორ მოგწონს ეს ამბავი?! ხა, ხა, ხა, ხა! არა გჯერა?!...

კინტოს ხმა. საქმე შემემთხვა და იმან შემიშალა ხელი, სულოჯან! შენი კი ჭირიმე... შენი! — (კოცნა) როდის იქნეს, რომ სულ ერთად ვიქნეთ და გადავურჩეთ იმ შენ ბაიყუშ ქმარს?...

ილია. ყური დაუგდე!... ხელაღებული რომ არ ვიყო, უნდა ერთმანეთზე დავაკლა ეგენი.

ალექსანდრე. (სიცილს იჭერს) ოჰ, შენ მამა-პაპურ აზრებზე გადადიხარ? აკი ნება მიგიცია! რაღასა სთხოვ?

სალომეს ხმა. ოჰ, ვინ მოესწრება მაგ ბედნიერ დღეს!... შენ კი გენაცვალოს ის ოხერი და ის ბაიყუში!... იმან რა იცის სიყვარულისა?!... იმას მისი ცივი, თავმოყვარული ალერსი სიყვარული ჰგონია... განა მე იმას დავჯერდები?... მე მინდა მისთანა სიყვარული, რომ მის ცეცხლში ვიწოდე, ვიდაგებოდე, ვიხრუკოდე, და ამას ვინ მომიტანს, თუ არ შენ?! ოჰ, ჩემო მშვენიერო! ჩემო ბედნიერებავ! (კოცნა)

ალექსანდრე. ვა, ვა, ვა, ვა! რაები მესმის?!...

სალომეს ხმა როდის იქნება, მოვრჩე განსაცდელს და გადამარჩინოს ღმერთმა იმ ბაიყუშს?

კინტოს ხმა. თუ მეტყვი, შენი კი ჭირიმე, გადაგარჩენ: სულ გორიდან ჩამოვიყვან ძმაბიჭებს, მერე მისთანებს რო, რო, რო, ჩემთვინ ცეცხლში ჩავარდებიან! ერთი სადმე შევხვდებით იმ შენს ქმარსა და გათავდება!... ხუთი მუშტით ისე გაგისივებთ, როგორც დიდ რუმბს, რომ ხუთმა ხურომ ხუთ დღეს კუბო ვერ გაუთავოს!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთე გამოსვლა

ისინივე და **სამსონ, გეო, თათუზა** და მეზურნეები შემოდიან.

სამსონ. აჰ, აქა ხართ? საქეიფოდ მოვდივარ და ჩამოგიარეთ. არ წამოხვალ? ის კინტოც ხომ აქ არის... მაჩხუბარი კინტო?... თვალი მოვკარით, რომ აქ შემოვიდა. ისიც წავიყვანოთ!...

ილია. კარგ დროს შემოგვესწარით. დიახ, ისიც აქ არის, მაგრამ ჩემთან კი არა! აი, იქ!...

სამსონ. სად იქ?

ილია. სალომესთან! მართალი გამოდგა, ჩემო სამსონ!...

სამსონ. მე კი არ ვიცოდი? იმას ტყუილი არა უთქვამს რა!...

ალექსანდრე. არც მეგობრის შესახებ?

სამსონ. ეგ არაფერია!... სალომეს მოუტყუებია. ქალებმა საზოგადოდ მაგრე იციან საყვარლის მოტყუება: ვითომ და სხვებიც ბევრი მეარშიყებიანო, მაგრამ შენ კი არც ერთში არ გაგცვლიო!...

ილია. მადლობა ღმერთს, რომ ამ შემთხვევამ თვალები ამიხილა! ახლა კი უნდა გამოაშკარავდეს, ვისიც ბრალია!

ალექსანდრე. რას აპირებ?

ილია. იმას, რომ დეე ქვეყანამ შეიტყოს, თუ რაც ბრძანებულა ჩემი ცოლი.

ალექსანდრე. ეგ ცუდკაცობა იქნება შენის მხრით!

სამსონ. მაშინ გამოჩნდება, ვინც არის მტყუანი. საძაგლობა დიახაც უნდა გამოაშკარავდეს.

ალექსანდრე. შენ არავინა გკითხავს! (ილიას) შენ არ დაანებე თავი თვითონ მაგ ქალს? შენ არ ურჩევდი, რომ სხვა ვინმე შეეყვარებია? შენ არ შეიძულე?... და ახლა რაღას ამბობ?

ილია. მე ყველაფერი წინდაწინ შევატყობინე და ეგ კი თურმე მატყუებდა. ამას მე ვერ მოვითმენ!...

სამსონ. არც მოსათმენია! (თავისთვის) ზოგი ახლა ნახოს, სირცხვილის ჭმევა თუ კარგია!...

ალექსანდრე. თქვენი ნებაა, მაგრამ ბოლოს კი ლანანებლად არ დაგირჩესთ.

გეო. (ამხანაგებს და მეზურნეებს) ჰე, წავიდეთ! აქ ჩვენი საქმე აღარ არის!!..

ილია. არა, არა! მოითმინეთ! გთხოვთ, რომ მოწმედ დაგვესწროთ!...

თათუზა. დალოცვილო, ჩვენ რა პოლიცია ვართ?

მანუა. ეე! წავიდეთ ერთი და... ხათაა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონ. (კარებს ჰკეტავს) არ შეიძლება თქვენი გაშვება!

გეო. ეჰ! არ შეიძლება რომელია?! შენ რა ჩხუბის თავი ხარ!..

მანუა. ჩემმა მზემ, აქ რომ ერთი რამ ხათა მოხდეს, მაშინ!...

ილია. არა, ჩემო ძმებო! განა არ მიცნობთ?! მაგისთანას არას მოკახდენ!

თათუზა. მაშ რა გინდა ჰქნა? ჩემმა მზემ, ჩვენთან რომ იმ ბიჭს ხელი ვინმემ ახლოს, აქვე თავებს დავიხოცავთ! ცოცხალი აღარ გვინდა!...

ილია. რას ამბობთ? განა გიჟი ვარ?!

გეო. აბა, რა გინდა ჰქნა?... ცოლი გინდა შეარცხვინო? ჩვენთან რათ არცხვენ, კნიაზ-ჯან? გაგვიშვით თორემ, ჩემი თავის მზემ, სულ ფანჯრებს დავამტვრევთ! ხელი აიღეთ ჩვენგან, და!

მეექვსე გამოსვლა

ისინივე და **სალომე**

სალომე. ქა, რა ხმაურობაა?! ოჰ, სტუმრები!...

ილია. დიახ, სტუმრები... თქვენ გეგონათ, რომ მარტო თქვენა გყავსთ სტუმრები?

სალომე. რასა ბრძანებთ, ბატონო?... რაზე გარჯილხართ?

ილია. არაფერზე!... საქეიფოდ მივდიოდით და ერთი ვინმე დაგვაკლდა. თუ შეიძლებოდეს, უთხარით გამოვიდეს, იმასაც წავიყვანთ.

სალომე. რას ამბობთ?

ილია. კარგია! დაფიცვის დრო აღარ არის! გვიჩვენეთ თქვენი შშვენიერი არშიყი!...

სალომე. უი! ქა! ეს რა მესმის?! დამთვრალხართ? (ალექსანდრეს) მთვრალები არიან?

სამსონ. აქ ჯერ მთვრალი არავინ გახლავსთ!... ეგებ ერთი კი იყოს ვინმე მთვრალი, მაგრამ ისიც მხოლოდ ეშხით და არა ღვინით!...

სალომე. ქა! რა ხუმრობაა?!...

ილია. კარგია! რაც აქამდის მოგიტყუებივარ, ისიც კმარა! უთხარი, რომ ნებით გამოვიდეს, ნუღა იმალება.

სალომე. ვინა, ყმაწვილო? ქა, მიშველეთ, გაგიჟებულა! ექიმს დამიძახეთ, თქვენი ჭირიმეთ! (ალექსანდრეს) ვაიმე, ეს რა მომსვლია?! მიშველეთ!...

ილია. ვიცით! ვიცით!!... გიჟი ვართ?... მაშ კარგი, ახლავ შეიტყობენ! (შევარდება საწოლ ოთახში და ცოტა ხნის შემდეგ შეშინებული გამოვარდება) აჰ! ეს რა ამბავია? რა იქნა? სად გაქრა? იქ აღარ არის!... ამ კარებშივე უნდა გამოსულიყო, სხვაგვარად რომ ვერ წავიდოდა?!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალომე. რა ვქნა?! ვის ეძებთ? ვინ გაქრა?...

ილია. კინტო! შენი საყვარელი!! რა იქნა?

სამსონ. ეჰ!... ვერ დაგითვალიერებია! სადმე მიმალული იქნება! მე მოვნახავ! (შედის)

სალომე. რა ამბავია! ეს ხალხი რას დაუგიჟებია?!..

სამსონ. (გამოდის) მართლა, რომ იქ არ არის!... სჩანს, რომ იქ არ შესულა! სხვაგან სადმე იქნება!...

ილია. კაცო! გეფიცები, რომ პირდაპირ იქ შევიდა და აღარც გამოსულა. აი, თუ გინდა, ამათა ჰკითხე!—(ალექსანდრეს) იქ არ შევიდა?

ალექსანდრე. ვინ შევიდა? რას ამბობ?

ილია. ის! კინტო!...

ალექსანდრე. რას ამბობ? ვინ კინტო? გაგიჟდი?

ილია. კინტო! სალომეს რომ ელაპარაკებოდა... ჰკოცნიდა!...

სალომე. უი, დამიდგა თვალები! რაებს ამბობს?!...

ალექსანდრე. ხა, ხა, ხა, ხა, ხა! საუცხოოა! გაგიჟებულა, თქვენმა მზემ.

ილია. კაცო! როგორ თუ გავგიჟებულვარ? შენ მაინც რაღას იტყვი, ალმასხანა?

ალმასხანა. რა უნდა მოგახსენოთ, ბატონო?

ილია. შენ ხომ მაინც ნახე?

ალმასხანა. კი, ბატონო, ვნახე!.. სწორედ ჩემის თვალით ვნახე!...

ილია. უჰ! მადლობა ღმერთს!... აი, ბატონო, თუ არა!—სად ნახე? და როდის?

ალმასხანა. კიბის ქვეშ, ბატონო!—დილას...

ალექსანდრე. კიბის ქვეშ? მარტო?

ალმასხანა. არა, ბატონო, ცხრა ერთად!...

ალექსანდრე. რას ამბობ, ბიჭო? რა ნახე კიბის ქვეშ?

ალმასხანა. ლეკვები, ბატონო!... იქ მოუგია ჩვენ დიდ მურას!... დილას ქალბატონმა მიბრძანა: ნახეო და ვნახე... ცხრა, ბატონო! ცხრა!... ჯერ თვალი არ ახელიათ!...

ილია. მაგას ვინა გკითხავს! კინტოზე გელაპარაკებით!...

ალმასხანა. ვინ კვინტოა, ბატონო!

ილია. შენ რომ შეუძეხ და შეიყვანე საწოლ ოთახში.

ალმასხანა. ჰმ!... ხუმრობთ, ბატონო, თუ?!

ილია. როგორ, თუ ვხუმრობ? განა არ იცი?...

ალმასხანა. იმე! ჯვარი აქაურობას! წმინდა არს! წმინდა არს! გაგიჟებულა!...

ილია. შენც გაგიჟდი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმასხანა. იმე! მე კი არა, თქვენ ვეღარა ხართ ფარცაგათ, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს! სიცხე თუ გაბოდებსთ, თვარა, აპა, რას ბრძანებთ უცნაურს?!

ილია. ვა! გაგონილა ამისთანა ამბავი? მეჩვენება?! როგორ თუ მეჩვენება?! განა გავგიჟდი? რამ გამაგიჟა?!... სალომე, შენ მაინც მითხარი, თუ ნამუსი გაქვს: რა იქნა ის კინტო?

სალომე. (სიცილით) კინტო?

ილია. ხომ ნახე?

სალომე. დიახ! როგორ არ ვნახე?!

ილია. სად არის?

სალომე. (გულზე იდებს ხელს) აი, აქ.

ილია. რაო?!...

სალომე. მე ვარ ის კინტო!

ილია. შენ!?...

სალომე. (კინტოურად) მოდი! მოდი! შე პლუტო, შენ! დიდი ხანია აღარ მიკოცნია... ერთი ლოთიანად ჩაგპროშტო!... მოდი, რაღა!...

ილია. სალომე! ჩემო!... ჩემო... ღირსი არა ვარ შენი სიყვარულის!... მრცხვენიან.

სალომე. არა უშავს რა, მოდი-და, ის კინტო ნუ მოგიკვდება.

ილია. (მიდის და ეხვევა) ჩემო სიცოცხლევ!... ჩემო სალომე!...

ალექსანდრე. მიაგენი კინტოს? ხა, ხა, ხა, ხა, ხა!...

გეო. (ამხანაგებს) ვა! ე რა შტუკაა?!

მანუა. ხედავთ! ვინ ყოფილა კინტო?!...

თათუზა. ჩემმა მზემ, გული მეუბნებოდა რაღაცას, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, და!... ნამდვილი იყო და!... ვა, გაგონილა ამისთანა?

ილია. ჩემო სიცოცხლევ! ჩემო სალომე!... დღეს ვიბადები!... დღეს ამეხილა თვალები!

სალომე. მაშ ნებას აღარ მაძლევ, რომ, ვინც მინდა, შევიყვარო? არც ის კინტო? რად გინდებვარ ესეთი ცივგული, უსიყვარულო და ცოცხალ-მკვდარი? აკი არაფერი გრწამდა გუგულივით მშვიდობიან ქალებისა?!... სხვაში გამცვალე!

ილია. შენ?!... ნენ გაგცვალო?! არა, ქვეყანა შენ გენაცვალოს! მე აღარავის დავეძებ: დღეის იქით ჩემი ლხინი ჩემს გულში იქნება!... წადით!... მოშორდით, ყმაწვილებო!—მე თქვენი აღარა ვარ!—ხომ ხედავთ?!...

სალომე. არა, მოითმინეთ! მეცა მაქვს სათქმელი: ჩვენს ქვეყანას ბევრი ჭირი მოდგომია კარზე, ბევრჯელ ყოფილა განსაცდელში, მაგრამ ქართველს გული მაინც არ მოკვდომია!... მისი გული ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლხინს ნდომილობს და უპასუხოდ დაგდება არ ივარგებს... ჩემი ქმარიც ქართველია, სულითა და გულით ქართველია!... იმას არ შეუძლია, რომ ქეიფი უდროოდ მოიკლას. უთქვენოდ, ვიცი, ვერ გასძლებს, და მე თქვენა გთხოვთ, ხანდახან არ მოაკლოთ ხოლმე ჩემს ქმარს თქვენი სტუმრობა. მოილხინეთ და მოალხინეთ ხოლმე. ვინც უნდა იყოს ჩემი ქმარის მეგობარი, რა წოდებისაც უნდა იყოს, თუკი სულითა და გულითაც ქართველია, ჩემიც სასურველი სტუმარი იქნება. მაგრამ უსინიდისოებს კი არ ექნებათ ბინა ჩემს ოჯახში! (მისჩერებია სამსონს).

ალმასხანა. (სამსონს) თუ მიბრძანებთ, კიბეზე ჩაგაცილებთ, რომ ფეხი არ დაგიცურდესთ!

სამსონ. სახლიდან მითხოვთ?

ილია. არა, მაგრამ არც შენთვის იქნება სასიამოვნო დარჩენა და...

გეო. ოლონდაც, ჩემმა მზემ!... ძალიან პირშავად გამოდის და...

მანუა. მე და ჩემმა ღმერთმა, იმასთან პურის ჭამა ჰარამი ყოფილა.

თათუზა. ჩვენგან კი ხელი აიღოს და, სადაც უნდა, იქა სჭამოს!...

სამსონ. მაშ კარგი! მადლობას მოგახსენებთ. (მიდის)

ალმასხანა. ჯოხი, ჯოხი, ჯოხი!

ყველა. რად გინდა? რად?

ალმასხანა. არაფრად ბატონო! ძაღლის მოსაგერებლად! იმას მივართმევ, რომ ეზოში ძაღლმა არ უკბინოს.

გეო. ჰე! მაშ ჩვენც მარშით გავაცილოთ ეს კნიაზი. დაუკარით რაღა! (მეზურნეები უკრავენ. მიდიან. ფარდა ეშვება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კულურ-ხანუმ

(1880)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ

სამმოქმედებიანი ისტორიული დრამა

მეთექვსმეტე საუკუნის ცხოვრებიდან

მოქმედება ხდება ოსმალეთის საქართველოში

მოქმედი პირები:

მაჰმუდ-ფაშა—ოსმალეთის საქართველოს ვალი.
ნახირ-ფაშა—ქართველი გვარის თავადი.
კუდურ-ხანუმ—მისი ცოლი.
ელენე—დისწული ხანუმის.
არჩილი—ახალგაზრდა სოხტი, ელენეს მეგობარი.
ჯამალ—მოურავი.
ესმა—გამდელი.
ხათუნია—მოსამსახურე გოგო
და **ექიმი.**

მესამე მოქმედება ხდება ერთი წლის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მოქმედება

პირველი გამოსვლა

(ნახირ-ფაშა ტახტზედა ზის, მუთაქაზე გადმოწოლილია და იცინის. ჯამალ—მოურავი მის წინ დგას და სცდილობს, რომ თანდათან უფროდაუფრო გაამხიარულოს).

ნახირ-ფაშა. არა!... მე ნუ მოგიკვდები, მართალს ამბობ?

ჯამალ-მოურავი. მართალს!... შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს!...

ნახირ-ფაშა. ტლინკავს?

ჯამალ-მოურ. იმე!... ტლინკავს, მარა რავარს ტლინკავს? ნურც გინახავს ჯორი!...

ნახირ-ფაშა. უნდა ხელში გეჭიროს, ჩემო ჯამალ.

ჯამალ-მოურ. ხელში მეჭიროს?!... რას ბრძანებ, ღმერთი გადღეგრძელებს? ეშმაკის გაჩენილს მანგრე ჰალა-ჰალა ვინ დაიჭერს ხელში? დილიდან საღამომდე რომ ასე გყავდეს მომუჭნული, მაინც ვერას გააწყობ, ბატონო: გამოგისხლტება ხელიდან ის ეშმაკის მანქანება... ერთს გადაგიბრუნებს და მერე საღამოდან დილამდის სულ ასე გაგხდის... ასე დაგიჭერს ხელში, ჰა...

ნახირ-ფაშა. ვე, მოურავო! დაუბრიყვებიხარ...

ჯამალ-მოურ. რა გაეწყობა, შენი ჭირიმე... მოდი და ნუ დააბრიყვებინებ თავს: მანდილოსანი თუ გაჯინდა, ბატონო, და შეჯდა ეშმაკის ჯორზე, ვინღა გადმოახტუნებს?!... აჰ!... უკაცრავად პასუხია და ერთი ფინია-დედაკაცი ლომივით ვაჟკაცს შეაწუხებს!

ნახირ-ფაშა. როგორ?

ჯამალ-მოურ. ჰკრავს, ბატონო, წიხლს და მიაგორებს იქით და მერე, სულ მგელივით რომ იზუვლოს, მაინც აღარ გასცემს ხმას... ზედაც არ შეხედავს... არ მომიკვდე!...

ნახირ-ფაშა. უნდა როგორმე შეაშინო.

ჯამალ-მოურ. აჰ, არ შეუშინდე მტერს!... რა ბრძანებაა!!... სამას-სამოცდახუთი წმინდა გიორგიც ვერ გასჭრის იმაზე.

ნახირ-ფაშა. აბა, რას შვრები ხოლმე?

ჯამალ-მოურ. მარა, თურმე, მართალი ნათქვამი ყოფილა: თავთავის მამათვინიერებელი ანგელოზი ყველასა ჰყავსო. ვენაცვალე თქვენს დიდკაცობას, თქვენი სახელი სჭრის ძალიან!

ნახირ-ფაშა. მართლა, თუ გიყვარდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამალ-მოურ. არ გაგონილა, ბატონო... არ...

ნახირ-ფაშა. მე ნუ მოგიკვდები?!

ჯამალ-მოურ. კი, შენ ნუ მოუკვდები ამ ჩემ თავს... რავარც კი ვუხსენებ ხოლმე თქვენს დიდებულ სახელს, მეტი აღარ ეჭირვება, მოთვინიერდება ხოლმე ის აშარი.

ნახირ-ფაშა. როგორ, აბა, ჩემო ჯამალ?

ჯამალ-მოურ. ერთს ვეტყვი ხოლმე: დედაკაცო, ის ჩვენი მწყალობელი ბატონი, ნახირი, ნუ მოგიკვდება-თქო, და კმარა... მეტი აღარ უნდა!...

ნახირ-ფაშა. მოდის?

ჯამალ-მოურ. როგორც მიმონო საქნიელზე.

ნახირ-ფაშა. შელოცვაც იცის?

ჯამალ-მოურ. თქვენის გულისათვის რას არ იზამს, ბატონო? რას!... ყოველიფერს მოახერხებს: მგელს კი არა, ეშმაკს შეჰკრავს!... ახლა, ბატონო, ფეხზე აღარ იდგომება სიხარულით, რომ გაიგებდა თქვენს ბედნიერებას.

ნახირ-ფაშა. ასე მალე? ვინ შეატყობინებდა?

ჯამალ-მოურ. რა შეტყობა უნდა? თქვენი ამბავი, მაგსისხო კი არა, ერთი ბეწვაც რომ იყოს, მაინც შურდულივით გარბის სოფლიდან სოფლამდის... სულ ცეცხლივით მოედება ხოლმე მთა და ბარს. ახლა? რა ბრძანებაა... დუნიაზედაც ეცოდინებათ.

ნახირ-ფაშა. კაი დაგემართოს!... მაშ აწ, სადაც არის, შემოსაწევარიც მოგვივა. ჯერ მეძღვნე რომ არავინ გაჩენილა?

ჯამალ-მოურ. ახლომახლოდან კი დაიწყეს და ჯერ შორებელი კი არსადა სჩანს. გაჩნდებიან ისინიც... ახლა იმათაც ექნებათ გაგებული.

ნახირ-ფაშა. თუ გიყვარდე, იამებათ?

ჯამალ-მოურ. იმე!... ვინც ერთგულია, აბა რა დაემართება? მე რომ გავიგე პირველად, ვენახში გახლდი, მუშებს ვადექი თავს, გამოვიქეცი გახარებული, გამოვდევი სარს თქვენი წყალობა ჩოხა და სულ პრიწინ-პრიწინით ჩავიტანე ძირამდის. შენი მტერია, მე ახლა ამ გახეული ჩოხით იმ ჩემ დედაკაცს ველარ მიუვალ შინ!... მაშინვე ყრონჭში მეცემა: „ვინ გაგიხიაო“? ატყდება და ხომ აღარ დამიჯერებს!...

ნახირ-ფაშა. აბა, მაშინ გაზუვლებს, აჰ?! ხა! ხა! ხა! ხა!...

ჯამალ-მოურ. მაზუვლებს კი არა, სულ ლეკვივით მაწუწკუნებს, თუ არა მოვახერხე-რა.

ნახირ-ფაშა. გაწუწკუნებს?

ჯამალ-მოურ. მაწუწკუნებს, შენ ნუ მომიკვდები!

ნახირ-ფაშა. ხა! ხა! ხა! ხა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამალ-მოურ. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ბატონო, ბატონო! ჯილებს ხომ გამოიცვლით?

ნახირ-ფაშა. რისაკვირველია!

ჯამალ-მოურ. მაშ ჩოხაც უნდა გამოიცვალოთ.

(კუდურ-ხანუმის ხმა გარედან კარებთან) — ესმა!... ესმა!... ნუ აგიშვია გოგოები და ნუ დაარბენინებ აქეთ-იქით უსაქმურად!

ნახირ-ფაშა ბატონიშვილი!
ჯამალ-მოურ. ბატონიშვილი! } (ერთად შეშინებული წამოხტებიან. კუდურ-ხანუმ შემოდის)

ჯამალ-მოურ. (ახველებს) დიდი ბეღელი სავსეა პირამდის. წითელი ბეღელიც შუამდის მოვყარეთ. სამოციანი გადავალებინე, მარა კოპიტ ქვემ რომ ჭური გახლდათ, იმისთვის კი მიუცია ხელი... ცოტა უკბენია, მარა არა უშავს რა, მუშისთვის ივარგებს.

მეოთხე გამოსვლა

ისინივე და **კუდურ-ხანუმ**

ნახირ-ფაშა. მობრძანდი, ბატონიშვილო! ღვინო გადაგვბრუნებია.

კუდურ-ხანუმ. რა გაეწყობა! ან-კი რა გასაკვირალია? ამისთანა არეულ-დარეულობაში, როგორიც ჩვენს ოჯახშია, ღვინო კი არა, რატომ ტვინი არ გადაბრუნდება. ჯამალ-მოურავო!

ჯამალ-მოურავი. ბატონო, შენი ჭირიმე?

კუდურ-ხანუმ. ამ ანგარიშებით კარგია, მაგრამ უფრო სხვა დროს... ხომ იცი, რომ დღეს მეჯლისი გვაქვს და წვეულებას ვიხდით, თვითონ ვალია დაპატიჟებული.

ნახირ-ფაშა. იცის, ბატონიშვილო, როგორ არ იცის?

კუდურ-ხანუმ. მაშ სამზარეულოს, სახაბაზოს და სხვას ყურის გდება უნდა. საკლავები მსუქნები გამოდგენ?

ჯამალ-მოურ. (ყოყმანობით) ჰო, არც ისე და არც ასე.

კუდურ-ხანუმ. როგორ თუ არც ისე და არც ასე? ჭრელ ძროხას განა სიმსუქნე აკლდა?

ჯამალ-მოურ. აღარ დამიკვლევინებია, შენი ჭირიმე, ფეხზე გახლავსთ. დღეს თუ ხვალ უნდა მოიგოს.

კუდურ-ხანუმ. თეთრი უშობელი?

ჯამალ-მოურ. თქვენ რომ გინახავსთ, ისე არ გახლავსთ... ამ ერთის კვირის წინათ ნიშა-ხარს დასჭიდებია და რქა მოუტეხია.

ნახირ-ფაშა. ჩვენ რქები რად გვინდა, მოურავო? მოიტეხოს... მაინც ხომ დასაკლავია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამალ-მოურ. ძალიან შეუწუხებია ტკივილსა და გამხდარა. სოფლიდან გამოვაყვანინე... მეტი გზა აღარ იყო.

კუდურ-ხანუმ. ვერა ხარ, მოურავო, კარგი ფეხის: ძროხები რქებს იმტვრევენ, იკარგებიან, თხებს მგლები იტაცებენ, ქათმებს მელიები აწყალებენ, ინდოურებს და ბატებს ჭირი ემართება, ღვინო ბრუნდება და პური ფრიხდება!..

ჯამალ-მოურ. რა ვქნა, შენი ჭირიმე?! ღმერთმა მკითხოს და გადამახდევინოს, თუ მე თქვენი ოჯახის ერთგულება მაკლდეს, მაგრამ რა ვქნა, რო...

კუდურ-ხანუმ. კარგი, კარგი! ახლა მაგის დრო აღარ არის. მიიხედ-მოიხედე, ყველგან თვალი გეჭიროს!

ჯამალ-მოურ. კი, შენი ჭირიმე, გიახლებით!

ნახირ-ფაშა. მართალს ბრძანებს ბატონიშვილი: მიიხედ-მოიხედე, ყველგან თვალ-ყური გეჭიროს!

ჯამალ მოურ. ბატონი ბრძანდებით! (მიდის)

ნახირ-ფაშა. ბატონიშვილო! აბა, შენ იცი ახლა თადარიგი, გამომაჩინე შენებურად.

კუდურ-ხანუმ. აბა, თუ თქვენის იმედით დადგა კაცი... (ცოტა ხნის სიჩუმე) ეს ყველა კარგია, მაგრამ შენ რაღას უზიხარ აქ? გადი, გაიარ-გამოიარე აივანზე. ხალხს დაენახვე, ალერსიანად ეჩვენე და, თუ მოგილოცოს ვინმემ, დაუმადლე. ნურც ძალიან მხიარულად უჩვენებ ვისმეს თავს და ნურც მოწყენილად. ზომით დაიჭირე თავი! შენებურად ღლაბუცობას ნუ მოჰყვები!... ბევრჯელ მითქვამს და ახლაც გირჩევ წინდახედულობას: ეცადე, რომ შენზე უგუნურებთან თავი ჭკვიანად გამოიჩინო; შეფერებით იყავი და ჭკვიანებთანკი ახირებულობა, თავის გასულელება გამოიჩინე, ნუ გენაღვლება!

ნახირ-ფაშა. რათა, ბატონიშვილო, ეგ რაღა საჭიროა?

კუდურ-ხანუმ. ალბათ საჭიროა!... ბრიყვი მალე მოტყუვდება და ჭკვიანად მიგიღებს და ჭკვიანი კი, სისულელის მოგონებას რომ შეგნიშნავს, მერე ნამდვილ სისულელესაც აღარ დაგიჯერებს, იფიქრებს: იგონებსო, ანგარიში რამე ექნება და იტყუებაო.

ნახირ-ფაშა. ჰოი, შენ კი გენაცვალე მაგ ჭკუაში, ჩემო სიბრძნის ბოლოზო! (ჰკოცნის).

კუდურ-ხანუმ. ჰო, კარგია! კარგი! ნუ ახუნტრუცდები! ახლა მაგის დრო არ არის.

ნახირ-ფაშა. ჰო, შენი გულისა, ჩემო სიბრძნის ბოლოზო!... ბოლოზო! ბოლოზო!...

კუდურ-ხანუმ. ატყდი?... არ შეიძლება, რომ ცოტა ხნით შესცუროთ ზღვაში, ჩემო ბედნიერების ცეცხლის გემო? მიბრძანდით და შორს კი არ შესცუროთ. და, თუ ვინიცობაა, ზღვა აგიღელდესთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახირ-ფაშა. შენ მოგაშურებ, ჩემო ბოლოზო, შენ... (ჩქმეტს) ბოლოზო!

კუდურ-ხანუმ. უბრძანეთ ვისმეს, რომ ესმა აქ შემომიგზავნონ.

ნახირ-ფაშა. ბატონი ხარ! (მიდის) ბოლოზო, ბო...ლო...ზოოო.

კუდურ-ხანუმ. (მარტო) ჰე, ვაი ჩვენი ბრალი, რომ ქალებს პირადობა არა გვაქვს!... ცოლების პატივი ქმრების ღირსებაზე არის დამოკიდებული! გინდ სწორუპოვარიც იყო ქალი, თუ კი ქმარი ცხოვრების საფეხურთან გდია, მიდი, ამოუჯექი გვერდით და, გინდა თუ არა, გაიზიარე მისი ვიგინდარაობა. და, თუ ქმარი სათავემდე ასულა, მაშინ კი შენც, ქალო, გინდ ულირსიც იყო, მოდი, ამოუდექი გვერდში და მოიკრიფე პატივი და დიდება! მაშ ვის რალათ უკვირს, რომ ჩვენ ვცდილობდეთ ჩვენის ქმრების ამაღლებას და მისთვის ხშირად უკადრისსაც ვკადრულობდეთ? რაღასა სთხოვს იმას საზოგადოება, ვისთვისაც თვითონ უსამართლოდ პირადობა ჩამოურთმევია? ნება აქვს, რომ ესაყვედუროს? ჩემგან ამაღლებულ ქმარს მევე უნდა ვემონო? ეჰ, უგნურების სვეტზედა დგას დედამიწა!... რა გამოვა, რომ ვიჩივლოთ? უმჯობესია ქალებმა წამოვიკიდოთ ზურგზე ჩვენ-ჩვენი ქმრები და შევუდგეთ აღმართს... მაგრამ შესაბრალი ის არის, ვისაც იმისთანა გოდორი შეხვდება, როგორიც მე!... ჰმ!... მობრძანდით და გოდორი უთხარით!... კაცი გამოჩენილი, ამაღლებული, მდიდარი და გვარისშვილი, რომელსაც დიდებულმა სულთანმა დღეს ფაშობაც კი უბოძა. (დაფიქრდება) ამ რამოდენიმე წლის წინეთ, როდესაც ჩემი ქმარი უბრალო ჩაუში იყო, განა მოვიფიქრებდი ამ ბედნიერებას? დღეს კი თითქოს კმაყოფილიც არა ვარ... კიდევ მეტს ვეძებ!... კაცის გული ხარბია და გაუმაძღარი!... ვინ იცის, სადამდის მიმიყვანს ჩემი ბედი? ჰმ, ბედი თქო?! რა ვთქვი ესა? ბედი რას მიქვიან? ხერხი!... ხერხი!... ცდა, შრომა და თავდაუზოგავობა!... (დაფიქრდება) სანამ ეს გარყვნილი ვალი, რომლის სიტყვაზედაც დიდებული ხონთქარი დაიარება, ხელშიდა გვყავს, კიდევ ბევრს უნდა ველოდეთ!... თუ ეს უკანასკნელი პირობაც შევუსრულე... მაგრამ ელენე.. ჰმ... ელენე?... ახირებულია კაცის საქმე: იმ შეჩვენებულს მშვენიერი თამარი მოსწყინდა და ელენესათვის გიჟდება?! ჟინი!... იტყვიან: „თვალიაო“, მაგრამ თვალიც ხომ ისევ ის ჟინია?! ჟინი!... ეჰ, რაც უნდა იყოს... რაც უნდა მოხდეს, ოღონდ მე კი ჩემი საქმე გავირიგო და... (დაფიქრდება) არა, შეუძლებელი არა არის-რა! თავს არ დავზოგავ და ელენეს კი დავითანხმებ რიგორმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე გამოსვლა

ისევე და **ესმა** (შემოდის).

ესმა. ქალბატონო, მე მიბრძანებდით?

კუდურ-ხანუმ. დიახ, შენ, მაგრამ რომ აღარ გვეკარები?

ესმა. რა ვქნა, ქალბატონო, რომ აღარა მცალიან?! ხომ ნახეთ შაგ თქვენი მშვენიერი თვალებითაც, თუ რას ჩადიან გოგოები? გაუნამუსდენ, შიში აღარავისი აქვსთ და მორიდება.

კუდურ-ხანუმ. მოჰყევ კიდევ შენებურად?

ესმა. უიმე, გენაცვალე, განა უნდა დავჩუმდე? შენი ოჯახის ორგულობა განა უნდა მოვითმინო? გაუნამუსდენ, ქალბატონო, აღარ ეშინიათ... აღარ!...

კუდურ-ხანუმ. დიანებე, გველო, თავი! რას ჩაციეებიხარ?

ესმა. თავი რომ დავანებო, მერე ხომ აიკლებენ აქაურობას? დააქცევენ, ქალბატონო, ოჯახს... დააქცევენ!... ღმერთს არ შეხედვენ ის უნამუსოები!—გაიანეს დღეს კრუხი დაემწყვრია და წიწილები კი გარეთ დაეტოვებია... საცოდავად წიაქობდენ; თუ მე არ მივსწრებოდი...

კუდურ-ხანუმ. დღეს მაინც დაანებე თავი მაგაებს, გამდელო! რამდენჯერ მითქვამს, რაც შენი საქმე არ არის...

ესმა. უიმე! როგორ თუ ჩემი საქმე არ არის, გენაცვალეთ?... ხომ გასწყდებოდენ?...

კუდურ-ხანუმ. გაწყვეტილიყვენ!

ესმა. არც ცხვრები გაეოეშვათ: უწყლობითა კვდებოდენ.

კუდურ ხანუმ. დახოცილიყვენ!...

ესმა. უიმე, დამიდგა თვალები!... მაშ ამოვარდეს ოჯახი?...

კუდურ-ხანუმ. მაგით ოჯახი არ ამოვარდება.

ესმა. დამიდგა თვალები, რა დრო შემოვიდა!... მაშ აღარც მტერი გინდათ და აღარც მოყვარეს ეძებთ? ვინ დიდკაცი და ვინ აკლებული ოჯახი, ნაოხარსავით გაშვებული?

კუდურ-ხანუმ. თუ მართლა აგრე გული გეწვის, ეგ სხვებს უბრძანე ხოლმე და შენ-კი სხვა საქმეს შეუდექი!

ესმა. რა ვქნა, რომ აღარავინ მიჯერებს, ქალბატონო! გოგოები გაუნამუსდენ, ღვთის აღარ ეშინიათ და კაცებს აღარ ერიდებიან. ერთი რომ ვუთხრა, ასს მეტყვიან... ადრინდელი ხათრი და მორიდება სადღა არის? ელენე ნუ მომიკვდება...

კუდურ-ხანუმ. (აწყვეტინებს სიტყვას) კმარა, გამდელო, კარგი! თუ მოჰყევი, ხომ ველარ გაათავებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესმა. უიმე, აღარც ვილაპარაკო? თუ მეც აღარა ვარ? ვინ-ღა მოხედავს შენს ოჯახს? ვინღა უგდებს ყურს? გოგოების იმედი ჩემს მტერსა ჰქონდეს... აღარაფერს ეძებენ...

კუდურ-ხანუმ. ვაი შენ და შენს გოგოებს! მორთე ჭიანური? მე საქმისთვის შემოგიხმე და შენ კი აქ რაღაცას მეობროდები.

ესმა. რა ვქნა, გენაცვალე... შენი ოჯახის ერთგულება მალაპარაკებს. წაყრუება არ ვარგა, უნდა გაუწყრეთ... შეაშინოთ. მათ ხანში ჩვენც გვაშინებდენ ბატონები!... უმისობა როგორ იქნება?

კუდურ-ხანუმ. კარგი! კარგი! ეს სხომის იყოს... ახლა ეს მითხარი: ელენემ გაიღვიძა?

ესმა. დიდი ხანია, მაგრამ ჯერ პირიც არ დაუბანია. აბა, ისე კი არ იქცევა, როგორც თამარი იქცეოდა ხოლმე: ის ჯერ ხელპირს დაიბანდა დილაადრიან, მოიკაზმოდა, მოირთოდა და მერე სადილობამდის სარკის წინ თავის მშვენიერ სახეს ეკოპწიავებოდა, ესიყვარულებოდა ხოლმე. ისე სწორედ, როგორც რიგია და როგორც შეშვენის დიდკაცის ქალობას. და ეს კი წიგნების კითხვაში ათენ-აღამებს. სხვა არა იყოს რა, მარტო მეშინია, რომ ვაი-თუ თვალები გაიფუჭოს.

კუდურ-ხანუმ. მეც მაგას გეუბნები, გამდელო, რომ წიწილების და ცხვრების დევნას, იმ შენს გაზრდილს რომ ყური უგდო ხოლმე, ის ემჯობინება.

ესმა. რა ვქნა, რო ჩემი აღარა სჯერა რა!...

კუდურ-ხანუმ. მაინც რას გეუბნება?

ესმა. თქმით არაფერს!... ძალიანაც მიტკბება, მარა, რაც უნდა ვურჩიო კი, იცინის, მეტს არაფერს მეტყვის ხოლმე.

კუდურ-ხანუმ. სოხტები ხომ აღარ დაიარებიან?

ესმა. რაღაი ის ერთი უბოჯულო დაატუსაღეს, მარე ვინღა გაუბედავდა მოკარებას?

კუდურ-ხანუმ. მაშ წიგნებს სად შოულობს?

ესმა. რა ვიცი, ქალბატონო? იმ პატარა ძიძის-შვილს, ხათუნიას, აგზავნის ხოლმე სადღაც და იმას მოაქვს...

კუდურ-ხანუმ. რატომ არ გამოჰკითხავ და არ გამოსტეხ იმ გოგოს?

ესმა. უიმე, ეშმაკია, გენაცვალე!... იმას ვინ გააბრიყვებს?...სულ იმის ბრალია, რომ გაზრდილმა შემიძულა!... რაც საიდუმლო აქვს, იმას ანდობს... მე ძაღლადაც აღარ მაგდებს. ძალიან უყვარს, წიგნსაც ასწავლის.

კუდურ-ხანუმ. გუშინ ხომ ურჩიე ელენეს, რაც გითხარ?

ესმა. მოვახსენე, შენი ჭირიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. მერე?

ესმა. საცინლად ამიგდო, იმას კი ვენაცვალე!

კუდურ-ხანუმ. რა გითხრა?

ესმა. შაირებით გამკიცხა: „მაგ რჩევისთვის, გადია, ადექ, კარში გადიაო!“ ასე მიპასუხა. იმისგან კიდევ ისე არ მეწყინა ეს გაკიცხვა, როგორც იმ პატარა გომბიოსაგან: იმ უნამუსომ შიგ ცხვირ-პირში მომაყარა სიცილი.

კუდურ-ხანუმ. მაშ, იმედი არა გაქვს, რომ დაიყოლიო? თავის ბედნიერება არ ესმის!...

ესმა. როდი მიაჩნია ეგ, გენაცვალე, ბედნიერებად!... იმ შეჩვენებულმა სოხტებმა გული უცვალეს, ქალბატონო!...

კუდურ-ხანუმ. მაშ შენა გგონია, რომ მაგგვარად არა გამოვა-რა?

ესმა. არა, ქალბატონო!

კუდურ-ხანუმ. მაშ, კარგი, აწ ნულარას ეუბნები!... ახლა კი სთხოვე, რომ აქ შემობრძანდეს ჩემთან.

ესმა. კი, ბატონო! გიახლებით, მაგრამ გოგოები კი ნუ დაგავიწყდებათ, ჩემო ხელმწიფევ! გაუჯავრდით და შეაშინეთ, თორემ თავი აიშვეს: ღვთის აღარ ეშინიათ და...

კუდურ-ხანუმ. ჰო, კარგი! კარგი!...

ესმა. (მიდის ბუტბუტით) თქვენი ნებაა, მე კი მოგახსენებთ და...

კუდურ ხანუმ. (პირზე ხელებს მიიფარებს, დაფიქრდება და მერე უცბათ) არა, სხვა გზას უნდა დავადგე! ეჰ, სად ხარ, ჩემო სიყმაწვილევ!... სხვასთან საქმეს აღარ დავიჭერდი მაშინ!—დაჭკნა! დაჭკნა ის მშვენიერი სახე (ხელს იკიდებს ლოყებზე), მაგრამ დამჭკნარ სახესაც შეუძლია ძალა იჩინოს. (მიდის სარკესთან) აბა, ჩემი სახე როგორ უნდა ეჩვენოს კაცს მხიარულად მაშინ, როდესაც გულში მწუხარებასა ჰმალავს? ასე? (იცინის) და როდესაც მხიარულებას არ იჩენს? ასე? კმარა! კმარა! ვნახოთ! ვეცადოთ! (დაჯდება ტახტზე, მიიფარებს პირზე ცხვირსახოცს და მოჰყვება ტირილს).

მეოთხე გამოსვლა.

კუდურ-ხანუმ და **ელენე.**

ელენე. დეიდავ?! ამას რასა ვხედავ?! ეგ ცრემლები მწუხარებისა არიან, თუ სიხარულის?

კუდურ-ხანუმ. (ცრემლებს იწმენდს) ჭკუა-გონება ახალი დგმის ხვედრია და გამოიცან.

ელენე. სიხარულის ცრემლები მზეში წვიმასა ჰგვანან და თქვენი სახე კი მოღრუბლულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. არ სცდები, შვილო!...

ელენე. მერე რას ნიშნავენ, მაშინ როდესაც დღევანდელს ბედნიერებას წვრილმანი მწუხარებაები უნდა დაევიწყებინებინა თქვენთვის?

კუდურ-ხანუმ. რაც სიხარული მქონდა, სწორედ ამ დღევანდელმა ბედნიერებამ გამიფანტა.

ელენე. ვერ მივმხვდარვარ!?

კუდურ-ხანუმ. ჯერ ყმაწვილი ხარ!...შენა გკითხავ: როგორა გგონია შენ, შენდა თავად: მხიარულება გმართებს დღეს, თუ მწუხარება?

ელენე. რაღა თქმა უნდა, რომ მხიარულება!

კუდურ-ხანუმ. სტყუი, შენმა გაზრდამ!... ეგ შენი აზრი არ არის... მაგას არა ჰფიქრობ... და შენგან ტყვილს კი არ მოველოდი.

ელენე. მე თქვენ მოგყევით თქვენს აზრზე და იმის შედარებით წარმოვიდგინე, თუ როგორი უნდა იყოს თქვენი გულის მოძრაობა.

კუდურ-ხანუმ. (ამოხვნეშით) მართალი ხარ, შვილო! რასაკვირველია, მაგრე უნდა მიცნობდე შენ, შენ რას მიხვდები, ჩემს გულში რა ამბებია?...

ელენე. დღეს როგორლაც სხვაგვარ გუნებაზედახართ, დეიდა!...

კუდურ-ხანუმ. რა ვქნა?... „კაცი ჭირსა მალავს, ჭირი კი თავს იჩენსო“... ველარ შეიძლო გულმა ამ საიდუმლო ტვირთის მორევა. მე ის მატირებს, რომ გული ვერავისათვის მიმინდვია და უიმედოდ დატვირთულს დღე მაკლდება. მხოლოდ ერთს გულთამხილავს შეუძლია კაცზე სწორი აზრი იქონიოს... შენ პირველადა ჰხედავ ჩემს ცრემლებსა და გიკვირს; მაშინ, როდესაც მე კი საიდუმლოდ ბევრჯელ მიღვრია ცრემლები, იმავე მიზეზისა გამო, რომლის გამოც თავი სახალხოდ მხიარულად მიჩვენებია. დღესაც ლხინი მაქვს: სახალხოდ ვდღესასწაულობ ჩემის ქმრის ბედნიერებას!... დიდებულმა სულთანმა ფაშობა უბოძა ჩემს ქმარს... (იცინის) ხა! ხა! ხა! ხა! რა დიდი ბედნიერება არის!... ფაშობა უბოძა. ვის? იმ გამოჩენილ გვარის საქართველოს თავადს, რომლის წინაპრებიც ოსმალოს მოსისხლეები იყვნენ... რომელთაც ოსმალო სახსენებლადაც კი ეზიზღებოდათ... დიახ, იმ დამღუპველი მტრის ხელიდან მიიღო ჩემმა ქმარმა ჯილდოდ ფაშობა და მე, მთავრის კახაბერის ასული, მტარვალისა და ჩვენის ქვეყნის დამპყრობელისაგან ბოძებულ წყალობას უნდა შევხაროდე? ვმხიარულობდე?!... განა?... ოჰ, რატომ არ გასკდები, გულო? (ტირის).

ელენე. (გაკვირვებით) დეიდავ, ეს რა მესმის თქვენგან?!... უეიფოდ ხომ არა ხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. აბა, ერთი გაიხედე გარეთ, რა ამბავია?!... ხალხი მოდის და მუხლზე კოცნით ულოცავს ჩემს ქმარს ბედნიერებას! ღმერთო, როგორ დაეცენ სულით. ერთი უბრალო ნიშნის გულისათვის ძმა ძმას გასწირავს და მამა შვილს გაჰყიდის!... ნუ დაივიწყებ, რომ ეგენი იმ ქართველების ნაშიერები არიან, რომელნიც მამულისათვის წამებულან.

ელენე. დეიდა!...

კუდურ-ხანუმ. ვინ არის მაგათი დაცემის მიზეზი? მართებლობა! ვინ მოუკლა მაგათ პატიოსანი სული? ოსმალოს პოლიტიკამ, ანგარიშებმა და გამრყვნელმა... (ხელს წაავლებს ელენეს და ანჯღრევს) შურისძიება, ელენე!... შურის!!...

ელენე. მაშ თქვენც მისთვის გეზიზღებათ ეს ხალხი?

კუდურ-ხანუმ. დიახ, არ დავფიცავ, მეზიზღება, მაგრამ მებრალება კიდეცა.

ელენე. გებ...რა...ლებათ?

კუდურ-ხანუმ. მებრალება!... ამიტომ, რომ მაგათ ბრალი არა აქვსთ!... ეკალზე დათესილი და გაუმარგლავი ბრინჯი ქერზედაც უარესია, მაგრამ კარგ ნიადაგზე გადატანილი იგივე თესლი ნაყოფს გამოიბრუნებს... ამ ხალხს თავისი მომავალი ექნება კარგი და იმაზე უნდა ვიფიქროთ, ის უნდა იყოს ჩვენი მიზანი.

ელენე. ხუმრობთ?!... თქვენ, განა, ის მომავალი არ გაშინებსთ?...

კუდურ-ხანუმ. მე?!

ელენე. მაშ რაღათ სდევნით იმათ, ვინც მაგ აზრისანი არიან?

კუდურ-ხანუმ. ვის?

ელენე. ახალთაობას. სოხტები ბიძიამ არ ჩაასმინა მართებლობას?

კუდურ-ხანუმ. სტყუი!... ბიძაშენს რჩევა ჰკითხეს, რომელიც ბრძანებაზედაც უმტკიცესი იყო, და იმას რაღა გზა ჰქონდა, რომ დასტური არ მიეცა...

ელენე. მაშ თქვენც ხომ ამართლებთ ბიძას?

კუდურ-ხანუმ. ვამართლებ! მისთვის, რომ ანგარიში იყო... დიახ... დიდი ანგარიში.

ელენე. მჯერა!... საპირადო...

კუდურ-ხანუმ. სცდები... საზოგადო.

ელენე. ჰმ!...

კუდურ-ხანუმ. გიკვირს? დედამ რომ შვილი გაიმეტა, ხომ გაგიგონია?

ელენე. არ მაგონდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. მონგოლები რომ ქართლს იკლებდენ, მაშინ, საზოგადო მუსრის დროს, ლანგ-თემურმა უბრძანა ერთს დედას: „შენის ხელით მოჰკალ ერთი შვილი და სხვებს გაპატიებო". დედამ ვერც ერთი ვერ გაიმეტა და ყველა მის თვალწინ დაჟლიტეს.—სხვა დედებსაც ამგვარი ბრძანება მისცეს და თანაც მიუშვირეს ქვა, რომლითაც უნდა გაეტეხათ თავი შვილისათვის; ერთმა მათგანმა სიმწარით მოავლო ქვას ხელი, დაჰკრა ერთს შვილთაგანს და გადმოანთხევია ტვინი... ამით სხვა შვილები ყველა გადაარჩინა სიკვდილს.

ელენე. (ხელებს იფარებს ზიზღით პირზე) ოჰ, შეჩვენებულმა!... როგორ გაიმეტა?

კუდურ-ხანუმ. დიახ, შეჩვენებულმა!... როცა პირველ დედაზე ვიფიქრებთ, მაშინ ის გვებრალება და გულში თანაგრძნობა გვებადება; და მეორეს რომ წარმოვიდგენთ, მაშინ კი ზიზღით გვიღელავს გული... და რათა?... ჭკუას, რომ დავეკითხოთ, ყოველთვის მეორეს გაამართლებს. საზოგადო საქმეში, ხშირად, გულის აყოლა მავნებელია, ელენე!—მე ის სათუთი დედა არ მომწონს, რომელმაც მისის გულჩვილობით ყველა შვილები გასწირა!—მე უფრო მეორე დედა მიმაჩნია სამაგალითოდ. დიახ, აუცილებელ საჭიროების დროს ჩემი ხელით გავწირავ იქ ერთს, სადაც კი მითი ასსა და ათასს გამოვიხსნი.

ელენე. მთელი ახალდგმის გაწირვით ვინ გინდათ იხსნათ?

კუდურ-ხანუმ. არ მესმის!

ელენე. თქვენ ხომ ახალი დგმა საზოგადოდ გეჯავრებათ და სოხტებსა სდევნით?

კუდურ-ხანუმ. ელენე!... დღეს მე ვლალატობ ჩემს თავს და ჩემი გულგახსნილობა არ დამანანო შენის წინდაუხედაობით!... მმართებლობას არ უყვარს ისინი.

ელენე. და თქვენც მისთვის სდევნით?

კუდურ-ხანუმ. დიახ! გარეგნად, დასანახავად, რომ მითი მტრის გული მოვიგო, მოვინდო და მერე... მერე... ოჰ, ნუღა მათქმევინებ, ელენე!...

ელენე. ნუთუ მართლა, დეიდავ!?... მაშ ისინი, ვინც მაგ გრძნობითვე არიან გამსჭვალულები...

კუდურ-ხანუმ. რაღათა მძულს?

ელენე. დიახ, ეგ მინდოდა მეთქვა.

კუდურ-ხანუმ. ვინ გითხრა?... არ იცი, რომ მე ისინი მიყვარს და იმათ ვაფასებ?

ელენე. გიყვარსთ?! თქვენზე გულდაკლებული და თქვენი მგმობელი ახალგაზრდები?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. სწორედ! იმათ არ იციან ჩემი საიდუმლოება, მაგრამ როდესმე დრო შეგვარიგებს ჩვენ.

ელენე. მაშ რათ უფარავთ მაგაებს ყოველივეს თქვენს თანამოაზრეებს?

კუდურ-ხანუმ. ძნელია მინდობა: წინდაუხედაობით საქმე ხდება ხოლმე. მათი წინდაუხედავი პირდაპირობის მეშინია... იმათ უნდათ, რომ უიარაღოდ ძლიერს მტერს ებრძოლონ და უნავოდ ზღვა გასცურონ. მე კი მინდა, რომ ჯერ იარაღი ჩავიგდო ხელში და ნავი შევიძინო.

ელენე. არჩილმა მაგის მეტი რაღა დააშავა, რომ პატიმრობაში იხრჩობა.

კუდურ-ხანუმ. არაფერი... მაგრამ გამოცდილება ეჭირვება!... ელენე!... არჩილი ჩემი იმედი და ნუგეშია, იმისაგან მე ბევრს მოველი.

ელენე. როდის? როდესაც ციხე დააჭკნობს და გააქრობს?

კუდურ-ხანუმ. არა, გამოსცდის და გაამტკიცებს! რკინას ცეცხლი აფოლადებს და კაცს განსაცდელი.

ელენე. ატანა ძნელია.

კუდურ-ხანუმ. მეჭურჭლე თიხის ჭურჭლებს თორნეში ჭყრის გამოსაწვავად და, რომელიც ვერ აიტანს გამოწვისა და გასკდება, იმაზე აღარ ნაღვლობს: „მაინც არ ივარგებდა სახმარადაო“ ამბობს... ეჰ, ელენე, ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ! თქვენა გგონიათ, რომ მხოლოდ თქვენ გიყვართ და თქვენა ჰფიქრობთ ჩვენს ქვეყანაზე... ჩვენ კი რაღა დაგვიშავებია? განა ქვის გული გვაქვს?...

ელენე. „ღმერთი საქმით იცნესო“, ნათქვამია.

კუდურ-ხანუმ. „და არა გარეგანის შეხედულობითაო“!... საქმეს დრო გამოაჩენს. თქვენ უფრო თქვენი თავი გიყვარსთ და არა მამული.

ელენე. ჩვენ?!

კუდურ-ხანუმ. დიახ, თქვენ... გინდა დაგიმტკიცო ხელდახელ, რომ შენ არ გიყვარს მამული?... მხოლოდ გეჩვენება... გგონია!...

ელენე. უკაცრავად!... ეგ არ ეთქმის იმას, ვინც მზად არის, რომ საშობლოს თავი უმსხვერპლოს.

კუდურ-ხანუმ. მხოლოდ მისთვის, რომ თავი გამოიჩინოს.

ელენე. საიდუმლოდაც.

კუდურ-ხანუმ. თუ ტანჯვა მოკლე ხანს გასწევს... ხანგრძლიობას კი გაუდრკები.

ელენე. მაშ ახლანდელი ჩვენი ცხოვრება ხანგრძლივი ტანჯვა არ არას? რასა ვხედავ სანუგეშოსა და სასიხარულოს საზოგადოდ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. სურვილი გაქვსთ, მაგრამ საქმე კი არ შეგიძლიათ. დიდი ხანია, რაც ქართველებს ძველი სული მოუკვდათ... შენ იმას ვერ შესძლებ, რასაც ძველად ქართველი ქალები შეიძლებდენ.

ელენე. გადიოდენ ბრძოლის ველზე!

კუდურ-ხანუმ. ეგ არაფერია!—სულსაც კი მსხვერპლად სწირავდენ სამშობლოს: სარწმუნოებაზე ხელს იღებდენ და ცოლებად მიჰყვებოდენ იმათ, ვისიც ზიზღი გულში ედოთ: სულთნებსა და შახებს... ნამდვილს გრძნობას გულში იკლავდენ და მოჩვენებულის გრძნობით ისე ხიბლავდენ სიყვარულით გაშმაგებულებს, რომ საქართველოს შესახებ მტრობას მოყვრობად უქცევდენ.

ელენე. მაშინ ის დრო იყო... შემთხვევა ჰქონდათ.

კუდურ-ხანუმ. განა დღეს კი არ არის შემთხვევა? ეჰ, შენს ადგილზე ვიყო და მაშინ დავამტკიცებდი, თუ როგორ მიყვარს სამშობლო.

ელენე. ჩემს ადგილზე?

კუდურ-ხანუმ. დიახ! ვერა ხედავ, რა გაგიჟებით გეტრფის ვალი?

ელენე. მერე?!

კუდურ-ხანუმ. რომ შენ განზე არ უდგებოდე და გინდოდეს, რამდენს კეთილს საქმეს აქნევინებდი ჩვენის ქვეყნისათვის, ხელში რომ გეყოლებოდა!...

ელენე. ფუ!... საზიზღარი და...

კუდურ-ხანუმ. ჰო, ფუ!... მაშ ის დედები, მტრებს რომ მიჰყვებოდენ, უგულოები იყვნენ, შენის აზრით? არ ეზიზღებოდათ?

ელენე. ეგ სულ სხვა არის!... მაგას ჩემი გული ვერ შესძლებს!... მაგდენი ძალა არა მაქვს, რომ მაგგვარი რამ ავიტანო... ბრრრ!...

კუდურ-ხანუმ. ბრررრ!... მე კი არ ვიცოდი... ბრررრ! მიტომ ბრررრ, რომ მამულის სიყვარული გაკლია; ის ისეთი რამეა, რომ თავის თავად აჩენს ძალას... სისუსტე არ იცის, რა არის... შენ არ შეგიძლია? სჩანს არ გიყვარს!...

ელენე. სიკვდილი უმჯობესია მაგგვარად თავის დამდაბლებაზე!

კუდურ-ხანუმ. ჰო, მაშ მაგრე სთქვი, შვილო: თავი მიყვარსთქო!... ქვეყანას რაღას ამადლით?!... ძველებური ქალები კი თავსა სწირავდენ და შენ-კი იმგვარსავე შემთხვევაში უბრალო ალერსსაც უკადრისობ... იმადლები... აბა, იფიქრე, შვილო, რამდენს კეთილ საქმეს აქნევინებდი შენის ქვეყნისათვის, ხელში რომ გეყოლებოდა?! რას ჩაფიქრდი? რისი შეგეშინდა, შვილო?... ასე ვამბობ, თორემ მეც სუსტი ვარ... განა მე კი შემიძლია, რომ შენი თავი გასაქენჯნავად იმას ჩავუგდო ხელში? უიმე, მაშინ კი დღე დაუბნელდეს დეიდაშენსა!... მაგრამ შენს ადგილზე ვიყო, იმედს არასოდეს არ გამოვუცლიდი იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებერს გულიდან; ხელში მეყოლებოდა დაჭერილი, ასჯერ ჩავიყვანდი წყაროზე და წყალს კი არ ვასმევდი; და, როდესაც გამოვაშრობდი, მაშინ ან ძალითა და ან ნებით უკუვაგდებდი.

ელენე. გული უნდა, დეიდავ, მაგას, გული!... განა ყველა შეესძლებს?

კუდურ-ხანუმ. ვინც კი მოინდომებს. შეყვარებული კაცი და ბარგის ვირი ერთია.

ელენე. ქვეყანა...

კუდურ-ხანუმ. ვისაც საქმის გაკეთება უნდა, ქვეყანას არ დასდევს. აი, თუ გინდა, მე: რამდენსა მლანძღვენ უსამართლოდ! რას არ ამბობენ სოხტები ჩემზე... შემიძლია, რომ იმათ აზრი შევაცვლევინო, მაგრამ მეშინია: საქმე არ წამიხდეს-თქო, და ყურებში ბამბას ვიცობ...

მეხუთე გამოსვლა

ისინივე და **ესმა.**

ესმა. ქალბატონო, თქვენ მაინც უბრძანეთ რამე, თორემ გამგონი კაცი აღარსად არის. ბიჭები საღლაბუცოდა ხდიან საქმეს და გოგოებს-კი კაცმა ხელი ვეღარ მოჰკიდა...

კუდურ-ხანუმ. გამდელო, რა დაგმართნია? რა ამბავია კიდევ?

ესმა. გენაცვა, მეტი რაღა ამბავი უნდა იყოს, რომ თავი აიშვეს გომბიოებმა და აქეთ-იქით ძროხებივით გარბი-გამორბიან.

კუდურ-ხანუმ. საქმე ექნებათ...

ესმა. რა საქმე უნდა ჰქონდესთ, ბატონიშვილო! ტყვილა-უბრალოდ დაძუნძულობენ და ჩემი არა ესმისთ-რა, ნამუსი იმათ აღარ აქვსთ და პირის წყალი. ასე გამოცვლილი დრო არ გაგონილა! სწორედ მეორედმოსვლის ნიშნებია, ქალბატონო!..

კუდურ-ხანუმ. ოჰ, რაღაი მოჰყვები, ხომ აღარ გაათავებ!... სულ ერთიდაიგივე, სულ და სულ!..

ესმა. უიმე, დამიდგეს თვალები! აბა, ხმა არ გამოვიღო? გულგრილად ვუყურო შენი ოჯახის აოხრებას და გატიალებას?

კუდურ-ხანუმ. რა აოხრებას?!.. გეჩვენება!

ესმა. გენაცვალეთ, როგორ თუ შეჩვენება?... ააბზიკეს კუდები ხბოებმა და აქეთ-იქით გადაცვინდენ, გარბი-გამორბიან, თითქოს კორტიზი შეჯდომოდეთ, სარზე გადაეხევიან და მიმხედავი კაცი კი არსად არის.

კუდურ-ხანუმ. რა ცოდვამ ააბზეკიათ კუდები?

ესმა. დაფრთხენ, ქალბატონო... ცხენოსნების შეეშინდათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. ვინ ცხენოსნებია?...

ესმა. სტუმრები გიახლენ სადილად, სტუმრები!...

კუდურ-ხანუმ. სტუმრები? ვალიც მობრძანდა?

ესმა. დიდი ხანია, ქალბატონო... ბაღში სხედან ვაჟბატონთან.

კუდურ-ხანუმ. (წამოვარდება ზეზე) მერე და ვერ შემატყობინეს? (მიდის სიჩქარით).

მეექვსე გამოსვლა

ელენე და ესმა

ესმა. აი, ბატონო! დიდი და პატარა ამ ოჯახში ყველა ჯინზე მიდგება. ისე მტერი ამოვარდეს, ჩვენი ოჯახი ამოვარდეს და გაფუჭდეს, თუ ასე იქნა!... ხბოების ჯავრი არა აქვს... და იმ ძროხებს რომ მალ-მალ თხოულობენ დასაკლავად, თუ ხბოები ალარ იქნებიან, საიდან მიერთმევათ? (მიდის ელენესთან, რომელიც თავჩაღუნული ზის და პირზე ხელები აქვს მიფარებული) რას მოგიწყენია, შვილო, შენ კი გენაცვალოს შენი გადია? ქალბატონმა ხომ არ გაგაჯავრა? როდი უნდა რამე გეწყინოს დეიდასაგან, გენაცვალე: დედის ადგილი უჭირავს, გული შესტკივა შენზე!... მოითმინე ცოტა კიდევ და, რომ გათხოვდები, მაგაებს ყველას გადარჩები, შვილო.

ელენე. რაო? რას ამბობ, გამდელო?

ესმა. გათხოვდი-თქო, გენაცვალე!

ელენე. არ ვიცი, რას ჩამციებიხარ, გადია!... ჩემის გათხოვებით შენ რა სურვილს იკლავ?

ესმა. თან წამოგყვები, გენაცვალე... როდი მოგშორდები. ამდენს უპატიურობას მეც გადვურჩები.

ელენე. მერე რა უნდა გამიკეთო?

ესმა. როგორ, თუ რა? წიწილებს გამოგიზრდი, ხბოებს მოვუვლი, ცხვრებს მივხედავ, სალაროს შეგინახავ და ოჯახს ყურს ვუგდებ. შტერს არ გავაცინებ შენზე და მოყვარეს გავახარებ...

ელენე. რომ არ გავთხოვდე?

ესმა. უიმე! უიმე! ღმერთმა ნუ ქნას!... განა გინდა, რომ მტრები გააცინო და მეზობლებს ათქმევინო „დარჩაო“? შვილო, ეგება მისთანა ვინმე გიყვარდეს, რომ შენი საკადრისი არ იყოს, და ის გაწუხებდეს... ჰმალავდე?

ელენე. რას ამბობ, გადია?! ხომ არ გაგიჟდი?

ესმა. კი, გენაცვალე, სიყვარული გიჟია! გარჩევა როდი იცის. თვითონ ჩემ თავზე გეტყვი, გენაცვალე: ჯერ კიდევ გამდელი არ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყავი, მაგრამ მოახლობა კი ხელში მეჭირა, რომ ეშმაკმა მაცდუნა და ერთი უბრალო თხის მწყემსი შემაყვარა, მაშინ როდესაც დარბაისლები მეარშიყებოდენ.

ელენე. (იცინის) მართლა? მერე?

ესმა. მერე? რა მერე? რომ გაეგოთ, ხომ თავი მომეჭრებოდა, მაგრამ ისე გადავრჩი, რომ არც მწვადი დავწვი, შვილო, და არც შამფური.

ელენე. არა, გადია, ნუ გეშინია, მე მაგისთანა არავინ მიყვარს.

ესმა. მაშ რატომ არ გათხოვდები, გენაცვალე, თუ-კი არავინ გიყვარს?

ელენე. ჰო, თუ-კი არავინ მიყვარს?

ესმა. რა საჭიროა?... ქმარი და შეყვარება ვის გაუგონია?!... ქმარი პატრონადა თქმულა და საყვარელი გულის მეფედ.

ელენე. მერე რომ შემიყვარდეს, გათხოვების შემდეგ?...

ესმა. შეგიყვარდეს, გენაცვალე... მე იქ არ გეყოლები?

ელენე. შენ რა ჩემ მაგიერობას იზამ?

ესმა. მოგინამუსებ.

ელენე. რაო?

ესმა. შენს საყვარლებს სულ ჩურჩხელასავით დავმალავ სკივრში!...

ელენე. რომ არავინ არის, რომ მე შემირთოს?

ესმა. როგორ, თუ არავინ არის? ვალი შენის გულისათვის არ გიჟდება? ოლონდ შენ-კი დაეთანხმე და ყველა ცოლებს განაცვალებს... პირველობას შენ მოგცემს. (ჯამალის ხმა მოისმის).

ჯამალ. ესმა! ესმა! გამდელო!... სად წათრეულა ის სასიკვდილე?... სად ჯანაბაშია, რომ კაცმა ველარ ნახა?...

ესმა. თვითონ სასიკვდილე, რა გაღრიალებს... რა?... (ელენე შედის მეორე ოთახში).

ჯამალ. (შემოდის) შე გამოყრუებულო, არ გესმის, რო გეძახიან?

ესმა. რა ცეცხლი გაგჩენია?

ჯამალ. ცეცხლიც გაგჩენია და ნავთიც!... სალაროს გასაღები სად არის?

ესმა. რად გინდა? (ეძებს) უიმე, აკი დამკარგვია... მოზვრებს რომ დავდევდი, სწორედ მაშინ გამვარდნია და დამდგომია თვალები!...

ჯამალ. ჰე... მერე... ახლა რაღა ვქნათ?... მაინც რომ ველარ მოშორდი ამ მოზვრებს... ჯერ ისინი დაგდევდენ და ახლა შენ დასდევ...

ესმა. ეს სულ ინ შეჩვენებული გოგოების ბრალია: დაუნამუსდენ... ადამიანის შვილის აღარა ესმისთ-რა... რომ აღარ მეპოებიან...

ჯამალ. უნდა გავტეხო სალარო, მეტი გზა აღარ არის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესმა. უი, ქა! ვინ გაგატეხინებს? შენ რა ხელი გაქვს სალაროს თან? ბელლები არ გეყოფა? ისინიც გინდა აიკლო, შენებურად?

ჯამალ. გაჩუმდი, ნუ წაგიგდია ენა! შენი საქმე არ არის!... გა... სა...ლები...

ესმა. როგორ თუ ჩემი საქმე არ არის? ამ ოჯახის გაოხრება რომ ვინაღვლო, ჩემი საქმე არ არის?...

ჯამალ. დაბერდი და გეჩვენება!... ან ნახე გასაღები და ან ახლავე გავტეხ სალაროს!

ესმა. მეჩვენება? წუხელ საღამოს ერთი საპალნე ღვინო რათ გაგზავნე შინ... თუ შენ ფარცაგი სული იყო?...

ჯამალ. გაჩუმდი, ბებერო ძაღლო! შენ არავინა გკითხავს.

ესმა. ვის ეკადრება შენგან ეგ?! შე ბელლის ღორო, შენ?!...

ისინიეე და **ნახირ-ფაშა** (შემოდის).

ნახირ-ფაშა. რა ამბავია? რას ჩხუბობთ? თქვენი ყვირილი ბაღში ჩამოდის.

ჯამალ. ჩამცივებია, ბატონო: ერთი მიჩქმიტეო და რაღა დროს ჩქმეტაა, რომ სიბერით ძვლისა და ტყავის მეტი აღარა შერჩენია რა.

ნახირ-ფაშა. მართლა?... ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. გადია, როგორ გეკადრება სიბერის დროს!...

ჯამალ. ერთობ ახუნტრუცებულა, ბატონო... ილაჯს მიწყვეტს.

ესმა. უიმე, უიმე, უიმე! ცრუ! ცრუ! უნდა გადააფუჩეჩოს. წუხელი...

ჯამალ. (სიტყვას აწყვეტინებს) წუხელი შუალამისას ჩამცივებოდა და ახლაც აღარ მეშვება...

ნახირ-ფაშა. ხა, ხა, ხა, ხა!... რავა გეკადრება, გადია! გადია... რაღა დროსია?...

ესმა. უიმე, დამიდგა თვალები!... ეგ კი არა, წუხელი შუალამისას...

ჯამალ. უჰ, დიდი საქმეა! სიზმარი უნახავს ბატონო!

ესმა. ერთი დიდი საპალნე ღვინო...

ჯამალ. დაიქცაო და რა ვუყოთ მერე?... დაუჯინია, ბატონო, რომ სისხლი დაიქცევაო, და არის ერთს ყოფაში! რას ჰბოდავს, თვითონაც აღარ იცის... ნუ უგდებთ, ბატონო, ყურს, სადღაც ჭაშნიკი უნახავს და შეზარხოშებულა.

ესმა. უიმე!... უიმე!... სტყუის! სტყუის! წვეთიც არ დამელიოს, ის ჩემი ელენე არ მომიკვდეს და იმაზე არ გავმწარდე!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახირ-ფაშა. ხა, ხა, ხა, ხა, ხა! მართლა, გადია, რავა გეკადრება? ვე! ვე! ვე!... ელენე, გამოდი, ყმაწვილო, რაღას აკეთებ, რას იგვიანებ ამდენ ხანს?...

ისინივე და **ელენე.**

ელენე. აი, მზად გახლავართ!

ნახირ-ფაშა. ყმაწვილო, ამდენ ხანს კოპწაობა როგორ იქნება? იქ დეიდაშენი სწუხს... საჩქაროდ გამომგზავნა: ელენე მომგვარეო. სადილი თითქმის თავდება და შენ კი აქვე ხარ!... მაგრამ ძალიან კი მორთულხარ... პო, პო, პო, პო!... ძალიან ხარ!... ძალიანი! ჩა კოპწიავებული ხარ... ჩა... თვალი კი არ გეცეს... თვალი. თფუ! თფუ! თფუ!... პო, პო, პო!... ელენე!... ელენე.

ელენე. წავიდეთ, ბიძია! მზად გახლავარ.

ნახირ-ფაშა. წავიდეთ! წავიდეთ! პო, პო, პო, პო!... ჩახატული ხარ... ჩა .. (მიდიან ხელიხელგაყრილი).

მეშვიდე გამოსვლა

ესმა და **ჯამალ.**

ჯამალ. თვარა მანგრე?... ჰმ!... დაბეზღებაზე არის საქმე? ზოგი აწ ჩემგანაც იკითხე, თუ კარგია დაბეზღება.

ესმა. შენმა სიცოცხლემ, ლეჩაქი არ გადამახიო თავზე!

ჯამალ. შენ კი, შენმა სიცოცხლემ, ყურებზე ხახვი არ გადამაჭრა... რა მოიგე მაგ შენი ენატანიაობით? რა გამოგივიდა? ხბოს თავი!

ესმა. არაფერია, ჯერ მოვახსენო ყველაფერი ქალბატონსა და მაშინ ნახავ, რაც გამოვა!...

ჯამალ. ჰაი, შე ბებერო ქოფაკო... შენ ქოშებით შეხვალ ჯოჯოხეთში! მაგ ენაში კი გაგიყრიან შამფურს: დააწყებინებენ შუშხუნს.

ესმა. მანამდის ნუ გაიხაროს მაგ შენმა გვერდებმა!...

ჯამალ. ჩუმად!... ხმა გაიწყვიტე!

ესმა. უი, ქა! ვის ეკადრება ეგა? ვის აწყვეტინებ ხმას? შენ თვითონ ქოფაკო და ქოფაკზედაც უარესო!... მაცადე, თუ ყველაფერი არ მოვახსენო ქალბატონს!...

ჯამალ. მე თვითონ მოვახსენებ ქალბატონს შენს უსაქციელობას! (მიდის)

ესმა. გაეთერი... გაეთერი... შე... შე ..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამალ. (მობრუნდება) რაო? რაო? ვეპუ! შენს საქმეს! ... ბრაწი და ბრაწი შენ ზედიზედ!... (მიდის)

ესმა. კარგი, კარგი, ეგ არ დაგავიწყდეს! მაგას მოგაგონებ, თუ ქალი ვარ! ვერ ჰხედავთ ამ ბელლის ღორს, როგორ აიშვა თავი?... კიდეც რომ მემუქრება პირაქეთ! ეს რა დრო მოვიდა: დაფასება სადღა არის? მე, რომელიც ამ ოჯახში ამდენი ხანია, ორმოცდაათი წელიწადია, დილიდან საღამომდის ჯარასავითა ვტრიალობ და მოსვენება არა მაქვს: წიწილებს მე ვზრდი, ცხვრებს მე ვუვლი, ხბოებს, ინდოურებს და ბატებს! ეს მეკადრება ვინღაც გუშინდელი შემოთრეული ყაზახისაგან?! გამდლობით მაინც მცემდენ პატივს, თუ სხვით არა... ელენეც რომ აღარ მიგდებს ყურს!... გამოუყარა ხელი-ხელში ბიძამისს და მე ზედაც არ შემომხედა, ვითომდა არაფერი ამბავი ყოფილიყოს... წავიდა თავისთვის!... იჰ, მართლა რომ ცუდი დრო მოვიდა! ადრე რომ ქალი და კაცი ხელი-ხელში გაყრილი ენახათ, რას იტყოდენ!... ახლა უმისოდ სიარული ქალებს კიდეც დაავიწყდათ! ვინც უნდა იყოს, გინდ მტერი, გინდ მოყვარე, თუ კი გვერდში ამოუდგათ, მაშინვე სტაცებენ ხელს და ის არის... გასწევენ!... აირია გზა და კვალი!... დიდიკაცის შვილები კი არა, ახლა გოგოებიც ველარ დაამაგრა კაცმა: თავაშვებულები დატრახუნობენ იქით-აქეთ... (ჯდება) ოჰ, ნეტავი იმ დღეს მოვესწრებოდე, რომ ჩემი ელენე ვალის ისე ეპოწიაკებოდეს მკლავზე!... რამდენს გოუშრება პირი ჯავრით.... თვალები გამოუშტერდებათ შურით!... მეც სულ სხვა გადია ვიქნები მაშინ. ეგ ესმა აღარ ვიქნები! დიდი სახლის გამდლობა ხუმრობა ხომ არ იქნება?! მაშინ ნარიგვლი გულზე გასქდება სიხარბით, ჯანვერდი ჭლექში ჩავარდება და ყარდაშვერდის გააცივებს! გამდელი ყოველთვის გამდელის მტერია... მაგრამ მე რა მენაღვლება?... მე ისინი რაღას დამაკლებენ?... რაც უნდა სთხოვოს ჩემმა ელენემ, იმას კი ვენაცვალე, მის ქმარს, ყოველიფერს აუსრულებს. ერთი თქმის მეტი არა დასჭირდება-რა... მეც შევახვეწებ, რომ ერთი კარგათ ჯამალი შეახურონ, მისი ჯავრი ამომაყრეკინონ... მერე გამომიგზავნოს ხბოს თავი და ქოშებით შემიყვანოს ჯოჯოხეთში, ფეხის გულზე რომ ტყავს აართმევენ!... (ბალიდან დაირისა და ზურნის ხმა მოისმის) ჩუ!... ლეკური,.. ჰაი, ბეჩა! ჩემი ელენეს ქორწილში კი არ იქნება კიდევ ერთი გახურებული ლეკური და ტაშისკვრა, იმას კი შემოვევლე თავზე, იმას კი ენაცვალოს მისი გადია!... რანაირ ლეკურს დავუვლი მაშინ, ამ სიბერის დროს!... ძველებურად დავბზრიალდები, აი, ასე, სულ ასე... სულ ასე გავშლი ხელებს, აჰ! ახლანდელმა ქალებმა ლეკურიც აღარ იციან. საკოდავად ხრუკვენ ხელებს, თითქო სიცივე უჭერსთო!... სადღა არის ხელგაშლილი გადავლა ლეკურში? (თამაშობს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერვე გამოსვლა

იგივე და **ხათუნია** (შემოვარდება სიჩქარით).

ხათუნია. გამდელო! გამდელო!

ესმა. (შეკრთომით შეჩერდება) უი შენ და შენს თავს!...

ხათუნია. გამოიხედე, გამდელო, რა ამბავია!

ესმა. რა ამბავია, რა?

ხათუნია. ლეკურია გახურებული!... ქალბატონმა დაუარა და ახლა ელენე გამოჰყავთ.

ესმა. მერე? გამოდის?

ხათუნია. ეპირება.

ესმა. უიმე, იმას კი ვენაცვალე, რამდენი ხანია, მისი ლეკური ალარ მინახავს! წავიდე ერთი, ერთი შევხედო! (მირბის).

ხათუნია. (მარტო) შეხედე! ვერ უყურებ ამ ბებრუცანას?! ჩვენ რომ გამხიარულებული გვნახოს, აქაურობას აიკლებს და თვითონ, თურმე, ჩუმ-ჩუმად კიდეც კუნტრუშობს... მაცადოს მე იმან, თუ ახლავ ყველას არ ეუთხრა! (მიდის)

მეცხრე გამოსვლა

(შუაკარებიდან დალალული შემოდის ელენე და დივანზე ეცემა. უკან მოსდევს ვალი და ნახირ-ფაშა.

ელენე. უჰ! რარიგად დავიღალე! ასე ძნელია გადაჩვევა!...

ვალი. ბარაქალლა! ბარაქალლა, ელენე! ეგ თქვენი ლეკური სწორედ სამოთხეში ნასწავლი უნდა იყოს!... გმადლობთ, რომ გვასიამოვნეთ.

ელენე. როგორ გეკადრებათ ჩემი გაკიცხვა?! მეც ვიცოდი, რომ ჩემი ლეკური გამოსაჩენი არ იქნებოდა, მაგრამ რა მექნა, რომ თქვენს თხოვნას ვეღარ წაუვედი?

ვალი. გაკიცხვა?! განა ჩემთვის შეგინიშნავსთ როდისმე სიცრუე და პირფეროობა?

ელენე. არა, მაგრამ კარისკაცებს ტკბილი საპირფერო სიტყვები ზნედა გაქვსთ გადაქცეული, ასე რომ ხანდახან უნებურად წაგცდებათ ხოლმე.

ვალი. ამ შემთხვევაში კი მხიარულად მართლის გულით აღვიარებ! (ნახირ-ფაშას) გთხოვთ მიბრძანდეთ და განკარგულება უბოძოთ, რომ ჩემის მიზეზით ლხინი არ მოიშალოს, იმხიარულონ და შეექცენ!...

ნახირ-ფაშა. თქვენ კი ალარ მობრძანდებით?

ვალი. თუ ნებას მომცემთ! (ჯდება) თქვენი ლეკური სწორედ თქვენის მშვენიერების შესაფერი და საკადრისი იყო!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. სასაცინო?

ვალი. ელენე, მაგას რისთვის ბრძანებთ?! განა თქვენი მსგავსი ქვეყანაზე კიდევ მოიპოვება რამე? ყოველისფრით სრული და...

ელენე. კმარა!... მადლობა ღმერთს, რომ არც ისე სულელები ვართ ქალები, როგორც გგონიათ კაცებს, თორემ...

ვალი. რასა ბრძანებთ?...

ელენე. კაცებს ხშირად ხუმრობა გიყვარსთ და იმას კი აღარ დაეძებთ, თუ მაგ ხუმრობას ხშირად რა მოსდევს?... კარგი, ახლა ეგ თქვენი ხუმრობა რომ სიმართლედ მივიღო, მაშინ მოულოდნელი სიხარული ხომ ამიტაცებდა და... კარგია რომ ეგ სიტყვები ნასადილევს მესმის.

ვალი. განა კვლავ აღარ მომიხსენებია?! პირველი ხომ არ არის?

ელენე. დიახ, მაგრამ ყოველთვის ხუმრობთ!

ვალი. (აღტაცებით) განა მე ვხუმრობ? მე ვტყუი?... გეფიცებით დაუსაბამოს, ჩემ ხანში ტყუილი ჯერ ცოდვაა და მერე არც საკადრისია.

ელენე. ვიმეორებ, რომ ტკბილი სიტყვა დარბაისლების წესია!

ვალი. დამერწმუნეთ, რომ არა! ენდეთ ჩემ სიტყვას, რომ მე ჯერ თქვენი მსგავსი არა მინახავს-რა!

ელენე. თქვენ, რომელიც სასახლის კარზე გამოზრდილხართ, სადაც ყოველის კუთხიდან მშვენიერებს თავს უყრიან?... თქვენ განა ჩემთვის მოაცლიდით გონებას?

ვალი. ჩემი გონება, დიდი ხანია, თქვენის მშვენიერების ტყვეა, მაგრამ თქვენ კი ფიცითაც ვერ დაგარწმუნებსთ კაცი...

ელენე. (კეკლუცობით) ფიცი სიტყვაა!

ვალი. და სიტყვა—პატიოსნება.

ელენე. „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა: შუა უზის დიდი ზღვარიო",—რუსთველმა სთქვა.

ვალი. საქმეს ვინ ეჭცევა?... განა მზად არა ვარ?

ელენე. საქმე დროს თხოულობს.

ვალი. დეე, მოითხოვოს! ტკბილ იმედით შეკაზმული დრო სიჩქარით გარბის

ელენე. ვნახოთ!

მეათე გამოსვლა.

ისინივე, **ნახირ-ფაშა** და **კუდურ-ხანუმ** შემოდიან.

კუდურ-ხანუმ. ბატონო ვალო! ლხინი მოგწყინდათ და მიგვატოვეთ?

ვალი. უკაცრავად! მინდა ცოტა შევისვენო და ჩემის ბარობით ლხინი კი არ დაიშალოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. თქვენმა წელანდელმა მოლხენამ ყველანი გაამხიარულა. სტუმრები აღტაცებულნი არიან, შეექცევიან და იმღერიან. არეული მხიარულებაა. (სხვადასხვა სიმღერები ერთი-მეორეზე მოისმიან: იმერული, ქართლური, მეგრული და სხვ.)

ნახირ-ფაშა. თქვენ მაგიერ ბრძანება მივეცი, რომ მომღერლები ცალ-ცალკე დასვან, და რომ ერთმა მეორეს აცალოს სიმღერა და ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. (მოისმის „ოდელია)"

კუდურ-ხანუმ. აი, ეს გახლავსთ იმერული „ოდელია".

ვალი. სასიამოვნო არის, რომ მიხვეულ-მოხვეული არ იყოს... რას ნიშნავს ეგ ლექსი: „ოდელია"?

ნახირ-ფაშა. ოდელია ბალახი გახლავსთ, რომელსაც ქალები მხლად კრეფენ, საჭმელი ბალახია. მის მოკრეფის დროს ქალები იმღერიან ხოლმე და აქედან გაჩნდა „ოდელიას" სიმღერა.

კუდურ-ხანუმ. ეგ არ უნდა იყოს ნამდვილი!... ელენესა ვკითხოთ: მაგგვარები იცის.

ვალი. თქვენ როგორღა ბრძანებთ?

ელენე. მე მგონია, რომ ბიძიამ კარგადა ბრძანა, მაგრამ მე კი სულ სხვანაირად გამიგონია.

ყველანი. როგორ?

ელენე. ეგ სიმღერა ძველი დროიდან არის საქართველოში დარჩენილი: მაშინ, როდესაც ქართველები კერპთმსახურები იყვნენ და ცეცხლს ჰმსახურებდენ, ყოველგვარ ნათელსაც სცემდენ თაყვანს, სხვადასხვა გალობები ჰქონდათ, უგალობდენ მზეს, მთვარეს, დილას, ალს და სხვ. „ოდელია" ძველებურად „ოჰ დილასა" ნიშნავს.

ვალი. ჭეშმარიტად საგულისხმოა.

კუდურ-ხანუმ. ელენე მაგგვარებში გაწაფულია. კითხვაში და სწავლაში აღამებს.

ვალი. კეთილი და პატიოსანი. ეს რაღა სიმღერაა?

ელენე. ეს კახური „ჰარი-არალო", ესეც ალს ნიშნავს, ისე როგორც „მზეშინა" მზის გალობას.

ვალი. საუცხოვოა! საუცხოვო!...

ელენე. ძველი ქართული სიმღერები მარტივის ხმით არ გამოითქმოდა. ყოველთვის სხვადასხვა ხმებით იყო ხოლმე შეწყობილი.

კუდურ-ხანუმ. აი, ეს მეგრულია; და, პირველად რომ იმღერეს, ის კი გურული იყო; აქ მხოლოდ ვაჟკაცური კიჟინაა, სხვა არაფერი.

ვალი. კეთილი! კეთილი! ელენეს ბრძნულ და გონივრულ ახსნის შემდეგ ამ სიმღერებსაც ჩემ თვალში ფასი მოემატათ!

ნახირ-ფაშა. ბატონო ვალო, აწ კი დრო არის, რომ მაგ ძველებურ ხმებს ბოლო მოეღოს და უფრო ტკბილს ერთს ხმაში გამოიხატონ ყველანი, რომ მათ უმეტესი ძალა და ხანგრძლივობა გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჩინონ. (ჩუმად კუდურ-ხანუმს) ხომ სრულადა ვთქვი? ხომ არ დაშვიწყებია-რა?

კუდურ-ხანუმ. როგორც იქნა! (ვალს) დიაღ, გულისწმინდით მოგახსენებსთ.

ვალი. ეგ რაღა ხმა არის?

კუდურ-ხანუმ. აი, ეს (მოისმის თათრული ბაიათი).

ვალი. (კმაყოფილი) აფერუმ! ქვეყნისათვის კეთილი გსურთ და კეთილიც მოგენიჭებათ! მაგრამ, როგორც გამიგია, ელენე კი არ უნდა იყოს მაგის თანახმა?!...

ელენე. როგორ ბრძანეთ?

ვალი. (სიცილით) თქვენ თურმე თათრული კილოთი სიმღერა გეჯავრებათ?

ელენე. ტყუილი მოუხსენებიათ! თავ-თავის ადგილზე ყველაფერი კარგია.

კუდურ-ხანუმ. ნუ დაიჯერებთ!... ელენეს თვითონაც ძალიან უყვარს ბაიათები. ასე გასინჯეთ, რომ ხშირად საიდ უმღოდ თვითონაც კი იმღერის ხოლმე.

ვალი. მართლა? თქვენს ღირსებებს ახალი აღარა ეპირვება-რა, მაგრამ ეგ კიდევ მაინც ახალი ღირსება მესმის.

ელენე. ნუ დაუჯერებთ დეიდას! ჩემის სიყვარულით დაბრმავებულს, რასაკვირველია, ჩემი სიმღერაც მართლა სიმღერად მოეჩვენება... მაგრამ... სხვისთვის კი მოსაწონი არა იქნება-რა...

ვალი. არც დაბრმავებულებისათვის? არ შეიძლება, რომ გაგვაბედნიეროთ და გაგვაგონოთ თქვენი ხმა?!

ელენე. ისიც მეტი იყო ჩემგან, რომ თქვენთან ლეკური გავბედე, უარი ვეღარ მოგახსენეთ, თორემ სიმღერას როგორ გავამხელ?!

ვალი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სიმღერაც განსხვავებული იქნება.

ელენე. მოსტყუვდებით.

კუდურ-ხანუმ. ელენე, იმღერე, შენს გაზრდას! რაღა დროს შენი მორცხვობაა? მაგოდენა ქალის?... (ვალს) საკვირველი მორცხვია და ამით ბევრსა ჰკარგავს.

ვალი. არა, მორცხვობა დედაკაცის ერთი მშვენებათაგანი არის საზოგადოდ. მაგრამ ახლა კი იმედია, რომ ელენე ჩემს თხოვნას პატივს დასდებს და სამაგიეროს ჩვენც...

ელენე. (იცინის) სამაგიეროს?

ვალი. დიახ, რასაც კი მოითხოვთ... მზად ვიქნები ავასრულო!

ელენე. ბეგარასა მპირდებით!... რა იცით, რას მოვითხოვ?

ვალი. რაც უნდა იყოს! მზადა ვარ, არ შეგიშინდეთ!...

ელენე. მართლა?

ვალი. მართლა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. არა ხუმრობთ?

ვალი. არა!...

ელენე. მაშ კარგი, ბოლოს არ შეინანოთ კი! მე ვიმღერებ, მაგრამ ნება მომეცით კი, რომ ჩემს ოთახში შევიდე და იქიდან ვიმღერო!...

ყველანი. თანახმა ვართ, თანახმა! (ელენე შედის მეორე ოთახში)

ნახირ-ფაშა. რა მოუვიდა ელენეს? ასე გამხიარულებით ჯერ მე არაოდეს მინახავს.

კუდურ-ხანუმ. უთუოდ სასიამო რამ შეუტყვია, ან მოელის რამე სასიხარულოს და ვერ მალავს: ყმაწვილია!

ვალი. (კმაყოფილების ნიშნად წვერებზე ხელს ისვამს) უთუოდ აგრე იქნება! ღმერთმა ნუ მოუშალოს მხიარულება.

(ელენეს სიმღერა მოისმის).

მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა
ვხედავდე თავისუფალსა:
რომ ძალით ვერ აშინებდენ...
ვერც ნებით უხვევდენ თვალსა!

მინდა, რომ მისი სახელი
გაითქვას ძველებურადა
და მისიანი ყველანი
ერთად სცხოვრობდენ ძმურადა!

მინდა რომ მისსა დიდებას
დაჰმღერდეს რუსთველის ქნარი,
რომ იღვიძებდეს მის ხმაზე
ტაშისკვრით ხალხი მძინარი.

მინდა, რომ... მაგრამ... ეჰ, კმარა!
ფრთა შევაკვეცოთ სურვილსა,
თორემ რა მოჰკლავს უფსკრულსა
მამულისშვილის წყურვილსა?!

ვალი. აფერუმ! აფერუმ! (აღტაცებით) ბულბულის დამჩაგვრელო! სამოთხის შვილო!... (მიდის კუდურ-ხანუმთან) ეტყობა, რომ თქვენი გაზრდილია! მაგალითი არა ჰყავს!...

კუდურ ხანუმ. (იცინის ჩურჩულით) თქ...ვე...ნია!

ვალი. (ხელზე ჰკოცნის) მომილოცავს თქვენის ქმრის ბედნიერება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მოქმედება

პირველი გამოსვლა

ნახირ-ფაშა და **ჯამალ-მოურავი**

ჯამალ. (შემოდის ოთახში და თან თეფშით ხაჭაპურები შემოაქვს): პო...პო...პო...პო...პო...რა ცხელია...რა ცხელი...ა!... რათ წაბრძანებულა ის დალოცვილი?! (შეიხედავს მეორე ოთახში, საიდანაც ხვრინვა ისმის) ეჰ... ეჰ, ბატონო!... წამოპლაკულა და ბაყბაყ-დევივითა ხვრინავს! მეტი რა საქმე აქვს?! გამოიღვიძებს — სჭამს, გაძღება და დაიძინებს... მე მოგახსენებთ, ჯავრი რამ აწუხებს, რომ ძილი გაუტეხოს და მადა დაუკარგოს!... ცხრა ხაჭაპური ამ დილაზე ჩასანსლა და ახლა ეს მეორეა, რომ მიჰყო ხელი. იმედია სადილობამდის ამასაც გადააკონდახებს! რა უჭირს? მეტი რა საქმე აქვს! ზევით ღმერთი სწყალობს და ქვევით ხელმწიფე. მართალი ნათქვამია: „ვისაც მისცემს, მისცემს და მისცემს-“ო.

ნახირ-ფაშა. (მეორე ოთახიდან) ეეეი!...

ჯამალ. ბატონო!

ნახირ-ფაშა. ვინ მისცემსო? რას ამბობ მანდა?

ჯამალ. ღმერთი, ბატონო!

ნახირ-ფაშა. ვის?

ჯამალ. თქვენ, შენი ჭირიმე.

ნახირ-ფაშა. რასა?

ჯამალ. ყოველივე სიკეთეს, ჩემო ხელმწიფე, რომ თქვენი რისხვა ამხდოდეს და წყალობა არ მომშლოდეს!

ნახირ-ფაშა. რა ამბავი იცი, ჯამალ?

ჯამალ. მშვიდობა შენი ჭირიმე... ხაჭაპურები!...

ნახირ-ფაშა. მოიტანე?

ჯამალ. მოგართვით!

ნახირ-ფაშა. ცხელია?

ჯამალ. სულ ორთქლი ასდის!... ჭიჭინ-ჭიჭინი გაუდის.

ნახირ ფაშა. (გამოდის) მართლა? ჭიჭინობს?... ჭიჭინობს!... ჭიჭინობს!!... პო-პო-პო-პო!... მოიტა! მოიტა! ვნახოთ.

ჯამალ. მიირთვით, შენი ჭირიმე, ნულა გააცივებთ!

ნახირ-ფაშა. ვიშ! ვიშ! ვიშ! საუცხოვოა!... საუცხოვო!...

ჯამალ. ღმერთმა შეგარგოსთ: შაქრად და ჯულაბად.

ნახირ-ფაშა. ვიშ! ვიშ! საუცხოვოა... რა! თუ გიყვარდე, ამ ხაჭაპურებს ნუ გამიბნევ! გამომიზოგე!... ვიშ! ვიშ! (ჭყლაპავს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამალ. კი, შენი ჭირიმე, მაგაზე რაღა თქვენი ბრძანება მეჭირ-ვება?...თქვენს მეტი სხვა ვინ ოხერი და წუწკი გაჰბედავს მაგის შე-ჭმას?...

ნახირ-ფაშა. ბევრი დარჩა?

ჯამალ. სამი ცხრა კიდევ გახლავთ! ხვალ გეყოფათ და ზეგ კვი-რაა: ღმერთი მოწყალეა, ან, აქედან გაგვიჩნდება და ან იქიდან; მოვა ვინმე მეძღვნე...

ნახირ-ფაშა. აბა, შენ იცი, ჩემო ჯამალ! ვიშ! ვიშ! საუცხოვო რამ არის!... რომ ამდენხანს ბატონიშვილი არ დაბრუნებულა? სა-დილს თუ ველარ მოიგონებს, როგორ იქნება?...

ჯამალ. უთუოდ საქმეს შეჰყვებოდა, შენი ჭირიმე, უმისობა არ იქნება.

ნახირ-ფაშა. კი, მარა სადილსაც თავისი დრო აქვს, თუ გა-გვწყვეტს შიმშილით, როგორ იქნება!

ჯამალ. რა გაეწყობა, შენი ჭირიმე, ხან ასე იქნება და ხან ისე! უნდა გაიჭირვოთ და ცოტა კიდევ მოიცადოთ... მეტი გზა არ არის.

მეოთხე გამოსვლა

ისინივე და **ხათუნია** შემოდის (თეფშით მაწონი მოაქვს).

ხათუნია. გამდელმა მოგართვათ: „თქვენი საკადრისი კი არ გახლავსთ, მაგრამ ეგებ ჩემეულად გიამოსთო!"

ნახირ-ფაშა. ნახე, ჯამალ, რა არის?!

ჯამალ. მაწონი გახლავსთ ჩინებული და კოვზიც თან ახლავს!

ნახირ-ფაშა. კაი, შენ მადლი უთხარი: ღმერთმა გაცხოვნოს-თქო. (ხათუნია მიდის).

ჯამალ. ნუ, შენი ჭირიმე... მაგას ნუ შეუთვლით, თვარა ეწყი-ნება: ის ქალი გათხოვებას ფიქრობს და თქვენ ცხონებას უთვლით!

ნახირ-ფაშა. მართლა, მე ნუ მოგიკვდები? ხა! ხა! ხა! ხა!...

ჯამალ. კი, შენი რისხვა ნუ მომეცემა!..ხელის დადება ფერ-უმარილს იდებს პირზე.— ბატონო, ეგება ცოტა მაწონი ინებოთ!

ნახირ-ფაშა. ვითომ ვჭამო?

ჯამალ. რას გაწყენსთ, ბატონო,. კიდეც მოგიხდებათ: მადას მოგგვრისთ.

ნახირ-ფაშა. მაშ კარგი! მიჩვენე! ვიშ!ვიშ! საუცხოვო ყოფილა, კამბეჩის უნდა იყოს.

ჯამალ. არა, შენი ჭირიმე! გუშინ რომ მიირთვით, ის იყო კამ-ბეჩის, ეს ძროხის გახლავსთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახირ ფაშა. საუცხოვოა! ნეტავი საიდან შოულობს გამდელი ამაებს?

ჯამალ. მოუდის!... სოფელი თვალყურიანია, შენი ჭირიმე: რალაი გაიგეს ელენეს ამბავი, გამდელს პატივი მოემატა.

ნახირ-ფაშა. მართლა? როგორ იფერებს? წიწილებს ალარ დასდევს?...

ჯამალ. აჰ, თქვენც არ მომიკვდეთ! ალარც წიწილები ახსოვს და ალარც ხბოები. შეიგდო ყურთმაჯები, შედგა ქოშებზე და ცივ ნიავს ალარ ჰკადრულობს, სულ ყეენის თავის მზეს ფიცულობს!

ნახირ-ფაშა. შენ ემტერები, ჯამალ!... (ათავებს მაწონს) საუცხოო იყო! ვიშ!...

ჯამალ. ღმერთმა შეგარგოსთ!...

ნახირ-ფაშა. ნეტავი რათ დაიგვიანა ბატონიშვილმა? დავწყდით შიმშილით, შენი მტერია!

ჯამალ. უნდა მოიჭირვოთ, შენი ჭირიმე, კუჭი როგორმე ცოტათი გაიმაგროთ, მეტი გზა არ არის!... საქმეს შერჩებოდენ...

ნახირ-ფაშა. უდროოდ არც საქმე ვარგა!... მოურავო!... შენ და გადია ვერ შერიგდით? კიდევ კინწლაობთ?

ჯამალ. კაია, შენი ჭირიმე, ნუღა მიბრძანებთ!... ყოველიფერს აქვს თავისი შესაფერი წამალი და იმას კი არაფერი მოუხერხდა! ჯოჯოხეთს მოაბრუნებს კაცი და მის გულს კი ვერა.

ნახირ-ფაშა. ვერა ცდილხარ კარგად.

ჯამალ. რა ბრძანებაა? ცდა არ დამიკლია, მაგრამ, რომ ვერას გავხდი! მოფერება და ქალაჩუნობა არ გამომადგა, საჩუქარმა და ძღვენმაც ტყვილა ჩამიარა... ბოლოს ნათლიადაც მოვიკიდე, მაგრამ ვერც არა იმან მიშველა-რა... იმას გაუწყრეს ჩემი გამჩენი! ველარ გაძლა ჩემი მტრობით... ველარ!...

ნახირ ფაშა. ხა! ხა! ხა! ხა! ხა! რაო? რას ამბობს?

ჯამალ. ჰმ... რას არ ამბობს? იმას თუ დაუჯერა კაცმა, თქვენი ოჯახის ამომგდები მე ვარ.

ნახირ ფაშა. რა ვენაღვლება, სთქვას! ვინ დაუჯერებს?...

ჯამალ. თქვენ კი ყველაფერს მიხვდებით, შენი ჭირიმე, წვერი გაქვსთ და ულვაში, მაგრამ ქალბატონს კი სჯერა და მირისხდება. ახლა მაინც ასე უბრძანებია ჩემზე: „ნუღარ დამენახვება, დაიკარგოს ამ ჩემი ოჯახიდანაო“.

ნახირ-ფაშა. მართლა?... რათა?

ჯამალ. რალაი მონავარდისა მე გადვიბრალე თქვენის გულისათვის, მერე ალარ იქნა, ალარ მოუბრუნდა ჩემზე გული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახირ-ფაშა. თუ გიყვარდე, მართლა?... ხა! ხა! ხა! ხა! მართალს ბრძანებს ბატონიშვილი... მოურავო, რავა გეკადრება სამოახლოში შეძრომ-გამოძრომა? არა, რა ხელი გაქვს მოახლესთან! რაღა დროს შენი ეგ არის, თმაში თეთრი გირევია... ხა! ხა! ხა! ხა!

ჯამალ. იჰ, კაია შენი ჭირიმე! თქვენ გეცინებათ და მე კი მაჩაბლის საქმე მემართება!... რაღაი უბრძანებია, ვიცი აქ მე აღარ დამედგომება. უნდა დავიკარგო და ის არის!...

ნახირ-ფაშა. არაფერია!... ქალია, მალე მოიბრუნებს გულს და შენ მანამდის, აი, რა ჰქენი: მაინც მოსაკრებია ღალა, წადი სოფლებში და ერთ-ორ კვირას შემდეგ მოდი ისევე. მანამდის ქალბატონსაც გადაავიწყდება...

ჯამალ. სად შემიძლია, შენი ჭირიმე? მუხლები აღარ მივარგა და ქვეითად სახლამდისაც თუ გავღოღდები.

ნახირ-ფაშა. ქვეითი? ცხენი რა უყავ? სადა გყავს?

ჯამალ. მისთანა თქვენს მტერს ჰყავდეს, მე ისა მყავს.

ნახირ-ფაშა. რაო? რა დაემართა?

ჯამალ. იმას კი ეყოფა, რაც დაემართა!

ნახირ-ფაშა. რას ამბობ?

ჯამალ. ამას წინეთ შევჯექი ზედ, შენი ჭირიმე, და მარჯვნივ რომ მიმყავდა—მარცხნივ გადაუხვია, მარცხნივ რომ გავდენე—მარჯვნივ წავიდა; ვუჭირე მათრახი, შევახტუნე და გავაქანე პირდაპირ...წამოჰკრა ორივე ფეხები ქვას, წამექცა და კიტრივით გამაგორა ტალახში.

ნახირ-ფაშა. მართლა? მე ნუ მოგიკვდები? ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

ჯამალ. კი შენი რისხვა არა მაქვს! ისე ამოვითითხნე ლაფში, როგორც ღორი. ვთქვი: რა ემართება ამ ოხერს? ნალები ხომ არ აჰყრია-თქო? და დავათვალიერე.—აჰ, რა შუაშია?!... ვამბობ: ბიჭოს, რა ღმერთი უწყრება: ხორცად კარგად არის და ნალებიც არ დაცვეთია ჯერ და თვალნაცემი ხომ არ არის-თქო? შევხედე თვალებში და, მისთანა თქვენს მტერს, მაშინ კი მივხვდი: ორივე თვალზე ბინდი გადაკვროდა... ველარაფერს ხედავდა თურმე.

ნახირ-ფაშა. ეჰ... გადიამ თუ შეულოცა შენი მტრობით?

ჯამალ. არც ეგ იქნებოდა მისგან გასაკვირალი, მაგრამ, არა, შენ არ მომიკვდე, ვინმე ღვთის მტერი და ღვთის რისხვა ჰკრავდა თვალებში ჩხირს და მისგან არის...

ნახირ-ფაშა. ეჭვი გაქვს ვისმეზე?

ჯამალ. რომელ ერთს უნდა დავაბრალო, შენი ჭირიმე? ნათქვამია: „თვალებმა სთქვესო, რომ ცხვირი არ გვიშლიდეს, ერთმანეთს ამოვჭამდითო“, მისი არ იყოს, ქვეყანა ხარბია... ბევრი მტერი მყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახირ-ფაშა. რაო! რას გემტერებიან, ჯამალ?

ჯამალ. რა ვიცი, შენი ჭირიმე! მე არავისთვის არა დამიშავებია-რა და... აქაო-და ბატონი რათ არის შენი მწყალობელიო, გულზე სკდებიან... და ან შენ რათ ხარ მისი ეროგულიო? აღარ მასვენებენ. მაგრამ მე არას ვიტყვი, ღმერთი გასცემს ჩემ მაგიერ პასუხს და თქვენს ერთგულებაზე მაინც ვერ ამაღებინებენ ხელს!... ერთი ცხენი გამიფუჭეს?! სანამ თქვენ მწყალობელი მეყოლებით, მეორეს ვიშოვნი.

ნახირ-ფაშა. სად გყავს ახლა ის ცხენი?

ჯამალ. გუშინ ჩემი ბიჭი გამოერია სასახლეში და იმას გავატანე. თუ მოარჩინეს, ხომ კარგი, და თუ არა—საპალნეში მაინც ივარგებს: ავშარაში მოუკიდებს კაცი და წინ წაუძღვება...

ნახირ-ფაშა. მაშ, სოფლებში როგორღა წახვალ?... უნდა ვიქირაოთ!...

ჯამალ. თქვენი ნება გახლდესთ! ვიქირაოთ. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ახველებს) ჰმ!... მართლა, დალახვროს დღერთმა, სულ გამოვჩერჩეტდი... კინაღამ დამავიწყდა.

ნახირ ფაშა. რაი, ჯამალ?

ჯამალ. მეჯოგე გიახლათ გუშინ და იმან მოგახსენათ, რომ ლურჯა-კვიცს მუნი დამართნიაო!

ნახირ-ფაშა. მერე?

ჯამალ. მერე, თუ არაფერი ვუშველეთ, სულ გადაედება მთელ ჯოგს.

ნახირ-ფაშა. მართლა!... ნეტავი რა აჩენს მუნს?

ჯამალ. მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე, სოფლის ბახები აშვებულები არიან, მინდვრად დაეხეტებიან; ერთი მათგანი მუნიანი წაუხახუნებს სადმე ხეს, მერე ჩვენი ჯოგის ლურჯაც იმავე ხეს წაეფხანებოდა და გათავდა,—გადაედებოდა... მეტი აღარ ენდომებოდა!...

ნახირ-ფაშა. მართლა! მანგრე გაჩნდება ხოლმე ე მუნი?

ჯამალ. კი, თქვენ ნუ მომიკვდებით!... სხვებსაც გადაედება და საფრთხილოა.

ნახირ-ფაშა. მაშ რა უნდა ვუყოთ ახლა იმ კვიცს?

ჯამალ. თუ მიბრძანებთ, სოფელში წავიყვან: იქ ექიმებს ვნახავ და ვააქიმებინებ.

ნახირ-ფაშა. არის კი წამალი? გაეწყობა რამე?

ჯამალ. გახლავთ! სოფლური რაღაცა: ძმარში გალესილი მჭვარტლი, თუ ცერცვის ნახარშში, თუ სხვა რაღაც-რაღაცაები...

ნახირ-ფაშა. დოქტორს რომ დავუძახოთ... ქინა-ქინა რომ ასვას, არ მოუხდება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამალ. სადოქტოროდ თუ გახდა, რაღა გადაარჩენს, შენი ჭირიმე, განა არ მოგეხსენებათ?... წასულა ჩვენი ხელიდან და ის არის. შენი მტერი გატყაულა, ის გაატყავონ!...

ნახირ-ფაშა. ჰმ... ეგ კი იქნება! მაშ, როგორც იცოდე... წაიყვანე და ააქიმებინე.

ჯამალ. ბატონი ბრძანდებით!... აპა, ბატონო, ცხენს აღარ ვიქირავებ... ტყვილაუბრალო ხარჯში რათ შევიდეთ? ამ კვიცზე შევჯდები ბარემ და ისე გიახლები.

ნახირ-ფაშა. კარგი!... (თვლემავს) მარამ მუნი რომ გადაგედვას?

ჯამალ. არა, შენი ჭირიმე! ცხენის მუნი კაცს არ ედება!

ნახირ-ფაშა. მაშ, კარგი! როგორც იცოდე! როგორც სჯობდეს!...

ჯამალ. ფუ! კინაღამ არ დამავიწყდა: იმ საძაგელ ჩემ შვილს ცხენი რომ წაეყვანა, უნაგერიც თან გაეყოლებია და ახლა უუნაგროდ გახლავარ!... თუ მიბრძანებთ, თქვენ ძველ ანჩაღს დავადგამ იმ კვიცს?!

ნახირ-ფაშა. (თვალს ახელს) აჰ, მერე მუნი რომ გადაედვას?

ჯამალ. არა, შენი ჭირიმე!... რა ბრძანებაა.

ნახირ-ფაშა. მაშ კარგი დაგემართოს! წადი, სადილი დააჩქარებინე და ნასადილევს დააღექი გზას.

ჯამალ. ბატონი ბრძანდებით! ნამუშევარში რომ ფული მოგვცენ გლეხებმა, ნაკლებს დავჯერდეთ ვითომ?

ნახირ-ფაშა. ჰა? (თვალს ახელს) რასაკვირველია, ფული აჯობებს!...

ჯამალ. თქვენი ნებაა. აბა, გიახლებით! (ჯამალ მიდის და ნახირს კი დაეძინება)

მესამე გამოსვლა.

ნახირ-ფაშა და **კუდურ-ხანუმ** (შემოდის)

კუდურ-ხანუმ. ეჰ, რა საშინლად დავიღალე!... (შენიშნავს მძინარს ნახირს) ეჰ, ეგ არის! მეტი ნუღა გინდა-რა!... ვიშ, საყვარელო!... არიქა, მარჯვეთ იყავი: არ წაგივიდეს! არ გამოგეპაროს, არ...

ნახირ-ფაშა. (წამოვარდება) აჰ!... რა არ წამივიდეს!

კუდურ-ხანუმ. ძილი არ გაგეპაროს, ხუმრობა ხომ არ არის!...

ნახირ-ფაშა. აბა, რა ექნათ, ბატონიშვილო, რომ არ დავიძინოთ?... თქვენს ლოდინში შიმშილმა დაგვხოცა და...

კუდურ-ხანუმ. დიახ, ეგ არის, სულ ჭამა და ძილი უნდა გახსოვდეს... მეტი აღარა გვეჭირვება-რა... აშენდება ოჯახი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახირ-ფაშა. ეეეი!

კუდურ-ხანუმ. ვის უძახი? რა გნებავსთ?

ნახირ-ფაშა. სადილს დაუძახონ!...

კუდურ-ხანუმ. ვაი შენი ბრალი!... ნუ მიგდის სული!... კიდევ მოესწრები. ჯერ ყური დამიგდე... საქმეა!...

ნახირ-ფაშა. რა საქმეა მაგისთანა? ნასადილევს არ შეიძლება, ბატონიშვილო?

კუდურ-ხანუმ. ვალის როგორ აეშალე? გულდაგულ?

ნახირ-ფაშა. ისე, როგორც შენ დამარიგე.

კუდურ-ხანუმ. აბა, როგორ?

ნახირ-ფაშა. შევედი მის ოთახში; ხალხი-ზალაში იდგა, მე ვითომ არ შემიტყვია მისი გამოცვლა, მიზეზი მოვუნახე და დავუწყე ხმამაღალი ლაპარაკი.

კუდურ-ხანუმ. მერე?

ნახირ-ფაშა. გამოვედი, ვითომც გაჯავრებული. მომცვივდენ, მკითხეს: რა იყოვო? და მე ასე დავიჩემე ყველასთან, რომ კაცი ალარ ვიქნები, თუ პირდაპირ ხვანთქარს არ მივწერო და მაგისი თავი არ გამოვაცვლევინო-თქო.

კუდურ-ხანუმ. მერე იცი, რა გამოვა მანდედან?

ნახირ-ფაშა. შენ უკეთ არ იცი, განა, ბატონიშვილო!... ამ დღეებში რომ შეიტყობენ მაგის გამოცვლას, ჩემგან გამოგდებული ეგონებათ.

კუდურ-ხანუმ. ვინ გითხრა, რომ სცვლიანო? ნამდვილად იცი?

ნახირ-ფაშა. ნამდვილად, უსუფ-ბეიმ მითხრა, მისმა საიდუმლო მდივანმა.

კუდურ-ხანუმ. მოუტყუებიხარ!... ეგ არის შენი კაცობა, რომ ეგეც ვერ შეგიტყვია, და მე ხომ სული წმინდა არ ვიყავი, რომ გამეგო.

ნახირ-ფაშა. (შეშინებით) როგორ თუ არა?!... განა ტყუილია? არა სცვლიან?

კუდურ-ხანუმ. სცვლიან კი არა, ახალი მინდობილებებიც მოჰსვლია.

ნახირ-ფაშა. (უფრო შემკრთალი) ტყუილი იქნება!

კუდურ-ხანუმ. ნამდვილად ვიცი. უსუფ-ბეის მოუტყუებიხარ... ის ახალგაზრდა კაცია, სოხტების კუდია. შენ რათ გაგიტანდა?... როგორ დაუჯერე იმას?... მე მეგონა, თუ სარწმუნომ ვინმემ გითხრა.

ნახირ-ფაშა. მართლა?! მაშ დავღუპულვართ!...

კუდურ-ხანუმ. შენს თავს დააბრალე! არც უმისობა იქნება.

ნახირ-ფაშა. ბატონიშვილო, აღარაფერი მოგვეხერხება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. რა უნდა მოგვეხერხებოდეს? შენ წადი, ჭამე და იძინე; მაშინ კი მოხერხდება.

ნახირ-ფაშა. შენ თუ მოინდომებ, მოუხერხებელი არა დაგირჩება-რა...

კუდურ-ხანუმ. აბა, შენის იმედით თუ დავრჩი...

ნახირ-ფაშა. ჰო, შენი ჭირიმე!... აბა!...

კუდურ-ხანუმ. გასწი ახლავ ვალთან, შედი საიდუმლო ოთახში და, ვითომ არ იცი, რომ აღარა სცვლიან, და შეწუხებულად უთხარი: გავიგონეთ, ვითომც გვტოებდეთ,—არ უთხრა თუ გცვლიან თქო,—და ნუ გვიზამთ ამ საქმეს, ოხრად ნუ დაგვყრი-თქო!...თხოვნას ვაგზავნით ხვანთქართან: რამოდენიმე ათასმა კაცმა ხელი მოაწერა-თქო და თქვენ კი საწყენად არ დაგირჩეს-თქო

ნახირ-ფაშა. რომ მკითხოს: „მიჩვენე, სად არის ის ქაღალდი და ან ვინ მოაწერა ხელიო“?!

კუდურ-ხანუმ. ჯერ არ გათავებულა ხელის მოწერა, კიდევ აწერენ—თქო. და, ვიზედაც გულნაკლებად იყო, ჩააბეზღე... ახლა გაქვს დრო... „ამან და ამან არ მოაწერა ხელი და ცალკე საჩივარიც გაუგზავნიათ თქვენზედა-თქო. და მეც მიტომ დაგიწყეთ გუშინლამ ხმამაღალი ლაპარაკი, რომ ხალხისთვის დამენახვებინა და ამგვარად შემეტყო, თუ ვინ არიან თქვენი წინააღმდეგები-თქო“... ერთი სიტყვით, უნდა მოახერხო... დრო გაქვს!

ნახირ-ფაშა. მერე, ბატონიშვილო, ხომ მეტყვის: „მე არსად გადავდივარო“?

კუდურ-ხანუმ. ეგ კიდევ უკეთესი! შენ გამხიარულდი და დაეშურე წამოსვლას, რომ მივახარებ და ელენეს გულს მოუბრუნებ-თქო. ელენესი თუ რამ გკითხოს, უთხარი... ჰო, რამდენი ხანია ვალს აღარ გაუვლია ჩვენთან?

ნახირ-ფაშა. ხუთი დღე.

კუდურ-ხანუმ. მაშ... „ოთხი დღეა, ელენე კარდაკეტილში ზის და რაღაცაზე სწუხს თქო“.

ნახირ-ფაშა. კარგი, ბატონიშვილო, მაგაებს ყველას მოვახერხებ.

კუდურ-ხანუმ. რომ გამოხვიდე და ხალხში გამოიარო, შენთვის წაილაპარაკე: „ეგ სხვა არის! მაგ პირობით თანახმა ვარ თქო“ და სხვანი...

ნახირ-ფაშა. მერე რა გამოვა მანდედან?

კუდურ-ხანუმ. ეეეჰ!...ხმოს თავი!... მაგდენიც არ იცი? შენგან რომ ვერას შეიტყობენ, დაიწყებენ კითხვას აქეთ-იქით... ქვეყანაა... და მე მაშინ ასე დავაყრევინებ ხმას, რომ ვალმა ბოდიში მოიხადა, ყველაფერზე დაეთანხმა ნახირ-ფაშას და ნახირმაც შეირიგა-თქო. ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ხომ მიხვდი? შენ თუ ვინმე გკითხოს, მაგაზე სულ ნურას იტყვი და უფრო დაიჯერებენ.

ნახირ-ფაშა. აი, შენ კი გენაცვალე, ჩემო სიბრძნის კოლოფო! შენ რომ არა მყოლოდი, რა მეშველებოდა?...

კუდურ-ხანუმ. მადლობა ღმერთს, რომ გამოტყდი!... კარგი, კარგი! აბა, გასწი მალე!...

ნახირ-ფაშა. სადილი?!

კუდურ-ხანუმ. ვაი შენ და შენს სადილს!... მოესწრები... მო... რა დროს ჭამაზე ფიქრია ამისთანა დროს?... განა ვერ ხედავ, რომ ერთი წამის დაკარგვაც ძნელია... საშიშია?!...

ნახირ-ფაშა. (მიდის) მივდივარ! მივდივარ, ბატონიშვილო! ნუ გაჯავრდები!!

კუდურ-ხანუმ (მარტო) ახლა ხელის შეშვება აღარ ივარგებს! ვალი დაგვიკვირდება, აზრს აიღებს...ჰმ!... სიფრთხილე გვმართებს, თორემ ყოველიფერი მუქთად ჩაგვიელის. ელენეს მოქმედებასაც უნდა ბოლო მოეღოს... ის შეჩვენებული არჩილიც გამოუშვიათ... და მე ვიცი, ხეირს არც ის დაგვაყრის: გადამირევს ელენეს! იმ დალოცვილმა ვალმა არ დაუჯერა ჩემს ქმარს და მაინც გამოუშვა ციხიდან ის შეჩვენებული სოხტი: „აქაო— და ელენეს იამებაო“! (ჩაფიქრდება).

მეოთხე გამოსვლა

კუდურ-ხანუმ. და **ესმა** (შემოდის მთელი ქათიბით, ქოშებით)

ესმა. ქალბატონო, აქა ბრძანდებით?

კუდურ-ხანუმ. რაო, გამდელო! რა გინდოდა?

ესმა. მე არაფერი, გენაცვა, ელენემ გამომგზავნა: „შეიტყვე ოთახში თუ ვინმე არისო და ან ქალბატონი თუ შინ ბრძანდებაო!“

კუდურ-ხანუმ. თვითონ ელენე სადღაა?

ესმა. ყველანი ბაღში არიან და ელენეც იქ გახლავსთ.

კუდურ-ხანუმ. სტუმრები ხომ არ არიან?

ესმა. არა, შენი ჭირიმე. მხოლოდ არჩილ გიახლათ: გამოუშვიათ.

კუდურ-ხანუმ. ჰმ! როგორ მიიღო ელენემ?

ესმა. ვერაფერად. ერთმანეთს მიესალმენ და მერე აღარც კი შეუხედნიათ ერთმანეთისათვის... ისე ისხდენ, ცალყბა ნაცნობებსავით.

კუდურ-ხანუმ. ჰმ!... მერე?

ესმა. მერე, ელენე ადგა, დაამთქნარა და აქ გამომგზავნა: წადი, შეიხედე ოთახში, თუ ვინმეაო და ან ქალბატონი თუ შინ ბრძანდებაო!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. ჰმ!... კარგი, კარგი, გამდელო! მოდი, ჩამოჯექი ტახტის პირზე, აგერ...

ესმა. უიმე, მე რა ღირსი ვარ, გენაცვალე, თქვენს სიახლოვეს ჯდომისა?!

კუდურ-ხანუმ. რას ამბობ, გადია? ამ ოჯახის შენოდენი ნამსახური ვინ არის, რომ ტახტზედაც არ დაისვენო ხოლმე?

ესმა. უი, ვენაცვალე თქვენს სამართლიანობას და დიდკაცურ მოხდომას! (ჯდება) უკანასკნელი წიწილებიც კი ჩემი ხელით გამოზრდილია ამ ოჯახში, თორემ ეხლანდელი გომბიოები...

კუდურ-ხანუმ (სიტყვას აწყვეტინებს) ვიცი... ვიცი... განა არ ვიცი?... ახლა მაგის დრო არ არის. შენ ეს მითხარი: დაძებნე?

ესმა. სულ გადავაბრუნე საკუჭნაო, მაგრამ ვერაფერი ვნახე იმის მეტი, რაც მოგართვით.

კუდურ-ხანუმ. (ამოიღებს ჯიბიდან ქაღალდში გამოხვეულ ფხვნილს) ამის მეტი?

ესმა. დიახ, ეგ გახლავსთ, ქალბატონო!... მაგან შემაშინა და გადამრია.

კუდურ-ხანუმ. რა იცოდი, რომ საწამლავი იყო?

ესმა. უცბად მოვატანე თვალი, შაქარი მეგონა და დაწებას ვუპირებდი, ელენე მომვარდა და მომაძახა: „რას შვრები, რას ჩადიხარო? თაგვის შაქარიაო, თაგვების მოსაწამლავად მოვატანინეო!“...

კუდურ-ხანუმ. ჰმ!... მაგრე იქნებოდა სწორედ... უნდა ისევ ჩაუდვა, საიდანაც ამოიღე, თორემ, თუ გაიგო მოგიპარავს, არ იამება...

ესმა. ძლივს შემირიგა და მაშინ სულ გამაგდებს! შემიძულებს, იმას კი ვენაცვალე...

კუდურ-ხანუმ. მაშ ისევ იქვე ჩადე, რომ აზრი არ აიღოს!...

ესმა. უიმე, გენაცვალე! ეშმაკს თვალს არ უჩანს! მეშინია, მოწამლულმა თაგვმა რომ მოცუცნოს რამე თაროში, მერე ხომ ჩვენც მოვიწამლებით? უნდა სხვა რამე მოვახერხოთ, ქალბატონო.

კუდურ-ხანუმ. ნუ გეშინია! (ამოიღებს ჯიბიდან მეორე ქაღალდს) ამას ხომ ხედავ, გამდელო? აი, ეს ჩაუდე მაგიერად!

ესმა. ეგ რა არის, გენაცვალე? ეგეც ხომ ამისთანა არა არის— რა? ჰგავს...

კუდურ-ხანუმ. არა, ეს უბრალო სამხურვალო წამალია.

ესმა. უი, გენაცვალე, როგორ თუ სამხურვალო?

კუდურ-ხანუმ. (იცინის) სიყვარულის მალამოა. რამდენიც უნდა სჭამო, არ გაწყენს. დანაყილი შაქრის ყინულია, გადია.

ესმა. უიმე, გენაცვალე, მერე თაგვებმა რომ სჭამონ, აწყენსთ მართლა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. შენ რა გენაღვლება?

ესმა. აქაურობას ეიკლებენ ხრაგუნით... ოჯახს წაბილწვენ!...

კუდურ-ხანუმ. შენ რა თაგვების მოძღვარი ხარ! კარგი ერთი, ნუ ხუმრობ!... წაიღე ახლავე ეს ფხვნილი და იქვე ჩადე, საიდანაც ამოგიღია... გამდელო, თუ შენი ელენეს სიკეთე გინდა და ელენეს ბედნიერებაც გსურს, ენას კბილები მოუჭირე.

ესმა. უიმე!... სადღა მაქვს კბილები, შენი ჭირიმე?... ამდენ ოჯახის...

კუდურ-ხანუმ. ნუ დაიწყებ აქეთ-იქით უთავბოლოდ ლაპარაკს და ამის გარდა კიდევ... კიდევ რაღაცა მინდოდა მეთქვა.. და სულ ავიწყდება... ჰო!... ამ სიცხეში რომ ქათიბით დადიხარ, არ გაწუხებს?.. როგორ გეკადრება, უბრალო გამდელი ხომ არა ხარ!!...

ესმა. ოი, ვენაცვალე თქვენს სამართლიანობას! დიდი კაცი ხარ და ყოველიფერი დიდკაცურად გესმის... მაგრე აღარ მაფასებენ სხვები... გოგოები...

კუდურ-ხანუმ. ჩემი თალხი შალი მიჩუქებია შენთვის... ახლა წადი და უთხარი ელენეს: არავინ არის-თქო; გესმის?...

ესმა. მესმის, ჩემო ხელმწიფევ, და ღმერთმა ნუ მოგაკლოს მისი წყალობა! (მიდის)

კუდურ-ხანუმ. (მარტო) ჰმ!... ავად თუ კარგად, დღეს უნდა გადაწყდეს საქმე, თორემ, მე ვიცი, ის ყმაწვილი საქმეს გაგვიფუჭებს... უნდა ვაცნობო ვალის. (მიდის)

მეხუთე გამოსვლა

არჩილ და **ელენე** (შემოდიან)

არჩილ. რა წინდაუხედავი რამა ხარ!... მე კი გული გადამიტრიალდა და...

ელენე. რა ვქნა?! რისი შეგეშინდა? ხათუნია იყო.

არჩილ. სხვა რომ ვინმე ყოფილიყო?

ელენე. რა მენაღვლებოდა?

არჩილ. რა გენაღვლებოდა?!... ჩემი მტერი ჩავარდეს აქაურების ყბაში!

ელენე. რა იქნებოდა?

არჩილ. თვითონ კი არ იცი, რომ მეკითხები?... ბნელაში საიდუმლოდ რომ ვისმეს ხანჯალი აძგერო, იმაზე ხმასაც არავინ ამოიღებს და კოცნაზე კი ქვეყანა აყაყანდება.

ელენე. განა შენც მაგრე სამალავად მიგაჩნია სიყვარული? მაშ ცოდვა რამ ყოფილა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ. ისე, როგორც ლოცვა: ერთიცა და მეორეც კერძო საქმეა და საქვეყნოდ მათი გამოტანა ფარისევლობა იქნება.

ელენე. (ალერსიანად) ოჰ, არჩილ! ვინც შენ არ გიცნობს, რა უნდა სთქვას, და გაცნობა კი ძნელია: რაც შენ გულში გაქვს, ძვირად ვისმეს უჩვენებ და ხშირად მთისა ბარში გადაგაქვს...

არჩილ. ჩემი ბრალია? განა ბევრს შეეხვდებით მისთანას, რომ ღირსი იყოს, ჩვენი გული გავუხსნათ?

ელენე. მაშ კაცი უმეტეს შემთხვევაში გულგაუხსნელი იყოს? მაგნაირად გაფრთხილებული კაცი მეგობრებს ყოველთვის მოკლებულია.

არჩილ. და მაგითი ვითომ რას წააგებს?

ელენე. განა მეგობრობა აღარა გწამს?

არჩილ. მეგობრობა დიახ მწამს, მაგრამ მეგობრები კი არა... ვისაც ჰგონია, რომ ბევრი მეგობრები ჰყავს, იმას, იცოდე, არც ერთი მეგობარი არა ჰყავს... მოტყუებულია.

ელენე. მაშ შენც მიტომ არ ეძებ მეგობრებს?

არჩილ. შეიძლება... ეჰ, მეგობრები არც მყოლიან და არც მეყოლებიან.

ელენე. (სიჩქარით) მეგობარი?

არჩილ. ეგ შენ უნდა გკითხო, როგორა გგონია? (ალერსით შეჰყურებს თვალებში. ცოტა ხნის სიჩუმეა) აჰ? რაზე გაწითლდი?... შენ თვალებში ვკითხულობ პასუხს... ენას ნუღა გარჯი, ჩემო ელენე, ჩემო...

ელენე. (ხელს უჭერს. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) იცი, რა გითხრა, არჩილ? ხომ მოგელოდი, მაგრამ მაინც, პირველად რომ შემოგხედე, კინაღამ თავს ვუღალატე და, თუ გადიას არა, ცუდად იყო ჩემი საქმე... მერე კი ისევ მოვიბრუნე გული. და შენ კი არაფერი... თითქოს მე იქ არა ვყოფილიყო... არც დაგენახო...

არჩილ. აგრე გგონია შენ! (სიჩუმე) რაო? რაზე გაგიხმო? რას გეჩურჩულებოდა?

ელენე. შენზე მეუბნებოდა: „დაუკვირდიო! თუ იმას ოდესმე ჰყვარებოდე, განა მაგრე მოიქცეოდა ახლაო?“ საბრალო, ძალიან გაკვირდებოდა, მაგრამ ბევრი ვერა გამოიტანა-რა.

არჩილ. მართლა? ჰმ... როცა ავ-კარგისა და ტყუილ-მართალის გარჩევაზე მივარდება საქმე, მაშინ ბევრი გადიები გამოჩნდებიან ჩვენში, ჩემო ელენე...

ელენე. ყველანი ძალიან გიკვირდებოდენ, თითქოს უნდოდათ, რომ თვალიდან ბეწვი ამოეღოთ, მაგრამ, მგონი, ბევრს ვერას გახდენ. შენ სახეზე ისინი კი არა, ეშმაკიც ვერას წაიკითხავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ. თუ წაეკითხათ, მათმა სიცოცხლემ, სიბრძნეს შეიძენდენ! გატენიდენ ჭორის ბოხჩას და დაიწყებდენ იქით-აქეთ უთავბოლოდ წანწალს. სხვა რა გამოუვიდოდათ? (სიჩუმეა)

ელენე. (ეალერსება) ჩემო არჩილ! ასე მგონია, სიზმარში ვართქო!...

არჩილ. მე კი ვიცი, რომ ცხადია, მაგრამ მაინც, ცოტა არ იყოს, ჩემო სიცოცხლევ, მეც კი მითამაშებს გული... გესმის?... თითქოს ბამბას ჰპენტვენო.

ელენე. ჩემო არჩილ! შენ კი გენაცვალოს ელენე!... ნუთუ მართლა სიზმარში არა ვართ?

არჩილ. (კალთაში უდებს თავს) არც ახლა გჯერა?

ელენე. (აღელვებით) იცი, რა გითხრა! ჩემს დღეში არა მცოდნია და შენ კი მიმაჩვიე სიხარბეს: წელან, სხვებთან რომ ლაპარაკობდი, გული მწყდებოდა... მე მინდოდა, რომ მარტო მე გამეგონა შენი სიტყვები და მხოლოდ მე მეცქირნა შენთვის... მიტომაც მოვიგონე თავის ტკივილი.

არჩილ. მეც კი მიგიხვდი მაგ კუდიანობას...

ელენე. არა, სულ ტყუილიც არ ყოფილა: თავი თუ არა, გული ხომ მტკივოდა, და ერთის მაგიერ მეორე ვთქვი... შენც ხომ ისე იცი ხოლმე, საზოგადოდ?

არჩილ. მერე, მაგითი რა დაშავდა? განა არ იცი, რომ მათთვის სულ ერთი იყო, თავი გეტკინებოდა, თუ გული, და ჩვენ კი სურვილი აგვისრულდა: აი, მარტოკა დავრჩით ახლა.

ელენე. მაშ ახლა კი მომიყევი, სანამ დრო გვაქვს: რას შვრებოდი ამდენს ხანს და როგორ იყავი?

არჩილ. ოო!... ძალიან ქეიფში ვიყავი, სულ ზურნას ვუკრავდი

ელენე. არა გრცხვენია?! მე მართლა გკითხავ და შენ-კი საცინლად მიგდებ.

არჩილ. აბა, რა საკითხავია? განა ისე კი არ იცი, რა უნდა მექნა საპყრობილეში? ის არა სჯობს, რომ ჯერ შენ მიამბო, თუ როგორ სარგებლობდი შენის თავისუფლებით?!

ელენე. რათ გიყვარს ჩემი გაჯავრება? განა შენ კი არ შეგიძლია წარმოიდგინო, თუ რა ყოფაშიც ვიქნებოდი? რათ არ იცი, რომ უშენოდ, როცა შენ საპყრობილეში მეგულებოდი, ჩემს თავისუფლებასაც არაფრად ვაფასებდი. მართალია, შენ საპყრობილეში იყავი მაგრამ მაგიერად მაგ საპყრობილე ჩემს გულში იყო. ნუ გგონია რომ ჩემზე მეტად ტანჯულიყო!...

არჩილ. რას ამბობ?! შენ სასმელ-საჭმელი მაინც გქონდა.

ელენე. ჰმ!... უგემური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ. წმინდა ჰაერსა სუნთქავდი.

ელენე. მოწამლულს.

არჩილ. ხალხსა ჰხედავდი... მათი სიტყვა-პასუხი გესმოდა.

ელენე. მართალია, იმათ შევჩერებოდი, მაგრამ შენ-კი გიყურებდი; იმას ყურს ვუგდებდი, მაგრამ შენი ხმა მესმოდა, ჩემო სიცოცხლევ... ოხ!... არჩილ, რამდენჯერ მინატრია, რომ მეც შენთან ვყოფილიყავ საპყრობილეში.

არჩილ. (მწუხარე ღიმილით) ერთად? არ იცი, რომ ეგეც აკრძალულია?

ელენე. არა, გინდ მარტო... ოღონდ კი იმავ საპყრობილეში, ერთს სახლში, ერთს ჭერ ქვეშ... გეფიცები, რომ მაშინ უფრო მოსვენებით ვიქნებოდი.

არჩილ. არა, ჩემო ელენე, რომ არ გამოგიცდია, მიტომ ამბობ მაგას!... მეც მაგრე მეგონა, მაგრამ ბოლოს-კი დავრწმუნდი, რომ კაცი სუსტი რამ ყოფილა და ყოველთვის თავის გრძნობას ვერ ეპატრონება! წარმოიდგინე პატარა, ბნელი და მყრალი ოთახი, სადაც ვერც არავის შენსას აგონებ და არც სხვისი ხმა გესმის, ხარ მარტო; არ იცი, როდის გათენდება და როდის დაღამდება; დღეების ანგარიში გეკარგება, დრო გეპარება და რიცხვები გავიწყდება... მაგრამ ესეც კიდევ არაფერი! უფრო ძნელი ის არის, რომ ტანჯვის ტვირთს ვერავის უზიარებ და ვერავის შესჩივლებ!... ხანდახან მხოლოდ სარკმელში შემოიჭვრეტს ხოლმე მცველი, მაგრამ ისეთის თვალით შემოგხედავს, თითქოს დედ-მამა მოგეკლას მისი და ან ცოლ-შვილი შეგეჭამოს. ოჰ, ელენე, გეფიცები, რომ რკინის გალიაში დამწყვდეული აფთარი ისე შესაბრალისი არ არის, როგორც ადამიანი საპყრობილეში. მე იმან უფრო შემაწუხა, რომ წიგნის კითხვის ნებას არ მაძლევდენ. ღმერთო ჩემო! რამდენჯერ მინატრია სიკვდილი და მომინდომებია, რომ თავი კედელზე მიმესრისა! მაგრამ იცი, ვინ მიშლიდა ხელს?

ელენე. (შუბლზე ჰკოცნის) ეს.

არჩილ. არა,—შენ, ჩემო სიცოცხლევ!... სასოწარკვეთილების დროს ანგელოზივით წამოჩიდგებოდი ხოლმე და მეუბნებოდი: „არა გრცხვენია სულმოკლეობისაო?“ და ეს საკმაო იყო ხოლმე, რომ გულს გადამყროდა. შენი სახე ჩემ წინ იყო განუყრელად... მოვიგონებდი ხოლმე შენს მიხვრა-მოხვრას, შენს სიტყვა-პასუხს, შენს ალერსს და ეს მიმოკლებდა ხანგრძლივ ტანჯვას და მიმსუბუქებდა მძიმე ტვირთს. არა, ჩემო ელენე, ვინც მარტოობაში არ ყოფილა, იმან ამხანაგობის ფასი არ იცის!... ვისაც მტერი არა ჰყოლია, მეგობარს ვერ დააფასებს!... (ხელს უჭერს) ამ ბოლო დროს კი, როდესაც ყოველის კუთხით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა შემიკრეს და შენს ამბავსაც ველარ ვტყობილობდი, მაშინ წარმეკვეთა სასოება და არ ვიცი... არ ვიცი, თუ როგორ გათავდებოდა საქმე, თუ არ ამ მოულოდნელ შემთხვევას...

ელენე. ჩემსას ალარ იკითხავ?... ყოველგვარი ცდა და საშუალება რომ გამიცუდდა და რომ ველარას გავხდი, მწუხარებამ ისე წამიღო, რომ თავის მოკვლა მოვინდომე. ხანჯალიც ვიშოვნე, რომელიც დღესაც თავქვეშ მიძევს, მაგრამ ვერ გავბედე-კი მისი ხმარება... ბოლოს თაგვის შაქარი ვიყიდე, რომ თავი მომეწამლა, მაგრამ ღმერთმა უშველოს დეიდას.

არჩილ. დეიდას?!

ელენე. დიახ, იმისი ბრალია, რომ დღეს ცოცხალი ვარ და შენც გამოშვებულსა გხედავ.

არჩილ. რაო?!!...

ელენე. განა არ იცი, ვისი ბრალია, რომ გამოგიშვეს?

არჩილ. რა მოგახსენო!... მე მგონია, ვინც დამიჭირა, მისივე.

ელენე. არ იცი, რად გამოგიშვეს?

არჩილ. შენმა გაზრდამ, არა ვხუმრობდე!

ელენე. მაშ მართლის გულით ამბობ?

არჩილ. რასაკვირველია!

ელენე. მარ...თლა?

არჩილ. რა მაგრე გაგიკვირდა?... ჰმ! ნუთუ მართალია, რასაც ამბობენ?!...

ელენე. რას ამბობენ?

არჩილ. იმას, რომ ვითომც შენ და დეიდაშენი უერთმანეთოდ წყალსაც ალარ აქცევდეთ.

ელენე. (ღიმილით) სწორედ.

არჩილ. მაშ ისიც მართალი იქნება!... მაგრამ არა, გენაცვალე, ელენე, გეხუმრები. განა არ ვიცი, რომ ჭორია.

ელენე. რა?

არჩილ. საზოგადოების სისულელე: ვითომც ვალი ყოველ დღე აქ დადიოდეს.

ელენე. ეგეც მართალია.

არჩილ. კი, მაგრამ იმათ ასე ჰგონიათ, თუ შენთან დადის.

ელენე. რასაკვირველია, ჩემთან!...

არჩილ. რაო? რას ამბობ, გეთაყვანე, ელენე? სიზმარში ხომ არა გგონია თავი? ვინ შენ და ვინ ვალი?! საერთო თქვენში რა უნდა იყოს? შენ ხუმრობ და ხალხი კი ამტკიცებს, რომ ვითომც პირობაც მიგეცეს ვალისთვის ცოლ-ქმრობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. ეგ კი ტყუილია, მე სიტყვა არ მიმიცია, მაგრამ არც იმედი გამომიცლია მისთვის გულიდან. თუ ასე არ მექნა, ის დღეს ხელში არ მეჭირებოდა და ველარც შენ გნახავდი განთავისუფლებულს.

არჩილ. (შეშფოთებით) რაო!... ხელში გიჭირავს?! როგორ თუ ვერა გნახავდი? რას ამბობ?!

ელენე. დიახ! მე ვთხოვე და გამოვაშვებინე შენი თავი... ამაებს ყველას განა მე ჩემით მოვახერხებდი, თუ დეიდას არ ესწავლებია?

არჩილ. შენი ჭირიმე! შენ გენაცვალე, ელენე, ნუ მცდი!... ვიცი, ხუმრობ, მაგრამ მაგისთანა ხუმრობაც საზიზღარია.

ელენე. (შეშფოთებით) რა ვქნა?! რა მაგრე აღელდი?! გეფიცები, რომ მართალს გეუბნები და, თუ კი მომისმენ, შენც...

არჩილ. არც ის მცოდნია, რათ დამიჭირეს და არც ის ვიცი, თუ ახლა რათ გამომიშვეს. ჩემთვის არც ერთი არ უკითხავსთ.

ელენე. მე კი ვიცი: დეიდასი!...

არჩილ. დაჭერა, თუ გამოშვება?

ელენე. გამოშვება! თუ არ ის, დღესაც იქვე იქნებოდი.

არჩილ. ჰმ?!...

ელენე. გიკვირს? რომ გვეგონა, იმისთანა არ ყოფილა თურმე დეიდა.

არჩილ. რაო?

ელენე. ერთხელ შენც ჩემსავით გამოიცვლი იმაზე აზრსა.

არჩილ. რომელ დეიდაზე ამბობ?

ელენე. რომელი მყავს იმ ერთის მეტი?

არჩილ. კუდურ-ხანუმ?!

ელენე. დიახ, ის!

არჩილ. რას ამბობ!? (წამოდგება) განა შეიძლება, რომ მგელი ცხვრად გადაიქცეს?

ელენე. სიტყვაც ის არის, რომ, თურმე, უსაფუძვლოდ გვეჩვენებოდა მგლად.

არჩილ. იჰ, მეც რომ მართლა ყურს გიგდებ!... იმნაირი სახით დასცინი, რომ მართალი ეგონება ეგ შენი სიტყვები, ვინც არ იცის...

ელენე. სწორედ რომ მართალია.

არჩილ. (თვალებზე ხელს იფარებს) კმარა! კმარა!... ეჰ!... უმჯობესი იყო, იქვე მოვმკვდარიყავ საპყრობილეში და ეს კი არ გამეგონა! ელენე, რა გიქნია ეგა? ან შენი თავი რათ დაიმდაბლე მაგრე და ან რათ გამკიცხე? არ იცოდი, შენი თავის დამდაბლება ჩემთვის თუ რა იქნებოდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. (შეწუხებული) კი მაგრამ... სამუდამოდ დაღუპვას ისევ ის ვარჩიე.

არჩილ. რაღა სიცოცხლეა დამდაბლებული... ნამუსდამხობილი სიცოცხლე? მაგას დაგეთანხმა დეიდაშენი?!...

ელენე. იმან მირჩია და შენმა სიყვარულმა მეც დამათანხმა.

არჩილ. მჯერა, სიცოცხლევ! შენ სიყვარულს შეუცდენიხარ, მაგრამ დეიდაშენს კი რაღა უნდოდა?

ელენე. ისიც შენს გამოხსნასა სცდილობდა. იცი, რანაირად უყვარხარ?

არჩილ. (დაცინვით) ვიცი! ვიცი!

ელენე. ესეც რომ არ ყოფილიყო, მარტო ჩემი გულისათვის არ დაიზოგავდა თავს!...

არჩილ. როგორ, განა ისე საშინლად უყვარხარ?

ელენე. მეტი აღარ შეიძლება.

არჩილ. ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ასე ძნელია გამოუცდელობა!... თვალთ. მაქცობა ნამდვილად მიგიღია და ის არის. გატყუებს! გატყუებს, ჩემო კარგო!!

ელენე. რა ვქნა, რა მოგება აქვს, რომ მომატყუოს?

არჩილ. ის, რომ შენი ხელში ჩაგდება უნდა! სხვებსავით რომ მალე იქით ვერ გადაგიყოლია, ახლა პირაქეთ გადმოგყვა; მხოლოდ მისთვის, რომ მიგინდოს და როგორმე მახეში გაგაბას!

ელენე. მე? რომელიც ისეთ რიგად ვუყვარვარ?

არჩილ. დიახ, შენ! ჰმ... განა თამარ შენზე ნაკლებ უყვარდა? განა სხვები კი სძულდა? მაგალითები არ გიდევს წინ? უყვარხარ! დიახ, ისე უყვარხარ, როგორც მსხვერპლის შემწირველს ზვარაკი შეწირვამდის! იმას თავის ხელობა უყვარს და სარგებლობა! ჰმ. (დადის) იმას უთუოდ შენი მახეში გაბმა უნდა! დიახ. აქ რაღაც მანქანება არის! სიფრთხილე გმართებს. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ჯერ ვერ აუსრულებია იმას თავისი პლანი. ჰმ...

ელენე. არჩილ! გეთაყვანე... ნუ მაშინებ! რაღაც უცნაურ ეჭვებში გყევარ! ნუთუ მართლა დეიდას...

არჩილ. რაღა თქმა უნდა! რაღა თქმა უნდა!...

(**კუდურ-ხანუმის** ხმა მეორე ოთახიდან) ელენე! ელენე! მანდა ხარ შვილო? არ შეიძლება, რომ ცოტა ბნით აქ შემოხვიდე?

არჩილ. ეგ შეჩვენებული საიდან გაჩნდა? რა დროსი იყო! არ მინდა ვნახო. ახლა წავალ და ისევ მალე მოვბრუნდები! მერე უფრო გულდამშვიდებით მოვილაპარაკოთ. რათ მოიწყინე მაგრე, გენაცვალე?... ჰმ! (ძალად ღიმილით) რა გაეწყობა? რაც მომხდარა, მომხდარა! შეიძლებოდა, რომ უარესიც მომხდარიყო. მშვიდობით, გეთაყვა! მალე დავბრუნდები, მალე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. (მარტო) ეს რაები მესმის!? ნუთუ მართლა დეიდა მა-ბრიყვებდეს?! ნუთუ მართლა თავი გავიკიცხე?! ღმერთმა ხომ იცის, რაც მე ტანჯვა გამოვიარე არჩილის გულისათვის! განა მე კი არა მტანჯავდა ამდენი მოგონება და თვალთმაქცობა?... რისთვის ავიტანდი ამდენ თავისდამდაბლებას, თუ არ არჩილის სიყვარულის გულისათვის! და რა გამოდგა ბოლოს? ის, რომ მე იმას ვაწყენინე!... გული ვატკინე და ჩემი თავიც დავიმცირე მის თვალში! ვაი-თუ ჩემზე ცუდი რამ იფიქროს!... მაგრამ არა, ცუდს როგორ იფიქრებს?... (უფრო-და-უფრო ღელავს, თავს ჩაჰკიდებს და ხელებს იფარებს; ცოტა ხნის შემდეგ თავს აიღებს) ვაიდან მინდოდა გამოვსულიყავ და უიში ჩავვარდი!... თვალდათვალ დამანახეა არჩილმა ჩემი შეცდომილება! ეხლა მეც ვატყობ, რომ დეიდა მატყუებდა!... იჰ, სიკვდილი აია სჯობს ამისთანა სიცოცხლეს?! ვიღას უნდა ენდოს კაცი?! (თავს ჩაჰკიდებს და დაიწყებს ტირილს, მერე ისტერიკად გადაექცევა).

მეექვსე გამოსვლა

ისევ და **კუდურ-ხანუმ** და მერე **ესმა.**

კუდურ-ხანუმ. (შემოვარდება) ვინ ტირის? ელენე?! რა დაგმართნია, ჩემო სიცოცხლევ?! რა ამბავია? რა?! (ელენე ტირის) ბიჭო! გოგო! არავინა ხართ? მოგვხედეთ!...

ესმა. (შემოიჭრება) რა ამბავია, ქალბატონო!... უი შენს გადიას! ელენე ტირის?! ვინ ამიტირა ამისი თავი? ახლა არჩილ აქ არ იყო? ნუთუ იმან გაწყენია რამე? დამიდგა თვალები! როგორ გაგიბედა იმ არა კაცის მსგავსმა?! უიმე! უიმე! რა იქნა? სად წავიდა? მაცალოს მე იმან! (გამოუდგება გარეთ)

კუდურ-ხანუმ. შე შეჩვენებულო, რა დროს ეგ არის? წყალი!... აი, აგერ ყოფილა! (ასმევს ელენეს, ელენე გულამომჯდარი სლოკინობს) გენაცვალე, ელენე, გული მოიბრუნე! რა დაგემართა? რა იყო? რა მოგივიდა? ავად ხომ არა ხარ?

ესმა. (შემოვარდება დაფეთებული) უიმე! ქალბატონო, მიშველეთ! რა მომივიდა!!...

კუდურ-ხანუმ. (გაჯავრებით) შე შეჩვენებულო, შენ მაინც რაღამ გადაგრია?

ესმა. ის შეჩვენებული არჩილ მეგონა... ვალი მობრძანდებოდა და ქოში ვარტყი გულზე... რაღა მეშველება! ვაიმე! ვაიმე!!

კუდურ-ხანუმ. ვაი შენ და ღვთის რისხვა! ვალი მობრძანდება? (ელენეს) ჩემო სიცოცხლევ, შედი ჩემს ოთახში, გული მოიბრუნე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები ამოიწმინდე და, თუ გინდა, ისე გამოდი მერე. ხელი მოჰკიდე, გადია!... (მიდიან).

კუდურ-ხანუმ. (მარტო) ეს სულ იმ გამოჩერჩეტებული ვალის ბრალია! ახლა მის თავს დააბრალოს! არ დაუჯერა ჩემს ქმარს და მაინც გამოუშვა არჩილი. კი ვიცოდი, რომ არჩილ ხეირს არ დაგვაყრიდა! ჰე, ახლა კი აღარ ვარგა დროს დაკარგვა! დღეს უნდა გადაწყდეს, თორემ უქმად ჩაივლის ამდენი ნაცადი!—ან „ჰო“ და ან „არა“!...

მეშვიდე გამოსვლა

კუდურ-ხანუმ და ვალი.

ვალი. (სიცილით შემოდის) სალამო მშვიდობისა, ბატონიშვილო! ქართველების ზრდილობა ყოველთვის განთქმული ყოფილა და მეც გამიგონია, რომ ძველად საპატიო სტუმარს ვარდის კონებით მიეგებებოდენ ხოლმეო, და მე-კი თქვენი გამდელი ქოშით დამიხვდა.

კუდურ-ხანუმ. უი, ქა, რას მიბრძანებთ?!

ვალი. დიახ! კინაღამ კიბეზე გადამაგდო.

კუდურ-ხანუმ. უი, დამიდგა თეალები! ხომ არა გატკიხა რა?...

ვალი. არა!... ვხუმრობ, ბატონიშვილო!... მე იმაზე უფრო მეცინება, რომ ის დაფრთხა.

კუდურ-ხანუმ. ის შეჩვენებული, ჯერ ისეც გამოყრუებულია სიბერით, ახლა კიდევ ელენეს უქეიფობამ სულ გააგიჟა.

ვალი. როგორ თუ უქეიფობამ?! განა ელენე ავად არის?

კუდურ-ხანუმ. როგორღაც ვერ გახლავსთ თავის გუნებაზე ეს ოთხი-ხუთი დღეა. თვითონაც არ იცის, თუ რას მიზეზობს!—თქვენი მტერი იყოს, იმან ჩვენ გუნებაზე დაგვაყენა და მისი გამდელი ხომ რაღა! აღარ იცის, რას ჩადის.

ვალი. ქოშებს ისვრის? (იცინის).

კუდურ-ხანუმ. (იცინის) არა. ეგ თუმცა განგებ არ უქნია, მაგრამ სამართლიანად კი მოხდა, რადგანაც, ცოტა არ იყოს, თქვენცა გაქვსთ ბრალი ელენეს უქეიფობაში.

ვალი. როგორ, ბატონიშვილო?

კუდურ-ხანუმ. ახლა მაგაზე აღარას მოგახსენებ, თვითონ თქვენ და ელენე მორიგდებით ერთმანეთში, მაგრამ მე-კი ჩემდათავად უნდა გისაყვედუროთ, რომ ამდენი ხანია დაგვივიწყეთ.

ვალი. განა მაგაში მე ბრალი მაქვს?... თქვენმა ქმარმა ისეთი დიპლომატობა გამოიჩინა, რომ მისი, სხვების დასანახავად გამოგონებული, ახლა მე ნამდვილად მივიღე და აღარ ვიცოდი, თუ რა მექნა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდურ-ხანუმ. ეგ უფრო სამწუხარო კიდევ!... მმართებლობის ერთგულებამ და თქვენმა ერთგულებამ რომ ჩემს ქმარს მოუხერხებელიც მოახერხებინოს, დიდი გასაკვირი არა არის რა; მაგრამ, თქვენ რომ არ გიხმარიათ ჩვეულებრივი გამჭრიახობა და ვერ მიმხვდარხართ, ის კი კარგი ნიშანი არ არის ჩვენთვის: სჩანს, რომ აღარა გვწყალობთ!...

ვალი. მაგას რას ბრძანებთ, ბატონიშვილო?... სანამ სული მიდგას, მე თქვენი პატივისცემა და სიყვარული არ დამავიწყდება. აი ახლაც, ისეთი ერთგულება გამოიჩინა თქვენმა ქმარმა მმართებლობის და თანაც ჩემი მეგობრობა, რომ ღირსი შეიქნა სამაგალითოდ დაჯილდოებისა.

კუდურ-ხანუმ. ის მაგგვარად თავის მოვალეობას ასრულებს!... თუმცა, მართალი უნდა მოგახსენოთ, მე-კი ყოველთვის ვეწინააღმდეგები ხოლმე.

ვალი. მმართებლობის ერთგულებაზე?

კუდურ-ხანუმ. დიახ!... მაგითი ის ბევრს მტერს იკიდებს და, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენი ხალხი რა არი? ადრე თუ გვიან ხეირს არ დააყრიან ჩემს ქმარს მაგ ერთგულობისათვის.... უმისოდაც ქვეყნის მოღალატეს ეძახიან.

ვალი. მაშინ ჩვენც აღარ ვიქნებით, მაშ, ქვეყანაზე?!

კუდურ-ხანუმ. სანამ თქვენ აქ ბრძანდებით, მეც გული დამშვიდებული მაქვს, მაგრამ... ვინ იცის, რომ ხვალ თქვენ უფრო მაღალ ადგილზე არ მიგიწოდებენ აქედან? მაშინ, ჩვენგან შორს მყოფს, დრო აღარ გექნებათ მოგვიგონოთ და ამგვარად მფარველს მოვაკლდებით.

ვალი. დარწმუნდით, ბატონიშვილო, რომ სადაც უნდა ვიყო, თქვენი ხსოვნა და პატივისცემა ჩემი გულიდან არ ამოვა. და, რაც შეეხება ახლანდელს მტერებს, დღეს თქვენმა ქმარმა წარმომიდგინა მათი სია და მეც უმაღლესად წარვადგინე, რომ ისინი, როგორც ქვეყნის ორგულნი და მმართებლობის წინააღმდეგნი, სამაგალითოდ ქვეყნის დასანახავად დაისაჯონ და თქვენი ქმარი კი დაჯილდოვდეს.

კუდურ-ხანუმ. გმადლობთ! თქვენი მოწყალება დაუფასებელია!... ჩემი ქმარი თვითონ ეცდება, რომ გაამართლოს ეგ წყალობა და გემსახუროსთ, მაგრამ მე და ელენე კი მაგით მაინც ვერ შეგირიგდებით!... ჩვენ ქალები ვართ: პატივმოყვარეობას იმდენად არ დავდევთ, რამდენადაც გულს ავყვებით ხოლმე!... თქვენმა ამდენი ხნის უნახაობამ გული გვატკინა!

ვალი. მზად გახლავარ, რომ საკანონო მოვიხადო! (თავს უკრავს)

კუდურ-ხანუმ. (ღიმილით) ვნახოთ! პირველი, ეს ჯერ, რომ უნდა მარტო დაგტოვოთ, რადგანაც ცოტა ხნით მეზობლისას უნდა გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდე და, თუ ნებას მომცემთ, ჩემ მაგიერ ელენეს გამოგიგზავნით ჩემს მოსვლამდის.

ვალი. თქვენი ნება იყოს!

კუდურ-ხანუმ. და თუ რამე დაიკარგა ამ ოჯახში, თქვენ უნდა მიზლოთ, რადგანაც თქვენ ორის მეტი ამ ოჯახში აღარავინ იქნება, ასე გასინჯეთ, რომ მოსამსახურეებიც აქეთ-იქით არიან გაგზავნილი.

ვალი. ბატონი ბრძანდებით!... მესმის!...

კუდურ-ხანუმ. (ეშმაკურის ღიმილით) მოითმინეთ! ეს კიდევ არა კმარა! რომ მე გული უფრო დამშვიდებული მექნეს, კარებს გარედან გადავიკეტ და დროებითად ჩემი ტყვე იქნებით!

ვალი. (ხელზე ჰკოცნის) რა გაეწყობა, ბატონიშვილო! მით უფრო, რომ ბევრჯერ ჩაგიგდივარ ამისთანა ტყვეობაში და არც ერთხელ სანანურად არ დამრჩენია.

კუდურ-ხანუმ. მშვიდობით! ელენე გიახლებათ!... შერიგდით, შერიგდით! თორემ, ვინ იცის, რა გამოვა შემდეგ... არ მოიწყინოთ უჩემოდ!

ვალი. (მარტო) რა დედაკაცია! ეს რომ ვაჟი ყოფილიყო, დიდებულ სულთანს ულვაშებს მოაპარსვინებდა!

ვალი და **ელენე** (შემოდის დაღონებული)

ვალი. ჩემ სიცოცხლე ელენეს ვახლავარ! როგორა ბრძანდებით? დეიდათქვენმა მიამბო თქვენი უქეიფობა და ძალიანაც...

ელენე. (მშვიდობიანად) ტყუილი მოუხსენებია!

ვალი. ვხედავ, გულდაკლებული ბრძანდებით ჩემზე, რომ ამდენი ხანია აღარ გამივლია, მაგრამ ჩემს უსირცხვილობას ნუ მიაწერთ. მიზეზი სულ სხვა იყო...

ელენე. დარწმუნდით, რომ ეგ ჩემთვის ერთი იყო! ჩემთვის არაოდეს არ ჰქონია მნიშვნელობა არც თქვენს მობრძანებას და არც წაბრძანებას.

ვალი. ვე! ახლა-კი ვხედავ, რომ მიჯავრდებით!... თუმცა უნებურად, მაგრამ დანაშაული კი გახლავარ, მაგრამ მიტევება თქვენი ვალია!

ელენე. თუ ინებებთ, რომ მართალი გაიგოთ, დანაშაული მე მაქვს თქვენთან და ბოდიშსაც მე ვითხოვ.

ვალი. თქვენ?

ელენე. დიახ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ სინიდისის წინააღმდეგ გექცეოდით.

ვალი. როგორ თუ?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. დეიდაჩემის შეგონებით ამოდენი ხანია თვალს გიხვევ-დით და გატყუებდით, თორემ არც მყვარებიხართ და არც მიყვარ-ხართ!

ვალი. მართალს ბრძანებთ? მაშ თქვენი ქცევა და სიტყვები?

ელენე. თვალთმაქცობა იყო, რომ ხელში ჩამეგდეთ ისე, რო-გორც დეიდა მირჩევდა.

ვალი. ჰმ! არა მჯერა ეგ არც თქვენგან და არც თქვენის დეი-დისაგან! და ან თქვენ როგორ შესძლებდით ისე ხანგრძლივ თვალთ-მაქცობას?

ელენე. არჩილის სიყვარულმა შემაძლებინა... რომელსაც ისე უსამართლოდ ალპობდით საპყრობილეში.

ვალი. არა ხუმრობთ?

ელენე. გარწმუნებთ!

ვალი. ჰმ... თორემ ეგრე?! განა არ იცით, რომ მე შემიძლია ისევ დავაჭერინო არჩილი და უარესი სატანჯველიც გაუწესო.

ელენე. ეგ თქვენი ნება არის... მაშინაც შევცდი, რომ თავი დავიმდაბლე და გთხოვეთ მისი გამოშვება.

ვალი. მერე და გეკადრებოდათ განა ჩემი მოტყუება და გა-კიცხვა?

ელენე. მეც ეგ მაწუხებს! მინდა შევინანო და მართალი შეგა-ტყობინეთ.

ვალი. (სიჩუმეა) ჰმ!.. ვწუხვარ! ვწუხვარ! მადლობა ღმერთს, ვეცდები, რომ მერე მაინც შეგაყვარო თავი!

ელენე. თავი შემაყვაროთ?

ვალი. დიახ! შერთვის შემდეგ.

ელენე. მე კი განა უსიყვარულოდ წავყვები ვისმეს?! არა, ეგ არ იქნება და ნურც იფიქრებთ.

ვალი. როგორ?! მაშ მე უნდა გაკიცხული დავრჩე?... მაშინ, რო-დესაც ქვეყანამ შეიტყო? არა, თქვენ, მგონია, მცდით!... ხუმრობთ... ან-და, სწორედ, მართალი მითხრა დეიდათქვენმა, გუნებაზე არა ხართ და მიზეზობთ.

ელენე. სტყუის დეიდა!

ვალი. არა, მართლა ამბობთ, რომ ჩემს ცოლობაზე ხელს იღებთ?

ელენე. როდის გქონდათ ხელი მოკიდებული?!...

ვალი. სიტყვა არ მომეცით?

ელენე. ხომ გითხარით მიზეზი.

ვალი. ეჰ, კარგია ერთი, თავი დაანებე მაგდენ ხუმრობას. (უახლოვ-დება, ელენე შორდება) როგორ დავიჯერო, რომ ჩემი სიყვარული თქვენ გაჰკიცხოთ. (მოხვევნას უპირებს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. (ხელს ჰკრავს) არ შეიძლება, რომ თავს პატივი დასდოთ, დამშვიდდეთ?

ვალი. განა, სიყვარულისაგან გაშმაგებულს, დამშვიდება შეძლია? (ხელს სტაცებს).

ელენე. (სასტიკად) ხელი!

ვალი. გვიანღა არის... ვეღარ წამიხვალთ! ჩემს ცოლობაზე ვეღარ აიღებთ ხელს.

ელენე. ვის უბედავთ მაგას? ვინა გგონივართ? ხელი! ხელი!... (გაეჭცივა და მივარდება კარებს) აჰ! ეს რა ამბავია?!... ეი! ვინა ხართ მანდა? კარი გამიღეთ, ეი! არ გესმით?!...

ვალი. (დაცინვით) აბა, რასა შფოთავთ? როგორ გეკადრებათ? განა არ იცოდით, რომ შინ არავინ არის?! უბრალო ყვირილით მაგ მშვენიერ ხმას ნუ გაიფუჭებთ! ვერავინ გაგიგონებსთ. რისა გეშინიათ? ჩემთან ხარ გალიაში, ჩემო გვრიტო! არა, სჯობია, რომ შენს ბედს დაემორჩილო! იცოდე, რომ სიკვდილამდე ჩემი ხარ!

ელენე. (აშფოთებით) რა გნებავსთ?!...

ვალი. ნუღა მეწინააღმდეგებით; იქ ნება სჯობს, სადაც ძალა აღარ გავა.

ელენე. განა მაგდენზედაც მიაწია დეიდაჩემმა?! ეგ ეკადრება თქვენს ხანს, თქვენს ღირსებას?

ვალი. მუ მინდა, რომ ცოლად შეგირთო, აქ რა არის უკადრისი? (მიიწევს).

ელენე. გაფიცებთ პატიოსნებას და ან რაც გეფიცებათ, მიმიღეთ მამაშვილურად და აიღეთ ჩემგან ხელი! დაიმშვიდეთ გული!...

ვალი. (მიუახლოვდება) გეფიცებით, რომ სიყვარულისაგან გრძნობადაკარგული ვარ და კიდეც უნდა დავამტკიცო, რომ ჩემი იქნები და არა სხვისი! მე ამ შემთხვევას ვერ დავკარგავ!

ელენე. ოჰ, ღმერთო ჩემო! (ჩამოჯდება დივანზე და თვალებზე ხელს მიიფარებს).

ვალი. ჩემი სიყვარული განა ხუმრობა გეგონა? დამათვრე ალერსით... გამაგიჟე... ცეცხლი მომიკიდე სიყვარულით და ახლა გინდა გაკიცხული დამაგდო? არა! ვფიცავ ღმერთს, რომ შენს თავს, არა თუ ქვეყნიური, ზეციური ძალებიც ვერ დამათმობინებენ! არ იცი, რომ სიყვარული სნეულება და სიგიჟეა?... ჩემი სიყვარული უზომოა!... სიცოცხლეს კი დავთმობ და შენ კი ვერა... ვერ შეგელევი... ვერავის დავუთმობ შენს თავს უსიკვდილოდ... ჩემო ბედნიერებავ! ჩემო ხვედრო! ჩემო სიცოცხლევ: ნუ მეკრძალვი, ნუ მერიდები!... მომენდვე და ჩემსავით სხვა ვერავინ დაგაფასებს, ვერ შეგიყვარებს! რათა სტირი? ნუ იფარებ მაგ მშვენიერ სახეზე ხელებს! ნუ! ნუ! (ხელებს მოახსნევინებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

ვალი. ااا!!!

ელენე. შენ კი გენაცვალოს ელენე! განაგრძე, განაგრძე ეგ ალერსიანი სიტყვები! მაგის გაგონება არ მოყირჭდება შენს ელენეს!... აქამდის ეჭვი მქონდა და არც დეიდას ვუჯეროდი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ გყვარებივარ!... სხვებსავით განსაკიცხავად არ გნდომებივარ: თუ არ ნამდვილი სიყვარული, ეგრე სხვა ვერაფერი გააჩატებდა შენისთანა დარბაისელს, ჩემო სიცოცხლევ! გცდიდი და ნუ გეწყინება, ჩემო საყვარელო! ქალები ეჭვიანები ვართ (ეხვევა).

ვალი. (აღტაცებაში მოსული) მცდიდი?! მე კი გულზე გამხეთქე და!... ელენევ, დაუსაბამოს გეფიცები, რომ შენის სიყვარულით დაბრმავებული ვარ, შენი მონა ვარ და ვიქნები. რას მეტყვი, რომ არ აგისრულო?!

ელენე. მართლა? მაშ ჯერჯერობით ახლა გული დაიმშვიდე და დამიმტკიცე, რომ მართლა ცოლად გინდებვარ და არა...

ვალი. მზადა ვარ, ჩემო მშვენიერებავ!

ელენე. მაშ ახლა დამანებე თავი! სიტყვას გაძლევ, რომ შეგირთო!

ვალი. რომ მიღალატო?

ელენე. არა.

ვალი. მაშ შემომფიცე! რას გაჩუმდი!?. ااا!... კიდევ გინდა მომატყუო?

ელენე. ახლა ისე მოულოდნელად მომექეცით, რომ არ შემიძლია, რამე გადავწყვიტო.

ვალი. ჰაა! მაშ კიდევ გინდოდა მოგეტყუებიეთ?... წავიდე... და რა დამტკიცებას მატან, რომ მერე აღარ მიღალატებ? არა, უნდა დამნებდე!... (ეჭიდება).

ელენე. მაშ კარგი! ასე ნდომებია ჩემთვის ბედს!... შემომფიცე, რომ მერე აღარ აიღებ ხელს ჩემს ქმრობაზე!

ვალი. ღმერთი იყოს თავდები!

ელენე. მაშ ვენდობი შენს სინიდისსა და, თუ მომატყუო, მაღალმა ღმერთმა გკითხოს საიქიოს... კარგი! შემობრძანდით! (შეიჭრება საწოლ ოთახში).

ვალი. აი, დედაკაცი! მოდი და იცანი! რაც უნდა გამაგრდეს, ბოლოს მაინც ის არის.

ელენე. (ოთახიდან) ახლა კი მზადა ვარ! სირცხვილს სიკვდილი სჯობია, მაგრამ იეფად კი არ დაგიჯდება ჩემი სიკვდილი (გამოდის).

ვალი. (შეშინებით) რას აპირობთ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. შენს სიკვდილს. (მიაღერს ხანჯალს) გეგონა, რომ ჩემზედაც ისე ინადირებდი, როგორც სხვებზე გინადირნია ამ ოჯახში? ახლა კი გეყოფა ამდენი გარყვნილება! (დაუპირებს ხანჯლის ჩეკვრას)

ვალი. რას შვრებით! რას შვრებით! გაგიჟდით? (გარბის და ელენეც მისდევს)

ელენე. არა, შენი აღსასრულის დღეც მოვიდა!

ვალი. ვაიმე! მიშველეთ! ეი! ეი! კარი გამიღეთ! არავინა ხართ? მიშველეთ! (სკამით იგერიებს)

ელენე. (შუაგულზე დგება და ხარხარებს) აჰა, გადატრიალდა ჩარხი! ახლა ჩემ ხელშია ძალა! რატომ აღარ დამცინი? მაშ ნუღარც შენ ელი შებრალებას! ტყვილა ნუ შეოთავ, ჩემო ძლიერო მიმინო! შინ არავინ არის, ვერავინ გაგიგონებს... ხმას რათ იღალავ?! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

ვალი. მიშველეთ! (აწვება კარებს).

ელენე. ეს რა მემართება?!... აჰ! ეს რა ამბავია? (ხანჯალს აგდებს ხელიდან, გულზე იდებს ხელს და ჯდება) ამას ვისა ვხედავ? არჩილ? (მისჩერებია ვალის) ოჰ, შენა ხარ, ჩემო სიცოცხლევ? რა კარგ დროს მომესწარ!... მოდი მალე!... მოდი!

ვალი. (სულელივით მისჩერებია) ვაჰ! ეს რა ამბავია?!

ელენე. (ხელებს უშვერს) მოდი, ჩემო ბედნიერებავ! მოდი, მოგეხვიო! არ იცი რომ სიკვდილამდე შენი ვარ?! სხვას ვისღა ავირჩევდი? წამიყვანე აქედან შენთან! შენთან ერთად, ჩემო ნუკეშო! მალე! მალე! ამ გარყვნილი ოჯახიდან.

ვალი. ვაჰ! კიდევ ხუმრობდა?! მე-კი საუკუნოდ დამიკარგა სიყვარულის სურვილი და!... (მიუახლოვდება და ელენე წამოვარდება და გულზე ეკვრის).

ელენე. წამიყვანე აქედან... ნუ დამტოვებ! ოჰ, ოჰ, ოჰ, რა ბედნიერი ვარ! (შეჰყავს მეორე ოთახში) შენ გენაცვალოს ელენე, ჩემო სიცოცხლევ... ჩემო! ჩემ...

მერვე გამოსვლა

არჩილ (შემოდის სიჩქარით).

არჩილ. ეს რა ამბავია? კარები გარედან გადუკეტიათ! აქ რაღაც ხმაურობა იყო და კი არავინა სჩანს! (დაინახავს ხანჯალს) აჰ, ეს რაღა არის?... ამას რა უნდა აქა?! (იხედება აქეთ-იქით. მეორე ოთახში შეიხედავს) ააა! ღმერთო ჩემო!! ამას რასა ვხედავ? (გამობრუნდება) თურმე ხალხის ხმა აკი მართალი ყოფილა! ახლა კი მჯერა, თუ თვალები არ მატყუებენ, აჰ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენეს ხმა. არჩილ, შენ გენაცვალე, ჩემო სიცოცხლევ! ნამიყვანე... ნუ დამტოვებ, არჩილ!...

არჩილ. (შეკრთება) აჰ, არჩილო? მე მეძახის? აქ უთუოდ რალაც ამბავია! კარგად ვერ შევხედე! ძალადობა! ააა... ახლა კი (გაეჭანება ხანჯლით, შეიხედავს და ისევ შეჩერდება. გამობრუნდება) არა, არა!.., დამცინის! დამცინის! ჰმ!... ჰმ!... აქ ძალადობა აღარ ყოფილა!... ეხვევა, კოცნის, ესიყვარულება!... და მაშ მე რა ნება მაქვს?... ვინა ვარ, რომ იმათ ტრფიალს ხელი შევუშალო?! ჰე! ახლა კი მშვიდობით! მე აქ დასადგომი პირი აღარა მაქვს, სადაც ტანჯვის მეტი არა მინახავსრა და სადაც დღეს უკანასკნელი ოცნებაც კი მეშამლება! მშვიდობით! ქვეყანა განიერია! (დააგდებს ხანჯალს და გარბის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე მოქმედება

სცენა: ღარიბი ოთახი ფლიგელში

პირველი გამოსვლა

(ექიმი ათავებს წერას და მერე ზარს აწკარუნებს. ხათუნია შემოდის მეორე ოთახიდან).

ექიმი. გამოიღვიძა?

ხათუნია. არა, ბატონო! ჯერ კიდევ არა!... ძილის გუდად გახლავს მიგდებული... ზარბაზანიც ვერ გამოაღვიძებს.

ექიმი. ჰმ!

ხათუნია. ან-კი რა გასაკვირველი გახლავსთ, რომ წუხელ მთელი ღამე მის თვალს რული არ მოჰკიდებია, ისე შფოთავდა.

ექიმი. ეგება გააჯავრეთ?... ან აწყენინეთ როგორმე?...

ხათუნია. არა, ბატონო!... რა ბრძანებაა?!

ექიმი. სასმელ-საჭმელს ხომ არაფერს უკრძალავთ?

ხათუნია. რაღაი თქვენ ბრძანეთ, ვინღა მოუშლიდა!

ექიმი. კარგი გიქნიათ... რაც აიჩემოს, შეძლებისადაგვარად აუსრულეთ ხოლმე! იმას აწი აღარაფერი აწყენს.

ხათუნია. კი, ბატონო, მაგრამ ეს ორი დღეა, რაც მისთანას აღარას თხოულობს.

ექიმი. მაშ წუხელი რაღა აშფოთებდა?!... ხომ არა სტკიოდა რა?

ხათუნია. არა, ბატონო! რაღაი არჩილის დაბრუნება გაიგო და თქვენი პასუხიც მოუვიდა, გუნება ეცვალა: ისე გახდა, რომ ჭკუაშეშლილს დაემსგავსა. ხან თუ ბავშვივით ატყდებოდა ხოლმე, რომ „კიდევ ვთხოვ ჩემს არჩილსაო“... მერე ისევ მოიწყენდა და მოჰყვებოდა ხოლმე ტირილს: „ნახვით ვნახავ, მაგრამ მე რომ კი ისევ ადრინდულად ველარ დავუხვდებიო?“ ჩვენ, რაც შეგვეძლო, დავაკავეთ, მაგრამ ვერა გავაწყეთ რა... ისე იშფოთა მთელი ღამე.

ექიმი. ხველა-ღარა ჰქონია?

ხათუნია. ხანდახან! გათენებისას კი მოიხედა: დამშვიდდა... საჩქაროდ ხელ-პირი დაიბანა, მოირთო-მოიკაზმა, ერთი სტაქანი ჩაიც დალია და ლოყებიც ისე წამოუწითლდა, რომ გეგონებოდათ, მის დღეშიაც არა სტკენია რაო... გაიარ-გამოიარა: მიეყრდნო მუთაქაზე და თვალები კი კარებისაკენ ეჭირა, სანამ არ დაეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი. ჰმ!... იყოს!... ნუ გააღვიძებთ!

(ხმა კარების უკანიდან) რას დაგდებულხარ აქ, შე სულწაწყმედილო, ნაგაზივით რა ფეხებში ებორძიკები გამვლელს და გამომვლელს? კინალამ დამცი... წაეთერი აქედან!... ნუ აგდიხარ აქა!...

მეოთხე გამოსვლა

იგინივე და ჯამალ-მოურავი (შემოდის, ხანჯალზე ხელს დაიბჯენს, გაჩერდება და ისე შეჰყურებს ექიმს, რომელიც უცდის. ჯამალ მხოლოდ ახველებს)

ექიმი. რა გნებავსთ?

ჯამალ. თქვენი კარგად ყოფნა, შენი ჭირიმე!

ექიმი. გმადლობთ!—ჩვენ კარგად გახლავართ!...

ჯამალ. ისემც კარგი დაგემართოსთ და ღმერთმა ნუ მოგიშალოსთ!... (შესჩერებიან ერთმანეთს)

ექიმი. ბატონო, მეტს აღარას გვიბრძანებთ?

ჯამალ. თვითონ ბატონო და თვითონ გვიბრძანებთ, შენი ჭირიმე!

ექიმი. რა გნებავსთ?

ჯამალ. მე არაფერი, შენი ჭირიმე.

ექიმი. მაშ! ისე დასახედავად მობრძანდით?

ჯამალ. არა, შენი ჭირიმე! ბატონმა გაახლათ ჩემი თავი.

ექიმი. ვინ ბატონია?

ჯამალ. ქალბატონი... კუდურ-ხანუმი, ბატონო.

ექიმი. რაო?

ჯამალ. (ახველებს) მოგახსენათ, შენი ჭირიმე: თქვენ არ შეგაწუხებდითო, მაგრამ ჩვენი ექიმი ვალის გაჭყოლია სადღაცაო და სხვა ექიმი კი თქვენს მეტი ხელად აღარავინ დაგვრჩაო...

ექიმი. რა მინდაო?

ჯამალ. თამარ გახლავსთ ცოტა უქეიფოდ და...

ექიმი. რა ემიზეზება?

ჯამალ. ცოტა თავის ტკივილი აჰყვა და გუნებაზედაც ვერ გახლავსთ.

ექიმი. გუნებანაქცევად ხომ არ არის?

ჯამალ. ჰმ! თქვე დალოცვილო!!

ექიმი. არა უშავს-რა! ძილი დააკლდებოდა. მოახსენე, რომ ჯერ არა მცალია; მძიმე ავადმყოფი მყავს და იმას ვუცდი-თქო.

ჯამალ. ეწყინება, შენი ჭირიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი. მოახსენე, რაც გითხარი!

ჯამალ. იჰ, არ ივარგებს, შენი ჭირიმე: ბატონიშვილი გაჯავრდება.

ექიმი. ცივ წყალში დაასველოს ხელსახოცი და თავზე შემოიდვას! არგებს ტკივილს!

ჯამალ. თქვენ კი არ წამობრძანდებით?

ექიმი. არა მცალია! ვერ გაიგე?!

ჯამალ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ჰო, ბატონო! (მიდის. კარებს უკან მისი ხმა) აქავე ხარ?! აქავე ხარ, შე ქოფაქო?! ვერ გაიგე, რაც გითხრეს? აეთერ აქედან! აქ ნუ აგდიხარ!...

ესმას ხმა. არა, აქ უნდა მოვიკლა ჩემი თავი, აქ უნდა ამომხდეს სული და კი არსად წავალ.

ჯამალის ხმა. ქალბატონის ბრძანებაა, რომ სულ ფეხის თრევით წაგიღონ აქედან.

ესმას ხმა. მე აქ ვეგდო ჩემთვის, ვის რას ვუშავებ? თქვე ულმერთოებო! თქვე სასიკვდილოებო!! ისემც დაიმხოს და ამოვარდეს თქვენი ოჯახი, როგორც ჩემი ელენეს გულ-ღვიძლი თქვენ ამოჭამეთ. ღვთის რისხვებო, თქვენა!...

ექიმი. რა ამბავია? ვის ეჩხუბებიან?

ხათუნია. არავის, ბატონო! მოურავი უჯავრდება გადიას: ნებას არ აძლევს, რომ კარებთან იწვეს.

ექიმი. ვინ გადია?

ხათუნია. ელენეს გამდელი გახლავსთ!... აქ ალარ უშვებენ ელენესთან, და კარებთან ზის... ალარ შორდება.

ექიმი. რატომ არ უშვებენ? ელენეს არა ჰსურს?

ხათუნია. არა, ბატონო! ელენემ ორჯერ-სამჯერ კიდევაც მოიკითხა, მაგრამ ასე მოვახსენეთ, რომ გადია სოფელში წავიდა და ჯერ არ დაბრუნებულა-თქო.

ექიმი. მაშ რათ აუკრძალეს აქ შემოსვლა?

ხათუნია. ქალბატონი გაწყრება.

ექიმი. რათა?

ხათუნია. მიტომ, ბატონო, რომ ამას წინეთ წასულიყო სალოცავზე, დაეგრიხა წმინდა სანთელი და ისე სახალხოდ გადაეცა ქალბატონი, რომ ჩემი ელენე იმან მომიკლა, იმის ბარობით დამისნეულდაო.

ექიმი. მაგის მეტი ხო არა დაუშავებია-რა?

ხათუნია. არა, ბატონო!

ექიმი. ელენეს ხომ არ ეწყინება, რომ შევიდეს ხოლმე იმასთან?

ხათუნია. როგორ ეწყინება?... მისი გაზრდილია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი. მაშ კარგი, უთხარი, შემოვიდეს. ექიმი გიბრძანებს-თქო. (ხათუნია გადის)

გადია. (დაგლეჯილი ტანისამოსით, ფეხშიშველი შემოვარდება გიჟივით და ექიმს ეხვევა მუხლებზე) ამას კი ვენაცვალე! ამას კი შემოვევლე თავს! ამის ჭირიმე!

ექიმი. რა ამბავია? რა გატირებს, გამდელო?

გადია. უიმე! როგორ თუ რა მატირებს? რალა სასაცინო პირი მაქვს, შენ კი გენაცვალე? ჩემს ელენეს დღე ელევა, მე კი თვალითაც ალარ უნდათ მიჩვენონ.

ექიმი. ვის შეუძლია, რომ დაგიშალოს?

გადია. უიმე! ვის არ შეუძლია? ვინ არის, რომ მე ძაღლივით არ მიტატანებდეს? ამ ოჯახში დღეს ყველასაგან გასაკიცხავი და სათრევი შევიქენი... აქამდის კი ყოველიფერი მე ვიყავი... უკანასკნელი წიწილებიც კი მე დამიზრდია, მაგრამ მე ჩემს თავს როგორლა ვინალვლი, რომ ჩემი მშვენიერი ელენე ისე გამიუპატიურეს! მომიკლეს! მომიკლეს! შეულოცეს!... გული და ღვიძლი ამოუჭამეს!... ცოცხლად გამილალეს! ზეზეულად დამიდნეს. იმას კი ვენაცვალე... იმას კი შემოვევლე!...

ექიმი. კარგია, კარგი! ახლა რა გინდა? რა გსურს?

გადია. მინდა, რომ ერთი შემოვევლო თავს და მისი ჭირი მე წავიღო.

ექიმი. მეტი არაფერი?

გადია. ცოტა ხანს ფეხთით დავუჯდები, თუ ნებას მომცემთ, იმას კი ვენაცვალე, ფეხზე ხელს წავუსვამ... ბუზებს მოვუგერებ, იმისი ჭირიმე!...

ექიმი. ეგენი არც ერთი საჭირო არ არის! ისე-კი შეგიძლია შეხვიდე და იქ იყო. არ გამოაღვიძო კი!

გადია. უიმე! არა, შენი ჭირიმე... არა!

ექიმი. ტირილს ნუ მოჭყვები, თორემ გამოაღვიძებ!

გადია. არა, გენაცვალე! სულს გავნაბავ... ხმას გავიკმენდ... გავჭკვავდები, ოღონდ კი იმას ვუყურო, იმას კი შემოვევლე!..

ექიმი. მაშ კარგი!... წაიყვანე გოგო და შედი ელენეს ოთახში. (ვადიან)

გადია. (გამობრუნდება) თავს რომ შემოვევლო და შევულოცო, ხომ არ გამიჯავრდებით? თქვენს წამლობას ხომ არას აწყენს?

ექიმი. არა, არა! შეგიძლია, მაგრამ არ გამოაღვიძო კი როგორმე.

გადია. არა, ამისი ჭირიმე! ამას კი ვენაცვალე (ხელებზე ჭოცნის. შედიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი. (მარტო) საბრალო! სრული დარწმუნებულია, რომ, თავს თუ შემოევლო და შეულოცა, ფეხზე წამოაყენებს! მეტი აღარ უნდა! ჰე!... გამდელსაც პატივი ახდია!... ანგარიში... ყველგან ანგარიში!!... სხვა ვალი და სხვა ლამაზი! სხვა მიმინო და სხვა ჩიტი!! წავიდა ძველი ვალი და გათავდა ელენობაც. მოვიდა ახალი ვალი და შეიქნა ისევ თამარობა!... ქვეყანა ჩარხია! ტრიალებს! თამარ ახლა სასახლეს ამშვენებს და ელენე კი აქ ფლიგელში გდია ყველასაგან მიტოვებული და დავიწყებული, ვილას რალად უნდა?... მისი დრო წავიდა, აღარ მობრუნდება! მოკვდება და გულის შემატკივარიც არავინა ჰყავს!... (არჩილ შემოდის) ააა! კარგ დროს მოხვედი! ეხლა შენზედა ვფიქრობდი.

არჩილ. გამარჯობა! ჩემზე ფიქრობდი?

ექიმი. დიახ, მაგრამ დაიგვიანე! აკი თორმეტ საათზე მოვალო?...

არჩილ. (იქით-აქეთ იხედება. ჯდება) ჰმ!..

ექიმი. რაო? ვის ათვალიერებ? ჯერ ვერა ჰნახავ! სძინავს.

არჩილ. (სიჩუმის შემდეგ) კინალამ სასახლეში შევედი! როგორ მოვიფიქრებდი, რომ ერთს დროს სასახლის სამკაულს დღეს სამოახლოში გადმოიტანდენ... სძინავს?... დღეს როგორღა არის?

ექიმი. ჯერ არ მინახავს... ამბობენ, რომ მოხედვით არისო, მაგრამ...

არჩილ. მაგრამ?!

ექიმი. განა არ იცი?... გუშინ არ გითხარ?!... მოიხედავს თუ არა, ერთია: დიდი ხნის სიცოცხლე მაინც აღარა აქვს! კარგი ჰქენი, რომ მოხვედი სანახავად და გულში არ ჩაარჩინე...

არჩილ. სრულ გრძნობაშია?

ექიმი. რასაკვირველია. ეს იმისთანა სნეულებაა!... (სიჩუმე) პაპიროსს არ მოსწევ?... რა გემართება, ხელი გიკრთის? ავად ხომ არა ხარ?

არჩილ. არაფერია! წუხელის არ მძინებია და...

ექიმი. თვალებიც გემღვრევა? ეჰ! ვინ შენ და ვინ ეგეები? გაგულჩვილებულხარ!

არჩილ. ყველას თავისი დრო აქვს და ადგილი: სიხარულსაც და მწუხარებასაც.

ექიმი. მესმის!... მესმის!... სჩანს, რომ სიყვარული ისევ გიტრიალებს გულში!... ვერც დროსა და ვერც სიშორეს ვერ გამოუნელებია.

არჩილ. მე რომ არ გითხრა, განა თვითონ კი ვერ მიჰხვდები?! გამომნელდა კი არა, იმ დიდ სიყვარულს დღეს სიბრალულიც ზე დაერთო და ის მიწუხებს გულს.

ექიმი. არ გამტყუნებ! უნდა გამოგიტყდე, რომ ელენე ყოველთვის საყვარელი ადამიანი იყო და არის!... შეუცდომელი ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ არის და არც შენ უნდა მიგეტეხა ისე ჩხირი და არ უნდა გადაკარგულიყავ; მით უფრო, რომ, როგორც თვითონვე ამბობ, სიყვარული არ გაგქრობია!... ეჰ, რაც მოხდა, მოხდა, რაღა გაეწყობა!... განა სხვებს კი არ დაჰკარგვიათ სატრფო?

არჩილ. ჩემსავით?...

ექიმი. შენ რაო, ვითომ?

არჩილ. ის, რომ მაშინ ის ელენე დავკარგე და მომიკვდა, რომელიც სულს უყვარდა და სწამდა ამ დროის ქართველი ქალის იდეალად, და დღეს ისიც კი ჰქრება, რომელიც მხოლოდ გულს შერჩა, როგორც ქალი მარტივად... ჩემი მწუხარება ორკეცია! ჰე, რა გაეწყობა! რა გაეწყობა! რა გამოვა, რომ ვიჩივლო?!

ექიმი. ეგ არი!

მესამე გამოსვლა

ისინივე და **ხათუნია.**

ხათუნია. ელენემ გამოიღვიძა და გამოსვლას ნდომულობს... შეიძლება გამოვიყვანოთ?

ექიმი. ხომ არ გითქვამსთ არჩილის აქ ყოფნა?

ხათუნია. არა, ბატონო, ჩვენ არც კი გვცოდნია!

ექიმი. მაშ, კარგი! არაფერი უთხრათ! ჩემი კი მოახსენეთ, რომ გიცდის თქო! კარგ გუნებაზე წამოდგა?

ხათუნია. უკეთესი აღარ შეიძლება! გადიას ნახვაც იამა. (მიდის)

ექიმი. მეშინია: ვაი თუ უცბად შენს დახახვაზე ნამეტანმა აღელვებამ აწყინოს!... არ შეიძლება, რომ ცოტა ხნით გახვიდე ამ ოთახიდან? აი, იქ შედი, იმ ოთახში, სანამ არ დაგიძახო!

არჩილ. ბატონი ხარ! (გადის ნელ-ნელა)

ექიმი და **ელენე** (გამოჰყავთ გადიასა და ხათუნიას ხელმოკიდებული და დივანზე აწვენენ)

ექიმი. (მიუახლოვდება) როგორ ბრძანდებით, ელენე? ხომ კარგად გეძინათ?

ელენე. ოჰ, დილა მშვიდობისა, დოქტორო! დიდი ხანია აქა ხართ? უკაცრავად, რომ გაცდევინეთ! დღეს ძალიანაც კარგადა ვარ.

ექიმი. ღვთით თანდათან უკეთესობაში შეხვალთ, რომ გაზაფხულდება.

ელენე. (ნაღვლიანის ღიმილით) ჰო! იმედი მაქვს, რომ მანამდის მოვრჩე!... კარგია, ექიმო, ნუგეში, მაგრამ მისთანასთვის, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯერა, როცა ატყუებენ... განა მე თვითონ ვერ ვატყობ ჩემს თავს?!... მაგრამ ისიც კარგი ღვთის წყალობაა, რომ ჯერ კიდევ კარგადა ვარ... დოქტორო! დღეს აღარ გინახავსთ? თითქო მოსვლას აპირებდა?

ექიმი. უთუოდ მოვა, მაგრამ მე კი მეშინია თქვენი! ვაი თუ ვერ აიტანოთ და...

ელენე. რა ვერ ავიტანო?

ექიმი. ვაი-თუ აღელდეთ მის დანახვაზე, და არ გარგებსთ.

ელენე. სიტყვას გაძლევთ, რომ თავი შევიმაგრო. მაგრამ ეს კი მითხარი: კიდევა აქვს ჩემი ხსოვნა? ნებით მოინდომა ჩემი ნახვა, თუ თქვენ შეაბრალეთ ჩემი თავი?

ექიმი. გარწმუნებთ, რომ თქვენს სიყვარულს მოჰყავს. მისი დაბრუნების მიზეზი თქვენს გარდა სხვა არა ყოფილა-რა... მაგრამ ახლავე რომ შფოთავთ, მერე რაღა იქნება... როგორ მოვიყვანო?!

ელენე. არა... არა მიშავს-რა!... არ ავშფოთდები, ოღონდ კიდამენახოს...

ექიმი. მაშ, კარგი! დიდი ხანია, ისიც აქ გიცდის! არჩილ! არჩილ! (არჩილი შემოდის და მიიწევს ელენესკენ ძალდატანებულის ღიმილით) მადლობა ღმერ...

ელენე. (შეჰკივლებს და წამოვარდნას დააპირებს) არჩილ!...

არჩილ. (მივარდება) ელენე!...

ელენე. კიდევ შენა გხედავ?! არჩილ, შენა ხარ? (უნდა რომ მოეხვიოს და ბოლოს ვითომც ხელსა ჰკრავს) არა, არა!... მე შენი ელენე აღარ ვარ!... დამავიწყდა, რომ... ის ელენე!.. ის... (დაიწყებს ტირილს და ხველას)

ექიმი. არ გითხარით?! განა მაგას ჰქვიან თავის შემაგრება?... წყალი, წყალი! რა ყმაწვილობა არის?! ხომ იცით, რომ გაწყენსთ ეგ აღტაცება და აღელვება? (ხათუნიას მოაქვს სტაქნით წყალი)

ელენე. (სვამს) დოქტორო, ეს ცრემლები გულს მიმძიმებდენ... დიდხანს მეგუბენ ნაღვლად. ადრე თუ გვიან უნდა გადმონთხეულიყვნენ... აი, ახლა უკვდა ვარ. (სცდილობს, რომ გაიღიმოს)

არჩილ. ელენე! განა მაგრე უნდა შეხვდენ ერთმანეთს დიდი ხნის უნახავი მოყვრები? ნუთუ ჩვენი ძველი მეგობრობიდან აღარა დარჩენილა-რა, რომ სიახლოვესაც აღარ მიკარებ?

ელენე. ეგ თქვენ უნდა გკითხოთ და ჩემგან კი განა სხვაგვარი შეყრა მოითხოვება თქვენი ბარათის შემდეგ?

არჩილ. გულისწყრომის დროს ნამოქმედარი სასაყვედურო არა-არის-რა! მართალია, იმ გახურვებულ გულზე გზიდან მოგწერე ცხარე წერილი, მაგრამ მერმე კი შევინანე და იმ შენანებას შენც მიხვდებოდი შემდეგის წერილებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. როგორ თუ შემდეგის? განა იმ გულსაკლავი ბარათის გარდა სხვებიც მომწერე?

არჩილ. რამოდენჯერმე, და არც ერთხელ კი პასუხი აღარ მიმიღია.

ელენე. მართლა?

არჩილ. ელენე, განა არ იცი, რომ, ვინც უყვართ და ვისაც პატივსა სცემენ, არ მოატყუებენ?

ელენე. ჩემმა ბარათებმა მაინც ვეღარ მიგახვედრეს, რომ შენი წიგნები არ მომსვლია?

არჩილ. საქმეც ის არის, რომ მეც არ მომდიოდა! სჩანს, რომ სასტიკი ცენზორი გვყოლია ორივეს!... აქაც დეიდაშენის მანქანებას უმუშავნია, ეტყობა.

ელენე. რასა მწერდი?

არჩილ. განა არ იცი! რას მოიწერებოდა მეგობარი? (სიჩუმე)

ელენე. არჩილ! ვიცი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარა მაქვს. ამას შენც კარგად ჰხედავ და გებრალები... მაგრამ შებრალებით ნუ მეტყვი, როგორც შენს სინიდისს ეკადრებოდეს, ისე მითხარ პირდაპირ, დაუფარავად: კიდევ გიყვარვარ?

არჩილ. გარწმუნებთ!

ელენე. ადრინდულად?

არჩილ. სიყვარულით? თუ არ მეტად, ნაკლებ არა!

ელენე. სიყვარულითო? ჰმ! პატივისცემაც ძველებურად გაქვს?

არჩილ. (ყოყმობს) რა დროს მაგაებზე ლაპარაკია?... მიყვარხარ და...

ელენე. არა, პატივისცემა ისევ ადრინდული გაქვს? ჰაა? რას გაჩუმდი! მითხარ და გაათავე!... მივხვდი... მივხვდი, რასაც გრძნობს შენი პატიოსანი გული! (გაჩუმდება) გმადლობ, არჩილ, რომ არას მეუბნები. „ვინც უყვართ და ვისიც პატივისცემა აქვსთო, იმას ტყუილს არ ეტყვიანო“ განა? (ხელს უშვერს) გმადლობ! სჩანს, ჩემი პატივისცემა კიდევ შეგრჩენია... მადლობა ღმერთს, ახლა კი შემიძლია, რომ ისევ გულგახსნით მოგელაპარაკო ბევრს რამეზე. (ახველებს)

ექიმი. კმარა! ეგ აღელვება ძნელია თქვენთვის, თორემ მაგდენს ვეღარ აიტანთ! ცოტა შეისვენეთ! განა შემდგომში ვეღარ მოესწრებით ერთმანეთთან საუბარს?

არჩილ. ელენე, გეთაყვა, ახლა მაგის დრო არ არის. განა მერე ვეღარ მოვესწრებით? სულ ერთად არ ვიქნებით?!

ელენე. არა, სანამ ჩემს აღსარებას არ გეტყვი, მოსვენება არ შემიძლია! დატვირთულია ჩემი გული და ვეღარ შეიძლებს სიმძიმის ატანას, თუ ეხლავ არ გავხსენი გული და არ შევიმსუბუქე ის ტვირთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი. ცოტა მაინც შეისვენეთ, თორემ ვერ აიტანთ: მეტად დასუსტდით და...

ელენე. არა მიშავს რა!

არჩილ. მართლა, შეისვენე ცოტა! დამშვიდდი და მერე...

ელენე. არა, არა! ან ახლა და ან აღარაოდეს: (ახველებს) რაი შენ მომშორდი, მის შემდეგ ბევრი უსამართლო გაკიცხვა, დევნა და ტანჯვა მოვითმინე... ბევრი რამ იჭორეს ჩემზე, მაგრამ ხმას არავის ვცემდი: ჩემთვის ერთი იყო, ვისაც რა უნდა ეთქვა. მათთან თავის გამართლება ჩემი თავის დამდაბლება იქნებოდა. მხოლოდ შენ იყავი ერთი, ვისთვისაც უნდა გამეხსნა გული, მაგრამ შენც შორს მეგულებოდი და მეგულებოდი გულგრილადაც ჩემზე. ახლა კი, რაღაი ბედმა ისევ შეგვყარა, ამთავითვე უნდა გიამბო ყოველიფერი.

ექიმი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (გადიას და ხათუნიას) აქ, მგონი, აღარც თქვენ იყოთ საჭირო.

ელენე. არა, დოქტორო! მე თქვენ გთხოვთ, რომ დარჩეთ. მისთანა საიდუმლო არა მაქვს-რა, რომ სახალხოდ მისი გამოთქმა შემრცხვეს. მე მსურს, რომ თქვენც აქ დაგვესწროთ!..

ექიმი. (ჯდება) თქვენი ნებაა!

ელენე. წყალი მომეცით! (სვამს)

არჩილ. მაშ, რადგანაც აღარ იშლი, ჯერ მე გიამბობ ჩემ თავგადასავალს, ჩემს მოგზაურობას... მანამდის შენც შეისვენებ და მერე უფრო კარგად იტყვი, ჩემო ელენე!

ელენე. არა, არა! არა მიჭირს-რა!... (აშფოთებული ამბობს და თან ახველებს)

ექიმი. მე გთხოვთ, რომ ცოტა შეისვენოთ!

არჩილ. მართლა, რა ჟინია? რა სულწასულობაა!... ხომ არსად მივდივართ?!

ელენე. ვიცი! ვიცი! აი, ახლა კარგადა ვარ. აი, ხომ ხედავთ, არა მიჭირს რა! დამშვიდებული ვარ... (ახველებს). გახსოვს ის შავი დღე, როდესაც შენ თვალები ამიხილე და მომშორდი?... შენს შემდეგ ბევრი ხანი აღარ გასულა, გაჩნდა ვალი. მე მივედი და ყველაფერი ვუთხარი, რაც გულში მქონდა, დაუფარავად... განრისხებულმა ვალმა ჩემზე ძალა მოინდომა. მაშინ მომაგონდა შენი სიტყვები... მივხვდი და გაქცევა დავაპირე... თურმე დეიდაჩემის ჩვეულებრივ ვერაგობას თადარიგი მიეღო: კარები გარედან გადაეკეტა და მოსამსახურეებიც აქეთ-იქით გაეგზავნა. (ახველებს) დავრჩით მარტო ვალთან ერთად, ოთახში დამწყვდეული, როგორც ჩიტი გალიაში. ოჰ, რო იცოდე, თუ რა მდგომარეობაში ვიყავი და რა მემართებოდა!.. არც რჩევა, არც ვედრება, არც მუქარა, არც ფიცი და არც მოტყუება არ გამივიდა იმ ბინძურთან (ახველებს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი. ცოტა შეისვენეთ!

არჩილ. ვიცი! ვიცი! სხვა რამეზე ვიმუსაიფოთ!... ახლა მაგის დრო არ არის!...

ელენე. მომითმინეთ! ერთიღა საშუალება დამრჩა და ბოლოს იმას მივმართე: შევვარდი ჩემ საწოლ ოთახში, სადაც ხანჯალი მეგულებოდა, დავატანე იმას ხელი და მოვინდომე გამხეცებული ვალის მოკვლა... მაგრამ, მეც რომ მის მოკვლის შემდეგ სატანჯველში არ ჩამეგდო თავი, წინდაწინ საწამლავი დავლიე...

ექიმი. საწამლავი?!

არჩილ. საწამლავი?!

ელენე. დიახ!.. ხანჯალი რომ დაინახა იმ გარყვნილმა, გაქცევა დააპირა, მაგრამ, ვაი რომ კარები იმასაც ჩემსავით დაკეტილი დაურჩა... მაშინ გული მირჩევდა, რომ მომეკლა, მაგრამ მიუჩვეველი ხელი კი აგვიანებდა. ამასობაში მეც რაღაც უცნაური გრძნობა მომაწვა გულზე: სურვილი შემეცვალა, თბილმა და ტკბილმა ჟრუანტელმა დამიარა მთლად გვამში... სწორეხედველობა დავკარგე... ასე მეგონა, თუ მაღლა, სადღაც ედემში, დავფრინავ-თქო!... რაღაც უცნაური მემართებოდა... მხოლოდ შენ გხედავდი იმ დროს, შენ გეალერსებოდი და შენს ტკბილს ხვევნაში ვიყავი. დიდხანს თურმე ვიყავ გრძნობადაკარგული და, რომ გამოვფხიზლდი, ვნახე, რომ დეიდაჩემი საზიზღარის ღიმილით მეალერსებოდა და ნუგეშს მაძლევდა... მაშინ მომაგონდა... მივხვდი, თუ რაც გადაეხდა, და დანაშთენი კი შენმა ბარათმა შემატყობინა.

გადია. (უცბად იკივლებს) უი! დამქოლეთ მე სულწაწყმედილი და მომჭერით ეს დასამიწებელი ხელები! შვილო! შვილო!... აკი მე ვყოფილვარ შენი დაღუპვის მიზეზი?!

ყველანი. რაო? რა დაგემართა?!

გადია. უი! მე სასიკვდინეს! რაღა რა დამემართა!... საწამლავი კი არა, სიყვარულის წამალი დაულევია... იმას გადაურევია! უიმე! უიმე!...

ექიმი. რას ამბობ! ხომ არ გაგიჟდი?

გადია. ნეტავი მართლა გავგიჟებულიყავ და ამ დღეს კი არ მოსწრებოდა ჩემი წაწყმედილი სული!.. ვიცოდი, სადაც ჰქონდა ჩემს ელენეს შენახული საწამლავი... და ქალბატონმა გამომაცვლევინა და მაგიერად სიყვარულის წამალი ჩამადებინა. სამხურვალო შაქრის ყინულის ფხვნილი. უიმე! შვილო! შვილო! (ყველანი გაკვირვებით მისჩერებიან)

ექიმი. ჰმ, ახლა კი ცხადია, რაც ამბავი ყოფილა! გესმის, არჩილ?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ. განა ეს შესაძლებელია?

ექიმი. ვერა ჰხედავ, თუ რა ყოფილა? ჰმ!...

არჩილ. (ხელს ჰკიდებს ელენეს, რომელიც უცნაურად ჰღელავს) ელენე, გესმის?...

ელენე. (თავის ქნევით) გვიანღა არის!...

არჩილ. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ელენე! წელან, რომ მეკითხებოდი: „გაქვს თუ არა კიდევ ჩემი პატივისცემაო?" შემიძლია ახლა გიპასუხო? (ელენე თავს უქნევს) აბა, იცოდე, რომ ერთი-ორად მეტი, ჩემო სიცოცხლევ! მაგრამ მაგიერად მე კი ჩემი თავი შემძულდა... ოჰ, რა დანაშაული ვარ შენთან, ჩემო ელენე!... ვერ დავიმორჩილე ჩემი უგნური თავმოყვარეობა და უგნურად შემოვიტანე შენზე ეჭვები!... არა, არა, ელენე! ახლა კი ვხედავ, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ შენთან მეგობრობის ღირსი!...

ელენე. (თვალცრემლიანის ღიმილით) ნუ!... ნუ! მაგას ნულა იტყვი, ჩემო არჩილ! განა შეიძლება, რომ მოყვარემ მოყვარეს გული არ ატ... (ახველებს) უჰ!... (ცოტა-ხნის შემდეგ) ატკინოს. (ხელს ჰკიდებს)

ექიმი. არჩილ! შენ მაინც ურჩიე, რომ ცოტა თავი შეიმაგროს!...

ელენე. არა, დოქტორო! აწ მე აღარა მიჭირს-რა. ტვირთი მომცილდა... იმედია, რომ აწ აღარ მოვკვდები?

ექიმი. ბუნება ძლიერია!...

ელენე. დიახ, მრწამს! ჩემი არჩილ ისევ ჩემია? უნდა... უნდა დიდხანს ვიცოცხლო!... რა ნება მაქვს, მოვკვდე?... განა, არჩილ, აღარ მოვკვდები? განა? დიდხანს... დიდხანს ვიცხოვრებთ ერთად და კიდეც მოვესწრებით იმის... იმის...

არჩილ. დარწმუნებული ვარ!... (თავისთვის) თურმე კი ყოფილა მისთანა შემთხვევაც, როდესაც, ვინც უყვარსთ და ვისაც პატივს სცემენ, კიდეც ატყუებენ...

ელენე. ჰო?... გაზაფხულზე ზღვის პირად სადმე წავიდეთ... მერე უცხო ქვეყნებში მე თანდათან გამოვჯობინდები და... (სუსტდება)

გადია. (წუწუნით) შენ კი მორჩები, გენაცვალე, მაგრამ მე კი უნდა წავიღო მაგიერად შენი ჭირი: ხუთჯერ-ექვსჯერ ვარ თავშემოვლებული და შენი ჭირწანაღები, შენ კი დაგენაცვლოს შენი გადია!

ელენე. (ანიშნებს, რომ წყალი ასვან) ხხ...

ექიმი. (აწოდებს წყალს) არა უშავს-რა, არა! არაფერია!...

ელენე. (ხელს უპოტინებს არჩილს, არჩილ აძლევს ხელს. ელენეს დიდხანს უჭირავს მისი ხელი და შესჩერებია) იცი, რა გითხრა... როცა... რო... (დააწყებინებს ხრიალს და მოკვდება).

არჩილ. (ხელს ადებს) გათავდა!!...

ექიმი. კიდევ იცოცხლებდა რამოდენიმე დღეს, რომ ასე არ აღელვებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადია. მომიკვდა?... უი! (დაეცემა გულშემოყრილი. ხათუნია გავარდება კარში).

ეჭიმი. ჰე, ყველას ეს ბოლო მოგველის! (მიდის და სცდილობს გადია მოაბრუნოს. არჩილ გაშტერებით დასჩერებია ელენეს).

კუდურ-ხანუმ. (შემოიჭრება თმაგაშლილი) უიმე! ეს რა მესმის?! მართალია?! ჩემი მშვენიერი ელენე აღარა მყავს!... მომიკვდა?! უი! უი! გამწარებულ დეიდამისს! ელენე! ჩემო ბედნიერებავ! მაგას მოველოდი შენგან? შენს მშვენიერ ხელებს უნდა დაეყარა ჩემს გულზე შავი მიწა და შენ რა გიქნია ეს? რათ მომასწარ შენ სიკვდილი? აკი გეუბნებოდი, შვილო: ჩამოეთხოვე იმ ურჯულოებს... იმ სოხტებს, თორემ კარგს არას დაგაყრიან-თქო? ვიცოდი!... ვიცოდი, რომ მაგრე დაგემართებოდა მათ გადამკიდეს!...

არჩილ. ბატონიშვილო! კმარა ამდენი თვალთმაქცობა!... ეყოფა, რაც სიცოცხლით გაჰკიცხეთ ეს საბრალო!... აწ მაინც მოასვენეთ და ნუღა ჰბღალავთ ამ წმინდა გვამს ფარისევლურის ცრემლებით!...

კუდურ-ხანუმ. (გულმოსული) რაო? შენ ვინა ხარ, რომ ჩემს ოჯახში მბრძანებლობ და ჩემის სისხლისა და ხორცის ტირილს მიკრძალავ? არ იცი, რა იყო ეგ ჩემი?

არჩილ. მსხვერპლი! სხვა არაფერი!! საერთო სხვა რა უნდა ყოფილიყო თქვენში? არა, ბატონიშვილო! შეგიძლიათ სხვები მოატყუოთ და ჩვენთან ეგეები აღარ გამოგადგებათ!... თუ ელენე თქვენი ყოფილიყოს, მაშინ ეს დღეც აღარ დაადგებოდა. ესეც იმ გარყვნილების მორევში, რომელსაც უმეტესობა შეჰნატრის და მიაჩნია ცხოვრების იდეალად, ისეთი მომცურავი სირინოზი იქნებოდა, როგორიც ბრძანდებიან დღეს სხვები, თქვენგან გაწრთვნილ-გამოზრდილები! მაგრამ, ჩვენი რომ იყო, მიტომაც შეიქნა უდროვო მსხვერპლი!... ეს პირველი მსხვერპლი ხომ არ არის თქვენის ძლიერებისა? თქვენთან ბრძოლაში ამისთანეებს ჯერ კიდევ ბევრს დავკარგავთ, მაგრამ უფრთხილდით კი მომავალს!...

კუდურ-ხანუმ. რაო? რაო? ბრძანეთ! ბრძანეთ! აღარ გადათქვათ კი მერე, რომ მთავრობის წინააღმდეგობას ჰქადაგობთ სახალხოდ!...

არჩილ. (ძალდატანებულის სიცილით) ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ეგ კარგი იარაღი გიჭირავსთ ხელში! ეგ არის თქვენი ძლიერება! ხმლადაც გარგიათ და ფარადაც... მაგრამ აქ-კი, ამ შემთხვევაში, გამოუდეგარია.. (ზურგს შეაქცევს და მოუბრუნდება) მშვიდობით, ჩემო ელენე! შენ კი გადარჩი ამდენ საძაგლობას, მაგრამ რა ჰქნას იმან, ვისაც შენის დაკარგვით მწუხარება გაუორკეცდა?... მშვიდობით! (დაიჩოქებს და ფარდა დაეშვება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ე დ ი ა

(1895)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედია

ხუთმოქმედებიანი დრამა

მოქმედი პირები:

იათა, კოლხეთის მამასახლისი.
გექადა, მამასახლისის მეულლე.
მედია, მათი ასული.
იახირ, მათი ძე.
თირთა, იათას და.
ძიძა მედიასი.
ძუძუდა, მედიას დობილი.
იაზონ, ბერძნის მთავარი.
მოქრი, მოჭიდავე.
ქლიბი. მჭედელი.
მთავარკაბდელი.
ტუვე.
სახლთხუცესი.
მოციქული.
გამზავებელნი.
მთხრობელი.
სასახლის კაცები ორივე სქესისა.
ხალხი და კაბდელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება პირველი

სცენა: ბუხრიანი და სარკმლიანი ძველებური ოთახი

გამოსვლა 1-ლი

ძიძა (კვარს ანთებს)

რა საოცარი რამ ღამე იყო!...
აქ ირყეოდა მთლად მთა და ბარი
და იქ ქვესკნელი ისე კვნესოდა,
თითქოს ჯოჯოხეთს აეშვას ზარი!...
ზესკნელ ქვესკნელის ბანის მომცემად
ცა, მრისხანებით გადმომქუხარე,
ადიადებდა ქვეყნ ს გასაჭირს
და დედამიწა თრთოდა მწუხარე!...
ტანჯვის დროს წამიც საუკუნეა...
თითქოს ჩაჰყლაპა ნათელი ბნელმა,
სანამ მეორედ არ დაიყივლა
ტკბილ განთიადის მახარობელმა. (დაფიქრდება)
ამირან-გმირო, მთა და ბარს არყევ!... [2]
ეს ყველაფერი შენი ბრალია!
მაგრამ ძნელია ჯაჭვის გაწყვეტა,
სანამ ღმერთები შენზე მწყრალია!...
და, თუ ახლაც-კი არ მოგითხრია
ის უცნაური საჯაჭვო პალო,
ამიერიდან მაგ შენს სატანჯველს
ალარ ექნება კეთილი ბოლო!...
(აღმოსავლეთისაკენ გააღებს სარკმელს და იჯდება)
ბნელა!... ჯერ კიდევ არა თენდება!
(დაიჩოქებს, ხელებს ააპყრობს)
ო, მზეო!... მზეო!... მაღალთა შინა
ხილული, მაგრამ მიუწდომელი
რომ აგიგია ბრწყინვალე ბინა,
შენ გევედრები ქვეყნით ცოდვილი:
შუქდიდებულო და გულმხურვალე,
წინამორბედი შენი ვარსკვლავი
გამოგვიგზავნე!... ისწრაფე მალე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ცის კამარას გაუღოს კარი,
ააელფეროს მისი ლაჟვარდი
და შენს სავალ გზას, მნათობთა-მნათო,
შენ სადიდებლად მოჰფინოს ვარდი!...
შენც ამობრწყინდი და უთვალავი
ისარ-სხივები მაღლით დაგვტყორცე!...
მით, სამკურნალოდ, შეშინებულ გულს
ტკბილი ნუგეში თან შეახორცე!...
მაშინ ყოველი შენი მმოსავი
ფერხულს დააბამს, დასძახებს „თინას“
და შენც, მაარსო ყოველთა არსთა,
ზეშემოფრქვევით გეტყვის „მზეშინას“.
ნუ მოიფარებ პირბადეს რისხვით,
რომ ერმა არ სთქვას: „არ გვიხილაო“,
და აღარ მოსთქვას, საკინძ-ჩაწყვეტით:
„ო, დილა, დილავ, ო, შავდილაო!“
(დაემბობა და ლოცულობს)

გამოსვლა მე-2-ე

იგივე და **თირთა** (გამოდის მეორე ოთახიდან შემკრთალი)

თირთა

ხომ არ მომკვდარა საბრალო შიშით,
ასე თავდალმა რომ დამხობილა?
ვაი მას, ვინც ამ უგნური ქვეყნის
ბუნდში გაზრდილა, ბნელში შობილა!...
ძიძა!

ძიძა (ადგება)

რას ბრძანებ, ბატონის დაო?

თირთა

რას განართხულხარ? რა ამბავია?

ძიძა

ლოცვად ვიდექი, ჩამოვატყაევ
სადაც-კი ჩვენი სალოცავია!...
ამდენი ხნის ვარ და ჯერ არ მახსოვს
ღამე ამგვარად გარისხებული!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკვირს, რომ შიშმა არ გადამრია
და კიდევ შემრჩა აწ პირში სული!...

თირთა (იცინის)

ცხოვრების ჩარხი, რიგზე მბრუნავი,
ცოტა ხნით ოდნად გამრუდებული,
ისევე ჩადგა სწორ კალაპოტში,
რომ დაიმშვიდოს ქვეყანამ გული...
და რაღას შიშობ? მორჩა, გათავდა!...
ხომ ხედავ დაცხრა ცა და ქვეყანა?...
ბედის ვარსკვლავი თუ არ მომწყდარა,
დაუშავდება კაცს რამე განა?

ძიძა

თაფლი მაგ შენ პირს, გასახარელო!...
ყველა შენ უკეთ მოგეხსენება!... (ცოტა ხნის უკან)
შიშის ბუდეა ღამის წყვდიადი
და შორსაც არის ჯერ გათენება!...

თირთა

რაღა შორს არის? მამალი ყივის,
ღამე მაგდენიც არა დარჩა-რა,
დროა წახვიდე ქალიშვილებთან,
გამოაღვიძე ორივე ჩქარა!...
მორთე-მოკაზმე ჩვეულებრივად
და გამოაწყვე, როგორც იცოდე,
თიხის ჭურჭლები გამოურეცხე,
ისარ-კაპარჭიც თან მიაწოდე.
(ძიძა გადის. თირთა, დაფიქრების შემდეგ)
დღეს გაზაფხულის ბუნიათბა
დადგა და ღამე დღეს უსწორდება:
არც ნათელს, არც ბნელს არ სურს დაკლება,
საზღვარს არც ერთი აღარ შორდება!...
ამ დროს მიწისძვრა და ზღვათა ღელვა
ჩვეულებრივი არის მოვლენა!
მაგრამ წუხელი კი მეტი იყო
და გაგვწირავდა მრისხანე ზენა,
რომ უჩვეულო და უცნაურ ძალს
არ მოეხიბლა ცა და ქვეყანა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისმა რაღაც უცხო საკრავის
საამო მღერა, ვით ტკბილი „ნანა“,
მან გაიტაცა მთელი სამყარო,
შეწყდა მდინარე, შეჩერდა ქარი,
და ყურს უგდებდენ სულგანაბული...
აღარ იძვროდა არც მთა, არც ბარი!... (დაფიქრდება)
მიკვირს, ვფიქრობ და ვერ გამიგია:
რა უნდა იყოს, რა საგრძნეულო,
ჯერ არავისგან არ გაგონილი
ჩვენ ქვეყანაში, ხმა უჩვეულო?...
თუ რომ მთიები არ ჩამოსულან
მაღლით ამ ქვეყნის დასამშვიდებლად,
მა'ძინ ორთეოზ“ გამოგვჩენია
აქ ჩვენც კოლხეთის გასადიდებლად!... (დადის და ფიქრობს).

გამოსვლა მე-3-ე

თირთა, მედია და **ძუძუდა**

(გამოდიან, ხელში თიხის პატარა ჭურჭლები უჭირავთ და მხარზე ისარ-კაპარჭი აჭვთ გადაცმული. უკან ძიძა მოსდევთ)

თირთა

გამოწყობილან?

ძიძა

მღვიძარი დამხვდენ.

თირთა

არ გძინებიათ?! მაშ უნდა გკითხოთ:
ნაშუალამევს ტკბილია ძილი!
თქვენ-კი ფხიზლად ხართ და რამ დაგიფრთხოთ?

მედია

რამ და სიზმარმა, ჩემო მამიდა!...

თირთა

სიზმარმა?!

მედია

დიახ, ჩვენება ვნახე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თირთა

რაც გაგახსენდეს, ნურას დაფიცავ,
მიამბე, შვილო, და დამისახე!...
ზოგი სიზმარი ამქვეყნიური
ხარბი ოცნების მონადენია,
ზოგი ციური განცხადებაა
და მნათობისგან მონაფენია!...
გარჩევა უნდა მათ ერთმანეთში
და მერე ახსნა... ეს არც ძნელია:
გონების შუქი იქ უფრო გასჭრის
და გაანათებს, სადაც ბნელია.

მედია

მართლა, რომ რაღაც ჩვენება იყო,
ცხადის ნამსგავსი, გასაოცარი:
მიწა იძვროდა და მასთან ერთად
მთლად ირყეოდა სულ მთა და ბარი!
უნდა ქვეყანა მტვრად ქცეულიყო!
სიკვდილს ველოდი გულგახეთქილი,
მაგრამ უეცრად რაღაც საკრავის
გაისმა ჟღერა წყნარი და ტკბილი...
გავედი გარეთ, ძუძუდაც გამყვა;
მაღლა ჰაერში გაისმოდა ხმა
და მიწაზე-კი იქვე, მახლობლად,
იდგა უცნობი, საარაკო ყმა!...
მისმა დანახვამ მე თვალი მომჭრა
და დამებეჭდა გულის ფიცარზე!...
თავბრუ დამეხვა... რომ წავბარბაცდი,
იქვე სიჩქარით მივეყრდენ კარზე...
შემომაჩერდა, დიდხანს მიყურა,
არ მაშორებდა აღარც ის მე თვალს!
პირველად ვგრძნობდი უჩვეულოსა,
მაგრამ შემბორკველ... უმაღლესსა ძალს;
აღარ მქონია მე საკუთარი
აღარც სურვილი და აღარც ნება!...
სიკვდილ-სიცოცხლე, არარაობა
ჩემთვის სუყველა იყო ოცნება!...
ბოლოს წავიდა ის უკან-უკან,
ხელით მანიშნა, რომ წავყოლოდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მე ვიდექ ისე უძრავად,
თითქოს ზედ თავზე მწოლოდეს ლოდი...
სად, ან ვინ ვიყავ,—აღარ ვიცოდი!...
აღარც ცა იყო ჩემთვის, არც მიწა!...
ამ დროს კალთაში ჩამავლო ხელი
ძუძუდამ და—მეც გამომეღვიძა...
მაგრამ მღვიძარსაც ისევ მესმოდა
ხმა მომხიბლავი, მიძგერდა გული!...
ძუძუდაც თავზე მადგა მღვიძარი,
უძრავად, უხმოდ, გაშტერებული!...

თირთა

ეგ ხომ კეთილად ასახდენია!...
მე მაგგვარ სიზმრებს უბრალოდ ვსახავ,
გაჩნდება ვინმე აქ საჭიდაოდ
შენი გულისთვის და იმას ნახავ.

მედია (შეშინებული)

არა, მამიდა!... მე ეგ არ მინდა...
რომ იჭიდაოს არც შეიძლება!...
იმისთანაებს არ შეეხება
ჩვენი პირობა და ჩვეულება:
ის მიწის შვილი არ არის, ვფიცავ,
თვით მნათობია ცით ჩამოსული!...
ღმერთი ძლიერი და შვენიერი,
მხოლოდ დროებით სხეულშესხმული!...

თირთა

უი, გეთაყვა, დამიდგეს თვალი,
რა უცნაურად აღელვებულხარ!...
ფხიზლად ფრთხილი და წინდახედული,
ძილში რა მალე მოტყუებულხარ!...
ამდენ ხანს როგორ ვერ გამოერკვი,
უბრალო სიზმრით გატაცებული?

მედია

ყურში მიწივა ის საამო ხმა...
ვერ მოვიბრუნე, არ იქნა, გული!...

თირთა (ძუძუდას)

შენც გაიგონე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუძუდა

კი, ქალბატონო,
მეც ყურს ვუგდებდი გაოცებული.

თირთა

შენ, ძიძავ?

ძიძა

არა, რას გავიგებდი,
დამფრთხალი, შიშით გატაცებული!

თირთა

სჩანს, რომ ესენიც მოტყუებულან
მეტის სურვილით... ჭარბი გულისთქმით:
გაზაფხულია, სისხლი თამაშობს
და უჩურჩულებს ყურებში სხვის ხმით...

(ქალიშვილებს)

ნუ აჰყოლიხართ მაგ ფუჭ ოცნებას,
უსაქმურობის უკულმართ ნაშობს!...
ჩვეულებრივად რომ მოემზადოთ,
საქმეს შეუდგეთ, ახლა ისა სჯობს.
სანამ ფუტკრები მძინარ ყვავილებს
გააღვიძებდენ ბზუილით მწარით
და ამოსწოვდენ გულიდან სიტკბოს,
თქვენ უმალ მოდით და დაასწარით,
რომ უხმარ ბამბით ამოუწმინდოთ
სუნნელოვანი, ცვრიანი გული!...
ის ამირანის ცრემლები არის,
მარგალიტებად ზედათხეული...
რომ გაიქინთოს ბამბა სრულიად,
ჩასწურეთ ხოლმე მაგა ჭურჭლებში.
მაგაში ჩავლეს მეც სამკურნალო
წამლებს, გასაჯდომს რბილსა და ძვლებში.

(ჩამოიღებს ჯამს)

ახლა მოდით და ჯამში ჩაუწეთ
თქვენი ისრები!... შეასვით შხამი,
რომ გაკაწრულმა მაგითი მტერმა
ვეღარ იცოცხლოს ვერც ერთი წამი.
თუ დაინახოო ცაში არწივი,
მაშინ შვილდ-ისარს მოავლეთ ხელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტყორცეთ ხელმარჯვეთ, გაუპეთ გული
და ამოჭგლიჯეთ მწარე ნაღველი!
სწორედ მესამე მამლის ყივილზე,
რომ ირიჟრაჟოს იქ უნდა იყოთ,
მოსაკრეფად-კი ყვავილ-ბალახებს
მზის ამოსვლამდის ხელი არ მიჰყოთ!
ახლა-კი წადით და გამარჯვება
თქვენ გამოსთხოვეთ სისხლის მოყვარეს,
იმ ძლიერსა და თავმდაბალ ღმერთსა,
რომელიც ლაჟვარდ ცის არემარეს
მწყსის და აძოვებს მოელვარე „ვერძს“,
ჩვენი კოლხეთის საკუთარ-მფარველს.[6]
სთხოვეთ ორივემ და შეევედრეთ,
ის არ აგალებსთ სხივით მოსილ ხელს... (მიდიან)
ძიძავ, შენც წაჰყევ!... (ძიძა მიდის)
(თირთა დაფიქრდება) ჩემს გარდა სხვებსაც
გაუგონიათ, მოუკრავთ ყური!
არც ჩანგურს ჰგავდა და არც სალამურს
ის ხმა, უცნობი და უცნაური!...
მე ეს მაკვირვებს, ვინ უნდა იყოს
ასე ხმატკბილად ჩანგის დამკვრელი,
რომ გაიტაცა ცა და ქვეყანა
და დაამშვიდა წყვდიადი ბნელი!...
ღამეც რომ ასე გადაირია,
ნეტავ ვიცოდე, რას მოასწავებს?! (დაფიქრდება)
გავიდე ერთი, ზეცას შევხედო
და დავეკითხო ციმციმ ვარსკვლავებს...
გადავიკითხო ცის კაბადონზე,
ხვალინდელი დღე თუ რას გვიპირებს?
მზე გაგვიცინებს, თუ მოგვილუშებს?
ნუგეშს გვცემს ლხენით, თუ აგვატირებს?

(გააღებს კარებს და შეჩერდება. ხმაურობაა)

ჩუ! ხალხის ხმაა... ადრე ამდგარა...
და ან, ეგება, არც სძინებია!...
ბუნიაობის გადაჭარბებულ
სასწორის რყევის შეშინებია!!
და რომ დამშვიდდეს, გაიქროს შიში,
სალოცავისკენ მიეშურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ, ნეტავი მას, ვინც თავმინდობით
ყოვლის შემძლებელს ემსახურება!...
აღარას შიშობს დამფრთხალი ბავში,
დედის კალთაში თუ ჩადვა თავი!...
ხალხიც ბავშია და დედის კალთა
— მისი საყდარი და სალოცავი.
ხელი-ხელ ძმურად გადახვეული,
ფერხულჩაბმული მიიმღერიან!...
მხოლოდ გულია მათი მრჩეველი...
რაც არ უნახავთ, ყურს უჯერიან.
ორპირად მღერენ. (მოისმის სიმღერა სათვალავით:)

„თინა-თინაო!
მზის გულში რომ გაქვს წმინდა ბინაო,
გამოიღვიძე და გადმოგვხედე,
ბნელმა უკუნმა შეგვაშინაო!
თინა-თინაო! ნათელმფინავო!
მზემ ქვეყნის თვალად გაგაჩინაო!...
გაჰფანტე ბნელი, ზარის ამშვები!...
შეგვხუთა... ცრემლი მოგვადინაო!...
მზისა და მთვარის წამონაშობო,
შეუხებელო, თინა-თინაო,
მადლი შენ სახეს და დიდება მას,
ვინც ჩვენ ნუგეშად გაგაჩინაო!" (მიწყნარდება ხმა)

აი, სიმღერა სამკურნალო რამ,
დამცხრობი მათი სატკივარ-წყლულის!...
მაგრამ მე სადღა ვპოვო წამალი
ურწმუნო ფიქრის და უნდო გულის?
სად და რა იყო ჩვენი წარსული?
ან რა იქნება აწ მომავალი? (დაფიქრდება)
ეჰ, ჯერ ხომ აწმყოც ვერ შეგვიგნია,
არეული გვაქვს აქ გზა და კვალი.
თუ რომ მსოფლიო ხვანჯის გაბოხნა
არ არის ჩვენგან შესაძლებელი,
მაშ ნეტავი მას, ვისაც სასინჯავ
არ შეუხია ჯერ მისთვის ხელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

სცენა: კოლხეთის ჭალები. შორით კავკასიის მთები მოსჩანან. იალბუზსა და მყინვარს ღრუბელი გადაჭყრია და ლაპლაპობენ.

გამოსვლა 1-ლი

იასონ (აღტაცებით შეჰყურებს არემარეს)

დღეს ჩემმა თანამოგზაურებმა
ფაზისის[7] პირად ძილს მისცეს თავი,
რომ მოიხადონ დაღალულობა
და მერე ნახონ ეს სანახავი. (ხელს აშვერს არემარეს)
მე-კი ახლავე წამომიტყუა
უცხო ბუნების მშვენიერებამ!...
ამაფრთოვანა, ზეამიტაცა...
სრულად გამმჭვალა მით ნეტარებამ!...
მშვენიერია ჩვენი ელლადა,
მაგრამ ეს მცირე ბარბაროსთ მხარე
ისე სჯობია მას შედარებით,
როგორც ვარსკვლავებს — გავსილი მთვარე!...
შევჩერებივარ ატეხილ ჭალებს,
ბორცვს, ყვავილებით შეფერადებულს,
გორებს, ქოჩორა ტყით დაბურვილებს,
და მთებს, ზეცამდე თავამაღლებულს!...
საკვირველია!... აქ — ეს სიმდიდრე!...
ბუნების ლხინი, მაყრულ-ქორწილი!
იქ-კი — ღრუბელი, თოვლი და ყინვა,
არარაობა და მკვდრული ძილი!...
ამდენ სხვადასხვა სანახაობას
ველარ უმართავს ხორციელი თვალს...
სჩანს, ამ ქვეყნისთვის რომ მოუცლია
შემოქმედების დიად ძალთაძალს!!... (დაფიქრდება)
გუშინ რომ რაღაც დიდი ფრინველი
გზაში მოგვდევდა, „არგო“[8] დაჩრდილა,
აქ უნდა იყოს იმისი ბუდეც,
უეჭველია, რომ აქ გაზრდილა! (მაღლა იხედება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კი ორბია!... თვალს არ მაშორებს,
ხან ძირს ჩამოდის, ხან მაღლა ადის,
თავზე დაჯდომას ხომ არ მიპირებს?
სამეფო გვირგვინს ხომ არ მიქადის?!"

(ორბი წამოვა მაღლიდან ტრიალით და იაზონის ფეხთან დაეცემა. მკერდში ორი ისარი ურჭვია ერთად. იაზონ გაკვირვებული დარჩენია)

ამას რას ვხედავ?! სწორედ ღმერთებმა
მაღლით დაისრეს, ურჩად რომ ფრენდა,
თვარა აქედან ვინმე სულდგმული
იქამდი ისარს ვით მიაწვდენდა?!

გამოსვლა მე-2-ე

(**იაზონ, მედია და ძუძუდა** გამოიჭრებიან ტყიდან. იაზონს რომ დაინახავს, მედია შეჩერდება. იაზონიც შეკრთება და ორივე ერთმანეთს შესჩერებიან გაკვავებულებივით. ძუძუდა მივა, ორბს აიღებს, გამობრუნდება, ხელს მოავლებს მედიას, გაიტაცებს და შევლენ ტყეში)

იაზონ (გონს მოდის)

მაღალო ზეესო, ნუ თუ დიანა[10]
აქ სანადიროდ გადმოფრენილა?!
ელლინად მიცნო და გაუკვირდა,
უცხო მხარეში მეც რომ მიხილა?
ის-კი აქაურს ჰგავდა მიწის შვილს,
გამოსაზრდელად ღვთისგან აყვანილს...
და მონადირედ მისგანვე გაწვრთნილს!...
ვის უნდა ვკითხო? ვისგან გავიგო,
რაც ასე უცბად ჩამეჭრა გულში?
წავალ, იქნება იქ ვნახო ვინმე,
კვამლი რომ მოსჩანს გამოქვაბულში.

(მიდის მარცხნივ და შედის გამოქვაბულში)

გამოსვლა მე-3-ე

(**მედია** და **ძუძუდა** გამოდიან ტყიდან)

მედია (აშფოთებით)

არა!... ის იყო!... ის იყო, სწორედ!...
ჩემი ჩვენება, ჩემი სიზმარი!...
მინდა, რომ ერთხელ კიდევ შევხედო!...
საით წასულა, ვნახოთ, სად არი?

(ხელი-ხელ ჩაკიდებული გაირბენენ იქითკენ, სადაც იაზონი იდგა და შევლენ ტყეში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-4-ე

(**იაზონ** გამოდის გამოქვაბულიდან და თან გამოჰყავს დაჭრილი **მჭედელი**).

იაზონ

მითხარ, ვინა ხარ?

მჭედელი

ვინ ვარ და ქლიბი[11]
შავ მთას ხომ ხედავ? იმის გადალმა
დიდ ხეობაში ვცხოვრობთ დიდ თემად
და განთქმულია ყველგან ჩვენი ხმა.

იაზონ

რითი?

მჭედელი

მჭედლობით!... ჩვენ ერთი მთა გვაქვს,
„ჰედისი" არის მისი სახელი,
რკინის გული აქვს, რკინის ძარღვები,
გარს ახვევია მთელი სოფელი.
ის არის ჩვენი ყველას მრჩენელი,
ხვრელები შეგვყავს, ვაცლით რკინის გულს,
გამოგვაქვს და მით სხვადასხვანაირს
ვაკეთებთ ხოლმე ფოლად-რკინეულს.

იაზონ

ეს რა მხარეა?

მჭედელი

კოლხეთის მხარე,
დიდ იბერიის მცირე ნაწილი;
სიმდიდრით ყოვლად მოულალავი
მშვენიერებით გარშემოსილი!...

იაზონ

ვინ ჰფლობს?

მჭედელი

იათა მამასახლისი,
მისი სიმდიდრით ქვეყნად განთქმული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც სიუხვით და ვაჟკაცობით
მოგებული აქვს კოლხეთის გული!

იაზონ

ესეც მითხარი: აქ ხომ ღმერთები
არ ჩამოდიან, რომ ინადირონ?

მჭედელი (გაოცებით)

განა ცოტა აქვთ მაღლა ადგილი,
რომ დაბლა თავი არ დაიმცირონ?!

იაზონ

იმიტომ გკითხავ, რომ მონადირე
ქალღმერთს მოვკარი მე დღეს აქ თვალი!...

მჭედელი (იცინის)

ის მედიაა, მამასახლისის
მზეთუნახავი და პირმზე ქალი.
აქ დადის ხოლმე, ამ ტყე-ჭალებში,
ჰკრეფს და აგროვებს ყვავილ-ბალახებს,
რომელიც წამლად-კი გამოდგება [12]...
და რომელიც არ—ხელსაც არ ახებს!....

იაზონ (განცვიფრებით)

მედია?!... ვისაც მშვენიერებად
მთელი ქვეყანა დღეს აღიარებს...
რომელიც საქმროდ, თუ არ უძლეველს,
სიახლოვესაც არვის იკარებს?

მჭედელი

ჰო! ჰო! სწორედ ის! და შენც გეტყობა,
რომ საჭიდაოდ გამოწყობილხარ!...
ახლა შენც სხვების ბედი მოგელის,
თუ სხვა ვარსკვლავზე არა შობილხარ!... (დაფიქრდება)
მაგრამ სხვა ბედის კი უნდა იყო... (ამოიხვნეშავს)
ტყვეობის მიტომ აღარ მრცხვენია...
თვარა სხვა ბევრი შენისთანები
ურითი დაბლა დამიწვენია...
და შენ-კი იმ დროს შემომეპარე,
რომ არ შემეძლო ამოღება ხმის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაგერებლად ხელის ხმარება
და მით გატეხა მჭედლების აღთქმის.
დღეს არის სწორეთ ამირანის დღე
და ვამაგრებდი იმის ჯაჭვ-პალოს.

იაზონ

ვინ ამირანი?... რის პალო-ჯაჭვი?!
ნუ გრეხ... ნუ ხლართავ სიტყვებს უბრალოს!...

მჭედელი

გეტყობა მეტად შორეული ხარ,
რომ ამირანზე არა იცი-რა.
ვაჟკაცი იყო ის უძლეველი,
ღმერთებთან თავი არ დაიმცირა!...
წინასწარ-მჭვრეტი და შორს-მხედველი,
ჯინჭვლებს სამართალს დაბლა უჭრიდა
და მაღლა ღმერთებს, ყოვლის შემძლებლებს,
შეუპოვრობით თავს არ უხრიდა.
გარისხდენ ურჩზე, შური იძიეს
და ცხადად მტრობა რომ ვერ გაბედეს,
მხოლოდ ღალატით დაიმორჩილეს
და მიაჭედეს ამირან მთა-კლდეს...
მათი ბრძანების ასასრულებლად
ვერვინ შეახო ვაგლახად ხელი,
რომ მიეჭედა!... სანამ არ გაჩნდა
ერთი გრძნეული კოჭლი მჭედელი...
იმ დღიდან კლდეზე მიჯაჭვულია,
ვეღარას შველის მისი გონება...
მაგრამ ურჩი და შეუპოვარი
ღმერთებს კი მაინც არ ემონება!
მიჩენილი ჰყავს შავი ყორანი,
ის არ ასვენებს... უფრთხობს მწარე ძილს,
ბრჭყალებით უპობს გულ-მკერდს დატანჯულს...
ნისკარტით სწიწკნის ყოველდღე გულ-ღვიძლს!
მაგრამ შებმული და მიჯაჭვული
მოსაგერებლად ვერ ხმარობს ხელებს,
მაგრამ თან ახლავს პატარა ფინა,
ის ულოკავს წყლულს და მით უმთელებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ტკივილს ველარ აიტანს,
მაშინ ინძრევა, რომ აიწყვიტოს
და, კოჭლ მჭედელზე გარისხებულმა,
რაც მჭედლები ვართ—სულ ამოგვწყვიტოს!...
მაგრამ დღეის დღეს ჩვენ ყველა ერთად
სამჯერ ზედი-ზედ, უზმოდ და უბრად,
კვერს ვურტყამთ გრდემლზე, რომ შერყეული
ბალო ჩაერჭოს ისევე მაგრად...

იაზონ

საკვირველია! ახლა ბითხარი
მედიაზედაც რამე ამბავი!...

მჭედელი

არა ვიცი რა ბევრი და ტყუილს
მაინც ვერ ვიტყვი, გინდ მომჭრა თავი!
ეს ვიცი მხოლოდ, რომ მამიდა ჰყავს
მაგას გამზრდელი დიდი გრძნეული:
ცა და ქვეყანა ხელის გულზე აქვს
გამოცნობილი, გამოკვლეული!
სიკვდილ-სიცოცხლის მბრძანებელია...
ავი და კარგი არ გაეცდება...
რომ გაუსწორდეს მაგას სხვა ვინმე,
ტყვილად ნუ ჰფიქრობს და ნუ ეცდება.
ამბობენ: ვითომც, ერთხელ, ბოროტ სულს
მტრობით ეცდინოს კეთილი სული...
და თირთაია ბატონიშვილი
იყოს იმათი ღვიძლი ასული.
იმან იშვილა პირმზე მედია...
მისი გაზრდილი და გაწრთვნილია:
გრძნეულობითაც სახელგანთქმული,
თუმც ხნოვანებით ჯერ ყმაწვილია.
თანშეზრდილი ჰყავს მას ძიძის შვილი
დაზე უტკბესი, უსაყვარლესი!...
ერთად ეძებენ ორივე წამლებს,
ჯამ-ჭურჭლებშიაც ერთად ჩამლესი.
ამაზე მეტი თუ გსურს შეიტყო,
აგერ ხომ ხედავ ხეს ქვეშ დედაბერს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მოიკიდე შენ დედობილად,
მაშინ გაიგებ მისგან ყველაფერს.
მიდი, უკბინე მძინარს ძუძუზე
და მიაძახე: „კმარა ძილი-თქო...
ნუ გასტეხ ქვეყნის ძველ ჩვეულებას,
შენ დედა იყავ და მე შვილი-თქო!“

იაზონ

ვინ დედაბერი! ვინ იაზონი!...
და უსუსურად ძუძუზე კბენა?!
მაგრამ სურვილი ძლიერი არის,
ვით ჰერკულესის მძიმე მარჯვენა!
(მჭედელს ხელს უშვებს. მიდის ძიძასთან და ძუძუზე ჰკბენს)

ძიძა (წამოვარდება დამფრთხალი)

ვინა ხარ? და ან რა სულიერი?

იაზონ

უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილი!...

ძიძა

რა გინდა ჩემგან?

იაზონ

ის მინდა მხოლოდ:
შენ დედა იყო და მე კი შვილი...
ნუ მეტყვი უარს, დედა-შვილობას!...

ძიძა

რისთვის გარჯილხარ, რა გაქვს სურვილი?

იაზონ

რომ ვიპოვიდაო და მოვიპოვო
ან მედეია და ან სიკვდილი!...

ძიძა

ტყვილა გამცდარხარ... ვერას გახდები!...
მომსვლელი სხვებიც ბევრი მინახავს,
მაგრამ წამსვლელი-კი ალარავინ...
აქვე სტოვებენ ჩვენ სარეებზე თავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მაღალ სერზე რომ გადიხედო,
ძირს გამოჩნდება ქალაქი „ია“,
სადაც თანასწორ ზაფხულ და ზამთარ
გადაშლილია ვარდი და ია.
იქ დაინახავ ერთ დიდ სასახლეს,
ოქროს გალავნით გარსშემობურულს,
და მის უთვალავ მესერ-სარეებზე
კაცის ხმელ თავებს მაგრად ჩამოცმულს.
ისინი ყველა მედიას სურვილს
გადაჰყოლიან... უსინჯავთ ბედი!...
შენც, შვილო, მათი დღე დაგადგება,
შენც მოგატყუებს გიჟი იმედი.

იაზონ

არ მეშინია, ნუ შესწუხდები!...
შენ მხოლოდ მარტო ის კი მასწავლე,
თუ როგორი გაქვთ წესი და რიგი,
რომ მოციქული მივგზავნო მალე.

ძიძა

მაგისი, შვილო, არა ვიცი-რა...
ვერც დაგპირდები, იცოდე, შველას,
იასირ ნახე, ბატონიშვილი
და ის გიამბობს, რაც გინდა, ყველას.
აქვე იქნება მახლობლად სადმე,
უყვარს ჭალებში ბურთის გაგდება...
ჯერ თუ არ არის კიდევ მოსული,
უეჭველია მალე გაჩნდება.
მიდი, როგორმე დაუქმობილდი:
თავს შემოევლე, აკოცე მხარზე,
და ის გაგიწევს შენ ძეგობრობას,
თვითონ მიგიყვანს სასახლის კარზე. (ტყიდან ხმა მოისმის)

ერთი მხრიდან ხმა

უუუ! სად ხარ, ძიძავ?

მეორე მხრით ხმა

უუუ! სად ხარ დედავ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიძა

ჩუ! მეძახიან. (მაღლა აიხედავს) ამოსულა მზე... (იაზონს)
შენ, შვილო, ბევრს კი ნუ აგვიანებ,
ახლავე წადი საბურთალოზე! (შედის ტყეში)

იაზონ (მარტო)

რაები მესმის!! საკვირველებით
სავსე ყოფილა აქაურობა!...
გმადლობ, პელეოს[13], რომ შენ მირჩიე
ხანგრძლივი... შორი მოგზაურობა...
(დიდხანს დაფიქრებულია. მერე თავისთვის)
თვარა ეს არის ის მედეია,
ოთხივე კუთხით ქვეყნად განთქმული,
ვის გულისთვისაც ამდენმა გმირმა
აქ უპატრონოდ დალია სული,
ისე, რომ მკვდართა საოხებელი
ალარ რგებიათ რიგი და წესი:
არც ცრემლით მოთქმა! არც სისხლი მსხვერპლად,
ღმერთებისათვის ტკბილზე უტკბესი?!...
გვამი დაეხრწნათ, როგორც პირუტყვებს,
უპატიურად და დაუწველად!...
თავი ბურთივით გასაგორებლად...
მაღალ სარების წვერის სარქველად!...
მათი სულები უკუნ-ბნელეთში
მსხვერპლს მოელიან, შფოთვენ, წვალობენ
და, ნათლის შუქის ვერ შემბედველნი,
ღამ-ღამით ქვეყნად დატანტალობენ...
ხან ერთს აფრთხობენ და ხან მეორეს,
ვისაც-კი შიში შეუვა გულში,
და, მამლის ყივილს რომ ყურს მოჰკრავენ,
მიისწრაფიან ისევ უფსკრულში...
ვაი, თუ მათი დამადგეს მეც დღე,
ვერ მოისვენოს ჩემმაც აჩრდილმა!...
ნუთუ მიმტყუვნა და ამატროვა
ბედმა, მიკბინა მწარე სიკვდილმა? (დაფიქრდება)
არა!... არ შვენის გმირს აჩქარება...
ვერ გავიმეტებ ვერც ხორცს და ვერც სულს!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მივყვები რჩევას იმ დედაბრისას
და გამოვნახავ სადმე უფლისწულს,
რომ ჩვეულების მიხედულობით
დავუძმობილდე, დავემეგობრო
და შესასწავლად ამ უცხო მხარის
გამოვიყენო უფრო მეტი დრო!...
შევიტყო ხალხის რიგი და წესი,
ავწონო მათი ზნე-ჩვეულება,
ღმერთებს მივმართო და ჩემ სურვილებს
შევუკავშირო მათი უფლება...

ფ ა რ დ ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მესამე

სცენა: შუაგულ ტყეში წალკოტი. ერთ მხარეს, აღმოსავლეთისაკენ, გექადას საყუდარი და კაბდელების სადგურები. შუაში დიდი მუხა, „ჭყონდიდად“ წოდებული. წინ თლილი ქვის სამსხვერპლოა, სადაც ასვენია «შარავანდედი», ოქროს გულად გამოქანდაკებული: ერთ გვერდზე დიდი თვალი აზის და მეორეზე ყური. ირგვლივ ოქროს სხივები აყრია. აქვე მახლობლად სვეტზე კ:ცია მიკრული, წითელ სუდარაში გამოხვეული.

გამოსვლა 1-ლი

(შემოდის იაზონ დაფიქრებული. ათვალიერებს)

იაზონ

საიდან და სად ჩამოვარდნილვარ?!
აღარც ძილი მაქვს... არც მოსვენება!
აქ, ვხედავ, ყველა ცხადი ყოფილა,
რაც იქ მეგონა სიზმარ-ჩვენება!...
ღმერთების წალკოტს მიმსგავსებია
საკვირველებით სავსე ქვეყანა,
და გრძნეულ ხალხის ყოფა-ცხოვრება
ხვანჯ-ნასკვი არის და გამოცანა...
თვით მედეია, მთელი ხმელეთის
საოცნებო რამ, ტკბილი ზღაპარი,
ვით გადამეტი საკვირველების
სანათელ-სხივო არის ლამპარი!
თვალის მომჭრელი, ხელშეუხები
მახე, გმირების მიმტყუებელი,
სარკე სიცოცხლის და ნეტარების,
მაგრამ სიკვდილის მაჩვენებელი!...
მისკენ მივყავარ მეც ბედს... და ვხედავ,
რომ ფეხს წაამტვრევს ჩემი გმირობა,
თუ ხერხს მეც ხერხი არ შევუფარდე
და არ დავცარე მათი პირობა... (დაფიქრდება)
რათ დავარღვიე გმირობის წესი:
ვეშვილობილე ვიღაც დედაბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სუსტი ბავში ძმად მოვიკიდე,
თუ ვერ შევიტყობ მათგან ყველაფერს?!
მართალი არის, ბევრი რამ მითხრა,
მაგრამ ეს ყველა მაინც არ კმარა!
ვნახოთ, რას გვეტყვის დღეს სხვასაც კიდევ!
აქ დამინიშნა... აქ დამიბარა...
აი, ფეხის ხმა!.. მგონია, მოდის...
არა, სულ სხვაა! დავიმალები! (ეფარება ხეს)

გამოსვლა მე-2-ე

(მთავარკაბდელი გამოდის. უკან ჩრდილივით ვიღაც მოსდევს შორიახლოს. ცას შეჰყურებს.)

კაბდელი [14]

ამდენი ჭვრეტით, მაღლა ყურებით,
გამომიშტერდა მხოლოდ თვალები,
და მაინც ბევრი ვერ გავიგე-რა,
სულ არეულან დღეს ცის ბურჯები:
„სასწორი“ მეტად დაბლა დახრილა,
„ვერძს“ დაბნევია სავალი გზები...
„ლომი“ შემკრთალა, „კირჩხიბი“ არ სჩანს
და „მოსისხლესაც“ მისი ისარი
პირდაპირ დაბლა დაუშვერია,
რომ დედამიწას თავს დასცეს ზარი!...
ეს ყველა კარგს რომ არ მოასწავებს,
ძნელი არ არის ამის შეტყობა,
მაგრამ ვინ არის ხელის შემშლელი?
რაც იყოს, იყოს! რა გაეწყობა!
ჩვენ მაინც კიდევ სოფლიურ ზრახვებს
უარს ვერა ვყოფთ! ვერ ავაღებთ ხელს!...
როგორც გვიზორავს, ისევე ვზორავთ
და ვინუგეშებთ მით წუთისოფელს. (აიხედავს მაღლა)
გათენებამდის არა დარჩა-რა! (მეორეს)
კაცუნო! დროა... უნდა შეხვიდე!
უგნური ქვეყნის ავი და კარგი
ახსენი ყველა და გადასწყვიტე! (იცინის)
ხომ გახსოვს მტკიცედ, რაც დაგარიგე? (მერე თავს უქნევს)
ნურაფერს იტყვი გარკვევ-გადაჭრით!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა პირდაპირ გკითხავენ რასმე,
შენ გადუხვიე მაშინ სულ სხვა მხრით,
რომ ბოდვას ჰგავდეს შენი პასუხი
და შიგ არ იყოს არც „ჰო", არც „არა"...
მერე მე ვიცი იმათი ახსნა...
ხომ გესმის?... აბა, შეძვერი ჩქარა!...

(გამოაღებს სამსხვერპლოს უკანა საიდუმლო კარს და შეაძვრენს)

(მიიხედავს) ეს ვინღა კენესის? ჰო... ტყვე საძსხვერპლო!

ტყვე

მიშველეთ! წყალი! გამიშრა პირი!

(კაბდელი ყურადღებას არ აქცევს, წასვლას აპირებს, იაზონ დაიჭერს)

იაზონ

შეჩერდი!

კაბდელი

ვინ ხარ? (შეშინდება)

იაზონ

არ წადგა ბიჯი!...
ხმაც ჩაიწყვიტე, ტყვილა ხუ ყვირი...

კაბდელი

ვინ ხარ?

იაზონ

ელლინი!

კაბდელი

უცხოს რა გინდა
ასე უდროოდ ამ წმინდა ადგილს?

იაზონ

ის მინდა, რომ აწ ბოლო მოვუღო
თქვენს ცბიერებას... საქვეყნო ტყუილს!...

კაბდელი

როგორ თუ ტყუილს?!

იაზონ

ეგ ვინ დამალე?

კაბდელი

ღმერთების სიტყვას ვინც იმეორებს!...
ქადაგ-მკითხავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაზონ

თქვენი რჩევით რომ
ხალხს მოატყუებს და მოალორებს?...
ყველგან ერთი ხართ, წვერებწყეულო!...
სუყოველ მხარეს და ყოველ ერში:
ცბიერი, ქვეყნის თვალის ამხვევი,
მოხერხებული ყოველიფერში!...
მაგრამ ახლა-კი გიმტყუნათ ბედმა...
ჩაგიგდე ხელში!... ველარვის ავნებ!...
მაგ თქვენს... და ვითომ უმალლეს ძალას
დღესვე საქვეყნოდ გამოვამჟღავნებ!...

კაბდელი

შენ რას დაეძებ ჩვენს ყოფა-ქცევას,
გადალმელო და გადამთიელო?!
ის არ სჯობს შენთვის, რომ შენს ქვეყანას
გამოესარჩლო და მიეშველო?

იაზონ

აქაც მე ჩემი ანგარიში მაქვს...
სხვა რამეს ვეძებ და გამოველი!
შენც ससუ! და მეც ससु! სჯობს, რომ ერთმანეთს
საშველად მივცეთ ორივემ ხელი.
მე ვარ მემკვიდრე თესალიისა,
იაზონია ჩემი სახელი;
მედიასათვის გადმოვხვეწილვარ
და დახმარებას შენგან მოველი.

კაბდელი (სიტყვას აწყვეტინებს)

ის გინდა, რომ მაგ შენ ქვენა სურვილს
ზეცით ღმერთებმაც დართონ თანხმობა? (დაფიქრდება)
ჰმ!... ძნელი არის! როგორ იქნება
ერთად სულის და ხორცის დაგმობა?!

იაზონ

ეგ შენვე იცი!... ნაცვლად მოგელის
საუნჯე, შენი თავისვე წონა!

კაბდელი (დიდხანს ფიქრობს)

რა გაეწყობა! ბრძანე, რაცა გსურს!
შენ უფალი ხარ, მე შენი მონა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაზონ

წადი „არგოზე“, აქ დაპირებულს
სრულად მიიღებ... მეც მოვალ მალე.
ეს ტყვეც აუშვი, თან წაიყვანე,
გაპარვა ღმერთებს გადააბრალე!...

ტყვე (აუშვებენ. იაზონს)

ჩემო დამხსნელო!...

იაზონ

დროს ნული ჰკარგავ!
ამას წაჰყევი, თან იახელი, (წასჩურჩულებს)
გზიდან რომ არსად გადაუხვიოს,
მარჯვედ კალთაში ჩაჰკიდე ხელი! (კაბდელს)
შენც სსსუ და მეც სსსუ, ხომ გარგად ვახსოვს?
სიტყვის გატეხა ახლა ძნელია!...

კაბდელი

მეტი რა გზაა?... სწორედ ღმერთებს სურს!
წავიდე ჩქარა, სანამ ბნელია! (მიდიან. იმალება)

იაზონ (მარტო)

ჩემმა ძმობილმაც დაიგვიანა...
ჩუ! კიდევ რაღაც ხმაურობაა!
არ მინდა მნახონ... (შეჩერდება. ფიქრობს)
ვითომ მე ვარ ტყვე...
(გამოეხვევა წითელ სუდარაში და მიეყუდება სვეტს)
რომ ვინმემ მნახოს, რა ხუმრობაა?!

გამოსვლა მე-3-ე

(შემოდიან **მედია** და **ძუძუდა**)

ძუძუდა

ადრე მოვედით... არავინა სჩანს,
საყუდრის კარი დაკეტილია...
კაბდელებს სძინავთ...

მედია

კიდეც ინათლა
მტრედისფრად ცამ და რა დროს ძილია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუძუდა

არა გვიშავს რა... სჯობს შევისვენოთ...
ცოტა არ იყოს, დაღალული ვართ!...
გულამომჯდარის და დაქანცულის
ლოცვა-ვედრება არც ღმერთებს უყვართ.
(დაჯდებიან ქვის საჯდომზე)
ნეტავ რას ბრძანებს დღეს ბატონის და,
ჩვენს ნამუშავარს რომ ველარ ნახავს?

მედია

იჰ, ვილასა აქვს იმისი გული?...
ახლა მაგისთვის არ მოვიკლავ თავს...

ძუძუდა

კიდეც ეგ არის, რომ ჩვენ თვალ-ყური
სხვა მხრით გვიჭირავს... სულ სხვას დაეძებთ
და სადღა ვნახავთ ამირანის ცრემლს
და ან ყვავილებს როგორღა მოვკრებთ?

მედია

რა ვქნა, დობილო, დღეს წყაროშიც-კი
არ დამინახავს ეს ჩემი სახე!
სამაგიეროდ ის მეჩვენება!...
ის წარმომიდგა... ის დავინახე!
ყოველთვის... ყველგან თვალ-წინ მიდგია...
ლოცვის დროს ღმერთსაც წინ დაეფარა...
ვერ გამიგია, რა მემართება,
ეს უცნაური რა შემეყარა!...

ძუძუდა

სიყვარულია, სხვა არაფერი!...
იმან გაგმჭვალა და დაგიმონა.

მედია

ნუთუ ეს არის?! წარმოიდგინე,
რომ სიყვარული სულ სხვა მეგონა!...
მაშ, იასირი შენც ისე გიყვარს?

ძუძუდა

არა!... სულ სხვაა ის სიყვარული:
ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და-ძმურად
და შენ სხვა გრძნობით ხარ გამჭვალული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედია

მერე არ გიკვირს? ცოტა მინახავს
უცხო-ქვეყნელი, ჩემთვის მოსული,
რომ მე სუყველას ვეკრძალებოდი,
არ მიმდიოდა არც ერთზე გული?!...
ეს, ვიცი, მხოლოდ მოჩვენებაა
და მაინც ასე დამრია ხელი!
ლამის გადავყვე თან ფუჭ ოცნებას...
იმას დავეძებ... იმას მოველი!

ძუძუდა

მართალი არის, რომ იმ დღეს ვნახეთ
ისე უძრავად გაქვავებული,
მაგრამ მე მაინც კაცად მეჩვენა
და ახლაცა ვარ დარწმუნებული.
არ შეიძლება, ამ მოკლე ხანში
რომ არ გამოჩნდეს ხელახლა სადმე!...
და, თუ ჩვენება იყო, გულიდან
შენც გადაიგდე... როგორმე დასთმე! (გაიხედავს ტყისაკენ)
ხედავ იასირს? ამ დილა-ადრე
რამ გააღვიძა, ვინ ააყენა?

გამოსვლა მე-4-ე

(ისინივე და **იასირ**)

იასირ

ო, გამარჯობა! აქ რა გინდოდათ?
თქვენა ხართ მართლა, თუ მომეჩვენა?!

მედია

რა გაგიკვირდა? ლოცვა გვინდოდა,
მაგრამ ჯერ ცოტა ადრე დაგვირჩა...

ძუძუდა

შენ დღეს როგორლაც მხიარულად ხარ,
ცმუტავ და დახტი, როგორც რომ სკვინჩა!..

იასირ

მედია, იცი რა უნდა გითხრა?

მედია და ძუძუდა

რაო?

ბიბლიოთეკა

იასირ

კარგი რამ, რომ გაგაოცო! (ყურს უგდებენ)
ერთი ვილაცა... მაგრამ არ ვიტყვი,
სამახარობლოდ უნდა მაკოცო!...

მედია

რა დროს ეგ არის?

იასირ

არ მაკოცებ და
დედა მომიკვდეს, თუ რამე გითხრა!...

მედია (ჰკოცნის)

ჰა, გიჟო, გიჟო! არც ახლა იტყვი?
რა შეგიტყვია, გვიამბე ჩქარა!

იასირ

მოსულა ვილაც უცხოქვეყნელი ..
მაგრამ რას ვამბობ? კინაღამ წამცდა...
შენ რომ მოგიყვე, მარტო ხომ არ ხარ?
და გაიგონებს ყველას ძუძუდა!...

მედია

განა მაგასთან კი არ ითქმება?

იასირ

არა, სანამდის არ მაკოცნინებს!...
მერგება კიდეც... რომ გაიგონებს,
გაუკვირდება და ბევრს იცინებს.

ძუძუდა

მე საყიდელი არაფერი მაქვს!

იასირ

არ გაქვს და კარგი! რა მენაღვლება?
მე ჩემთვის, აჰა, და თქვენ თქვენთვისვე!... (ძუძუდას)
ვნახოთ, ვინ გეტყვის?!... (ვითომ მიდის)

მედია (ძუძუდას)

რა გენაღვლება,
ერთი გაკოცოს, ჩემო დაია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუძუდა

ეჰ, შენთვის, თვარა არ ვაკოცნინებ,
გინდ დამაყაროს ვარდი და ია...
(იასირ მივარდება და ჰკოცნის)
გეყოფა! კმარა! ჩვენი პირობა
ამდენი, გიქო, რომ არ ყოფილა?

იასირ (იცინის)

რა გაეწყობა! სულმა წამძლია,
როცა ეს ერთი მეტად მეტკბილა...
ჰე, ახლა გეტყვით: ერთი მთავარი
კარისკაცებით ჩვენში მოსულა,
იმისი მსგავსი მშვენიერება
არც გაგონილა და არც ნახულა!...
მე გავიცანი,—გადამეხვია,
თავს შემომევლო, დამეძმობილა...
როგორც შევიტყვე მაგის ამბავი,
თურმე, ვინ არის და ვინ ყოფილა?
მთელ საბერძნეთში არ დარჩენილა
მაგისი ტოლი და შესაფერი!
და მაგის ხათრით სულსაც ვერ ბერვენ
ვერცა მოყვარე და ვეღარც მტერი!...
ნავით მოსულა, ფაზის წყალში დგას,
იქ წანიყვანა და, რომ შევედით,
ზეზე წამოდგენ მისი მხლებლები...
მე-კი მაშინვე მომისვა გვერდით;
მერე უბრძანა ყველას დაჯდომა,
უამბო ჩვენი დაძმობილება.
თავი დამიკრეს და მომილოცეს,
შევატყვე ყველას კმაყოფილება...
ყველა მათგანი თავ-თავის თავად
ყოფილან, თურმე, შესანიშნავი:
ნავში სცხოვრებენ სუყველა ერთად,
და არც მინახავს მისთანა ნავი!...
ერთი მათგანი მოსაკრავეა,
ისე ხმატკბილად აჟღერებს ჩანგურს,
რომ მოხიბლული ცა და ქვეყანა
სულგანაბული უგდებს ხოლმე ყურს!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედია

ჩვენც რომ გვესმოდა, ის იქნებოდა!...

ძუძუდა

რაღა თქმა უნდა!

იასირ

ნუ მართმევთ სიტყვას,
მეც გავიგონე მისი სიმღერა...
კლდეს გააპობდა... გახეთქავდა ქვას!...
რომ გამიკვირდა, სიცილით მითხრეს:
ჯერ არ გინახავს, ეს რა არიო?
საკვირველებით გატენილია
ჩვენი სამშობლოს მთა და ბარიო...
მაშ, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ არ წავიდე
და ჩემი თვალით არ ვნახო ყველა!...
როცა მედიას წაიყვანებენ,
მეც თან წავყვები... თუ რომ მეშველა!...

ძუძუდა

მედიასო?!

მედია

მე?!

იასირ

ჰო! არ იცოდი,
რომ შენთვის არის აქ წამოსული?
ჭიდაობა ჰსურს და მზადაც არის,
რომ მოგვიგზავნოს ხვალ მოციქული!...

მედია (შეშინებული)

არა, არ მინდა, რომ იჭიდაოს!
ალარ ვთხოვდები... არ მინდა ქმარი!
ქმარია, რაც გაწყდა ჩემი გულისთვის...
ეგ მოიწვიონ, როგორც სტუმარი!...

იასირ

რომ ნახო, მაგას ალარ იტყოდი...
გათხოვებაზე არ აიღებ ხელს!...
მარტო ერთ კოცნას მისას გემრიელს
მთლად შესწირავდი ორივე სოფელს!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იჭიდაოს, რა გენაღვლება?
გამარჯვება ხომ იმას დარჩება!

ძუძუდა

ვინ მოგახსენა? ჩვენს მოჭიდავეს
ვინ გაუძლებს და ვინ გადურჩება?

იასირ

ჩემი ძმობილი სულ სხვა კაცია!...
ის სხვებისთანა კი ნუ გგონია!...
ბევრი უნახავს ჭირიც და ლხინიც,
უძლეველობით თავმომწონია.

მედია

აქ რომ დამარცხდეს?

იასირ

არ შეიძლება!
როგორც ძმობილის, მინდოდა შველა
და საიდუმლო ამ ჩვენი მხარის
შევატყობინე მე იმას ყველა:
იცის, რომ მისი მოპირდაპირე
ქალია, მხოლოდ კაცად აცვია,
და, თუ ძუძუში მოავლეს ხელი,
ძირს დაეცემა, როგორც რომ ტყვია.

მედია (შეშინებული)

ეგ რა გიქნია!? ხომ დაგიღუპავს!...

ძუძუდა (შეშინებული)

და შენც მასთანვე კარგი არ გელის!...

იასირ

ჩვენ არვის ვეტყვით! ნურც თქვენ გაგვამხელთ
და მაშინ ყველას ღმერთი გვიშველის!
ის გაიმარჯვებს... ცოლად შეგირთავს,
წაგიყვანს და მეც თან წამოგყვები!...
ძუძუდა, შენც ხომ ჩვენთან იქნები?
მედიას იქაც არ მოშორდები?

ძუძუდა (ღიმილით)

მე იქ რა მინდა? რად წამოვიდე?
ვინ მთხოვს და ან ვინ მეპატიჟება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასირ (შემკრთალი)

რაო?! რას ამბობს, გესმის, მედია?... (ძუძუდას)
იქ უშენობა როგორ იქნება? (თითქოს ტირის)

ძუძუდა

კარგი, კარგი! მეც თან წამოგყვებით,
როგორც იქნება... ძალით ან ნებით!...

იასირ

მართლა?... ერთმანეთს არ დავშორდებით?
რა მიხარია! ერთად ვიქნებით!...
(მოავლებს ხელს ჯერ ერთს და მერე მეორეს, ჭკუნის ხტუნვით)
ახლა კი წადით! უნდა მოვიდეს...

მედია

ვინ?

იასირ

ის, აქა მყავს დაპირებული.

მედია

ვინ ის? არ იტყვი?

იასირ

ვინ და იაზონ,
ძმად და მეგობრად შეფიცებული!...
მიკვირს, აქამდიც რომ არ მოსულა!
თუ გადუხვია და გზა დაებნა?!
მეტი გზა არ მაქვს... უნდა წავიდე,
უდაბურ ტყეში დავუწყო ძებნა. (მიდის)

გამოსვლა მე-5-ე

მედია და ძუძუდა (გაოცებულები დგანან)

ძუძუდა

რას გამოშტერდი? ხომ გაიგონე?
მისი სიცხადე არც ახლა გჯერა?

მედია

მესმის! და გონსაც ვეღარ მოვსულვარ...
გულმა არევით დამიწყო ძგერა!
სული მეგუბვის... არ ვიცი, რა ვქნა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუძუდა

„შარავანდედთან“ მიდი, ილოცე,
უყვართ ძლიერებს მორჩილ-მონება!

მედია

(მიდის და მუხლებს მოიყრის „შარავანდედის“ წინ)

გულთამხილავო, მიშუამდგომლე
ღმერთებთან, ვნება გულის რომ ვძლიო!...
(უცბად წამოვარდება) ძუძუდა, გესმის ხმა განგებისა:
გადაარჩინე სიკვდილს მსხვერპლიო?...

ძუძუდა

ალბად, ღმერთებს სურთ, რომ საბრალო ტყვე
ახსნა, გაუშვა, თავს შემოივლო!

მედია

ავხსნა... გავუშვა... როგორ გავბედო
წინააღმდეგი ქვეყნის და რჯულის!...

ძუძუდა

მიდი, გაბედე... მონა არა ვართ
ღმერთების ნების და სასწაულის?

(მედია მიდის. უნდა ახსნას. იაზონ გადაიშლის სუდარს და გამოვა, მედია შეკრთება)

მედია

უცხო სტუმარი!! (უკან-უკან იწევს)

იაზონ

(ხელებგაშლილი ბიჯს წადგამს წინ) მედია!?

ძუძუდა

აი, ოცნება და საიდუმლო!...

ფარდა ეშვება ნელ-ნელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

სცენა: ბუკსა სცემენ და საყვირის ხმა ისმის, ხალხი გროვდება საპიდაოზე, სასახლის წინ. ოქროს ტახტზე სხედან მამასახლისი იათა და დიასახლისი ჯეჭადა. მესამე ადგილი ცალიერია, იქვე მახლობლად მეორე მხრით თირთა და მედია ორივე სქესის კარის-კაცები; ღირსეულები სხედან და სხვები ფეხზე დგანან.

გამოსვლა 1-ლი

მესაკრავეები შემოუძღვებიან იაზონის მოციქულებს.

ერთი მათგანი

(წინ წადგება და თაყვანსა სცემს მამასახლისს)

მემკვიდრე ვინმე თესალიისა,
ძე აზონისა, იაზონ გმირი,
ვისაც სახელის მოსახვეჭელად
შემოუვლია ხმელეთის პირი,
დღეს აქ მოსული, მოკითხვას გიძღვნისთ,
უცხო კოლხეთის დიდო მთავარო,
და ისე სწყურის თქვენი დიდების
ხილვა, ვით მწყურვალს ირემსა წყარო!

იათა

კურთხეულ იყოს მისი სტუმრობა!
მოგეგებებით ჩვენც სიხარულით,
როგორც შეგვშვენის და მას შეფერის:
„კაბდულ“ გალობით, ზევსურ-მაყრულით...
შევახმატკბილებთ სხვადასხვა საკრავს:
წინწილ-სალამურს და საყვირ-ბობღანს,
რომ ჩვენ სასახლის ლიტანიობას
გულიც ქვეყნისა აძლევდეს ტკბილ ბანს!
მაგრამ ჯერ უნდა შეგვატყობინოთ
წინდაწინ მისი სურვილ-განზრახვა,
რომ ერთმანეთის არ გვეუცხოოს
პირველი შეყრა, ნახვა-მოკითხვა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოციქული

როგორც მზის შუქი ცა და ქვეყანას
მიეფინება და ანათებს ბნელს,
ისე მოუცავს მთელი სამყარო
თქვენი ასულის ბრწყინვალე სახელს!...
თვით აფროდიტა, ღმერთი მშვენების,
შურით აღძრული, ღვრის მწარე ცრემლებს
და ბედს უცარავს, უკარგავს ძლევას
გმირებს, მედიას თაყვანის მცემლებს!...
მაგრამ მაინც კი უკვდავის რისხვას
გმირები აღარ ერიდებიან,
მოისწრაფიან ყოველი კუთხით
ბედის საცდელად და აქ კვდებიან!...
ერთი მათგანი არის იაზონ,
ბედის საცდელად კარზე მომდგარი
და ითხოვს თქვენგან, ჩვეულებრივად,
სტუმართმოყვრობის გაუღოთ კარი! (თაყვანსა სცემს)

იათა

კეთილი! მაგრამ შეტყობილი აქვს
საყოველთაო მკაცრი პირობა?

მოციქული

შეტყობილი აქვს და არად აგდებს
ჯერ უძლეველი მისი გმირობა!

იათა

შემოიყვანეთ! შევიდეს წრეში
ორივე მხრიდან გამზავებელი
და მოსამართლედ ჩვენვე ვიქნებით,
რომ მათ უჯეროდ ვერ ახლონ ხელი!

(საკრავის ხმაა. ხალხი სულგანაბულია. ერთი მხრით იაზონ შემოდის, მეორეთი მოქრი. გამზავებელი შემოჰყვება. თაყვანსა სცემენ იათას)

ხმა ხალხში

კარგი ყოფილა!... მშვენიერია!!

გექადა (იათას)

ცოდვაა, სწორედ, მაგის გალახვა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იათა (ჩურჩულით)

ახლა პირობა აღარ გატყდება...
სასწორ-ლარია ვაჟკაცის სიტყვა! (იაზონს)
შორით მოსულო, ბედის საცდელად
და საჭიდაოდ მომზადებულო,
ნერგო სამთავროვ, ელლადის გმირო,
სახელმოხვეჭით ამაღლებულო!
შეხედე იმას, ვისთვისაც თავს სდებ! (მიუთითებს მედიაზე)
თვალით ნახული შეუწონე თქმულს!
ნუ აარიდებ თვალს ნურც ამ სარებს
და ზედ ხმელ თავებს მწკრივად ჩამოცმულს!...
და, თუ მაშინაც არ დაგიშლია
და გული გირჩევს მაინც გმირობას,
შენი ნებაა!... ჩვენ უბრალო ვართ!
ველარც ჩვენ შევშლით წესს და პირობას!...

იაზონ

მესმის, მთავარო!... ხმა ერთ ქვეყნიდან
სხვა ქვეყანაში გადატანილი,
მრავალკეცდება და ფერადდება,
გადახვანჯული, გზაში გაზრდილი.
მაგრამ კანონი ეს საზოგადო
დღეს აქ ოდნადაც არ გამოდგება,
რა არის მისთვის ქება უბრალო,
ვისაც შეშვენის ქებათაქება!...
ჩვენდამი ოდნად მოუწევიათ
მხოლოდ მის სხივებს, ძლიერო მეფე,
და მნათობი-კი აქ დარჩენილა
თვის ელვარებით, სხივმოიეფე!... (თაყვანი მედიას)
გაფრთხილებისთვის, ჩემო ხელმწიფე,
უგულითადესს გიძღვნით მადლობას!...
ეს ასე შვენის კოლხეთელების
სტუმართმოყვრობას და მასპინძლობას!
მე-კი, ჩემი მხრით, სხვას ვერას გეტყვით:
გამომივლია ხმელეთი და ზღვა,
ბევრჯელ ჩავარდნილს მწარე საფრხეში,
არ ამცდენია შავბედის რისხვა!...
მაგრამ ამ ჩემ გულს, გათამამებულს,
ჯერ არ უგრძვნია შიში და სიმხდლე!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განა, სურვილგადიდებული,
დღეს უნდა შევკრთე ყოველ ჭირთა მძლე?!...

მოქრი

ბევრი მყოლია მოპირდაპირე...
ჰკითხე ამ თავებს, თუ დამკლებია? (ხელს აშვერს სარებს)
მაგრამ არც ერთი, უნდა გამოვტყდე,
შენსავით ჯერ არ შემბრალებია!...
შენს ღმერთს მიმადლე, გულს ნუ აჰყვები,
გებრალებოდეს შენი მზეობა!...
თვითონ ღმერთებსაც არ შეუძლიათ,
რომ მოგაწოდონ რამ შემწეობა:
ელვის სისწრაფე და მეხის ძალა,
თვით შემოქმედის ნება-განგებით
მონიჭებული მაქვს ყველა ერთად!...
ამას არ ვამბობ მე თავის ქებით...
მხოლოდ გაფრთხილებ!

იაზონ

მაგრამ მე მაინც
არაფერი მაქვს მეტი სათქმელი...
სიტყვა გადავდვათ!... საქმეს შევუდგეთ!
აჰა ბურთი და ჰა სარბიელი!...
(დაუკრავენ საჰიდაოს და გმირები ერთმანეთს შეებმიან)

ხმები ხალხში:

— ჩვენი წააქცევს!...—ვინ მოგახსენა?
— ვერ ხედავ მაგის გულმკედრს და მხარ-ბეჭს?
— ის კი მაგაზე რაღა ნაკლეა?
რომ გაიმეტოს, ქორივით გაგლეჯს!...
— რომელი გაგლეჯს, ის ღმერთმა იცის,
ჯერ კიდევ ძნელი შესატყობია...
დღეს რომ თამამად ვეღარ ბრძანდება,
ჩვენს მოჰიდავეს კი დასტყობია!...
— ხედავ, ერთმანეთს ერიდებიან?
განზე დგებიან, უტრიალებენ.
— საყურებელი მაშინ იქნება,
ერთმანეთს ხელს რომ წამოავლებენ!
— პო! პო! პო! პო! პო! შენი ჭირიმე!
რა ვაჟკაცურად მოავლო ხელი!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გამოვიდა? ისიც მზად დახვდა,
არც ის დარჩება ხელცარიელი...
— ამდენ ჯახება-ტრიალ-ტრიალში,
ვგონებ, სპილოსაც დაესხას რეტი!
იმათ კი ბუზიც არ აფრენიათ,
უძრავად დგანან ისე, ვით სვეტი!
— წამოიკიდა! ვერ გადიტანა!
ვერ ატყობ ბერძენს, რომ ეძალება?
ჩვენი ატყუებს, ეთამაშება...
იცის, რომ მალე დაიღალება...
— ცუდად ჩაავლეს ერთმანეთს ხელი
და საძრაობას აღარ აძლევენ!...
თითქოს ერთმანეთს შეაქვავდენო,
ჯერ ერთმანეთის ძალას იკვლევენ...
— ეს ჭიდაობა აღარ გამოდის!
სჯობს გააშველონ,—უეჭველია!
ჯერ შეასვენონ, მერე დასჭიდონ...
ორივეს ძალა გამოელია!...
(აშველებენ და მერე ისევ ჭიდაობენ)

იათა (თავისთვის)

რა ემართება ჩვენს მოჭიდავეს?!
როგორ ვერ სძლია, მიკვირს, ამდენ ხანს! (ხმამაღლა)
რა ამბავია?! ვერ ხედავთ ხალხის
ამ უზრდელობას და ამდენ ყაყანს?!
(იაზონი დააჩოქებს ცალ მუხლზე მოქრის)
ფეხი აუსხლტა... და... გააშველონ! (აშველებენ)

მედია (თირთას)

ახლა რაღა დროს გაშველებაა,
როცა ნახევრად წაქცეული ჰყავს?...

თირთა

ის უკეთ ხედავს!... მისი ნებაა!.. (ანიშნებს იათაზე)
შენ, როგორც გატყობ, აღარა ხუმრობ!
უფრო ბერძნისკენ მიგიწევს გული
და ჩვენ შერცხვენას აღარად აგდებ:
გინდა ის დარჩეს გამარჯვებული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედია

უსამართლობა არ ვარგა, თვარა
ჩემთვის ერთია, ვინც უნდა იყოს...

თირთა (ღიმილით)

მაშ, გაამხნევე ტკბილი ღიმილით,
მესამედ ბრძოლა როცა დაიწყოს!..

(ჭიდაობენ მესამედ. მოქრი დასცემს ორივე მუხლებზე იაზონს)

ხმა ქალებში

ვაი, საწყალი!... გადააბრუნებს...
რომ გააშველონ ახლა, მადლია...

(მოქრი გადაბრუნებას უპირებს, მაგრამ იაზონ ძუძუზე მოავლებს ხელს და დასცემს. ხმაურობაა)

ხმა კაცებში

ოჰო-ჰო-ჰო-ჰო! ხედავთ, რა უყო?!
ეჭვი არ არის, წმინდად დასძლია!
(კაცებს წყენა ეტყობათ და ქალებს სიხარული)

იაზონ

მოკაკვე თითი...

მოქრი

გემორჩილები!...
მეტი რა გზა მაქვს!... დაცემული ვარ,
მაგრამ, თუ ღმერთებს არა უთქვამს-რა,
სწორედ, ღალატით გაცემული ვარ!
რა გაეწყობა! მიწის შვილი ვართ!
ერთი დრო ქვეყნად ვის შერჩენია?
ამდენი გმირის სისხლს, აქ დათხეულს,
თუ მაზღვევინებ, ნება შენია!...

იაზონ (აუშვებს)

არა, არ მოგკლავ!... გეყოფა! წადი!...
შემომივლიხარ თავზე სამადლოდ!
და, ვინც ღმერთებმა დღეს მომანიჭეს,
იცოცხლე იმის ჭირის სანაცვლოდ!...

იათა

მძლეველო, შენით ამაღლებული
სახელს იხვეჭავს შენთან ელლადა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ოქროს ტახტი, შეუხებელი,
ვითა ღირსეულს, შენ მოგელოდა!
გილოცავთ ყველა მაგ გამარჯვებას
და მოგიწოდებთ ტეხტზე ჩვენს გვერდით!...
ქება-დიდება ყოვლის შემძლებელს,
მხოლოდ ლოდინში რომ არ ჩავბერდით!...
და მოგვევლინა სასიქადულო
დღეს უძლეველი სასიძოდ გმირი,
რომ შევასრულოთ ღმერთების ნება
და არ გავტეხოთ არც ჩვენი პირი!
(იაზონ ტახტზე ადის. ხალხი „ვაშა-ვაშას“ იძახის)

გექადა

შვილო მედია, გასათხოვარ ქალს
შვენის მოკრძალება და მორიდება,
მაგრამ ცოლ-ქმრობის პირობა რადგანც
მთოვარის [15] ნებით ცაში რიგდება,
ყოვლის უარის უთქმელად უნდა
დაემორჩილო „უქრობს და უშრეტს“,
იმ მიუწდომელ სიმაღლიდან ვინც
ქვეყნიურ ავ-კარგს სიმართლით უჭვრეტს.
ბრძანე, მოგართვან ოქროს გვირგვინი,
თვალ-შემკულობით სწორუპოვარი
და, ნიშნად თქვენი მტკიცე ცოლ-ქმრობის,
თავზე დაადგი, ვით საწინდარი.
(ქალიშვილებს მოაქვთ ოქროს ხონჩით გვირგვინი. მედია წინ მოუძღვის იაზონ დაიჩოქებს, მედია თავზე დაადგამს გვირგვინს და გაბრუნდება)

გექადა

გილოცავთ, შვილო, ბედნიერებას!
შენს სურვილს ჩვენიც ტკბილად დაერთო...
თქვენი სიცოცხლე, ჭირი და ლხინი,
ამიერიდან იყოს საერთო!

იათა

ისმინოს მზემან და ნუ მოგაკლოსთ
მისი სხივები და ელვარება!
მედიას სატრფო და საყვარელი,
ნაშობ შვილივით ჩვენც გვეყარება.
(იაზონს) მედიასია, ჩემ სამთავროში
რასაც საკადრისს-კი ვეგულები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალ-მარგალიტი, ოქროქსოვილი
და ოქროჭედილ სამკაულები!...

იაზონ

ჩემო ხელმწიფევ! ვინც ბუნებისგან
ქვეყნის საოცრად არის შემკული,
რა საჭიროა მისთვის ზედმეტი
მორთვა-მოკაზმვა და სამკაული?...
თვით აფროდიტას სარტყელ-ქამარი,
რომლითაც ის თავს იმშვენიერებს,
მედიას სრულქმნილ თვალტანადობას
ოდნადაც ველარ გააძლიერებს!
სულ სხვა რამე მაქვს შემოსავედრი,
როგორც ელლადის თქვენთან მოციქულს,
და ველი თქვენი დიდსულობისგან,
არ გამისტუმრებთ მე გაწბილებულს!
„ოქროსმატყლოვან“ ვერძს ვითხოვ თქვენგან,
უნდა ელლადას ის დაუბრუნოთ
და ორი ქვეყნის ძმური კავშირი
შეჰკრათ საერთოდ და საუკუნოდ!
მათ საკუთრებას რომ მათვე მისცემთ,
ამით მოიგებთ თქვენ ელლადის გულს!
მეც—ცოტა სახელს... და მედია-კი,
როგორც მიზეზი,—ქვეყნის სიყვარულს...

იათა

სიამოვნებით! მაგრამ რა ვქნათ, რომ
არ შეიძლება შეუძლებელი!
ზოგჯერ, ნამდვილის ველარ შემტყობი,
ჭორის ბუდეა ეს ცრუ სოფელი...
ჩვენ ქვეყნის ამბავს თქვენდამი მხოლოდ
ჭორად და ხლაპრად მოუწევია
და თქვენც მაშინვე დარწმუნებულხართ,
ისე, ვით ყოველ ერსა სჩვევია!
აქ რა უნდოდა საბერძნეთის ვერძს
და მასაც კიდევ ოქროსმატყლოვანს? [16]
ამგვარ ხლაპრებით კოლხეთელები
ბავშებს ვაძინებთ ჯერ მცირეწლოვანს!
ტყავებით ვიჭერთ ჩვენ ოქროს სილას,
მდინარეების ჩამონატარებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად ვაგროვებთ შესაკრებელში
და გარეშეებს ვუკეტავთ კარებს.
იქვე დაუდგამთ ჩვენ მამა-პაპებს
ვერძი ოქროსი, ხატჩამოსხმული,
ზეციურ ვერძის წარმომადგენლად
და მისვე სახედ გარშეკაზმული.
მნათობ ციურ ვერძს, კოლხეთის მფარველს,
ამით თაყვანს სცემს ჩვენი ქვეყანა!
და აჰა, თქვენი ტკბილად მხიბლავი,
უცხო ზღაპარი და გამოცანა!

იაზონ (დიდიხნის სიჩუმის შემდეგ)

თუ ხელქმნილია... ეგ უკეთესი!...
იმისი მსგავსი ჩამოასხით სხვა,
რომ აიცილოთ თავიდან ქვეყნის
სამდურავი და ღმერთების რისხვა!
და ეგ დიდიხნის სადაო ნივთი
თან გაატანეთ თქვენ ქალს საჩუქრად,
და გულნატკენი ზღაპრით ელლადა
მით გაიხადეთ ისევ მეგობრად!

იათა

კი, მაგრამ შვილო, ვინ გამოიტანს?
არ ეკიდება ვაგლახად ხელი!...
ყოველ წამს და წუთს თვალ-ყურს ადევნებს,
თავზე ადგია საშიში მცველი:
რქებმოჭედილი ბასრი ფოლადით
გარს უტრიალებს მას ორი კურო...
იმათი შებმა და მათთან ბრძოლა
ნურვის ჰგონია საქმე სახუმრო!
მეორე მცველად გველეშაპია,
პირიდან კომლის ამომსუნთქველი!
უნდა ამ სოფელს გამოეთხოვოს
ზედ მიბმედავი, მისი შემბმელი!...

იაზონ

მე შევებმები, თუ თქვენც ინებებთ,
საშიშ მცველების არ მეშინია!...
განგებას ვინც-კი არ გაუწირავს,
მისთვის ზღვა ჭაა, ლომი—ფინია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გექადა (წყენით)

რას ამბობ, შვილო?! მათი მორევა
ხორცშესხმულს მაღლით არ უწერია!

იაზონ

მხდალი, უნდობი მოწყალე ბედის,
ნაცარქექია... თავის მტერია!
რათ მოვიმდურო მე ჩემი ბედი,
უხვად მომღები ჩემზე წყალობის,
და გავუწბილო მეცადინობა
ჩემთვის ღმერთებთან შუამდგომლობის!?

გექადა

დღევანდელ ძლევით გათამამებულს,
შენი გგონია ცა და ქვეყანა!
მაგრამ ვერ შეშლი იმ წესსა და რიგს,
რაც უძლეველმა ერთხელვე ბრძანა...
ყოვლის შემძლებელ მნათობთ-მნათობმა...

იათა (უკმაყოფილოდ აწყვეტინებს სიტყვას)

დედაკაცს მისცა სუსტი ბუნება,
რომელიც მარად ყურში ჩურჩულით
„არაო“ და „ნუ“ მას ეუბნება.
ურწმუნოა და ბუნების მგმობი,
გმირულ სურვილის ხელის შემშლელი!...
(იაზონს) შენი ნებაა, შეები, შვილო,
და მოგიმართონ ღმერთებმა ხელი!
რომ დაგიშალო, შენც არ დაიშლი!
ვხედავ, რომ რჩევით ვერას გავაწყობ!

მედია (უცბად წამოიძახებს)

აჰ, არა! არა! ნუ წახვალ!... მოგკვლენ!...

იათა (მრისხანედ)

მედია!... შენ აქ მეტი ხარ, გატყობ!...
(მედია მიდის თავჩაღუნული, ქალთა დასი გაჰყვება)
(იაზონს ღიმილით) ეგეც ქალია! საეჭვოდა აქვს
შენი გმირობა და გამარჯვება,
მაგრამ რომ გნახავს ძლევაშემოსილს,
გაუდიდდება ლხენა და შვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურს ნუ ათხოვებ და ნუ აჰყვები
საქალაჩუნო, სათუთ ქალის გულს!
წადი ახლავე, ნუ იგვიანებ
და ხვალ მოგელი მძლე-გამარჯვებულს!

(იახონი ეთხოვება და მიდის. ხალხი დაიშლება. საკრავის ხმა და ხმაურობაა. დარჩებიან მარტო იათა, გექადა და თირთა, რადგანაც კარისკაცებს იათა ანიშნებს წასვლას)

გექადა

რათ გაიმეტე?! რისთვის ჩააგდე
მაგგვარ საფრხეში ის ცოდვის შვილი?

იათა

მე რა ბრალი მაქვს? თვითონ ისურვა
და ავასრულე მისი სურვილი!

გექადა

კი, მაგრამ განა დაგავიწყდა, რომ
აღარ ექნება მას იქ საშველი?

იათა

კარზე მომდგარი უბედურება
რომ ავიცდინო, მეც მაგას ველი!...

გექადა

რას ამბობ მაგას?! რა ხუმრობაა?!

იათა

მე იმას ვამბობ, რაც სათქმელია!
ნუთუ შენთვისაც, ჩემო გექადა,
შორსმჭვრეტელობა ისე ძნელია,
რომ ველარ ხედავ ჩვეულებრივად,
ბერძნის მოყვრობით თუ რა მოგველის?!
ვისგან ნახულა ქვეყნად ნაშობი
კრავი ფოცხვერის და მტრედი გველის?
განთქმული არის ქვეყნად ბერძნების
გაუტანლობა, უმადურობა...
სხვა ქვეყნის ერის არად ჩაგდება
და თავის ტომით მედიდურობა!
სადაც ვერ ნახვენ მათ ქვეყნისებურ
რიგს ცხოვრებისას, წესწყობილებას,
ის ერი ერად არ მიაჩნიათ,
ვერც გრძნობენ მათთან კმაყოფილებას!
იმათი ქალი პირად მონებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმრისას ჯერეთაც ვერ ასცდენია:
კარდაკეტილში ზის, ართავს და ქსოვს...
უმნიშვნელოა, ქვეყნის რცხვენია!
კოლხეთის ქალი ქვეყნის შვილია
ქვეყნის ავ-კარგში მონაწილობით,
რჯულითაც სხვაა, ჩვეულებითაც,
შეუფერები ბერძნის ზრდილობით!
წარმოიდგინე, რა დღე მოელის
იქ ჩვენს მედიას, ცოცხალ-ცქრიალას?
ეგ ვერ აიტანს ბერძნის ქალობას,
ვერ დაიჩაგრავს სულ-ხორცის ძალას...
აღარ ექნება წამს მოსვენება,
იმ უცხოეთში ათვალწუნებულს,
და, თავისიანს რომ ვეღარ ნახავს,
ვილას მიანდობს სანუგეშოდ გულს?

თირთა

ეგ მართალია! მაგრამ მედია
სიყვარულით რომ გამჭვალულია,
ყველას აიტანს, შეისისხლხორცებს!
სიყვარულს ბევრი რამ შეუძლია!

იათა

ჰმ!... სიყვარული! ის წამიერი
გრძნობა-გონების ცრუ გატაცება?
ისე დაჭკნება, როგორც ყვავილი,
თუ აღარ ებმის იქ, სადაც ება!

გეჭადა

ეგ ადრე უნდა გეფიქრებია,
გვიანლა არის შეშლა პირობის!
მით უმეტეს, რომ მოსისხლე ღმერთი
თავდებ-მოწამე იყო გმირობის.

იათა

ღმერთები ხედვენ გულში დაფარულს
და გაარჩევენ ავ-კარგის მიზეზს!...
მშობელ-ნაშობის ხორციელ კავშირა
თვით არ უდებენ სამართალს და წესს?
ვინ მომცა ნება, გავწირო შვილი,
როცა წინათვე ვხედავ განსაცდელს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეე, ღმერთებმა, რაც უნდათ, ის ქმნან!...
მე ვერ დავაკლებ ხერხს და საცადელს.

გექადა

ქვეყანა?

იათა

დეე, ისიც მოსტყუვდეს...
განა ძნელია ახვევა თვალის?
ბრბო რას გაარჩევს, აწმყოთი მგრძნობი,
ყრუ გადასრულის, ბრმა მომავალის?
ჯერ საქორწინოდ ვიწყოთ მზადება,
უმეცარ ქვეყნის დასანახავად,
და, რომ მოგვივა ცუდი ამბავი,
ჩვენც შევიცხადოთ ავი რამ ავად!
გამოვიგლოვოთ! მერე-კი ისევ
ვიფიქროთ ქალის გათხოვებაზე,
და მივათხოვოთ სიამით მცხეთის
მამასახლისის შვილს, ჩვენს ნებაზე.
გარწმუნებ, მხოლოდ გვარტომობაა
თავდები ქვეყნად ბედნიერების,
ჭირის და ლხინის მარად საერთოდ
შეთანახმების... შეთანსწორების.
(თირთას) დაო, ერთგულო ჩვენი სახლობის,
კეთილნაღვაწო, ნაამაგარო...
ახლაც შეგშვენის, რომ ეს სურვილი
გონების სხივით შენ გაამყარო:
მედია შენ გყავს შვილად გაზრდილი,
გემორჩილება და შენი სჯერა,
დღესაც ურჩიე და შეაგონე...
შენ ხელში არის მის ბედისწერა.
(გექადას) და ჩვენ-კი, ჩემო თანამეცხედრევ,
წავიდეთ ერთად! ღმერთებს მივმართოთ!
ჩვენ ჩვეულებრივს ლოცვა-ვედრებას
ზედ სინანულის ცრემლები დავროთ,
რომ მოგვიტეონ უნებლიეთი
ჩვენი შეცდომა, დანაშაული!
შევწიროთ მსხვერპლი სადიდებელი
და დავიმშვიდოთ შემკრთალი გული! (მიდიან)

ფარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეხუთე

სცენა: ძვირფასად მორთული სასახლე ოქროს სვეტებითა და ოქროს სელ-ტახტებით. ოთხი კუთხით შადრევანები სცემენ.

გამოსვლა 1-ლი

(**მედია** შემოიჭრება ჯოხით ხელში და უკან **ძიძა** მოსდევს)

ძიძა

მოიცა შვილო... აბა რად გინდა?
შენ ისეც დახტი, როგორც კალია,
და მე-კი ფეხიც ვერ გადამიდგამს.

მედია

მერე და, ეგ რა ჩემი ბრალია?
ჩემო ძიძუნა, განა არ იცი,
რომ მოხუცებას ეგრე სჩვევია?
ხორცშესხმულს სტუმრად არ ასცილდება
ავი სიბერე და შენც გწვევია.

ძიძა

და მერე მიტომ მართმევ მაგ ჯოხს, რომ
ხელი შეუწყო ამ ჩემ სიბერეს?

მედია

განა სხვა ჯოხი არ იშოვება?
გამოგიჭრიან ტყეში მეორეს...

ძიძა

კი, მაგრამ ეგ ხომ საკუთრად ჩემთვის
შელოცვილია?! ნაჩუქარია!
სხვის ხელში მაინც ხომ ვერას გასჭრის
და, აბა, შენთვის რა სახმარია?

მედია

ვინ შეულოცა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიძა

მამიდაშენმა,
გველ-უნასების მოსაგერებლად...
თუ ეგ ხელში მაქვს, არ მეშინია,
დავდივარ ყველგან დაურიდებლად.
ძალიანაც სჭრის: მაგის გასმულ ხაზს
შხამიანი რამ ვერ გადასცდება;
თუ მოასწარი, გარშემოხაზე,
მოიგვერგვება, რგოლში დარჩება.

მედია

კარგი ყოფილა! მაგისთანა რამ,
რომ გავთხოვდები, მეც დამჭირდება.

ძიძა

რად გინდა, შვილო, მაშინ, როდესაც
სადედოფლო ტახტს ბედი გპირდება!

მედია

ვინ იცის?! ბედი ცვალებადია:
დღეს რომ ერთია, ხვალ კიდევ სულ სხვა!...

ძიძა

ღმერთები იყონ შენი მფარველი
და აგაცილონ წყევა და რისხვა!...
მოიტა, შვილო, ნუ მაგვიანებ!...
უნდა მივხედო იქაურობას...

მედია

აჰა, წაიღე! არ გემეტება...

ძიძა

იჰ, ვენაცვალე მაგ შენ ხუმრობას!... (მიდის)

გამოსვლა მე-2-ე

მედია და **თირთა** (შემოდის)

თირთა

რა ამბავია და რას საუბრობთ
მაგრე ხმამაღლა და აღტაცებით?
აწ, სადაც არის, მიმასახლისიც
გამობრძანდება კარისკაცებით!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედია

ჯერ ხომ ადრეა და რას დავუშლით?

თირთა

მაინც, რა გქონდათ სალაპარაკო?

მედია (იცინის)

ძველი ამბავი, მაგრამ ძიძისთვის
გასაოცარი და საარაკო...
ჯოხი მიჩვენა გამოხარშული,
რომელიც მისთვის გიჩუქებია!...
ასე ჰგონია, თუ ის ხელობა
ჩემთვის ჯერ არც-კი გისწავლებია!

თირთა

აბა რა, შვილო?

მედია

გველის შელოცვა...
გამოსადეგი ჩემთვის, საჭირო,
რომ გათხოვილმა უცხო მხარეში
ხალხი გავკურნო და გავაკვირო...

თირთა

„გათხოვილმაო?" აღარ უარობ,
დაგიჯდა ჩემი აზრი და რჩევა?
გისმინოს ზეცამ და ნუ მოგაკლდეს
ყოვლის შემძლებლის ლოცვა-კურთხევა!...

მედია

თქვენ უკეთ იცით, ჩემთვის რაცა სჯობს!...
მე მხოლოდ მმართებს დაგემორჩილოთ,
რომ ჩემ ბედს და თქვენს გამოცდილებას
მივენდო გულით საშვილიშვილოდ.

თირთა (აღტაცებით)

მაგას ველოდი შენგან, მედია!
გონიერი ხარ!... შორს გამჭვრეტელი!
დღეიდან შენით თავს მოიწონებს
შენი მამიდა, შენი გამზრდელი...
ჭკუის ურჩობა, გულის მონება,
საყოველთაოდ დედათ წესია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მედიას ჭკუა-გონება
ყოველ გრძნობაზე უმტკიცესია:
არ გადაჭყვება წამიერ გრძნობას,
პირველ საამოს, მერე სატანჯველს...
არც შეუფარდებს ცხადს—საოცნებოს
და საეჭველზე არ სცვლის უეჭველს...
წადი, მიმართე საყდარ-სალოცავს,
მადლი შესწირე ყოვლის შემძლებელს,
რომ გაგიმტკიცა ჭკუა-გონება
და აგაშორა ხვედრსა მავნებელს.
მეც წავალ, მშობლებს ვუმახარობლებ
მაგ შენ თანხმობას.. შენს აღსარებას...
და შევუერთებ ჩემ სიხარულსაც
იმათ მშობლიურ დიდ ნეტარებას.
(თავისთვის) ოჰ, რა კარგი ხარ, ახალგაზრდობავ!
გუშინ ტიროდა, დღეს მხიარულობს!!
მხოლოდ ჭაბუკის, გამოუცდელის
სიცოცხლე მძლავრობს, და გული გულობს!...

მედია (გააყოლებს თვალს)

არა, მამიდა! ყოველთვის ვერ სჭრის
ჩვეულებრივად ჭკუა-გონება:
როცა სურვილი გახელმწიფდება,
გონებაც გრძნობას დაემონება...
რომ დამიჯერე, თუ არ სურვილმა,
რამ შეგაცდინა და მოგატყუა?
სად არის შენი გამჭრიახობა
ქვეყნად განთქმული... და შენი ჭკუა?
ვინც მიყვარს, უნდა მას ვუღალატო?
უარვყო გრძნობა... გავტეხო ფიცი...
და ვიღაც მცხეთის მამასახლისის
შვილი შევირთო, რომ არც-კი ვიცი?!
მაშინ, როდესაც ახლა შევიტყვე
ცხოვრების სიტკბო... სიცოცხლის ფასი!...
და სიყვარულმა, მოუყირჭებელ
სამოთხის წყარომ, ამივსო თასი?!
არა, დიდია ჩემთვის ეს მსხვერპლი,
შეუძლებელი და უსაშველო!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული, მეურჩე სიყვარულისა,
ისე დასჭკნება, ვით ჩრდილში მდელო!
(მივა სარკმელთან და გაჭყურებს დაფიქრებული)
მშვიდობით, ჩემო ტკბილო ქვეყანა!...
მშვიდობით, ჩემო სამშობლო მხარე!
მშვიდობით, ჩემო სალოცავებო:
მზევ, ვარსკვლავებო და ნაზო მთვარე!
მშვიდობით, ჩემო კარგო დედ-მამავ!...
ჩემო მამიდა და ჩემო ძიძა!...
მშვიდობით... თვალით რასაც-კი ვჭვრეტდი:
ცაო ფირუზო და ზურმუხტ მიწა!...
შევკონე ცრემლით სხვადასხვა გრძნობა
და ჩავიმარხე ყველა ამ გულში,
რომ გულთან ერთად გადაჭეტანა
ერთ სხვა გრძნობაში და სიყვარულში.
წარსულის, აწმყოს და მომავალი
გრძნობის ის არის შესაკრებელი:
იაზონია მისი სახელი,
სიკვდილ-სიცოცხლეს ვისგანაც ველი...
„შარავანდედის“ წინ მაღლის ფიცით
გავიერთძალეთ სული და გული,
რომ სიკვდილამდე ერთს მეორესთან
აღარა გვქონდეს რამ დაფარული!
ჩვენს ფიცსა და მტკიცს, საშვილიშვილოს,
დაშრიალებდა „ჟყონდიდი“ — მუხა!...
ზეცამაც თვისი დაგვრთო თანხმობა:
ცამ გაიელვა და დაიქუხა!...

გამოსვლა მე-3-ე

მედია და იასირ (შემოიჭრება)

იასირ

მედია, მზად ხარ?

მედია

აი, მოვდივარ!

იასირ

მაშ, მალე!... მალე! ნუ აგვიანებ!...
ეტლი მზად არის და შენს თეთრ ჯორებს [17]
მე თვითონ გავრეკ და გავაქანებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-4-ე

(ისინივე და წინ შემოეფეთებათ სახლთხუცესი).

სახლთხუცესი

სად მიბრძანდებით?

იასირ

სად და საყდარში!
ვერ ხედავ, კიდეც გვიგვიანდება?! (მიდიან)

სახლთხუცესი

ჩქარა დაბრუნდით, თვარა, ხომ იცით,
მალე ბატონიც გამობრძანდება. (მიიხედ-მოიხედავს)
კარისკაცები ჯერ არ მოსულან,
და ბატონი-კი არ აგვიანებს!...
სჩანს, უჩვეულო რაღაც აშფოთებს!
ვნახოთ, რას გვეტყვის და რას გვიბრძანებს!
სუ!... მობრძანდება!...

გამოსვლა მე-5-ე

ისვე და **იათა, გექადა** და **თირთა**

(გამობრძანდებიან მხლებლებით. კარისკაცები შემოვლენ სხვადასხვა მხრიდან. იათა გექადა და თირთა ტახტზე დაჯდებიან. ორივე კუთხით-კი ღირსეულნი. სხვები ზეზე დგანან)

იათა

ააა! სახლთხუცესო!
ახალს რას გვეტყვი?

სახლთხუცესი

კარგად მყოფობას!
ღმერთებმა ძლევა ნუ დაულიონ
თქვენს ბატონობას და თქვენს მეფობას!...

იათა

არა იცი-რა?

სახლთხუცესი

ჯერ არა, მაგრამ
ამბის შემტყობი გაგზავნილია...
აწ, სადაც არის, უნდა გიახლოსთ
და მოგახსენოსთ, რაც ნამდვილია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იათა

უეჭველია, გუშინდელსავით
ძლევამოსილი დაგვიბრუნდება!
თქვენ, დიდებულნო! წინ მიეგებეთ!
შეასხით ღირსი ქება-დიდება,
რომ საკრავების სხვადასხვა ხმები,
ერთ სალხინო ხმად შეზავებული,
ცამდის უწევდეს და ტკბილად სძგერდეს
მისი გამგონე ამ ქვეყნის გული...
შედგენ სერებზე მეგანგაშენი,
საკიდისკიდო დასცენ საყვირი
და მთელ სამთავროს შეატყობინონ,
რომ მოგვევლინა სასიძოდ გმირი!...
გმირი, რომელიც უძლეველ ძალთა
დაიმორჩილებს და ითაყვანებს!

სახლთხუცესი

(რომელიც ერთ კარისკაცს ეჩურჩულებოდა)

აგერ, მთხრობელი კიდეც გხლებიათ!

იათა

შემოიყვანეთ! რას აგვიანებს?

გამოსვლა მე-6-ე

ისინივე და **მთხრობელი**

იათა

შენ ხარ მთხრობელი? აბა, რას გვეტყვი,
რომ მოგისაჯოთ სამახარობლო?...
ჩვენი სასიძოს გმირულ განზრახვას
კეთილი მოჰყვა, თუ ცუდი ბოლო?
რამ დაგამუნჯა?! ენა ჩაგვარდა?...

მთხრობელი

უბრძანეთ, მომჭრან ცოდვილი ენა!...

გეჭადა

როგორ?! გვიმტყუნა განა დღეს ბედმა
და გაგვირისხდა ბრწყინვალე ზენა?!

იათა

დამარცხდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთხრობელი

არა, ჩემო ხელმწიფევ!

იათა (შემკრთალი)

მაშ გაიმარჯვა?! რა სათქმელია!

მთხრობელი (წყენით)

რაც, დამსწრეს, ჩემის თვალით მინახავს,
ბატონო, რაღა საეჭველია?
მამაცს, შეჭურვილს საგმირთაგმიროდ,
გვერდში მისდევდა ვიღაც დამკვრელი,
მის ჩანგის ჟღერამ და ტკბილმა ჰანგმა
მოხიბლა, შეჰკრა მთლად მთა და ველი!
შავი მოზვრების მოსახიბლავად
მან თეთრი ძროხა წინ წაიძღოლა,
და მათაც, ვნებით დაქანცულებმა,
ველარ შეიძლეს რქენა და რჩოლა!
მხეცებს დაუცხრო მან გულის წყრომა,
მოინადირა და მოცახიბლა,
და იაზონმაც სწორედ ამ წამით
ისაშუალა და ისარგებლა... (სიჩუმე)

იათა

და გველეშაპი?

მთხრობელი

ბურთი ესროლა,
ლურსის გუდათი გამოტენილი,
და, რომ ებდღვირა ძილის წამალი,
მას მოერია სამი დღის ძილი.

იათა (შეშფოთებული, მრისხანედ)

აქ ღალატია! წყეულიც იყოს
ჩემი ორგული!... გამცემი ქვეყნის! (მოვა გონებაზე)
და გამარჯვებულს მეტი რა ეთქმის?
ასრულდეს მისი აზრი დიდი ხნის!...
სჩანს, რომ ღმერთებიც მისკენ ყოფილან
და ნდომებიათ მისთვის მედია...
ყოველი საქმის ბოლო-გვირგვინი
ამ ქვეყნად მხოლოდ ვარსკვლავ-ბედია!...
სად არის გმირი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთხრობელი

ის გაემგზავრა,
მხოლოდ სამშობლოს მადიდებელი...
წაიღო კრავი და მასთან ერთად
მთელი საუნჯე შესაკრებელი...

(საზოგადო აშფოთებაა, ყველანი ზეზე წამოცვივდებიან)

იათა (სასოწარკვეთილებით)

ვაი, სირცხვილო!... მთელი კოლხეთი
გახდა ბერძნების აწ სასაცილო!
ამ სასჯელს განა ის არ მერჩია,
რომ ვყოფილიყავ სულაც უშვილო?!
(თირთას) დაო! შენს გარდა იცოდა ვინმემ
ჩვენი სასახლის ის... სიდუმლო?

თირთა

მხოლოდ მედიამ და სხვამ არავინ,
ვით მცნება, მარტო საუფლისწულო!

იათა

მედიამ?! წადით, ეხლავ მომგვარეთ!...
რატომ არ არის აქ იასირი?

მთხრობელი

იმ ბერძენს გაჰყვა! იმასთან თურმე
საძმო-სამოყვროდ შეუკრავს პირი...

იათა

მდევარი!!

მთხრობელი

კიდეც გამოვუყენეთ,
მაგრამ დაბრუნდენ ხელცარიელი!...

იათა

ჩქარა!... მომგვარეთ! შემოიყვანეთ!
რა ამბავია, გავიგო!... ველი!... (შემოჰყავთ მდევარი)
ვეტყობათ, მტერი გაგიწყვეტიათ,
რომ ტყვეს ვერ ეხედავ ჩემთან მოყვანილს!!
ჰმ?! რას გაჩუმდით? კრიჭა შეგეკრათ?...
რატომ არ გახსნით მაგ ჩასამტვრევ კბილს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდევარი

ჩემო ხელმწიფე, როგორც გავიგეთ,
დაუყოვნებლივ მივდიეთ კვალში,
მაგრამ გაგვასწრეს, აუშვეს ნავი
და შეაცურეს შუაგულ წყალში.
ჩვენ სანამ კიდეს მივადგებოდით,
დაეშვენ წყალ-წყალ, იხვივით ცურვით!...
ჩვენ დავრჩით ხმელზე ხელცარიელი,
ტირილით, მოთქმით, ვაით და ურვით...

გამოსვლა მე-7-ე

ისინივე და **ქალიშვილები** (შემოდიან)

ქალიშვილები

ვძებნეთ მედია და ველარ ვნახეთ!
იქ სალოცავში ალარ დაგვიხვდა...
მასთან ძუძუდაც ალარსადა სჩანს!
ძიძაც ბევრს ჰფიქრობს და ვერას მიხვდა!...

მდევარი

მედია ნავში იჯდა მტირალი,
თმა გაეშალა... უწუხდა გული!...
ძუძუდაც თავზე დასტრიალებდა
და აბრუნებდა, გამწარებული.

იათა

განა მედიაც მოუტაცნიათ?!

გექადა

რაში არა ჰგავს?... ვინ იფიქრებდა?!
ნებაყოფლობით რომ გაჰყოლოდა,
რათ იჯავრებდა და იტირებდა?

მდევარი

იასირს ჰგლოვდენ!...

ყველა

როგორ თუ ჰგლოვდენ?! (გაკვირვებით)

მდევარი

აღელვებულ ზღვის დასამშვიდებლად
თავისიანი რომ ვერ გასწირეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასირ დასდვეს ბერძნებმა მსხვერპლად:
ჩაეგდოთ წყალში... ჩვენც შიგ შევცურეთ,
რომ სულთამბრძოლი გამოგვეყვანა,
მაგრამ, დავხედეთ და მკვდარი იყო,
ყელში გაერჭოთ მსხვერპლისთვის დანა!
თან წამოვიღეთ... (შემოაქვთ საკაცეზე დადებული)

გექადა

ვაიმე, შვილო,
თუ მამიშენის წყევლამ გიწია!!
აღარც დედაშენს უნდა სიცოცხლე...
ისიც შენთანვე დასამიწია!! (უნდა გადავარდეს, მაგრამ ქალები იჭერენ, ეხვევიან გარს და აბრუნებენ გულშეწუხებულს)

იათა (ხარდაცემული)

მიმტყუნა ბედმა და მომდგენ მკაცრად
ცისა და ქვეყნის ძალთაძალები!!
ეს დასადგომი და დასაშრეტი,
ამას რას ხედვენ ჩემი თვალები?!
მნათობთამნათო! ყურს რათ იყრუებ,
როდესაც გესმის ლოცვა-კურთხევა,
და ელვაზედაც უსწრაფესი ხარ,
თუ გაიგონე კრულვა და წყევა?!
რათ შეისმინე უგნური სიტყვა,
ცოდვილი პირის გამონათქვამი?
და წინ დამიდევ ცეცხლმოსადებად
უსუსურ ბავშის საბრალო გვამი?
რაღა ვარ ახლა და რაღა მქვიან:
ცაში გარისხულს, ქვეყნად უპიროს,
უძლურ-უღონოს და უსისხლ-ხორცოს
სასომიხდილსა და უშვილძიროს?!...
სიკვდილი მხოლოდ ჩემდა ნუგეშად!
(უნდა მახვილი ჩაიცეს. შეაჩერებენ)
მაგრამ რას ვამბობ? რა საჩქაროა!...
ჯერ შური... შური!... შურისძიების
დამაცხრობელი სისხლის წყაროა!...
სიკვდილი ბერძნებს!... მუსრი საბერძნეთს!
ხომ გესმის, მზეო, ყოვლად ძლიერო?!
უნდა გავმხნევდე... ვიცოცხლო, გავძლო,
რომ გადვუხადო სამაგიერო!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ სთქვა, ნეტავი, ჩემი სიბერე,
ჩემი სისუსტე და უძლურება?
არა!—ვგრძნობ, ძალა მიორკეცდება
და ვყმაწვილდები!... სიბერე ქრება!...
ვინ არის მეფე ზღვათა და ხმელთა,
იათა მთავარს რომ შეედაროს...
გადააჭარბოს შურისძიებით
და უკიდო ზღვად სისხლი დაღვაროს?!
მაღლით მთიებსაც-კი ეხარბება
ამქვეყნიური ჩემი დიდება!...
და მე ვასწავლი, თუ როგორ უნდა
სისხლის აღება!... შურისძიება...
ვაი საბერძნეთს, ამიერიდან...
დედებს ამის დღეს რომ დავაყენებ! (ათითებს გეჭადას)
მამებს ჩემსავით გულს დავუთუთქავ
და მკვდრებს საფლავში არ მოვასვენებ!...
ხა-ხა-ხა-ხა-ხა!... თქვენ, კოლხელებო!
გესმისთ?—მზადა ხართ? ხელი მშვილდ-ისარს!...
ქვეყნის გაწყვეტით და აოხრებით
შეუპოვარი ზეცას დავცემ ზარს!...
შვილებო, თქვენ ხომ არ გეწყინებათ?
დამეთანხმებით თქვენც, იმედია...
ხომ გესმის კარგად, შვილო იასირ?!
ხომ გაიგონე, ჩემო მედია?!
ხა-ხა-ხა-ხა ხა!...

თირთა

ციურნო დასნო!...
უბედურებამ ხელი დარია!...
ვაი მას, ვინც რომ არ ურევია
აღარც ცოცხლებში და არც მკვდარია!...

იათა (არეულად. თირთას)

ხომ გრძნეული ხარ შენ, თირთაია,
ყოვლის მოქმედი და შეუძლებელი?
მიცვალებულის სულის ჩამდგმელი...
ცოცხლის გამთირავ-გამქვავებელი?
გამოიჩინე ამ შავი დღისთვის
საჭირბოროტო ძალა, გრძნეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მტერს ხმელეთი ზღვად გადაექცეს
და ზღვა დაუხვდეს გაქვავებული...
შიგ მოჰყვეს მტერი და მოღალატე...
(ვედრებით) გადარჩეს მხოლოდ ჩემი ასული!...
ჩემი მედია! და იასირსაც
ხელმეორედვე ჩაუდგი სული...
ხა-ხა-ხა-ხა-ხა!...

თირთა

ვაი ამ სიცილს!...

იათა

მალე!... რას უცდი!... არ გინდა განა?
მაშ, ჩემს ღალატში შენც გარეულხარ!
მახვილი გულში და ყელში დანა!... (მიაშურებს მახვილით)

თირთა

იქით!... შეჩერდი, შე უბედურო!...
მახვილი გინდა ჩემზე იხმარო?...
(მისჩერებია თვალებში და ღელავს. იათა მახვილს გადააგდებს და ძირს ეცემა)
აი, შემთხვევა მოულოდნელი,
საუბედურო და სამწუხარო!... (თავისთვის)
სწავლა და ცოდნა, რაც კი ამ ქვეყნად
ჭკუა-გონების განაწონია,
ბრბოს სათვალთმაქცო და საგრძნეულო
მიუწდომელი რამე ჰგონია!...
მე შემიძლია, ვთქვათ, ჩემდა თავად
ეს მომაკვდავი გამოვაბრუნო (ათითებს გექადას)
და კარგის მოვლით და ხელშეწყობით (ათითებს იათას)
გადარეულიც ერთ დროს გავკურნო...
მაგრამ ვინ მომცა იმდენი ძალა,
რომ მე შევშალო წესი ბუნების:
აქ გავაცოცხლო მკვდარი იასირ
და იქ დიდება დავცე ბერძნების?!
(მიუბრუნდება კარისკაცებს)
თქვენ, კოლხელებო!... წაიღეთ მკვდარი!...
გადაუხადეთ რიგი და წესი!
ოქრო და ვერცხლით შეეფდეთ მუხა,
მრავალშტოვანი და უდიდესი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ ჩამოჰკიდეთ უსულო გვამი [18],
რომ ყოველის მხრით სცემდეს ნათელი!...
და გლოვის ნიშნად, ჩვეულებრივად,
ტანთ შეიმოსეთ მხოლოდ წითელი!...
წინ წაუძღოლეთ კაბდელთა დასი
ზორვით, კაბდურით, საყვირ-განგაშით,
რომ მით მაღლა ცა დაკმაყოფილდეს
და დედამიწა აქ ძრწოდეს შიშით!
ჩამოიწყვიტეთ ყველამ საკინძი!...
„ჰოი, შავდილავ" დასძახეთ ზარად
და მეც მოვიგლეჯ ჩემ თავსაბურავს
ნიშნად გლოვისა მარად და მარად!...

(მოიგლეჯს საბურავს, გარედან გალობის ხმა მოისმის. შემოაქვსთ „შარავანდედი" და უკან ზორვითა და ანთებულ კვარებით კაბდელები მოსდევენ. ხალხი ნელ-ნელა თავდაღმა ემხობა)

ფარდა ნელ-ნელა ეშვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორის შენიშვნები

1. ისტორიის წინასწართქმულობისა და მითების სამშობლოდ საზოგადოდ საბერძნეთია ცნობილი!.. უმეტესობა დღემდისაც დაჯერებულია, რომ ისინი შექმნა ელლინების აღტყინებულმა ფანტაზიამ და მერე გადმოსცა მთელ კაცობრიობას. მაგრამ ჩვენ-კი დარწმუნებული ვართ, რომ, პირიქით, ბერძნებმა გაიტანეს სხვა ქვეყნებიდან სულ სხვა ხალხების ამბები, შეისისხლხორცეს, თავისებურად გადააკეთეს და ფერცელილი უკანვე დააბრუნეს. ამას ნამდვილად გვიმტკიცებენ, ხვათა შორის, ძველისძველი მითები „პრომეთეოსზე" და „იასონ-მედეიაზე". ერთიცა და მეორეც ჩვენი ქვეყნის შვილია: აქ შობილან, აქ გაზრდილან და კოლხეთით ასე გადასულან ზღაპრულად ელლადაში. ავიღოთ პირველი: ბერძნების სიტყვით, „მთავარღმერთისაგან" ურჩობისთვის გარისხული პრომეთეოსი კავკასიის ქედზე იყო მიბმულ-მიჯაჭვული. მიჩენილი ჰყავდა მტანჯველად ქორი, ანუ ორბი, რომელიც გულ-ღვიძლს უწიწკნიდა, მაგრამ გმირი არ კვდებოდა; წყლული უმთელდებოდა, რომ ხელახლად ეგლიჯა მის ჯალათს —უზარმაზარ ქორს—და საბრალო ტყვის სატანჯველს დასასრული არ ჰქონოდა. ეს ამბავი საქართველოში, მთელ კავკასიაში სხვადასხვა ვარიანტებად მოდებულია, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ აქ პრომეთეოსს ამირანი ეწოდება. ბერძნულად სიტყვა „პრომეთეოსი" ნიშნავს „შორსმჭვრეტელს", აქაც ამირანს „შორსმხედველობას" აწერენ: „ცაში არა გამოეპარებოდა-რა და ქვესკნელში ჭიანჭველებს ხედავდაო", გვარწმუნებს ზეპირგადმოცემა. ბერძნები აღარ ამბობენ, თუ რა მანქანებით უმთელდებოდა წყლული პრომეთეოსს; ჩვენში-კი უფრო სრულად არის გადმონაცემი: ერთი ვარიანტი ამტკიცებს, რომ პატარა ფინია ძაღლი ულოკავდა წყლულს და ურჩებოდაო. მეორე ამბობს, რომ ქორის შემდეგ ყოველთვის ფასკუნჯი მიდიოდა, ფრთას უსვამდა და ჰკურნავდაო. ბერძნების გმირი დაუბმელი დარჩებოდა, რომ ხერხიან კოჭლ გეფესტს—ერთ ღმერთთაგანს—არ შეეყარა მისთვის ბორკილი. ჩვენს გმირსაც ვერავინ მიაკრავდა ქედზე, რომ არ გამოჩენილიყო ერთი გრძნეული კოჭლი მჭედელი. ამიტომაც საზოგადოდ მჭედლებზე გარისხებული ამირანი დღესაც ცდილობს, რომ თავი აიშვას, აიწყვიტოს და, რაც ქვეყანაზე მჭედლებია, ერთად ყველას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსრი გაავლოს... ეს ისე სწამსთ, რომ დღესაც კიდევ მჭედლები ჩვენში დიდ-ხუთშაბათს დილას სამჭედურში უზმოდ და უბრალ სამ-ჯერ ზედიზედ ურტყამენ ურიოს გრდემლზე, რომ ამირანის საჯაჭვო პალო ყოველწლობით გაამაგრონ ხოლმე და თავი არ ააშვებინონ!.. ბერძნის მწერლები ამტკიცებენ, რომ პრომეთეოსი ამარანტის მთა-ზე იყო კავკასიაში მიკრულიო. მესამე საუკუნეში ქრისტეს წინ **აპო-ლონ როდოსელი** ამტკიცებს, რომ მდინარე ფაზისი ამარანტის მთი-დან გადმოდასო, სადაც პრომეთეოსი იყო მიბმული. რა მთა არის ეს ამარანტა, ბერძნებისაგან მოხსენებული, რომ დღეს აღარ ვიცით? ეს ის მთა არის, რომელსაც ჩვენი ზეპირსიტყვაობა „ამირან-მთას" ეძახის და სადაც ამირანი იყო მიბმული. აღარ გამოვუდგებით წვრილ-მან რამეებს: ჩვენი აზრის დასამტკიცებლად, რაც ითქვა, ისიც საკ-მაოა.—მეორე ამბავი „იაზონ-მედიაზე" კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენს აზრს თავისის უეჭველობით. ელლინების გმირმა, თესალიის ბატონი-შვილმა იაზონმა, შეჰყარა გმირი ამხანაგები, გააკეთებინა ნავი „არ-გო" და წამოვიდენ კოლხიდისაკენ, ვითომც-და მათი ქვეყნიდან და-კარგულ ოქროსმატყლოვან ვერძის საძებრად. შემოცურეს ფაზისის მდინარეში შავი-ზღვით. იმ მდინარის პირად იყო საუცხოვო ქალაქი გაშენებული, რომელსაც „ეა" ეწოდებოდა. იქ იჯდა მეფედ „აეტი", ჰყავდა ერთი ქალი „მედია", გრძნეული მამიდის გაზრდილი. იმ მა-მიდას ერქვა სახელად „თირთეია" ანუ „ცირცეია"; ამან ასწავლა თავის გაზრდილს ძმისწულს, მედიას, გრძნეულობა და სხვადასხვა სამკურნალო, თუ საწამლავ ბალახების ხარშვა... აქვე, აეტის სამთავ-როშივე, იმწყსოდა ის ოქროსმატყლოვანი ვერძი, რომლის საძებნე-ლადაც იყო იაზონი წამოსული. იაზონმა მედიას დახმარებით მოი-ტაცა ის ვერძი და მედიაც თან წაიყვანა ცოლად. ამ ბერძნულ გად-მოცემაში, როგორც ადგილის სახელები, ისე თვით ქალაქებისაც, ერ-თი ყურის მოკვრით უცხოა, მაგრამ, თუ ჩაუკვირდებით, გამოდგება. რომ ყველა ჩვენებურია, „ქართული", მხოლოდ მათებურად, ბერძნუ-ლად, გადაჩიქორთულებული. რა წყალია ეს ფაზისი, რომლის დღეს ხსენებაც აღარსად არის?...—რა და რიონი, რომელიც ფასის მთიდან გამოდის და რომელსაც იმ სათავეში დღესაც ფასის წყალს ეძახიან. აქ გადასხვაფერებულიც არა არის რა. ბერძნული „ფაზის" იგივე „ფა-სის" არის.—რა იყო და რა ქალაქი იყო ბერძნების „ეა", სადაც წლის განმავლობაში მცენარე ჰყვაოდა?—ნაქალაქევი, ანუ ზღაპრუ-ლი „იას" ქალაქი, ის „იას" ქალაქი, სადაც, ზღაპრის სიტყვით, „ღვთისავარ" მონადირე მივიდა და ნახა, რომ ზამთარში იქ ია და ვარდი იშლებოდა.—ბერძნული „ეა" და ჩვენებური „ია" ერთი და იგივე უნდა იყოს. ვინ არის „აეტა" მეფე?—კოლხეთის მთავარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ქალაქში მჯდომარე „იათა“ მამასახლისი. ამგვარ შემთხვევაში ქართული ენის თვისებაა მრავლობითი რიცხვის ხმარება. თავის დღეში არ იტყვის „ზღვის მეფეო“, „ხმელეთის მეფეო“ და სხვანი ამბობს: „ზღვათა მეფე“, „ხმელთა მეფე“, „ვარდთა მეფე“, „იათა მეფე“ და სხვანი. „აეტა“ და „იათა“ ერთი და იგივეა. ცირცეია და თირთეია ერთი და იგივეა, რადგანაც უცხოელები „თანს“ „სანად“ გამოთქვამდენ ხოლმე. მაგალითად, პლინიუსი, 29—79, ამბობს: კოლხიდაში არის ერთი მდინარე ცირუსი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ცირის წყალს ეძახიან, შიგ რაც უნდა ჩააგდოთ, გაქვავდებაო, ეს წყალი დღესაც არის შორაპნის მაზრაში, ჭიათურის მახლობლად და ისევ იმ თვისების მექონეა. თირი ძველებურ ქართულად ქვა არის, გათირვა—გაქვავებას ნიშნავს. იათას დასწამებდენ გრძნეულობას, რომ ადამიანის, როგორც განკურნება, ისე გათირვა-გაქვავება შეუძლიაო, და ამიტომაც დაურქმევიათ თირა, ანუ თირთაია. ადვილი საგულისხმოა, რომ ეს ორი სიტყვა: თირთაია და ცირცეია ერთი და იგივეა. ამგვარადვე აიხსნება სახელი მედიაც. სიტყვა „ქალი“ მხოლოდ მერვე საუკუნიდან შემოსულა ჩვენში. არაბულად „ქალიმ“ ნიშნავს დედაკაცს, მანამდის ქართულად დედაკაცს „დია“ ერქვა. აქედან წარმოსდგება სიტყვა: „დიასახლისი“ და კნინობითი „დიაცი“. ჯერ კიდევ დღესაც ბევრს შეხვდებით ჩვენში, რომ „კაცია“ ანუ „მევარკაცი“, „ქალია“, ანუ, „მევარქალი“ ერქვას.—და თუკი „მევარქალი“ შეიძლება სახელად, რატომ „მედია“ კი არ შეიძლებოდა, რომელიც ერთსადაიმავეს ნიშნავს? ჩვენი „მედია“ „მედეად“ გადაკეთებულა ბერძნულად. რომელი ერთი მოვთვალოთ? რამდენი რამ არის ბერძნებისაგან გადათარგმნილი ანუ გადაკეთებული ქართველიდან: მაგალითად, ჩვენი ქვეყნის ერთი მდინარეთაგანის ბერძნული სახელი „ჰიპიუს“, იგივე ცხენის-წყალი არ არის? ის „კვენაკრი“, რომელიც დასავლეთით უბერავს კოლხიდას, ე. ი. ჩვენს „კოლხეთს“, იგივე „ქვენაქრი“ ანუ ქვენაქარი არ არის? „მოლი“, სამკურნალო ბალახი, რომელსაც მედია აგროვებდაო, იგივე ჩვენებური მოლი არ არის?... ძილისმომგვრელი წამალი მცენარეო... იგივე ძილისგუდა სოკო არ არის, ჩვენ რომ ვეძახით? და მეგრელები კი ლურსის გუდას ეძახიან, რადგანაც „რული“ ანუ „ლური“ ძველებური ქართულია და მცირე ხანს წაძინებას ნიშნავს! ამგვარ რამეებს რომ გამოვუდგეთ, შორს წაგვიყვანს და ამიტომ ჯერ თავს ვანებებთ უფრო დაწვრილებით გამოკვლევას! ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს „მედიას“ ტრილოგიად დაწერა: „მედია კოლხიდაში“, „მედია ელლადაში“ და „მედია სამშობლოში დაბრუნებული“. როცა სამივეს ერთად გამოვცემთ, მაშინ უფრო ვრცელს გამოკვლევას ჩავურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვავთ ზემოთქმულის შესახებ და დღეს-კი მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რაც საჭირო იქნება ამ პირველი ნაწილისთვის...

2. როცა გამწარებული ამირანი ჯაჭვის გაწყვეტას და თავის ამვებას მოინდომებს და გაინძრევა, მაშინ იძვრის ხოლმე დედამიწაცო,—ჰფიქრობდენ ძველად კავკასიელნი.

3. ძველად კოლხელები ცის მნათობებს აღმერთებდენ და მთიებსა სცემდენ თაყვანს, მაგალითად: მზეს, მთვარეს, ვარსკვლავთ გუნდს. ცის ბურჯებს, დილას, განთიადს და სხვათა. მათ-მათ შესაფერად უგალობდენ ლოცვის დროს: „მზეშინას", „თინას", „ოდილას", „შავდილას" და სხვა. ეს მაშინდელი მათი საგალობელი დღესაც სიმღერად არის ჩვენში დარჩენილი.

4. კერპთთაყვანისმცემლობის დროს მოფიცარს კერპის წინ ჩამოკიდებულ ზვარაკისათვის ტყავი უნდა გაეძრო, ანუ ანთებული ლამპარი გაექრო სულის შებერვით: „ფუ"-ო უნდა შეებერა სული... აქედან წარმოსდგა სიტყვა „ფუცი", ანუ „ფიცი" და აგრეთვე ხატებისა და სალოცავების ჩამოტყავება, რომელსაც ხალხში დღესაც ხშირად ამბობენ.

5. ორთეოზ, საბერძნეთის გამოჩენილი მესაკრავე და მომღერალი, რომელიც ყოველგვარ ცხოველ არსებას ჰხიბლავდა. იაზონ რომ კოლხეთისკენ გამოემგზავრა, თან იახლა და ისიც არგონაველებში ერიაო.

6. აქ ზოდიაკები, ანუ ცის ბურჯებია დასახელებული. „არეი" ანუ „ვერძი" განსაკუთრებით სალოცავი იყო კოლხელების და მარტო მის სახედ ჩამოსხმული ოქროს ვერძი ედგათ ბომონში.—მოსისხლე ღმერთად უწოდებდენ „მარეხს" და ეჯერათ, რომ ის, თუმცა მრისხანე იყო, მაგრამ მასთანვე თავმდაბალი და მათ „ვერძს" მწყემსავდა ცის ლაჟვარდში.

7. პინდარი, 522—442 ქრ. წინეთ: არგონაველები შეეიდენ ფაზისში და იქიდან აეტის სამფლობელოში.

8. აპოლონ როდოსელი, 250—200 ქრ. წინეთ: გზაში არგონაველებს თავს დასტრიალებდა, როცა კავკასიის მთები გამოსჩნდენ, ერთი უზარმაზარი ქორი, რომელმაც ნავი „არგო" დაჩრდილა. ის იყო პრომეთეოსის მტანჯველი ქორი.

9. ძველად ეჯერათ, რომ, ვისაც უეცრად ორბი თავზე დააჯდებოდა,—მეფობას იშოვნიდა.

10. ნადირობის ქალღმერთი ბერძნებისა.

11. ხალიბები ბერძნულად და ჩვენებურად—ქლიბები, ქართველთა ტომის ხალხი, კოლხეთში ცხოვრობდენ ერთ ხეობად. ყველაზე პირველად იმათ დაიწყეს რკინის ხელობა. ესხილი (525—456 ქ. წ.) აი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ამბობს მათზე: „პონტის მარცხენა მხარეზე ცხოვრობენ რკინის მოხელე ხალიბები. აკეთებენ რკინის იარაღს, რომელსაც ქლიბი ჰქვიან და მოაქვთ ელლადაში გასაყიდად“. ამასვე ამტკიცებს არიან ნიკომიდიელი: ყველაზე ადრე ხალიბებმა შეისწავლეს რკინის ხელობაო. დღესაც არის ისევე ჩვენში, რაჭის მაზრაში, ერთი მთა, გული რკინის მადნისა აქვს და უხსოვარი დროიდან მცხოვრებნი მჭედლობის მეტს არას აკეთებენ. ამ მთას ჰქვიან „წედისი“ ანუ „ჭედისი“.

12. ფსევდო-პლუტარხი: კავკასიაში იზრდება პრომეთეოსის ბალახი; როგორც კლეანტი ამტკიცებს, მედეია ამ სამკურნალო ბალახსა ჰკრეფდა. კლავდი კლავდიანი, 395 ქ. შემდეგ: მე კარგად ვიცი ზოგიერთ ბალახებისა და მცენარეების შხამიანი წვენი, კავკასიაში რომ იზრდებიან. იმას აგროვებდენ სასტიკი მედეია და ცბიერი ცირცეია.

13. პოლიდორი, 140 ქ. წ.: პელეოსი ურჩევდა იასონს, რომ ის წასულიყო კოლხიდაში ოქროსმატყლოვან ვერძის საძებრად.

14. კაბდელებს ეძახდენ ჩვენში კერპობის დროს მღვდლებს. ისინი ზორვის დროს, ე. ი. კმევის დროს, ჰგალობდენ. იქიდან წარმოდგა ჩვენებური სიტყვა „ზარი“ და „კაბდური“, რომელსაც დღესაც კიდევ აქა-იქ სამეგრელოში მღერიან.

15. მთვარე სიყვარულის ღმერთად მიაჩნდათ და საცოლ-ქმრო პირობებსაც ძველად მის წინ სდებდენ.

16. აპიან, 150 ქ. წ.: ადგილობრივი მცხოვრებლები კოლხიდაში ცხვრის ტყავებით იჭერდენ ოქროს სილას და ეს იყო ოქროსმატყლოვანი ვერძი.

17. აპოლონ როდოსელი, 250—390 ქ. წ.: როდესაც კი შენიშნა მედეიამ ცისკარი, დაიწნა თმები, იცხო სუნნელება და ჩაიცვა ძვირფასი ტანსაცმელი. თავი მოიბურა თეთრი თავსაბურველით, ტანზედაც სუნნელოვანი ზეთი იცხო, იახლა თორმეტი მოახლე, შეაბმევინა თეთრი ჯორები, ვითომდა გექადას საყუდარში სალოცავად მიდიოდა, მაგრამ გაიპარა და პრომეთეოსის ცრემლებისაგან შეხავებული წამლებიც თან წაიღო.

18. ძველად კოლხელები მხოლოდ ქალებს მარხავდენ მიწაში და მამაკაცთ-კი ხეზე ჩამოჰკიდებდენ ხოლმე. ამას ამოწმებს ელიანი და ნიკოლოზ დამასკელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პასტარა-პახი

(1889)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა-კახი

ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა.

მოქმედი პირები:

კახეთის მეფე თეიმურაზ II.
დედოფალი თამარ, მისი მეუღლე.
პატარა-კახი, მისი ძე, მემკვიდრე.
გივი ჩოლაყაშვილი, პატარა-კახის გამზრდელი.
ლევან ქვაბულიძე.
რევაზ ბებურიშვილი.
მწყემსი.
მოხუცი ბრმა, გელად წოდებული.
ტურფა, მისი ქალი.
თედო რამაზიშვილი, რევაზის მსახური.
ელენე, ლევანის და.
ბაადურ-კუტი.
მუშები,
შიკრიკები
და
ამალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება პირველი

დიდი ტყე, წინ ვაკით. შორით უზარმაზარი მთები მოსჩანან. ერთ პატარა გორაზე ზის მწყემსი და სალამურს უკრავს.

გამოსვლა 1-ლი

მწყემსი

(ჩამოდის ვაკეზე და მარჯვნივ ტყისკენ იყურება)

დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან!
მაგრამ სალამურს თუ მოჰკრა ყური,
ანდამატურის ძალით გამოსწევს
აქეთკენ მის გულს ხმა უცნაური.
(დაფიქრდება. ნაღვლიანის ღიმილით)
ვინ ქვაბულიძე და ვინ მეცხვარე?!
იქ, ბარში, ყველა ჩემი ტოლები
მტრებში ვეფხვივით დანავარდობენ
და მე-კი ცხვარში აქ ვიმალები!...
ისინი მტრის სისხლს ჰღვრიან უწყალოდ,
ზიზღით ევსებათ მრისხანე გული,
მე-კი ქალივით აქ ცრემლებს ვაფრქვევ
და სიყვარულით მიძგერს გლახ-გული!...
მერე როგორ დროს? მაშინ, როდესაც
სხვა უდიდესი წინ გვიძევს ვალი!... (დაფიქრდება)
მაგრამ ეს მოხდა ჩემს უნებურად,
გულთამხილავო, და არ მაქვს ბრალი!...
კიდევ არ სჩანან... ეგებ წავიდენ,
გაიარეს და ვერ მოვკარ თვალი?
აჰ, ღმერთო ჩემო! ჯერ უმისოდაც
დაბნეული მაქვს მე გზა და კვალი!
(მიბრუნდება და მაყვალს დაუწყებს კრეფას)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-2-რე

ბრმა მოხუცი და ახალგაზრდა ქალი.

მოხუცი

აქ შევისვენოთ!

ქალი (აქეთ-იქით იყურება)

თქვენი ნებაა!
სწორი, ვაკეა... ჩრდილიც ყოფილა...
წამოწექ!... მუხლზე დამადევ თავი
და დაიძინე!... აქ კიდეც გრილა.

მოხუცი

მუხლზე? კი, მაგრამ რომ გეტკინება!

ქალი

მაშ ქვას მოვიტან... სადმე იქნება...

მოხუცი

აჰ! არა, შვილო, რა საჭიროა?
უსასთუმლოდაც დამეძინება (ჯდება).
საკვირველია, თითქოს გაგრძელდა
ეს პატარა გზა დღეს ერთიორად;
ამასთან კიდევ მხარიც მომექცა
და მომეჩვენა უსწორმასწორად. (ამთქნარებს)
ასე სცოდნია თურმე სიბერეს:
დააუძლურებს თვალებსა და ყურს...
ერთი ხანია ყურიც მიწივის,
თითქოს უკრავდენ სადღაც სალამურს!

ქალი (გაწითლდება)

ეგ, მამავ, მართლაც სალამურია.

მოხუცი

სალამურია?! მერე ვინ უკრავს
იმ დროს, როდესაც ურიცხვი მტერი
ამ ჩვენ ქვეყანას გარშემო აკრავს?!...
მაშინ, როდესაც ბარში ქვრივ-ობლებს
მტრები მუსვრენ და სარზე აგებენ,
აქედან ჩვენი ეს მთიულები
სალამურის კვრით უპასუხებენ?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი

მწყემსები უკვრენ და თავს იქცევენ;
ხელში კომბლებით აქ უდგიან ცხვრებს.

მოხუცი

ეგ უკეთესი!... ვაჰ, ჩემს მოსწრებას!!
რა ესმის ამ ჩემს დასადგომ ყურებს?...
ამისთანა დროს იმ შერცხვენილებს
რა ემწყემსებათ და რა ეცხვრებათ?!
მაშინ, როდესაც იმათ მოძმეებს
მძიმე ბორკილი ფეხში ეყრებათ... (დაფიქრდება)
ეჰ, თეიმურაზ! რა მტყუანი ხარ,
რომ მოაშურე ამ მთის სიმაგრეს
და ბარელები ოხრად დაჰყარე,
რომ არ უყურო იმათ სიმწარეს
შენ რომ გულს იტეხ, მტერი თამამობს
და შეუპოვრად ქართველს აძრობს ტყავს!...
დამნაშავე ხარ!... მაგრამ მეფე ხარ
და ვინ რას გეტყვის? ვინ რას მოგკითხავს?...

ქალი

კარგია, მამავ! მაგდენს რომ შფოთავ,
კიდევაც მიტომ არ გეძინება.

მოხუცი

მგზავრმა რა გითხრა? ქოშის გორამდე
მისასვლელი გზა შორი იქნება?

ქალი

არა!... ასე სთქვა: „აგერ არისო“,
თუ მართალია და არ მოჭორა!... (სიჩუმე)
მამილო! ვისი აგებულია
და ან რათ ჰქვიან მას ქოშის გორა?

მოხუცი

ძველი დროების ამბავი არის,
მე ზღაპარივით გამიგონია,
და გეტყვი, შვილო, რადგანც სურვილი
მაგის შეტყობის გულში გქონია:
ამბობენ, ვითომც რომ თამარ მეფემ
ერთ დროს არავინ ინახულაო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმოცი დღე და ორმოცი ღამე
აქ, შუამთაში, იმარხულაო.
რომ გაიწმინდა სულით და ხორცით,
ქოში გაიძრო მოჭედილიო,
ააესო მიწით და თან წაიღო,
რომ დაენიშნა ის ადგილიო,
სადაც ერთ დროში კახელ ყმაწვილებს,
თავი დაედვათ წამებულადო,
და იქ დაჰყარა ნაკურთხი მიწა
ძღვნად და საკურთხად დიდებულადო.
იმის მაგალითს სხვებჰაც მიჰბაძეს:
ყოველი კუთხით იწყეს დენაო;
გაკეთდა გორა და ზედ თამარმა
წმინდა ტაძარი ააშენაო.
როდესაც თურმე პირველად სწირეს,
მაღალმა მთებმა იწყეს დრეკაო
და თამარ მეფეს, ნათლით შებურვილს,
ზეცით მოესმა ზარის რეკაო!

ქალი

ნეტავი იმ დროს და მაშინდელ ხალხს,
რომ სასწაული თვალით უნახავს!...
მამილო! ახლა ქართველ ქალებში
თამარისთანა აღარავინ გვყავს?

მოხუცი (იცინის)

რას ამბობ, შვილო? იმისთანები
განა ყოველთვის იბადებიან?!
ოცნებასავით სამაგალითო
ვარსკვლავებივით ნათლად ჰქრებიან!...
(სიჩუმეა. რაღასაც იგონებს)
სიტყვა უდროოდ გამაწყვეტინე!
არ მაგონდება... შვილო, დავბერდი...
ჰო, ქოშისგორა, ვის სახელზეა?
ის უნდა მეთქვა... მაზე გავჩერდი...
ტაძარი ყოვლადწმინდის სახელზე
სულ ჩუქურთმებით აგებულია
და სასწაულის მოსაგონებლად
ხვალინდელი დღე დადებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივალთ და ვნახავთ იმ ძლიერ ტაძარს...
გულს დავიმშვიდებთ სიწმინდის ნახვით!...
ჩვენც გვმართებს, შვილო, რომ სხვებთან ერთად
ღამე ვათიოთ ლოცვით და მარხვით.

ქალი

მაგას რაღა სჯობს?! მაგრამ თუ, მართლა,
ამაღამ ძილი არ შეიძლება,
აქვე რომ ცოტა გამოიძინო
და შეისვენო... რა გენაღვლება?
მეც ცოტა ხნობით ტყისაკენ წავალ,
სოკოს მოვძებნი, ან მოვკრეფ მაყვალს.
მაგრამ აქვე-კი ახლოს ვიქნები,
არ მოგაშორებ არც ერთ წუთას თვალს.

მოხუცი

ჰო, კარგი, შვილო! მაყვალს კი ნუ სჭამ,
რომ დასუნთქული არ ჩაატანო.
მანამდე მეც აქ თვალს მოვატყუებ.
მაგრამ შენ კი არ დამაგვიანო. (მიწვება)

ქალი

(მიდის ტყეში და აქეთ-იქით იხედება).
რა ამბავია, რომ აღარ მოდის?
ამდენ ხანს რისთვის დაიგვიანა?
რომ არ მოვიდეს? როგორ არ მოვა?
ჩემს უნახავად დღეს გასძლებს განა?
არა! კი მოვა, მისი ჭირიმე!
მაგრამ, ვაი, რომ, როდესაც ვხედავ,
გულში ბევრი მაქვს მასთან სათქმელი
და პირადად კი ვერას ვუბედავ!...
გული მიტოკავს და რაღაც ყელში,
როგორც რომ ბურთი, ისე მეჩრება...
ენა მებმევა... ხმას ველარ ვიღებ,
სიცხეს მაძლევს და პირი მიშრება!...
ჩუ!... სალამური... სწორედ ის არის!...
იშ!... შეხედვასაც რომ ვერა ვბედავ!...
მაყვალს დავუწყებ ჩემთვის აქ კრეფას,
ვითომ არ მესმის!.. ვითომ ვერც ვხედავ...
(ბურგს შეაქცევს და მაყვალს დაუწყებს კრეფას)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 3-მე

ისინივე და **მწყემსი** გამოდის მარჯვნივ

მწყემსი (მიუახლოვდება)

ტურფავ!

ქალი (შეკრთება)

უიმე!

მწყემსი

რამ შეგაშინა?
მე ვარ, ვერ მხედავ, შენ გეთაყვანე?

ქალი

უეცრად შევკრთი... აღარ გელოდი...
ამდენ ხანს რისთვის დაიგვიანე?

მწყემსი

მე კი არა, თქვენ დაგიგვიანდათ.
დიდი ხანია, რაც მე აქ ვიცდი.

ქალი

ვერ მოვატანეთ... გზა გაგვიგრძელდა,
რადგანაც განგებ ბევრჯელ გადავცდი.

მწყემსი

გადასცდი? რათა?

ქალი

როგორ თუ რათა?
ბრმა არის, მაგრამ არ ავიწყდება...
სულ იმ ერთი გზით რომ მოვიყვანო,
დაუკვირდება და მიგვიხვდება.
რაც შემიძლია, ვუბნევ გზა და კვალს!...
კიდევ კარგი, რომ გზა გამშრალია!...
ხან ალმა მიმყავს და ხან თავდალმა,
ვატყუებ, მაგრამ შენი ბრალია!...

მწყემსი

შენ გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე,
რომ ჭკვიანი ხარ!... მოხერხებული!...
მაგნაირ ცოდვას ზეცაც არ გიწყენს...
თავდები არის თვით სიყვარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი

მეც მაგრე ვფიქრობ, რომ ბევრს შეუნდობს
და აპატიებს კაცს სიყვარული...
მაგრამ რა ვიცით, რომ ამ ჩვენ ორში
ერთი არ არის მოტყუებული?
უფროსებისგან გამიგონია:
კაცები ქალებს აბრიყვებენო
და, სიყვარულს რომ გამოსტყუებენ,
გულგრილად ხელსაც აიღებენო.

მწყემსი

ეგ მართალია!... მოხდება ხოლმე,
მაგრამ მე სხვა ვარ!... ნუ გამრევ მათში!...
მაშინ შემირცხვეს გვარისშვი... ჩემი...
ჩემი ბიჭობა და წვერ-ულვაში!...
(გამოიგლეჯს ულვაშის ღერს და აძლევს)
აი, წაიღე! ეს სიყვარულის
საწინდარია!... შენ შეინახე!...
თუ გიღალატო, „ფუ!" უთხარ, დამგმე!
შემარცხვინე და ცუდად დამსახე!!
მამაპაპური ეს ჩვეულება
დღეს რჯულად არის გადაქცეული
და, ვისაც ქუდი ახურავს თავზე,
ვერ გასტეხს... თუ არ შეჩვენებული.

ქალი

არ ვიცი, რა ვქნა? ერთი ხანია,
რაღაცა ძალი გარს შემომედო...
ჯერ ვინაობაც შენი არ ვიცი,
მაგრამ გული-კი სრულად მოგენდო.
შენგან მოხიბლულს და დამონებულს,
რასაც-კი ამბობ, უიქვოდ მჯერა,
ამას გიმოწმებს დღეს ჩემი სახე,
ჩემი თვალები და გულისძგერა.
ახლა შენ იცი და შენმა ღმერთმა...
შენ მოგაბარებ ამ ჩემ გულისთქმას
და ჯერ, სანამდის ჯვარს არ დავიწერთ,
ისე გენდობი, როგორც ჩემ ღვიძლ ძმას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაინც მსურს, რომ შემოგფიცო...
(გამოიძრობს თმას, გამოსკვნის და აძლევს)
აჰა, წაიღე ჩემგანც საწინდრად!
თუ დაგივიწყო, ჩააგდე ცეცხლში,
რომ მეც დავიწვა და ვიქცე ნაცრად.

მწყემსი (აღტაცებით)

ოჰ, ნეტარებავ! სიტკბოების ზღვავ,
გაუზომელო, სივრცით უძირო!
თვით უკვდავების კამკამო წყარო,
ჩემთვის ცისა და ქვეყნის კავშირო!...
შენ შემოგევლოს გარს ჩემი თავი!
უშენოდ ქვეყნად განა-კი გავძლებ?
ასი სიცოცხლეც რომ მქონდეს, ერთად
შენ შემოგწირავ!... შენ დაგანაცვლებ!!
(უპირებს მოხვევას)

ქალი (ხელსა ჰკრავს)

უი!... რას შვრები?

მწყემსი

მინდა გაკოცო.

ქალი

ჯვარის წერამდის? ცოდვა რომ არი?!
აჰ! არა! არა!.. წადი... გამშორდი!...
ვერა!... ჯერ, სანამ არა ხარ ქმარი...

მწყემსი (დაღონებით)

მოგშორდე? კარგი! შენი ნებაა...

ქალი (აღშფოთებით)

ჰო! წადი... წადი... მომშორდი მალე!...
(მწყემსი მიდის)
მიდიხარ? კარგი, მაშ იქ ამოდი...
ქოშისგორაზე... შენ გენაცვალე!...
მიდის!... წავიდა... არა, ნუ წახვალ!...
(მივარდება და მიეკვრის გულზე, მერე ისევ მოშორდება)
ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მემართება?! (ხელს ჰკრავს)
ახლა-კი წადი!... ნულარ მოიცდი..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ! ნუ! ხომ ჰხედავ?! არ შეიძლება!..
(თვალებზე ხელს იფარებს. მერე ისევ მობრუნდება)
წასულა!... აგერ მთაზე გადადის...
აი, მობრუნდა და იყურება...
ნეტავ, რათ არის ერთს და იმავ დროს
ტკბილიც და მწარეც ბედნიერება?..
(ჩაჯდება, თავს ჩალუნავს, ხელებს მიიფარებს და ტირილი აუვარდება)

მოხუცი (წამოვარდება ზეზე შეშფოთებული)

რა ამბავია?... აქა ვარ, შვილო!...
რა დაგემართა? რამ შეგაშინა?
ძალლმა ხომ არსად შემოგიტია!
წყეულმა გველმა ხომ არ გიკბინა?

ქალი

არა, მამილო, არაფერია!..

მოხუცი

მაშ, შვილო, მაგრე რამ მოგაწყინა?

ქალი

მარტო რო დავრჩი, ჯავრმა წამიღო
და უნებურად გული მატკინა.
მწარე ნაღველიც, ცრემლში ჩართული,
თვალთ მომეჩქეფა, გადმომეწურა!...
თვითონ არ ვიცი, რა ძალა იყო,
რამ ამატირა... ცრემლად დამწურა!

მოხუცი

ჰმ!... სულ ეგ იყო, სხვა არაფერი?
მივხვდი!... ეგ, შვილო, არაფერია:
სისხლი თამაშობს მოჭარბებული
და გულიც მისგან ანაძგერია.
მოგწყინდა განა? რაღა თქმა უნდა:
სულ მარტოობა ვის იამება?...
მე ჩემს მომვლელად ამიყვანიხარ
და შენ-კი გული სხვას გეუბნება.
შენი ყვავილი ახლა იშლება,
ჩემი ფესვებიც კი დამზრალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთ ულელში რომ გაბმული ვართ—
ეს, მე რომ ბრმა ვარ, მისი ბრალია!
მაგრამ, ეჰ, შვილო, მოიცა ცოტა:
ჩემი ცხოვრების გზა გაელილია,
აწ, სადაც არის, მომიკითხავენ,
ჩემი დღეები გამოთვლილია!...

ქალი

აბა, რას ამბობ?!... კიდეც ეგ არის,
რომ მე მატირებს და სულს მიხუთავს!
შენ გეჭირვება ყურის მგდებელი
და მაგისთანა კი არვინა გვყავს.
მწყემსი რომ ჩვენ არ მოგვშველებოდა
იმ დღეს, ძაღლების მოსაგერებლად,
ხომ დაგვწიწკნიდენ სულ ლუკმა-ლუკმად
და გავხდებოდით ყვავ-ყორნის მსხვერპლად?
არა, მამილო, ქალი სუსტია,
კაცის ოდნობას როგორ შეიძლებს!
ნეტავი ერთი ვაჟი გყოლოდა!

მოხუცი

ეჰ, რათ მაგონებ დაკარგულ შვილებს?
ვაი მათ მომგონს!... განა არ მყავდა,
მაგრამ არ შემრჩა! გამიწყდა ყველა!...
სამი ერთს ომში ერთს დღეს მომიკლეს
და ეს თვალებიც მან დამიბნელა;
ცოდვა არ არის, მე კიდევ ვიყო
და ისინი კი?!... (ტირის. სიჩუმეა)

ქალი

ნეტავი ერთი
ყმაწვილი ვინმე გეშვილებოდეს,
რომ ჩემთან ერთად შენ ყურს გიგდებდეს,
სულ შენთან იყოს! თავს გევლებოდეს...
მაშინ მეც..

მოხუცი

შენ რა? შენ რას იზამდი?...
გამიზიარე შენი გულისთქმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი

იმას, რომ... მაშინ მეყვარებოდა
შენი გულისთვის, როგორც ღვიძლი ძმა.

მოხუცი

ჰმ... მესმის! მესმის, თუ რა ღვიძლი ძმა!

ქალი

როგორ თუ რა ძმა?.. ეგ რა სიტყვაა?

მოხუცი

ვიცი, რაც არის! განა ვერ მივხვდი?
შენ რომ ძმას ამბობ, ის ძმა სულ სხვაა! (იცინის)

ქალი

იჰ, რაებს ამბობ! (მორცხვობით) რა დროს ეგ არის?
მზემ შუბის ტარზე გადმოიხარა.

მოხუცი

მართლა? მაშ ახლა-კი დრო ყოფილა,
აბა, ჰე, შვილო, წავიდეთ ჩქარა! (მიდიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

გამოსვლა 1-ლი

(ტყიდან გამოდის პ ა ტ ა რ ა-კ ა ხ ი და აღტაცებით იხედება აქეთ-იქით)

პატარა-კახი

ძლივს მარტო დავრჩი!... ოჰ რა კარგია
სამოთხის ნიჟი, თავისუფლობა!!
რად მინდა, რომ ვარ ბატონიშვილი?
და რაღად მიღირს უფლისწულობა,
თუ ჩემს ნებაზედ ბიჯსაც ვერ გავდგამ?
უნდა მივდიო ქვეყნის მაცდურ ხმას!...
მძიმე უღელი დავდგა ჩემს სიყრმეს
და შევაკვეცო ფრთები გულისთქმას!!
(შორიდან სალამურის ხმა მოისმის)
ჩუ!... სალამური!... მწყემსია, სწორედ.
აი, სად არის ბედნიერება:
სცხოვრებს თავისთვის ბუნების შვილი
და გულს უსრულებს, რაც ენატრება.
(დაჯდება და ყურს უგდებს სალამურს)
ვიშ! რა კარგია ეს სალამური!...
როგორ იტაცებს გრძნობა-გონებას!...
სიამით ჰხიბლავს უსაზღვრო სურვილს
და აფერადებს მაცდურ ოცნებას!!
მივვაფრენს სადღაც ლაჟვარდ უფსკრულში,
ედემის კიდით შორეულ მხარეს
და აქ აერთებს ნათლის კავშირით
ჩვენს სიტკბოებას და ჩვენს სიმწარეს.
(დაფიქრდება და ყურს უგდებს სალამურს)
გამიგონია, ვითომც ლერწამი
ობლის საფლავზე ამოსულიყოს
და თავის ქნევით, დამუქრებული,
მაღლა ზეცისკენ ის წასულიყოს,
რომ მიეტანოს იქ ჩვენის ქვეყნის
მწარე ამბავი და საჩივარი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იმავ დროს, ეშმაკის სული,
დასტაკებოდეს გრიგალი ქარი,
გადაეღუნოს, გადმოეღუნოს
და მოეთხაროს სულ ძირიანა;
მერე ენახოს მწყემსს წაქცეული,
ხელში აეღოს პატარა დანა
და გამოეჭრას მას სალამური,
რომ მოწყენის დროს სული ჩაჰბეროს,
და მთა და ბარის დასატკბობელად,
ააკვნესოსო და ააटიროს...
ეს უნდა იყოს ის მაცდური ხმა,
პირველ მწყემსისგან მოგონებული!
აქ ისმის ცის და ქვეყნის ამბავი,
ერთად შეთხზული, შეზავებული!...

ხმა ტყიდან

ბატონიშვილო!... უუუ!

პატარა-კახი (შეკრთება)

უჰ, ღვთის რისხვა!
რომ არ მომნახო, არ შეიძლება?!
დარბაისლური ზრდილობით მოხვალ,
რომ მომიწამლო ტკბილი ოკნება!...
უუუ! აქ ვარ!... აქეთ წამოდი!...

გამოსვლა მე-2-რე

იგივე და **გივი**.

გივი

ბატონიშვილო, სად ბრძანდებოდი?
ერთხანს გეძებე ამ უტეხ ტყეში
და, რომ ვერ გნახე, შიშით ვკვდებოდი!...

კახი

რამ შეგაშინა? მგელი შემჭამდა?
რისთვის ჩამომრჩი? ვისი ბრალია?

გივი

წინ შეხვდა ერთი მოხუცებული,
იმასთან შევდექ, შემიყოლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახი

მართლა?!... მეც შემხვდა... ვგონებ, გიჟია!
ან დღეს უთუოდ სადმე დამთვრალა:
ფული მივეცი მას სამოწყალო,
იუკადრისა და დამამწყრალა!

გივი

რომ სცოდნებოდა, თუ ვინ ბრძანდებით,
კადნიერებას ვერ გაბედავდა.
მაგრამ ბრმა არის ის, უსინათლო,
და ბატონიშვილს ვერა ჰხედავდა!...

კახი

გლახაკი, ბრმა და ამპარტავანი?!

გივი

გლახა არ არის, თუმც-კი გახლავს ბრმა:
სახელოვანი იყო ის ერთ დროს
და დღესაც სხვაა მაგის გულისთქმა!...
სხვას რამეს ითხოვს მაგისი გრძნობა,
სხვაგან მიჰფრინავს მაგის გონება!
მაგისი ღვაწლი და სამსახური
სამოწყალოთი არ იწონება!...
გიორგი არის... გვარად ხმალაძე...
ჰშვენოდა სიმხნე და მამაცობა...
მტერთან საომრად მაგას დაჰყავდა
დაბალი ხალხი და გლეხკაცობა...
მთაში და ბარში სწორად ნაქებსა,
დღესაც იგონებს მაგას სუყველა;
გასაოცარი ვაჟკაცობისთვის
მეტი სახელი დაარქვეს „გელა“.

კახი

ეგ არის გელა?

გივი

დიახ, ეგ გახლავს.
დაბრმავებულა ერთი ხანია...
მიკვირს, აქამდის რომ ცოცხალია,
რაც მაგას ჭირი აუტანია.
ამდგარა, დადის სოფლიდან სოფლად,
წინ დაუძღვება პატარა ქალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გლეხკაცობას ურჩევს, რომ იმათ
გამოახილონ ამ ცუდ დროს თვალი
და მიეშველონ ძმურად ბარელებს,
მტრისგან დაჩაგრულს და დამონებულს!
გულის გასახეთქ საყვედურებით
მათაც აშფოთებს და უღელვებს გულს.

კახი

ხალხი რას ამბობს?

გივი

სიტყვას უჯერებს:
ემზადებიან მტერთან საომრად
და, მეთაური თუ გამოუჩნდათ,
თან მიჰყვებიან ყველა ერთპირად.

კახი

მეთაურია?... მერე ბატონი
თეიმურაზი რაღასა ბრძანებს?

გივი

ჯერ ლოცვაშია!... ხალხს ღმერთს ავედრებს
და მტერთან ბრძოლას კი აგვიანებს!

კახი

მერე და არ სჯობს, რომ უპატრონოს
და ყური უგდოს დაჩაგრულ მოყმებს?
ცრემლით ვედრება და წირვა-ლოცვა
მიანდოს მხოლოდ მან წმინდა მამებს?

გივი

ეგ მართალია! მაგრამ ბატონი
გულის ფრიალმა დაასნეულა...
დღეს ქვეყნის თვალი თქვენ შემოგყურებს
და მხოლოდ თქვენზე იმედობს ყველა.

კახი

მე?

გივი

დიახ! და თქვენც გმართებთ სიფრთხილე!...
დღეს ჩაგვაშხამეთ კინაღამ დილა:
დაკოდილ დათვზე ხმალდახმალ მისვლა
ვისგან ნახულა? სად გაგონილა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახი

მინდოდა მკლავი გამომეცადა,
ერთის მოქნევით გამეპო, მსურდა,
და ის მაწუხებს, რომ ულონობით
ჩემი სურვილი ვერ შემისრულდა.

გივი

რას ბრძანებთ?! მაგრე მტერს რო შემოჰკრათ,
თვით ბუმბერაზსაც ჩამოაგდებთ ძირს.

კახი

ნეტავ პირველად ჩემი მახვილი
მტერს მოხვედროდა და არა ნადირს.

გივი

განა მაგას-კი ვერ მოესწრებით?!

კახი

რაღა დროს, ჩემო მოჭირნახულე?
მეჩვიდმეტეში გადამდგარი ვარ!...
თექვსმეტი წელი დღეს შევისრულე.
მაგრამ მორჩილი რომ ვარ ტანადად,
მიტომ გგონივართ ყველას პატარა
და ნადირობით გინდათ გამართოთ!...
ტყვილა ნუ ჰფიქრობთ!... ახლა-კი კმარა!
საკუთარ ტანჯვად მე მიეჩნია
ჩვენი სამშობლოს უბედურება
და ვერ ვუყურებ გულდამშვიდებით,
როცა ამდენი სისხლი იღვრება!...
რა დროს ლხინია და ნადირობა?!
განა ეს არის დღეს ჩვენი ვალი?!
წადი, მშობლებთან მიშუამდგომლე:
გზა დამილოცონ, მიკურთხონ ხმალი!

გივი (აღტაცებით)

გმადლობ, ღმერთო, რომ ამ დღეს მომასწარ!
ამას ელოდა მოხუცი გივი!!...
და, ჭირნახული რომ არ წამიხდა,
ბედს არ ვემდური! აღარას ვჩივი!...
ბატონიშვილო, ეგ სიტყვებია,
შენგან რომ მსურდა მე გამეგონა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეცი ხელი, რომ გეამბორო! (იჩოქებს)
შენ წინ მუხლს ვიდრეკ, ერთგული მონა.

კახი

ნუ! ნუ! ადექი!... ჩემო გამზრდელო!
ეგ შენს ჭალარას არ ეკადრება... (აყენებს)
მამაშვილური შენი მოხვევა
გულსა სწყურია!.. სულს ენატრება!
(გადაეხვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან)
ახლა-კი დროა, ჩემო გამზრდელო,
საქმეს შევუდგეთ... დრო ძვირად გვიღირს!..
რევაზმა რისთვის დაიგვიანა?
საფათერაკო ეგებ რამე სჭირს!...

გივი

არა, ბატონო, თქვენს დაკოდილ დათვს
ის გამოუდგა წელან კვალდაკვალ...
შორს არ იქნება და, თუ მიბრძანებ,
მე დავუძახებ, ახლავე წავალ!

კახი

კარგი იქნება! მანდ, ვგონებ, ახლოს
მწყემსია ვილაც, სალამურს უკრავს,
და გადასძახე, რომ ჩამოვიდეს,
მაგრამ ნუ ეტყვი ჩემს ვინაობას!
(გივი გადის. კახი დიფიქრდება და ცოტა ხნის შემდეგ ამბობს)
რაები მითხრა ჩემმა გამზრდელმა?
გული დამწყვიტა და ამიძგერა!...
ღვთისმშობლის ხვედრი საქრისტიანო
რომ ამოვარდეს—სწორედ არ მჯერა!...
მაშინ, როდესაც ბრმაც თურმე სცდილობს,
რომ აუხილოს ქვეყანას თვალი,
მე თავხედობად რათ ჩამეთვლება,
რომ ავასრულო სამეფო ვალი?
თუ მამაჩემი, ნამდვილი გმირი,
სახელგანთქმული და თავმომწონე,
დღეს სნეულებამ ისე დასძლია,
რომ მიხდილი აქვს ძალი და ღონე...
მე აქ არა ვარ?... შვილი არა ვარ!?
იმისი ვალი მე არა მხდება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მშობელია მამა, რომელიც
ნაშობისაგან არ ითავსება?
კმარა მონება! კმარა მოთმენა!
დრო არის ადგეს ერთპირად ერი,
ან ბრძოლის ველზე სული დალიოს,
ან მოიგეროს მოსული მტერი!...
მონას რად უნდა კრული სიცოცხლე?
ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი?
სჯობს მონებაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

გამოსვლა მე-3-მე

ისევ და **მწყემსი** (მოუახლოვდება)

მწყემსი

ბატონიშვილო!... (თავს უკრავს ქუდმოხდით)

კახი

თითქოს მეცნობა!...
გამარჯობა! შენ მწყემსი ხარ, ვგონებ?

მწყემსი

მწყემსი გახლავარ, შენი კვნესამე!
რისათვის მიხმე და რას მიბრძანებ?

კახი

მაგდენს არაფერს!—ის შენ იყავი,
რომ აკვნესებდი წელან სალამურს?

მწყემსი

მე გახლდი!

კახი

მარტო შენთვის უკრავდი,
თუ სხვაც გიგდებდა აქვე სადმე ყურს?

მწყემსი

ჩემთვის ვუკრავდი, ჩემო ბატონო,
მწარე ნაღველის გასაქარვებლად.

კახი

კი მაგრამ, შენთან რა უნდა ნაღველს?
მთებში დადიხარ აქ, თავისუფლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

ეჰ, დალოცვილო, რა გამოვიდა,
რომ ვიყო მარტოდ თავისუფალი...
მაშინ, როდესაც მთელს ჩვენს ქვეყანას
რისხვით დაჰყურებს მაღლით უფალი?...

კახი

სჩანს, ბარელი ხარ?

მწყემსი

არა, ბატონო!

კახი

მაშ აქაური თუ ხარ, მთიული,
რალა გაწუხებს ამ სიმაგრეში?

მწყემსი

იქაურებზე შემტკივა გული!...
განა მარტო მე? მთლად მთიულები
იმათი ცოდვით იდაგებიან!
მაგრამ ვერ ჰხედვენ ვერსად მეთაურს
და თავისთავად რას გახდებიან?...

კახი

ბატონი მეფე?

მწყემსი

აქ ამობრძანდა...
თავი აქ მოსცა, ამ სიმაგრეში,
და ბარელები ოხრად დაჰყარა,
სულ უპატრონოდ, თათრების ხელში
კიდევ კარგი, რომ ამის მნახველი
ჯერ არ იტეხენ მთიულები გულს
და იმედი რამ პატარა-კახის,
როგორც მომაკვდავს, მათ უბრუნებს სულს.

კახი

პატარა-კახის?

მწყემსი

დიახ, ირაკლის —
ძალიან რამეს მოგახსენებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ მისი საქმე არვის უნახავს,
მაგრამ ისე კი მეტად აქებენ!
განაგონობით!... ასე ამბობენ:
გივის გაზრდილი სხვა იქნებაო
და არ შეარჩენს თათრებს ჩვენს სირცხვილს,
ღმერთმაც წყალობა თუ ინებაო.

კახი

მართლა? მაშ რო სთქვას ბატონიშვილმა:
„მტერზედ მივალო“, ხალხი გაჰყვება?

მწყემსი

განა კაცები მარტო? ქალებიც
თან გაჰყვებიან... არვინ დარჩება!...

კახი

შენც თან გაჰყვები?...

მწყემსი

მე რა დამიშლის?

კახი

ცხვრებს რაღას უზამ, ჩემო ძამია?

მწყემსი

ცხვრებს რაღას დავდევ?... ამისთანა დროს!...
სუყველა მგლებსაც დაუჭამია.
ნეტავ-კი მართლა მოვესწროთ იმ დროს,
რომ წინ გვიძღოდეს ბატონიშვილი
და ქართველებიც თან მოსძახოდენ:
„ან გამარჯვება და ან სიკვდილი!“

კახი

ამინ! გისმინოს ღმერთმა... ინებოს!
ეგრეც რომ მოხდეს, კი შეიძლება... (დაფიქრდება)

მწყემსი (თავისთვის)

მოედვა!... (სიჩუმე)

კახი

დაცხა!... წყალი მომწყურდა!.. (მწყემსს)
ახლოს ხომ წყალი არ გეგულება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

ცოტა შორს გახლავს... კარგი წყაროა,
მაგრამ როგორ ვქნათ? არ გვაქვს ჭურჭელი.

კახი

აი, თანა მაქვს, აგერ, მათარა,
და ეს წაიღე! მოჰკიდე ხელი!...
(გადაუგდებს; მწყემსი აიღებს და გაუდგება გზას)

(ფიქრის შემდეგ)

ჰე! ვერა ჰხედავთ, რას ამბობს მწყემსი?
თურმე იმასაც კი სტკივა გული,
რომ უცხო ხალხი შემოგვესია
და ჩვენც თავს ვუხრით სულგანაბული!...
მაგრამ ჯერ კიდევ, მადლობა უფალს,
არ შესჩვევია ხალხი მონებას
და საქვემძრომოდ არ ავარჯიშებს
მონურის ხერხით ჭკუა-გონებას!..
დიახ, მონობას მიუჩვეველი
ჯერ კიდევ გული სხვას გვეუბნება
და სავაჟკაცო პირდაპირობას
მოითხოვს მუდამ მტკიცე ბუნება!!
ჩვენც თუ ახლავე არ მივაწოდეთ
სამართლიანი მას სულის საზრდო
და ხანგრძლივობამ თავისი კვალი,
ნელ-ნელ შეპარვით, ერთხელვე დასდო,
მორჩა, გათავდა... ამოიფხვრება...,
ტყუილია მერე იმედი...
და ის სჯობს, ბარემ ახლავე ვნახოთ,
რასაც გვექადის მერმისთვის ბედი.
(დაფიქრდება)

გამოსვლა მე-4-ხე

ისვე, **რევაზ** და **გივი**

კახი

რევაზ? სად იყავ?

რევაზ

თქვენ დაკოდილ დათვს
გამოეუდექი, კვალში მივყევი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც სასიკვდილოდ არის დაჭრილი,
მაგრამ გადავლო ის დიდი ხევი
და ჩაიმალა ისეთ ნაპრალში,
რომ ადამიანს არ მიესვლება.

კახი

ყორნები ხომ კი ჩაფრინდებიან?
დეე, ილხინონ, ჰქონდესთ უფლება! (იცინის)

რევაზ

ყორნებს, ბატონო, რომ არ სცალიათ?
ჯერ კაცის ხორცსაც ვერ ერევიან!..
გადაფრენილან აქედან ბარში
და ჩვენს მოძმეებს თავს დასჩხავიან!!...

კახი

რევაზ! რათა გაქვს ეგ მწარე ენა?
სიტყვას არ იტყვი, თუ არ დაშხამულს!...
არ იცი, რომ ეგ შენი პასუხი
ეკლად ესობა ჩემ ნაღვლიან გულს?

რევაზ

რა ვქნა, ბატონო, რომ მეც ამ გულში
ჩამგუბებია მწარე ნაღველი
და ტკბილად ვეღარ მისველებს ენას,
რომ ტკბილ რამესი ვიყო მეც მთქმელი!
ღმერთმა ხომ იცის...
(დაინახავს მწყემსს, წყალი რომ მოაქვს და შეკრთება)
ჰა! ეს ვინ არის?!
ამას რას ხედვენ ჩემი თვალები?
ახლა-კი გიცან, ვინც ხარ, შე მხდალო!...
გაჩერდი! ვეღარ დამემალები!
(ხმალს ამოიღებს და მიაშურებს)

მწყემსი

რევაზ! მიცანი? კეთილი! მაგრამ
ხომ არ გაშინებს ჩემი კომბალი?
აჰა, ესეც-კი გადამიგდია,
რომ არ წაგიხდეს შენ შიშით თვალი!
გინდა ხელებიც მქონდეს შეკრული,
მაშინაც მაგ ხმლით ვერ შემაშინებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო გაქვს მოხვიდე ხელცარიელზე,
ძლევა დაგრჩება და გაიცინებ!...

რევაზ (ხმალს ჩაიგებს)

ჰა, დედაბერო! შენ მაგ სიტყვებით,
იცოდე, დღეს თავს ვერ შემაბრალებ!...
ხანჯალი ხომ გაქვს? მოჰკიდე ხელი!
მეც მარტო ხანჯალს დავატრიალებ.
(იღებენ ხანჯლებს და იწყვეენ ერთმანეთზე)

კახი

ეი!... შეჩერდით!... არ იცით, სად ხართ?
მაგ თავხედობას აქ ვისთან ჰბედავთ?
დაგვიწყებიათ, ან თქვენ ვინა ხართ,
და ან მე ვინ ვარ? ველარა მხედავთ?
ვფიცავ თავს და მზეს დედიჩემისას,
თუ წინ წაგიდგამსთ აწ კიდევ ფეხი,
მაშინ თქვენ ჩემი ძლიერი რისხვა
თავზე გადატყდესთ, როგორც რომ მეხი!...
გივო! რას ნიშნავს ეს მოქმედება?

გივი

მტრები გახლავან ერთი-მეორის!

კახი

ბებურიშვილი?! მტერია მწყემსის?!
ვილაც მეცხვარის, ვილაც მელორის?!

გივი

ეგ მწყემსი ლევან ქვაბულიძეა...

რევაზ

ჩემი ძმის მკვლელი, ჩემი მოსისხლე!

კახი

მართლა?!

ლევან

მე მოვკალ სწორედ მაგის ძმა,
მაგრამ არა ვარ მაგის მოვალე.
და სასახლიდან გამოგდებული...

გივი (სიტყვას აწყვეტინებს)

აღარ შეეძლო მეფეს ჰხლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ

ამდენი ხანი თურმე მწყემსებში,
სჩანს, უსირცხვილოდ იმალებოდა!...

ლევან

სცდები!...: არ ეთქმის უსირცხვილობა
იმას, ვინც ჩვენში ამისთანა დროს
ტყეში გაჭრილა ყაჩაღად მისთვის,
რომ ქვეყნის მტრებზე მან ინადიროს.
ურცხვი ის არის, ვინც დღეობებში
ლხინებს უნდება და აშიყობას!...
გლახაკად დავრჩე, ის მირჩევნია,
თუმც-კი დიდკაცობ, შენსავით ყოფას.

რევაზ

თუ კაცი იყავ და წვერი გესხა,
უმალ მე უნდა გამსწორებოდი.

ლევან

პირადი მტერი არა ვყოფილვარ
და უბრალო სისხლს ვერიდებოდი.

რევაზ

როგორ? ნოდარი შენ არ მოჰკალი?
და ის ჩემი ძმა განა არ იყო?

ლევან

ეს მხარეც ჩემი სამშობლო არის
და ვალად მედვა სისხლი ამეღო.

კახი

რაები მესმის?

ლევან

დიახ, პატონო!
ის იყო ჩემი გულისტკივილი,
რომ თავს დაგვესხენ მტერნი, თუ არა,
მათ მიეკედლა ბებურიშვილი...
ქართველობაზე უშვერდა მათ თითს
და, თავმომწონედ, ქიზიყის მხარეს
ურცხვად აძლევდა ბოროტ მაგალითს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ

სტყუი!... ის მხოლოდ მტერს იტყუებდა,
თვალებს უბამდა... და დროს ეძებდა...

ლევან

გულში რა ჰქონდა, ეგ ვინ რა იცის;
და საქმით-კი სულ სხვას გვიჩვენებდა.

რევაზ

აგრეც რომ იყოს, შენ არ შეგეძლო
მაინც ჩემი ძმის გასამართლება!

ლევან

ქვეყნის ორგული რომ არ დაზოგოს,
ყოველ კაცსა აქვს სრული უფლება.

გიორგი

ეჰ, ყმაწვილებო, ყური დამიგდეთ!
უადგილოა სიტყვები მწარე!...
გეტყვით უბრალო ჭეშმარიტებას...
მას დამიმოწმებს ყველა მეცხვარე:
როცა მეცხვარის ძაღლებს მოუვათ
ჩხუბი და მწარედ ერთმანეთს ჰკბენენ,
მაშინ პატრონსაც ღარ ჰზოგავენ,
თუ მიეშველა... მასაც ულრენენ...
მაგრამ იმავ დროს, თუ გაჩნდა მგელი
იმ არემარეს, სადმე მახლობლად,
შესწყვეტენ ბრძოლას და ყველა ერთად
იმ მტერს მისდევენ მოსაგერებლად.
თუ-კი ოთხფეხსაც ჰქონია, ვხედავთ,
ამდენი გრძნობა და მოსაზრება,
მაშ ადამიანს... მაღალ ქმნილებას,
განა შეჰშვენის და ეკადრება,
რომ მთლად გადაჰყვეს მის პირადობას,
შინაურებზე არისხებდეს გულს
და ვერ ჰხედავდეს, მეტის სიფიცხით,
მის დასაღუპვად მტერს, მასზე მოსულს?
ნუთუ ვერ ჰხედავთ, რა დღე გვადგია?
რამ დაგავიწყათ თქვენ თქვენი ვალი?
გინდათ დაჩლუნგოთ თქვენ ერთმანეთზე
მტრის სასიკვდილოდ ნალესი ხმალი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგ ღალატია და დრო-კი სხვას გთხოვსთ...
მიეცით ხელი ერთმანეთს ძმურად,
და წმინდა სისხლი ერთად დასთხიეთ
მამულისათვის, მამა-პაპურად!

ლევან

თუ არ მაგ მიზეზს, სხვას რას შეეძლო,
რომ ქვაბულიძე გამოეცვალა. (ტანზე იხედება)

რევაზ

ალარას ვიტყვი! დრომდი მოვიცდი!...
რა გაეწყობა: „ალმართს ჰხნავს ძალა!"

კახი

ბებურიშვილო! ვერვინ დაგძრახავს,
რომ გულს გიკლავდეს დამკლისუფლობა
და მიტომ უფრო გეკუთვნის დღეს შენ
მოთმინებისთვის ჩვენი მადლობა!...
შენ, ქვაბულიძევ! კარგად ვერ გიცნობ,
მაგრამ ისე კი ბევრჯელ მსმენია,
რაც შეგმთხვეევია ქვეყნის გულისთვის
და ან სიმდაბლით მოგითმენია...
ხომ გაიგონეთ გივის სიტყვები?
იმასთან ერთად მეც პასუხს ველი!
და წინდაწინვე ვიცი, ამ რჩევას
რომ ვერ უარჰყოფს ვერა ქართველი!
დიახ, თქვენ გმართებსთ, რომ ერთად, ძმურად,
მტრის შესარცხვენად მისცეთ ხელი ხელს
და ვაქკაცობა თქვენი მიუძღვნათ
ამ ჩვენს ქვეყანას, როგორც ტკბილ მშობელს.
მინდა, რომ თქვენთან მეც ერთად ვიყო,
საასპარეზოდ მოგცეთ მხარი მხარს
და ჩვენს მაგალითს ყველა მიჰბაძავს,
ვისაც სამშობლო კი სწამს და უყვარს!
მტერი დაგვცინის!... ჩვენ ხმას არ ვიღებთ!
რა დროს შიშია? და რა დროს ძილი?
წავიდეთ! საქმეს შევუდგეთ ერთად!
ან გამარჯვება და ან სიკვდილი!...
(მიდის და ისინიც თან მიჰყვებიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი (მარტო)

გმადლობ, უფალო, ახლა-კი ვხედავ,
არ წამხდენია მე ჭირნახული!
პატარა-კახის გმირულმა სიტყვამ
რაღაც იმედით ამივსო გული!...
თუმცა უდროოდ დაგვისნეულდა
ძველი არწივი, თეიმურაზი,
და მის შემყურე მამულისშვილებს
გულს სასალბუნო დააჩნდათ ხაზი,
მაგრამ მის ნაცვლად მაღლით ბუდიდან
გადმოფრენილა დღეს შევარდენი!...
ახლა-კი დროა სვიმონივით ვთქვა:
„აწ განმიტევე მე, მონა შენი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მესამე

სცენა პირველი

(მაღლობზე შორით ქოშის გორა მოჩანს, ზედ ეკლესიით. თემობაა. დაბლა ვაკეზე, გზის პირად. მუშები სიმინდს სთოხნიან და მღერიან)

გამოსვლა 1-ლი

მუშები

ყანაო, მუშის სამოთხე,
გლეხის დიდებავ, ყანაო!
ცისკრის სხივებმა შეგმოსეს
და ნამმა გადაგბანაო,
დაგქროლა დილის ნიავმა,
ალერსით გითხრა ნანაო,
ქუქუნა წვიმამ ზედ დაგკრა,
ზურმუხტად აგამწვანაო!

მეთაური

აბა, ბიჭებო, თქვენი ჭირიმე!
ნუ შეჩერდებით ჯერ!... ნუ დაღალდით!
ეს ერთიც კიდევ ჩამოვუაროთ!...
სულ ჯარასავით დაუტრიალდით!...

მუშები

ნუ გეშინია! წაგვიძეხ! გასწი!...
არ ჩამოგრჩებით ჩვენც, მეთაურო!...

1-ლი გლეხი

ხომ ხედავ, ისეც ალმური აგვდის?...
რათ გინდა, უფრო რომ გაგვახურო?

მეთაური

ჰო! მაგრე! მაგრე! თქვენ დაგენაცვლეთ!
დაჰკარით, სანამ მიწაც სველია!...

მოხუცი

ეს ყველა კარგი, მაგრამ უქმს რომ ვტეხთ,
ეს განა კარგი საქციელია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა

ვითომ რა იცის?

მოხუცი

როგორ რა იცის?
მაშ აღარ არის მადლი და ცოდვა?
მღვდელმა რა გვითხრა?...

ახალგაზრდა

მღვდელს რას უყურებ?!
ასე იციან სულ იმათ როტვა.

2-რე გლეხი

იმან თუ არ სთქვა, ჩვენ-კი არ ვიცით,
რომ უქმის ტეხა, მართლა, ძნელია!

3-მე გლეხი

ნეტავ, რას ამბობ? რა დროს ეგ არის?
გეტყობა, საქმე შემოგელია!
ვერ ჰხედავ, გარში რა ამბავია?
თესლად მარცვალიც არსად ვარდება!
ჩვენ რომ აქ ახლა უქმეს მივდიოთ,
ბარი შიმშილით ამოვარდება!...

4-ხე გლეხი

ახლა სხვა დროა! ღმერთიც არ გვიწყენს:
შრომა მისივე ნაბრძანებია!

ახალგაზრდა

კარგია ერთი! რაებსა ჰბოდავ?
ვგონებ, სიზმარი დაგზმანებია!...

მეთაური

გაუსვით ჩქარა!... ტყვილა ნუ სცდებით!
ცოდვა ჩემ თავზე მე მიმიღია!

ახალგაზრდა

აბა, დავიწყოთ ისევ მუშური
და ბანი გვითხარ შენ, პირაღია!...

მუშები

ყანაო, გულ ხელგაშლილო,
ქვეყნის მოკეთევ, ყანაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვრულად შემოგსევივართ,
მტრულად გიმეტებთ განაო?
გავმარგლავთ ბალახ ბულახსა,
გაგთოხნით ყოვილგანაო...

(ბუკს აყვირებენ)

ახალგაზრდა

რა ამბავია?

2-რე გლეხი

რა უნდა იყოს?
ხატობაა და ბუკს აყვირებენ.

ახალგაზრდა

ვითომ რათაო?

3 მე გლეხი

აყვირონ, თვარა
მაგითი ყეენს გააკვირებენ...

მოხუცი

გელა იქნება! უთუოდ უნდა
შეჰყაროს ხალხი და უთხრას რამე..

მეთაური

აბა, ბიჭებო... გაუსვით ჩქარა!...
მომყევით წყობით (ახალგაზრდას), შენც მხარი მამე!

მუშები

ზედ უფლის თვალი დაგყურებს,
შენი ბარაქა ბრძანაო!
აგშორდეს გვალვა და სეტყვა,
მოსავლის გამოცანაო!...
ყანაო, ოქრო-ზურმუხტო,
ყანაო, ჩემო ყანაო!
მალალმა ღმერთმა აკურთხოს
სხვაც ბევრი შენისთანაო. (შეჩერდებიან)

მეთაური

ბიჭოს!... სამხრობა წამოგვპარვია!..
ახლა-კი დროა, რომ შევისვენოთ!
წავიდეთ ჩრდილში! სამხარი გველის,
მოეწყინება მარტო, უჩვენოდ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა

აბა, ჰე!... მოდი, წავიდეთ ერთად!
თუ მაგრე არის, უნდა ეუშველოთ!

მოხუცი

სწორედ არ გვაწყენს, რომ ცოტა ყელი
ჩვენც ჩავიწმინდოთ და ჩავისველოთ. (მიდიან)

გამოსვლა ᲔᲑ-რე

მოხუცი და ყმაწვილი ქალი

მოხუცი

სად ჩამოვედით?

ქალი

ყანაში!

მოხუცი

მერე?
რატომ მუშები აღარ მღერიან?

ქალი

წასულან იქით, სამხრად დამსხდარან,
აგერ მუხის ქვეშ, ჩრდილში არიან!...
მივიდეთ?

მოხუცი

არა, სჯობს მოუცადოთ,
აქაც მოვლენ, რომ ისამხრებენ. (სხდებიან, სიჩუმეა)

ქალი

ამდენ ხანს თემი რომ არ იშლება,
რა აძბავია? რას უყურებენ?

მოხუცი

აწ, სადაც არის, დაიძვრის ხალხი;
ქვეითად ამ გზით ჩამოივლიან.

ქალი

ცხენდაცხენ რატომ არავინ მოდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი

ჩვეულებაა და ვერ შესცვლიან!
ქვევით ბარში ჰყავთ დაყენებული
დიდკაცებს მათი ბედაურები...
წესის გატეხა ძნელია, შვილო!
სასწაულს აგრე ნუ ეხუმრები!
იჰ, ვენაცვალე იმის ძალს და მადლს,
რომ არ სჩვევია კაცის გარჩევა:
გინდ დიდი იყოს, გინდა პატარა,
ერთია მისი რისხვა-კურთხევა!...

ქალი

რა ხალხი იყო!!

მოხუცი

სულ დიდკაცობა!...
ბატონიშვილიც იქ ბრძანდებოდა?

ქალი

ასე ამბობენ... იმდენი ხელი
სუყველა იმას შესჩერებოდა!

მოხუცი

შენ რომელს უფრო შესჩერებოდი:
იმას, თუ იმის ვილაც შინაყმას?
ჰა?... რათ გაჩუმდი? რაღათ მიმალავ
გულისპასუხებს შენს მშობელ მამას?

ქალი

აკი გითხარი!

მოხუცი

ჰმ... სულ ის იყო?
სწორედ მაკვირვებს, სად მიგიგნია?
და, დიდიკაცის შვილი რო იყო,
ვითომ აქამდის არა გცოდნია?

ქალი

რას მივხვდებოდი და რა ვიცოდი?
უბრალო მწყემსად თავს მაჩვენებდა,
უკან დაგვდევდა ყველგან ლანდივით,
გზაში გვხვდებოდა, არ მასვენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი

პირველად, შვილო, სად გაიცანი?

ქალი

არ გახსოვს, ძაღლი რომ მოგვიგერა?!

მოხუცი

მაშ იმ ტყეშიაც ხომ ის არ იყო,
უეცრად გული რომ აგიძგერა?...
ახლა კი მესმის!... ესეც მითხარი:
მწყენსურად რალათ იმოსებოდა?

ქალი

აკი გაიგე წუხელი?! თურმე
ბატონის რისხვას ემალებოდა.
მაგრამ, რალაი ბატონიშვილმა
იცნო, ვინც იყო, და თან იახლა,
ტანისამოსი გამოიცვალა
და თავსაც აღარ იმალავს ახლა.

მოხუცი

შენ რალა გითხრა?

ქალი

რა უნდა ეთქვა?
ფიცი ხელახლად გამიმეორა.

მოხუცი

ეგები უნდა გაცდინოს, შვილო,
და ყმაწვილურად რამე მოჰორა?...
თორემ სად ჩვენ და სად დიდი კაცი?
შორი-შორს გვიძევს, შვილო, საზღვარი!
შენ არ შეგირთოს, განა ცოტაა
თავადის ქალი გასათხოვარი?

ქალი

ის ასე ამბობს, რომ სიკვდილამდე
არ გაგეყრები... ჯვარს დავიწერო.

მოხუცი

აჰ, არა, შვილო, გულში ნუ იდებ
მაგ სიტყვებს!... სჯობს, რო არ დაიჯერო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი

იცი, რა მითხრა: „გელას ქალი ხარ,
მერე დედოფლის მონათლულიო
და, რომ შეგირთო, ვერვინ დამძრახავს,
ვერც მცირე და ვერც დიდებულიო!“

მოხუცი

ეგ მართალია!... ღმერთმა ქნას, შვილო!
მაგაზე კარგი რალა იქნება?

ქალი

არა, მამილო, რომ არ მატყუებს,
გული მარწმუნებს და მეუბნება.

მოხუცი

რატომ აქამდის არ მითხარი-რა?

ქალი

მეუბნებოდა: „ჯერ დავფაროთო,
მერე უეცრად, ჯვარისწერის დროს,
მოხუცი მამაც გავახაროთო!“...

მოხუცი

ქრისტემ ახაროს და აძლიეროს,
თუ ცბიერობით არ ამბობს ტყუილს!...
ქვაბულიძეა... სიტყვა, ვგონებ, რომ
დაეჯერება მამამისის შვილს!!
მამამისს ზაალს კარგად ვიცნობდი,
ერთხელ სიკვდილსაც გადავარჩინე!...
როდესაც ტურა რამაზიშვილი
მის წინ სატევრით ძირს დავაწვინე.
თუ არ მომეკლა, ჰე, ის ის-იყო
ზაალს მოჰკლავდა ის მოღალატე,
მაგრამ მივესწარ, დღე დავუმოკლე
და იმისი დღე ზაალს შევმატე.
ის რომ მოვკალი, მისი წუნკლები,
ლეკებიც, შეკრთენ... გაიქცა ყველა!...
და მეტსახელად მაშინ დამერქვა
ვაჟკაცობისთვის გულადი „გელა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-3-ე

(რევაზ ბებურიშვილი და თედო რამაზაშვილი ჩამოივლიან და შორიახლოს დგებიან: ათვალიერებენ ქალს)

რევაზ

ეს არის? მართლა, კარგი ყოფილა!...

თედო

მე განა ტყუილს მოგახსენებდით?...
კარგია, მაგრამ რა გამოვიდა?
ამ დაწყევლილთან რომ ვერას გავხდით!..

რევაზ

ეგები, ბიჭო, თავპატიჟს იდებს:
მაგითი უნდა მეტი დაგვცინცლოს!....

თედო

რა ბრძანებაა! ცოტა ვაძლიეთ?
არ მიიკარა, არ იქნა, ახლოს!
იმდენი ფული და სამკაული
გადმომიყარა, თავში მახალა!
„მე შენი გულის არ გავხდებიო!...
დამეთხოვეო!" შემოგითვალა.

რევაზ

ნეტავ, რას ნიშნავს ეგ გულმაგრობა?

თედო

ლევანზე არის გადარეული:
იმას იგონებს, იმაზე ჰფიქრობს
და მისთვის უძგერს უტყუვრად გული...

რევაზ

მე-კი ლევანზე რალა ნაკლე ვარ?

თედო

მეც ეგ არ მიკვირს! მაგრამ თვალია:
ჯერ ერთს შეჰხედავს, მოეწონება,
მერე მეორეს... ეგეც ქალია!...
მე კიდევ ისევ იმ აზრზედა ვარ:
რომ მოვიტაცოთ, კარგი იქნება!
მაგრამ ლევანი გადაირევა,
რომ გაიგონებს და ეწყინება!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ

ლევან ვინ გდია? იმას რას დავდევ?
ნეტავ შემეძლოს, გულზეც გავხეთქო!
ერთხელაც არის, ხომ უნდა შევხვდეთ...
და სასიკვდილოდ უნდა ვაფეთქო?!...
მე იმას ვფიქრობ, რომ სასახლეში
ეუცხოებათ, გაჯავრდებიან!...

თედო

თათრობა არის... ბათ დაჰბრალდება...
ეჰვს ვინ აიღებს? რას მიჰხვდებიან?
სულ მარტოდმარტო, შორს მთაში ცხოვრობს
მოხუცებული ჩემი მამიდა...
რომ მოვიტაცოთ, იქ მივიყვანოთ
და იქ დავმალოთ! მეტი რა გვინდა?
მაშინ სულ სხვაა.. მამიდაჩემი
დაგვეხმარება, რაც შეიძლება...
და დაგნებდება, როცა იქნება:
ქალია, გული გამოეცვლება.

რევაზ

კარგი, მაგრე ვქნათ! რა გაეწყობა?
უნდა ვუცადოთ უნებურად დროს!
ახლა-კი უნდა ისევ წავიდეთ:
ბატონიშვილმა არ ჩამოგვასწროს! (მიდის)

თედო

ჰმ, გელავ! გელავ! მე შენი სისხლი,
დიდი ხანია, უნდა ამეღო,
მაგრამ, ბრმა რომ ხარ, დრომდის ვიცდიდი, —
და მოთმინება ახლა-კი მეყო!
რომ მომეკალი, რა იქნებოდა?
რაღას ჰგრძნობს კაცი, როცა გაქრება?
არა, ამგვარად ვალის გადახდა
არ იქნებოდა შურისძიება!!...
ქალის დაკარგვით, ამ სიბერის დროს,
უნდა დაგტანჯო და გაგამწარო
და მამიჩემის მკვლელის, ამგვარად,
გულიდან ჯავრი ამოვიყარო!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-4-ე

ჩამოდიან: **გივი** და **ბაადური** აყვანილი მიჰყავთ

ბაადურ

სადა ხარ, ჩემო ყმაწვილკაცობავ?...
როგორ დავკუტდი!... როგორ დავბერდი!...
სადღაა ის დრო, ჯეირანივით
აქ რომ ავირბენ-ჩამოვირბენდი?!

გივი

მეც მაგას ვჩივი, ჩემო ბაადურ!
ვინ დაგვიბრუნებს ისევ გაზაფხულს?!
მხოლოდ სხეული ძალას ვერ ატანს,
თორემ სურვილი შერჩენია გულს!

ბაადურ

შენ-კი რა გიჭირს ჯერ, ჩემო გივო?
მაინც ვერ დაგრევს ჯერ ხელს ჭალარა...
მე თუ ასე ვარ... განა სიბერით?
უფრო ჭრილობამ დამასაპყარა.
რაღა ვარ ახლა? აღარ ვეკუთვნი
აღარც აქ ცოცხლებს და აღარც იქ მკვდრებს!...

გივი

ცოტა მიგიძღვის განა აქ ღვაწლი?
უმსახურობას ვინ დაგაყვედრებს?!...
რასაც გვინიშნავს ბედის ვარსკვლავი,
გადუვალია ჩვენ თავზე ყველა... (სიჩუმეა)
ჩვენ რომ ვეძებდით, ა, სად ყოფილა!
აქ ჩამოსულა, ეგერ ზის გელა.

ბაადურ

აქ, არის? მართლა, მაშ მიმიყვანეთ!
აღარ მინახავს დიდი ხანია...
ბრძოლის ველიდან ბევრი დაჭრილი
ორივეს ერთად გაგვიტანია.
(ქალი განზე მიდგება. მიიყვანენ)
ვის ვხედავ კიდევ? გმადლობ, უფალო!
ჰა! გამარჯობა! რასა იქ, გელა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელა

ღმერთმა გაცოცხლოს, მაგრამ ველარ გცნობთ:
უსინათლო ვარ... ჩემთვის დღეც ბნელა.
ხმასაც რომ ველარ ვარჩევ, ბატონო?!
შელახული მაქვს სიბერით ყური...
ცოტათი, ვგონებ, კი მენიშნება:
ხომ არ ბრძანდებით თქვენ ბაადური?

ბაადურ

გამოიცანი! სწორედ ისა ვარ!
შენ ბრმა ხარ და მე დაკუტებული!...
სხვებ ხომ კარგად ხარ? რასა იქ, გელა?
არ გაგტეხია განა ჯერ გული?

გელა

გული რომ მერჩის, იმის ნახევრად,
ნეტავ, მიჭრიდეს ძალი და ღონე.

ბაადურ

გული მეც მერჩის, მაგრამ სიბერეს
თავი მივეცი და დავემონე...
წავიდა, გელავ, ჩვენი დრო, გაქრა,
სულ სხვა დრო არის და სხვა კაცები!...

გივი

მეც ეგ მაწუხებს, ჩემო ბაადურ,
და გულს მიწყლულებს, ღმერთს გეფიცები!..
დროსაც ს.ოდნია დაჩიავება:
აღარავინ ჰგავს თავის წინაპარს...
და ამ მიზეზით წაქეზებული
შემოგვეხვია მტერი მედგრად გარს!

გელა

არა, უფალი სულ არ გასწირავს
ღვთისმშობლის წილ-ხვედრ საქრისტიანოს!
მხოლოდ გამოსცდის, რომ შეცოდება
მან იგულისხმოს და შეინანოს!...

(ქუდს იხდიან და პირჯვარს იწერენ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-5-ე

პატარა-კახი, რევაზ, ლევან, თედო და სხვა მხლებლები.

კახი

ხედავთ, ბებრები სადა ყოფილან?
ეგერ თავისთვის ლაპარაკობენ!..

რევაზ

უთუოდ ახლა ჩვენს დროს ჰკიცხავენ
და თავისას-კი დიდად ამკობენ!

კახი

განა არა აქვთ, რომ ვთქვათ, სიმართლე?

რევაზ

კი მაგრამ, მაგით რა გაკეთდება?

ლევან

ძველი ამბავი მოხუცებულებს
სულსა და გულზე მალამოდ ხვდება.

კახი

ეგ მართალია! (გაჰხედავს) ე, დაგვინახეს.
გივი წამოდგა... მოხუციც დგება.
მივიდეთ, ვუთხრათ თქვენი ამბავი.
რომ გაიგონებს, გივს იამება! (მიდიან)
გივო, ერთ რამეს გიმახარობლებ.
რალა თქმა უნდა, რომ გიამება!
ლევან და რევაზ დღეს შევარიგე
და მათი შუღლი აწ გათავდება.
ერთი-მეორის დაშორებული
აქამდის მეტის შურით და მტრობით,
დღეიდან უნდა შევაკავშირო
საშვილიშვილოდ ტკბილის მოყვრობით:
ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ქვაბულიძემ
ცოლად შეირთოს ამ რევაზის და...

ქალი

უი! (ხელებს მიიფარებს პირზე)

ყველანი

რა იყო, ნეტავ, რა ამბავია? (მისცვივდებიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახი

რამ შეგაშინა, ქალო, რა მოხდა?

მოხუცი (თავისთვის)

ვიცი, რაც არის! (ქალს) რას შვრები, შვილო?

ქალი

ბუზი!... კინალამ ბუზმა მიკბინა!..

ლევან

ბუზი კი არა, ფუტკარი იყო.
მეც დავინახე! რამ შეგაშინა?
მაგის ნაკბენი დიდხანს არ გასტანს,
წყლული ადვილად მოგიშუშდება!
ახლა რომ გულში ჩაითქვა რამე,
გამიგონია, აგისრულდება.

კახი

იცი, ვინ არის ეგ ქალი, ლევან?

ქალი (თავისთვის)

რა მომივიდა, ვაი სირცხვილო!...

რევაზ

გელას ქალია. (ხელს ადებს გელას)

კახი

გელა ეგ არის?

გელა

გახლავარ, ჩემო ბატონიშვილო!...

გივი

დიახ, ეს გახლავსთ და მისი ქალიც
ბატონ-დედოფლის მონათლულია!

გელა

სწორედ!... და ესეც, დიდი ხანია,
მათი დანახვის მონატრულია.

კახი

მართლა? მაშ რატომ თავის ნათლიას
არ ამოუყვან და არ აჩვენებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდე, ხვალვე ამოიყვანე
და დღეს-კი დედას მე მოვახსენებ.
(ქისას იღებს და უჭირავს ხელში)
შენ, ჩემო გელავ, გუშინაც შევცდი,
რომ მოგაწოდე ეს სამოწყალო...
მაგრამ ნათლულს-კი ნება მაქვს ნივცე;
ჰა, გამომართვი ეს ქისა, ქალო!

გელა

ბატონიშვილო, ნუ გამიწყრებით!
ვინ ბრძანდებოდით, არ გამიგია,
თორემ, ვიცი, რომ თქვენი წყალობა
ტალახიანი ჯოხიც კარგია.
სადა ხარ, შვილო? მოდი! იახელ!
და მოეხვიე მუხლებზე ბატონს!
ღმერთი მოხედავს მაგ შენს ობლობას
და გამოგვიჩენს მფარველს და პატრონს!
(ქალი უპირებს მოხვევას, ირაკლი არ აძლევს ნებას)

კახი

მაგას ნუ იზამ, სულიერო დავ!
მოდი, როგორც ძმას, მომხვიე ხელი!
(თვითონ მოჰხვევს ხელს ქალს და ჰკოცნის)
აბა, მოხუცო, არ დაგავიწყდეს!
ხვალ სასახლეში უთუოდ გელი!... (მხლებლებს)
დროა წავიდეთ აწ, ყმაწვილებო!

რევაზ

თქვენი ნებაა! როგორც გვიბრძანებთ!...

გივი

ჩვენც გამოგყვებით, ჩემო ხელმწიფევ!

ბაადურ

ვიახლოთ, ნურც ჩვენ დავიგვიანებთ!
(მიდიან, რევაზ და თედო ჩამოსხდებიან)

რევაზ

რა უთხრა გელას ბატონიშვილმა,
ხომ გაიგონე, ახლა შენ იცი!
სულ ორი ბიჭი და ერთი ცხენი...
ჩამოართვი კი ორივეს ფიცი! (მიდის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო

მესმის, ბატონო! განა არ ვიცი?
ეგ სულ ადვილი სამსახურია... (თავისთვის)
მეც გადაგიხდი სამაგიეროს,
გელავ! მე შენი სისხლი მწყურია!...

გამოსვლა მე-6-ე

მოხუცი და **ქალი.**

მოხუცი

შვილო, რა იყო, რომ შემარცხვინე?

ქალი

რა ვქნა, მამილო, უეცრად შევკრთი!

მოხუცი

აკი ვამბობდი: ტყუილია-თქო!
გენიშნა, განა? ახლა ხომ მიხვდი?
რალა რევაზის დას დანიშნავდა,
თუ ნდომებოდა ჯვარის დაწერა?...

ქალი

არა!... მგონია აქ სხვა საქმეა,
რომ მილალატოს, მაინც არ მჯერა.
ფუტკრის არაკი რომ მოაყოლა,
ჩემ გასაგონად სთქვა და არა სხვის!
ა, აგერ მოდის, დაბრუნებულა,
და ვნახოთ, თვითონ, აბა, რას იტყვის?

გამოსვლა მე-7-ე

ისინივე და **ლევან**, მობრუნებული.

ლევან

დავბრუნდი, რომ შენ გისაყვედურო:
ისე შეკრთომა განა იქნება?

ქალი

გული ბუდიდან ამომივარდა!
ახლაც კი მიძგერს!... შენ გეცინება?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან

სჩანს, არ ყოფილხარ ჩემ სიყვარულზე
ჯერ კიდევ კარგად დარწმუნებული,
თორემ რას დასდევ, ვინც რა უნდა სთქვას?
ნუთუ საგულეს არა გაქვს გული?

გელა

გაფიცებ, ლევან, მამიშენის სულს,
ამ საცოდავ ქალს ნუ ეხუმრები!
მართალი არის, ბრმა კი ვარ, მაგრამ
გონების თვალით ჯერ ვიყურები:
თქვენ მხოლოდ ხუმრობთ..

ლევან

(სიტყვას აწყვეტინებს) როგორ თუ ვხუმრობ?
ვგონებ თვითონ შენ მწუნობ სასიძოდ!

გელა

მე თქვენს სიძობას ვერ დავიჯერებ,
რა ექნა? ხატზედაც რომ შემომფიცოთ!...

ლევან

შენ, ჩემო გელავ, კარგად ვერ მიცნობ:
სიტყვის გატეხას არ ვარ ჩვეული
და სათამაშო, საბავშო ბურთად
არ მიმაჩნია ეს ჩემი გული!
უცნაურ ძალით და უნებურად
შემყვარებია ეგ შენი შვილი,
და რაღა გაგვყრის ამიერიდან
უკუნისამდე, თუ არ სიკვდილი?

გელა

კარგი!... იმაზე მაშ რაღას იტყვით,
ბატონიშვილმა რომ აქ გიბრძანა?

ლევან

იმან რო ბრძანა, მერე რაკო?
ვალდებული ვარ დავთანხმდე, განა?
თუ საჭიროა მე და რევაზის
შეკავშირება და დამოყვრება,
მეც მყავს ერთი და: განა ელენე
რევაზს საცოლოდ არ ეკადრება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ საცოლ-ქმროდ დაახლოვებას,
რაღა თქმა უნდა, რომ მეც ვეცდები!
და, თავის დროზე, ჩემ საიდუმლოს
ბატონიშვილსაც გამოვუტყდები!

ქალი

მაშ არ შეირთავ იმ რევაზის დას?

ლევან

რომ მკითხავ, თვითონ ვერა გრძნობ, განა?

ქალი

ვიცი!... ვიცი, რომ არ მომატყუებ,
გინდა გაცრუვდეს ცა და ქვეყანა!
მაგრამ მამა-კი ვერ დავაჯერე,
გულგატეხილი სხვას მეუბნება!

ლევან

ნუ გაუგონებ, ჩემო სიცოცხლევ,
ჩემო იმედო, ჩემო ოცნებავ!
მოხუცი ყველა იქვიანია
და არ იჯერებს, რაც მართალია...
მაგრამ ხომ ნახავს?... ახლა მშვიდობით!
მათ უნდა დავწვდე, არა მცალია! (მიდის)

ქალი

აბა, რას იტყვი, ხომ გაიგონე?
მაგის სიტყვები არც ახლა გჯერა?

გელა

რა ვიცი შვილო... ველარას ვიტყვი!
შემთხვევა არის და ბედისწერა...

გამოსვლა მე-8-ე

ისინივე და **მუშები** მოვლენ.

მუშები

ჰაა... გამარჯობა! რასა იქ, გელა?
არაფერს გვეტყვი დღეს ახალ ამბავს?

გელა

ცოტა რომ ადრე მოსულიყავით,
თვითონ ნახავდით კაი სანახავს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ბრძანდებოდა პატარა-კახი
დარბაისლებით... დიდის ამალით!

მოხუცი გლეხი

მართლა? ნეტავი ერთი მენახა
მობრძანებული აქ, ჩემის თვალით!

ახალგაზრდა

მართლა რომ კარგი სანახავია!...

მეთაური

რაო? რა ბრძანა? რასა ჰფიქრობენ?

გელა

გაუკრავსთ პირი თავადიშვილებს!...
რალაცა ამბავს კი აპირობენ...
ამბობენ: „კმარა, რაც უსჯულოებს
ვემონებოდით ამდენ ხანსაო!
ახლა-კი დროა, რომ მათი სისხლით
წითლად ვღებავდეთ ალაზანსაო!"

პირველი გლეხი

ეტყობა, ახლა აღარ ხუმრობენ.

მეორე გლეხი

ემზადებიან!...

მესამე გლეხი

ჩვენ რალას ვშრებით?

მოხუცი გლეხი

რალა უნდა ვქნათ? ჩვენც კაცები ვართ
და ქუდი გვხურავს, რათ ჩამოვრჩებით?

მეოთხე გლეხი

განა როდისმე ჩამოვრჩენილვართ?

მესამე გლეხი

ან უკან როდის დაგვიხევია?...

მეთაური

მათ ხმალთან ერთად უჭრია ჩვენსას
და ფარიც ერთად დაგვიხევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი

კი, მაგრამ ყველას რომ აღარა გვაქვს
თოფ-იარაღი?

ახალგაზრდა

რათ გვინდა მეტი?
ჩარეულ ომში რაღა ნაკლეა
შენს ხმალ-ხანჯალზე ქვები და კეტი?

პირველი გლეხი

ცული და წალდი ხომ ყველასა გვაქვს?

მეორე გლეხი

და ეს-კი განა არ გამოდგება?...

(უჩვენებს თოხს)

პირიც კარგი აქვს, ყუაც კარგი აქვს,
გამომდგარია... რათ უნდა ქება?...
ვითომ გიმტყუნოსთ?!... თქვენ არ მომიკვდეთ!
ნუ გეშინიათ, დაატრიალეთ!

გელა

თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, თქვენი,
რომ მაგას ამბობთ!... თქვენ გენაცვალეთ!

პირველი გლეხი

ჩვენი მამები თუ კი ომობდენ,
იმათზე ნაკლე ჩვენ რიღათი ვართ?
თუ წინ წამძღოლი ვინმე გვეყოლა,
გულდაგულ მივალთ!... ყველა მზადა ვართ!

გელა

წინამძღოლს ეძებთ? მე აქ არა ვარ?...
რათ გავიწყდებათ ნაცადი გელა?

მეთაური

კი, მაგრამ დღეს რომ ვეღარა ხედავს,
საუბედუროდ მისათვის ბნელა?!...

გელა

ეგ არაფერი!... მართალი არის,
ვეღარას ვხედავ, დამიდგა თვალი,
მაგრამ, სანამდის გვერდში მიდგია
და ხელსაც მკიდებს ეს ჩემი ქალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მიჭირს რა, ისევ გულადად
მივეგებები ჩვენი ქვეყნის მტერს.
გელას დანახვა ჩვეულებრივად
მათ შეაშინებს და შეუცვლის ფერს.
თქვენ-კი მომყევით!... მაგრამ ჯერ უნდა
ჩვენს მეზობლებსაც შევატყობინოთ
და სავაქკაცო ჩვენი განზრახვა,
წასაქეზებლად, ყველგან მოვფინოთ.
არა გვიშავს რა, ჩვენი ქვეყანა
ისე მაგრად სდგას, როგორც რომ მუხა:
მტერი მუმლივით ეხვევა, მაგრამ
ჯერ ვერ გაახმო, თუმც შეაწუხა...
„მუმლი მუხასა“ მუშურს რომ ვამბობთ,
არ ვმღერთ უაზროდ და უადგილოდ:
არა, იმაში სიბრძნეა ხალხის,
გადმონაცემი საშვილიშვილოდ.

მუშები

შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
რომ მაგრე გიჭრის ჭკუა, გონება!
ეგ შენი კარგი სიტყვა-პასუხი,
გულს რომ გვიმთელებს, სულს ეფონება!
წავიდეთ, აბა, რაღას ვგვიანობთ?

მეთაური

მართლა, აწ დროა წავიდეთ ყველა!
ეს გზა სიმღერით გადავიაროთ!
აბა, წაგვიძეხ ისევ შენ, გელა!...

(თოხებს გაიდებენ მხარზე. გელა ქალს მიჰყავს წინ და სიმღერით მიდიან)

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო!
გარს ეხვეოდაო,
ვერას აკლებდაო!
მუმლი წყდებოდაო,
მუმლი ქრებოდაო,
ხე არ ხმებოდაო,
ხედვე რჩებოდაო!
მუმლი მუხასაო,
გარს ეხვეოდაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

სცენა პირველი.

სასახლის წინ.

გაოცებული 1-ლი

რევაზ და სასახლის-კაცი.

რევაზ

ჯერ გამობრძანდა მეფე, თუ არა?

კაცი

იქა ბრძანდება დარბაისლებით,
გივი თან ახლავს და ბაადურიც
ახლა შევიდა.

რევაზ

ჩვენც ვიახლებით.

კაცი

ვერა, ბატონო! არ შეიძლება!...
ნაბრძანები მაქვს, სხვა არ მივიღო.

რევაზ

ბატონიშვილის მოციქული ვარ
და როგორ მიშლი? რას ამბობ, ბრიყვო?!

კაცი

მაინც ვერ შეხვალთ, ჯერ მოიცადეთ!

გამოსვლა მე-2-რე

ისინივე და **თედო** შემოიჭრება.

თედო

ბატონო! გეძებთ თავქუდმოხდილი...
სასახლეშიაც გახლდით, ვერ გნახეთ!
ლამის გავგიჟდე მე ცოდვის შვილი.

რევაზ

რა ამბავია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო

რაღა რა არის?
ვერა ვარ კარგი მახარობელი!...

რევაზ

მოკვდა?

თედო

ავადაც არა ყოფილა,
იმას წაუწყმდეს შემქმნელ-მშობელი!

რევაზ

და ეგ არა სჯობს?

თედო

იჰ, როგორ თუ სჯობს?
ამდგარა ჩუმად და გაპარულა!

რევაზ

სად გაპარულა?

თედო

ღმერთმა ნუ იცის...

რევაზ

მერე მამიდა?...

თედო

მოტყუებულა!...
ახლა-კი ტირის და თავში იცემს,
მაგრამ ტირილით რაღას გააწყობს?
დილას მდევრები გამოვუყენე...

რევაზ

ეტყობა, კარგად იცნობს ავადმყოფს!
შენ რაღას უცდი! წადი, მონახე!
უმისოდ ნულარ დამენახვები,
თორემ ურმით გდევ!...

თედო

წავალ, ბატონო.
თუ ვერ ვიპოვნე, თან გადავყვები!
(მიდის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-3-ე

რევაზ, ლევან შემოდის.

ლევან

რას შვრები, რევაზ? ბატონიშვილი
მოულოდნელად მიელის პასუხს!

რევაზ

რომ არ შემიშვეს?!... დარბაისლები
შეუყვანია და გული უწუხს.
შეყრილან ერთად ნათესალები
და მეფე იმათ ეთათბირება!...

ლევან

რა დროს ეგ არის! იმ დალოცვილმა
არ იცის ახლა, რა გვეჭირვება?

რევაზ

კიდეც ეგ არის, რომ კარგად იცის,
გულსაც ეგ უტეხს და ეგ აღონებს;
სიფრთხილე ჰმართებს ამისთანა დროს
და პატარა-კახს რას დაუჯერებს?
მართლაც თათრებთან პირდაპირობა,
უნდა გამოვტყდეთ, საეჭველია!...

ლევან

მე ალისკანტი უფრო მაფიქრებს:
ლეკებთან ბრძოლა უფრო ძნელია!...

რევაზ

მეც მაგას ვამბობ... ამდენი ჯარი
ერთად ჯერ კახეთს არ მოსდგომია.

ლევან

მეტი რა გზაა? უნდა გავბედოთ!...
ერთი წამალი მხოლოდ ომია:
ან გავიმარჯვებთ, ან სულ გავწყდებით,
მოვიდეს, რაც რომ მოსასვლელია!...
თორემ ამდენი ტანჯვის ატანა,
სწორედ სიგლახე-სისულელეა!...
(ცოტა სიჩუმის შემდეგ ხელს დაადებს რევაზსა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ! მე ერთი სათხოვარი მაქვს,
ის უნდა გთხოვო და ამისრულე!
თუ გამაწბილო და დაივიწყო,
ღვთის და კაცის წინ იყო მოვალე!

რევაზ

რა?

ლევან

ალისკანტის ჯინი მიჭირებს,
იმან მომტაცა სწორედ ის ქალი...
და, თუ სანაცვლო არ გადვუხადე,
მე რაღად მინდა თავი ცოცხალი?
დავლურში მინდა გამოვითხოვო,
ან უნდა მოვკვდე, ან შევაკვდები!
თუ, ვინცობაა, მე დამამარცხოს,
შენ მოერიდე, ნულარ გაჰყვები!

რევაზ

რას ამბობ, ლევან? შენ ჩემ წინ მოგკლან
და ავიტანო ის მე გულგრილად?

ლევან

სწორედ!... ორგვარი გაწევს შენ ვალი,
რომ არ აჩქარდე და იყო ფრთხილად:
პირველი ის, რომ თავის გაწირვით
ველარას მარგებ, კარგად იცი, მკვდარს!...
და მეორეც ის, რომ შენ მაგიერ
ვინღა მოუვლის ჩვენ ცხენოსან ჯარს?
ერთსაც ამას გთხოვ, თუ, ვინცობაა,
ის ქალი კიდევ სადმე გამოჩნდეს,
შენ უპატრონე, ჩემ მაგიერად,
როგორც ღვიძლი და, გებრალებოდეს!

რევაზ

ნეტავ რას ამბობ? რა დროს ეგ არის?
ღმერთმა გაშოროს, ძმაო, სიკვდილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-4-ე

ისინივე და **შიკრიკი** შემოდის.

შიკრიკი

გიცდიან!... გთხოვენ, მალე მობრძანდეთ!

რევაზ

ვინ გვიცდის?

შიკრიკი

ვინ და ბატონიშვილი!...

(მიდიან)

სცენა მეორე.

დარბაზი.

გამოსვლა 1-ლი

მეფე, დედოფალი, გივი, ბაადურ და სხვანი.

ბაადურ

საპყარი მოველ, ვერ გადავუდეგ
ბატონიშვილის მოციქულობას...
და თქვენის რისხვით, ჩემო ხელმწიფევ,
ნუ შეურაცხყოფთ შუამდგომლობას!

მეფე

ჩემო ბაადურ! რა უნდა გითხრა?
მაგის პასუხი ახლა ძნელია!...
სიჩქარით „ჰო“ და „არა“ არ ითქმის,
როდესაც საქმე საეჭველია.
უანგარიშოდ და უფიქრელად
საშიში არის ბედის მინდობა!
ვაი, თუ უფრო გავაზვიადოთ
ახალგაზრდების ჩვენ თავხედობა!

გივი

გვიანლა გახლავსთ ახლა სიფრთხილე!
ამდენ მუქარას და ამდენ სირცხვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გვირჩევნია, ღმერთი ვახსენოთ
და დავეთანხმოთ დღეს ბატონიშვილს?

მეფე

თქვენ, დედოფალო, რაღას გვიბრძანებთ?

დედოფალი

გივს ვეთანხმები, რადგან ფრთხილია
და, ძნელ საქმეში წინდახედული,
ყველაზე უფრო გამოცდილია.

მეფე

აქამდის სწორედ მაგრე მეგონა,
მაგრამ დღეს ეგეც კი შემცდარია:
ჯერ უმისოდაც წამხდარი საქმე
მაგან სულ უფრო არივ-დარია!
ვერა ხედავდა, რომ ჯერ ირაკლი
ამოდენ ჯარს ვერ მოგვიგერებდა?
რათ არ ურჩია? როგორც მის გამზრდელს,
მაგას ხომ სიტყვას დაუჯერებდა?

გივი

ჩემი ხელმწიფევ, ეგებ ის სჯობდეს,
ბატონიშვილი რასაც აპირებს!

მეფე

როგორ თუ სჯობდეს?! შენი პასუხი
ვერ გამიგია, სწორედ მაკვირვებს:
ავად, თუ კარგად, დღემდის ვუძლებდით
შინ შემოსეულ მტრების მონებას,
და დღეიდან-კი გარისხებულნი
გამოგვაცლიან ყოველ ქონებას.
ვერ გაიგონე, რა შემოთვალეს?...
როგორი სიტყვა და რა მუქარა?
დღეიდან მაგათ დასამშვიდებლად,
ხარკი რომ მივცეთ, ის აღარ კმარა...
ულელზე კიდევ ულელს დაგვადგმენ,
აუტანელი გახდება ტვირთი!...
თუ გავუძალდით, სრულად წაგვლეკავს
მაგათი ღელვა, მაგათი ზვირთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედოფალი

ჩემო ხელმწიფევ, არც მაგრე ვარგა
გულის გატეხა და შეშინება!

ბაადურ

ბარემ სულ გავწყდეთ, ის გვირჩევნია!...

გივი

ჩვენ გავცემთ პასუხს, გვიბოძეთ ნება!...
საშვილისშვილოდ რომ ამოვვარდეთ,
აგრე ღმერთს როგორ დავავიწყდებით?
უთქვამთ: „ცდა ბედის მონახევრეა!“
ან გავიმარჯვებთ, ან სულ გავწყდებით!

მეფე

კერძოდ თუ მკითხავთ, მეც თანახმა ვარ,
როგორც მეფეს-კი—არ მაქვს უფლება:
ჩემ ხელში არის მთელი სამეფო,—
ბედის გამოცდა არ შეიძლება!...
როგორ გავწირო მთელი ქვეყანა,
ღმერთთან და კაცთან დავრჩე მოვალე?!...
ეს დრო და ჟამი ცვალებადია!...
დღეს ვინ რა იცის, რას გვეტყვის „ხვალე“.
თუ ყმაწვილობით ბატონიშვილმა
მოულოდნელად ცეცხლში ჩაგვყარა,
რომ გაასწოროს აწ ის შეცდომა,
მოვალე არის ჩვენი ჭაღარა.

დედოფალი

რას იტყვი, გივო, ხომ გაიგონე
ბატონი მეფის ბრძნული ბრძანება?

გივი

თანახმა არ ვარ, ჩემო ხელმწიფე,
და პასუხს ვკადრებ, თუ მომცა ნება...

მეფე

სთქვი და მოვისმენთ!

გივი

გმადლობ, ბატონო!
ღმერთმა გიკურთხოსთ დიდსულოვნება!
ყველა ვხედავდით, რაც ჩვენს ქვეყანას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგა მტრისგან ტანჯვა და ვნება...
ყოველ სოფელში, ყოველ ციხეში,
ჩამდგარი იყო იმათი ჯარი;
აღარ რჩებოდათ შეუბღალავად
არა სიწმინდე, ხატი და ჯვარი.
სიამტკბილობა და მოთმინება
ჩვენი იმათთან არ გადიოდა,
ქვეყნის ორგულებს პატივსა სცემდენ
და ერთგულს ყველას ცრემლი სდიოდა;
ამით უნდოდათ, რომ საქართველო
ზნეობით სრულად დაცემულიყო
და საუკუნოდ, მონების ჯაჭვით,
მომხიბლველ მტერთან გადაბმულიყო!...
დღეს და ხვალობით ცოტ-ცოტად სენი
გაუჯდა მხარეს რბილში და ძვალში!
რომ ცოტა ხანი კიდევ დასცლოდა,
სიკვდილს უქადდა მას მომავალში.
მაგრამ გამოსჩნდა მკურნალად გმირი,
რომ ზნეობითი შეევსო ნაკლი
და უწინამძღვრა...

დედოფალი

(სიტყვას აწყვეტინებს) ეს გმირი იყო
პატარა-კახი! ჩემი ირაკლი?

გივი

დიახ, ირაკლი! ანდამატივით
გარს შემოისხა ყმაწვილკაცობა
და მათ უჩვენა სამაგალითოდ
პირადი ღვაწლი და მამაცობა:
დაჰყო ცალ-ცალკე გუნდებად ჯარი,
ყველა-კი მასვე ეთანხმებოდა
და მტერს, თუ სადმე შეიგულებდა,
მოულოდნელად თავს ესხმებოდა.
ციხე-კოშკებში ჩაემწყვდა მტერი,
გარეთ გამოსვლას ვეღარ ჰბედავდა...

მეფე (სიტყვას აწყვეტინებს)

ყმაწვილკაცობაც წაქეზებული
მწარე მომავალს ვეღარ ჰხედავდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააგდო მტერმა სიმაგრეები
და აქ მოგვადგა ზეერთეზულად,
რომ სრულის ძალით, ბარემ ერთთავად,
საშვილიშვილოდ გაგვსრისონ სრულად!

გივი

ეგ მართალია! მაგას ჰფიქრობენ
და ალისკანტიც იმათვე ჰშველის,
მაგრამ არ სძინავს არც პატარა-კახს!...
მომსვლელს, იცოდეს, დამხვედრიც ელის!...

ბაადურ

ჩემო ხელმწიფევ, იყო დრო, როცა
დიდსულოვნებით მეც მიგდებდით ყურს;
დღეს სნეულ-საპყარს რაღა მეკითხვის?
მაგრამ არ იშლის გული სამსახურს!...
მეც უნდა გკადროთ უგნური სიტყვა,
რომ არ ჩავიკლა გულში უთქმელად;
ამ დროში ყველა არ გამოდგება,
რაც სასარგებლო ყოფილა ძველად.
ცვალებადია წუთის სამყარო...
რაც-კი არსებობს, ყველა იცვლება!
წარსული არ ჰგავს აწმყოს, მომავალს,
სხვადასხვა არის მოთხოვნილება.
ჩვენი დროება სულ სხვა დრო იყო,
ახლა-კი სულ სხვა დრო და ჟამია!
მადლობა უფალს, ავად თუ კარგად,
ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია!
ეს დრო მივანდოთ ახალთაობას,
იმის რიგია, იმან განაგოს!
წაახდენს რამეს, თუ გააკეთებს,
ღვთის და კაცის წინ პასუხიც აგოს...
წინდახედული პატარა-კახი
არას ჩაიდენს სასინანულოს!
არ იკისრებდა პირდაპირობას,
თუ არ ხედავდეს სასურველ ბოლოს.

მეფე (დედოფალს)

თქვენ რაღას ბრძანებთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედოფალი

თქვენს დიდ გონებას,
რაღას შემატებს სიტყვა და რჩევა,
მაგრამ სიბრძნესაც კი ეჭირვება,
ზეცის თანხმობა და ღვთის კურთხევა.
თვით მამაჩემი, მეფე ვახტანგი,
ამის მაგალითს გვიჩვენებს ნათლად:
სიმხნით და სიბრძნით თანსწორ განთქმულმა
თავი შესწირა მის სამშობლოს მტლად.
მისი სულის დგმა, მისი გულისთქმა,
ქვეყნისთვის ჰქონდა მას შეწირული...
ყოველი მისი ბიჯის გადადგმა
თვით სიბრძნე იყო, წინდახედული!...
მაგრამ შავ ბედის უკუღმართობა
მას ხელს უშლიდა ყველგან, უეცრად,
და მის ყოველი მეფური ღვაწლი,
ბოლოს რჩებოდა მტვრადა და ნაცრად.
და უცხო მხარეს, იმ ნათლით მოსილს,
სიკვდილის წინეთ ეს წარმოეთქვა:
„აქვე დამმარხეთ და საქართველო
გულზე მედება, ვით სამარის ქვა!
ზედ ეწერება: „სადაც ვეღარ სჭრის
სიფრთხილე და შორსგამჭვრეტელობა,
იქ სჯობნებია გამბედაობა
და ღვთის ნანდობი საეჭველობა“...
დღეს ამ დღეშია სწორედ სამეფო!...

მეფე

თქვენც მაგას ბრძანებთ?

დადოფალი

დიახ, ბატონო!

მეფე

მაშ გაგიწირავს, რაღა, ქვეყანა?
მაგრამ მსურს ერთიც რამ მოგაგონო:
ჩვენ ქვეყანასთან ხომ უნდა იქნეს
პატარა-კახიც თან განწირული
და, როგორც დედას ერთი შვილისას,
რას გეუბნება, რას გირჩევს გული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედოფალი

როგორც ქართველ ქალს, ჩემი ირაკლი
ქვეყნის სამსხვერპლად გამომიზრდია
და სხვა დედებთან მეც ერთად ჩემი
მოვალეობა გადამიხდია!
გადახდეს მასაც გადასახადი,
ქვეყნის სამსხვერპლო სესხი და ვალი!...
და ჩვენც ღმერთს ვთხოვოთ: აუმჯობესოს
მისი ვარსკვლავი და მომავალი.

მეფე (დიდის ფიქრის შემდეგ)

მაშ კარგი! ახლა მეც გეთანხმები!
უკუმიგდია ჩემი სურვილი!...
ნება გაქვს, გივო, ახლავ წახვიდე
და შემომგვარო თავხედი შვილი.

გამოსვლა მე-2-რე

ისინივე და **პატარა-კახი** ამალით.

მეფე

დარბაისლების მოციქულობამ
და დედაშენის სურვილმა გასჭრა!...
მაგრამ ხომ ჰხედავ, რომ სნეულობამ
ასე უეცრად გულს ისარი მკრა?
არ შემიძლია ჩვეულებრივად
რაზმის დაწყობა... ომში ტრიალი...
და მოახერხებ შენ, რომ იკისრო
წინდახედულად დღეს ჩვენი ვალი?

კახი

ვეცდები თქვენის ხელმძღვანელობით.

მეფე

კეთილი! მაგრამ რისი იმედით?
იმათი ჯარი უთვალავია!

კახი

არა გვიჭირს რა, ჩვენც მზადა ვართ ღვთით...
მართალი არის, იმათი ჯარი
ჩვენსაზე ცხადად უფრო ბევრია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გავუძლებთ მათ ვაჟკაცობას!!...
რიცხვით მეტობა არაფერია!...

გივი

იმათზე უფრო მე ალისკანტი
მეჩოთირება და ის მაფიქრებს:
სამიათასი ლეკით მოსულა
და მისასვლელზე მტერს ზურგს უმაგრებს.

ბაადურ

დალახვროს ღმერთმა! რა მედროვეა?!...
რომ ველარ გაძლა ის ჩვენი სისხლით?!...
ნეტავ შემეძლოს, ახლაც დავლურში
რომ გამოვიხმო, თქვენის სიცოცხლით!
ჩემ დროში მაგას ბევრი სხვა სჯობდა,
მაგრამ სუყველას დედა ვუტირე!...

კახი

ნუ გეშინია... იმას ამ დროშიც
გამოუჩნდება მოპირდაპირე!..

მეფე

თუში ბევრი გვყავს?!

კახი

სამასი კაცი!

მეფე

ფშავ-ხევსურები?

კახი

ცხრაასიოდე!

მეფე

სარდლად მიეცი მათ ჭავჭავაძე!...
ლეკებს ეომონ, მხოლოდ, იცოდე!

კახი

ჩვენც ეგ დავსკვენით...

მეფე

მემარჯვნე სარდლად
ვინა გყავს, შვილო, გამორჩეული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახი

ქვაბულიძეა, ლევან...

მეფე

მემარცხნედ?

კახი

მემარცხნედ რევაზ ბებურიშვილი.

მეფე

მიმშველი ჯარის?

კახი

ჯანდიერია!

მეფე

მოწინავესი?

კახი

მე ვარ, ბატონო!

მეფე

შენა ხარ? ეგ-კი უხერხულია!
არ შემიძლია, რომ მოგიწონო!
შენ უნდა დარჩე მთავარსარდალთან,
რომ ყოველის მხრით. გეჭიროს თვალი!
სარდალს არ ჰფერობს მოწინაობა,
როდესაც სულ სხვა იწოდებს ვალი...

კახი

თქვენი ნებაა!

მეფე

მაშ კარგი, შვილო!
ახლა-კი დროა გზა დაგილოცო!...
ეს მინდა, გულზე რომ გადაგკიდო...
ჯერ-კი მუხლმოყრით უნდა აკოცო
ამ ძელჭეშმარიტს და ამ სასწაულს!
ეს იყოს, შვილო, შენი მფარველი!
ახლა-კი ადექ, მომიახლოვდი,
გადაგეხვევი, მომხვიე ხელი! (ჰკოცნის)
მშვიდობით, შვილო! მაღალმა ღმერთმა
გიწინამძღვროს და მოგმადლოს ძლევა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა დედასთან მიდი... იახელ
და გამოსთხოვე ლოცვა-კურთხევა! (ცრემლები ერევა)

დედოფალი

დედაშვილობის გამჩენმა ღმერთმა
გაკურთხოს, შვილო, გზა წარგიმართოს! (ჰკოცნის)
გივო, გაბარებ უკანასკნელად
და ნუ გაუშვებ საომრად მარტოს!

(ეთხოვებიან. ირაკლი გადის ამალით. გივი გაჰყვება. სიჩუმეა; მეფე აღელვებულია და ორივე ხელები გულზე აქვს მიდებული; დედოფალი ცრემლებს იწმენდს; ქალები ჩუმად ქვითინებენ)

ბაადურ

როგორ ბრძანდები, ჩემო ხელმწიფევ?
გულის ფრიალმა გიკლოთ, თუ არა?

მეფე

ლამის მამიდნოს, ჩემო ბაადურ!
ახლა კი ცოტა გადამიარა. (სიჩუმე)
(დედოფალს) მტერი მიიღებს პასუხს თუ არა,
უეჭველია ბრძოლაც ასტყდება
და დედა-წულის აქ დატოვება
საშიში არის... არ ევარგება!...
ჩვენც, დედოფალო, უნდა წავიდეთ,
აქ აღარავის მოგვასვენებენ.
სუყოველიფერ აქაურ ამბავს
იქ შიკრიკები მოგვახსენებენ.

დედოფალი

ჩემო ხელმწიფევ, მე სუყოველთვის
ვყოფილვარ თქვენი სურვილის ძონა,
მაგრამ დღეს უნდა სიტყვა შეგკადრო
და შემისრულეთ ეს ერთი თხოვნა:
მინდა, რომ შვილის მახლობლად დავრჩე...
მის მოქმედებას თვალით ვუყურო
და თანდასწრებით, ან მწუხარების,
ან სიხარულის ცრემლები ვღვარო!

ელენე

დიდო ხელმწიფევ, ჩვენც გადავწყვიტეთ,
რომ აქვე დავრჩეთ ყველა მახლობლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენის ქმრების და ჩვენის შვილების
სანუგეშოდ და გასამხნევებლად.

ბაადურ

ბატონო მეფევ! მეც მინდა, დავრჩე,
ამათი ხვედრი გავიზიარო;
რომ ფეხალაგობ, შემომსევ მტერზე,
ეს ძველი ხმალი კიდევ ვიხმარო! (სიჩუმეა)

დედოფალი

პასუხს მოველით და რას გვიბრძანებ?

მეფე

რაღა უნდა ვთქვა? (აღელვებით) მეც თქვენთანა ვარ!
(დედოფალს) ერთად სიცოცხლე! ერთად სიკვდილი
ჩემის გვირგვინის გვირგვინო, თამარ!...

ფარდა დაეშვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეხუთე

სცენა: მაღლობი ადგილი.

გამოსვლა 1-ლი

მეფე (დურბინდით გადაჰყურებს)

საკვირველია, ამ სიშორიდან
ისე სჩანს ყველა, თითქოს სარკეში:
ალაზნის პირად დამდგარა ჯარი,
მხოლოდ ლეკები ჩამსხდარან ტყეში.

დედოფალი

ომი დაიწყო?

მეფე

დიდი ხანია...
შემოკრული ჰყავს მტერი ქართველ ჯარს
და იერიშით პატარა გუნდი
ტყისკენ აწვება ლეკების საფარს...
მაგრამ ეს მცირეც შუა გაიყო!...
ნეტავ რას ნიშნავს, ვერ შემიტყვია?!
თუშის ჯარსა ჰგავს, ჩამოშორდა სხვებს
და მარჯვნით განზე გადაუხვია!

ბაადურ

ეგ ნოშრევანის ხერხი იქნება:
გამოსძებნიდა სადმე სუსტ მხარეს
და, ორთა შუა თუ მოიმწყვდია,
მტერს დააყენებს სიცხე-სიმწარეს!

დედოფალი

ღმერთო, მოგვხედე წყალობის თვალით!

ქალები

ნუ მოგვაკლებ დღეს შენს მოწყალებას!

ბაადურ

ამინ!... უფალო! გადაგვარჩინე,
მათ მწარე უღელს და ამ წვალებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე

დაიძრა ლეკი... მინდვრად გამოდის...
მიკვირს, საფარში რომ ველარ დგება?!

ბაადურ

არ მოგახსენეთ?! უთუოდ სხვა მხრით
თუში მოექცა და ის აწვება.
გაიქცენ?

მეფე

არა, წინ არ უშვებენ,
ყოველი კუთხით შეუკრეს გზები.

დედოფალი

ოჰ, ღმერთო, შენს მადლს! ღმერთო, მოგვხედე!

მეფე

როგორ მისცვივდენ ფშავ-ხევსურები!

ბაადურ

ჰიი, თქვენს გამჩენს კი ვენაცვალე
და თქვენს მარჯვენას, თუშ-ფშავ-ხევსურო!

მეფე

ლეკის საფრიდან გამოდის ჯარი,
თუში ყოფილა, თუშმაც მოასწრო!
ჰა, ჩაერიენ... გუნდი გუნდს ებრძვის...
გაერთდენ! ომი ხელდახელია!
ორივე მხარე საოცრად იბრძვის,
ჯერ გამარჯვება საეჭველია.
აგერ ვიღაცა ლეკის რაზმიდან
გამოდის... ცხენი გამოახტუნა...

ბაადურ

დავლურში იწვევს უთუოდ ჩვენსას,
მაგრამ თუ ერთი ბედმა უმტყუნა...

მეფე

გაჰყვა ვიღაცა... მაგრამ ჰო! ჰო! ჰო!
მისვლის უმალვე ძირს ჩამოვარდა.
მეორე გადის... ესეც დამარცხდა!
რა ვქნა? ჩვენებს დღეს რა დაემართა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი

ვაი, თუ თვითონ ალისკანტია?
ბევრს გააფუჭებს შეჩვენებული!...
მოდი და ახლა, ამის გამგონეს,
ნუ მოგიკვდება, ბაადურ, გული!

(თავს იქნევს)

მეფე

ორი გავიდა ერთად... პირველმა
მოატრიალა უკანვე ცხენი...
ძირს ჩამოვარდა... მეორემ მოჰკლა!...
ეჰე! ჩვენსასვე ჰკლავს ისევ ჩვენი?

ბაადურ

მტერი იქნება! ალბად ვერ ჰხედავთ...

მეფე

კიდევ აპირებს ვიღაც გამოსვლას
და არ უშვებენ, გარს ეხვევიან...

ბაადურ

შეჩვენებულმა ეგეც არ მოჰკლას!

მეფე

ვერ შეიკავეს... გამოდის... ღმერთო!
ამას რას ვხედავ?... ვგონებ ირაკლი!...

დედოფალი

ირაკლი?...

მეფე

დიახ, ირაკლის მოჰგავს!

ბაადურ

ღმერთო, შენ მიეც ძლევა და მადლი!

მეფე

მოჰკლეს!

დედოფალი (იკივლებს)

ირაკლი?...

მეფე

მოპირდაპირე—
ნულარა სწუხარ აწ, დედოფალო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედოფალი

სჩანს, ბედი ისევ ჩვენსკენ ყოფილა.
დიდება შენდა, ღმერთო-უფალო!...

ბაადურ (აღტაცებით)

არ გაჰყვებოდა პატარა-კახი,
თუ არ ჰქონოდა გული საგულეს.

მეფე

გატყდენ ლეკები! აღარ იბრძვიან...
ახლა-კი სწორედ ჩვენებმა სძლიეს!
ლეკებთან ერთად სხვებიც შეჩერდენ,
პირი იბრუნა, გაიქცა მტერი!
ჰა! დაედევნა ცხენოსანთ ჯარი,
რა საოცარი ავარდა მტერი?...
თვალით აღარა იხედება-რა!...
მაგრამ ცხადია, რომ დაგვრჩა ძლევა!...

ქალები

წმინდა გიორგი ალავერდისა,
მოგვმადლე შენი ლოცვა-კურთხევა!...

გამოსვლა მე-2-ე

ისინივე და **შიკრიკი** შემოდის.

შიკრიკი

ბატონო მეფევ! ნუ მოგიშალოს
ღმერთმა დიდება და გამარჯვება!
დამარცხდა მტერი... გაიქცა კიდეც
და შიშით უკან ვერ იხედება!...
თუ ლეკებს არა, ჩვენ აქამდისაც
დავამარცხებდით ყოველგან თათარს,
მაგრამ ლეკებმა ნამეტანი ჰქნეს:
სამაგალითოდ უმაგრებდენ მხარს!
საოცრად ჰბრძოდენ, სანამ ალისკანტ
არ მოჰკლეს, მათი ბელადი-ლომი;
მაშინ-კი სწორედ შეშინდა ლეკი,
ზარი დაეცათ და შესწყდა ომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე

საპირდაპიროდ რომ გამოვიდა,
ის ალისკანტი ხომ არ ყოფილა?

შიკრიკი

სწორედ ის გახლდათ, ჩემო ხელმწიფევ,
და ჩვენის მხრითაც ბევრი იმსხვერპლა.
ვინც-კი გავიდა, ზედიზედ მოჰკლა!
გაძნელდა მისი პირდაპირობა!...
ბოლოს გავიდა ლევანიც, მაგრამ
აღარ დასცალდა მისი გმირობა:
თან გაჰყვა ლევანს ბებურიშვილი,
რომ გასაჭირში მოხმარებოდა,
მაგრამ, როდესაც ლევან ბელადის
შუა გაპობას ეპირებოდა,
გავარდა თოფი იმ დროს რევაზის
და უცაბედად ლევან დაიჭრა.

ელენე

უი! ჩემს თვალებს! (გულს ეყრება. ქალები მისცვივდებიან)

დედოფალი

მხოლოდ დაჭრილა...

შიკრიკი

ნუ გეშინიათ, არა უჭირს რა!...
შეშინებულმა ლეკმა რომ ნახა
მოულოდნელად სხვისგან დაჭრილი,
გული მოეცა და იქვე მოკლა
ხმალდახმალ რევაზ ბებურიშვილი...

მეფე

მერე გავიდა ბატონიშვილი?...

შიკრიკი

ბევრი უშალეს, არ დაიშალა...
მასაც მოასწრო წყეულმა თოფი
და მოსულს უმალ გულზე ახალა.

დედოფალი (იკივლებს)

ირაკლი დასჭრეს?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიკრიკი

არა, ბატონო!
მის ძელჭეშმარიტს მოხვდა ის ტყვია,
ხატი გაჭეჭყა და ბატონიშვილს
არც-კი უგრძვნია, არ შეუტყვია.
მიაგდო ცხენი ხმალდახმალ მტერზე,
შუა გაჭკვეთა ერთის შემოკვრით
და მაშინ მტერმაც ომი შესწყვიტა
ყოველის კუთხით და ყოველის მხრით.

ბაადურ

გაიქცენ?

შიკრიკი

დიახ, და ჩვენი ჯარიც
უკან მოექცა, აღარ ასვენებს.

დედოფალი

გივი სად არის?

შიკრიკი

ბატონიშვილთან!
ორივე ერთად წინ უძღვის ჩვენებს.

გამოსვლა მე-3-ე

ისინივე და **მეორე შიკრიკი** შემოიჭრება.

მეორე შიკრიკი

ბატონო მეფევ!

მეფე

რა ამბავია?

მეორე შიკრიკი

ცუდი ამბავი! დამარცხდა ჯარი!....

მეფე

კი, მაგრამ ვისი?

მეორე შიკრიკი

ჩვენი, ბატონო!
გამარჯვებული დარჩა თათარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე

თათარი?! (I-ლ შიკრიკს) აკი ჩვენ გავიმარჯვეთ?

პირველი შიკრიკი

მე რომ იქ გახლდით, მტერი გაიქცა!

მეორე შიკრიკი

გადატრიალდა ხელახლა ბედი
და რისხვით თავზე დაგვატყდა ზეცა:
ალაზნის პირად, ერთ ხეობაში,
მტერი ყოფილა ჩასაფრებული,
ჩვენ არ ვიცოდით... იქ შეგვიტყუეს
და ასტყდა ბრძოლა გამწარებული.
დიდძალი ჯარი ამოგვიწყვიტეს,
გივი მოგვიკლეს და ჯანდიერი.
ბატონიშვილი დარჩა შუაში
და გარს ეხვევა ურიცხვი მტერი...

მეფე

ვაიმე, შვილო!

დედოფალი

უი შენს დედას!

ქალები

ვაი და უი! ამ დღის მოსწრებას!

ბაადურ (მსახურებს)

წამიღეთ ჩქარა, იქ მიმიტანეთ,
რომ მივეგებო უბედურებას!...

დედოფალი

მეც წამიყვანეთ! ჩემ ირაკლისთან,
რომ მისი ბედი გავიზიარო!

მეფე

მე-კი ვიღასთვის და რაღათ დავრჩე?
წავალ, რომ მათთან სისხლი დავღვარო!

ელენე

ჩვენ რაღას ვუცდით?

ქალები

წავიდეთ ყველა
ჩვენ ძმებთან, ქმრებთან და ჩვენ შვილებთან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე

და მათთან ერთად პირნათლათ წარვდგეთ
შეურცხვენელად იმ ჩვენ ძველებთან!
(ლეჩაქებს მოიხდიან და მიდიან)

გამოსვლა მე-4-ხე

ისინივე და **პატარა-კახი.**

ყველა

ამას რას ვხედავთ?

კახი

გამარჯვებული,
თვითონ მოვდივარ მე მახარობლად!
ისე გავწყვიტეთ მთელი ლაშქარი,
რომ აღარ დარჩა არც ერთი მთხრობლად.

დედოფალი

რას ამბობ, შვილო?

კახი

ძლევას გილოცავ!

მეფე

მაშ ეს შიკრიკი?

კახი

მე გაახელით
მაშინ, როდესაც იმედმიხდილი
სიკვდილს ვფიქრობდი ჩემივე ხელით:
მოულოდნელად შემოგკვრა მტერმა,
გზა აღარ გვქონდა ჩვენ წასასვლელი,
ვეღარ ვითვლიდით მკვდრებს და დაჭრილებს,
ისე აივსო იქ ტყე და ველი!...
მაგრამ მოგვესმა შორით გუგუნი,
ხმა „ჰკა მაგასა“ და ზედ კიჟინა;
მოზღვავდა უცბად სულ გლეხკაცობა,
მტერს მიესია და დაუშინა!
შეიქნა ქვების ზუზუნ-ზუზუნი,
თოხის და კეტის გაჩნდა ტრიალი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უცნაურმა სანახაობამ
მტერს წაუხდინა გული და თვალი:
დაჰყარეს შიშით მათი ფარ-ხმალი,
მხოლოდ სიცოცხლეს გვეველრებოდენ
და, გასაქცევი გზა რომ არ ჰქონდათ,
ალაზანშიაც კი ვარდებოდენ!
გადაწყდა ომი! მტერი მოისრა,
ნუ მოგეშალოსთ შვება და ლხენა!...

მეფე (აღტაცებით)

აკურთხოს ღმერთმა შენი გმირობა
და სასიკეთოდ გიძღოდეს ზენა! (ეხვევა)

დედოფალი

აქ მოდი, შვილო, ჩამეკარ გულში!
შენ გენაცვალოს ეს ძუძუები!
შენგან გამოხსნილ ჩვენ სამშობლოსთან
მეც ერთად, შვილო, დღეს ვიბადები! (ეხვევა)

ბაადურ

გვიბოძეთ ხელი, რომ გეამბოროთ
და სიხარულის ცრემლი დავღვაროთ!

კახი

მაგრამ სიხარულს ნაღველიც თან სდევს,
საუბედუროდ და სამწუხაროდ!...
ნათლის გვირგვინიც უფერულია,
თუ გარეშემო აღარ აქვს სხივი!
რაღაა ჩვენი დღეს გამარჯვება,
როცა აღარ გვყავს მოხუცი გივი?
არ დაუგდია მას ბრძოლის ველი,
თუმც სასიკვდილო გულს აჯდა ტყვია;
და, გაქცეული რომ ნახა მტერი,
უკანასკნელად გადამეხვია!...
მითხრა: „მშვიდობით, ჩემო გაზრდილო,
გახსოვდეს ღმერთი და საქართველო“.
ეს სთქვა და მეტი აღარ დასცალდა,
წითლად შეღება მან მწვანე მდელო.

მეფე

ღმერთმა აცხონოს!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედოფალი

აცხონოს ღმერთმა!
ჩვენის ქვეყნისთვის უძგერდა გული.

ბაადურ

და ღირსეული ღირსად მომკვდარა
სამაგალითო მამულისშვილი!...

კახი

ბედმა ეს ტანჯვა რომ არ მაკმარა?!
გამიორკეცა გულის ტკივილი:
ლევანი, ჩემი მარჯვენა ხელი,
მეტად საეჭვოდ არის დაჭრილი!...
ნაბრძანები მაქვს, აქ მოიყვანონ...
რომ მოვუაროთ, ჩვენი ვალია!... (მოჰყავთ)
ა, კიდეც მოჰყავთ! ხომ ცოცხალია?

მსახურები

თქვენს სასახლესთან სული დალია!

ელენე

უი, მიშველეთ! (ქალები მისცვივდებიან)

ქალები

ससუ! დაგავიწყდა?
სადა ხარ, ქალო? ვის ეკადრება?

კახი

ვაიმე ძმაო!... შენი დაკარგვით
გამიორკეცდა დღეს მწუხარება!...

მსახურები

ბატონო, ვილაც უცხო ყმაწვილი
ვნახეთ დაჭრილი, ტყის პირად ეგდო
და შეგვეხვეწა: „ნუ დამაშორებთ,
ლევანთან ერთად მეც წამიღეთო“.

მეფე

ვინ ყმაწვილია?

კახი

ერთი ვილაცა,
უცხო ჩვენ ჯარში გამოერია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის მშვენიერ, ბავშურ სახეზე
ჯერ არც ულვაში და არც წვერია;
ლევანს დასდევდა, არ შორდებოდა,
ნაცნობს ვერავის ვერ მივამგვანეთ!...

მეფე

ვინც უნდა იყოს... ჩვენი ყოფილა!...
მოდით და ახლავ შემოიყვანეთ...

გამოსვლა მე-5-თე

ისინივე და შემოაქვთ **დაჭრილი.**

დაჭრილი

სად არის ლევან? აბა მიჩვენეთ!
ეს არის, აგერ რომ ასვენია?
რისთვის მიშორებ, შენ გენაცვალე?
რომ მიმატოვე, არა გრცხვენია?!...
„ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვდილი“,
ასე არ იყო ჩვენი პირობა?
და შენ კი გინდა სიტყვა გასტეხო?
ამას იფერებს შენი გმირობა?
აჰა, გიბრუნებ შენსვე საწინდარს,
(იხსნის გულს, აიგლეჯს რაღასაც და გულზე ადებს)
თვით ღმერთი იყო ჩვენი თავმდები!...
შენ-კი აქავე მიშორიებდი,
მაგრამ მე იქაც არ მოგშორდები!...
წავიდეთ ერთად... (ჩაეკვრება და კვდება)

მსახური

ქალი ყოფილა!

ყველა

ქალი ყოფილა?!!

მეფე

ვინ არის, ნეტავ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მე-6-სე

ისინივე და **მოხუცი** შემოდის მედიდურად.

მოხუცი

ვიცი, ვინც არის, ჩემო ხელმწიფევ!
უსინათლო ვარ და მაინც ვხედავ!...
მაგრამ მაგისთვის ჯერ არ მცალია...
ბატონო მეფევ, ძლევამოსილო,
ადიდოს ღმერთმა შენი მეფობა!
და შენც გმირთგმირო, ბატონიშვილო,
ამიერიდგან საშვილიშვილოდ
კურთხეულ იყოს შენი სახელი,
რომ შენთან ერთად იდიდებოდეს
შენი მშობელი, შენი გამზრდელი!...
დღემდის ტანჯული ჩვენი ქვეყანა
შენით სულს ითქვამს აწ თავისუფლად,
და შენც, უფალო, ამდენი ტანჯვა
სამარადისოდ იკმარე მსხვერპლად!...
ახლა-კი, შვილო, შენთან მოვდივარ!...
აბა, მიჩვენეთ, მივიდე, ვნახო,
რომ ხმალაძიანთ უკანასკნელს მსხვერპლს
უკანასკნელად ხელი შევახო. (დაუჩოქებს)
აქა ხარ, შვილო? ეს ვინლა არის?
შენი ლევანიც აქა გყოლია?
მადლობა, უფალს, რომ მაგის ჯავრი
სამარეში თან არ ჩაგყოლია!
ერთად წასულხართ... აქ არ გელირსათ
ბედნიერება, შვება და ლხინი,
მაგრამ იმ სოფელს, სამაგიეროდ,
დაგედგასთ თავზე ნათლის გვირგვინი!
(მოეხვევა. ზარების რეკა მოისმის)

მეფე

ჩუ!

დედოფალი

კარისაა ეს ღვთისმშობელი...
პარაკლისს იხდის, სჩანს, სამადლობელს!...
ჩვენც ღმერთს მადლობით ავუპყრათ ხელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თაყვანი ვცეთ მის დიდ განგებას
და მოვიყაროთ მუხლები მის წინ. (იჩოქებს)

მეფე

„აღდეგინ ღმერთი და განიბნინენ
ყოველნი მტერნი იმისნი!“

ყველა

ამინ!

(ისმის რეკა. ფარდა ნელ-ნელა ეშვება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი გმირი

(1898)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი გმირი

დრამა ოთხ მოქმედებად.

მოქმედნი პირნი:

დათიკო სირაძე—რედაქტორი.
არჩილ კახიძე—ექიმი.
ხოსრო (იგივე ქაიხოსრო) **გირკანელი**— გამომძიებელი } თანამშრომელნი.
ნიკო ჩიხელი—სოფლის მასწავლებელი
ქეთო ჩიტაძისა—ახალგაზრდა ქალი.
მარო რაზმაძისა—შემდეგში ქაიხოსროს ცოლი.
ნენე—მაჭანკალი.
ბალდასარ ბუდალოვი.
ზაქარა—მსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება პირველი

სცენა: ღარიბულად მორთული პატარა ოთახი. მარჯვნივ სტოლთან ხის დ ა თ ი-კ ო და სწერს; მარცხნივ დივანზე, მუთაქაზე მიყრდნობილია ქ ე თ ო წიგნით ხელში იმის წინ დგას ხ ო ს რ ო და რაღაცას აღტაცებით ესაუბრება. განის კარები ღიაა, ოთახის ერთი მხარე მოსჩანს.

გამოსვლა პირველი

დათიკო, ხოსრო, ქეთო და მერე **არჩილ.**

არჩილის ხმა ოთახიდან. დათიკო! ჰაა, დათიკო! არ გესმის, ყმაწვილო?

დათიკო. (თავს აიღებს) ჰმმმ! რა გინდა?

არჩილ. რა დღეა დღეს?

დათიკო. შაბათი.

ხოსრო. პარასკევი!

დათიკო. შაბათია! შაბათი!

ხოსრო. არა მეთქი, პარასკევია!

არჩილ. (კარებზე მოდგება) რომელ ერთს უნდა დაგიჯეროთ?

დათიკო. თუ დაიჯერებ, შაბათია.

ხოსრო. აბა, საკედლო კალენდარს შეხედე!

დათიკო. ეგ ხომ გუშინდელია.

ხოსრო. არა მეთქი, პარასკევია! დღეს დილით ჩემი ხელით ავაგლიჯე ფურცელი.

დათიკო. გუშინდელი გახსოვს!

ხოსრო. მე უკეთ არ ვიცი?

დათიკო. გეშლება, გუშინ იყო.

არჩილ. დაგებნათ დღეები?

ქეთო. მე კი პარასკევი მგონია.

არჩილ. „მგონიაობა" ხშირად შეგვაცდენს ხოლმე.

დათიკო. თქვენ რომ პარასკევი თვალსა და ხელს შუა გამოგეპაროსთ, ჩემი რა ბრალია? (იცინის) დახედეთ, აი, ამ საათს, შუალამე გადასულია...

არჩილ. (დაცინვით) მაშ თქვენ კატის პარასკევი ხომ არ გაგონდებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოსრო. კატის პარასკევი რომელიღაა?

არჩილ. ძეხვს რომ ვერ შესწვდა და მაინც „პარასკევიაო“ ამბობდა.

ხოსრო. (წყენით) მაგისთანა პარასკევები თქვენს უბანში მოიკითხეთ.

არჩილ. თქვენსაში კი სულ აღდგომა და შობაა? (ქეთოსკენ) მაშ გაფრთხილდი, ქალო, რომ დიდი პარასკევი არ დაგიდგეს!... (შებრუნდება. დათიკო წერას მოჰყვება)

ხოსრო. (ქეთოს) ე რა გესლიანი ვინმეა!

ქეთო. რაო? მე ვერა გავიგე-რა!...

ხოსრო. არცა ღირს!... (შეჰხედავს და, რომ დაინახავს დათიკოს თავჩაღუნულს, მიუჯდება ქეთოს გვერდში). რას ჰკითხულობ მაგას?

ქეთო. აი, რასა!... (წიგნს მიიფარებენ)

ხოსრო. საუცხოვო ადგილია! (ჰკოცნის)

ქეთო. (თვალით ანიშნებს დათიკოზე) მაგდენიც არაფერი. (დათიკო თვალს შეასწრებს და თავს ჩაღუნავს). მოცლილი თუ წაიკითხავს, თორემ ახალი აქ არა არის-რა!...

ხოსრო. ახალი არა არის-რა, მაგრამ ისეთი რამე კია, რომ კაცს თავის დღეში არ მოსწყინდება!... განა?

დათიკო. (ახველებს) ჰეე, გავათავე! ამაზე უფრო მეტი დამახინჯებაც აღარ მოხერხდება.—გამიგონია, ძველად ერთმა ახალგაზრდა შეყვარებულმა თავის სატრფოს ცალი თვალი წასთხარა, რომ, ეგება, მტერმა აღარ წამართვას და ცალთვალი მაინც დამრჩესო... სწორედ ისე გვემართება ჩვენც...

ქეთო. აბა, დრო ის ყოფილა და სიყვარულიც მაშინ სცოდნიათ.

დათიკო. დროსი რა მოგახსენო და სიყვარული კი სწორედ სცოდნიათ.

ხოსრო. (ულვაშების გრეხით) კაცებს!...

ქეთო. ქალებს კი არა?

ხოსრო. მაგალითი არ გადმოუციათ.

დათიკო. როგორ თუ არა?! მაშ გულთამხის ამბავი არ გაგიგონია?

ხოსრო. მომიკრავს ყური ცალი ყბით, მაგრამ გულში ჩასარჩენი კი არა ყოფილა-რა.

ქეთო. მე კი პირველად მესმის. ვინა ყოფილა?

დათიკო. ჯაფარიძის ქალი. დიდი და პატარა ყველა თურმე იმას ეტრფოდა და არჩევანიც მის ხელში ყოფილა.

ხოსრო. ჰაი-გიდი, ქალო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათიკო. მოტრფიალეთა რიცხვში ერთი ახალგაზრდა გოცირიძეც რეულა, გარდა სილამაზისა, ყოვლად სრული, გამოჩენილი და სახელოვანი.

ხოსრო. მაგრამ მაინც კაი მასალა კი ჰკლებია.

დათიკო. გულთამზეს გონება თურმე მისკენ უჭრიდა, მაგრამ გრძნობა კი სულ სხვას ეუბნებოდა.

ხოსრო. აბა, რა! ქალი არ იყო, თუ?

ქეთო. დაგვაცა ერთი და...

დათიკო. გული თავს ეურჩებოდა, მაგრამ ქალი მაინც კიდევ დროს უცდიდა და სცდილობდა, რომ როგორმე თვალი შეეჩვია!

ხოსრო. აი, სწორედ ქალური ახირებულობა!

ქეთო. მერე, მერე?

დათიკო. ასპინძის ომში, სადაც დიდძალი იმერლობა დაესწრო, გოცირიძემ ჩვეულებრივად სახელი ნახა, მაგრამ ძვირად კი დაუჯდა ვაჟკაცობა: მძიმედ დასჭრეს და, სხვათა შორის, სახეზედაც რამდენიმე ჭრილობა დალად დააჩნდა.

ხოსრო. (სიცილით) „არ ვარგოდა ძმარიო და მიემატა წყალიო“.

დათიკო. როცა მორჩენილი დაბრუნდა იმერეთში, გულთამზემ ნახა და იცით, რა მოუვიდა?

ხოსრო. ჯერ სიცილი აუტყდა, სახეზე რომ შეხედა, და მერე კი შეებრალა.

ქეთო. (აღელვებით) ნახა და შეუყვარდა!

დათიკო. სწორედ! შეუყვარდა და ქმრადაც აირჩია.

ხოსრო. შეუყვარდა? ეგ შეუძლებელია!

ქეთო. სრულიადაც არა.

ხოსრო. მაშ მეტიჩრობით მოსვლია.

ქეთო. ჭეშმარიტის გრძნობით.

ხოსრო. უფრო ფარისევლობით.

ქეთო. წრფელის გულით.

ხოსრო. ეგ ბუნების წინააღმდეგია!... უშვერებას გული კარს ვერ გაუღებს.

ქეთო. მაშ თქვენი თვალწამოთხრილი სიყვარული რაღა მაგალითი იყო?

ხოსრო. ის სულ სხვა არის! რაღაი-კი ერთხელვე გულში დაისადგურებს სიყვარული, მერე გრძნობა ყველაფერს აიტანს... მანამდის კი...

დათიკო. (გაიძახის) არჩილ! არ გესმის?

არჩილ. (გამოიძახის) ყურს ვუგდებ და მეცინება. (გამოდის) რაო, რაო? მახინჯი გრძნობაო... თვალწამოთხრილი სიყვარული კიდევ რაღაა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოსრო. ვერ გაიგონე?

არჩილ. როგორ არა! (დაცინვით) კაცს ისე თურმე ჰყვარებია, რომ ქალისათვის თვალი წამოუთხრია... საუცხოოა!

დათიკო. განა ცუდი დამტკიცებაა?

არჩილ. ვინ ამბობს? მაგრამ თავისი თვალი რომ წამოეთხარა, მაშინ-კი უფრო სარწმუნო იქნებოდა.

ხოსრო. (თვალების ქაჩვით და ულვაშების გრეხით) მაგ მაგალითში სიყვარულის თავგანწირულება იხატება... ამფერ, კაცო!..

არჩილ. სხვისი თავის განწირვა ძნელი არ უნდა იყოს!

ქეთო. (აღტაცებით) მე მესმის ეგ გმირობა!...

არჩილ. მართლა?! მაშ ამას როგორლა გაიგებთ: ბატონს მოეწონა ყმის ბედაური; ყმას შეეშინდა: „არ წამართვასო", და ძუა-ფაფარი დააკვეცა: „ეგებ ბატონმა აღარ წაიყვანოს და მე საბარგოდ მაინც გამომადგებაო"?!.

დათიკო. (თავისთვის) რა ახირებული მაგალითები იცის!

ქეთო. (ზიზღით) ფუ! სიყვარული და გაკრეჭილი ცხენი! რა მოხდენილი და მიმსგავსებული შედარებაა?!

არჩილ. რატომ? იქაც პირადი სარგებლობის ანგარიშია და აქაც.

ხოსრო. მაშ გულთამზის მაგალითი ხომ სულ...

არჩილ. (სიტყვას ჩამოართმევს) არა, ეგ კი სწორედ შესაძლებელია.

ხოსრო. შესაძლებელია?!

არჩილ. რასაკვირველია!... გაკერპებულ ადამიანს ბევრი რამ წარმოუდგება, ბევრი რამ მოეჩვენება და მაშინ ადვილად დააჯერებს გრძნობა-გონებასაც.

ხოსრო. ნეტავ, გულთამზეს რა ჰქონდა გასაკერპებელი? ვინ გააკერპა?

არჩილ. უთუოდ საზოგადო მოვლინებამ!... მაშ ვინ გააკერპა ჩვენი დედები, ის ოჯახის შვილები, ქვეყნის მტრებს რომ ცოლებად მიჰყვებოდენ და რჯულზედაც კი ხელს იღებდენ, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ჩვენი სამშობლოს მტრობა სამოყვროდ შეეცვლევინოთო!

ხოსრო. ეგ სხვა არის. მანდ განზრახვა მოსჩანს და არა გრძნობის გატაცება...

არჩილ. თანახმა ვარ! მაგრამ იმ დროში რომ ქალს რომელიმე გმირის ჭრილობა მშვენიერების ბეჭდად და გვირგვინად სჩვენებოდა, განა შეუძლებელი რამ იქნებოდა?

ქეთო. არა თუ იმ დროში, ეგ დღესაც შესაძლებელია!

არჩილ. მაგისი კი რა მოგახსენოთ!

ქეთო. ვითომ რატომაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ. იმიტომ, რომ დღეს გულთამზეები აღარსად გახლავან და მხოლოდ თვალის ჩინები ბრძანდებიან.

ქეთო. (წყენით) როგორიც გოცირიძეები თქვენა ბრძანდებით, მისთანა გულთამზეებიც ჩვენ გახლავართ! ჯერ გოცირიძეები უნდა გამობრძანდენ ცხოვრების სარბიელზე და მაშინ გულთამზეებიც გამოჩნდებიან.

არჩილ. რა იცით, რომ გამოჩენილიც არ არიან?

ქეთო. ვინ? გოცირიძეები? როგორ არა... უთვალავი გყავსთ!

არჩილ. თვითო-ოროლა ხომ ურევია.

ქეთო. თქვენს ახალგაზრდობაში?

არჩილ. დიახ!

ქეთო. ხა! ხა! ხა! ხა! მაშ რაღათ იმალებიან! და სად არიან?...

გაგოსვლა მეოთხე

ისინივე და **ნიკო** შემოდის ღარიბულად ჩაცმული.

ნიკო. (ქეთოსა და ხოსროს რომ ერთად დაინახავს, შეკრთება. დათიკოს) სტამბა მომცდარია და მასალა კი აღარსად არის.

დათიკო. აი, გეთაყვა, წაიღე და ააწყობინე! სხვები ხომ სულ ააწყვეს? გაასწორე?

ნიკო. მოვრჩი! (ხოსროს) თქვენი საკვირაო ფელეტონი კი დაკავეს.

ხოსრო. მართლა? ახირებულია, თუ აზრიანს აღარას დაგვაწერინებენ!...

ქეთო. რაზე იყო?

ხოსრო. კაცის ხასიათზე და მის მოვალეობაზე.

არჩილ. უჰ, მაღალი ფარდისა ყოფილა!...

ქეთო. სულ დაიჭირეს, თუ გამორიცხეს რამ?

ნიკო. მაგდენი გამოსარიცხავიც არა ყოფილა-რა. (მიდის)

არჩილ. (ქეთოს) მაგ ყმაწვილს იცნობთ?

ქეთო. ვისა? ნიკოს? ყოველ დღე არა ვხედავ?!...

არჩილ. არა, დაახლოვებით! ეგ გახლავს გოცირიძე.

ქეთო. გვარად, თუ მოქმედებით?

არჩილ. საქმით.

ქეთო. ხუმრობთ.

არჩილ. არა, გარწმუნებ, რომ ერთი მათგანია.

ხოსრო. ფხხხუუ!... (იცინის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ. რას იცინი?

ხოსრო. ბევრი არა ნდომებია-რა თქვენს გოცირიძობას: საკმაო ყოფილა მიყრუებულ სოფელში სადმე ბავშებს ანა-ბანა გაუკვეთოს და მოცლის დროსაც სტამბაში იჩხირკედელაოს.

არჩილ. მაშ როგორა ბგონია! ეგეც არ იცი?

დათიკო. სჩანს, ვერ გიცვნიათ ეგ ყმაწვილი! არც სწავლით, არც ნიჭით და არც შრომისმოყვარეობით არავის ჩამოუვარდება.

არჩილ. და პატიოსნება კიდევ მეტია!

ქეთო. მაშ რათ დაუჩაგრავს მაგრე ბედს?

არჩილ. დრო და ჟამსა ჰკითხეთ!...

ხოსრო. სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი წარმომადგენელია ძველი გმირების!...

ქეთო. (იცინის) მეც მაგრე მგონია!

არჩილ. დროს საკადრისად და გარემოების შესაფერად, დიახაც გმირია.

ხოსრო. მაშ ვერ ყოფილა სახარბიელო ჩვენი დრო!

ქეთო. მეტად ამცირებთ.

არჩილ. (ქეთოს) სულაც არა!... ძველად გარეშე მტრებს ვიგერებდით და დღეს შინაგანს ვებრძვით. მაშინ სისხლის თხევა იყო საჭირო,—დღეს ოფლის ღვრაა და ფარ-ხმალიც განსხვავებულია.

ხოსრო. ნიკოს ფარ-ხმალი?

არჩილ. პირადობაზე ხელის აღება და საზოგადოსათვის თავის განწირვა.

ხოსრო. სიტყვაა!!! ვინც თავს ვერას არგებს, ის სხვას რას გამოადგება?

არჩილ. ხალხის ჰეშმარიტებაც ეგ არის... მაგრე ამბობდენ მოციქულებზე და პირველი საუკუნის ქრისტიანებზე კერპები.

ხოსრო. ხალხსაც თავისი შეხედულება აქვს.

არჩილ. მაშ, ჩვენმა ყმაწვილკაცობამ ჯერ უნდა თავის თავზე იფიქროს: დაიწყოს ადვოკატობა და ხალხს ტყავი გააძროს, რომ იმისვე სათაყვანო გახდეს; ან-და მიჰყოს ხელი ექიმობას, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ფულები ჰკრიფოს და სასაფლაოები ასუქოს; და ან კიდევ ხელჯოხიანობა იკისროს და ქვეყნის გაწირვით იდღესასწაულოს! მაშინ ხომ მათზე ძვირს ვეღარავინ იტყვის?! და ჩვენი ქალებიც წყალობის თვალით შეჰხედავენ... განა? ხა! ხა! ხა! ხა!...

ქეთო. ეგეც უკიდურესობაა და ისიც! უკიდურესობა ხომ ყველას არ მოეთხოვება?... განსაკუთრებით ქალებს!

არჩილ. მაშ, გულთამზის ამბავმა წეღან ისე რათ აგიტაცათ? თქვენ არა ბრძანეთ: გულთამზეობა ახლაც შეიძლებაო?... დალოცვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო, თუკი უწინდელ ქალებს სახის დამასახიჩრებელი ბრილიანტა მშვენიერების გვირგვინად და ბეჭდად ეჩვენებოდათ, თქვენ რაღა გემართებათ, უკეთეს ყმაწვილ კაცებს თვალს არიდებთ მხოლოდ მიტომ, რომ ღარიბები არიან და კოხტურად ვერ იმოსებიან!... მაგრამ ეჰ!... ღირს კი ამაზე ლაპარაკი?... რისი გულთამზე და ვისი გულთამთვარე! სად არიან?...

ქეთო. (ხოსროს) ხომ არა შეუტყვია-რა?

ხოსრო. არაფერი!... მაშუალივით კი ესარჩლება იმ ყმაწვილსა და!...

ქეთო. იჰ, გამოესარჩლოს, თორემ გული არ შემიცვალოს!

ხოსრო. (ალერსით) ვინ იცის?

ქეთო. (ალერსით) გრცხვენოდეს! (საათს ამოიღებს) უჰ! პირველი საათია... გამაცილებ?...

ხოსრო. ღამე მშვიდობისა, ყმაწვილებო! სხვა ფელეტონი ხომ არ დავწერო?

დათიკო. არა, მზადა გვაქვს მეორე.

ხოსრო. არჩილის?

დათიკო. არა, ნიკოსი.

ხოსრო. ნეტავ რაზედა სწერს?

დათიკო. სიყვარულზე.

ქეთო. სიყვარულზე? (არჩილს) თქვენი გოცირიძე სწერს?

არჩილ. დიახ, ჩემი გოცირიძე სწერს, რომ თქვენმა გოცირიძემ წაიკითხოს.

ხოსრო. (ხელს აშვერს არჩილს) თუ ბატონი დოქტორის მოწაფეც არის, კარგად კი ეცოდინება სიყვარული და რიგიანადაც ახსნის.

არჩილ. სიყვარულს მხოლოდ გრძნობა უნდა და, თუ ცოდნა იყოს საჭირო, მაშინ ნიკო შენ მოგებარებოდა მოწაფედ და არა მე... სიტყვების რახარუხი ეცოდინებოდა.

ხოსრო. უსიტყვო გრძნობა ხომ პირუტყვებსაც აქვსთ.

არჩილ. მაგიერში უგრძნობელ სიტყვებსაც ვერ მოახერხებენ და ამით ზოგიერთ მეტყველზე უპირატესობა აქვსთ.

დათიკო. კარგია, ახლა ალარ გაათავებთ? სადაც არის, გათენება მოატანს.

ქეთო. (ღიმილით) გვითხოვ?

დათიკო. თუ მაგრე შეჰყევით, პარასკევი კი არა, კვირაც გამოგეპარებათ.

ქეთო. მშვიდობით! მშვიდობით! მართლა, რომ დროა. (მიუბრუნდება არჩილს და თავს დაუკრავს მძიმედ) მშვიდობით ბრძანდებოდეთ!... თქვენს გოცირიძეს მოკითხვა გადაეცით! (მიდიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ. თვენი გოცირიძე მანდერ გახლავსთ! (ხელს აშვერს ხოსროს).

ხოსრო. (შეჩერდება) მე რაღასა-გადმომწვდი? არ შეიძლება—გვიპასუხოთ?

არჩილ. დიდის სიამოვნებით!... მაგრამ ახლა დრო აღარ არის! ჯერ ეგ თქვენი გულთამზე გააცილეთ!...

ქეთო წავიდეთ, წა!... ხომ ხედავ, რა გუნებაზეა?

ხოსრო. (გაჰყვება) ილრინება ჩვეულებრივად. (კარებთან რომ მიაწევენ, დაბრუნდება) დათიკო! თუ ღმერთი გწამს, ძილს ნუ გაატეხინებ არჩილს, თვარა ხვალ ცუდ გუნებაზე დადგება და მტერსა და მოყვარეს გაურჩევლად მოშხამავს... ჯერ ახლაც მოლესილია. (მიდიან)

გამოსვლა მესამე

დათიკო და **არჩილ.**

დათიკო. რა არის, რომ მაგ კაცთან გულგრილად ლაპარაკს ვერ ახერხებ?

არჩილ მეჯავრება.

დათიკო. არც მაგრე ამოჩემება ვარგა! ჩვენი აზრის კაცია, ჩვენი რაზმისა და ჩვენი მომხრე.

არჩილ. მხოლოდ დრომდე.. ჩვენი რაზმი მაგისთვის კიბეა და ხიდი სხვაგან გადასაყვანი... ცოტა გვინახავს მაგისთანები?... სანამდის თავს იჩენდენ და ზურგს გაიმაგრებდენ, ჩვენ გვეკედლებიან... ჩვენთან არიან... ვითომ ერთგულად და გაბედვით ვაკეთებთ საქმესაო... თვითო-ოროლა რამესაც დასწერენ და მერე-კი...

დათიკო. შორს და მშვიდობითა?

არჩილ. მაგასაც კი აღარ გვაჯერებენ: შორს და კისრის ტეხითო! პირველ მტრებთაგანი გვიხდებიან ხოლმე.

დათიკო. ხოსროს მაგგვარი არა ეტყობა-რა.

არჩილ. აი, ვნახოთ, თუ არა!... გახსოვდეს ჩემი სიტყვა, თუ მაგან ის ქალი არ გააუბედუროს.

დათიკო. მერე ჩვენ რაო?

არჩილ. ის, რომ ჩვენი სირცხვილი იქნება: ჩვენს წრეში შემოსულა, წრფელის განზრახვითა და სასოებით მოგვენდო და ერთმა ჩვენგანმა, ანუ ცრუ ჩვენთაგანმა, უნდა საუკუნოდ გააუბედუროს?

დათიკო. ჩვენ ხომ აპეკუნები არა ვართ?! ყმაწვილი აღარც ეგ არის...

არჩილ. ქალი სიყვარულში სიკვდილამდე მცირეწლოვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათიკო. ვითომ რატომა?

არჩილ. იმიტომ, რომ კაცზე უფრო წრფელი და ბუნებათანაზიარია... ადვილად მოტყუვდება... ეს საზოგადო კანონია... და ქეთოს ხომ უფროც ეჭირვება გაფრთხილება.

დათიკო. ქეთო რადა არის?

არჩილ. ქეთო ჯერ კიდევ ყმაწვილია, ნიჭიერია... მაგისაგან შეიძლება კარგი რამ გამოვიდეს... მაგრამ ატაცებული ბუნებისაა ისე, როგორც ყოველი ნიჭიერი, და ვაი-თუ..

დათიკო. მაშ, გვიანლა არის მაგის მოხმარება!...

არჩილ. როგორ? განა შეუტოპავს?

დათიკო. რასაკვირველია! უყვარს...

არჩილ. ჰე, ეგ კი არ მიამა...

დათიკო. არც მე მიამა, მაგრამ რა გაეწყობა? (ხელებს შლის)

ფ ა რ დ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეორე

სცენა: ქეთოს ოთახი. მ ა რ ო ზის სავარძელში და წიგნს ჰკითხულობს. ქ ე თ ო მეორე ოთახიდან გამოდის შლიაპითა და ქოლგით.

გამოსვლა პირველი

ქეთო. ახლა კი მზადა ვარ.

მარო. (მოუბრუნდება) მიდიხარ?

ქეთო. დიახ, ჩემი ძმა ჩამოსულა და სასტუმროში დავუბარებივარ საქმეზე.

მარო. მაშ მეც წავალ.

ქეთო. შენ რაღათ?

მარო. როცა მასპინძელი სახლიდან გარბის, სტუმარი რაღა მოხელეა?

ქეთო. დიდი ხანია სტუმრობა დაიწყე ჩემ სახლში? მარო არ მოიკვდეს, შენ შინ არავინ გაგიშვას. დღეს, შეიძლება, ჩვენმა ყმაწვილებმა აქ მოიყარონ თავი და უშენობა განა მოხერხდება?... მით უფრო, რომ არ ვიცი, რამდენ ხანს დამაგვიანდება ძმასთან. შენ იმასპინძლე ჩემ მაგიერ (ხელს მოჰკიდებს და დააჯენს) დაბრძანდი! დაბრძანდი! აი, ასე!... მშვიდობით. (მიდის, მერე ისევ მობრუნდება) იცი, ქალო, დღეს ერთს ვისმეს გაიცნობ.

მარო. ვისა?

ქეთო. ნიკო ჩიხელს.

მარო. ვინ ჩიხელია?

ქეთო. „სიყვარულის“ ავტორი.

მარო. მართლა?... ვნახოთ! ძალიან ატაცებული ვინმე კი უნდა იყოს.

ქეთო. სულაც არა! ეგ ერთი დუშაში მოუვიდა და ისიც ჩემის მიზეზით.

მარო როგორ თუ შენით?!

ქეთო. შეყვარებულია.

მარო. შენ უყვარხარ?

ქეთო. ჩემდა საუბედუროდ.

მარო. გამოგიტყდა კიდეც?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო. რაღა გამოტეხა უნდოდა? განა ისე კი ვერ შევატყობდი? მოცლის დროს იმასა ცდილობს, რომ სულ ჩემს მახლობლად იყოს... დაჯდება ჩემ გვერდით მუნჯივითა, ვითომ და აქ არაფერი ამბავია, ხმას არ იღებს, მაგრამ მისი გულის ძგერა კი იქიდან აქამდე გესმის. ნერწყვს ნერწყვზედა ჰყლაპავს... ალბათ პირი უშრება ხოლმე. თანაც სცდილობს, რომ ქურდულად მიჭვრიტოს და, როცა თვალს შევასწრებ ხოლმე, თავსა ღუნავს.

მარო. ერთი სიტყვით, ეგ ყველა ნიშანია ახალგაზრდა შეყვარებულის. მომილოცავს!...

ქეთო. იჰ, ნეტავი შენა! რაში მეკნაჭება მისი სიყვარული?

მარო. შენ რაღას ეუბნები?

ქეთო. მე რა უნდა ვუთხრა?!... არც კი შევიჩნევ ხოლმე. ფლავი წინ მედგას და ლობიოს გამოვუდგე?

მარო. მერე და არ გეცოდება?

ქეთო. თუ მაგრე გეცოდება, შენთვის დამითმია! (ჭკოცნის) მშვიდობით! მშვიდობით! დამაგვიანდა! (გარბის)

გამოსვლა მეოთხე

მარტო **მარო** (გააყოლებს თვალებს)

მარო. რა ატაცებულია?!... მართებს კიდეც: სიყვარულმა გული აუფქრიალა და მიმოფრენს... როგორც სიზმარში! (წამოდგება და დადის) შემცდარია დათიკო, რომ ქალებს უპირატესობას აძლევს კაცებზე ცხოვრებაში!... მართალია, ჩვენ უფრო გულკეთილები ვართ... უფრო თავგანწირულები და ყოველ შემთხვევაში სამსხვერპლოდაც მზა, მაგრამ სიყვარულში კი... იმ ერთ საგანში უკიდურესობაა ჩვენი კანონი: ჩვენთვის ალარც მშობელი, ალარც ნაშობი და ალარც მეგობარი!... მზადა ვართ შევწიროთ წამიერ გულისთქმას ცის და ქვეყნის კეთილდღეობა. (დადის. მივა და დაეყრდნობა კამოდს. პირი პუბლიკისკენ აქვს) ჰმ!... აი ჩემი სიყრმიდანვე თანშეზრდილი მეგობარი და დაზე უტკბესი ქეთო! იცოდა, ვინც ბიყვარდა... გუშინ არ იყო, რომ მანუგეშებდა და იმედს მიქადდა? დღეს ამოუგლეჯია მოღალატობით მისი გულიდგან ჩემი სიყვარული, თვითონ უხელთებია მისი თავი და მესაიდუმლედაც მე მხდის. ალარ ესმის, რომ მისი ყოველი სიტყვა ეკალია და ისრად მესობა გულში. ავიწყდება, რომ მეც ქალი ვარ და სიყვარულის გამო შურისძიება ქალის უკიდურესი მახვილია... არა!... ადვილად ვერავის დავუთმობ ჩემს ბედნიერებას! (თავს ჩაჰკიდებს და თვალებზე ხელს მიიფარებს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მესამე

ისინივე და **ნიკო** შემოდის და შუაზე შეჩერდება.

მარო. ოჰ, რა ძვირფასი ნიჭია სილამაზე!!... კაცების მომხიბლავი და მათი თვალების ამხვევი!... რატომ მეც არა ვარ ლამაზი?... რად მინდა ჩემი სიმდიდრე? იმის სილამაზე არ მერჩია? ახლა ვინც უნდა შემიყვაროს, ფულის თაყვანისმცემელი მეგონება და იქვე გულში კბენას დამიწყებს. (ნიკო ახველებს. მარო მობრუნდება)

ნიკო. ქეთოსთანა ვარ.

მარო. შინ არ არის.

ნიკო. მაშ უკაცრავად. (მიდის)

მარო. სად მიბრძანდებით?

ნიკო. აქ რაღა გავაკეთო?

მარო. ქეთომ გთხოვათ, რომ მოიცადოთ, მალე დაბრუნდება.

ნიკო. ქეთომ? მერე და რა იცოდა, რომ მოვიდოდი.

მარო. საზოგადოდ დაიბარა, ვინც მოვიდესო.

ნიკო. კეთილი. (მიდის კუთხეში, ჯდება)

მარო. აქეთ მობრძანდით. მაგ სიშორეს სად მიდიხართ?

ნიკო. არა მიშავს-რა.

მარო. თქვენ ნიკო ხომ არა ხართ?

ნიკო. ნიკო სხვაც ბევრია.

მარო. (იცინის) მე თქვენდათავად გეკითხებით.

ნიკო. დიახ, ნიკო მქვიან.

მარო. ჩიხელი?

ნიკო. ჩიხელი.

მარო. „სიყვარულის" ავტორიც თქვენა ხართ?... ჰმ, მაშ, ეხლა კი გიცნობთ ცოტათი.

ნიკო. მე კი ჩემ დღეშიაც არ მინახავხართ.

მარო. ამ ხუთის წლის წინეთ, თქვენ რომ ჯერ ისევ მოსწავლე იყავით, დათიკო სირაძემ მოგიყვანათ ჩემ საცოდავ ძმასთან.

ნიკო. თქვენი ძმა ვინ გახლდათ?

მარო. ალექსანდრე რაზმაძე... უნდა გცოდნოდესთ.

ნიკო. ალექსანდრე? როგორ არა... იმას ვინ არ იცნობდა? კარგი რამ იყო! მაშ, თქვენ და ბრძანდებით?

მარო. სად დავბრძანდები?

ნიკო. არა... მისი და თუ ბრძანდებით მეთქი?... ახლა კი მეც გიცნობთ. (მოდის და ხელს აძლევს) ჰმ... მაშ თქვენ მარო უნდა იყოთ.. (ჯდება)

მარო სწორედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო. ამდენ ხანს ძმაზე გაცვიათ შავი?

მარო. არა, ამ სამის თვის წინათ მამაც მომიკვდა.

ნიკო. უჰ, აქამდი ცოცხალი იყო?

მარო. (წყენით) განა მაგრე მოხუცებულად გეჩვენებით, რომ გაიკვირვეთ კიდეცა? (თავისთვის) ე რა ხეპრე ყოფილა!

ნიკო. (შემკრთალი ყოყმობს) არა... ეგ... რა ბრძანებაა? მე იმაზე მოგახსენეთ, რომ შვილს დაუსწრია...

მარო. დაუსწრია რა... დანაძლევებული კი არა ყოფილან.

ნიკო. არა... ვითომ... მამა რომ... ერთი სიტყვით, მე მიტომ ვამბობ, რომ საზოგადოდ მამები ახლა დიდხანს ველარა სძლებენ... ადრე კვდებიან. (თავისთვის) ფუ! სულ არ ავირიე!

მარო. (წიგნს ჩასჩერებია. სიჩუმეა. ნიკო ფეხაკრეფით იპარება) სად მიდიხართ?

ნიკო. (ჩაჯდება) არსად! არ მინდა, რომ კითხვა შეგიშალოთ.

მარო. არა, მე არას მიშლით. (ახველებს)

ნიკო. (თავისთვის) ე რა ჭირში ჩავვარდი. (მაროს) მართალია, რომ ალექსანდრე კომიტეტში გაცივდაო?

მარო. არა! ანევრიზმმა იმსხვერპლა.

ნიკო. გული გაუსქდა? საკვირველია, რომ ჩვენი ყმაწვილები სულ მაგრე კვდებიან.

მარო. ალბათ მძიმე ტვირთი აძევსთ და ველარ აუტანიათ.

ნიკო. რასაკვირველია. მე მგონია, რომ ჩვენც ყველას ეგ ბოლო მოგველის, გარდა არჩილისა...

მარო. ის რაღა არის? ექიმი რომ არის, მიტომ?

ნიკო. არა... სულ სხვა ბუნების კაცია, რკინის გული აქვს, თორემ რატომ აქამდის სულ ნაფლეთ-ნაფლეთად არ ექცა?!

მარო. ამბობენ, რომ იმას გული სულაც არა აქვსო!

ნიკო. მაგას მხოლოდ ქაიხოსრო ამტკიცებს, მაგრამ იმას კი ერთ-ნახევარი აქვს, მისმა თავის ხეთქამ!

მარო. ხოსრომ კიდევაც დაამტკიცა და...

ნიკო. ქეთოს რომ ატყუებს, მითი?

მარო. როგორ თუ ატყუებს?

ნიკო. მაშ არა და სიყვარულით თავი უცხელდება! აბა, ფული ნუ ექნება ქეთოს, ცუ ან სიახლოვეს მიეკაროს...

მარო. განა მაგისთანაა?

ნიკო. რა ბრძანებაა! სიმდიდრეს დაეძებს... მისთვის სილამაზე არაფერია. აბა, გამოჩნდეს ვინმე ქეთოზე უფრო მზითვიანი!...

მარო. (აჩქარებით) გინდა ულამაზოც?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო. რა თქმა უნდა!... მაიმუნიც რომ იყოს, მზეთუნახავად მოეჩვენება.

მარო. ეყვარება კიდეცა?

ნიკო. სანამ ფული არ გამოელევათ, რა დაუშლის?

მარო. ჰმ!... ქეთოს მაგრე არ არწმუნებს! ცალი თვალი რომ წამოითხარო, მაშინაც მეყვარებიო.

ნიკო. ცალი თვალი კი არა, აბა, ცალი ჯიბე მოიჭრას ქეთომ, თუ მაშინვე განზე არ გაუდგეს!

მარო. ეგ კაი ხუმრობაა!! თუ მაგრე დარწმუნებული ხართ, რატომ მაგაებს ყველას არ ამხილებთ ქეთოს?

ნიკო. დამჯერე ვინ იქნება?! ადამიანს რომ ვინმე შეუყვარდება, ჭკუა-გონებას გირაოდ აძლევს თავის სატრფოს... და როგორლა შეუძლია გაარჩიოს ტყუილი და მართალი? (სიჩუმეა)

მარო. ეგ კი მართალია.

ნიკო. ქეთოს მეგობარი ბრძანდებით, მგონია?

მარო. დიდი.

ნიკო. მაშ თქვენ რომ ეტყოდეთ, არ იქნება ურიგო.

მარო. განა ჩემგან კი შეიგონებს?!

ნიკო. არა, იმას კი ნუ ეტყვით, რაც ახლა ვთქვით! ურჩიეთ, რომ ქორწილი დააჩქაროს, თორემ, თუ ერთხელვე ხელიდან დაუსხლტა, მერე კი, მშვიდობით, გაუბედურდება ქალი! ჯერ დღესაც ვერ უყურებენ ქეთოს კარგის თვალით და მაშინ ხომ დედამიწასთან გაასწორებენ და ცოდვაა...

მარო. მაგას რატომ თვითონ თქვენ არ ურჩევთ, თქვენიც ხომ კარგი ნაცნობია?

ნიკო. ჩემგან არ ივარგებს.

მარო. რატომ?

ნიკო. მიტომ.

მარო. მიზეზია რამე?

ნიკო. ცოტაოდენი.

მარო. მაინც? საიდუმლოა?

ნიკო. დიდი არაფერია, მაგრამ...

მარო. მაშ არ შეიძლება გავიგოთ?

ნიკო. მე რომ ვურჩიო, ვაი თუ იფიქროს, რომ თვითონ ვუყვარვარ და მიტომ მირჩევსო, უნდა ცუდად დამანახოს ქაიხოსროს თავიო.

მარო. ეგ ხომ ჩემზედაც შეუძლია იფიქროს: ჩემი საქმრო უყვარსო.

ნიკო. ეგეც კი შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეოთხე

ისინივე და **ხოსრო** შემოდის.

ხოსრო. გამარჯობა! ააა! ვისა ვხედავ?! მარო! მარო! როგორა ბრძანდებით? როდის ჩამოხვედით?

მარო. გმადლობთ!... დღეს მეორე დღეა.

ხოსრო. ამდენ ხანს სოფელში რამ გაგაჩერათ?

მარო. ასე მოიტანა გარემოებამ.

ნიკო. მამა გადაცვლია.

ხოსრო. როგორ? მამათქვენი?

მარო. დიახ, ეს სამი თვეა, რაც მიიცვალა.

ხოსრო. ოჰ, რა მოუვიდა განსვენებულს?

მარო. შვილის მწუხარება ვეღარ აიტანა!... მოგეხსენებათ, ძნელია ერთადერთი შვილის დაკარგვა.

ხოსრო. როგორ? მეტი ვაჟი აღარ დარჩენია?

მარო. აღარც ვაჟი და აღარც ქალი... ჩემს მეტი.

ხოსრო. ჰმ... (დაფიქრდება) როგორც გამიგონია, კარგი მამულები ჰქონდა მამათქვენს.

მარო. სხვებზე მეტი თუ ჰქონდა, თორემ ნაკლები არა.

ხოსრო. თუ პრიკაზის ვალიც აპატიეს...

მარო. პრიკაზში არა გვქონია-რა!

ხოსრო. მართლა? ეგ იშვიათია ჩვენში! (თავისთვის) რანაირად უხდება შავები!... (მაროს) კერძო ვალი უფრო უარესიც არის, დიდი თაოსნობა ეჭირვება.

მარო. მამაჩემს ვალი კი არა, ფულებიც დარჩა, ბარე ოთხიათას თუმნამდე.

ხოსრო. (თავისთვის) რა მოხდენია სოფლის ჰაერი!... (მაროს) გუაესთ ვინმე მისთანა, რომ ყური უგდოს?

მარო. ჯერჯერობით ბიძაჩემს მივანდე.

ხოსრო. იცის კანონები? შეუძლია აწარმოოს საქმე, საჩივარი რომ დასჭირდეს?

მარო საჩივარი რათ უნდა დასჭირდეს?

ხოსრო. ვინიცობაა, გასესხებული დროზე ვერ აიღოს... ვექსილები... დავა... დარაბა... ათასი რამეები შეიძლება გამოტყვრეს მოულოდნელად.

მარო. საველქსილო არა დაგვრჩენია რა!.. ფულები ბანკში ჰქონდა შეტანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოსრო. (თავისთვის, ულვაშების გრეხით) ლამაზი არ არის, მაგრამ ძალიან ეშხიანი კი არის... ამ შავებში მაინც... (მაროს) მაშ თქვენ დიდხანს აღარ დარჩებით აქა?

მარო. დიახ, დროებით ჩამოველ! ოჯახსაც ყურისგდება უნდა.

გამოსვლა მესამე

ისინივე და **ქეთო**, შემოვარდება გახარებული.

ქეთო. ოჰ, მოსულან კიდეც? უკაცრავად, დამაგვიანდა. (ნიკოს) საღამო მშვიდობისა! (ხოსროს) შენთან ორი რამ მაქვს სამახარობლო; გეტყვი, თუ სამახარობლოს მომცემ.

ხოსრო. რა არის? არ შეიძლება, გვიბრძანოთ?

ქეთო. გვიბრძანეთო! ეგ რა არის, რომ მაგრე გულცივად დამიხვდი?

ხოსრო. ცივად რა... ცეცხლს ხომ ვერ გავაჩენ?... ნეტავი ყმაწვილი არ იყო!... გვითხარი, აბა რა იცი?...

ქეთო. გითხრა?

ხოსრო. ჰო!

ქეთო. სამახარობლოსაც მომცემ?

ხოსრო. ბატონი ხარ!

ქეთო. იცი, რას მოგთხოვ სამახარობლოს?

ხოსრო. ჰო, კარგი! რაც გენებოს, ოღონც კი სთქვი და გაათავე!

ქეთო. ჩემ ძმას იჯარაში ზარალი უნახავს, რაც ფულები ჰქონდა წაუგია და ჩემი ფულებიც თან მიუყოლებია... გაკოტრებულა.

ხოსრო. მერე და ეგ რა გასახარელია?

ქეთო. არა.. ძმა კი მეცოდება, მაგრამ მე კი ჩემდათავად ძალიან კმაყოფილი ვარ.

ხოსრო. (შემკრთალი) რა ხუმრობაა?!

ქეთო. ახლა მე უმზითვო ქალი ვარ!... შენც ხომ ეს გინდოდა?

მარო. გეთაყვა, მანდ სასიხარულო რა არის?

ქეთო. ეს სულ იმას მეუბნებოდა: „ნეტავი შენ მზითვი არა გქონოდა; ჩვენ ჩვენის შრომითაც შეგვეძლო თავი გვერჩინა; ახლა, რომ მზითვიანი ხარ, შეიძლება შენცა და სხვებმაც ბევრმა გაივლოს გულში, რომ ფულისათვის მიყვარხარო". მე, რასაკვირველია, ეჰვი არ მომივიდოდა, მაგრამ ზოგიერთები კი სხვაგვარად ჰფიქრობდენ და ახლა ხომ დარწმუნდებიან! განა, ხოსრო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოსრო. (გამოფხიზლდება) ჰმ!... რაო? ჰო, რასაკვირველია! რასაკვირველია! (ეღიმება ძალდატანებით)

ქეთო. ეგ კიდევ არაფერი! მეორე კიდევ უფრო სასიამოვნოა, მაგრამ აქ არ გეტყვი. მაჩვენე ყური. (ეჩურჩულება. ხოსრო შეკრთება) გზაში ვიგრძენი... ხომ გიამა?... ა?... მაგრე რათ გაშტერდი? თითქოს ეწყინაო!... (მაროს) ვიცი, ვიცი... მივხვდი, ამან ასე იცის... ვითომ და არ მიამაო! სამახარობლო უნდა შეირჩინოს... განა? მე ჩემი სამახარობლო უნდა ავიღო! (მივარდება და ჩემოეკიდება ყელზე)

ნიკო. ფხხხუუუ!! (აიტეხს სიცილს)

მარო. ახლა კი ჩემსკენ დატრიალდა ბორბალი!

ფ ა რ დ ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მესამე

სცენა: ახიურად, მდიდრულად მორთული ოთახი ხოსროს სახლში.

გამოსვლა პირველი

ხოსრო და ზაქარა შემოდის.

ხოსრო. (სტოლთან ზის და სწერს. ცოტახნის შემდეგ ზარს რეკავს. ზაქარა შემოდის) ზაქარა!

ზაქარა. ბატონო!

ხოსრო. იყავი?

ზაქარა. გახლდით.

ხოსრო. შეიტყვე რამ?

ზაქარა. როგორ არა! აღარავინ აღარ დადის მისას. დამწყვდეულია კარდაკეტილში, მისთვის აღარც მოახლეა და აღარც ძიძა. თვითონვეა ყოველიფერი.

ხოსრო. გადაეცი?

ზაქარა. გადავეცი, მაგრამ, რომ ვუთხარი თქვენგან იყო, აღარც კი გახსნა... ცხვირ-პირში მახალა.

ხოსრო. სჩანს, რომ ჯერ კიდევ კარგად არ სწვეია გაჭირვება.

ზაქარა. განა მეტი-ღა შეიძლება? შიმშილით ფერი დაჰკარგვია.

ხოსრო. მაშ რატომ არ მიიღო?

ზაქარა. რა მოგახსენოთ!

ხოსრო. მაკლდეს მისი მოწყალებანი.. ადრე თუ გვიან დასთანხმდება. (დადის დაფიქრებული) ის კაცი, წელან რომ მოვიდა, აქ არის?

ზაქარა. აქ გახლავსთ.

ხოსრო. უთხარ, შემოვიდეს.

ზაქარა. ბატონი ბრძანდებით. (ზაქარა მიდის, ხოსრო სწერს)

გამოსვლა მეორე

ხოსრო და ბაღდასარ (შემოდის).

ხოსრო. ბაღდასარ!

ბაღდასარ. ბატონო, შენი ჭირიმე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოსრო. ხომ იცი, ვინა ხარ? რას გაჩუმებულხარ? დაგავიწყდა? შენა ხარ ხეჩო ხეჩატურიანი, საკატორლო, ავაზაკი, ციხიდან გამოქცეული, გესმის?

ბაღდასარ. ვიცი, ჩემო ბატონო!

ხოსრო. დღეს ბაღდასარ ბუდაღოვი ხარ... და ხომ იცი, ვინც გაგიკეთა ეგ ქაღალდი?

ბაღდასარ. თქვენ, შენი ჭირიმე!

ხოსრო. მაშ უნდა გახსოვდეს, რომ შენი სული ჩემ ხელშია.

ბაღდასარ. განა არ ვიცი?

ხოსრო. ჩემი გულისათვის წყალშიაც უნდა ჩავარდე და ცეცხლშიაც დაიწვა.

ბაღდასარ. მზადა ვარ, შენი ჭირიმე... განა თავს ვზოგამ?

ხოსრო. მაშ კარგი!.. სატუსაღოში იყავი?

ბაღდასარ. გახლდით.

ხოსრო. ნახე?

ბაღდასარ. ვნახე.

ხოსრო. რაო?

ბაღდასარ. ორასს იძლევა.

ხოსრო. რვაასიდან? მიჰქარავს! ორასი თვითონ დაიტოვოს ხელის მოსანაცვლებლად, რომ მეორედაც კიდევ გაებას... ექვსასი გამოართვი და გამოვუშვებ.

ბაღდასარ. ვეცდები და იმედიცა მაქვს.

ხოსრო. სამაგიეროდ ვის ამზადებ?

ბაღდასარ. ერთი საწყალი სოფლელი გახლავსთ.

ხოსრო. მთხრობელიც გამოჩნდა?

ბაღდასარ. მყავს.

ხოსრო. მოწმეებიც?

ბაღდასარ. მზად გახლავან.

ხოსრო. ჩვენება ხომ არ დაგებნევათ?

ბაღდასარ. როგორც თქვენ ასწავლით, ისე იტყვიან; პირველი ხომ არ გახლავსთ.

ხოსრო. მაშ კარგი, ხვალვე შევუდგეთ საქმეს. შეგიძლია წახვიდე. (ბაღდასარ მიდის)

ხოსრო. (მარტო) არ მიდის ურიგოდ ჩემი საქმე: უფროსები კარგის თვალით მიყურებენ და ან-კი რა ძნელია მათი მოტყუება! მერე, შენზე ვინც რა უნდა სთქვას, აღარ დაიჯერებენ... დიახ!... ჩემი გამომძიებლობის სახელი თანდათან განთქმულია... ეს ერთი გამოძიებაც კიდევ სახელს მომიმატებს... მეც ხელცარიელი არა ვრჩები! (ადგება და დადის) „ცოდვაო“ იტყვიან. რას მიქვიან ცოდვა, მადლი? ესეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა უგნურების შესაშინებლად არის გამოგონებული: კაცობრიობისათვის სულ ერთი არ არის, პეტრეს იცნობენ დამნაშავედ და მიახრჩობენ, თუ პავლეს?... ან ერთით რა დააკლდება ქვეყანას?... (დაფიქრდება) თუ ჩემ საქმესაც მოვრჩი როგორმე!... ჰმ, ახირებულია ჭეშმარიტად! ბიძამისს, როგორც იქნა, გადავრჩი და ახლა თვითონ ქალი ამტეხია: გინდა თუ არა, ჯერ იმას გაუთავე საქმეო. გააფთრებულ დედაკაცთან საქმის დაჭერას ტარტაროზის ჩხუბი სჯობია. (საათს სინჯავს) ოჰ, შვიდი შესრულებულა, დრო არის წავიდე. ზაქარო! ზაქარო!...

გამოსვლა მესამე

იგივე და **ზაქარა.**

ხოსრო. დღეს პოლიციელი ხომ არავინ ყოფილა ჩემთან?

ზაქარა. არავინ გხლებიათ.

ხოსრო. არც სხვა ვინმე?

ზაქარა. ქალი გახლდათ პირბადიანი, მაგრამ გავაბრუნე...

ხოსრო. პირბადიანი? ჰო, ვიცი, ვინც იქნებოდა! (თავისთვის) მარო უნდა მოსულიყო... გესმის შენ, ზაქრო!... მე ცოტა ხნით სხვაგან მივდივარ და, თუ ის ქალი კიდევ მოვიდეს, სთხოვე, მომიცადოს! სხვა მის მეტი აღარავინ მიიღო.

ზაქარა. (ღრეჯით) ბატონი ბრძანდებით!...

ხოსრო. მოიტა შლიაპა! პალტო!... (იცვამს) ახლა ჯოხიც! აბა, თვალ-ყური უგდე აქაურობას (მიდის)

ზაქარა. (მარტო) რა ყოჩაღი რამ არის აღა! დილიდან საღამომდე სულ საქმეშია ერთავად... რამდენი კაცი და ქალი აქ იმასთან მოდის, ანგარიში არა აქვს! მაგრამ, ის ერთი რომ მოდის, ის ვიღაც პირბადიანი, ის სულ სხვა არი. ამას წინეთ ბევრი ვუჭვრიტე გარედან: რას შვრებიან მეთქი, მაგრამ არა... ისეთის მოწიწებით ემუსაიფებოდა აღა, რომ თითქოს არქიელიაო! ნეტავი, ვინ უნდა იყოს და რად მოდის? (ისმის ზარის რეკა) ეჰ, ვიღაც გაჩნდა! ეგება ისიც იყოს. (გარბის. ცოტა ხნის შემდეგ მისი ხმა მოისმის) მობრძანდით! გთხოვთ, მოიცადოთ... მეცმიბრძანა: სხვას ნულარავის მიიღებო. მობრძანდი... მო...

გამოსვლა მეოთხე

ქეთო შემორბის სირბილით, პირბადით.

ქეთო. უჰ, ძლივს მივაღებინე თავი... მომიცადეო? ნეტავი, ვის ელის? იჰ, ვინც უნდა იყოს, ჩემთვის ხომ სულ ერთია. მე კი დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთუოდ უნდა დავაბოლოვო ჩემი საქმე, ან ავადა და ან კარგად. (ისმის ზარის რეკა) ვილაც მოვიდა... იმ ოთახში მოვიცდი. (შედის მეორე ოთახში, გარედან ზაქარას ხმა) არ შეიძლება! ვერ შეგიშვებთ! ნაბრძანები მაქვს, აღარ მივიღო.

გამოსვლა მეხუთე

მარო შემოდის პირბადით და **ზაქარა** თან შემოჰყვება.

მარო. რას ტუტუცობ? ის ჩემზე არ გიბრძანებდა! მე უნდა აქ მოვიცადო და შენ წადი, აღარავინ მიიღო ბატონის დაბრუნებამდე.

ზაქარა. თქვენ?! მაშ ის ვინღა არის? (მიიხედ-მოიხედავს, თავისთვის) სად მიმალულა? ე რა მასკარადია! (გადის)

მარო. რაებსა ჰბოდავს! ვინ სად მიმალულაო?

გასვლა ექვსე

იგივე და **ქეთო** გამოდის.

ქეთო. ვინა და მე! ჩემზე ამბობდა. (მარო შეკრთება) მაგრე რათ შეკრთი? განა ველარა მცნობ? (მიუახლოვდება და პირბადეს აიხდის) აბა, შემომხედე!

მარო. ქეთო!

ქეთო. დიახ, ქეთო! შენ-კი პირბადეშიაც გიცნობ! მარო, კარგია, რომ აქ მაინც შეგვხდი.

მარო. (აიხდის პირბადეს) რა გნებავს?

ქეთო. სამჯერ ვიყავ შენთან და არ მიმიღე... წერილებს გიგზავნი და უკანვე მიბრუნებ! რა მიზეზია?

მარო. ის, რომ ჩვენის მეგობრობის კავშირი გაწყდა და საერთო აღარა გვაქვს-რა.

ქეთო. საერთო აღარა გვაქვს-რა, თუ, საერთო რომ გვაქვს, მიტომ ვერიდებით ერთმანეთს?

მარო. ეგეც შეიძლება.

ქეთო. კი, მაგრამ მე ხომ საჩხუბრად და სასაყვედუროდ არ დაგეძებდი?

მარო. მაშ, სამეგობროდა და საალერსოდ?

ქეთო. არც მაგისათვის! საქმე მქონდა: შენგან შემწეობას ვითხოვდი... დახმარებას.

მარო. შემწეობას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო. დიახ, როგორც უბედური ქალი ბედნიერისაგან.

მარო. მაშ მითხარ, რა გინდა?! (ჯდებიან)

ქეთო. მარო! შენ ხომ იცი, რომ მე ხოსროს ვუყვარდი?

მარო. სწორედ! მაგრამ ესეც ვიცი, რომ დღეს აღარ უყვარხარ.

ქეთო. არა თუ აღარ ვუყვარვარ, ვეზიზღები და მდევნის; დღეს შენ უყვარხარ და შენის მიზეზით აიღო ჩემზე ხელი.

მარო. ისე, როგორც შენი მიზეზით ადრე მე მიმატოვა.

ქეთო. შეიძლება, მაგრამ შენი მაშინდელი მდგომარეობა და ჩემი ახლანდელი სულ სხვადასხვა არის... მაშინ შენ გიყვარდა ის შორიდან, უფლებამოუნიჭებლად და მე-კი დედა ვარ! მისის მოშორებით შენ, გარდა სიყვარულისა, არასა ჭკარგავდი და მე-კი ყოველიფერსა ვკარგავ.

მარო. რა იცოდი, რომ სიყვარულის დაკარგვით მე ყოველიფერს არა ვკარგავდი?

ქეთო. გარეგნობა შენი... სახელი... სინიდისი და პატიოსნება, ყველაფერი, რაც კი ადამიანისათვის საჭირო და ძვირფასია, შეუბღალავი რჩებოდა... მე-კი დღეს ცოდვილი ვარ ქვეყნის თვალში და შვილის წინაც შემცოდე, დღეს ის შიმშილით მიკვდება.

მარო. აკი გაძლია ხოსრომ ფულები?

ქეთო. მე ჩემი თავი განა გასასყიდადა და სავაჭროდ გამოვიტანე? მაგას როგორ ამბობ?

მარო. (თანაგრძნობით) მაშ, მომეცი შენი შვილი და გაძლევ სიტყვას, ისე მოვუარო, როგორც ნამდვილმა დედამ, ისე გამოვზარდო, როგორც შვილი.

ქეთო. როგორ გეტყობა, რომ არ გამოგიცდია დედობა!... სხვის კარზე უნდა დავაგდო, ის ერთადერთი ჩემი ბედნიერება და ნუგეში გულიდან ამოვიგლიჯო? არა, არა! ეს შეუძლებელია.

მარო. მაშ რა ვქნათ, ქალო?

ქეთო. შენ შეგიძლია, რომ ჩემ შვილს მამა დაუბრუნო და უკანონოს წოდება ააცდინო.

მარო. (დაფიქრდება) ხელი ავიღო ხოსროზე? არ შემიძლია!... და, მე რომ კიდევაც მოვიშორო, დავთმო, რა გამოვა? სიყვარულს მეორედ მაინც აღარ დაგიბრუნებს.

ქეთო. მე მაგას არა ვთხოვ! მხოლოდ ჯვარი დაიწეროს ჩემზე.

მარო. მერე მე?

ქეთო. შენ რასა ჭკარგავ? გამოვალთ თუ არა ეკლესიიდან, ის მისთვის და მე ჩემთვის!

მარო. მერე და ნება აღარ ექნება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო. (აწყვეტინებს სიტყვას) მე ჩემ თავზე აღარ ვფიქრობ, მხოლოდ შვილზე ვზრუნავ. (ათრთოლებულის ხმით) გაძლევ პატიოსან სიტყვას... გავწირავ ხელმეორედ ჩემ თავს... ვიკისრებ ყოველიფერ საძაგლობას და ჩემი უნამუსობის დამტკიცებას ხელში ჩავუგდებ, რომ კანონიერად გაყრა შესაძლებელი იქნეს... მაშინ... მაშინ... ხომ ნება ექნება შეგირთოს. (ტირის) აი, ამას გთხოვ, როგორც უბედური დედა და საუკუნოდ ბოლომოღებული ქალი. (ტირის)

მარო. (ცრემლებს იწმენდს) საცოდავი და საბრალო! ოჰ, ღმერთო! რათ გაგიჩენია სიყვარული? (გადაეხვევა) ქეთო! ჩემო ქეთო! რატომ არ შემიძლია, რომ გიშველო რამე'...

გამოსვლა მეშვიდე

ისინივე და **ხოსრო** შემოდის.

ხოსრო. ჰა, ეს რა ამბავია? მარო! რა უნდა შენთან ცბიერს? როგორ არა გრცხვენია, მაგ ცრუსა და მატყუარას აჰყოლიხარ! (ქეთოს) ვინ მოგცა ნება აქ შემოსვლისა? ზაქარო! ზაქარო!

მარო. (მედიდურად) მე... მე შემოვიყვანე!

ხოსრო. შენ?!...

მარო. დიახ, მე! და გაძლევ სიტყვას, სანამ ამას არ გაუთავებ საქმეს, მე და შენი ცოლქმრობა არ მოხერხდება!...

ხოსრო. მარო! რას ამბობ!... როგორ თუ...

მარო. მითქვამს და განითავებია! მე ჩემ სიტყვას აღარ შევშლი, მშვიდობით! (გადის)

ხოსრო. (გამოეკიდება) მოითმინეთ... გამიგონეთ!...

მარო. არა, არა! უნდა გაასწოროთ საქმე! (გადის)

ხოსრო. (დადის აღელვებული, მერე მივა და დაადგება ქეთოს თავზე) ეგ გინდოდა, რალა?

ქეთო. რაც მინდა, კარგად იცი!...

ხოსრო. დედაკაცო! ქაჯი ხარ, თუ გველეშაპი? მძულხარ, მეზიზღები, არ მიყვარხარ და ვერ გავიგე, რას ჩამციებიხარ? რას მელობები გზაზე?

ქეთო. მე შენ სიყვარულს არა გთხოვ! მინდა, რომ მოგაგონო შვილის შესახებ შენი მოვალეობა, როგორც მამას.

ხოსრო. რა მოვალეობა? გაბარების ნებას არ მაძლევ და ფულს არ იღებ.

ქეთო. ეგ არის განა მოვალეობა? ადრე მაგრე არ მიხსნიდი!

ხოსრო. მაშ რა გინდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო. მე დამიბრუნე სახელი და შენს შვილს გვარი მიეცი.

ხოსრო. ხა! ხა! ხა! რა ცოტასა მჯერდები!...

ქეთო. მერე მივიღებ ჩემს თავზე ყოველსავე მიზეზს, რომ გაგეყარო და შენ-კი ნება მოგეცეს ცოლის შერთვისა...

ხოსრო. ეგ სად დაგარიგეს?

ქეთო. ამით შენ რასა ჰკარგავ?

ხოსრო. იმას, რომ მეზიზღები, შენი დანახვაც კი მეზარება.

ქეთო. შვილმა რაღა დაგიშავა?

ხოსრო. ვინ შვილია? რას ამბობს? დაგიჟინია: შვილი და შვილიო! რა ვიცი, რომ ჩემი შვილია?

ქეთო. (აღელვებით) ახლა იმასაც უარჰყოფ?!

ხოსრო. საფუძველი არა მაქვს, თუ? ქალი რომ ერთს უკანონოდ გაჰყვება, ის სხვებსაც არ უარჰყოფს!

ქეთო. უსინდისოვ! პირუტყვო!... მემართლები მაგას?!

ხოსრო. გთხოვთ, გაბრძანდეთ აქედან!

ქეთო. ფუ!...

ხოსრო. არ გინდა, გახვიდე ნებით?... მაშ კარგი! ზაქარო! ზაქარო! (შემოდის ზაქარა) გაათრიე და დაუკეტე კარები!

ქეთო. (რევოლვერს ამოიღებს, სანამ მობრუნდებოდეს ხოსრო და მიუმიზნებს) ახლა კი უნდა გავსწორდეთ! (დააცემინებს ჩახმახს და არ გავარდება)

ხოსრო. რას შვრები?! (მივარდება და გამოჰგლეჯს რევოლვერს) დაიჭი, ბიჭო! ვერა ხედავ, მოკვლას გვიპირებს?! (იცინენ)

გამოსვლა მერვე

ისინივე და **არჩილ** შემოდის.

არჩილ. ეს რა ამბავია?

ხოსრო. (შეშინებული უშვებს ხელს და ჩამოდგება) ააა! შეთქმულობაა?...

არჩილ. ნუ გეშინია, შენს მოსაკლავად არ მოვსულვარ. (ქეთოს) ეს რა ამბავია?

ხოსრო. მოსაკლავად შემომიხტა! აი, დახედე ამ რევოლვერს.

არჩილ. არ გემართლება, თუ!...

ხოსრო. მაშ თქვენ დაარიგეთ?

არჩილ. სსსუუუ! ორ ვაჟკაცს გაგიკავებიათ ერთი ქალი და არც კი გრცხვენიათ. ქეთო! ეს რა მოგსვლია?... აქ რა გინდოდა?... ვის სახლში შემოგიდგამს კიდევ ფეხი?!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო. (აშფოთებული) მინდოდა შვილის თაობაზე მომელაპარაკნა... და მაგან კი შეურაცხყოფა მომაყენა...

არჩილ. აკი გითხარი, რომ მე მოველაპარაკები მეთქი. მაშ მე რალად მოვდიოდი, თუ არ მაგ აზრით?

ხოსრო. ვიცით, რა აზრითაც!... აი, დამტკიცება.

ქეთო. უარჰყოფს შვილსაც.

არჩილ. და შენ-კი განა სხვა რამეს მოელოდი მაგ უსინდისოსაგან?

ხოსრო. მოწყალეო ხელმწიფევ!...

არჩილ. სსსუუუ! შენ არ გელაპარაკებიან!

ხოსრო. ჩემ სახლში?...

არჩილ. სსსუუუ! გაჩუმდი!...—შენ გინდა, რომ მაგან გვარი დაუმტკიცოს და სახელი მისცეს შენს შვილს? შემცდარხარ! მაგისთანა მამის სახელის ტარებას ყოველგვარი ბიწიერება სჯობია!... შვილს რათ არცხვენ მაგითი? დეე, ისევ უთვისტომოდ დარჩეს და ღვთის შვილად!... წავიდეთ... წავიდეთ! აქ შენი ადგილი არ არის! (მიდიან)

ხოსრო. (გაანჩხლებული გამოუდგება) ნამეტან ნებას აძლევ შენს თავს... მე შენ ვერ დაგითმობ!...

არჩილ. (მიუბრუნდება) იქით! შე საზიზღარო! (მიდიან)

გამოსვლა მეცხრე

ისინივე, გარდა არჩილ და ქეთოსი.

ხოსრო. (ხარდაცემული დგას დიდხანს. ზაქარა შეჰყურებს) ზაქარო!

ზაქარა. ბატონო!

ხოსრო. ჰმ, ხედავ რა ამბავია?

ზაქარა. ე რა ოხერი ვინმე ყოფილა, შენი ჭირიმე!

ხოსრო. (იღებს პორტმანს და ფულებს აძლევს) ზაქარო! აჰა, ეს შენი საჩუქარი.

ზაქარა. რათა, შენი ჭირიმე?

ხოსრო. მაგრამ იმ დროს შენ მოასწარ თვალი და გადამარჩინე სიკვდილსა. გესმის?

ზაქარა. (მიხვდება) სწორედ მაგრე გახლდათ! შემოვიდა ქალი...

ხოსრო. ქალი არა, ტუტუცო!... ის კაცი...კაცი... და, თუ შენ არა, ახლა მკვდარი ვიქნებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარა. სწორედ, თქვენი რისხვა ნუ მომეცემა... თუ მე არა...

ხოსრო. ჰო, კარგი, ახლა ბევრს კი ნული მოჰყვები! კიდევ მიიღებ საჩუქარს...

ზაქარა. გმადლობ, ჩემო ხელმწიფევ!

ხოსრო. ახლა წადი და სხვებსაც შეატყობინე. (დაფიქრდება) ესეც კიდევ ერთი დუშაში!... გაება!... (მიდის)

ფ ა რ დ ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

სცენა: უკიდურესად ღარიბი ოთახი, სარდაფისგვარი. კუთხეში ბავშის კრაოტი დგას.

გამოსვლა პირველი

ქეთო. (საკერავი უძევს წინ სტოლზე და თითებზე სულს იბერავს) ნემსს ხელს ველარ ვაკარებ. თითი თითზე ვერ მიმიტანია. უჰ, რა სიცივეა (წამოდგება) მივიდე, ვნახო, რასა შვრება. (მიდის კრაოტთან და დაჰყურებს) ფშვინავს... ღმერთო, კეთილად შეარგე ეს ძილი! მაგრამ მარტო ძილით რა გამოვა? ორი დღეა, ამის პირში არა ჩასულა რა. (ცრემლებს იწმენდავს) ზედა სართულში, იქ, მაღლა, ბედნიერი ცოლ-ქმარი სცხოვრობენ განცხრომით და ვერა გრძნობენ, რომ აქ, ძირს, მათ ჭერქვეშ, აყროლებულ სარდაფში უბედური დედა-შვილი სიცივითა და შიმშილით კვდებიან. წავიდე ერთი, საკერავი მოვათაო, რომ ეგება წამლის ფასი მაინც ავიღო. (მიდის და მოუჯდება საკერავს; რომ დაიწყებს, ნემსი ეჩხვლიტება ხელში) ჰიიი! (თითზე იკბენს და შეჩერდება) რა უსამართლოა ქვეყანა! ეს ვთქვათ, რომ მასწავლებლად სახლში არავინ შემიყვანს, არც არავინ შვილს მომაბარებს, ამას ქვეყნის ფარისევლობა მოითხოვს, მაგრამ საკერავსაც რომ არ მაძლევენ? გადასაწერიც რომ ველარ მიშოვნია? თითქოს გადამდები რამე მჭირდეს და ეშინიათ: ჩვენც არ გადმოგვედოსო. ოჰ, ღმერთო ჩემო! მოვიკლავდი თავს, მაგრამ ეს ვის უნდა დავუტოვო? მათხოვრობა დავიწყო? როგორ უნდა მოვახერხო, რომ დღე მრცხვენია და ღამე მეშინია, და ან კი ვინ გამომიწოდებს სამოწყალოდ ხელს, ვის შევებრალები? ოხ, ღმერთო! ღმერთო! თუ მე მართლა ისეთი შემცოდე ვარ, მარტო მე გადამახდევინე და ჩემ შვილს ნუ მოჰკითხავ! (თავს ჩასდებს საკერავში)

გამოსვლა მეორე

იგივე და **ნენე** შემოდის.

ნენე. ჰა! აქა მშვიდობა! რასა იქ შვილო? (ჩადრს მოიხდის, მიბრუნდება კუთხისკენ და დადებს).

ქეთო. (თავისთვის) უჰ, კიდევ მოვიდა ეს შეჩვენებული?

ნენე. (მობრუნდება) პატარა როგორა გყავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო. წუხელი მთელი ღამე თვალი არ დაუხუჭავს და დღეს კი სულ ძილად არის მიგდებული.

ნენე. ჰო, ეგ კარგი ნიშანია! ღმერთმა გაჩუქოს, შვილო, ღმერთმა! სხვა, საკერავიც გიშოვია?

ქეთო. ვიშოვე, მაგრამ, რომ ველარა ვკერავ, სიცივემ ხელები დამაყრევინა.

ნენე. მერე, ვისი ბრალია, შვილო? რათ იჭირვებ საქმეს?

ქეთო. რა ვქნა, ასე მოუტანია ჩემს ბედს.

ნენე. ბედს რას აბრალებ: ის კარზე მოგდგომია, მაგრამ შენ კი წიხლსა სცემ.

ქეთო. თუ ღმერთი გწამს, მაგაზე ლაპარაკს ნუ დამიწყებ.

ნენე. რატომ, შვილო! იმდენი იხარე, რამდენი სული მაგისთანა ბედს შენატროდეს.

ქეთო. და ღმერთმაც მათ მისცეს.

ნენე. სად არის, შვილო! ბედი ყველას ხომ არ მიადგება კარზე. ათასში ერთთან მიაწყდება და, თუ პირი აბრუნებინეს, მორჩა და გათავდა!... მეორედ კი აღარ მიეძალება. აბა, შვილო, კარგად იფიქრე.

ქეთო. გეთაყვა, კიდევ გაგიმეორებ, მაგგვარ რამეებს თავი დაანებე!

ნენე. ქა, რათაო? გული შემტკივა შენზე, შვილო, და დედაშვილურად მიტომ გირჩევ, თორემ მე რაო? აბა, რა არის შენი ყოფა? შენ, თუ გინდა, შენს თავს აღარ ჰზოგავ, მაგრამ ი შვილი მაინც აღარ გენანება? იმეტებ? ცოდვა არ არის, რომ იმისთანა ანგელოზი უპატრონოდ კვდებოდეს? (ქეთო ტირის) არა, შვილო, შვილსაც უპატრონე და შენ თავსაც გაუფრთხილდი, ჰო, ჩემი სულის ცხონებამ!... ვარდივით გიყვავოდა ეგ ლოყები და ეხლა რასა გევხარ? ზაფრანის ფერი გაძევს! აფსუს, ქალო! ღმერთს კიპაჟის ქალად გაუჩენიხარ და შენ კი...

ქეთო. ჰო, ღმერთო ჩემო! მე წამალზედა ვფიქრობ, დოქტორი მენატრება და ეს კი ეკიპაჟებზე მელაპარაკება.

ნენე. მაშინ წამალიც იქნება და დოქტორიც... „თაფლი იყოსო, თორემ ბუზი ბაღდადიდანაც მოფრინდებაო!“ ფული იყოს, თორემ დოქტორები რამდენიც გინდა, თვითონ ჯანაოზ ექიმიც წამოდგება საფლავიდან, ჰო, დედაშვილობამ... არა, შვილო, არა! მე შენ ურიგოს არას გირჩევ! ის ხულ სხვა კაცია. იცი, კიდევ რას გეტყვი... დედაშვილობამ, თუ თავს კარგად დაიჭერ, ახლა კარგად როგორ? აშკარა ნურა იქნება-რა, თუ თავს კარგად დაანახვებ, შეიძლება კიდეც შეგირთოს. ჰო, დედაშვილობამა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო. რაები მესმის და რა უნდა ავიტანო! (ხელებს იმტვრევს)

ნენე. ვინ ამბობს... მართალია, შვილო, ახლანდელ დროში კაცი ძნელი სანდობია, მაგრამ ის სულ სხვა კაცია! ღვთისნიერი, პატიოსანი... სული წამიწყდეს, თუ მე რამე მეთქოს, ისე თავისთავად ამოიღო ათთუმნიანი და გადმომცა... შენი სახლის ქირა გამორიცხე და დანარჩენი იმას მოახმარეო... ჰა, შვილო, ესეც შენი შვიდთუმანნახევარი. (დაუდებს ფულს წინ)

ქეთო. (ხელს ჰკრავს ფულებს და გააბნევს) დამანებე თავი! ვერ შეიტყე, რომ...

ნენე. ქა, ეს რა ბიაბრობაა?... შენთვის თუ მეტია, ჩვენ რაღას გვერჩი? (აბვეტავს ფულებს)

ქეთო. უსირცხვილო!

ნენე. ქა!

ქეთო. უნამუსო!

ნენე. ქა! ქა! უი, დამიდგეს თვალები! ე რა ესმის ჩემს ყურებს? „უნამუსოო!!“ ვისგან მესმის და ვინ მიბედავს? ვერა ჰხედავთ ამ ლირფსა და აშარს? თვითონ ნაბიჭვრებით სახლში შემომეჩხირა და მე მეძახის უნამუსოს!... ცხონებული ჩემი თათუას მეტს ჩემი გვერდი თუ ვისმეს ენახოს, ეს სული წამიწყდეს!... და ე რაები მესმის, ქა, უნამუსოო!

ქეთო. მაშ რა გინდა ჩემგან, რომ ამტეხიხარ?

ნენე. როგორ თუ რა მინდა? ჩამომესახლე და ქირასაც ალარ იძლევი?

ქეთო. ვიშოვნი როგორმე და მოგცემ... ხომ გითხარი?

ნენე. მიშოვნი? თუ არ დაგიშლია, ციდან ჩამოგიყრიან დოვლათს!...

ქეთო. დამაცა ჯერ! ან მოკვდეს და ან მორჩეს ეს ჩემი შვილი და მაშინ მეც ხელგახსნილი ვიქნები, შეიძლება საქმე გავიჩინო.

ნენე. როგორ არა! ნაჩალნიკობას მოგცემენ შენ ზავედენიაში! მაგას რომ ვუყურით, ვინ იცის რამდენს ხანს გასტანს. ეგება სულ მაგრე იკნაოს ძაღლის ლეკვივითა... არა, შვილო, დამიცალე ჩემი ოთახი! გიჟი ვიყავ, რომ აქამდისაც დაგაყენე... ხათრს გინახავდი... მებრალებოდი, სხვას არ ვაძლევდი... მუშტრები დღენიადაგ 'კარზე მადგნენ... ჰმ... უნამუსოო!... მადლობის მაგიერია... დღესვე დამიცალე, თორემ ხვალ პოლიციას გავაყვანინებ შენს თავს! (მიდის გაანჩხლებული) უნამუსოო, საუცხოვოა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მესამე

ქეთო მარტო დგას თავზარდაცემული.

ქეთო. მაგდებს სახლიდან!... მომაკვდავი შვილი კნუტივით უნდა გადამიგდონ ქუჩაში? არა, არა, მართალი მითხრა იმ შეჩვენებულმა: „რა ნება გაქვს, რომ შვილი გაიმეტოო?“ რა დროს თავმოყვარეობაა და პატიოსნებაზე ფიქრი?... არ მინდა კალიასკა... სიმდიდრე, ფული... საცხოვრებელი... მხოლოდ წამლის ფული... წამლის... ექიმის მისაცემი... წავალ... წავალ და დავეთანხმები. (გარბის. მიადგება კარებს, შეჩერდება, მობრუნდება) არა, არა! არ შემიძლია, არა! (ტირის) ნუთუ სხვა საშვალება აღარა არის-რა?... ჰი! (გაახსენდება) მაროსთან ავალ, მაროსთან, იმას დავუჩოქებ!... მუხლებზე მოვეხვევი. არ შემიბრალებს? (დაფიქრდება) შე... მი... ბრალებს? ხა, ხა, ხა, ხა! სამოწყალოს მომცემს... ან-კი ვინ შემიშვებს იმასთან? ვინ მაჩვენებს?! (დაფიქრდება) არც ერთი და არც მეორე! ისევ სიკვდილი,—მაგრამ შვილი? ის ვილას დავუტოვო? ნუთუ ქვეყანაზე მადლიანი ვინმე აღარ მოიპოვებოდეს?... ეგება ჩემი სიცოცხლე აბრკოლებდეს დღეს იმის ბედსაც და, მე რომ აღარ ვიქნე, მაშინ გამოჩნდეს ვინმე, და შეიბრალოს... დიახ, ჩემი ბრალია!... მაშინ-კი უპატრონებენ... სიკვდილი! სიკვდილია ერთად-ერთი ხსნა. (მიიჭრება კრაოტთან, დაიჩოქებს შვილის წინ და ფეხთან თავს დაადებს)

გამოსვლა მეოთხე

ისინივე და **ნენე** და **დათიკო** შემოდიან.

ნენე. ის ორი ოთახი ხომ მოგეწონათ, ესეც მესამე იქნება... დღეს თუ ხვალ დავაცლევინებ.

დათიკო. რა შვილია! ეს განა ოთახია?

ნენე. რატომ არა, შვილო, შპალიერი აიკვრის, პოლი გაიწმინდება, მებელი დაიდგმის და სულ სხვა იქნება მაშინ.

ქეთო. (თავს აიღებს) ეს ხმა!... (მოიხედავს) **დათიკო!** (წამოდგება)

დათიკო. (შემკრთალი) ქეთო!... შენა ხარ?

ქეთო. საიდან?

დათიკო. რა დაგმართნია? ეს რა ამბავია? შენ აქა ცხოვრობ, ამ ოთახში? როგორ აგიტანია?

ქეთო. მე-კი ავიტანე, მაგრამ პატარა კი მიკვდება.

დათიკო. შვილი?

ქეთო. დიახ, მისთვის არც წამალია და არც ექიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათიკო. ნუ გეშინია!... ყველაფერი იქნება... დაჯე, გული მოიბრუნე. აწ ღმერთი მოწყალეა. (დასვამს სკამზე. ბუმაჟნიკს ამოიღებს, იქიდან ქაღალდს იღებს და სწერს) დედი! არ შეიძლება, ეს ვისმეს გაატანოთ, რომ საავადმყოფოში მიიტანოს? აქვეა, ახლოს.

ნენე. აბა, შვილო, ვინა მყავს?!

დათიკო. ვინც იქნება, აი ეს ერთი მანათი მიეცი და მიიტანს... (აძლევს)

ნენე. ვის ვიცნობ... არა, შვილო! რა გაეწყობა, ისევ მე წავალ... ქრისტიანობაა... განა ურჯულობა, გაჭირვებულს უნდა დავეხმარო. (მიდის)

ქეთო. რამ მოგიყვანა?

დათიკო. შემთხვევამ: ეს ორი დღეა, რაც დავბრუნდი და ოთახებს ვეძებ საქირაოდ.

ქეთო. სჩანს, კიდევ არ გაუწირივარ ბედს!... თუ შენ არ მოსულიყავ...

დათიკო. (აწყვეტინებს სიტყვას) რა მოგსვლია?... მაგრე უპატრონოდ!... როგორ ვერავის შეატყობინე?

ქეთო. რა მექნა?... ყველა გამშორდა! შენ იმერეთში მეგულებოდი, ნიკო სოფელში წასულა და არჩილ კი ციხეშია... ისიც კიდევ ჩემის მიზეზით.

დათიკო. ალარა! რამდენი ხანია, რაც გამოუშვეს... მოწმებმა ჩვენება დააბნიეს და გამომძიებელმა მოსასპობლად გადასცა საქმე.

ქეთო. გმადლობ, ღმერთო!

დათიკო. იმასთან გავგზავნე...

არჩილის ხმა. აქ შეიძლება ცხვირ-პირი დაიმტვრიოს კაცმა.

ნენეს ხმა. არა, შვილო, აქეთ წამოდი, აქეთ, მე მომყევ!

გამოსვლა მეხუთე

ისინივე, **არჩილ** და **ნენე** შემოდიან.

არჩილ. ქეთო?! ეს რა ამბავია? სად დამდგარხარ? (ხელს ართმევს) ავადა ხარ?

ქეთო. არა, მე კი კარგადა ვარ, მაგრამ...

არჩილ. მაშ ვინაა ავად?

დათიკო. პატარა ჰყავს შეწუხებული.

არჩილ. აბა, სად არის?

ქეთო. აი, იქა სძინავს. დილას აქეთ თვალი არ გაუხელია.

არჩილ. ვნახოთ! (მიდის და სინჯავს) ჰმ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო. რას ატყობ?

არჩილ. ფეხები გაცივებული აქვს... დედი, არ შეიძლება ცოტა ქატო გააცხელოთ პარკით?!

ნენე. სადა მაქვს, შვილო, ქატო?

არჩილ. არც აგური? ის მაინც გააცხელეთ.

ნენე. მაგას კი ვიშოვი.

არჩილ. შენ წადი, ქეთო, უფრო მალე იქნება... სალფეთქში გამოხვიე და გამოიტანე. (ქეთო მიდის, ნენეც თან გაჰყვება)

დათიკო. რას ატყობ? როგორ არის?

არჩილ. რაღა როგორ არის? წელქვეით კიდეც გაცივებულა. სულთამბრძოლი დედას მძინარე ჰგონებია... აჰა, კიდეც სრულდება.

ქეთო. (შემოაქვს აგური) მზად არის.

არჩილ. საჭირო აღარ არის.

ქეთო. (შეჩერდება) როგორ?

დათიკო. მიიცვალა.

ქეთო. უი! (გააგდებს აგურს, მივარდება და სინჯავს) შვილო, შვილო! მე მოგკალი ჩემის ხელით! (ტირის)

დათიკო. ქეთო! (უნდა ხელი მოჰკიდოს)

არჩილ. დეე იტიროს, თორემ უფრო ცუდია. (ამ დროს ზემო სართულიდან მუზიკის ხმა მოისმის. შეკრთებიან.)

არჩილ. ოჰ, რა დროსია?!

დათიკო. ეს ქალი რათ გაჩუმდა, გულს ხომ არ შემოეყარა? ნახე!...

ქეთო. (თავს აიღებს ნელ-ნელა და ყურს უგდებს) ჩუ! გესმისთ... იქ, იქ მაროა და მისი ქმარი. წვეულება აქვსთ... ლხინი... (წამოდგება) ყველანი იქ მიდიან... ულოცავენ; თქვენ აქ რათ მოსულხართ? უთუოდ გზა დაგბნევიათ... კარები შეგშლიათ. აქ სილარიბეა, ჭირი და უბედურება... იქ... იქ-კი სიმდიდრე... ლხინი და ბედ..ნი...ე...რე...ბა... ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! (დათიკო და არჩილი იჭერენ)

ფ ა რ დ ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ე ა ქ ცი ა

(1910)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეაქცია

სამმოქმედებიანი სცენები.

მოქმედნი პირნი:

ვახუშტი ცხვარაძე, სოფლელი თავადი.
ბეჟან ცხვარაძე, მისი ძმა, სამსახურში ნამყოფი.
ალექსანდრე, ვახუშტის შვილი.
დათია, ვახუშტის მოსამსახურე.
იოსებ ლაბაძე, გადამწვარი გლეხი.
ფასია ლაშაძე, სოფლელი აზნაური.
ნატო, დიდებულიძის ქვრივი.
ნინო, **ელენე**, } მისი ქალები.
გიგო ბეგლარიძე, ნინოს საქმრო.
ოთხი გლეხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება პირველი

ბუხრიანი ოთახი სოფელში.

I

ვახუშტი, მარტო.

ვახუშტი. (ბუხარს უზის) დათია!

ხმა. (მეორე ოთახიდან) აქა ვარ! (დრო გადის, არავინ შემოდის)

ვახუშტი. დათია, დათია!

ხმა. აქა ვარ, აქ! (არავინ შემოდის)

ვახუშტი. (უფრო ხმამაღლა) ჰმ!... ბატონო, დავით!

II

იგივე და **დათია**, შემოდის.

დათია. რა გინდათ?

ვახუშტი. რა უნდა მინდოდეს! გეძახი და ხმას არ მცემ!

დათია. რა გინდათ?

ვახუშტი. მოდი, ერთი, თუ კაცი ხარ, ბუხარში ჯირკი გაასწორე! ვერ არის კარგად შედებული... გადმოვარდნას აპირებს.

დათია. (ილრიჭება) მერე და ამას რა დიდი საქმე უნდა? უჩემოდ ვერ გაასწორებდით?

ვახუშტი. ვერა, შვილო, რასაც მიჩვეული არა ხარ ყმაწვილობიდანვე, სიბერეში ვეღარას მოახერხებ.

დათია. (ილრიჭება) ჰმ... სხვა?

ვახუშტი. სხვა არაფერი!... რომ კიდეც რამე მქონოდა დასაქმებელი, განა გამიგონებ? წელანდელისა არ იყოს, ათასჯერ უნდა დაგიძახოს კაცმა.

დათია. წელან არ მეცალა.

ვახუშტი. რა ცალი გეკიდა?

დათია. ბეჟანის კალოშებსა ვწმენდდი.

ვახუშტი. ბეჟანის კალოშებს რა უნდოდა აქ?

დათია. ალექსანდრესთან ამოვიდა. ძალიან კი ჩაუკრავს ფეხი! ამდენი ხანია ვწმენდ და კიდევ ვერ გავაცალე ტალახი.

ვახუშტი. ახლა ალექსანდრესთან ბრძანდება?

დათია. იქ არი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტი. კარგი, გაუწმინდე, თუ ძმა ხარ!... (დათია გადის, ვახუშტი თვალს გააყოლებს, სიჩუმის შემდეგ ამოიხვნეშებს და თავის-თავს ეტყვის) აი, ბეჩავ, წინანდელო დროვ!... ახლა დრო მაგათია!... უნდა დავუყვავოთ... ია-ვარდი წინ დავუფინოთ!... თუ არ სიამ-ტკბილობით, ისე ველარას გახდები კაცი! ჰმ, ნუ იჯავრებო, მეუბნება ის ჩემი ახირებული შვილი. მოდი და ნუ იჯავრებ! (ჩაფიქრდება) ბატონ-ყმობას რომ უპირებდენ გადაგდებას, მაშინაც ამგვარი ნიშნები იყო!... სწორედ ჩამოგვართმევენ მიწებსაცა და სულ მშრალზე დავრჩებით. ღმერთმა ნუ ქნას ჩემ სიცოცხლეში და მერე მისი ნებაა: „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზედაც ნულარ ყოფილაო", ნათქვამია. ორი დღე აღარ დამრჩენია, წინ ორი პარასკევი აღარ მიდევს, რათ გავიხეთქო წინდაწინ გული? მერე რაც იქნება, ის შვილებმა იკისრონ! მე-კი მანამდე, თუ მოვახერხე, ჩემს ნებაზე ვჭამ, ჩემს ნებაზე, და ასე მივუჯდები ბუხარს თბილად. (უჩხიკინებს ცეცხლს და ღიღინებს)

„გამხიარულდი, ბუხარო,
გულჩახვეული ნუ ხარო,
ზამთრისთვის შეშა ბევრი მაქვს
და ნულარაფერს სწუხარო".

შეშა კი არა, ჯირკი!... ჯირკი! (უჩხიკინებს)

III

იგივე და **ბეჟან** შემოდის.

ბეჟან. ოჰ, საღამომშვიდობისა. გეტყობა კარგ გუნებაზე ხარ!

ვახუშტი. ისე შენი მტერი იყოს! მაგრამ მინდა, რომ გახურებულ ბუხარს გადავაყოლო გული... ჯავრს თავი წავართვა როგორმე.

ბეჟან. რა მოგივიდა?

ვახუშტი. სიბერე თავლაფდასხმული და შერცხვენილი! მივჯდომივარ კრუხივით ბუხარს... და ველარც იქით წავსულვარ და ველარც აქეთ. ზიარება რომ გინდოდეს... მღვდელთან გასაგზან კაცს ველარ შოვილობ. ერთობაო, თანასწორობაო!... გამგონე აღარავინ არის და თვითონაც ველარ ინძრევი... ვერსად მიდიხარ.

ბეჟან. სად უნდა წახვიდე ამისთანა დროს? რომ იტყვიან, ძაღლი არ გაიგდება კარშიო, სწორედ ის არის! თოვლ-ჭყაპი, ქარი, ტალახი, სიცივე.

ვახუშტი. მერე და რამ გამოგიყვანა ამისთანა დროს სახლიდან?

ბეჟან. საქმე მქონდა შენს შვილთან, და ნაინც რა ბევრია ჩემი სახლიდან აქამდე? სულ ორი ბიჯი თუ იქნება... მაგრამ გადამიცდა ფეხი და ტყვლეპა გავადინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტი. უჰ! რა ხუმრობაა! ფეხი ხომ არ დაგისველდა ტალახში? ხომ არ გაცივდი? წამოიწიე ცეცხლისაკენ.

ბეჟან. (მოიჩოჩებს სკამს)

„ბუხარი და ერთი კაციო — ნათქვამია. —
თუ გაჭირდეს — ორი კაციო;
თუ მესამეც მიემატოს,
ადექი და კარში გადიო".

ვახუშტი. (იცინის) ეგ ახლანდელ ფეჩებზე უნდა იყოს ნათქვამი, თვარა ძველებურ პირღია ბუხარზე კი არა! ამისთანა ბუხარი ხუთსაც ეყოფა ჩვენისთანას.

ბეჟან. ტყვილა დასცინიან იმ იმერელს, რომ უთქვამს: „ნურც სააქაოს და ნურც საიქიოს ცეცხლი ნუ მომიშალოს ღმერთმაო". მართლა რომ კაი რამეა ცეცხლი, თუ შენ ნებაზე ანთია.

ვახუშტი. ხუმრობ, თუ? ზამთარში მაინც რა სჯობია გახურებულ ბუხარს? მაგრამ იმასაც თავისი ხელის შეწყობა უნდა: დაჭრილი შეშით ვერ გააძღებ, თუ ჯირკს არ შედებ. ჯირკი კი, მოგვეცა ღვთის წყალობა, მოწყობილი იყოს: საღამოს რომ შეუზიზინებ ცეცხლს, გათენებამდის გააქვს გუზგუზი! სითბო? სითბოს ისეთს იძლევა, რომ ამ ჯუჭუტანებში კარებიდან, ფანჯრებიდან თუ მაღლა ჭერებიდან რამდენიც უნდა უბეროს ქარმა, სიცივე ვერ შემობედავს.

ბეჟან. მართლაც რომ მხურვალეა ჯირკი. მაგრამ სად შოვობ ამდენს?

ვახუშტი. ცოტაა ტყეში? ზაფხულში მოვატანინებ, დავაგროვებ ხოლმე საზამთროდ და მორჩა და გათავდა.

ბეჟან. ბევრი უნდება ერთ ზამთარს?

ვახუშტი. ასი თავს გადადის. (სიჩუმე)

ბეჟან. ამისთანა ღამეში დარჩენილხარ სადმე გარეთ?

ვახუშტი. მე? ჰმ, ნეტავი პირაქეთ არ წამეკიდებოდეს ფათერაკი, თვარა მე რავა შევეჩხირები?... რათ გავიჭირვებ გაუჭირველ საქმეს? სხვა რამე თქვი, თვარა იმას ვერ ვიტყვი, რომ ნებიერობა დამკლებოდეს. როცა სიცხეა ზაფხულში, პერანგა ვგორავ ხოლმე ჩეროში და ზამთრობით, სიცივეში, ბუხარს ვუზივარ ასე.

ბეჟან. ნეტავი შენ!... მიტომაცა ხარ მაგრე შენახული!... შენ ხომ ათი წლითა ხარ ჩემზე უფროსი? აბა ერთი შემოგვხედოს ვინმემ, თუ მე უფროსი არ ვეგონო!... ეჰ, ან ასე რათა ვარ, რაც მე წვალება გამომიცდია!

ვახუშტი. წვალება?!

ბეჟან. ჰო! წვალება... გაჭირვება!... შენ რომ ზაფხულში ჩეროგი ჰგორავდი და სიო დაგქიქინებდა, მე იმ დროს, ვინ იცის, იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპანაქებაში, რანცმოდებული, მივდიოდი ალმართში და ვიწურებოდი ოფლში!... იმდენი წელიწადი იცოცხლე, რამდენიც მე ამისთანა ლამეში, და კიდევ უარესშიაც, გარეთ ვგდებულიყო მშიერ-მწყურვალი.

ვახუშტი. ეგ როდის?

ბეჟან. როდის და, სამსახურში რომ ვიყავი.

ვახუშტი. მაგიერად, შე დალოცვილო, კაი კაპიტანი ხარ, მაგერ!

ბეჟან. რას მიკეთებს მერე ეს კაპიტნობა?

ვახუშტი. როგორ, თუ რას გიკეთებს? ხალხში გამოსული ხარ, პატივცემული და ბევრის ნანახი.

ბეჟან. ნანახი, თვარა, მე შენ გეტყვი, რომ პაპასთან ვატარებდი დროს!... ხან იქით და ხან აქეთ დავყიალობდი დაღესტნის მთებში!... ვინ უნდა მენახა? მთებს შენც კი უყურებ აგერ.

ვახუშტი. კი, მაგრამ სამსახურში ყოფნა მაინც სხვა არის.

ბეჟან. რა დაგიჟინია ეგ სამსახური, სამსახური? ოცდაათი წელიწადი ვიყიალე, ჭამა არ მქონდა ჩემს ნებაზე და სნა! და რა გამოვიტანე? ნიკრისის ქარები, სხვა არაფერი!...

ვახუშტი. პენსია?

ბეჟან. შვიდთუმან-ნახევარი წელიწადში გინდა ყოფილა და გინდა არა!... გადამეკიდა ი მამაოხრის შვილი, პოლკის კამანდირი: ხან აქეთ მიკრავდა თავს და ხან იქით. სულ ტყეს მაჩეხინებდა, თრევამ წელში გამწყვიტა. ვიფიქრე: აქ დარჩენა ჩემი საქმე ალარ არის მეთქი. ჩემი ანგარიშით, საპენსიო ვადა გათავებული მქონდა და შევიტანე ასტავკა.

ვახუშტი. მერე?

ბეჟან. მომიდვეს ხრიკი: ორი თვე გაკლია და არ გერგებაო! ვერ მიიღებ სრულ პენსიასო. მაშ, შემასრულებიეთ ეგ დანაკლისი ორი თვე მეთქი!... მაგრამ ვინღა გამცა ხმა? ასტავკის დაბრუნება ალარ შეიძლებაო. ამომაძუებიეს და გამომისტუმრეს ასე.

ვახუშტი. კი, მაგრამ ხათრი და პატივისცემა მაინც მეტი გაქვს! რაღა შორს წავიდე? აი, ამ დღეებში რომ დაიარა სოფელი დამსჯელმა რაზმმა, შენს სახლში ვერ შემობედა. აგიარა გვერდი და მეკი პირდაპირ მომადგა: „ამ სოფლიდან მოძრაობაში გარეული ორი გვემალება და, რადგან არ გვაძლევთ, უნდა ცეცხლი წაგიკიდოთ, დაგწვათო!“ ბიჭო! მე რა შუაში ვარ მეთქი? ძალაც თქვენს ხელშია და ბატონობაც მეთქი? წადით და მონახეთ! მე რას მერჩით მეთქი? მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ვერა შეეაგონე რა, სანამ...

ბეჟან. სანამ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტი. სანამ იმათი უფროსი მუდრეგაფიცერი არ გავინმე განზე და ოცდახუთმანეთიანი არ ვუჩიჩბე! მაგრამ, მაინც რომ ველარ მოვიშორე-ყე, სანამ ბეღელი არ გააღეს, რომ ყველაფერი გამოეტანათ, და მარანში არ ჩავიდენ...

ბეჟან. მარანშიაც ჩავიდენ?

ვახუშტი. ჩავიდენ, ძოახდევინეს ოცდაათკოკიანი, მოუსხდენ ქვევრის პირს და სვეს და სვეს! ხელოსანს ორშიმო მიეწოდებია და თავზე გადაემტვრიათ მისთვის: ეგ რად გვინდაო?

ბეჟან. აბა, რით იღებდენ?

ვახუშტი. გაიძვრეს, თურმე, ი მაღალყელიანი ჩექმები რომ აცვიათ, და იმითი იღებდენ, სანამ არ იჯერეს გული. რაც დალიეს—დალიეს, რაც არა და—გააუწმინდურეს და გაუდგენ გზას.

ბეჟან. არ გიჩივლია?

ვახუშტი. მეორე დღეს გადავიდა ჩემი ალექსანდრე უფროსთან და უთხრა ყველაფერი, მაგრამ...

ბეჟან. მაგრამ რაო?

ვახუშტი. „ბრიყვები არიანო, აბშიკა მოსვლიათო, თვარამ თქვენთან რა უნდოდათო? ვუბრძანებ, რომ აწ აღარ გაბედონო, მინავათ, პოჟოლუსტაო!" თურმე რომ გადავებუგეთ, მაშინაც ასე მეტყოდენ: „მინივათ, პოჟოლუსტაო!" და ამითი გამითავებდენ საქმეს.

ქალის ხმა (გარედან). ცეცხლი! ცეცხლი წაუკიდეს სახლს. (წამოცვივდებიან) გვიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანი!

ბეჟან და ვახუშტი. სად გაჩნდა? სად?

ალექსანდრე. (შემოიჭრება) რა ამბავია, რა ამბავი?

ხმა (გარედან). მიშველეთ, მიშველეთ! ნუ ამხდით ნამუსს!

IV

იგინივე, **ალექსანდრე** და **დათია.**

დათია. არაფერია, არაფერი! გადარეული ყვირის!

ყველა. ვინ გადარეული?

დათია. წვერაძის ცოლია!... ამას წინათ მივიდენ ყაზახები, სახლი დაუწვეს და ეგეც იმდენ ხალხში გააუპატიურეს ძაღლივით... „გადავარდნილი შვილი რომ გყავს, სად იმალებაო, რათ არ გვეტყვიო"... გადაირია და მასუკან აგრე დადის გიჟად. ხან ერთს შეუვარდება ეზოში და ხან მეორეს და სულ მაგრე გაიძახის, აი დასწყევლოს ღმერთმა, საიდან სად მოსულა აქ?

ბეჟან. ჩვენ კი გულები გადმოგვიტრიალდა და!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტი. მეც ისე მეგონა, თუ ამ სასახლეს წაუკიდეს ცეცხლი-თქო.

ალექსანდრე. ოჰ, უბედური! (დათიას) რა გაცინებს? თუ ღმერთი გწამს, ღამე გაათევინე! ამისთანა ამინდში ნუ გაუშვებ!

დათია. ბაწრითაც რომ დააბათ, გაჩერდება? ეგ სულ მაგრე დაწანწალობს მთელი ღამე. ახლა წასული იქნება... აქ კი აღარ მოიცდიდა.

ალექსანდრე. წადი, ეგები დაეწიო... ნუ გაუშვებ, თუ ღმერთი გწამს!

დათია. ახლა იმას უნდა გამოუდგე?

ხმა (გარედან). ცეცხლი, ცეცხლი!! გამიშვით, თქვე ძაღლებო, გა...

დათია. ეჰ, საიდან იძახის... (ბეჟანს) თქვენსას ჩასულა.

ბეჟან. ცოლ-შვილი არ შემიშინოს, ჩაირბინე ერთი!

დათია. არა, დიდხანს არც იქ მოიცდის. ერთს დაიძახებს და გაუდგება გზას.

ალექსანდრე. შვილი სადღა არის მაგისი?

დათია. აფრასიონი? გადავარდნილია, ტყეში იმალება. მოუყრია თავი სხვადასხვა გადავარდნილებისათვისაც და აღარავის ზოგავს: არც მტერსა და არც მოყვაოეს.

ვახუშტი. ასე გაუკითხავად?

დათია. მე ვინ გამიკითხა, რომ მე სხვა გავიკითხოვო? სახლი აღარ მაქვს და კარიო. ოჯახი ნამუსახდილი და მეც სასიკვდილოდ დამდევენო.

ბეჟან. შენ რა იცი, მერე? სად გინახავს?

დათია. როგორ არ მინახავს? ორჯერ მოვიდა ჩვენ სოფელში, ხარჯი წაიღო.

ვახუშტი. მერე, ვერ დაიჭირეთ?

დათია. მოდი და დაიჭირე!... თან ჯარი ჰყავდა დაიარაღებული და, მარტოც რომ ყოფილიყო, ხელს მაინც არავინ ახლებდა. გლეხს არც არაფერს ის ერჩის და არც გლეხები ერჩიან! (შორიდან მოისმის წივილ-კივილის ხმა)

ბეჟან. ჩუ, ხმაურობაა სადღაც! (ყველანი მიცვივდებიან ფანჯარასთან და ყურს უგდებენ)

ვახუშტი. ქალების ხმაა, ალბათ ვინმე მოუკვდათ.

დათია. არა, ამ კვირაში სულ მაგრეა! ვისმეს დაეცემოდენ ასაკლებად, ცეცხლს წაუკიდებდენ და ის იქნება.

ალექსანდრე. მართლა!... აი, კიდეც მოსჩანს ცეცხლი, ჩვენს პირდაპირ გაღმა იწვის ვინღაც.

ბეჟან. მერე-და ამისთანა დროს როგორ იწვის, ასე ბდღიალ-ბდღიალი რომ გააქვს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათია. ხის შენობაა!... მერე იმათაც იციან ხერხი: მიასხამ-მოასხამენ ნავთს და მერე მისცემენ ცეცხლს; რასაკვირველია, აბდღიალ-დება.

ვახუშტი. ცოლ-შვილი? სად უნდა წავიდენ ამ სიცივეში? ზა-ფხული რომ იყოს, კიდევ ჰო!... ტყეში მიიმალებიან.

დათია. ცოლ-შვილს რას დაგიდევენ! ისენიც სადმე მეზობლი-სას შეიფარებენ თავს. ნეტავ ვინ უნდა იყოს?

ბეჟან. (გაიხედავს) უჰ, ეგ ლარაძის სახლია! ვაი, უბედური!

ალექსანდრე. რას ერჩიან?

დათია. გაკეთებული გლეხია და ისენიც ამოარჩევდენ.

ალექსანდრე. რათაო?

ბეჟია. ტყვილა, ისე, რომ ხალხი შეშინდეს! ეჰ, ჩვენც ბევრი სოფელი დაგვიწვავს დაღესტანში.

ვახუშტი. მოდი და ნუ შეგეშინდება შენ... ესეც შენი ახალი ქოძრაობა! (გამობრუნდება თავის ქნევით)

ფ ა რ დ ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

ალექსანდრეს კაბინეტი. ალექსანდრე მაგიდას უზის და სწერს. დათია ოთახს ალაგებს.

I

ალექსანდრე, დათია.

დათია. მართალი გამოდგა: ლარაძე ყოფილა, ჩვენი იოსები, რომ დაუწვავთ.

ალექსანდრე. იოსები? ჰმ!...

დათია. ნაშუალამევი იქნებოდა, რომ მისი ატირებული ცოლ-შვილი ჩვენსა აქ გადმოვიდა, ბოსელში მოვათავსე.

ალექსანდრე. კარგი გიქნია.

დათია. დღეს, გათენდა თუ არა, იოსები მოვიდა, ნახვა უნდა თქვენი.

ალექსანდრე. შემოიყვანე. (დათია გადის)

II

ალექსანდრე და **იოსები**, შემოდის
და განზე გადგება.

ალექსანდრე. იოსებს გაუმარჯოს!

იოსები. (დაღონებული) ღმერთმა ნუ მომაკლოს თქვენი სიცოცხლე.

ალექსანდრე. მოიდგი სკამი. (მიაწოდებს სკამს)

იოსები. არა, თქვენი ჭირიმე, ასეც არა მიჭირს რა, ფეხზე! მე რა მრჯის თქვენთან ჯდომას!

ალექსანდრე. (იცინის) ნეტავ არ სულელობდე ერთი!... რა პატივისცემაა ზეზე დგომა, რომ წიფელასავით დამდგომიხარ თავზე?

იოსებ. არა, შენი ჭირიმე, არა მიჭირს რა.

ალექსანდრე. მოდი ახლოს!... მოიდგი სკამი!...

იოსებ. (ჯდება) გადღეგრძელოს ღმერთმა!... წუხელის მთელი ღამე ფეხზე გავათენე.

ალექსანდრე. მით უფრო!... შენი ფეხზე დგომა ნე ვერაფერს შემმატებს და შენ კი ისეც გეყოფა დაღალვა. რა ამბავი იცი?

იოსები. რაღა უნდა ვიცოდე? წუხელის გადამწვეს და გადამხრაკეს.

ალექსანდრე. (შეწუხებული) ვიცი! ვიცი! რას გერჩოდენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსები. რა ვიცი, შენი ჭირიმე, ღმერთმა ნუ იცის მათი თავი და ტანი: „სუდიათ რათ იყავიო?"

ალექსანდრე. სუდიათო?

იოსები. ჰო, სუდიათო, შენი ჭირიმე! იმ ახალთაობის დროს, პოლიცია რომ აღარ იყო, სუდია და პოსრედნიკი გააუქმეს და ღრუ-ბენატორიც გადადგა, ჩვენ გამოგვიცხადეს: ახალი დრო დადგა და ახლა თქვენ უპატრონეთ თქვენ თავსო! ჩვენც, თქვენი ჭირიმე, რაღა გზა გვქონდა, ავდექით და შევუდექით საქმეს! პოლიციაც ჩვენს ხელ-ში გადმოვიდა და სამართალიც. სოფელმა თავისი სუდიები აირჩია და მათ რიცხვში მიც მოვყევი.

III

ისინივე და **ვახუშტი** შემოდის, **იოსები** წამოხტება ზეზე, განზე გადგება. ვახუშტი ჯერ გაფერთხავს და მერე დაჯდება ნაჯდომ სკამზე.

ვახუშტი. ოჰ, იოსებს გაუმარჯოს!... კაცო, რა მოგივიდა, რომ ცეცხლი წაგიკიდეს? მეწყინა, მამაჩემი ნუ წამიწყდება.

იოსები. თქვენი თავი ნუ მომიშალოს ღმერთმა! მე რაც მომი-ვიდა, ის თქვენს მტერს, მაგრამ რა გაეწყობა? ალბათ ღვთის რისხვა იყო ჩემს თავზე.

ვახუშტი. მაინც რა სთქვეს? რათაო?

იოსები. წელანაც მოვახსენებდი ამათ. „სუდიათ რათ იყავიო?" რა მექნა, შენი ჭირიმე? მე ხომ ჩემი ნებით არ ვყოფილვარ? მიბრძა-ნეს და დავდექი! სოფელს სად წაუხვალ?

ვახუშტი. მერე-და ახლა გაახსენდათ ამდენი ხნის საქმე? მიზეზი აუკრეფიათ.

იოსები. აგრე იქნება, მაინც ჩვენი სუდიობით რა წავახდინეთ, რაც არა გავაკეთეთ რა? იმ ცოტა ხანში, სანამდი ჩვენ ვიყავით, ჩვენს სოფელში ცუდი არა გაგონილა-რა!... თვარამ თქვენც მოგეხსენებათ

ალექსანდრე. კი, მაგრამ სამართალს როგორ სჭრიდით, რომ კანონების არა გაგეგებათ-რა? (იცინის)

იოსები. კიდეც მიტომ. ადამიანი დაიბადება თუ არა, ავ-კარგის გარჩევა თანვე დაყვება, ღვთით. კანონები გულშია, თუ-კი სინიდის-ზე გაივლის კაცი! და ჩვენც არა დაგვიკლია-რა ღვთით.

ალექსანდრე. ხალხიც გემორჩილებოდათ?

იოსები. ერთობა იყო და მაშ რა იქნებოდა! იმ ორ-სამ თვეში ამ ჩვენს სოფელში ცუდი არა გაგონილა-რა! ყოველიფერი უკულმართო-ბა მოისპოვო, იტყოდა კაცი. დარისპან კობახიძეს—თქვენც კარგათ იცნობთ, სოფელმა ველარ გაუძლო!... ქურდი იყო მისთანა, რომ თვალ-ში წამწამს გამოჰპარავდა ადამიანს. ორჯელ-სამჯერ კიდევაც დაიჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩევდენ. ახლა ხომ ვიცი, რომ არ შემარჩენენ, მომკითხვენ, მაინც იმ გზაზე გავივლი.

ვახუშტი. იმე! რას ამბობ, კაცო? რა სარგებლობის გულისთვის?

იოსები. ჰმ! ავერ ორმოცდაათი წლის გავხდები და, მაშინდელის მეტად, ერთხელაც არ მიგრძვნია, რომ მეც კაცი ვიყავი! წამათრევ-დენ იმ დასაქცევ სუდში; იქ შენი არავის ეყურება და შენ სხვისი... უნდა წამოუყენო შენ მაგიერი და, ის რას ამბობს, ღმერთმა იცის. კაცათ კი არა, ძაღლათაც არავინ გაგდებს. და ამის შემდეგ ღვთის რისხვით არის, თუ ღვთის წყალობით, თითონვე შენ ხდები სუდიათ! შენ ასამართლებ სხვებს! მოდი და ნუ იტყვი: ახალთაობის ჭირიმეო!

ვახუშტი. ჭირიმე და... მაგრე იცის იმ „ჭირიმემ“! ე სახლი რომ დაგიწვეს, მაგერ?

იოსები. თქვენი ჭირი წაიღოს! იმას ხომ მაინც ველარ ვიტყვი, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე პირუტყვად გავატარე და ადამიანური არა მიგრძვნია-რა-თქო?

ალექსანდრე. (თავისთვის) აი, ხალხის ფსიხოლოგია!

ვახუშტი. ეგ ყველა კარგი, მაგრამ ახლა რომ უსახლოდ ხარ?

იოსები. ვეცდები, ან აქეთ ვეცემი, ან იქით და მოვახერხებ რასმეს. ახლაც შემოსახვეწნად გიახელი თქვენთან: ცოტა წკნელები მიბოძოთ, რომ ფაცხა მოვძაგვო როგორმე ჯერ-ჯერობით, თუ ისიც არ დამიწვეს.

ვახუშტი. ჩემი ტყიდან? ჰმ, აკი აჩეხასა და აოხრებას უპირებდით იმ ჩემს ტყეს? ახლა ხომ დაგჭირდა? რომ მართლა აჩეხილიყო, ახლა ან შენ რაღას მთხოვდი და ან მე რაღას გიბოძებდი?

იოსები. ახალგაზდა ბიჭები გაბრიყვდენ, შენი ჭირიმე, და შექონდათ ცული, თვარა სხვა, ჭკუით მყოფი, ვინ იფიქრებდა მაგას? აკი ჩვენვე დავუშალეთ და, რაც მოეჭრათ, იმისთვისაც დავაჯარიმეთ!

ვახუშტი. დააჯარიმეთ?

იოსები. ასი მანათი გადავახდევინეთ.

ვახუშტი. რა უყავით მერე იმ ფულებს?

იოსები. მქადაგებლებს გადავეცით, შენი ჭირიმე!

ვახუშტი ვიი! ტყე ჩემი, ჯარიმა გლეხების და ფული მქადაგებლებს.

იოსები. რა გვექნა, შენი ჭირიმე, მაშინ მისთანა დრო იყო.

ვახუშტი. კარგი, ნუღარ მომაგონებ იმ დროს! ბევრი დაგჭირდება წკნელი?

იოსები. რაც ერთს ფაცხას მოუნდება.. ცოტა საძირკველიც დამჭირდება და სახურავიც.

ვახუშტი. ბარემ მთელი სახლი გაიტანო, არ გირჩევნია?

იოსები. მაგდენის ლონისძიება ვინ მომცა, შენი ჭირიმე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტი. არაფერია!... სოფელი ღონიერია, გამოვრიგდებით, მანამდი შენც იშოვნი, დაგაცდი.

იოსები. (გახარებული) თუ დამაცლით... ღმერთმა შენი წყალობა ნუ მომიშალოს.

ვახუშტი. რატომ არ დაგაცლი? დიახაც დაგაცლი!... თუ მეზობლობა არ გვექნა—არ ივარგებს! ჩვენ უთქვენოთ ვერ ვიცხოვრებთ და თქვენ უჩვენოთ... ბატონობა სულ სხვაა.

იოსები. ღმერთმა თქვენი ჭირი მომცეს, ჩემო ბატონო! (მიდის გახარებული)

ალექსანდრე. ჭკვიანი არის ეგ იოსები!

ვახუშტი. რა გიკვირს, შვილო? ძველი გლეხები სულ მაგისთანები იყვენ! არც ჭკუა აკლდათ და არც ზრდილობა! რომ უნდოდა, ისე ეჭირათ თავი... უმცროს-უფროსობა იცოდენ... ახლა გაფუჭდენ და ისიც თქვენი წყალობით.

ალექსანდრე. როგორ თუ ჩვენი წყალობით?

ვახუშტი. ჰო, ახალთაობის წყალობით! დაგიჟინიათ: „ძმობაო“, „ერთობაო“, „სიყვარულიო“ და ამით სულ გადარიეთ ხალხი.

ალექსანდრე. ეგ, თუ გინდა, მაგრე იყოს!... ჩვენ ვამბობთ მაგას... მაგრამ როდის გვითქვამს „უზრდელობაო“?

ვახუშტი. იმათ კი ასე ჰგონიათ და... კისერზე გვიპირობენ წამოჯდომას.

ალექსანდრე. არაფერია! ეგ ყველაფერი სტიქიონურია!

ვახუშტი. რაო?

ალექსანდრე. ჰო, სტიქიონური!... იშვიათი მოვლინება, როგორც მიწისძვრა, მეწყერი, ცეცხლის გაჩენა და სხვანი! ყველა გადამავალია!

ვახუშტი. ჩვენ-კი ვეღარ მოვესწარით და!...

ალექსანდრე. ყოველ ამგვარ მოვლინებას მოთმენით უნდა ატანა. აი, კარზე რომ პატარა მდინარე ჩამოგვიდის, ხომ დასალევადაც კარგია, საბანაოდაც და თევზიც კარგი იცის? მოჩუხჩუხებს ნელ ნელა, თითქო ამ ატეხილ ჭალებს უმღერისო, თვალსაც ესიამოვნება და ყურსაც. როცა მოვარდება ხოლმე, მაშინ კი შენს მტერს!... გადმოტეხავს ნაპირებს, ატალახიანდება, აღარც სასმელად ვარგა და აღარც საბანებლად. და რომ გადარეცხავს კიდეებს, დაწდება და თავის კალაპოტში ჩადგება, მაშინ ხომ ერთი-ორად უკეთესია? ხალხიც ასეა, როცა ღელავს, უნდა მოერიდო ცოტა და დააცადო.

ვახუშტი. ჩვენ კი ვერიდებით და ვაცლით, მაგრამ ისინი რომ აღარ გვაცლიან? გაწყვეტას გვიპირობენ ყველას ერთიანად, გაუკითხავად!... ცოტა გამოათხოვეს უდანაშაულოდ წუთისოფელს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე. ეგეც ცხოვრების მოთხოვნილებაა. სიმინდს რომ ვთოხნით, თოხი მიტომ შეგვაქვს ყანაში, რომ ბალახი მოვაშოროთ, თორემ შამბი წაიღებს და ამოვარდება მთელი ყანა.

ვახუშტი. მერე რაო?

ალექსანდრე. ის, რომ მაშინ უცაბედად კარგი ღეროც იჭრება აქა-იქ, და იმის მოფრთხილებით, რომ შეცდომით კარგი არ მოიჭრა-სო, თოხნაზე რომ ხელი ავიღოთ, ხომ ამოვარდა მთელი ყანა? ერთი რომ მოიჭრება, იმითი ათასი სხვა გადარჩება. ასეა ხალხიც!...

ვახუშტი. ეგ მაგრეა, მაგრამ წარა-მარა რომ შეიტანო თოხი და ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ უპარტყუნო წინდაუხედავად, რა თავის გამართლება იქნება?

ალექსანდრე. მერე, ვის ეწამებით წინდაუხედაობას?

ვახუშტი. ვისა და იმ შენ ახალთაობას! ცოტას მოუღეს ბოლო, რომ იმათ არც ღმერთთან და არც კაცთან დანაშაული არა ჰქონიათ რა?...

ალექსანდრე. წეღანაც ვამბობდი: წყალი რომ აიმღვრევა და მოვარდება, თევზები ნაპირზე გამოჰყავს და ამ თევზებს გველ-ბაყაყებიც თან მოჰყვებიან ხოლმე! ნამდვილ ახალთაობას რა წილი უძევს კაცის კვლაში და ცარცვა-ბლეჯაში? ისინი თავსა სდებენ სიმართლისათვის. ზოგნი კვდებიან და ზოგნი ციხეში ლპებიან. სხვები კი სარგებლობენ დროთი საპირადოდ და, ვინ იცის, რას არ სჩადიან ახალთაობის სახელით?! გუშინ ხომ გაიგონე, დათიამ რა ილაპარაკა ვიღაც გადავარდნილზე—არავის ზოგავსო! განა ესეც ახალთაობას უნდა დაბრალდეს?

ვახუშტი. რა ვიცი, შვილო! მოძრაობამდე კი არა ყოფილა-რა და! შენ მაინც, მოძრაობა რომ დაიწყო, სიხარულით ფეხზე ალარ იდექი: მადლობა ღმერთს, გაიღვიძა ხალხმა, თვალი გაახილაო!

ალექსანდრე. დიახ!... საუკუნეზე მეტია, რაც სძინავს... მკვდრის ძილმა წაიღო! „რალა მკვდარი და რალა შინ მოუსვლელიო“, იტყვიან. „რალა მკვდარი და რალა მძინარი“, ვამბობ მეც. მძინარს, როგორც გინდა, ისე დაიმორჩილებ, დღეს ძღიეს თვალი გამოახილა ხალხმა...

ვახუშტი. (ჩამოართმევს სიტყვას) გამოახილა და ჩვენვე დაგვერია!...

ალექსანდრე. (იცინის) ეგეც არაფერია, ცოტათი დაიგეშებიან შინაურებზე და მერე...

ვახუშტი. ისეც კაი დაგემართოს, მაგრამ ვაი თუ ისე მოგვიდეს, როგორც ბიძაშენს მოუვიდა.

ალექსანდრე. ბიძაჩემს რა მოუვიდა?

ვახუშტი. ჩადი, ჰკითხე და გეტყვის. ერთი ლეკვი ჰყავდა მწევარი. კატებზე დაეგეშა, მერე უფრო კარგათ დაიჭერს კურდღელსო... მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-რამ მისთანა შენს მტერს, როგორც ის გაიწრთვნა: გარეთ კურდღელს ხმას არ სცემდა და შინ კი კატა არ გაუკდებოდა! (იცინის)

ალექსანდრე. არც მაგრეა საქმე, მამაჩემო! ხალხი ჭკვიანია და მალე შეიგნებს, რაც შესაგნებელია, წეღან ხომ ნახე იოსები?

ვახუშტი. ვნახე, შვილო, მაგრამ ის კი არ მომეწონა, რომ გვერდში მოგესვა.

ალექსანდრე. თქვენ აკი წამოგიდგათ ზეზე?

ვახუშტი. მე რა, შვილო? ჩემი პური მოჭმული მაქვს, შენთვის ვამბობ, არ უნდა გაიტოლო! არ უნდა გაათამამო, რომ ბოლოს სანანურად არ შეგექნეს.

ალექსანდრე. არა, ის მისთანა არ არის, რომ გაბრიყვდეს: მე თვითონ აღარ მოვეშვი და ძლივს დავაჯინე.

ვახუშტი. (წამოდგება) შენ უკეთ იცი, შვილო, ახლანდელი დრო. (მიდის კარებისაკენ, მერე მობრუნდება და რაღაცას გარდასცემს შვილს) აჰა! კინაღამ დამავიწყდა!... გულში-კი მქონდა... ამას შენც მოუმატე და გადაეცი საცოდავს.

ალექსანდრე. (გაოცებული) იოსებს?

ვახუშტი. ჰო, იოსებს!... აბა, რითი შესძლებს ყიდვას?

ალექსანდრე. ბარემ ისე გებოძებიათ, უფულოდ.

ვახუშტი. არა, შვილო!... ის რომ არ გაბრიყვდეს, სხვები გაბრიყვდებიან... ეგ ფული სულ შენობით გადაეცი. (მიდის)

ალექსანდრე. (გააყოლებს თვალს) ძვირად მინახავს ქართველი, რომ კარგი გულის არ ყოფილიყოს!... ჰმ... თვალი დაუდგეს დროსა და გარემოებას, თორემ რათ უნდა იღუპებოდეს ამისთანა ხალხი?!...

ფარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მესამე.

I

ნინო სარკის წინ ირთვება, **ელენე** მაგიდას უზის და წიგნს კითხულობს.

ნინო. პრიჩოსკა მიხდება?

ელენე. (თავს აიღებს) კი არ გიხდება, გშვენის!

ნინო. ნუ! გშვენის! (ღიღინებს) შაპოჩკა?

ელენე. საუცხოვოა!

ნინო. (კიდევ ღიღინებს) ეს? ხარაშო სიდიტ პლატიე?

ელენე. (უკმაყოფილოდ) კარგად, კარგად!

ნინო. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ბაშმაკები როგორ მოგწონს? (გამოაშვერს ფეხებს)

ელენე. უჰ! შენ და შენი კოპწიაობაც!... ჩაიხედე სარკეში და მორჩი! ნუ მიშლი.

ნინო. სკაჟიტე, პოჟალუისტა! გიშლი! დიდ რამეს ჰკითხულობ!!

ელენე. (დაცინვით) სანინს!... ლეონიდ ანდრეევს.

ნინო. პოჟალუისტა, პოჟალუისტა!! ეჩუქი აგაროდ ნე ბროსაი კამნი. რალაც ქართულ სისულელესა ჰკითხულობ! კაკ ტებე ნე ნადაელო! „ვეფ...ქის... ტკაოსანი“.

ელენე. შენ რას დაეძებ, მე რასა ვკითხულობ? მე ხომ შენ არას გიშლი? რაც გინდა, ის იკითხე!...

ნინო. ვა ვსიაკომ სლუჩაე, სისულელეს არ ვკითხულობ.

ელენე. რატომ შენ საქმროს არ ეტყვი მაგას?

ნინო. ქენიხს? (იცინის) ისიც შენსავით გატაცებულია!

ელენე. მაშ რათ ეუბნები, რომ სასწავლებელში მიშლიდენ ქართულს და ახლა შენ მასწავლეო?

ნინო. ჩტობ უგადიტ ქენიხუ!... დედამ მირჩია: ჯერ, სანამდე ნევესტა ხარ, ყოლიფერში დაეთანხმე შენ ქენიხსო და მერე, ჯვარს რომ დაიწერ, რაც გინდა—ქენიო!... გუშინ ქენიხმა ერთი პატარა ლექსი გადმომცა და მე კიდეც დავისწავლე: „სიქვარულო, ნიჩო სრულო!!...

ელენე. სიყვარულო და არა „სიქვარულო“.

ნინო. სიკვარულო, ნიჩო სრულო,
ცამ ტკბილო და ხანგრძლივ მცარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ აკვანო სიხარულის,
მერე კუბო და სამარე!

ელენე. გესმის, რასაც კითხულობ?

ნინო. ამიხსნა გიგუშამ, მარამ ადნავო ვსიოტაკი ნე პონიმაიუ: სამარეს რა უნდა აქ? ვედ ეტო გუბერნია ვროსიი?

ელენე. (იცინის) სამარე ქართულად საფლავია.

ნინო. (გაოცებით) სიქვარული და საფლავი! ტოლი დელო (იპრანჭება სარკის წინ და მღერის)

„ატაიდი! ნე გლიადი!
სკროისა ს გლაზ ტი მაიხ!"—ვოტ ეტო პანიმაიუ!...

ელენე. კარგი! კარგი!... მაგრამ ცოტა ხანს თავი დამანებე, გენაცვა, ნინო!

ნინო. რაო? ნინო? ეტავო ტოლკო ნე დასტავალო! ნინო? მე ნინა მქვია და ნინა დამიძახე! ნინო! თითქო „ბიჩო", კაკ ბუდტო ია სრედნიალო როდა! რას იტყვიან სხვები, რომ გაიგონებენ?!

ელენე. ვინ სხვები?

ნინო. ვისში კრუგში, სასაცილოდ ამიგდებენ.

ელენე. უკაცრავად! ნინა! ნინა! ნინა!...

ნინო. (სიცილით მივარდება და კოცნის) ნე პრავდა-ლი, ბლაღოზვუჩნეე? დედამ თუ მიკითხოს, წავიდა-თქო! პრაშჩაი. (მიდის)

ელენე. რა ყველაფრად კარგია, რომ გადაგვარებული არ იყოს! (სიჩუმე) ვილაც უცხოს შესჩივლა თურმე: „ვწუხვარ, რომ ქართველადა ვარ დაბადებულიო"... და იმანაც, რომ მოშორდა, დასცინა! (დაფიქრდება) მაგრამ განა მარტო ნინოა მაგისთანა, რომ რცხვენოდეთ ქართველობის? სულ ასე არ არიან სხვებიც? დღეს ქართველობა, მათი აზრით, მეტი ბარგია! ამის მაგალითს კაცები გვაძლევენ!... მაგრამ ჩემი ალექსანდრე კი სულ სხვაა!... „ის ქართველი, რომელიც პირველყოვლისა ქართველი არ არის, ადამიანად არა მწამს, რაც უნდა იყოსო!..." დღეს უნდა ჩამოვიდეს. (დაფიქრდება) რასაკვირველია, პირდაპირ აქ მოვა!

II

ისინივე და **ნატო.**

ნატო. (კარებიდანვე იწყებს) რა ამბავია, შვილო? ხმამაღალი ლაპარაკი მესმოდა! კიდევ წაიკიდეთ შენ და ნინო? ნუ აჯავრებ, დედა-შვილობას!

ელენე. არა, დედა! ჩვენ ისე ვლაპარაკობდით.

ნატო. ჰო, შვილო, გენაცვალოს დედა! მაგის მეტი ვინღა გვყავს? დღეს თუ არა, ხვალ საქმრო წაიყვანს და მოგვშორდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. მე რას ვუშლი, მერე?

ნატო. ჯერ იყო და მის ტოლებს ყველას ეჯავრებოდა: ჩვენზე ლამაზი რად არისო? და ახლა ხომ სუყველა გაჯავრებულია, რომ ამისთანა საქმრო გამოაცალა ყველას ხელიდან, იმას კი ენაცვალოს დედა! სად არის?

ელენე. წავიდა ლაუტენისის სათამაშოდ.

ნატო. მისი ქენიხიც იქ იქნება უთუოდ!... შენ რაღას უცდი, შვილო? სადაც არის, ხომ შენი ქენიხიც უნდა ჩამოვიდეს! კნიაზ ბეჟანი დღეისთვის მოელის. წადი, შვილო, მოირთე და მოიკაზმე.

ელენე. ასეც არა მიჭირს რა!... იცი, დედა, ის რა აზრისაა? ადამიანი მეგობართან ისე უნდა იყოს, როგორც თავის თავთანო.

ნატო. უი, რას ამბობ, შვილო? კაცი როცა მარტოა თავისთავთან, ხშირად ტიტველიც რჩება!...

ელენე. ჰო-და, როცა მეგობართან ხარ, განა მარტო არ ხარ?

ნატო. უი! რას ამბობ, შვილო? იმას ხომ მამაც თან მოჰყვება და, თუ არ მისთვის, მამამისის გულისთვის მაინც გამოიცვალე კაბა. მოირთე! წადი, შვილო, წადი! ნულარ აგვიანებ!

ელენე. თქვენი ნებაა! (მიდის)

ნატო. მადლობა შენთვის, ღმერთო, ქვრივ-ობლობის მფარველი ხარ! ორი ქალის მეტი არა გამაჩნია-რა და ორივენი ასე კეთილად დავაბინავე. ყველას თვალი რჩება გიგოზე და ხელში კი ნინოს მეტმა ვერავინ ჩაიგდო. არც გასაკვირველია! ნინო მისის მშვენიერებით ვის არ მოაწონებს თავს? მე უფრო ელენეს საქმე მაკვირვებს; არც ისე ლამაზია, უსწავლელიც დამირჩა და მაინც კიდევ რა საქმრო შეხვდა კუდრაჭას... ბედია, ბედი!! ვინ იფიქრებდა?...

III

ისინივე და **ბეჟან** (შემოვა, ყურს უგდებს)

ბეჟან. მე! და მოფიქრებით კი შენ მომაფიქრებინე; ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“. შენი სიძობა მე ჩაუდევ გულში, იმდენი ვეჩიჩინე, რომ გავაბედვინე ცოლის შერთვა! თვარა ძალიან შორს ეჭირა.

ნატო. ისე შენ იხარე, როგორც ჩემი ქვრივობა შენ დაატკბე!

ბეჟან. მე სულ სხვა მქონდა გუნებაში: მე ნინოზე ვფიქრობდი და ის კი მეორემ გაიტაცა.

ნატო. ჰმ, მეც ძალიან გამიკვირდა!... მაგრამ, მადლობა ღმერთს! ნინომაც საუცხოვო ვინმე ჩაიგდო ხელში, გიგო ბეგლარიძე! პირველ საქენიხოდ ითვლება ჩვენში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეუან. იცი, ეგ ენინიბობა ვინ გააბედვინა გიგოს? ალექსანდრე და ის თურმე ერთად ყოფილან სასწავლებელში და დიდი მეგობრები არიან ერთმანეთის! გამოდის, რომ ესეც ჩემი ბრალია. პირველი გზა მე გავკვალე! აბა, ნუ იტყვი, რომ „ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“... (მოიჩოჩებს სკამს)

ნატო. (კავების გრეხით) შენ კი იხარე, რომ ხუმრობას არ იშლი!

ბეუან. რაიო? ხუმრობას? ჰაი, ქალბატონო! რატომ მაშინ არ მეუბნებოდი მაგას, მხრებზე ეპოლეტები, გვერდზე ხმალი რომ მეკიდა და ულვაშებს ვიგრეხდი? პოლკის კამანდირი შენი გულისთვის არ გადამეკიდა? პენცია შენ დამაკარგვინე...

ნატო. (მანჭვით) ოცდაათი წლის ზღაპარს იგონებ...

ბეუან. ზღაპარსო? ჰმ, თქვენა ხართ ქალები მანგრე: ჭაღარა რომ გამოერევა კაცსა, გინდ ტარიელიც იყოს, გულიდან ამოირეცხავთ, თვარა ჩვენ, კაცები —არა! სიბერემ, ალბათ, შენც დაგაჩნია კვალი, მაგრამ ჩემ თვალში, რაც მაშინ იყავი, ისევ ისა ხარ ახლაც.

ნატო. (მოიჩოჩებს) ვითომ?!

ბეუან. ცოლი აღარ ვეძიე და შვილი! და მოყვრობაც მიტომ მოვინდომე გულით, რომ ახლოს ვყოფილიყავ. (ნატო ხელს აძლევს და აკოცებს) ჩემი შეძლება ხომ ჩემს ძმისწულზე უნდა გადასულიყო? ამთავითვე მაგათ დავუტოვებ და შვილები იქნებიან ჩემი!... ჩემი ძმაც ძალიან გახარებულია... აღარ ეგონა, თუ მოესწრებოდა შვილის ქორწილს.

ნატო. შენ გაიხარე, მე ელოს ბედნიერება მიხაროდეს!...

ბეუან. ძალიან ჩავარდნია გულში. ასე ამბობს: მე იმისთანა ქალების არა მწამს რა, ყოველიფერი რომ იციან, მაგრამ თავისი ქვეყნის კი არა გაეგებათ რაო!... ელენე კარგად არის გამოზრდილი და ძველ დედებს მოგვაგონებსო! ოჯახში სწორედ მაგისთანა ქალი უნდაო!...

ნატო. საცოდავი ჩემი ქმარი რომ გადაიცვალა, ეგ უპატრონო დამირჩა, მეოთხე კლასიდან გამოვიყვანე და, რაც კი შემეძლო, შინაურულად ვწრთნიდი!... რა გაეწყობა! დღევანდელ დროს ეგებ არ ეკადრებოდეს... მისთანა ვერ იყოს, მაგრამ შინაურობაში... ქართველ ქალად არა უჭირს რა.

ბეუან. ჰო-და, მერე ეგ ხუმრობაა?! შენი გაზრდილი ცუდი რათ იქნებოდა? არ ვამტყუნებ ალექსანდრეს, რომ მაგისთანა ქალი შეიყვარა. (ხელზე ჰკოცნის)

ნატო. (იცინის) რაღა დროს კომპლიმენტია ბებრის...

ბეუან. ვინ არის ბებერი? მე, თუ შენ? (აღტაცებით) „ბებერი ხარის რქაც კი ჰხნავსო“. ეგ სხვებს უთხარი და ჩემს თვალში ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილი ხარ! (ჰკოცნის ხელზე) ახალგაზრდა ხარ! (ჰკოცნის მეორე ხელზე. ნინო შემოდის და უყურებს)

ნინო. ტრულია-ლია... (ახველებს)

ნატო. მოხველი, შვილო?!

ბეჟან. კნიაჟნას ვახლავართ...

ნატო. მაგრე რათ მოწყენილხარ, შვილო?

ნინო. მოწყენილი კი არა, გაჯავრებული ვარ: ჩემი ქენიხი დღეს იქ არ ყოფილა და არც აქ მოდის!!...

ნატო. ჯერ ადრეა, შვილო! როგორ არ მოვა!

ბეჟან. (მოუბრუნდება) მაშ აგრე იყოს!... დღეიდან ღმერთმა ნუ მოშალოს ჩვენი მოყვრობა!

ნატო. (ხელს გაუშვერს ჩუმად) ხელზე მაკოცე! (ბეჟანი ჰკოცნის ხელზე და ნატო შუბლზე)

ბეჟან. მეც ხომ მამა ვარ ჩემი ძმისწულის? ახლა მახლობლები ვართ ერთმანეთის... ახლო ნათესავები!... ხომ, კნიაჟნა?

ნინო. ეტო ვაშე დელო! ვი ლუჩშე ზნაიტე!...

ნატო. წადი, შვილო! ჩვენთან, ბებრებთან, მოგეწყინება... აბა, ერთი შენებურათ ფორტოპიანოზე დაუკარი! ჩვენც გაგვართე და შინ თავი შეიქციე... მანამდე ქენიხიც მოვა! (ნინო გადის. ცოტა ხნის შემდეგ ფორტოპიანოს ხმა მოისმის)

ბეჟან. მგონია, თვალი მოგვკრა?!...

ნატო. არა უშავს რა!... ცუდს ვერას იფიქრებდა! (ილიმება) ჩუ. ყური დაუგდე ფორტოპიანოს!...

ბეჟან. ისეც ცეცხლი მეკიდება და რაღა ეგ მეჭირვება?

ნატო. ნეტავი შენ, რომ არ იშლი ხუმრობას!

ბეჟან. ჩვენ დროში სულ სხვა ხმები იყო ფორტოპიანოსი! რა-ღაც კარგი კია, მაგრამ, რომ არ ვიცი, რას უკრავს?

ნატო. სასიმღერო ხმაა!... მაგას ელენე მღერის ხოლმე, როცა გუნებაზეა! მის საქმროსაც ძალიან მოსწონს. (ხმა ოთახიდან: „ნეტავი მას, ვინც შენს ტკბილ ხმას“ და სხვანი)

ბეჟან. ვიჰ, ვიჰ, ვიჰ! ქართული სიმღერები პირველად მესმის ფორტოპიანოზე!... ეს ელენეა, რომ იმღერის?

ნატო. დიახ, ელენე!

ბეჟან. ყოჩაღ, ქალო! ნეტავი მას, მართლაც, ვისაც მაგისთანა ხმა ესმის!... ჭეშმარიტად ბედნიერია ჩემი ძმისწული! ბრავო! ქალბატონო, ბრავო!!

ნატო. იჰ, რად გააწყვეტინე? (ხელზე დაკრავს ხელს)

ბეჟან. არა, არა, რას ჰქვიან გააწყვეტინე? შევეხვეწები, რომ კიდევ იმღეროს!..

(**გიგო** შემოდის შეწუხებული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ისინივე და **გიგო.**

გიგო. სამწუხარო ამბავი! დიდი უბედურება!... ალექსანდრე მოუკლავთ! გზაში დახვედრიან... (საზოგადო აღშფოთება. ქალები წამოიჭ რებიან შეშინებული)

ბეჟან. იმე! იმე! რას ამბობ?!

გიგო. დეპეშა მომივიდა სამსონის. აი, რას იწერება. (იძლევა დეპეშას)

ბეჟან. ვაი, ჩემს მოხუცებულობას! ვაი, უბედური მამამისი! (ხელებს მიიფარებს პირზე და თავს ჩაღუნავს)

ნატო. (შემკრთალი) ესეც ჩემი ბედი!... შვილო, ელენე! (ელენე ენაჩავარდნილი დგას გაფითრებული)

ნინო. კტო პიშეტ?

გიგო. სამსონი იწერება. გუშინ მოჰკლესო!...

ელენე. გუშინ როგორ მოჰკლავდენ? დღეს მომივიდა დეპეშა, მოვდივართო.

V

ისინივე, **ალექსანდრე** და **ვახუშტი** შემოდიან.

ელენე. აი, აგერ! (მივარდება ალექსანდრესთან. ყველა გაოცებულია)

ბეჟან. ااااا!

ნატო. გენაცვა, გული რაზე გაგვიხეთქეს!

გიგო. კაცო, აკი მოჰკლესო?!

ალექსანდრე. ვინ მოჰკლესო? რას ამბობ?

გიგო. აი დეპეშა... ალექსანდრე მოჰკლესო.

ვახუშტი. ვინ აიგდო თავი? მაგისთანა ხუმრობა...

ალექსანდრე. (კითხულობს ტელეგრამას) ჰმ, გვარი დავიწყებიათ. ალექსანდრე რომ მოჰკლეს... ბექსიდაშვილი!...

გიგო. (აღტაცებით) მაშ შენ ცოცხალი ხარ?! (მივარდება და გადაეხვევა)

ყველა. მადლობა ღმერთს!... მადლობა ღმერთს!...

ნატო. გენაცვათ, ჩვენ კი გული გაგვიხეთქეს! მობრძანდით! მობრძანდით, კნიაზო ვახუშტი... მოდი, გაცოცხლებულო შვილო!...

ალექსანდრე. ნათქვამია: „რაღა მკვდარი და რაღა შინ მოუსვლელიო“. უნდა მოგახსენოთ, რომ მე გადამიწყვიტეს ორი წლით გაგზავნა და მაშ უფლება აღარა მაქვს ჯვრისწერისა. და თუ მომიცდით?

ნატო. ეგ ელოზეა დამოკიდებული, როგორ არ მოგიცდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. არა, მე აქ არ მოვიცდი! (ყველა შეწუხდება) არ მოვიცდი იმიტომ, რომ მეც მინდა თან გავყვე. ცოლქმრობის პირობა რომ დავ-დევი, მე იმ დღიდან ჩემი ქმრის ჭირიც უნდა გავიზიარო და ლხი ნიც. თან გავყვები.

ალექსანდრე. ადრევე დარწმუნებული ვიყავ მაგაზე. (ხელზე კოცნის)

ნინო. (მიდის გიგოსთან) ზნაჩიტ ი ნაშა სვადბა სკორო ბუდეთ!

გიგო. სკორო, მაია დოროგაია! სკორო, მაია კრასავიცა! (ერთმა-ნეთს ხელს აძლევენ)

ვახუშტი. იმე! თქვენ რომ გადაწყვიტეთ, მე აღარა მკითხავთ? მე არა ვარ თანახმა, მამაჩემი არ წამიწყდეს!

ალექსანდრე. როგორ თუ არა ხარ, მამაჩემო?!

ვახუშტი. არა, მამაჩემი არ წამიწყდეს, თუ პირობა არ ამისრულეთ, არ გაგიშვათ! ორი წელიწადი მალე გაირბენს და იქედან, რომ დაბრუნდებით, ქოჩორა ბიჭი ჩამომგვარეთ, რომ წვერები მომიწიოს ხოლმე.

ნატო. (იცინის) კარგი პირობაა! ღვთით ეგეც ასრულდება!

ბეჟან. კი, მაგრამ მე? მე ვინღა მომწევს წვერებს?

ნატო. ვისაც მოუწევია!...

ს უ რ ა თ ი

ვახუშტი. (წამოდგება წინ, მიიხედ-მოიხედავს) ვაი, საბრალო მაკრინე, სადა ხარ ახლა, რომ ვერ ესწრები შვილის ბედნიერებას! (თავს აწევს მაღლა) მაგრამ მრწამს-კი, რომ შენი სული მაღლიდან დაგვხარის ახლა.

ფარდა ეშვება ნელ-ნელა.

პარიზი, 1910 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები და ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები და ბიბლიოგრაფია.

I

წინამდებარე ტომის შინაარსს აკაკის რჩეული პიესები შეადგენს, სახელდობ: ვოდევილ-კომედიები, სცენები და დრამები, სულ 11 ნაწარმოები, დაწერილნი ნახევარი საუკუნის სივრცეზე, 1860—1910 წლებში.

ტექსტის დადგენის დროს აქაც იგივე პრინციპები იყო გათვალისწინებული, რომლებითაც რედაქცია წინა ტომებში სარგებლობდა, მხოლოდ იმ შეზღუდვით, რომ ხსენებული პრინციპების თანახმად ტექსტი გამართულია მხოლოდ თვით ავტორის სიტყვებში; მოქმედ პირთა ენის დიალექტური თავისებურობანი კი ხელუხლებლად დატოვებულია.

უფრო დაწვრილებით თვითეული ნაწარმოების შესახებ საუბარი გვექნება სიაში, რომელსაც აქვე ვურთავთ:

1 (17). **„პირუტყვების არჩევანი“** (ვოდევილი ერთ სცენად). დაწერილია პეტერბურგს 1860 წელს, მაგრამ პირველად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1873 წელს 11 მაისის № 18-ში, სათაურით: „პირუტყვების რჩევა“, შემდეგ კიდევ ქართველთა ამხანაგობის გამოცემაში (ტფილისი, 1893 წ.): „თხზულებანი“ ტ. I და თვით ავტორის გამოცემაში: „ჩემი ნაწერები“ წ. I (ტფილისი 1912 წ.), სადაც სათაურად აქვს: „პირუტყვების არჩევანი“. წინამდებარე გამოცემის ტექსტს საფუძვლად უძევს ორი უკანასკნელი გამოცემა. მოგვყავს ავტორის შენიშვნა უკანასკნელი (1912 წლის) გამოცემიდან (გვ. 85 – 86):

«**შენიშვნა.** ჯერ ახლაც რა არის ჩვენში მარშლის არჩევა, თორემ რა იქნებოდა მესამოცე წლებში?! ერთ მაშინდელ არჩევანს მეც დავესწარი. დიდი ალიაქოთი იყო ატეხილი. ეს სცენა პირია ნამდვილის: აქ მომატებული არა არის რა. დასახელებული პირებიც: 1) **კატა**—გიორგი ღოღობერიძე, მაშინდელი ინტელიგენტი და ოპოზიციის მეთაური; 2) **სამარშლოდ გამოყვანილი**—ნესტორ წერეთელი; 3) **აქლემი**—ალექსანდრე წერეთელი, ნესტორის ბიძა; 4) **მურა ქოფაკი**—ბეჟან ჩხეიძე, ახირებული კაცი; 5) **მწევარი**—ნამია გურიელი; 6) **მოზვერი**—თვითონ მე; 7) **კამბეჩი**—ლევან ქორქაშვილი, მაშინდელი პროკურორი; 8) **ვეფხვი**—იზუმსკი, მაშინდელი გუბერნატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი; 9) **მგლები, მელები და სხვანი**—მეკენჭეები.—ამ ხუმრობამ ისეთი უსიამოვნება და მრისხანება გამოიწვია ჩემზე, რომ მე იძულებული გავხდი ქალაქს [ტფილისს] გავქცეულიყავ, მაგრამ აქ უარესი დამხვდა: თურმე იმ ხანებში იქაც არჩევნები ყოფილიყო და თავის თავზე მიეღოთ. აღარ ვიცოდი, რა მექნა. სხვაგან წასასვლელი შეძლება რომ აღარა მქონდა—მაშინ ხომ რკინისგზა არ ყოფილა ჩვენში—ძველ სენაკში ჩავედი ბესარიონ ქავთარაძესთან და იქ ვიმალებოდი დიდხანს, სანამ მითქმა-მოთქმა არ მიწყნარდა. საკვირველია: დაბალი ხალხი ჩუმად ყველა ჩემი თანამგრძნობი იყო, მაგრამ ცხადად გამოსარჩლების ეშინოდათ. მე-კი, ვინც შესაყეფი იყო, უშიშრად ვუყეფდი, აღარავის და აღარაფერს ვერიდებოდი".

აკაკის ნათქვამის შესასწორებლად ჩვენ შეგვიძლია დავძინოთ, რომ, როგორც წარსული საუკუნის 60-იანი წლების „Кавказский Календарь"-იდან ჩანს, აკაკის მიერ დასახელებული იზუმსკი („Изюмский") ქუთაისის გუბერნატორად ყოფილა 1862—1865 წლებში, ხოლო პიესის დაწერის დროს იგი მხოლოდ გუბერნატორის კანცელარიის გამგე ყოფილა (1860—1861 წ.).

2 (68). **„ძველსა და ახალს შუა"** (კომედია ხუთ მოქმედებად). ეს პიესა ჩვენ გვხვდება დაბეჭდილი მხოლოდ ჟურნალ „ცისკარში" 1868 წელს (მარტის ნომერი, გვ. 1—45 და ივნისისა, გვ. 46—59). აკაკის ქაღალდებში ჩვენ შეგვხვდა „ცისკრიდან" ამოღებული ზემოდასახელებული ფურცლები, მცირეოდენის გამონაკლით, სადაც ტექსტი ნასწორებია თვით ავტორის ხელით (ზოგან მელნით, ზოგან ფანქრით). წინამდებარე გამოცემას საფუძვლად ეს ტექსტი დაედო, ხოლო ნაკლული ადგილები „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნთსაცავის „ცისკრის" სათანადო ნომრიდან შევავსეთ, სადაც პიესა აგრეთვე ნასწორები აღმოჩნდა (წიგნის № 2169ა); სხვათაშორის პიესის სათაური იქ გადასწორებულია ასე: „ორი სასიძო", ხოლო მოქმედი პირების გვარები ასე: „ზურაბ **კარგარეთელი**, გრიგოლ **დიდებულიძე**". მაგრამ ჩვენ შესაძლოდ ვერა ვცანით იმ უკანასკნელ ცვლილებათა შეტანა წინამდებარე გამოცემაში; სამაგიეროდ საჭიროდ დავინახეთ ტექსტში აქა-იქ შეგვეტანა ის შესწორება-დამატებანი, რომელთაც ავტორი იძლევა არშიებზე „ცისკრის" იმ ფურცლებზე, რომელნიც მის ქაღალდებში აღმოჩნდა.—ამას გარდა ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ ყოველი მოქმედების დასაწყისში ავტორი სწერს: „სცენა 1-ლი"-ო, რაც ჰგულისხმობს, რომ იმავე მოქმედებაში „მეორე სცენაც" უნდა იყოს, ნამდვილად კი ორი სცენა მხოლოდ მეხუთე მოქმედებაშია, დანარჩენებში კი თითო სცენის მეტი არაა; ამიტომ სიტყვა „პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი“ ჩვენ ყველგან გამოვტოვეთ „სცენის“ შემდეგ პირველ ოთხ მოქმედებაში.

3 (90). **„ადვოკატის დილა“** (სცენა). ეს პიესა ორჯერ იყო დაბეჭდილი: პირველად „დროებაში“ 1871 წელს, 27 აგვისტოს № 34-ში და თვით აკაკის „კრებულში“ 1898 წელს, № 7 (მარტი). წინამდებარე გამოცემას საფუძვლად უძევს „დროების“ ტექსტი, რომელსაც ვასწორებთ „კრებულის“ ტექსტთან შედარებით.

4 (101). **„სცენა საპატიმროში“**. დაბეჭდილი იყო „კრებულში“ 1872 წელს, მარტის № 7-ში; და მეორედ აკაკის „კრებულში“ 1898 წელს № 7-ში (მარტი). წინამდებარე გამოცემას საფუძვლად ეს უკანასკნელი დაედო.

5 (136). **„ენების გასამართლება“**. პიესა გამოწვეულია იმ ბრძოლით, რომელიც წარმოებდა ქართულს მწერლობაში, წარსული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული, ძველსა და ახალ თაობათა შორის იმ საკითხის გარშემო, თუ რომელ ფორმებს უნდა მიეცეს უპირატესობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ძველი მწიგნობრული ენისას, თუ ცოცხალი, იმერული და ამერული, დიალექტებისას. ეს პიესა დაიბეჭდა „დროებაში“ 1874 წელს, 6 დეკემბერს, № 452-ში; ხოლო პიესის ბოლოს დართული ლექსი „მუხრანიდან ჯარი მოდის“ ორჯერ კიდევ იყო დაბეჭდილი, ქართვ. ამხანაგ. გამოცემაში: „თხზულებანი“ I და აკაკის საკუთარ გამოცემაში: „ჩემი ნაწერები“ წ. II (ქუთაისი. 1913 წ.). შენახულია ავტორის შენიშვნა ამ პიესის შესახებ ავტოგრაფად, რომელიც აქვე მოგვყავს (იხ. აკაკის ავტოგრაფი 26.2): „ გ[იორგი] მუხრან-ბატონმა გამოსცა წიგნი სხვადასხვა ერების გაერთიანებაზე. იმ წიგნაკში ის აზრი იყო გატარებული, რომ პატარა ერებს უფლება არა აქვსთ თვითარსებობისა და დიდ ერებში უნდა გაითქვიფონო. ამან დიდი უსიამოვნება გამოიწვია საზოგადოდ, მაგრამ ვინ რას იტყოდა? ერთმა მხოლოდ ირაკლი გრუზინსკიმ ჰკითხა: რამ დაგაწერია მისთანა საუკულმართო რამ? ან რამ გაფიქრებინაო?—მე, დიდი ხანია, მოფიქრებულიც მქონდა და დაწერილიცო—მიუგო მუხრან-ბატონმა—მაგრამ დაბეჭდვით არ ვბეჭდავდი, რადგანაც შენ გიცდიდიო, და, როცა შენც შენი ვინაობა აბანოზე გაცვალე, მაშინვე დავბეჭდეო!... ეს მე გადმომცა სიცილით გიორგიმ და თანვე დამეკითხა: შენ რაღას იტყვი, პოეტოო?—რაღაი კი საქმე გაბან-გარეცხაზე მივარდება, ერთი აბანო საკმაო არ არის ირაკლისათვის, მაგრამ თქვენს წიგნაკსაც კი ბევრი მოუნდება მეთქი—მოვახსენე.—მეორე წიგნაკი თუმცა მზად ჰქონდა, მაგრამ ალარ გამოუცია და ცენზურასაც ნაბრძანები ჰქონდა თვალ-ყური ედევნებია, რომ ამგვარი არა დაეწერა რა იმ გამოსულ წიგნაკზე. ეს ლექსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ენების გასამართლება“ ალეგორიულად დაწერილი შევაპარე ცენზურას. მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ლექსმა, მაგრამ დღეს კი აღარა აქვს მნიშვნელობა“.

6 (229). „**კინტო**“ (სამმოქმედებანი კომედია-ხუმრობა). ეს პიესა პირველად 1899 წელს დაიბეჭდა აკაკის „კრებულში“ (№ 7), სადაც მას თავში ჩართული აქვს ავტორის „**შენიშვნა**“, რომელიც ქვემოთ მოგვყავს უცვლელად და რომლიდანაც მკითხველი დაინახავს, რომ პიესა დაწერილი ყოფილა „ოცი წლის“ წინეთ, ე. ი. 1879 წელს. მართლაც კომედიაში მოთავსებული სამი ლექსი („იავნანა“, „საყვარლისა ეშხზედა“ და „ერთი ვინმე კინტო ვარ“) პირველად გამოქვეყნდა „დროებაში“ 1880 წელს (№№ 13; 23; 27) და შემდეგ განმეორებით აკაკის „თხზულებათა“ II ტომში (1893 წ.) და მისსავე „ჩემ ნაწერებში“ წ. II.—ზემოხსენებული „**შენიშვნა**“ ავტორისა იმდენად საყურადღებოა, რომ აქვე ვათავსებთ უკლებლად და უცვლელად:

„პირველ ხანებში, როცა ქართულ თეატრს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სცენაზე ფეხი მოდგმული, რთული პიესების წარმოდგენა მოუხერხებელი იყო. გარდა გაბუნიასა და საფაროვის ქალისა, არტისტი-ქალები არა გვყოლია და ეს გარემოება გვაიძულებდა, რომ პიესებიც მისთანა აგვერჩია ხოლმე, სადაც ქალების როლი ნაკლები იყო.— სეზონი თავდებოდა. უკანასკნელ დღეს გაბუნიას ბენეფისი იყო. მაგრამ, რადგანაც რამოდენიმე დღის წინათ საფაროვის ქალი ავად გახდა მოულოდნელად, საბენეფისოდ ამორჩეული პიესის თამაში მოუხერხებელი შეიქნა და ბენეფისი აღარ შედგებოდა. ახალგაზრდა ნიჭიერ გაბუნიას ქალს გული დასწყდა და კიდეც უმართებდა: სხვაც რომ არა ყოფილიყოს-რა, მატერიალურად იჩაგრებოდა. დრო აღარ იყო, რომ სხვა პიესა აგვერჩია, და ვერც პიესა გამოვნახეთ მისთანა, რომ მარტო ერთი ქალი ყოფილიყოს მოთამაშე.—ახალგაზრდა ნიჭის ყოველთვის თანამგრძნობი ვიყავი და გაბუნიას დაღონებამ მეც შემაწუხა. მეტი ვეღარა მოვახერხე-რა, დავჯექ იმ ღამესვე და გათენებამდე დავწერე ეს სცენები „კინტო“, სადაც ერთი ქალის მეტი არ არის საჭირო და რომელსაც თვითონ მობენეფისე ითამაშებდა. ცენზურამ ნება დაგვრთო მეორე დღესვე და ხელად, სამ დღეში მოვამზადეთ ახალი პიესა. ბენეფისმა კარგად ჩაიარა. გაბუნიას ქალი კმაყოფილი დარჩა და მეც მიამა, რომ ნიჭიერ ახალგაზრდა არტისტ-ქალს გული არ დაეჩაგრა.—რადგანაც იმ პიესამ თავისი საკუთარი ნოვალეობა აასრულა, მეც ავიღე და შევინახე. არც მისი დაბეჭდვა და არც ხელმეორედ წარმოდგენა გუნებაში აღარ მქონია. წავედი რუსეთში. რუსეთიდან რომ ჩამოვბრუნდი, ვნახე, რომ ის პიესა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კინტო“, სახალხო პიესად გადაქცეულიყო და არათუ ქალაქებში, სოფლებშიაც კი ადგენდენ. მას აქეთ აგერ **ოცი წელიწადია**, და შეუძლებელია, რომ სხვადასხვაგან, ქალაქებში თუ სოფლებში, რამდენჯერმე არ წარმოადგინონ „კინტო“. საკვირველი მხოლოდ ეს არის, რომ დედანი ჩემი პიესის მე მაქვს, პირი არავის გადუწერია და საიდან გამოტყვრა? ალბად როლები მიაკერ-მოაკერეს და ისე შეადგინეს. რამდენჯერმე დავსწრებივარ „კინტო“-ს წარმოდგენას, რომელსაც ჩემი სახელ ით ადგენენ, და ყოველთვის და ყოველგან სულ სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ: ხან აკლებენ და ხან თავისას უმატებენ, ასე რომ მთლიანად, თავიდან ბოლომდე, ჩემ დაწერილად ვერ მიცვნია. აი, სწორედ ეს გარემოება მაიძულებს, რომ დავბეჭდო დღეს ეს „პიესა“.—თუ ეს მიზეზი არ ყოფილიყო, „კინტო“, როგორც ბევრი სხვა ჩემი ნაწერთაგანიც, რომელთაც მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა ჰქონიათ—წარმავალი, ვერ ეღირსებოდა სტამბას და დარჩებოდა მხოლოდ «ჩემი თავგადასავალის» მასალად“.

თვით პიესის ტექსტში ჩვენ მოვახდინეთ შემდეგი ცვლილება: ყოველი მოქმედების დასაწყისში ზედწარწერა „პირველი სანახავი“ შევამოკლეთ ასე: „სანახავი“, რადგან არცერთ მოქმედებაში თითო „სანახავის“ (ე. ი. სცენის) მეტი არაა.

7 (244). **„კუდურ-ხანუმ“** (სამმოქმედებიანი ისტორიული დრამა მეთექვსმეტე საუკუნის ცხოვრებიდან). ეს დრამა დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ 1880 წელს, № 2, რომელიც ცენზორისაგან ნებადართულია იმავე წლის 23 მაისს. დრამაში გამოყვანილი პირები თუმცა ოსმალურ სახელებს ატარებენ და თვით მოქმედებაც თითქოს ოსმალეთის საქართველოშია და ისიც მე-16-ე საუკუნეში გადატანილი, მაგრამ მკითხველი სულ ადვილად მიხვდება, რომ ეს მხოლოდ ცენზურის „თვალის ასახვევი“ ხერხია, თორემ პიესაში პოეტის **თანამედროვე** პერსონაჟები და სინამდვილეა გამოხატული: მაჰმუდ-ფაშა—ეს ხომ ერთერთი რუსის გუბერნატორია საქართველოში, ხოლო პიესაში მოხსენებული „სოხტები“ და კერძოდ „არჩილ **სოხტი**“—ეს ხომ ქართველი „სტუდენტებია“, რომელთაც აკაკის დროს ჩვენი საზოგადოება „წვეროსნებსაც“ ეძახოდა.—წინამდებარე გამოცემას საფუძვლად „ივერიის“ ტექსტი უძევს იმ მცირეოდენის შესწორებით, რომელიც ამ შენიშვნის დასაწყისში მოვიხსენიეთ. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღინიშნოს შემდეგი გარემოება: სამსავე მოქმედებაში აქა-იქ გვხვდება ახალ-ახალი **გამოსვლები** (მაგალითად I აქტის მე-6 გამოსვალში კიდევ სამი ახალი გამოსვლაა, II აქტის მე-7-ში მეორე ახალი გამოსვლაც არის, ხოლო III აქტის მე-3 გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლაში კიდევ ორი ახალი მოიპოვება), რომელთაც არ აქვთ ავტორის მიერ სათანადო წარწერა და ალრიცხვა გაკეთებული; ჩვენ გვქონდა განზრახვა ეს დეფექტი შეგვესწორებია, მაგრამ ჯერჯერობით თავი შევიკავეთ: დაე ეს შესწორება შემდეგი დროის გამოცემამ იკისროს.

8(458 და 473). **„პატარა-კახი“**. ისტორიული დრამა. პირველად ამ პიესიდან დაიბეჭდა ერთი სცენა („ბრმა მოხუცი და ახალგაზრდა ქალი“) ჟურნალ „თეატრში“ 1890 წელს, 21 იანვარს, № 4. შემდეგ იმავე წელს პიესა ცალკე წიგნადაც გამოვიდა, სათაურით: **„პატარა კახი**. ხუთ მოქმედებიანი ისტორიული დრამა აკაკისა. გამოცემა „თეატრის“ რედაქციისა. თბილისი. გრ. ჩარკვიანის სტამბა. 1890 წ.“ ამ გამოცემის მე-2-ე გვერდის რუსული წრწერიდან ვტყობილობთ, რომ 1889 წლის 25 ოქტომბერს ეს დრამა უკვე ნებადართული ყოფილა ცენზორისაგან დასაბეჭდად; მაშასადამე [illegible] წერის თარიღი უნდა ვივარაუდოთ არა უგვიანეს ამ რიცხვისა.—ეს დრამა შემდეგ თვით აკაკის ჟურნალ „კრებულშიაც“ დაიბეჭდა 1897 წ. დეკემბრის ნომერში (№ 4).

არსებობს კიდევ ცალკე გამოცემა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ თ. მთავრიშვილის საფასით. ქუთაისი. 1919 წელი.

ვწუხვართ, რომ ტეხნიკური მიზეზებისა გამო ეს პიესა ქრონოლოგიურად თავის ალაგას არ იბეჭდება (რიგით იგი „მედიას“ წინ უნდა დაბეჭდილიყო).

9(591). **„მედია“** (ხუთმოქმედებიანი დრამა). როგორც ავტორი სავე შენიშვნებიდან ჩანს, მას განზრახვა ჰქონია ეს პიესა ტრილოგიად დაეწერა: „მედია კოლხიდაში“, „მედია ელადაში“ და „მედია სამშობლოში დაბრუნებული“. მაგრამ განზრახვა შეუსრულებელი დაურჩა. აქ წარმოდგენილი ტექსტი განზრახული ტრილოგიის მხოლოდ პირველ ნაწილს წარმოადგენს, რომლის ბეჭდვაც ავტორმა დაიწყო ჟურნალ „კვალში“ 1895 წელს (№№ 23 და 25), ხოლო სრულად დაბეჭდა თავის „კრებულში“ 1897 წელს (№ 2, ოქტომბერი), შენიშვნების დართვით. წინამდებარე გამოცემას საფუძვლად ეს ტექსტი უძევს.

ტრილოგიის მეორე ნაწილიდან („მედია ელადაში“) შენახულია მხოლოდ ძუძუდას ერთი მონოლოგი ავტოგრაფად (№ 23, 52), რომელსაც აქვე ვათავსებთ უკლებლად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუძუდა

(დაფიქრებული ზის ჩრდილში)

მზეცა და მთვარეც აქ ჩვენებურს ჰგავს,
ვარსკვლავებიც კი ჩვენებურია!...
და სამშობლოში მათი დანახვა
რათ მენატრება, რაღათ მწყურია?

ია და ვარდე აქაც იშლება,
აქაც უგალობს ხომ იადონი?
და რაღათ ვფიქრობ ჩვენს ქვეყანაზე,
გულდაწყვეტილი, მათი მომგონი?

ამ ორი ქვეყნის, შორისშორს მყოფის,
თანასწორია თითქმის ბუნება,—
და მაშ სურვილი მოუსვენარი
სულ სხვანაირად რათ მეუბნება?

მაგრამ სუყოველ ადამიანში
რაღაცა ძალი თანშობილია,
მიუწდომელი, მიუდგომელი,
ვით სიყვარული, ისე ტკბილია!

ვერრა პატივი, ვერრა დიდება
ვერ შესძლებს იმის სამაგიეროს!..
სიშორე მისი გრძნობა-გონებას
მიაფენს მწუხრის ჩრდილსა და ჩეროს!

10(673). **„ახალი გმირი“** (დრამა ოთხ მოქმედებად) პირველად დაიბეჭდა აკაკის „კრებულში“ 1898 წელს № 11-ში (ივლისი), რომლის ტექსტიც საფუძვლად უძევს წინამდებარე გამოცემას.

11 (1074). **„რეაქცია“** (სცენები). პიესა შეეხება 1906 წლის რეაქციას და დაწერილია 1910 წელს, როცა პოეტი პარიზში იმყოფებოდა. დაიბეჭდა იმავე წელს „თეატრსა და ცხოვრებაში“ ივნისის №№ 22, 23, 24 და 25-ში. არის შენახული ავტოგრაფადაც (აკაკის ავტოგრაფი № 10,2). ავტოგრაფის ტექსტი აქა იქ განსხვავდება დაბეჭდილისაგან; ამასთანავე იგი უფრო შავის ხასიათს ატარებს; ზოგან ადგილები აკლია, ზოგანაც ზედმეტი დიალოგები წაშლილია. წარწერაც არ შეეფერება დაბეჭდილს: ჯერ ავტორს დაუწერია: რეაქცია, ოთხმოქმედებიანი **„დრამაო“**, შემდეგ ეს უკანასკნელი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვა გადაუსწორებია ასე: „კომედია“, ხოლო ნაბეჭდ- ტექსტშ „სცენებიო“. ჩვენ ეს უკანასკნელი დავტოვეთ. ამას გარდა ყოველ მოქმედების დასაწყისში მოთავსებულია „სცენა 1-ელი“, თუმცა ყ ველი მოქმედებისა თითო სცენის მეტი არც არის; „თ.-ცხ.“-ში ეს გ სწორებულია, ე. ი. ეს სიტყვები გამოტოვებულია, და ჩვენც ამას ვ თანხმებით. საერთოდ წინამდებარე გამოცემას საფუძვლად უძევს ნ ბეჭდი ტექსტი „თეატრი და ცხოვრებისა“, საიდანაც აქ მხოლო სამი მოქმედება (I, II და IV) იბეჭდება.

II

ერთხელვე მიღებული გეგმის თანახმად, მოგვყავს სია იმ პიესებისა, რომელნიც ამ გამოცემაში ვერ შემოვიდენ:

1(11). **„ძველი ამხანაგები“** (კომედია ერთ მოქმედებად, ლექსად). თარიღად უზის 1859 წ. 14 დეკემბერი. დაბეჭდილია ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წელს, ივლისის ნომერში.

2(72). **„ჩვენი ნაცარქექიები, ანუ ორი ვირისთავი“** (ვოდევილი ორ მოქმედებად). პირველი მოქმედება დაბეჭდილია „დროებაში“ 1868 წელს, 23 აგვისტოს, № 34 (ავტორის ხელმოუწერლად); მეორე მოქმედება კი შენახულია ავტოგრაფად აკაკის ნაწერებში (იხ. აკაკის ავტოგრაფი № 27დ,20).

3(73). **„არსენა“** (დრამა ხუთ მოქმედებად). დაბეჭდილია „ცისკარში“ 1868 წელს, აგვისტოს №-ში, მხოლოდ პირველი მოქმედება. დანარჩენებს ველარსად შეეხვდით: ვერც ნაბეჭდსა და ვერც ხელნაწერს.

4(154) **„მომრიგებელი მოსამართლე“** (სცენა). დაბეჭდილია „დროებაში“ 1875 წ. 18 აპრილს № 43.

5(178) **„სცენები“** (სულ ხუთი სცენა). იხ. გაზ. „დროება“ 187 წლის 22 ღვინობისთვე, № 120.

6(228) **„ბუტიობა“** (ვოდევილი). არის ორი გამოცემა: ერთ ცალკე გამოცემა, ტფილისში, 1879 წელს; მეორე აკაკისავე „კრ ბულში“ 1899 წ., იანვრის № 1-ში.

7(652). **„ხანის ვეზირი“** (ოთხმოქმედებიანი კომედია). ეს პიესა თარგმანს წარმოადგენს. დაბეჭდილია აკაკის „კრებულში“ 189 წელს მარტის № 7-ში.

8(658). **„გაიძვერები“** (ხუთმოქმედებიანი კომედია), დაიბეჭდ აკაკისავე „კრებულში“ 1898 წელს, № 8 (აპრილი).

9(1268). **„ვიდრე ხვალ, უფალო“** (დრამა). თარგმანი ცნობილი პიესისა „Quo vadis?“ აკაკის თარგმანი სცენაზე რამდენჯერმ დაიდგა. ჯერ არსად დაბეჭდილა. როგორც ამბობენ, ავტოგრაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრის დაწვის დროს დამწვარა, მაგრამ დარჩენილა ავტოგრაფის პირი, რომელიც „ქართული დრამატიული საზოგადოების“ არქივში უნდა ინახებოდეს.

10(1334). **პიესა იმერთა ცხოვრებიდან.** ეს პიესა ავტოგრაფად არის დარჩენილი, ხუთ მოქმედებად, მაგრამ სათაური არა აქვს. მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან: კიკოლა, საყვარელისეული, მიხა, არუთუნა, ივანე, ნიკო, მიშა, გრიშა, ლექსო და სხვანი (იხ. აკაკის ავტოგრაფი № 8,5).

11(1364). **„სიყვარული“** (სამმოქმედებიანი პიესა). დარჩენილია ავტოგრაფად (№ 24,1).

12(1368). **„სურათები“** (გლეხი, მემამულე, ნაციონალისტი, სოციალდემოკრატი, სომეხი და რუსი). დარჩენილია ავტოგრაფად (№ 28,4).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმთავრესი ბეჭდვითი შეცდომები:

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
3	3 ზემოდან	მომქმედნი	მოქმედნი
11	3 „	მომქმედი	მოქმედი
82	9 ქვემოდან	იმერეთი	იმერეთი,
85	3 ზემოდან	მომქმედი	მოქმედი
174	3 „	ჩეკვრას	ჩაკვრას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. პირუტყვების არჩევანი 1
2. ძველსა და ახალს შუა 9
3. ადვოკატის დილა 45
4. სცენა საპატიმროში 53
5. ენების გასამართლება 75
6. კინტო 83
7. კუდურ-ხანუმ 123
8. მედია 189
9. პატარა-კახი 257
10. ახალი გმირი 335
11. რეაქცია 371
შენიშვნები და ბიბლიოგრაფია 395

ფასი 3 მან. [redacted] კაპ.

№ 1927

ეროვნული
ბიბლიოთეკა